ი. სტალინი

თხზულებანი

3

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА—СТАЛИНА
при ЦК КПСС

И. В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва • 1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქ. კ. პ. ც. კ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი —
ს. კ. კ. პ. ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის
ინსტიტუტის ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი • 1954

ი. ბ. სტალინი

ტომი
3

1917

მარტი – ოქტომბერი

წინასიტყვაობა

მესამე ტომი შეიცავს ი. ბ. სტალინის იმ ძირითად ნაწარმოებებს, რომლებიც 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდს ეკუთვნის.

1917 წელს ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინთან მჭიდრო თანამეგობრობით ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ პარტიასა და მუშათა კლასს, რომელიც იბრძოდა სახელმწიფო ძალაუფლების მოსაპოვებლად.

ი. ბ. სტალინის იმ ნაწარმოებებში, რომლებიც დაბეჭდილია მესამე ტომში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საკითხებს ივნისისა და ივლისის დემონსტრაციების დღეებში, პეტროგრადის რაიონულ და საქალაქო თვითმმართველობათა არჩევნებში (მოწოდებანი «პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს», სტატიები «დაქსაქსული დემონსტრაციების წინააღმდეგ», «მუნიციპალური კამპანიაა», «რა მოხდა?», «შეამჭიდროეთ რიგები», «დღეს არჩევნებია» და სხვ.), კორნილოვის კონტრრევოლუციური გამოსვლის განადგურების დროს («ჩვენ მოვითხოვთ», «შეთქმულება გრძელდება», «უცხოელები და კორნილო-

ვის შეთქმულება» და სხვ.) და 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შეიარაღებული აჯანყების უშუალო მომზადების პერიოდში («დემოკრატიული თათბირისათვის», «ორი ხაზი», «რამდენიც უნდა ელოდოთ, ვერ მოესწრებით...», «კონტრრევოლუცია ირაზმება, — ემზადეთ წინააღმდეგობისათვის», «ბორკილებს ჭედავენ», «გამოცდა თავხედობაში» და სხვ.).

ტომში შესული მთელი რიგი ნაწარმოებები მიძღვნილია პარტიის ბრძოლისადმი საბჭოების გადაქცევისათვის მასების მობილიზაციის ორგანოებიდან აჯანყების ორგანოებად, პროლეტარული ხელისუფლების ორგანოებად (მოხსენებანი რსდმპ (ბ) პეტროგრადის საგანგებო კონფერენციაზე და ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობაზე, სტატიები «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», «საბჭოების ძალაუფლება», «რევოლუციის შტრეიკბრეხერები», «რა გვესაჭიროება ჩვენ?»).

ტომში დაბეჭდილი ი. ბ. სტალინის სტატიები მეტწილად გამოქვეყნებული იყო წიგნში «ოქტომბრის გზებზე», რომელიც 1925 წელს ორჯერ გამოიცა. პირველად ეს სტატიები დაიბეჭდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ «პრავდაში», რომელიც გამოდიოდა აგრეთვე «პროლეტარის», «რაბოჩის», «რაბოჩი პუტის» სახელწოდებებით, და ბოლშევიკურ გაზეთებში — «სოლდატსკაია პრავდა», «პროლეტარსკოე დელო», «რაბოჩი ი სოლდატ» და სხვ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

1917

მარტი–ოქტომბერი

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ

ელვის სისწრაფით მიჰქრის წინ რუსეთის რევოლუციის ეტლი. ყველგან იზრდებიან და ფართოვდებიან რევოლუციურ მებრძოლთა რაზმები. ძირიანად ირყევა და ემხობა ძველი ხელისუფლების საყრდენები. ახლა, ისევე როგორც ყოველთვის, წინ მიდის პეტროგრადი. მას მიჰყვება, ზოგჯერ ბორძიკით, თვალუწვდენი პროვინცია.

ძველი ხელისუფლების ძალები სუსტდებიან, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არიან განადგურებული. ისინი მხოლოდ მიიმალნენ და მოხერხებულ შემთხვევას ელიან, რომ თავი წამოყონ და თავისუფალ რუსეთს ეკვეთონ. მიმოიხედეთ გარშემო და დაინახავთ, რომ შავი ძალების შავბნელი მუშაობა განუწყვეტლივ წარმოებს...

შეინარჩუნოს მოპოვებული უფლებები იმისათვის, რომ საბოლოოდ გაანადგუროს ძველი ძალები და პროვინციასთან ერთად წინ წასწიოს რუსეთის რევოლუცია, — აი რა უნდა იყოს დედაქალაქის პროლეტარიატის მორიგი ამოცანა.

მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს?

რა არის საჭირო ამისათვის?

იმისათვის, რომ **დაგვემარცხებინა** ძველი ხელისუფლება, საკმარისი იყო აჯანყებული მუშებისა და ჯარისკაცების

დროებითი კავშირი. ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის რევოლუციის ძალა მუშებისა და ჯარისკაცთა მაზარებში გამოწყობილი გლეხების კავშირშია.

მაგრამ იმისათვის, რომ **შევინარჩუნოთ** მოპოვებული უფლებები და **შემდგომ გავაჩაღოთ** რევოლუცია — ამისათვის მუშათა და ჯარისკაცთა მხოლოდ **დროებითი** კავშირი სრულიადაც არ კმარა.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა გავხადოთ ეს კავშირი შეგნებული და მკვიდრი, ხანგრძლივი და მტკიცე, საკმაოდ მტკიცე იმისათვის, რომ წინააღუდგეს კონტრრევოლუციის პროვოკატორულ გამოსვლებს. ვინაიდან ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის რევოლუციის საბოლოო გამარჯვების საწინდარია რევოლუციური მუშისა და რევოლუციური ჯარისკაცის კავშირის განმტკიცება.

სწორედ ამ კავშირის ორგანოებს წარმოადგენენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

და რაც უფრო მჭიდროდ არიან დარაზმული ეს საბჭოები, რაც უფრო მტკიცედ არიან ისინი ორგანიზებული, მით უფრო ნამდვილია მათში გამოხატული რევოლუციური ძალაუფლება რევოლუციური ხალხისა, მით უფრო რეალურია გარანტიები კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

განამტკიცონ ეს საბჭოები, ყველგან მოაწყონ ისინი, ერთმანეთთან დააკავშირონ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური საბჭოს, როგორც ხალხის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს, მეთაურობით, — აი რა მიმართულებით უნდა მუშაობდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები.

მუშებო! უფრო მეტად შეამჭიდროეთ თქვენი რიგები და დაირაზმეთ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის გარშემო!

გლეხებო! დაირაზმეთ გლეხთა კავშირებში და მჭიდროდ შეკავშირდით რუსეთის რევოლუციის ბელადის — რევოლუციური პროლეტარიატის გარშემო!

ჯარისკაცებო! დაირაზმეთ თქვენს კავშირებში და შემოკრბით რუსეთის რევოლუციური არმიის ერთადერთი ერთგული მოკავშირის — რუსი ხალხის გარშემო!

მუშებო, გლეხებო, ჯარისკაცებო! გაერთიანდით ყველგან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, რუსეთის რევოლუციური ძალების კავშირისა და ძალაუფლების ორგანოებში!

ეს არის ძველი რუსეთის ბნელ ძალებზე სრული გამარჯვების საწინდარი.

ეს არის აგრეთვე იმის საწინდარი, რომ განხორციელდეს რუსი ხალხის ძირითადი მოთხოვნები: მიწა — გლეხებს, შრომის დაცვა — მუშებს, დემოკრატიული რესპუბლიკა — რუსეთის ყველა მოქალაქეს!

«პრავდა» № 8,
1917 წ. 14 მარტი.

ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ომის შესახებ

ამ დღეებში გენ. კორნილოვმა პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოხსენება გაუკეთა, გერმანელები რუსეთის წინააღმდეგ შემოტევას ამზადებენო.

როძიანკომ და გუჩკოვმა ამის გამო არმიასა და მოსახლეობას მოუწოდეს ემზადონ იმისათვის, რომ ბოლომდე იომონ.

ბურჟუაზიულმა პრესამ კი განგაში ატეხა: «თავისუფლება საფრთხეშია, გაუმარჯოს ომსო!». ამ განგაშში რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის ერთმა ნაწილმაც მიიღო მონაწილეობა...

ყური რომ დაუგდო იმათ, ვინც განგაში ატეხა, გეგონება — რუსეთში ისეთი პირობები შეიქმნა, რომლებიც მოგვაგონებს 1792 წელს საფრანგეთში, როცა შუა და აღმოსავლეთი ევროპის რეაქციულმა მეფეებმა კავშირი შეკრეს რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა იქ ძველი წესწყობილება აღედგინათ.

რუსეთის ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა მართლაც რომ შეესაბამებოდეს 1792 წლის საფრანგეთის

მდგომარეობას, ჩვენს წინააღმდეგ მართლა რომ იდგეს კონტრრევოლუციურ მეფეთა სპეციალური კოალიცია რუსეთში ძველი ხელისუფლების აღდგენის სპეციალური მიზნით, — უეჭველია, სოციალ-დემოკრატია, მაშინდელი საფრანგეთის რევოლუციონერების მსგავსად, ერთსულოვნად დაირაზმებოდა თავისუფლების დასაცავად. ვინაიდან თავისთავად ცხადია, სისხლით მოპოვებული თავისუფლება იარაღით უნდა დავიცვათ ყოველგვარი კონტრრევოლუციური თავდასხმისაგან, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი.

მაგრამ მართლაც ასეთია თუ არა საქმის ვითარება?

1792 წლის ომი იყო შეუზღუდავი მებატონე მეფეების დინასტიური ომი რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ, მეფეებისა, რომლებიც საფრანგეთში გაჩაღებულმა რევოლუციურმა ხანძარმა დააფრთხო. ომის მიზანი იყო ჩაექროთ ეს ხანძარი, აღედგინათ საფრანგეთში ძველი წესწყობილება და დამფრთხალი მეფეებისათვის ამით გარანტია მიეცათ მათს საკუთარ სახელმწიფოებში რევოლუციური სენის გავრცელების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ებრძოდნენ ასე თავდადებულად საფრანგეთის რევოლუციონერები მეფეთა ჯარებს.

ასეთი როდია ახლანდელი ომი. ახლანდელი ომი იმპერიალისტური ომია. მისი ძირითადი მიზანია სხვისი, უმთავრესად აგრარული ტერიტორიების დაპყრობა (ანექსია) კაპიტალისტურად განვითარებული სახელმწიფოების მიერ. ამ უკანასკნელთ ესაჭიროებათ გასაღების ახალი ბაზრები, ამ ბაზრებისაკენ მიმავალი მოხერხებული გზები, ნედლეული, მინერალური სიმდიდრე, და ისინი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ყოველივე ეს ყველგან, მიუხედავად იმისა, თუ როგორია დასაპყრობი ქვეყნის შინაგანი წესწყობილება.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ახლანდელ ომს, საერთოდ რომ ვთქვათ, არ მოსდევს და არც შეიძლება მოსდევდეს გარდუვალი ჩარევა დასაპყრობი ტერიტორიის საშინაო საქმეებში იქ ძველი წესწყობილების აღდგენის მიზნით.

და სწორედ ამიტომ რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ განგაში ავტეხოთ და გამოვაცხადოთ: «თავისუფლება საფრთხეშია, გაუმარჯოს ომს!».

რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა უფრო მოგვაგონებს 1914 წლის საფრანგეთს, ომის დასაწყისის საფრანგეთს, როცა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომი გარდუვალი აღმოჩნდა.

როგორც რუსეთის ახლანდელ ბურჟუაზიულ პრესაში, ისევე მაშინ საფრანგეთის ბურჟუაზიულ ბანაკში განგაში ატეხეს: «რესპუბლიკა საფრთხეშია, ჰკა გერმანელებსო!».

და როგორც მაშინ ამ განგაშმა საფრანგეთში ბევრი სოციალისტიც ჩაითრია (გედი, სამბა და სხვები), ახლაც რუსეთში ბევრი სოციალისტი დაადგა «რევოლუციური თავდაცვის» ბურჟუაზიულ მქადაგებელთა კვალს.

საფრანგეთში მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ განგაში ყალბი იყო, ხოლო თავისუფლებასა და რესპუბლიკაზე ღრიანცელი ფარავდა ფრანგ იმპერიალისტთა ნამდვილ ზრახვებს, რომლებიც ელზას-ლორენიასა და ვესტფალიის დაპყრობისაკენ მიისწრაფოდნენ.

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ რუსეთში მოვლენათა მსვლელობა გამოააშკარავებს, თუ რამდენად ყალბია უზომო ღრიანცელი იმის შესახებ, რომ «თავისუფლება საფრთხეშია»: «პატრიოტული» ბურუსი გაიფანტება, და ადამიანები თვალნათლივ დაინახავენ რუს იმპერიალისტთა ნამდვილ მისწრაფებებს... სრუტეებისაკენ, სპარსეთისაკენ...

გედის, სამბას და სხვ. მოქმედებამ ჯეროვანი და ავტორიტეტული შეფასება მიიღო ციმერვალდისა და კინტალის [1] სოციალისტური კონგრესების (1915 — 1916 წწ.) გარკვეულ რეზოლუციებში ომის წინააღმდეგ.

შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა ციმერვალდ-კინტალის დებულებათა მთელი სისწორე და ნაყოფიერება.

სავალალო იქნება, რომ რუსეთის რევოლუციური დემოკრატია, რომელმაც საძულველი მეფის რეჟიმის დამხობა შეძლო, იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყალბ განგაშს შეუშინდეს და გედ-სამბას შეცდომები გაიმეოროს...

მაშ როგორი უნდა იყოს ჩვენი, როგორც პარტიის, დამოკიდებულება არსებული ომისადმი?

როგორია ის პრაქტიკული გზები, რომლებმაც შეიძლება მიგვიყვანოს ომის მალე შეწყვეტამდე?

უწინარეს ყოვლისა, უეჭველია, რომ შიშველი ლოზუნგი «ძირს ომი!» სრულიად უვარგისია, როგორც პრაქტიკული გზა, ვინაიდან იგი მშვიდობის იდეების ზოგადი პროპაგანდის ფარგლებს არ სცილდება, არაფერს იძლევა და არც შეიძლება იძლეოდეს იმ მხრივ, რომ მეომარ მხარეებზე პრაქტიკული ზემოქმედება მოახდინოს ომის შეწყვეტის მიზნით.

შემდეგ. არ შეიძლება არ მივესალმოთ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გუშინდელ მოწოდებას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი — აიძულონ თავიანთი მთავრობები შეწყვიტონ ხოცვა-ჟლეტა. ეს მოწოდება, თუ მან ფართო მასებამდე მიაღწია, უეჭველია, ასობით და ათასობით მუშას მოაგონებს დავიწყებულ ლოზუნგს — «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!». მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მას მაინც არ მივყავართ პირდაპირ მიზანთან. ვინაიდან, კიდევაც რომ დავუშვათ, რომ იგი ფართო გავრცელებას

ჰპოვებს მეომარ სახელმწიფოთა ხალხებში, ძნელი საფიქრებელია, რომ მათ შეძლონ გაჰყვნენ ასეთ მოწოდებას, რაკი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან ახლანდელი ომის მტაცებლურ ხასიათსა და მის დამპყრობლურ მიზნებში. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ რამდენადაც მოწოდება «საშინელი ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტის» წინასწარ პირობად გერმანიის «ნახევრადთვითმპყრობელური წესწყობილების» დამხობას სახავს, ფაქტიურად იგი «საშინელი ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტის» საქმეს განუსაზღვრელი ვადით აჭიანურებს და ამით «ბოლომდე ომის» თვალსაზრისზე გადადის, ვინაიდან ვინ იცის, სახელდობრ როდის შეძლებს გერმანელი ხალხი «ნახევრადთვითმპყრობელური წესწყობილების» დამხობას და საერთოდ შეძლებს თუ არა ამას უახლოეს მომავალში...

მაშ სად არის გამოსავალი?

გამოსავალია ის გზა, რომ ზეგავლენა მოვახდინოთ დროებითს მთავრობაზე და მოვთხოვოთ, რათა მან თანხმობა განაცხადოს საზავო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებაზე.

მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა უნდა მოაწყონ მიტინგები და დემონსტრაციები, უნდა მოსთხოვონ დროებითს მთავრობას, რომ მან **აშკარად და საჯაროდ სცადოს დაითანხმოს ყველა მეომარი სახელმწიფო დაუყოვნებლივ შეუდგნენ საზავო მოლაპარაკებას ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარების საფუძველზე.**

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არ გადაიქცევა ლოზუნგი «ძირს ომი!» უშინაარსო, არაფრისმთქმელ პაციფიზმად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს ეს ლოზუნგი მძლავრ პოლიტიკურ კამპანიად, რომელიც ნიღაბს ჩამოჰგლეჯს იმპერიალისტებს და გამოააშკარავებს ახლანდელი ომის ნამდვილ სარჩულს.

ვინაიდან კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ერთ-ერთი მხარე უარს განაცხადებს ცნობილი საწყისების მიხედვით მოლაპარაკებაზე, ეს უარიც კი, ე. ი. დამპყრობლურ მისწრაფებებზე ხელის აღების უარყოფა, ობიექტურად გახდება «საშინელი ხოცვა-ჟლეტის» ლიკვიდაციის საქმის დაჩქარების იარაღი, რადგან ასეთ შემთხვევაში ხალხები თვალნათლივ დაინახავენ ომის დამპყრობლურ ხასიათს და იმ იმპერიალისტური ჯგუფების სისხლში მოსვრილ სახეს, რომელთა გაუმაძღრობის ინტერესებს ხალხები თავიანთი შვილების სიცოცხლეს სწირავენ.

მაგრამ იმპერიალისტებისათვის ნიღაბის ჩამოგლეჯა, მასის თვალში ახლანდელი ომის ნამდვილი სარჩულის გამოაშკარავება — სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ ნამდვილი ომი გამოუცხადო ომს, შეუძლებელი გახადო ახლანდელი ომი.

«პრავდა» № 10,
1917 წ. 16 მარტი.

ხელმოწერა: კ. სტალინი

სამინისტრო პორტფელებისაკენ

ამ დღეებში პრესაში დაიბეჭდა «ედინსტვოს» ჯგუფის[2] რეზოლუციები: დროებითი მთავრობის, ომისა და გაერთიანების შესახებ.

ეს ჯგუფი პლეხანოვ-ბურიანოვის, «ობორონცული» ჯგუფია.

ამ ჯგუფის დასახასიათებლად საკმარისია ვიცოდეთ, რომ მისი აზრით:

1) «დროებითი მთავრობის მოქმედებაზე საჭირო დემოკრატიული კონტროლი საუკეთესოდ იქნება მიღწეული მუშათა დემოკრატიის **მონაწილეობით** დროებით მთავრობაში»;

2) «პროლეტარიატი იძულებულია **განაგრძოს** ომი», სხვათა შორის, «ევროპის გასათავისუფლებლად ავსტრია-გერმანიის რეაქციის მუქარისაგან».

მოკლედ: გაგზავნეთ, ბატონო მუშებო, მძევლები გუჩკოვ-მილიუკოვის დროებით მთავრობაში და კეთილინებეთ განაგრძოთ ომი... კონსტანტინოპოლის დასაპყრობად!

ასეთია პლეხანოვ-ბურიანოვის ჯგუფის ლოზუნგი.

და ყოველივე ამის შემდეგ ამ ჯგუფს გამბედაობა ჰყოფნის მოუწოდოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას მასთან გაერთიანებისაკენ!

პატივცემულ «ედინსტვოს» ჯგუფს ავიწყდება, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დგას ციმერვალდ-კინტალის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისზე, რომელნიც უარყოფენ ობორონცობასაც და ახლანდელ, თუნდაც დროებით მთავრობაში (არ უნდა ავრიოთ **რევოლუციურ** დროებით მთავრობასთან!) მონაწილეობასაც.

იგი ვერ ამჩნევს, რომ ციმერვალდ-კინტალი გედ-სამბას უარყოფაა და, პირიქით, გუჩკოვ-მილიუკოვთან გაერთიანება გამორიცხავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან ერთიანობას...

მას ვერ დაუნახავს, რომ ლიბკნეხტი და შეიდემანი უკვე დიდი ხანია აღარ ცხოვრობენ და არც შეიძლება ცხოვრობდნენ ერთ პარტიაში...

არა, ბატონებო, მისამართი გეშლებათ, ერთიანობისაკენ მოწოდებით რომ მოგვმართავთ!

რა თქმა უნდა, შეიძლება ცდილობდე სამინისტრო პორტფელების მიღებას, შეიძლება გაერთიანდე მილიუკოვ-გუჩკოვებთან იმისათვის, რომ... «ომი განაგრძო» და სხვ., ყოველივე ეს გემოვნების საქმეა, მაგრამ რა შუაშია აქ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და რა შუაშია მასთან გაერთიანება?

არა, ბატონებო, გაიარეთ.

«პრავდა» № 11,
1917 წ. 17 მარტი.
სტატია ხელმოუწერელია.

რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ

რევოლუცია გაჩაღებულია. იგი პეტროგრადში დაიწყო, პროვინციაში გადადის და თანდათან ედება მთელ თვალუწვდენ რუსეთს. მეტიც. პოლიტიკური საკითხებიდან იგი გარდუვალად გადადის სოციალურ საკითხებზე, მუშათა და გლეხთა ყოფაცხოვრების მოწყობის საკითხებზე, აღრმავებს და ამწვავებს ახლანდელ კრიზისს.

ყოველივე ეს არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს მფლობელთა რუსეთის გარკვეულ წრეებში. ცარისტულ-მემამულური რეაქცია ცდილობს თავი წამოყოს. იმპერიალისტური ხროვა განგაშს სტეხს. ფინანსური ბურჟუაზია ხელს უწოდებს დრომოჭმულ ფეოდალურ არისტოკრატიას, რათა ერთად მოაწყონ კონტრრევოლუცია. დღეს ისინი ჯერ კიდევ სუსტნი და გაუბედავნი არიან, მაგრამ ხვალ შეიძლება მომაგრდნენ და რევოლუციის წინააღმდეგ დაირაზმონ. ყოველ შემთხვევაში თავიანთ შავბნელ მუშაობას ისინი დაუღალავად ეწევიან, ძალებს იკრებენ მოსახლეობის ყველა ფენაში, თვით არმიაშიც...

როგორ ავლაგმოთ დაწყებული კონტრრევოლუცია?

როგორია რუსეთის რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელი პირობები?

ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მის ბაზას დღემდე პეტროგრადი წარმოადგენს. შეტაკებები და სროლა, ბარიკადები და მსხვერპლი, ბრძოლა და გამარჯვება უმთავრესად პეტროგრადსა და მის მიდამოებში (კრონშტადტში და სჩ.) იყო. პროვინცია გამარჯვების ნაყოფის მიღებას და დროებითი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას სჯერდებოდა.

ამ ფაქტის გამოხატულებას წარმოადგენს ის ორხელისუფლებიანობა, დროებით მთავრობასა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შორის ძალაუფლების ის ფაქტიური გაყოფა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს კონტრრევოლუციის დაჭირავებულთ. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, როგორც მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციური ბრძოლის ორგანო, და დროებითი მთავრობა, როგორც ორგანო რევოლუციის «უკიდურესობებით» დამფრთხალი ზომიერი ბურჟუაზიისა, რომელმაც დასაყრდენი ჰპოვა პროვინციის ინერტულობაში, — ასეთია სურათი.

ამაშია რევოლუციის სისუსტე, ვინაიდან ასეთი ვითარება განამტკიცებს პროვინციის მოწყვეტას დედაქალაქისაგან, მათ შორის კონტაქტის უქონლობას.

მაგრამ რაც უფრო ღრმავდება რევოლუცია, მით უფრო რევოლუციური ხდება პროვინციაც. ადგილებზე ეწყობა მუშათა დეპუტატების საბჭოები. მოძრაობაში ებმებიან გლეხები და ირაზმებიან თავიანთ კავშირებად. ხდება არმიის დემოკრატიზაცია და ადგილებზე ეწყობა ჯარისკაცთა კავშირები. პროვინციის ინერტულობა წარსულს ჰბარდება.

ამით ნიადაგი ირყევა დროებითი მთავრობის ფეხქვეშ. ამასთან ერთად პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოც არასაკმაო ხდება ახალი მდგომარეობისათვის.

საჭიროა მთელი რუსეთის დემოკრატიის რევოლუციური ბრძოლის სრულიად რუსეთის ორგანო, საკმაოდ ავტორიტეტიანი იმისათვის, რომ მტკიცედ გააერთიანოს დედაქალაქისა და პროვინციის დემოკრატია და ხალხის რევოლუციური **ბრძოლის** ორგანოდან საჭირო მომენტში გადაიქცეს რევოლუციური **ძალაუფლების** ორგანოდ, რომელიც ხალხის მთელ ცოცხალ ძალებს დარაზმავს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

ასეთი ორგანო შეიძლება იყოს მხოლოდ სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო.

ასეთია რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირველი პირობა.

შემდეგ. ომს, ისევე როგორც ყველაფერს ცხოვრებაში, უარყოფითი მხარეების გარდა, ის დადებითი მხარეც აქვს, რომ მან რუსეთის თითქმის მთელი სრულასაკოვანი მოსახლეობის მობილიზაციით არმია სულისკვეთებით ხალხური გახადა და ამით გააადვილა ჯარისკაცთა გაერთიანება აჯანყებულ მუშებთან. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ჩვენში რევოლუციამ შედარებით იოლად იფეთქა და გაიმარჯვა.

მაგრამ არმია მოძრავი და დენადია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მუდამ ადგილიდან ადგილზე გადადის ომის საჭიროებებთან დაკავშირებით. არმიას არ შეუძლია მუდამ ერთ ადგილას იდგეს და კონტრრევოლუციისაგან იცავდეს რევოლუციას. ამიტომ საჭიროა სხვა შეიარაღებული ძალა, არმია შეიარაღებული მუშებისა, რომლებიც ბუნებრივად დაკავშირებული არიან რევოლუციური მოძრაობის ცენტრებთან. და თუ სწორია ის დებულება, რომ რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს, თუ მას არა ჰყავს შეიარაღებული ძალა, რომელიც მუდამ მზად უნდა იყოს ემსახუ-

როს მას, ჩვენი რევოლუციაც იოლად ვერ წავა, თუ არ ეყოლა თავისი საკუთარი მუშათა გვარდია, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებული იქნება რევოლუციის ინტერესებთან.

მუშების დაუყოვნებლივ შეიარაღება, მუშათა გვარდია — ასეთია რევოლუციის გამარჯვების მეორე პირობა.

რევოლუციურ მოძრაობათა დამახასიათებელ თვისებას, მაგალითად, საფრანგეთში, წარმოადგენდა ის უეჭველი ფაქტი, რომ იქ დროებითი მთავრობები ჩვეულებრივ იქმნებოდნენ ბარიკადებზე და, ამის გამო, რევოლუციური იყვნენ, ყოველ შემთხვევაში უფრო რევოლუციური, ვიდრე მათ მიერ შემდეგში მოწვეული დამფუძნებელი კრებები, რომლებიც ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ ქვეყნის «დაშოშმინების» შემდეგ. არსებითად ამით აიხსნება, რომ იმ დროის ყველაზე გამოცდილი რევოლუციონერები ცდილობდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევამდევე განეხორციელებინათ თავიანთი პროგრამა რევოლუციური მთავრობის დახმარებით და აჭიანურებდნენ ამ მოწვევას. ამით მათ სურდათ უკვე განხორციელებული რეფორმების ფაქტის წინაშე დაეყენებინათ დამფუძნებელი კრება.

ასე როდია ჩვენში. დროებითი მთავრობა ჩვენში წარმოიშვა არა **ბარიკადებზე**, არამედ ბარიკადების **ახლოს**. ამიტომ იგი არც არის რევოლუციური, — იგი მხოლოდ უკან მისჩანჩალებს რევოლუციას, ბორძიკობს და ფეხებში ედება მას. და თუ იმის მიხედვით განვსჯით, როგორ ღრმავდება ყოველ ნაბიჯზე რევოლუცია, რომელიც აყენებს სოციალურ საკითხებს 8-საათიანი სამუშაო დღისა და მიწების კონფისკაციის შესახებ და არევოლუციურებს პროვინციას, — დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მომავალი საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრება სამი ივნისის

სათათბიროს მიერ არჩეულ ახლანდელ დროებით მთავრობაზე გაცილებით უფრო დემოკრატიული იქნება.

ამავე დროს შეიძლება არსებობდეს იმის საფრთხე, რომ დროებითი მთავრობა, რევოლუციის გაჭანებით დამფრთხალი და იმპერიალისტური ტენდენციებით გამსჭვალული, განსაზღვრულ პოლიტიკურ კონიუნქტურაში **შეიძლება** დარაზმული კონტრრევოლუციის «კანონიერი» ფარი და საფარველი გახდეს.

ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაჭიანუროთ დამფუძნებელი კრების მოწვევა.

ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, საზოგადოების ყველა ფენისათვის ერთადერთი ავტორიტეტული დაწესებულება, რომელსაც შეუძლია დააგვირგვინოს რევოლუციის საქმე და ამით ფრთები შეაკვეცოს თავწამოყოფილ კონტრრევოლუციას.

დამფუძნებელი კრების მალე მოწვევა — ასეთია რევოლუციის გამარჯვების მესამე პირობა.

ყოველივე ეს საჭიროა განხორციელდეს იმ საერთო პირობით, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს საზავო მოლაპარაკება, იმ პირობით, რომ შეწყდეს არაადამიანური ომი, ვინაიდან ხანგრძლივი ომი ფინანსური, სამეურნეო და სასურსათო კრიზისის შედეგებით ის წყალქვეშა ლოდია, რომელზეც შეიძლება დაიმსხვრეს რევოლუციის ხომალდი.

«პრავდა» № 12,
1917 წ. 18 მარტი.
ხელმოწერა: კ. სტალინი.

ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ

ძველი რუსეთის ერთ-ერთი იარა, რომელიც სამარცხვინო ლაქას სცხებდა მას, ნაციონალური ჩაგვრის იარა იყო.

რელიგიური და ნაციონალური დევნა, «უცხოტომელთა» ძალდატანებით გარუსება, ნაციონალურ კულტურულ დაწესებულებათა დევნა, საარჩევნო უფლებათა წართმევა, მისვლა-მოსვლის თავისუფლების წართმევა, ეროვნებების ერთიმეორეზე წასისიანება, რბევა და ხოცვა-ჟლეტა, — აი იგი, ავად მოსაგონარი ნაციონალური ჩაგვრა.

როგორ გავთავისუფლდეთ ნაციონალური ჩაგვრისაგან?

ნაციონალური ჩაგვრის სოციალურ საფუძველს, მის მასულდგმულებელ ძალას დრომოჭმული მიწათმფლობელი არისტოკრატია წარმოადგენს. და რაც უფრო ახლო დგას იგი ძალაუფლებასთან, რაც უფრო მტკიცედ უპყრია ხელთ ეს ძალაუფლება, მით უფრო ძლიერია ნაციონალური ჩაგვრა, მით უფრო მახინჯია მისი ფორმები.

ძველ რუსეთში, როდესაც ხელისუფლებას სათავეში ედგა მიწათმფლობელი-მებატონე არისტოკრატია, ნაციონალური ჩაგვრა მეტად ძლიერი იყო და ხშირად რბევად (ებრაელთა რბევა) და ხოცვა-ჟლეტად (სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა) იქცეოდა.

ინგლისში, სადაც მიწათმფლობელი არისტოკრატია (ლენდლორდები) ბურჟუაზიას უნაწილებს ძალაუფლებას, სადაც უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს ამ არისტოკრატიის განუყოფელი ბატონობა, — ნაციონალური ჩაგვრა უფრო რბილია, ნაკლებად არაადამიანურია, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ომის მსვლელობაში, როცა ძალაუფლება ლენდლორდების ხელში გადავიდა, ნაციონალური ჩაგვრა მნიშვნელოვნად გაძლიერდა (ირლანდიელების, ინდოელების დევნა).

ხოლო შვეიცარიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ლენდლორდიზმი არ არის და არც ყოფილა, სადაც ძალაუფლება განუყოფლად ბურჟუაზიის ხელშია, — ეროვნებანი მეტად თუ ნაკლებად თავისუფლად ვითარდებიან, ნაციონალურ ჩაგვრას, საერთოდ რომ ვთქვათ, თითქმის არა აქვს ადგილი.

ყოველივე ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მიწათმფლობელი არისტოკრატია თვით თავისი მდგომარეობით არის (არ შეიძლება არ იყოს!) ყოველნაირი თავისუფლების, კერძოდ ნაციონალური თავისუფლების დაუძინებელი და შეურიგებელი მტერი, რომ საერთოდ თავისუფლება და კერძოდ ნაციონალური თავისუფლება ძირს უთხრის (არ შეიძლება ძირს არ უთხრიდეს!) მიწათმფლობელი არისტოკრატიის პოლიტიკურ ბატონობას.

პოლიტიკური ასპარეზიდან ფეოდალური არისტოკრატიის მოცილება, მისთვის ძალაუფლების წართმევა,— სწორედ ეს ნიშნავს ნაციონალური ჩაგვრის აღმოფხვრას, ნაციონალური თავისუფლებისათვის აუცილებელი **ფაქტიური** პირობების შექმნას.

რამდენადაც რუსეთის რევოლუციამ გაიმარჯვა, მან უკვე შექმნა ეს ფაქტიური პირობები, — დაამხო ფეოდა-

ლურ-მებატონური ხელისუფლება და დაამყარა თავისუფლებანი.

ახლა აუცილებელია:

1) ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ეროვნებათა უფლებების ჩამოყალიბება და

2) ამ უფლებების კანონმდებლობითი განმტკიცება.

სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა დროებითი მთავრობის დეკრეტი სარწმუნოებრივ და ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ.

დროებით მთავრობას, რომელსაც ბიძგს აძლევს მზარდი რევოლუცია, უნდა გადაედგა ეს პირველი ნაბიჯი რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისაკენ, და მან კიდევაც გადადგა ეს ნაბიჯი.

დეკრეტის შინაარსი საერთოდ იმით განისაზღვრება, რომ უქმდება არარუსი ეროვნებისა და არამართლმადიდებელი სარწმუნოების მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა ისეთ დარგებში, როგორიც არის: 1) დასახლება, ცხოვრება და მისვლა-მოსვლა; 2) საკუთრების უფლების შეძენა და სხვ.; 3) ყოველნაირი ხელოსნობა, ვაჭრობა და სხვ.; 4) სააქციო და სხვა საზოგადოებებში მონაწილეობა; 5) სახელმწიფო სამსახურში შესვლა და სხვ.; 6) სასწავლებლებში შესვლა; 7) სხვა ენებისა და კილოკავების ხმარება, გარდა რუსულისა, კერძო საზოგადოებათა საქმისწარმოებაში, ყოველნაირ კერძო სასწავლებლებში სწავლებისას და სავაჭრო დავთრების წარმოებისას.

ასეთია დროებითი მთავრობის დეკრეტი.

რუსეთის ხალხებს, რომლებსაც დღემდე ეჭვის თვალით უყურებდნენ, ახლა შეუძლიათ შვებით ამოისუნთქონ, რუსეთის მოქალაქეებად იგრძნონ თავი.

ყოველივე ეს ძალიან კარგია.

მაგრამ შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ეს დეკრეტი საკმარისია ნაციონალური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რომ ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების საქმე უკვე მიყვანილია ბოლომდე.

უწინარეს ყოვლისა, დეკრეტი არ ამყარებს ნაციონალურ თანასწორუფლებიანობას ენის მხრივ. დეკრეტის უკანასკნელ პუნქტში ლაპარაკია **კერძო** საზოგადოებათა საქმისწარმოებაში, **კერძო** სასწავლებლებში სწავლებისას, გარდა რუსულისა, სხვა ენების ხმარების უფლებაზე. მაგრამ რა ვუყოთ იმ ოლქებს, სადაც არარუს მოქალაქეთა, არარუსულ ენაზე მოლაპარაკეთა კომპაქტური უმრავლესობაა (ამიერკავკასია, თურქესტანი, უკრაინა, ლიტვა და სხვ.)? ეჭვს გარეშეა, რომ იქ იქნებიან (უნდა იყვნენ!) თავიანთი სეიმები და, მაშასადამე «საქმისწარმოებაც» (სრულიადაც არა «კერძო»!), ისევე როგორც «სწავლებაც» სასწავლებლებში (არა მარტო «კერძოებში»!) — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო რუსულ, არამედ ადგილობრივ ენებზეც. ფიქრობს თუ არა დროებითი მთავრობა გამოაცხადოს რუსული ენა სახელმწიფო ენად და **უფლება მოუსპოს ხსენებულ ოლქებს დედაენაზე აწარმოონ «საქმეები» და «სწავლება» თავიანთ სრულიადაც არა «კერძო» დაწესებულებებში?** როგორც ჩანს, ფიქრობს. მაგრამ ბრიყვს გარდა ვინ დაიჯერებს, რომ ეს არის ერების სრული გათანასწორება უფლებების მხრივ, რასაც ყოველ გზა-შარაზე გაჰყვირიან და ღალადებენ «რეჩის»[3] და «დენის»[4] ბურჟუაზიული ჭორიკანები? ვინ ვერ მიხვდება, რომ ეს ნიშნავს ენის მხრივ ერთა **არა**თანასწორუფლებიანობის დაკანონებას?

შემდეგ. ვისაც ნამდვილი ნაციონალური თანასწორუფლებიანობის დამყარება სურს, მას არ შეუძლია დასჯერდეს

უარყოფით ღონისძიებას შეზღუდვათა გაუქმების შესახებ, — იგი შეზღუდვათა გაუქმებიდან უნდა გადავიდეს დადებით გეგმაზე, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალური ჩაგვრის მოსპობას.

ამიტომ საჭიროა გამოცხადებულ იქნას:

1) პოლიტიკური ავტონომია (არა ფედერაცია!) იმ ოლქებისა, რომლებიც წარმოადგენენ მთლიან სამეურნეო ტერიტორიას მოსახლეობის განსაკუთრებული ყოფაცხოვრებითა და ნაციონალური შემადგენლობით, მშობლიურ ენაზე «საქმისწარმოებითა» და «სწავლებით»;

2) თვითგამორკვევის უფლება იმ ერებისათვის, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლიათ დარჩნენ სახელმწიფოებრივი მთელის ფარგლებში.

ასეთია ის გზა, რომელსაც მივყავართ ნაციონალური ჩაგვრის ნამდვილი მოსპობისაკენ, ეროვნებათა თავისუფლების იმ მაქსიმუმის უზრუნველყოფისაკენ, რომელიც შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს.

«პრავდა» № 17,
1917 წ. 25 მარტი.
ხელმოწერა: კ. სტალინი.

ᲐᲜ — ᲐᲜ

23 მარტის ცნობილ ინტერვიუში საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა მილიუკოვმა განავითარა თავისი «პროგრამა» ახლანდელი ომის მიზნების შესახებ. მკითხველებმა «პრავდის» გუშინდელი ნომრიდან[5] იციან, რომ ეს მიზნები იმპერიალისტურია: კონსტანტინოპოლის დაპყრობა, სომხეთის დაპყრობა, ავსტრიისა და თურქეთის გაყოფა, ჩრდილოეთ სპარსეთის დაპყრობა.

თურმე რუსი ჯარისკაცები ბრძოლის ველებზე სისხლსა ღვრიან არა «სამშობლოს დასაცავად», არა «თავისუფლებისათვის», როგორც მოსყიდული ბურჟუაზიული პრესა გვარწმუნებს, — არამედ სხვისი მიწაწყლის დასაპყრობად ერთი მუჭა იმპერიალისტების საამებლად.

ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ბ-ნი მილიუკოვი.

მერე ვისი სახელით ამბობს ყოველივე ამას ასე გულახდილად და საქვეყნოდ ბ-ნი მილიუკოვი?

რა თქმა უნდა, არა რუსი ხალხის სახელით. ვინაიდან რუსი ხალხი, რუსი მუშები, გლეხები და ჯარისკაცები **წინააღმდეგი** არიან სხვისი მიწაწყლის დაპყრობისა, **წინა-**

ალმდეგი არიან ხალხების მიმართ ძალადობისა. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რუსი ხალხის ნების ამ გამომხატველის ცნობილი «მოწოდება».

მაშ ვის აზრს გამოხატავს ამ შემთხვევაში ბ-ნი მილიუკოვი?

იქნებ მთელი დროებითი მთავრობის აზრს?

მაგრამ აი რას იუწყება ამის შესახებ გუშინდელი «ვეჩერნეე ვრემია» [6]:

«საგარეო საქმეთა მინისტრ მილიუკოვთან ინტერვიუს გამო, რომელიც პეტროგრადის 23 მარტის გაზეთებში გამოქვეყნდა, იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ პრესის საინფორმაციო ბიუროს დაავალა განაცხადოს, რომ **ახლანდელ ომში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანების ის გადმოცემა, რომელსაც ინტერვიუ შეიცავს, მილიუკოვის პირად აზრს შეადგენს და სრულებითაც არ გამოხატავს დროებითი მთავრობის შეხედულებებს».**

ამრიგად, კერენსკის თუ დავუჯერებთ, ბ-ნი მილიუკოვი არ გამოხატავს დროებითი მთავრობის აზრს კარდინალურ საკითხში ომის მიზნების შესახებ.

მოკლედ: საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მილიუკოვი, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა ახლანდელი ომის დამპყრობლური მიზნები, გამოვიდა არა მარტო რუსი ხალხის ნების **წინააღმდეგ,** არამედ დროებითი მთავრობის **წინააღმდეგაც,** რომლის წევრიც ის არის.

ჯერ კიდევ ცარიზმის დროს ბ-ნი მილიუკოვი მოითხოვდა მინისტრების პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე. ჩვენ ვეთანხმებით მას, რომ მინისტრები ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არიან ხალხის წინაშე. და ვეკითხებით: კვლავ ცნობს თუ არა ბ-ნი მილიუკოვი

მინისტრების პასუხისმგებლობის პრინციპს? და თუ კვლავ ცნობს ამ პრინციპს, რატომ არ გადადგება?

ანდა, იქნებ, კერენსკის ცნობა არ არის... ზუსტი? ორში ერთი:

ან კერენსკის ცნობა სწორი არ არის, და მაშინ რევოლუციურმა ხალხმა წესრიგისაკენ უნდა მოუწოდოს დროებით მთავრობას, აიძულოს იგი ცნოს ხალხის ნება.

ან კერენსკი მართალია, და მაშინ ბ-ნი მილიუკოვისათვის ადგილი აღარ უნდა იყოს დროებით მთავრობაში, — იგი **უნდა** გადადგეს.

საშუალო გზა არ არსებობს.

«პრავდა» № 18,
1917 წ. 26 მარტი

მოწინავე.

ფედერალიზმის წინააღმდეგ

«დელო ნაროდას»-ს მე-5 ნომერში დაიბეჭდა სტატია: «რუსეთი — ოლქთა კავშირი». ამ სტატიაში წამოყენებულია წინადადება, რომ რუსეთი გადაიქცეს «ოლქთა კავშირად», «ფედერალურ სახელმწიფოდ», — არც მეტი და არც ნაკლები. აბა მოუსმინეთ:

«დაე ფედერალურმა რუსეთის სახელმწიფომ ცალკეული ოლქებისაგან (მალოროსია, საქართველო, ციმბირი, თურქესტანი და სხვ.) მიიღოს სუვერენიტეტის ატრიბუტები... მაგრამ დაე მისცეს მან ცალკეულ ოლქებს შინაგანი სუვერენიტეტი. დაე მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ შექმნას რუსეთის ოლქთა კავშირი».

სტატიის ავტორი (იოს. ოკულიჩი) შემდეგნაირად განმარტავს ნათქვამს:

«დაე იყოს რუსეთის ერთიანი არმია, ერთიანი ფული, ერთიანი საგარეო პოლიტიკა, ერთიანი უმაღლესი სასამართლო. მაგრამ დაე თავისუფალი იყვნენ ახალი ცხოვრების დამოუკიდებელ შემოქმედებაში ერთიანი სახელმწიფოს ცალკეული ოლქები. თუ ამერიკელებმა უკვე 1776 წელს... სამოკავშირეო ხელშეკრულებით შექმნეს «შეერთებული შტატები», ნუთუ ჩვენ 1917 წელს არ შეგვიძლია შევქმნათ ოლქთა მტკიცე კავშირი?».

ასე ამბობს «დელო ნაროდა».

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ სტატია ბევრ რამეში საინტერესოა და, ყოველ შემთხვევაში, ორიგინალურია. ინტერესის გამომწვევია მისი კილოც, უაღრესად საზეიმო და, ასე ვთქვათ, «მანიფესტურია» («დაე იყოს», «დაე მისცეს»!).

ყოველივე ამის მიუხედავად, უნდა შევნიშნოთ, რომ მთლიანად იგი რაღაც უცნაურ გაუგებრობას წარმოადგენს, ხოლო ამ გაუგებრობას საფუძვლად უდევს მეტად ქარაფშუტული მოპყრობა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების (აგრეთვე შვეიცარიისა და კანადის) სახელმწიფო წყობილების ისტორიის ფაქტებისადმი.

რას გვეუბნება ეს ისტორია?

1776 წელს შეერთებული შტატები წარმოადგენდნენ არა ფედერაციას, არამედ მანამდე დამოუკიდებელი კოლონიებისა თუ შტატების კონფედერაციას. ესე იგი იყვნენ დამოუკიდებელი კოლონიები, მაგრამ შემდეგ საერთო ინტერესების დასაცავად უმთავრესად გარეშე მტრების წინააღმდეგ კოლონიებმა ერთმანეთთან დადეს კავშირი **(კონფედერაცია)**, თუმცა კვლავ სავსებით დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულებად დარჩნენ. XIX საუკუნის სამოციან წლებში ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხა ხდება: ჩრდილოეთი შტატები მოითხოვენ შტატების უფრო მტკიცე პოლიტიკურ დაახლოებას, ხოლო სამხრეთი შტატები პროტესტს აცხადებენ «ცენტრალიზმის» წინააღმდეგ და იბრძვიან ძველი წესისათვის. ჩაღდება **«სამოქალაქო ომი»**, რომლის შედეგადაც ჩრდილოეთი შტატები იმარჯვებენ. ამერიკაში მყარდება **ფედერაცია**, ე. ი. კავშირი სუვერენული შტატებისა, რომლებიც ძალაუფლებას **ინაწილებენ** ფედერალურ (ცენტრალურ) მთავ-

რობასთან. მაგრამ ასეთი წესი დიდხანს არ გრძელდება. ფედერაცია ისეთივე გარდამავალი ზომა აღმოჩნდა, როგორც კონფედერაცია. ბრძოლა შტატებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის არ წყდება, ორხელისუფლებიანობა აუტანელი ხდება, და შემდგომი ევოლუციის შედეგად შეერთებული შტატები ფედერაციიდან იქცევიან **უნიტარულ** (გაერთიანებულ) სახელმწიფოდ ერთიანი კონსტიტუციური ნორმებით, შტატების შეზღუდული (არა სახელმწიფოებრივი, არამედ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური) ავტონომიით, რომელიც დასაშვებია ამ ნორმების მიხედვით. სახელწოდება «ფედერაცია» შეერთებული შტატების მიმართ იქცევა ლიტონ ბგერად, წარსულის ნაშთად, რაც უკვე დიდი ხანია აღარ შეესაბამება საქმის ნამდვილ ვითარებას.

იგივე უნდა ითქვას შვეიცარიასა და კანადაზე, რომლებსაც აგრეთვე იმოწმებს ხსენებული სტატიის ავტორი. იგივე დამოუკიდებელი შტატები (კანტონები) ისტორიის დასაწყისში, იგივე ბრძოლა მათი უფრო მტკიცე გაერთიანებისათვის (ომი ზონდერბუნდთან [8] შვეიცარიაში, ინგლისელების ბრძოლა ფრანგებთან კანადაში), ფედერაციის იგივე გადაქცევა შემდეგში უნიტარულ სახელმწიფოდ.

რას მოწმობენ ეს ფაქტები?

მხოლოდ იმას, რომ ამერიკაში, ისევე როგორც კანადასა და შვეიცარიაში, განვითარება მიმდინარეობდა დამოუკიდებელი **ოლქებიდან** მათი ფედერაციის **გზით** უნიტარული სახელმწიფოსაკენ, რომ განვითარების ტენდენცია მიდის არა ფედერაციის სასარგებლოდ, **არამედ** მის **წინააღმდეგ**. ფედერაცია გარდამავალი ფორმაა.

და ეს შემთხვევითი როდია. ვინაიდან კაპიტალიზმის განვითარება მის უმაღლეს ფორმებში და მასთან დაკავშირებული გაფართოება სამეურნეო ტერიტორიის

ფარგლებისა მისი ცენტრალიზაციისაკენ მიმართული ტენდენციებით სახელმწიფოებრივი ცხოვრების უნიტარულ ფორმას მოითხოვს და არა ფედერალურს.

ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ამ ტენდენციას, თუ. რასაკვირველია, ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას არ ვაპირებთ.

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ გონივრული არ არის მოვითხოვოთ რუსეთისათვის ფედერაცია, რომელიც თვით ცხოვრებას გასაქრობად გაუწირავს.

«დელო ნაროდა» წინადადებას იძლევა რუსეთში მოვახდინოთ შეერთებული შტატების 1776 წლის ცდა. მაგრამ არის თუ არა თუნდაც შორეული ანალოგია 1776 წლის შეერთებულ შტატებსა და ჩვენი დროის რუსეთს შორის?

მაშინ შეერთებული შტატები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელი კოლონიების კრებულს, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებული არ იყვნენ და სურდათ შეკავშირებულიყვნენ კონფედერაციულად მაინც. და ეს მათი სურვილი სავსებით გასაგები იყო. წარმოადგენს თუ არა ახლანდელი რუსეთი რაიმე ამის მსგავსს? რა თქმა უნდა, არა! ყველასათვის ცხადია, რომ ოლქები რუსეთში (განაპირა მხარეები) **დაკავშირებული არიან** ცენტრალურ რუსეთთან ეკონომიურად და პოლიტიკურად, და რაც უფრო დემოკრატიულია რუსეთი, მით უფრო მტკიცე იქნება ეს კავშირი.

შემდეგ. ამერიკაში კონფედერაცია ან ფედერაცია რომ დაემყარებინათ, ამისათვის საჭირო იყო ჯერ კიდევ ერთმანეთთან შეუკავშირებელი კოლონიების **გაერთიანება.** და ეს შეეფერებოდა შეერთებული შტატების ეკონომიური განვითარების ინტერესებს. მაგრამ რუსეთი ფედერაციად რომ გადააქციო, ამისათვის საჭირო იქნება **გაწყვიტო** უკვე არსებული ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი,

რომელიც ერთმანეთთან აერთებს ოლქებს, ეს კი სრულიად არაგონივრული და რეაქციულია.

დასასრულ, ამერიკა (ისევე, როგორც კანადა და შვეიცარია) შტატებად (კანტონებად) იყოფა არა ნაციონალური, არამედ გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. იქ შტატები განვითარდნენ კოლონია-თემებიდან, დამოუკიდებლად მათი ნაციონალური შემადგენლობისა. შეერთებულ შტატებში რამდენიმე ათეული შტატია, მაშინ როცა ნაციონალური ჯგუფი სულ შვიდი-რვაა. შვეიცარიაში 25 კანტონი (ოლქი) არსებობს, მაშინ როცა ნაციონალური ჯგუფი სულ სამია. ასე როდია რუსეთში. ის, რასაც რუსეთში ჩვეულებრივ ეწოდება ოლქები, რომლებსაც, ვთქვათ, ავტონომია ესაჭიროებათ (უკრაინა, ამიერკავკასია, ციმბირი, თურქესტანი და სხვ.), უბრალო გეოგრაფიული ოლქები როდია, როგორც, მაგალითად, ურალი ან ვოლგისპირეთი, არამედ რუსეთის გარკვეული კუთხეები გარკვეული ყოფაცხოვრებითა და მოსახლეობის (არარუსული) ნაციონალური შემადგენლობით. სწორედ ამიტომ შტატების ავტონომია (ან ფედერაცია) ამერიკასა თუ შვეიცარიაში არათუ არ წყვეტს ნაციონალურ საკითხს (იგი არც ისახავს ასეთ მიზანს!), არამედ არც კი აყენებს მას. ხოლო რუსეთის ოლქთა ავტონომიას (ან ფედერაციას) არსებითად იმისათვის აყენებენ, რომ დასვან და გადაწყვიტონ ნაციონალური საკითხი რუსეთში, ვინაიდან რუსეთის ოლქებად დანაწილებას საფუძვლად უდევს ნაციონალური ნიშანი.

განა ცხადი არ არის, რომ ანალოგია 1776 წლის შეერთებულ შტატებსა და დღევანდელ რუსეთს შორის ხელოვნური და უაზროა?

განა ცხადი არ არის, რომ ფედერალიზმი რუსეთში არ წყვეტს და ვერც გადაწყვეტს ნაციონალურ საკითხს, რომ

იგი მხოლოდ ხლართავს და ართულებს ამ საკითხს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალების დონკიხოტური ცდებით?

არა, წინადადება რუსეთში ამერიკის 1776 წლის ცდის მოხდენის შესახებ დანამდვილებით უვარგისია. ნახევრულგარდამავალი ფორმა — ფედერაცია — არ აკმაყოფილებს და ვერც დააკმაყოფილებს დემოკრატიის ინტერესებს.

ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა იმდენადვე ცხოვრების შესაფერი უნდა იყოს, რამდენადაც რადიკალური და საბოლოო, სახელდობრ:

1) გამოყოფის უფლება რუსეთის განსაზღვრულ ოლქებში მოსახლე იმ ერებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ, არ სურთ დარჩნენ მთელის ფარგლებში;

2) პოლიტიკური ავტონომია ერთიანი (გაერთიანებული) სახელმწიფოს ფარგლებში კონსტიტუციის ერთიანი ნორმებით იმ ოლქებისათვის, რომლებიც განსაზღვრული ნაციონალური შემადგენლობით განირჩევიან და მთელის ფარგლებში რჩებიან.

ასე და მხოლოდ ასე უნდა გადაწყდეს ოლქების საკითხი რუსეთში *.

«პრავდა» № 19,
1917 წ. 28 მარტი.
ხელმოწერა: კ. სტალინი.

*ავტორის შენიშვნა

ეს სტატია ასახავს მაშინ ჩვენს პარტიაში გაბატონებულ უარყოფით დამოკიდებულებას სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობისადმი. სახელმწიფო ფედერალიზმი-

სადმი ამ უარყოფითმა დამოკიდებულებამ ყველაზე მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა ლენინის ცნობილ წერილში შაუმიანისადმი 1913 წლის ნოემბერში. «ჩვენ, — ამბობს ლენინი ამ წერილში, — მხარს ვუჭერთ დემოკრატიულ ცენტრალიზმს, უეჭველად. ჩვენ **ფედერაციის** წინააღმდეგი ვართ... ჩვენ პრინციპულად წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა — იგი ასუსტებს ეკონომიურ კავშირს, იგი უვარგისი ტიპია ერთი სახელმწიფოსათვის. გსურს გამოიყო? ჯანდაბამდის გზა გქონია, თუ შეგიძლია გაწყვიტო ეკონომიური კავშირი, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თუ «თანაცხოვრებით» გამოწვეული ჩაგვრა და უთანხმოება ისეთია, რომ აფუჭებს და ღუპავს ეკონომიური კავშირის საქმეს. არ გსურს გამოიყო? მაშინ, ნურას უკაცრავად, ჩემს მაგიერ ნუ გადაწყვეტ, ნუ გგონია, რომ შენ ფედერაციის «უფლება» გაქვს» (იხ. ტ. XVII, გვ. 90).

დამახასიათებელია, რომ პარტიის აპრილის კონფერენციის მიერ 1917 წელს [9] ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუცია სრულიად არ შეხებია სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის საკითხს. რეზოლუციაში ლაპარაკია ერთა გამოყოფის უფლებაზე, ერთიანი (უნიტარული) სახელმწიფოს ფარგლებში ნაციონალური ოლქების ავტონომიაზე, დასასრულ, იმაზე, რომ გამოიცეს ძირითადი კანონი ყოველგვარი ნაციონალური პრივილეგიების წინააღმდეგ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, რომ დასაშვებია სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა.

ლენინის წიგნში «სახელმწიფო და რევოლუცია» (1917 წლის აგვისტო) პარტია, ლენინის სახით, პირველ სერიოზულ ნაბიჯს დგამს იმის აღიარებისაკენ, რომ დასაშვებია ფედერაცია, როგორც გარდამავალი ფორმა «ცენტრალისტური რესპუბლიკისაკენ», თუმცა ამ აღიარებას მთელ რიგ სერიოზულ შენიშვნებს უკეთებს.

«ენგელსი, ისევე როგორც მარქსი, — ამბობს ლენინი ამ წიგნში, — იცავს, პროლეტარიატისა და პროლეტარული რევოლუციის თვალსაზრისით, დემოკრატიულ ცენტრალიზმს, ერთიან და განუყოფელ რესპუბლიკას. ფედერაციულ რესპუბლიკას ის განიხილავს ან როგორც გამონაკლისს და განვითარების დაბრკოლებას, ანდა როგორც გადასვლას მონარქიიდან ცენტრალისტურ რესპუბლიკაზე, როგორც «წინგადადგმულ ნაბიჯს» გარკვეულ, განსაკუთრებულ პირობებში. და ამ განსაკუთრებულ პირობებს შორის წინ დგება ნაციონალური საკითხი... ინგლისშიც კი, სადაც გეოგრაფიულმა პირობებმაც, ენის ერთიანობამაც, მრავალი ასეული წლის ისტორიამაც, თითქოს, «ბოლო მოუღეს» ინგლისის ცალკეულ წვრილ დანაყოფთა ნაციონალურ საკითხს, აქაც კი ენგელსი ანგარიშს უწევს იმ აშკარა ფაქტს, რომ ნაციონალური საკითხი ჯერ კიდევ არსებობს, და ამიტომ «წინგადადგმულ ნაბიჯად» თვლის ფედერაციულ რესპუბლიკას. რასაკვირველია, აქ ოდნავადაც არ არის უარყოფილი ფედერაციული რესპუბლიკის ნაკლოვანებათა კრიტიკა და უაღრესად გაბედული პროპაგანდა და ბრძოლა ერთიანი, ცენტრალისტურ-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის» (იხ. ტ. XXI, გვ. 419).

მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მტკიცედ და გარკვეულად დგება პარტია სახელმწიფოებრივი ფედერაციის თვალსაზრისზე და აყენებს მას, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი მოწყობის თავის საკუთარ გეგმას გარდამავალი პერიოდისათვის. ამ თვალსაზრისმა პირველად ჰპოვა თავისი გამოხატულება ცნობილ «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში»— 1918 წლის იანვარში. ამ დეკლარაციაში, რომელიც დაწერილია ლენინის მიერ და მოწონებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ნათქვამია: «რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაცია» (იხ. ტ. XXII, გვ. 174).

ოფიციალურად ეს თვალსაზრისი პარტიამ დაამტკიცა თავის VIII ყრილობაზე (1919 წელი) [10]. ცნობილია, რომ ამ ყრილობაზე მიღებულ იქნა რკპ პროგრამა. ამ პროგრამაში ნათქვამია: «როგორც ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას სრული ერთიანობის გზაზე, პარტია აყენებს საბჭოთა ტიპის მიხედვით მოწყობილი სახელმწიფოების ფედერაციულ გაერთიანებას» (იხ. «რკპ პროგრამა»).

ასეთია ის გზა, რომელიც განვლო პარტიამ ფედერაციის უარყოფიდან მის, როგორც «სხვადასხვა ერის მშრომელთა სრული ერთიანობისაკენ გარდამავალი ფორმის» აღიარებამდე (იხ. კომინტერნის II კონგრესის მიერ მიღებული «თეზისები ნაციონალურ საკითხზე» [11]).

ეს ევოლუცია ჩვენი პარტიის შეხედულებებისა სახელმწიფოებრივი ფედერაციის საკითხზე უნდა ავხსნათ სამი მიზეზით.

ჯერ-ერთი, იმით, რომ ოქტომბრის გადატრიალების დროისათვის რუსეთის მთელი რიგი ეროვნებანი ნამდვილად აღმოჩნდნენ ერთიმეორისაგან სრული გამოყოფისა და სრული მოწყვეტის მდგომარეობაში, რის გამო ფედერაცია აღმოჩნდა წინ გადადგმული ნაბიჯი ამ ეროვნებათა მშრომელი მასების დაქსაქსულობიდან მათი დაახლოებისაკენ, მათი გაერთიანებისაკენ.

მეორეც, იმით, რომ თვით ფორმები ფედერაციისა, რომლებიც საბჭოთა მშენებლობის მსვლელობაში დაისახა, ისეთი აღმოჩნდნენ, რომ იმდენად როდი ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის ეროვნებათა მშრომელი მასების ეკონომიური დაახლოების მიზნებს, როგორც ეს შეიძლებოდა გვგონებოდა წინათ, ანდა სრულებითაც არ ეწინააღმდეგებოდნენ ამ მიზნებს, როგორც შემდეგში პრაქტიკამ დაგვანახვა.

მესამეც, იმით, რომ ნაციონალური მოძრაობის ხვედრითი წონა გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ხოლო ეროვნებათა გაერთიანების გზა — გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ეს შეიძლებოდა გვგონებოდა წინათ, ომამდელ პერიოდში, ან ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში.

ი. სტ.

1924 წ. დეკემბერი.

ორი რეზოლუცია

ორი რეზოლუცია. პირველი — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა. მეორე — რუსეთ-ბალტიის სავაგონო ქარხნის მექანიკური განყოფილების მუშებისა (400 კაცი).

პირველი — ეგრეთწოდებული «თავისუფლების სესხისათვის» მხარდაჭერის სასარგებლოდ.

მეორე — ამის წინააღმდეგ.

პირველი რეზოლუცია უკრიტიკოდ იღებს «თავისუფლების სესხს», როგორც ასეთს, როგორც სესხს **თავისუფლების სასარგებლოდ.**

მეორე რეზოლუცია «თავისუფლების სესხს» თვლის სესხად **თავისუფლების წინააღმდეგ,** ვინაიდან იგი «იდება იმ მიზნით, რომ გაგრძელდეს ძმათამკვლელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის».

პირველი შთაგონებულია თავგზააბნეულ ადამიანთა ეჭვებით: რაღა ვუყოთ არმიის მომარაგებას, ხომ არ ავნებს არმიის მომარაგების საქმეს სესხისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმაო.

მეორესათვის უცხოა ასეთი ეჭვები, ვინაიდან იგი ხედავს გამოსავალს: იგი «აღიარებს, რომ არმიის მომარაგება ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება, ფულად სახსრებს მოითხოვს, და მიუთითებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომ ეს ფული ამოღებულ უნდა იქნას ბურჟუაზიის ჯიბიდან, იმ ბურჟუაზიისა, რომელმაც წამოიწყო ეს ხოცვა-ჟლეტა, განაგრძობს მას და ამ სისხლიან კორიანტელში მილიონობით მოგებას შოულობს».

პირველი რეზოლუციის ავტორები ალბათ კმაყოფილი არიან, ვინაიდან მათ ხომ «შეასრულეს თავიანთი მოვალეობა».

მეორე რეზოლუციის ავტორები პროტესტს აცხადებენ, რადგან თვლიან, რომ პირველნი პროლეტარიატის საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით **«ინტერნაციონალს ღალატობენ»**.

შიგ გულში მოახვედრეს!

თავისუფლების **წინააღმდეგ** მიმართული «თავისუფლების სესხის» **სასარგებლოდ** თუ მის **წინააღმდეგ**.

— ვინ არის მართალი? — გადაწყვიტეთ, ამხანაგო მუშებო.

«პრავდა» № 29,
1917 წ. 11 აპრილი.

ხელმოწერა: კ. სტალინი

მიწა — გლეხებს

რიაზანის გუბერნიის გლეხებმა მინისტრ შინგარიოვს მიმართეს განცხადებით იმის შესახებ, რომ მემამულეების მიერ მიტოვებულ მიწებს ისინი მოხნავენ, კიდევაც რომ არ დათანხმდნენ ამაზე მემამულენი. გლეხები აცხადებენ, რომ მემამულეების მხრივ თესვისაგან თავის შეკავება დამღუპველია, რომ მიტოვებული მიწების დაუყოვნებლივ მოხვნა ერთადერთი საშუალებაა უზრუნველყოფილი იქნას პურით არა მარტო მოსახლეობა ზურგში, არამედ არმიაც ფრონტზე.

ამის პასუხად მინისტრი შინგარიოვი (იხ. მისი დეპეშა [12]) გადაჭრით კრძალავს თავისი ნებით მოხვნას, რასაც «თვითნებობას» უწოდებს, გლეხებს კი წინადადებას აძლევს იცადონ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე: ის ყველაფერს გადაწყვეტსო.

ხოლო ვინაიდან დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადა ცნობილი არ არის, ვინაიდან დამფუძნებელი კრების მოწვევას აჭიანურებს დროებითი მთავრობა, რომლის წევრიც არის ბ-ნი შინგარიოვი, გამოდის, რომ **სინამდვილეში** მიწა მოუხნავი უნდა დარჩეს, მიწა მემამულეების **ხელში** რჩება, გლეხები **უმიწოდ** რჩებიან, ხოლო რუსეთი, ხოლო

მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ისე რჩებიან, რომ საკმაო რაოდენობით არა აქვთ პური.

ყოველივე ეს იმისათვის, რომ მემამულენი ნაწყენი არ დარჩნენ, თუნდაც რუსეთი შიმშილის კლანჭებში მოექცეს.

ასეთია პასუხი დროებითი მთავრობისა, რომლის წევრიც არის მინისტრი შინგარიოვი.

ჩვენ არ გვაკვირვებს ასეთი პასუხი. მეფაბრიკეთა და მემამულეთა მთავრობა არც შეიძლება სხვანაირად ეპყრობოდეს გლეხებს: რას დაგიდევენ ისინი გლეხებს, ოღონდ მემამულენი იყვნენ დღეგრძელნი!

ამიტომ ჩვენ მივმართავთ გლეხებს, მთელი რუსეთის მთელ ღარიბ გლეხობას — თავის საკუთარ ხელში აიღოს თავისი საქმე და წინ წასწიოს იგი.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ დაირაზმონ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებში (სათემო, სამაზრო და სხვ.), მათი საშუალებით ხელში ჩაიგდონ მემამულეთა მიწები და თავისი ნებით დაამუშაონ ისინი ორგანიზებული წესით.

ჩვენ მოვუწოდებთ გააკეთონ ეს დაუყოვნებლივ, — არ დაელოდონ დამფუძნებელ კრებას და ყურადღება არ მიაქციონ მინისტრთა რეაქციულ აკრძალვებს, რომლებიც ხელს უშლიან რევოლუციის ჩარხის ტრიალს.

ჩვენ გვეუბნებიან, მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდება რევოლუციის «ერთიანობას» ძირს გამოუთხრის, რევოლუციას საზოგადოების «პროგრესულ ფენებს» ჩამოაშორებსო.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ რევოლუცია შეიძლება ისე წასწიო წინ, რომ მეფაბრიკეებსა და მემამულეებს არ წაეჩხუბო.

განა მუშებმა, 8-საათიანი სამუშაო დღე რომ შემოიღეს, არ «ჩამოაშორეს» რევოლუციას მეფაბრიკეები და

მათი ამყოლ-დამყოლები? ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ რევოლუციამ წააგო, რაკი მუშების მდგომარეობა შეამსუბუქა, რაკი სამუშაო დღე შეამცირა?

გლეხების მიერ მემამულეთა მიწების თავისი ნებით დამუშავება და მათი ხელში ჩაგდება — ეჭვი არ არის — «ჩამოაშორებს» რევოლუციას მემამულეებსა და მათს ამყოლ-დამყოლებს. მაგრამ ვინ გაბედავს თქვას, რომ, რაკი რევოლუციის გარშემო მრავალმილიონიან ღარიბ გლეხობას ვრაზმავთ, ამით რევოლუციის ძალებს ვასუსტებთ?

იმ ადამიანებმა, რომლებსაც სურთ გავლენა მოახდინონ რევოლუციის მსვლელობაზე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ:

1) რომ ჩვენი რევოლუციის ძირითად ძალებს წარმოადგენენ მუშები და ომის გამო ჯარისკაცების მაზარებში გამოწყობილი ღარიბი გლეხები;

2) რომ რაც უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება რევოლუცია, მას გარდუვალად «ჩამოშორდებიან» ეგრეთწოდებული «პროგრესული ელემენტები», სიტყვით პროგრესულნი, საქმით რეაქციულნი.

რეაქციული უტოპია იქნება შევაფერხოთ ეს კეთილმყოფელი პროცესი რევოლუციის გაწმენდისა ზედმეტი «ელემენტებისაგან».

დამფუძნებელ კრებამდე ლოდინისა და გადადების პოლიტიკა, კონფისკაციაზე «დროებით» ხელის აღების პოლიტიკა, რასაც ნაროდნიკები, ტრუდოვიკები და მენშევიკები გვირჩევენ, კლასებს შორის მანევრირების (როგორმე არავის აწყენინო!) და ერთი ადგილის სამარცხვინოდ ტკეპნის პოლიტიკა რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკა არ არის.

რუსეთის რევოლუციის ძლევამოსილი მსვლელობა აღგვის ამ პოლიტიკას, როგორც ზედმეტ ნაგავს, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მხოლოდ რევოლუციის მტრებისათვის.

«პრავდა» № 32,
1917 წ. 14 აპრილი.
მოწინავე.
ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

პირველი მაისი

მესამე წელი გადის მას შემდეგ, რაც მეომარი ქვეყნების მტაცებლურმა ბურჟუაზიამ მსოფლიო ჩაითრია სისხლისღვრასა და ხოცვა-ჟლეტაში.

მესამე წელი გადის მას შემდეგ, რაც ყველა ქვეყნის მუშები, ჯერ კიდევ გუშინ ღვიძლი ძმები, დღეს კი ჯარისკაცის მაზარებში გამოწყობილნი, ერთმანეთის წინააღმდეგ დგანან, როგორც მტრები, ასახიჩრებენ და ხოცავენ ერთმანეთს — პროლეტარიატის მტრების სასიხარულოდ.

ხალხთა ცოცხალი ძალების მასობრივი განადგურება, მასობრივი გაპარტახება და სიღატაკე, ოდესღაც აყვავებული ქალაქებისა და სოფლების ნანგრევები, მასობრივი შიმშილობა და გაველურება, — ყოველივე ეს იმისათვის, რომ ერთმა მუჭა გვირგვინოსანმა და უგვირგვინო მტაცებლებმა სხვისი მიწაწყალი ძარცვონ და უამრავი მილიონები ჩაიჯიბონ, — აი საით მივყავართ ახლანდელ ომს.

და მსოფლიოს სული ეხუთება ომის მარწუხში...

სული ეხუთებათ ევროპის ხალხებს, და ისინი უკვე ირაზმებიან მეომარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რუსეთის რევოლუცია პირველი აკეთებს ნაპრალს იმ კედელში, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს მუშებს. საყოველთაო «პატრიოტული» გაბრუების მომენტში რუსი მუშები პირველნი აცხადებენ დავიწყებულ ლოზუნგს: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!».

რუსეთის რევოლუციის ქუხილში იღვიძებენ დასავლეთის მუშებიც. გაფიცვები და დემონსტრაციები გერმანიაში, მანიფესტაციები ავსტრიასა და ბულგარეთში, გაფიცვები და მიტინგები ნეიტრალურ ქვეყნებში, უფრო და უფრო გაძლიერებული მღელვარება ინგლისსა და საფრანგეთში, მასობრივი დაძმობილება ფრონტებზე — ასეთია მოახლოებული სოციალისტური რევოლუციის პირველი მერცხლები.

ხოლო ჩვენი დღევანდელი დღესასწაული, პირველი მაისის დღესასწაული — განა ეს იმის ნიშანი არ არის, რომ სისხლის ნაკადებში იჭედება ხალხთა ძმობის ახალი კავშირი?

ნიადაგი იწვის კაპიტალის ავაზაკთა ფეხქვეშ, ვინაიდან ევროპაში კვლავ ფრიალებს ინტერნაციონალის წითელი დროშა.

მაშ დაე დღევანდელი დღე, პირველი მაისის დღე, როცა პეტროგრადის ასეულათასობით მუშა ძმურად უწვდის ხელს მთელი მსოფლიოს მუშებს, — გახდეს ახალი რევოლუციური ინტერნაციონალის წარმოშობის საწინდარი!

დაე ლოზუნგმა «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!», რომელიც დღეს პეტროგრადის მოედნებზე გაისმა, მთელი მსოფლიო შემოიაროს და ყველა ქვეყნის მუშები სოციალიზმისათვის საბრძოლველად გააერთიანოს!

კაპიტალის ავაზაკთა გვერდის ავლით, მათი მძარცველური მთავრობების გვერდის ავლით ხელი გაეუწოდოთ ყველა ქვეყნის მუშებს და შევძახოთ:

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!

«პრავდა» № 35,
1917 წ. 18 აპრილი.
სტატია ხელმოუწერელია.

დროებითი მთავრობის შესახებ

სიტყვა ვასილიევის კუნძულზე შემდგარ მიტინგზე
1917 წ. 18 აპრილს (1 მაისს)

რევოლუციის მსვლელობაში ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ორი ხელისუფლება: დროებითი მთავრობა, არჩეული სამი ივნისის სათათბიროს მიერ, და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, არჩეული მუშებისა და ჯარისკაცების მიერ.

ამ ორი ხელისუფლების ურთიერთობა უფრო და უფრო მწვავდება, მათ შორის ყოფილი თანამშრომლობა სუსტდება, და ჩვენ მხრივ დანაშაული იქნება ამ ფაქტის მიჩქმალვა.

ბურჟუაზიამ პირველმა დააყენა ორხელისუფლებიანობის საკითხი, მან პირველმა წამოაყენა არჩევანი: **ან** დროებითი მთავრობა, **ან** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ჩვენ მხრივ არასაკადრისი იქნება თავი ავარიდოთ მკაფიოდ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას. მუშებმა და ჯარისკაცებმა ნათლად და გარკვევით უნდა თქვან: ვის თვლიან ისინი თავიანთ მთავრობად, დროებით მთავრობას თუ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს?

ლაპარაკობენ დროებითი მთავრობისადმი ნდობაზე, ასეთი ნდობის აუცილებლობაზე. მაგრამ როგორ შეიძლება ენდობოდე მთავრობას, რომელიც თვითონ არ ენდობა ხალხს ყველაზე მნიშვნელოვანსა და ძირითადში? ახლა ომია. ომი წარმოებს იმ ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლებიც მეფემ დადო ინგლისთან და საფრანგეთთან ხალხის ზურგს უკან და რომლებიც დროებითმა მთავრობამ აკურთხა ხალხის თანხმობის მიუღებლად. ხალხს უფლება აქვს იცნობდეს ამ ხელშეკრულებათა შინაარსს, მუშებსა და ჯარისკაცებს უფლება აქვთ იცოდნენ, რისთვის იღვრება სისხლი. რით უპასუხა დროებითმა მთავრობამ მუშათა და ჯარისკაცთა მოთხოვნას ხელშეკრულებათა გამოქვეყნების შესახებ?

— განცხადებით იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებები ძალაში რჩება.

ხელშეკრულებები კი მაინც არ გამოაქვეყნა და არც აპირებს გამოაქვეყნოს!

განა ცხადი არ არის, რომ დროებითი მთავრობა უმალავს ხალხს ომის ნამდვილ მიზნებს, ხოლო ამ მიზნებს რომ მალავს, დაჟინებით იჩენს ხალხისადმი უნდობლობას? როგორ შეუძლიათ მუშებსა და გლეხებს ენდობოდნენ დროებით მთავრობას, რომელიც თვითონ არ ენდობა მათ ყველაზე მნიშვნელოვანსა და ძირითადში?

ლაპარაკობენ დროებითი მთავრობისათვის მხარდაჭერაზე, ასეთი მხარდაჭერის აუცილებლობაზე. მაგრამ თვითონ განსაჯეთ: განა შეიძლება რევოლუციურ ეპოქაში მხარს უჭერდე მთავრობას, რომელიც თავისი არსებობის დასაწყისიდანვე აფერხებს რევოლუციას? დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ რევოლუციური თაოსნობა და დემოკრატიული ღონისძიებანი გამომდინარეობდნენ მუ-

შათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან, და მხოლოდ მისგან. დროებითი მთავრობა ჯიუტობდა და წინააღმდეგობას ეწეოდა და მხოლოდ შემდეგ ეთანხმებოდა საბჭოს, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ და სიტყვიერად, ნამდვილად კი დაბრკოლებებს უქმნიდა. ასეთია საქმის ვითარება დღემდე. მაგრამ როგორ შეიძლება გაჩაღებული რევოლუციის დროს მხარს უჭერდე მთავრობას, რომელიც ფეხებში გედება და უკან ეწევა რევოლუციას? განა უმჯობესი არ იქნება დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ დროებითი მთავრობა ხელს არ უშლიდეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის საქმეში?

ჩვენს ქვეყანაში კონტრრევოლუციური ძალების მობილიზაცია წარმოებს. აგიტაციას ეწევიან არმიაში. აგიტაციას ეწევიან გლეხებში და ქალაქის მდაბიო ხალხში. კონტრრევოლუციური აგიტაცია მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წინააღმდეგ. ამ აგიტაციას დროებითი მთავრობის სახელით ფარავენ. დროებითი მთავრობა კი აშკარა წაყრუებას იჩენს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოზე თავდასხმებისადმი. იბადება კითხვა, რისთვისღა უნდა დავუჭიროთ მხარი დროებით მთავრობას? ნუთუ კონტრრევოლუციური აგიტაციისადმი წაყრუებისათვის?!

რუსეთში აგრარული მოძრაობა დაიწყო. გლეხები ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ თავიანთი ნებით მოხნან მემამულეების მიერ მიტოვებული მიწები. თუ ასეთი მოხვნა არ მოხდა, ქვეყანა შეიძლება შიმშილის პირას აღმოჩნდეს. საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირმა [13], გლეხების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დაადგინა «მხარი დაუჭიროს» გლეხების მოძრაობას, რომელიც

მიმართულია მემამულეთა მიწების კონფისკაციისაკენ. რას აკეთებს ახლა დროებითი მთავრობა? იგი გლეხთა მოძრაობას «თვითნებობად» აცხადებს, გლეხებს უკრძალავს მემამულეთა მიწების მოხვნას, «სათანადო» განკარგულებებს აძლევს თავის კომისრებს (იხ. 17 აპრილის «რეჩ»). იბადება კითხვა, რისთვისღა უნდა დავუჭიროთ მხარი დროებით მთავრობას? ნუთუ იმისათვის, რომ იგი ომს უცხადებს გლეხობას?

ამბობენ, დროებითი მთავრობისადმი უნდობლობა ძირს გამოუთხრის რევოლუციის ერთიანობას, ჩამოაშორებს მას კაპიტალისტებსა და მემამულეებსო. მაგრამ ვინ გაბედავს თქვას, რომ კაპიტალისტები და მემამულეები ნამდვილად უჭერენ მხარს ან რომ მათ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ხალხის მასების რევოლუციას?

განა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, 8 საათის სამუშაო დღე რომ შემოიღო, არ ჩამოიშორა კაპიტალისტები, დარაზმა რა რევოლუციის გარშემო მუშათა ფართო მასები? ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ერთ მუჭა მეფაბრიკეთა საეჭვო მეგობრობა უფრო დასაფასებელია რევოლუციისათვის, ვიდრე მილიონობით მუშის ნამდვილი, სისხლით განმტკიცებული მეგობრობა?

ანდა კიდევ: განა საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირმა, გლეხებისათვის მხარის დაჭერა რომ გადაწყვიტა, არ ჩამოიშორა მემამულენი, დააკავშირა რა რევოლუციასთან გლეხობის მასები? ვინ გაბედავს თქვას, რომ ერთ მუჭა მემამულეთა საეჭვო მეგობრობა უფრო დასაფასებელია რევოლუციისათვის, ვიდრე ნამდვილი მეგობრობა მრავალმილიონიანი ღარიბი გლეხობისა, რომელიც ახლა ჯარისკაცის მაზარებშია გამოწყობილი?

რევოლუციას არ შეუძლია ყველა და ყოველივე დააკმაყოფილოს. იგი ყოველთვის ერთი მხრივ აკმაყოფილებს მშრომელ მასებს, ხოლო მეორე მხრივ ურტყამს ამ მასების ფარულ და აშკარა მტრებს.

ამიტომ აქ საჭიროა არჩევანი: ან მუშებთან და ღარიბ გლეხობასთან ერთად რევოლუციის **მხარეზე,** ან კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ერთად რევოლუციის **წინააღმდეგ.**

მაშ ასე, ვის დავუჭერთ ჩვენ მხარს?

ვინ შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩვენს მთავრობად: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო თუ დროებითი მთავრობა?

ცხადია, მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მხოლოდ მათ მიერ არჩეულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

«სოლდატსკაია პრავდა» № 6,
1917 წ. 25 აპრილი.

ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

მარიამის სასახლეში შემდგარი თათბირის შესახებ

ბურჟუაზიულ პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და დროებითი მთავრობის თათბირის შესახებ. ეს ცნობა, საერთოდ არა... ზუსტი, ადგილ-ადგილ პირდაპირ ამახინჯებს ფაქტებს, შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. აღარას ვამბობთ ფაქტების ისეთ განსაკუთრებულ გაშუქებაზე, რაც ბურჟუაზიულ პრესას სჩვევია. ამიტომ საჭიროა აღვადგინოთ თათბირის ნამდვილი სურათი.

თათბირის მიზანი იყო დროებითი მთავრობისა და აღმასრულებელი კომიტეტის ურთიერთობის გამორკვევა მინისტრ მილიუკოვის ნოტასთან [14] დაკავშირებით, რომელმაც გაამწვავა კონფლიქტი.

თათბირი გახსნა პრემიერმა ლვოვმა. მისი შესავალი სიტყვა შემდეგ დებულებებს შეიცავდა. ამ ბოლო დრომდე ჩვენს ქვეყანაში ნდობა იყო დროებითი მთავრობისადმი და საქმე დამაკმაყოფილებლად მიდიოდა. მაგრამ ახლა რაღაც აღარ ჩანს ნდობა, წინააღმდეგობაც კი გაჩნდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა უკანასკნელ ორ კვირაში,

როცა ყველასათვის ცნობილმა სოციალისტურმა წრეებმა პრესაში დაიწყეს ლაშქრობა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. საჭიროა გადამჭრელი მხარდაჭერა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მხრივ. თორემ — წავალთო.

შემდეგ ამას მოჰყვა «მოხსენებები» მინისტრებისა (სამხედრო, მიწათმოქმედების, გზათა, ფინანსთა, საგარეო საქმეთა მინისტრების), ამასთან ყველაზე გარკვეულად გამოდიან გუჩკოვი, შინგარიოვი და მილიუკოვი. დანარჩენი მინისტრების სიტყვები მხოლოდ პირველთა დასკვნების გამეორებაა.

მინისტრი გუჩკოვი თავის სიტყვაში ასაბუთებს ცნობილ იმპერიალისტურ შეხედულებას ჩვენს რევოლუციაზე, რომლის მიხედვითაც რუსეთის რევოლუცია განხილულ უნდა იქნას, როგორც «ბოლომდე ომის» საშუალება. «ე დარწმუნებული ვიყავი, — ამბობდა იგი, — რომ გადატრიალება რუსეთში საჭირო იყო დამარცხების თავიდან ასაცილებლად. მე მინდოდა, რომ რევოლუციას შეექმნა გამარჯვების ახალი ფაქტორი, და იმედი მქონდა, რომ შექმნიდა კიდევაც მას. ობორონცობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ობორონცობა არა მარტო აწმყოსათვის, არამედ მომავლისთვისაც — აი ჩვენი მიზანი. მაგრამ უკანასკნელ კვირეებში მოხდა მთელი რიგი გაუარესებანი... «სამშობლო საფრთხეშია»... მთავარი მიზეზია «ნიაღვარი პაციფისტური იდეებისა», რომლებსაც ცნობილი სოციალისტური წრეები ქადაგებენ. მინისტრი გადაკვრით, მაგრამ ადვილად მისახვედრად მოითხოვს, რომ ეს ქადაგება უნდა აილაგმოს, ხოლო დისციპლინა — აღდგენილ იქნას, რომ ამაში საჭიროა აღმასრულებელი კომიტეტის დახმარება...

მინისტრი შინგარიოვი ხატავს რუსეთში შექმნილი სასურსათო კრიზისის სურათს... ძირითადი საკითხია არა ნოტა და საგარეო პოლიტიკა, არამედ პური: თუ პურის საკითხი ვერ მოვაგვარეთ, ვერაფერს ვერ მოვაგვარებთ. სასურსათო კრიზისის გამწვავებაში მცირე როლს კი არ ასრულებენ გზების გაფუჭება და სხვა წარმავალი მოვლენები. მაგრამ მთავარ მიზეზად შინგარიოვი თვლის იმ «სამწუხარო მოვლენას», რომ გლეხებმა «ხელი მოჰკიდეს მიწის საკითხს», თვითნებურად ხნავენ მემამულეთა მიწებს, მემამულეთა ეკონომიებიდან ხსნიან სამხედრო ტყვეებს და საერთოდ ეძლევიან აგრარულ «ილუზიებს». გლეხების ამ მოძრაობას, რომელიც, შინგარიოვის აზრით, მავნეა, «აღვივებს» «ლენინელთა» აგიტაცია მიწის კონფისკაციის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელთა «პარტიულ-ფანატიკური დაბრმავება». «მავნე აგიტაციას ქ"შესინსკაიას სასახლიდან» [15], ამ «შხამის ბუდიდან», ბოლო უნდა მოეღოს... ორში ერთი: **ან** არსებული დროებითი მთავრობა, რომელიც ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი, — მაშინ აგრარულ «ექსცესებს» ბოლო უნდა მოეღოს; **ან** რომელიმე სხვა ხელისუფლება.

მილიუკოვი. ნოტა ჩემი პირადი აზრი კი არ არის, არამედ მთელი დროებითი მთავრობის აზრია. საგარეო პოლიტიკის საკითხი განისაზღვრება იმ საკითხით, თუ რამდენად მზად ვართ შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი მოკავშირეების მიმართ. ჩვენ დაკავშირებული ვართ მოკავშირეებთან... ჩვენ საერთოდ შეფასებას გვაძლევენ როგორც ძალას, რომელიც ვარგისია თუ უვარგისი გარკვეული მიზნებისათვის. საკმარისია სუსტი ვეჩვენოთ, — და ურთიერთობა გაუარესდება... ამიტომ ანექსიაზე უარის თქმა საფრთხეს შეიცავს... ჩვენ გვესაჭიროება თქვენი

ნდობა, აღმოგვიჩინეთ იგი, და მაშინ არმიაში იქნება ენთუზიაზმი, მაშინ ჩვენ შეტევას მოვაწყობთ ფრონტის ერთიანობის ინტერესებისათვის, მაშინ ჩვენ შევუტევთ გერმანელებს და ვაიძულებთ მათ შეანელონ ფრანგებსა და ინგლისელებზე მიძალება. ამას მოითხოვენ ჩვენი ვალდებულებანი მოკავშირეთა მიმართ. თქვენ ხედავთ, — დაამთავრა მილიუკოვმა, — რომ საქმის ასეთ ვითარებაში, თუ ჩვენ გვსურს არ დავარღვიოთ მოკავშირეთა ნდობა ჩვენდამი, ნოტა არ შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვიდრე იგი არის.

ამრიგად, მინისტრების გრძელ-გრძელი სიტყვები განისაზღვრა რამდენიმე მოკლე დებულებით: ქვეყანა მძიმე კრიზისს განიცდის, კრიზისის მიზეზია რევოლუციური მოძრაობა, კრიზისიდან გამოსავალია რევოლუციის ალაგმვა და ომის განგრძობა.

ისე გამოდიოდა, რომ ქვეყნის სახსნელად საჭიროა: 1) აილაგმონ ჯარისკაცები (გუჩკოვი), 2) აილაგმონ გლეხები (შინგარიოვი), 3) აილაგმონ რევოლუციური მუშები (ყველა მინისტრი), რომლებიც ნიღაბს ჰგლეჯენ დროებით მთავრობას. მხარი დაგვიჭირეთ ამ ძნელ საქმეში, დაგვეხმარეთ შეტევითი ომის წარმოებაში (მილიუკოვი), — და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. თორემ — წავალთო.

ასე ლაპარაკობდნენ მინისტრები.

მეტად დამახასიათებელია, რომ მინისტრების ამ არჩიიმპერიალისტურ და კონტრრევოლუციურ სიტყვებს წინააღმდეგობა არ გაუწია აღმასრულებელი კომიტეტის უმრავლესობის წარმომადგენელმა, წერეთელმა. წერეთელი, რომელიც დააფრთხო მინისტრების მიერ საკითხის მწვავედ დაყენებამ და რომელსაც თავგზა აუბნია მინისტრების წასვლის პერსპექტივამ, თავის სიტყვაში ემუდარებოდა მათ ჯერ კიდევ შესაძლო დათმობაზე. წასულიყვნენ

და გამოეცათ ნოტის «განმარტება»[16] სასურველი აზრით, თუნდაც «საშინაო ხმარებისათვის». «დემოკრატია, — ამბობდა იგი, — მთელი ენერგიით დაუჭერს მხარს დროებით მთავრობას», თუ მთავრობა ასეთ არსებითად სიტყვიერ დათმობაზე წავაო.

დროებით მთავრობასა და აღმასრულებელ კომიტეტს შორის კონფლიქტის მიჩქმალვის სურვილი, დათმობებისათვის მზადყოფნა, ოღონდ კი დაცულ იქნას შეთანხმება, — ასეთი აზრით იყო გამსჭვალული წერეთლის სიტყვები.

სრულიად საწინააღმდეგოდ ილაპარაკა კამენევმა. თუ ჩვენი ქვეყანა დაღუპვის პირას არის, თუ იგი სამეურნეო, სასურსათო და სხვა კრიზისებს განიცდის, მაშინ მდგომარეობიდან გამოსავალია არა ომის განგრძობა, რომელიც მხოლოდ ამწვავებს კრიზისს და შეუძლია შთანთქას რევოლუციის ნაყოფი, არამედ ომის რაც შეიძლება მალე ლიკვიდაცია. არსებულ დროებით მთავრობას, როგორც ყველაფრით ჩანს, უნარი არ შესწევს იკისროს ომის ლიკვიდაციის საქმე, ვინაიდან იგი «ბოლომდე ომისაკენ» მიისწრაფის. ამიტომ გამოსავალი ის არის, რომ ძალაუფლება გადავიდეს სხვა კლასის ხელში, რომელსაც უნარი შესწევს ჩიხიდან გამოიყვანოს ჩვენი ქვეყანა...

კამენევის სიტყვის შემდეგ მინისტრების ადგილებიდან გაისმა შეძახილები: «თუ ასეა, აიღეთ ძალაუფლება».

«პრავდა» № 40,
1917 წ. 25 აპრილი.
ხელმოწერა: კ. სტალინი.

რსდმპ (ბოლშევიკების)
VII (აპრილის) კონფერენცია

1917 წ. 24—29 აპრილი

1. სიტყვა მიმდინარე მომენტის საკითხზე ამხ. ლენინის რეზოლუციის დასაცავად

24 აპრილს

ამხანაგებო! ის, რასაც ბუბნოვი გვთავაზობს, მხედველობაში აქვს ამხ. ლენინის რეზოლუციასაც. ამხ. ლენინი არ უკუაგდებს მასობრივ გამოსვლებს, დემონსტრაციებს. მაგრამ ახლა ამაში როდია საქმე. უთანხმოებაა კონტროლის საკითხში. კონტროლი გულისხმობს კონტროლის გამწევს და იმას, ვისაც კონტროლს უწევენ, და კონტროლის გამწევის ერთგვარ შეთანხმებას იმასთან, ვისაც კონტროლი ეწევა. იყო კონტროლი, იყო შეთანხმება. რა მოგვცა კონტროლმა? არაფერი. მილიუკოვის გამოსვლის შემდეგ (19 აპრილს) განსაკუთრებით ცხადია, რომ იგი მოჩვენებითია.

გუჩკოვი ამბობს: «მე რევოლუციას ვუყურებ, როგორც საშუალებას უკეთ ვიომოთ, **მოვახდინოთ პატარა რევოლუცია დიდი გამარჯვებისათვის»**. მაგრამ ახლა არმიაში შეიჭრნენ პაციფისტური იდეები, და ომის წარმოება

არ შეიძლება. და მთავრობა გვეუბნება: «მოსპეთ პროპაგანდა ომის წინააღმდეგ, თორემ წავალთო».

არც აგრარულ საკითხში შეუძლია მთავრობას დააკმაყოფილოს გლეხების ინტერესები, მათ მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების ინტერესები. ჩვენ გვეუბნებიან: «დაგვეხმარეთ ავლაგმოთ გლეხები, თორემ წავალთო».

მილიუკოვი ამბობს: «საჭიროა დავიცვათ ფრონტის ერთიანობა, ჩვენთვის აუცილებელია შევუტიოთ მოწინააღმდეგეს, შთაბერეთ ენთუზიაზმი ჯარისკაცებს, თორემ წავალთო».

და ამის შემდეგ გვთავაზობენ კონტროლს. ეს სასაცილოა! ჯერ დეპუტატთა საბჭო სახავდა პროგრამას, ახლა კი მას დროებითი მთავრობა სახავს. კრიზისის (მილიუკოვის გამოსვლა) მეორე დღეს საბჭოს და მთავრობის მიერ დადებული კავშირი მოასწავებს, რომ საბჭო გაჰყვა მთავრობას. მთავრობას იერიში მიაქვს საბჭოზე. საბჭო უკან იხევს. ამის შემდეგ მთავრობისადმი საბჭოს კონტროლზე ლაპარაკი ნიშნავს ფუჭად ლაპარაკს. აი რატომ შემომაქვს წინადადება — არ იქნას მიღებული ბუბნოვის შესწორება კონტროლის შესახებ.

2. მოხსენება ნაციონალურ საკითხზე

29 აპრილს

საჭირო იყო ვრცელი მოხსენების წარმოდგენა ნაციონალურ საკითხზე, მაგრამ იმის გამო, რომ ცოტა დრო გვაქვს, მე უნდა შევამოკლო ჩემი მოხსენება.

ვიდრე რეზოლუციის პროექტს შევუდგებოდეთ, საჭიროა ზოგიერთი წანამძღვარის დადგენა.

რა არის ნაციონალური ჩაგვრა? ნაციონალური ჩაგვრა— ეს არის ჩაგრულ ხალხთა ექსპლოატაციისა და ძარცვის ის სისტემა, ჩაგრულ ეროვნებათა უფლებების ძალდატანებითი შეზღუდვის ის ღონისძიებები, რომლებსაც იმპერიალისტური წრეები ატარებენ. ყოველივე ეს მთლიანად იძლევა იმ პოლიტიკის სურათს, რომელსაც ჩვეულებრივად ეწოდება ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკა.

პირველი საკითხია — როგორი არიან ის კლასები, რომლებზე დაყრდნობითაც ესა თუ ის ხელისუფლება ატარებს ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას? ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა გავიგოთ, თუ რატომ არსებობს სხვადასხვა სახელმწიფოებში ნაციონალური ჩაგვრის სხვადასხვა ფორმები, რატომ არის ერთ სახელმწიფოში ნაციონალური ჩაგვრა უფრო მძიმე და უხეში, ვიდრე მეორეში. მაგალითად, ინგლისსა და ავსტრია-უნგრეთში ნაციონალურ ჩაგვრას არასოდეს არ მიუღია რბევის ფორმები, მაგრამ იგი არსებობდა ჩაგრულ ეროვნებათა ნაციონალური უფლებების შეზღუდვის სახით. რუსეთში კი იგი ხშირად იღებს რბევისა და ხოცვა-ჟლეტის ფორმას. ხოლო ზოგიერთ სახელმწიფოში სპეციალური ღონისძიებანი ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ სრულიად არ არის. მაგალითად, ნაციონალური ჩაგვრა არ არის შვეიცარიაში, სადაც თავისუფლად ცხოვრობენ ფრანგები, იტალიელები, გერმანელები.

მაშ რით უნდა ავხსნათ სხვადასხვა დამოკიდებულება ეროვნებებისადმი სხვადასხვა სახელმწიფოში?

ამ სახელმწიფოთა დემოკრატიზმის ხარისხის განსხვავებით. როდესაც რუსეთში სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში წარსული წლების მანძილზე ძველი მიწათმფლობელი არისტოკრატია იდგა, ნაციონალურ ჩაგვრას შეეძლო მიეღო და მართლაც იღებდა ხოცვა-ჟლეტისა და რბევის

უმსგავსო ფორმებს. ინგლისში, სადაც ერთგვარი დემოკრატიზმი და პოლიტიკური თავისუფლებაა, ნაციონალურ ჩაგვრას უფრო ნაკლებ უხეში ხასიათი აქვს. რაც შეეხება შვეიცარიას, იგი დემოკრატიულ საზოგადოებას უახლოვდება, და იქ ერებს ცოტად თუ ბევრად სრული თავისუფლება აქვთ. ერთი სიტყვით, რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მით უფრო სუსტია ნაციონალური ჩაგვრა, და პირიქით. ხოლო რაკი დემოკრატიზაციად ჩვენ ვგულისხმობთ ხელისუფლების სათავეში მდგომ განსაზღვრულ კლასთა არსებობას, ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ახლოა ხელისუფლებასთან ძველი მიწათმფლობელი არისტოკრატია, როგორც ეს ძველ ცარისტულ რუსეთში იყო, მით უფრო ძლიერია ჩაგვრა და მით უფრო უმსგავსოა მისი ფორმები.

მაგრამ ნაციონალურ ჩაგვრას ხელს უწყობს არა მარტო მიწათმფლობელი არისტოკრატია. მის გვერდით არსებობს მეორე ძალა — იმპერიალისტური ჯგუფები, რომლებსაც ეროვნებათა დამონების მეთოდები, რაც შეთვისებული აქვთ კოლონიებში, თავიანთი ქვეყნის შიგნითაც გადააქვთ, და ამგვარად მიწათმფლობელი არისტოკრატიის ბუნებრივი მოკავშირეები ხდებიან. მათ მიჰყვებიან წვრილი ბურჟუაზია, ინტელიგენციის ნაწილი, მუშათა ზედაფენის ნაწილი, რომლებიც აგრეთვე სარგებლობენ ძარცვის ნაყოფით. ამრიგად, გამოდის მთელი გუნდი სოციალური ძალებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ნაციონალურ ჩაგვრას და რომელთა სათავეშიც დგას მიწათმფლობელი და ფინანსური არისტოკრატია. ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების შესაქმნელად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ნიადაგის გაწმენდა და ამ გუნდის განდევნა პოლიტიკური ასპარეზიდან. (კითხულობს რეზოლუციის ტექსტს).

პირველი კითხვა: როგორ მოვაწყოთ ჩაგრულ ერთა პოლიტიკური ცხოვრება? ამ კითხვაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩაგრულ ხალხებს უნდა მიეცეს უფლება თვითონ გადაწყვიტონ საკითხი — რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩენა სურთ თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოყოფა. ამჟამად ჩვენს წინაშეა კონკრეტული კონფლიქტი ფინელ ხალხსა და დროებით მთავრობას შორის. ფინელი ხალხის წარმომადგენლები, სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები დროებითი მთავრობისაგან მოითხოვენ დაუბრუნოს ხალხს ის უფლებები, რომლებითაც იგი რუსეთთან შეერთებამდე სარგებლობდა. დროებითი მთავრობა უარს ეუბნება ამაზე, — არ ცნობს ფინელ ხალხს სუვერენულ ხალხად. ვის მხარეზე უნდა დავდგეთ ჩვენ? ცხადია, ფინელი ხალხის მხარეზე, იმიტომ რომ წარმოუდგენელია ვაღიაროთ რომელიმე ხალხის ძალდატანებით დატოვება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპს რომ ვაყენებთ, ამით ჩვენ ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის სიმაღლეზე აგვყავს. თუ ასე არ მოვიქეცით, ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ იმ ადამიანთა მდგომარეობაში, რომელნიც იმპერიალისტებს უწყობენ ხელს. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, ფინელი ხალხისათვის უარი რომ გვეთქვა უფლებაზე — გამოაცხადოს თავისი ნება გამოყოფის შესახებ და უფლებაზე — განახორციელოს ეს ნება, ამით ჩვენ ცარიზმის პოლიტიკის განმგრძობთა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით.

ერთა თავისუფალი გამოყოფის **უფლების** საკითხის და ამა თუ იმ მომენტში ერის გამოყოფის **აუცილებლობის** საკითხის ერთმანეთში არევა შეუწყნარებელია. ეს საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკე შემთხვევაში სრუ-

ლიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, ვითარების მიხედვით. როდესაც ჩაგრულ ეროვნებათა გამოყოფის უფლებას, თავიანთი პოლიტიკური ბედის გადაჭრის **უფლებას** ვაღიარებთ, ჩვენ ამით არ ვწყვეტთ საკითხს — **უნდა** გამოეყონ თუ არა რუსეთის სახელმწიფოს მოცემულ მომენტში ესა და ეს ერები. მე შემიძლია ვაღიარო ერის გამოყოფის უფლება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე იგი ვალდებული გავხადე ასე მოიქცეს. ხალხს უფლება აქვს გამოიყოს, მაგრამ მას, პირობების მიხედვით, შეუძლია არც ისარგებლოს ამ უფლებით. ამრიგად, ჩვენი მხრით რჩება თავისუფლება აგიტაციისა გამოყოფის სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ, პროლეტარიატის ინტერესების, პროლეტარული რევოლუციის ინტერესების მიხედვით. ამრიგად, გამოყოფის საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში წყდება დამოუკიდებლად, ვითარების მიხედვით, და სწორედ ამიტომ გამოყოფის უფლების აღიარების საკითხი და ამა თუ იმ პირობებში გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ. მე პირადად, მაგალითად, წინააღმდეგი ვიქნებოდი ამიერკავკასიის გამოყოფისა, ვიღებ რა მხედველობაში საერთო განვითარებას ამიერკავკასიასა და რუსეთში, პროლეტარიატის ბრძოლის განსაზღვრულ პირობებს და სხვ. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხებს მაინც რომ მოეთხოვათ გამოყოფა, ისინი, რასაკვირველია, გამოიყოფდნენ, და ჩვენის მხრით წინააღმდეგობას არ შეხვდებოდნენ. (შ ე მ დ ე გ კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს ტ ე ქ ს ტ ს).

შემდეგ. რა ვუყოთ იმ ხალხებს, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში დარჩენას მოისურვებენ? თუ ხალხებს შორის იყო უნდობლობა რუსეთისადმი, იგი უწინარეს ყოვლისა, ცარიზმის პოლიტიკით საზრდოობდა. რაკი ცარიზმი აღარ არის, აღარ არის მისი პოლიტიკა ჩაგვრისა.

უნდა შესუსტდეს უნდობლობა, უნდა გაძლიერდეს რუსეთისაკენ ლტოლვა. მე ვფიქრობ, რომ ეროვნებათა 9/10 ცარიზმის დამხობის შემდეგ არ მოისურვებს გამოყოფას. ამიტომ პარტია წინადადებას იძლევა მოეწყოს საოლქო ავტონომიები იმ ოლქებისათვის, რომლებიც არ მოისურვებენ გამოყოფას და რომლებიც განსხვავდებიან ყოფაცხოვრების, ენის თავისებურებებით, როგორც, მაგალითად, ამიერკავკასია, თურქესტანი, უკრაინა. ასეთი ავტონომიური ოლქების გეოგრაფიულ საზღვრებს აწესებს თვითონ მოსახლეობა მეურნეობის, ყოფაცხოვრების და სხვა პირობების შესაბამისად.

წინააღმდეგ საოლქო ავტონომიისა არსებობს მეორე გეგმა, რასაც დიდი ხანია გვთავაზობს ბუნდი [17] და, უწინარეს ყოვლისა, შპრინგერი და ბაუერი, რომლებიც აყენებენ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პრინციპს. მე ვფიქრობ, რომ ეს გეგმა სოციალ-დემოკრატიისათვის მიუღებელია. მისი დედაარსი შემდეგია: რუსეთი უნდა გადაიქცეს ერთა კავშირად, ხოლო ერი — პირთა კავშირად, რომლებიც შეკრებილი იქნებიან ერთიან საზოგადოებად, მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს რომელ რაიონში ცხოვრობენ. ყველა რუსი, ყველა სომეხი და ა. შ. აწყობენ თავიანთ განსაკუთრებულ ნაციონალურ კავშირებს, დამოუკიდებლად ტერიტორიისა, და უკვე შემდეგ შედიან მთელი რუსეთის ერთა კავშირში. ეს გეგმა მეტისმეტად მოუხერხებელი და მიზანშეუწონელია. საქმე ის არის, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაქსაქსა, მოსწყვიტა ერებს ადამიანთა მთელი ჯგუფები, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში არიან გაფანტული. ნაციონალური დაქსაქსულობისას, რომელიც ეკონომიური პირობების გამო შეიქმნა, ამა თუ იმ ერების ცალკეულ პირთა შეკრება — ნიშნავს შეუდგე ერის ხელოვნური ორგანიზაციის საქმეს, ერის

კონსტრუირებას. ხოლო შეუდგე ადამიანთა ხელოვნურად შეკრებას ერებად — ეს ნიშნავს დადგე ნაციონალიზმის თვალსაზრისზე. ამ გეგმას, რომელიც ბუნდმა წამოაყენა, სოციალ-დემოკრატია ვერ მოიწონებს. იგი უკუგდებულ იქნა ჩვენი პარტიის კონფერენციაზე 1912 წელს და საერთოდ, ბუნდის გამოკლებით, სოციალ-დემოკრატიულ წრეებში პოპულარობით ვერ სარგებლობს. ამ გეგმას სხვანაირად კულტურული ავტონომია ეწოდება, რადგან იგი ერისათვის საინტერესო მრავალგვარი საკითხებიდან გამოყოფს კულტურის საკითხების წრეს და გადასცემს მათ ნაციონალურ კავშირებს. ასეთი გამოყოფის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს დებულება, რომ კულტურა ერთ მთელად აერთიანებს ერებს. იგულისხმება, რომ ერის წიაღში არსებობს, ერთი მხრივ, ერის გამთიშველი ინტერესები, მაგალითად, სამეურნეო, და, მეორე მხრივ, მისი ერთ მთელად შემკრები ინტერესები, და სწორედ ასეთ საკითხებს წარმოადგენენ კულტურის საკითხები.

ბოლოს, რჩება საკითხი ნაციონალურ უმცირესობათა შესახებ. მათი უფლებები სპეციალურად უნდა იქნას დაცული. ამიტომ პარტია მოითხოვს სრულ თანასწორუფლებიანობას სასკოლო, რელიგიურ და სხვა საკითხებში, ნაციონალურ უმცირესობათათვის ყოველგვარი შეზღუდვის გაუქმებას.

არის § 9, რომელიც აწესებს ერთა თანასწორუფლებიანობას. მისი განხორციელებისათვის საჭირო პირობები შეიძლება დადგეს მხოლოდ მთელი საზოგადოების სრული დემოკრატიზაციის დროს.

ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ კიდევ ის საკითხი, თუ როგორ დავრაზმოთ სხვადასხვა ერის პროლეტარიატი ერთ საერთო პარტიად. ერთი გეგმაა — მუშები ირაზმებიან ეროვნებათა მიხედვით, — რამდენიც ერია, იმდენივე პარ-

ტიაა. ეს გეგმა უკუაგდო სოციალ-დემოკრატიამ. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს პროლეტარიატის ეროვნებათა მიხედვით დარაზმვა მხოლოდ კლასობრივი სოლიდარობის იდეის დაღუპვას იწვევს. ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ერის ყველა პროლეტარი ირაზმება ერთ განუყოფელ პროლეტარულ კოლექტივად.

ამრიგად, ჩვენი თვალსაზრისი ნაციონალურ საკითხში გამოიხატება შემდეგი დებულებებით:

ა) ხალხთა გამოყოფის უფლების აღიარება;

ბ) იმ ხალხებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში რჩებიან, — საოლქო ავტონომია;

გ) ნაციონალურ უმცირესობათათვის — განსაკუთრებული კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს თავისუფალ განვითარებას;

დ) ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების პროლეტარებისათვის — ერთიანი განუყოფელი პროლეტარული კოლექტივი, ერთიანი პარტია.

3. საბოლოო სიტყვა ნაციონალურ საკითხზე

29 აპრილს

ორივე რეზოლუცია საერთოდ და მთლიანად ერთმანეთს ეთანხმება. პიატაკოვს ჩვენი რეზოლუციიდან გადაუწერია ყველა პუნქტი, გარდა ერთი პუნქტისა — «გამოყოფის უფლების აღიარება». ორში ერთი: ან უარვყოფთ ერთა გამოყოფის უფლებას, და ეს პირდაპირ უნდა ითქვას, ან არ უარვყოფთ ამ უფლებას. ამჟამად ფინეთში არის მოძრაობა, მიმართული ნაციონალური თავისუფლების უზრუნველყოფისაკენ, არის აგრეთვე დროებითი მთავრობის ბრძოლა ამ მოძრაობასთან. იბადება კითხვა, ვის დავუჭიროთ

მხარი. ან მხარს ვუჭერთ დროებითი მთავრობის პოლიტიკას, ფინეთის ძალდატანებით შენარჩუნებას და მისი უფლებების მინიმუმამდე დაყვანას, და მაშინ ანექსიონისტები ვართ, ვინაიდან ხელს ვუწყობთ დროებით მთავრობას, ან მხარს ვუჭერთ ფინეთის დამოუკიდებლობას. აქ საჭიროა გარკვევით დავუჭიროთ მხარი ან ერთს ან მეორეს, არ შეიძლება დავჯერდეთ მხოლოდ უფლებათა აღიარებას.

არსებობს მოძრაობა ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის. ვის ვუჭერთ ჩვენ მხარს, ამხანაგებო? მხარს ვუჭერთ ან ირლანდიას, ან ინგლისის იმპერიალიზმს. და მე გეკითხებით, — იმ ხალხებს ვუჭერთ მხარს, რომლებიც ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძვიან, თუ იმ კლასებს, რომლებიც მათ ჩაგრავენ? ჩვენ ვამბობთ: სოციალ-დემოკრატია, რამდენადაც მას აღებული აქვს სოციალისტური რევოლუციის კურსი, მხარს უნდა უჭერდეს ხალხთა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ან საჭიროდ ვთვლით, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა შევქმნათ ზურგი სოციალისტური რევოლუციის ავანგარდისათვის იმ ხალხთა სახით, რომელნიც ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ირაზმებიან, — და მაშინ ჩვენ ვდებთ ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, — და მაშინ ნამდვილად აღებული გვაქვს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის კურსი; ან არ ვთვლით ამას საჭიროდ, — და მაშინ ჩვენ იზოლირებული აღმოვჩნდებით, მაშინ ხელს ვიღებთ იმ ტაქტიკაზე, რომ იმპერიალიზმის მოსპობის მიზნით გამოვიყენოთ ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობა ჩაგრულ ეროვნებათა წიაღში.

ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. რას გვეტყვიან წინააღმდეგ შემთხვევაში ფინელი მუშები? პიატაკოვი და ძერჟინსკი გვეუბნებიან, ყოველგვარი ნა-

ციონალური მოძრაობა რეაქციული მოძრაობაა. ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. განა ირლანდიის მოძრაობა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არ არის დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც ლახვარს სცემს იმპერიალიზმს? და განა ამ მოძრაობას ჩვენ მხარს არ უნდა ვუჭერდეთ?..

პირველად დაბეჭდილია წიგნში:
რსდმპ (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო
და სრულიად რუსეთის კონფერენციები
1917 წ. აპრილში.
მ. — ლ., 1925.

რევოლუციისაგან ჩამორჩენილნი

რევოლუცია გაჩაღებულია. იგი ღრმავდება და ფართოვდება, ერთი სფეროდან მეორეში გადადის და არევოლუციურებს ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებას თავიდან ბოლომდე.

იჭრება რა მრეწველობაში, რევოლუცია აყენებს მუშების მხრივ წარმოების კონტროლისა და რეგულირების საკითხს (დონეცის აუზი).

გადადის რა სოფლის მეურნეობაში, რევოლუცია იძლევა ბიძგს მიტოვებული მიწების კოლექტიურად დამუშავებისაკენ, იარაღებითა და ცოცხალი ინვენტარით გლეხების მომარაგებისაკენ (შლისელბურგის მაზრა) [18].

ამჟღავნებს რა ომის წყლულებს და ომის პირობებში გაზრდილ სამეურნეო ნგრევას, რევოლუცია იჭრება განაწილების სფეროში და აყენებს საკითხს, ერთი მხრივ, სურსათით ქალაქების მომარაგების შესახებ (სასურსათო კრიზისი) და, მეორე მხრივ, ფაბრიკატებით სოფლის მომარაგების შესახებ (საქონლის კრიზისი).

ყველა ამ და ამათი მსგავსი უკვე მომწიფებული საკითხის გადაჭრა მოითხოვს რევოლუციური მასების მაქსიმალურ ინიციატივას, მუშათა დეპუტატების საბჭოე-

ბის აქტიურად ჩარევას ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში, დასასრულ, — მთელი ძალაუფლების გადასვლას ახალი კლასის ხელში, რომელსაც უნარი შესწევს გამოიყვანოს ქვეყანა ფართო რევოლუციურ გზაზე.

ადგილებზე რევოლუციური მასები უკვე ადგებიან ამ გზას. რევოლუციურმა ორგანიზაციებმა აქა-იქ უკვე აიღეს თავის ხელში ძალაუფლება (ურალი, შლისელბურგი), გვერდი აუარეს ეგრეთწოდებულ «საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტებს».

ამავე დროს კი, დეპუტატთა საბჭოს პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს რევოლუციას, უმწეოდ ტკეპნის ერთ ადგილს, უკან რჩება და შორდება მასებს, ხოლო კარდინალურ საკითხს მთელი ძალაუფლების აღების შესახებ ცვლის დროებითი მთავრობის «კანდიდატურათა» უმნიშვნელო საკითხით. ხოლო მასებს რომ უკან რჩება, აღმასრულებელი კომიტეტი ამით უკან რჩება რევოლუციას, აძნელებს მის წინსვლითს მოძრაობას.

ჩვენს წინაშეა აღმასრულებელი კომიტეტის ორი დოკუმენტი: «სამახსოვრო მუშათა დელეგატებისათვის ფრონტზე», რომლებსაც საჩუქრები მიაქვთ ჯარისკაცებისათვის, და «მოწოდება ჯარისკაცებისადმი ფრონტზე». მერე რას მოწმობენ ეს დოკუმენტები? აღმასრულებელი კომიტეტის იმავე ჩამორჩენილობას, ვინაიდან თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე აღმასრულებელი კომიტეტი მათში იძლევა ყოვლად საზიზღარ, უაღრესად ანტირევოლუციურ პასუხს!

ომის საკითხი

სანამ აღმასრულებელი კომიტეტი დროებით მთავრობას ედავებოდა ანექსიებსა და კონტრიბუციებზე, სანამ დროებითი მთავრობა «ნოტებს» თხზავდა, ხოლო აღმას-

რულებელი კომიტეტი «გამარჯვებულის» როლით ტკბებოდა, მაშინ როდესაც ომი დაპყრობათათვის ძველებურად გრძელდებოდა, — ცხოვრებამ სანგრებში, ჯარისკაცთა ნამდვილმა ცხოვრებამ წამოაყენა ბრძოლის ახალი საშუალება — მასობრივი დაძმობილება. ეჭვს გარეშეა, რომ დაძმობილება თავისთავად მხოლოდ სტიქიური ფორმაა ზავისადმი მისწრაფებისა. მიუხედავად ამისა, ორგანიზებულად და შეგნებულად ჩატარებული დაძმობილება მუშათა კლასის ხელში შეიძლება გადაიქცეს მძლავრ საშუალებად მეომარ ქვეყნებში მდგომარეობის გარევოლუციურებისათვის.

როგორია აღმასრულებელი კომიტეტის დამოკიდებულება დაძმობილებისადმი?

აბა მოუსმინეთ:

«ამხანაგო ჯარისკაცებო! დაძმობილებით როდი მიაღწევთ თქვენ ზავს... თვითონ თქვენი დაღუპვისაკენ, რუსეთის თავისუფლების დაღუპვისაკენ მიჰყავხართ იმ ადამიანებს, რომლებიც გარწმუნებენ, რომ დაძმობილება ზავისაკენ მიმავალი გზაა. ნუ დაუჯერებთ მათ» (იხ. «მოწოდება»).

დაძმობილების ნაცვლად აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ჯარისკაცებს «უარი არ თქვან შეტევითს მოქმედებაზე, რომელიც შეიძლება მოითხოვოს საბრძოლო ვითარებამ» (იხ. «მოწოდება»). საქმე თურმე იმაში ყოფილა, რომ მოგერიება, «თავდაცვა პოლიტიკური აზრით სრულებითაც არ გამორიცხავს სტრატეგიულ შეტევას, ახალი უბნების დაკავებას და ა. შ. თავდაცვის ინტერესებისათვის... სავსებით აუცილებელია შეტევის წარმოება, ახალი პოზიციების დაკავება» (იხ. «საშახსოვრო»).

მოკლედ: ზავს რომ მიაღწიო, შეტევაზე უნდა გადახვიდე და სხვისი «უბნები» დაიკავო.

ასე მსჯელობს აღმასრულებელი კომიტეტი.

მაგრამ რით განსხვავდება აღმასრულებელი კომიტეტის ეს იმპერიალისტური მსჯელობა გენერალ ალექსეევის კონტრრევოლუციური «ბრძანებისაგან», სადაც ფრონტზე დაძმობილება გამოცხადებულია «ღალატად», ხოლო ჯარისკაცებს უბრძანებენ «ულმობელი ბრძოლა აწარმოონ მტერთან»?

ან კიდევ: რით განსხვავდება ეს მსჯელობა მილიუკოვის კონტრრევოლუციური სიტყვისაგან მარიამის სასახლეში გამართულ თათბირზე, სადაც იგი ჯარისკაცებისაგან მოითხოვდა «შეტევით მოქმედებას» და დისციპლინას «ფრონტის ერთიანობის» ინტერესებისათვის?..

მიწის საკითხი

ყველასათვის ცნობილია კონფლიქტი, რომელიც წამოიჭრა გლეხებსა და დროებით მთავრობას შორის. გლეხები მოითხოვენ მემამულეების მიერ მიტოვებული მიწების დაუყოვნებლივ მოხვნას, ვინაიდან ასეთ ნაბიჯს იმის ერთადერთ საშუალებად თვლიან, რომ პურით უზრუნველყონ არა მარტო მოსახლეობა ზურგში, არამედ არმიაც ფრონტზე. ამის პასუხად დროებითმა მთავრობამ გადამწყვეტი ომი გამოუცხადა გლეხებს, «კანონს» გარეშე დააყენა აგრარული მოძრაობა, თან ადგილებზე დაგზავნა კომისრები მემამულეთა ინტერესების დასაცავად «თვითნება» გლეხების მხრით «ხელყოფისაგან». დროებითმა მთავრობამ წინადადება მისცა გლეხებს თავი შეიკავონ მიწის კონფისკაციისაგან დამფუძნებელი კრების მოწვევამდე: ის ყველაფერს გადაწყვეტსო.

როგორიღაა აღმასრულებელი კომიტეტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: ვის უჭერს იგი მხარს, გლეხებს თუ დროებით მთავრობას?

მოუსმინეთ:

«რევოლუციური დემოკრატია უაღრესად გადაჭრით დაიცავს... შემამულეთა მიწების... უსასყიდლოდ გასხვისებას... **მომავალ** დამფუძნებელ კრებაში. **ამჟამად** კი, გამოდის რა იქიდან, რომ შემამულეთა მიწების დაუყოვნებლივმა კონფისკაციამ შეიძლება გამოიწვიოს... სერიოზული სამეურნეო შერყევა ჩვენს ქვეყანაში... რევოლუციური დემოკრატია აფრთხილებს გლეხებს მიწის საკითხის თავისი ნებით რაიმე გადაჭრის წინააღმდეგ, ვინაიდან აგრარული არეულობა სასარგებლო იქნება არა გლეხობისათვის, არამედ კონტრრევოლუციისათვის», რის გამო წინადადებას იძლევა «თვითნებურად არ ჩაიგდონ ხელში შემამულეთა დოვლათი დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებამდე» (იხ. «სამახსოვრო»).

ამას ამბობს აღმასრულებელი კომიტეტი.

აშკარაა, აღმასრულებელი კომიტეტი მხარს უჭერს არა გლეხებს, არამედ დროებით მთავრობას.

განა ცხადი არ არის, რომ აღმასრულებელი კომიტეტი, რაკი ასეთ პოზიციას დაადგა, დაექანა შინგარიოვის კონტრრევოლუციურ ლოზუნგამდე: «ალაგმე გლეხები!».

და საერთოდ რა დროიდან მოხდა, რომ აგრარული მოძრაობა «აგრარული არეულობაა», ხოლო საკითხების «თავისი ნებით გადაწყვეტა» დაუშვებელია? რა არის საბჭოები და მათ შორის პეტროგრადის საბჭო, თუ არა «თავისი ნებით» წარმოშობილი ორგანიზაცია? ხომ არ ფიქრობს აღმასრულებელი კომიტეტი, რომ «თავისი ნებით» წარმოშობილი ორგანიზაციებისა და გადაწყვეტილებების დრო წავიდა?

აღმასრულებელი კომიტეტი გვაშინებს «სასურსათო ნგრევით» მემამულეთა მიწების თავისი ნებით მოხვნასთან დაკავშირებით. მაგრამ აი შლისელბურგში «თავისი ნებით» წარმოშობილმა სამაზრო რევოლუციურმა კომიტეტმა მოსახლეობის სასურსათო ძლიერების გადიდების მიზნით დაადგინა:

«იმისათვის, რომ მეტი რაოდენობით მივიღოთ პურის პროდუქტები, რომლებზეც ნამდვილი მოთხოვნილება იგრძნობა, — თქმებმა მოხნან ეკლესიების, მონასტრების, ყოფილი საუფლისწულო მამულებისა და კერძო მფლობელთა კუთვნილი მიწის თავისუფალი ფართობები».

რა მოსაზრების წამოყენება შეუძლია აღმასრულებელ კომიტეტს ამ «თვითნებური» დადგენილების წინააღმდეგ?

რა შეუძლია მას დაუპირდაპიროს ამ ბრძნულ გადაწყვეტილებას, გარდა ლიტონი ფრაზებისა «თვითნებობის», «აგრარული არეულობის», «თვითნებური გადაწყვეტილებების» და სხვ. შესახებ, რაც ნასესხებია ბ-ნ შინგარიოვის განკარგულებებიდან?

განა ცხადი არ არის, რომ აღმასრულებელი კომიტეტი ჩამორჩა რევოლუციურ მოძრაობას პროვინციაში და, რაკი ჩამორჩა, მისი წინააღმდეგი გახდა?..

ამრიგად, ჩვენს წინაშე ახალი სურათი იშლება. რევოლუცია ფართოვდება და ღრმავდება, ედება ახალ სფეროებს, იჭრება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, განაწილების სფეროში, აყენებს საკითხს მთელი ძალაუფლების აღების შესახებ. მოძრაობის სათავეშია პროვინცია. თუ რევოლუციის პირველ დღეებში პეტროგრადი წინ მიდიოდა, ახლა იგი ჩამორჩენას იწყებს. ამასთან იქმნება შთაბეჭდილება, რომ პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობს **შეჩერდეს** უკვე მიღწეულ წერტილზე.

მაგრამ რევოლუციურ ეპოქაში შეუძლებელია ერთ წერტილზე გაჩერება, აქ შეიძლება მხოლოდ მოძრაობა — წინ ან უკან. ამიტომ, ვინც რევოლუციის დროს ცდილობს გაჩერდეს, ის აუცილებლად ჩამორჩება, ხოლო ვინც ჩამორჩა, მისი დაზოგვა არ იქნება: რევოლუცია მას კონტრრევოლუციის ბანაკში გადაისვრის.

«პრავდა» № 48,
1917 წ. 4 მაისი.

ხელმოწერა: კ. სტალინი.

რას მოველოდით კონფერენციისაგან?

ჩვენი პარტია არის მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატთა კავშირი, პეტროგრადიდან კავკასიამდე, რიგიდან ციმბირამდე.

ეს კავშირი მოწყობილია იმისათვის, რომ დაეხმაროს მშრომელთ აწარმოონ წარმატებითი ბრძოლა მდიდრებთან, მეფაბრიკეებთან და მემამულეებთან, უკეთესი ხვედრისათვის, სოციალიზმისათვის.

მაგრამ ბრძოლას შეიძლება წარმატება მოჰყვეს მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი პარტია ერთიანი და დარაზმული იქნება, თუ მას ერთი სული და ერთი ნებისყოფა ექნება, თუ ის ერთ წერტილში ურტყამს ყველგან, რუსეთის ყველა კუთხეში.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ პარტიის ერთიანობასა და დარაზმულობას?

გზა ამისათვის ერთია, სახელდობრ: ერთ ადგილას შეიკრიბონ მთელი რუსეთის შეგნებული მუშებისაგან არჩეულნი, ერთად განიხილონ ჩვენი რევოლუციის ძირითადი საკითხები, გამოიმუშაონ ერთი საერთო აზრი და შემდეგ,

შინ რომ დაბრუნდებიან, გავიდნენ ხალხში, წაიყვანონ იგი ერთი საერთო მიზნისაკენ, ერთი საერთო გზით.

სწორედ ასეთ კრებას ეწოდება კონფერენცია.

აი რატომ იყო, რომ ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველოდით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის მოწვევას.

ჩვენი პარტია რევოლუციამდე არალეგალურად ცხოვრობდა, იგი აკრძალული პარტია იყო, მის წევრებს ატიმრებდნენ და კატორღაში გზავნიდნენ. ამიტომ ის ორგანიზებული იყო არალეგალური მუშაობის შესაბამისად, ის «ფარული» პარტია იყო.

ახლა გარემოებები შეიცვალა, რევოლუციამ თავისუფლება მოგვცა, არალეგალობა გაქრა, და პარტია აშკარა უნდა გამხდარიყო, ახლებურად უნდა მოწყობილიყო.

ჩვენს წინაშე დგას ომისა და ზავის საკითხი. ომი მილიონობით მსხვერპლს იწირავს და კიდევ შეიწირავს. ომი მილიონობით ოჯახს აჩანაგებს. მან ქალაქებს შიმშილი და გამოფიტვა მოუტანა. მან სოფელს ყველაზე საჭირო საქონელი წაართვა. ომი ხელსაყრელია მხოლოდ მდიდრებისათვის, რომლებიც ჯიბეს ისქელებენ სახაზინო იჯარით. ომი ხელსაყრელია მხოლოდ მთავრობებისათვის, რომლებიც სხვა ხალხებს ძარცვავენ. სწორედ ასეთი ძარცვისათვის წარმოებს ომი. და აი იბადება კითხვა: რა ვუყოთ ომს, შევწყვიტოთ იგი თუ კვლავ განვაგრძოთ, კიდევ უფრო მეტად გავყოთ თავი მარყუჟში, თუ საბოლოოდ გავწყვიტოთ ის?

კონფერენციას უნდა ეპასუხნა ამ კითხვაზე.

შემდეგ. რუსეთი, მისი ზურგი, ისევე როგორც ფრონტი, შიმშილის წინაშე დგას. მაგრამ შიმშილი სამმაგად უფრო სასტიკი იქნება, თუ ახლავე არ მოიხნა მთელი «თავისუფალი» მიწები. ამავე დროს კი, მემამულენი უქმად

ტოვებენ მიწას, თავს იკავებენ თესვისაგან, ხოლო დროებითი მთავრობა ნებას არ აძლევს გლეხებს აიღონ მემამულეთა მიწები და დაამუშაონ ისინი... რა ვუყოთ დროებით მთავრობას, რომელიც ყოველნაირად უჭერს მხარს მემამულეებს? რა ვუყოთ თვით მემამულეებს, დავუტოვოთ მათ მიწა თუ ხალხს გადავცეთ იგი საკუთრებად?

ყველა ამ კითხვაზე კონფერენციას ნათელი და მკაფიო პასუხი უნდა გაეცა.

ვინაიდან მხოლოდ ასეთი პასუხი ხდის პარტიას ერთიანსა და დარაზმულს.

მხოლოდ დარაზმულ პარტიას შეუძლია წაიყვანოს ხალხი გამარჯვებისაკენ.

გაამართლა თუ არა კონფერენციამ ჩვენი იმედები?

მოგვცა თუ არა მან ნათელი და მკაფიო პასუხი, — ეს გადაწყვიტონ თვითონ ამხანაგებმა, როდესაც შეისწავლიან კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის მე-13 ნომრის დამატებაში [19].

«სოლდასტსკაია პრავდა» № 16,
1917 წ. 6 მაისი.
მოწინავე.
ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

მუნიციპალური კამპანია[20]

ახლოვდება რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნები. კანდიდატთა სიები მიღებული და გამოქვეყნებულია. საარჩევნო კამპანია გაჩაღებულია.

სიებს აყენებენ სულ სხვადასხვანაირი «პარტიები»: ნამდვილნი და ყალბნი, ძველნი და ახლად გამომცხვარნი, სერიოზულნი და სათამაშონი. კ.-დ. პარტიის გვერდით — «პატიოსნების, ანგარიშგებისა და სამართლიანობის პარტია»; «ედინსტვოსა» და ბუნდის გვერდით — «კ.-დ-ზე რამდენადმე მემარცხენე პარტია»; მენშევიკებისა და ესერობორონცების გვერდით — ყოველგვარი «არაპარტიული» და «ზეპარტიული» ჯგუფები. დროშების წარმოუდგენელი სიჭრელე და ნაირნაირობაა.

პირველივე წინასაარჩევნო კრებები გვიჩვენებენ, რომ კამპანიის მთავარ საკითხს წარმოადგენს არა მუნიციპალური «რეფორმა» თავისთავად, არამედ ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა. მუნიციპალური რეფორმა მხოლოდ ქარგაა, რომელზეც ბუნებრივად გადაშლილია ძირითადი პოლიტიკური პლატფორმები.

ეს გასაგებიც არის. ახლა, როცა ომმა ქვეყანა ნგრევის უფსკრულის წინაშე დააყენა, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები მოითხოვს რევოლუციურ

ჩარევას ქვეყნის მთელ სამეურნეო ცხოვრებაში, დროებითი მთავრობა კი აშკარად მოკლებულია უნარს გამოიყვანოს ქვეყანა ჩიხიდან, — ყოველგვარი ადგილობრივი საკითხები, მათ შორის მუნიციპალურიც, შეიძლება გაგებულ და გადაჭრილ იქნას მხოლოდ ომისა და ზავის, რევოლუციისა და კონტრრევოლუციის საერთო საკითხებთან განუყრელ კავშირში. საერთო პოლიტიკასთან ასეთი კავშირის გარეშე მუნიციპალური კამპანია გადაგვარდებოდა ფუჭ ლაყბობად პირსაბანთა მოკალვისა და «კარგი საპირფარეშოების მოწყობის» შესახებ (იხ. ობორონეც-მენშევიკთა პლატფორმა).

ამიტომ მრავალრიცხოვან პარტიულ დროშათა ჭრელ სურათში კამპანიის მსვლელობისას აუცილებლად გამოირჩევა ორი ძირითადი პოლიტიკური ხაზი: რევოლუციის შემდგომი განვითარების ხაზი და კონტრრევოლუციის ხაზი.

რაც უფრო ძლიერი იქნება კამპანია, მით უფრო მწვავე გახდება პარტიული კრიტიკა, მით უფრო მკვეთრად გამოირჩევა ეს ორი ხაზი, მით უფრო აუტანელი გახდება მდგომარეობა შუალედი ჯგუფებისა, რომლებიც ცდილობენ შეარიგონ შეურიგებელი, მით უფრო ცხადი გახდება ყველასათვის, რომ რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის მჯდომი ობორონცები მენშევიკებიდან და ნაროდნიკებიდან ფაქტიურად აფერხებენ რევოლუციას, საქმეს უადვილებენ კონტრრევოლუციას.

* * *

«ხალხის თავისუფლების» პარტია

ცარიზმის დამხობის დღიდან მემარჯვენე პარტიები დაიქსაქსნენ. ეს იმით აიხსნება, რომ მათი ძველი სახით არსებობა არახელსაყრელი გახდა. მაშ სად წავიდნენ ისინი?

მათ თავი მოიყარეს ეგრეთწოდებული «ხალხის თავისუფლების» პარტიის გარშემო, მილიუკოვისა და კომპანიის პარტიის გარშემო. მილიუკოვის პარტია ახლა ყველაზე მემარჯვენე პარტიაა. ეს არის ფაქტი, რომლის წინააღმდეგ დავა არ შეიძლება. და სწორედ ამიტომ ეს პარტია წარმოადგენს ახლა კონტრრევოლუციური ძალების თავმოყრის ცენტრს.

მილიუკოვის პარტია გლეხების ალაგმვის მომხრეა, ვინაიდან ის მომხრეა აგრარული მოძრაობის დათრგუნვისა.

მილიუკოვის პარტია მუშების ალაგმვის მომხრეა, ვინაიდან ის წინააღმდეგია მუშების «გადამეტებული» მოთხოვნებისა, ამასთან ყველა მათს სერიოზულ მოთხოვნას ის «გადამეტებულად» აცხადებს.

მილიუკოვის პარტია ჯარისკაცების ალაგმვის მომხრეა, ვინაიდან ის მომხრეა «რკინისებური დისციპლინისა», ესე იგი იმის მომხრეა, რომ აღდგენილ იქნას მეთაურთა შემადგენლობის ბატონობა ჯარისკაცებზე.

მილიუკოვის პარტია მომხრეა მძარცველური ომისა, რომელმაც ქვეყანა ნგრევისა და გაჩანაგების წინაშე დააყენა.

მილიუკოვის პარტია მომხრეა «გადამწყვეტი ზომებისა» რევოლუციის წინააღმდეგ, იგი «გადაჭრით» წინააღმდეგია ხალხის თავისუფლებისა, თუმცა «ხალხის თავისუფლების» პარტიას უწოდებს თავს.

შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი პარტია განაახლებს ქალაქის მეურნეობას მოსახლეობის უღარიბესი ფენების ინტერესებისათვის?

შეიძლება თუ არა მივანდოთ მას ქალაქის ბედი?

არასოდეს! არამცდაარამც!

ჩვენი პაროლია: არავითარი ნდობა მილიუკოვის პარტიას, არც ერთი ხმა «ხალხის თავისუფლების» პარტიას!

* * *

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტია (ბოლშევიკები)

ჩვენი პარტია პირდაპირი წინააღმდეგობაა კ.-დ. პარტიისა. კადეტები კონტრრევოლუციურ ბურჟუათა და მემამულეთა პარტიაა. ჩვენი პარტია ქალაქისა და სოფლის რევოლუციური მუშების პარტიაა. ეს ორი შეურიგებელი პარტიაა, ერთის გამარჯვება მეორის დამარცხებას მოასწავებს. ჩვენი მოთხოვნები ცნობილია. ჩვენი გზა ნათელია.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ახლანდელი ომისა, იმიტომ რომ ის მძარცველური, დამპყრობლური ომია.

ჩვენ ზავის, საერთო და დემოკრატიული ზავის მომხრენი ვართ, იმიტომ რომ ასეთი ზავი ყველაზე საიმედო გამოსავალია სამეურნეო და სასურსათო ნგრევიდან.

უჩივიან პურის ნაკლებობას ქალაქებში. მაგრამ პური იმიტომ არ არის, რომ ნათესი ფართობი შემცირდა მუშახელის ნაკლებობის გამო, რომელიც ომში «გარეკეს». პური იმიტომ არ არის, რომ არსებული მარაგიც ვერაფრით მოუზიდავთ, ვინაიდან რკინიგზები ომს ემსახურება. შეწყვიტეთ ომი — და პურიც იქნება.

უჩივიან საქონლის ნაკლებობას სოფლად. მაგრამ საქონელი გაქრა, იმიტომ რომ მეტი წილი ფაბრიკები და ქარხნები ომს ემსახურება. შეწყვიტეთ ომი — და საქონელიც იქნება.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ახლანდელი მთავრობისა, იმიტომ რომ იგი, მოუწოდებს რა შეტევისაკენ, აჭიანურებს ომს, ამწვავებს ნგრევასა და შიმშილს.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ახლანდელი მთავრობისა, იმიტომ რომ იგი, იცავს რა კაპიტალისტთა მოგებას, ჰფუშავს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მუშების რევოლუციური ჩარევის საქმეს.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ახლანდელი მთავრობისა, იმიტომ რომ იგი, ხელს უშლის რა გლეხთა კომიტეტებს განაგონ მემამულეთა მიწა, ჰფუშავს მემამულეთა ბატონობისაგან სოფლის განთავისუფლების საქმეს.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ახლანდელი მთავრობისა, იმიტომ რომ, დაიწყო რა «საქმე» პეტროგრადიდან რევოლუციური ჯარების გაყვანით და გადავიდა რა ახლა რევოლუციური მუშების გაყვანაზე (პეტროგრადის განტვირთვა!),— იგი დაუძლურებას უქადის რევოლუციას.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ახლანდელი მთავრობისა, იმიტომ რომ მას საერთოდ არ შესწევს უნარი გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან.

ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მთელი ძალაუფლება გადაეცეს ხელში რევოლუციურ მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს.

მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შესწევს უნარი ბოლო მოუღოს გაჭიანურებულ მძარცველურ ომს. მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შესწევს უნარი დაადოს ხელი კაპიტალისტთა და მემამულეთა მოგებას იმისათვის, რომ წინ წასწიოს რევოლუცია და იხსნას ქვეყანა სრული ნგრევისაგან.

დასასრულ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ პოლიციის, ძველი საძულველი პოლიციის აღდგენისა, რომელიც მოწყვეტილია ხალხს და ემორჩილება ზევიდან დანიშნულ «ჩინოსნებს».

ჩვენ მომხრენი ვართ საყოველთაო და არჩევითი მილიციისა, რომლის გამოცვლაც შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ

ასეთი მილიცია შეიძლება იყოს ხალხის ინტერესთა დასაყრდენი.

ასეთია ჩვენი უახლოესი მოთხოვნები.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ მოთხოვნების განუხორციელებლად, ამ მოთხოვნებისათვის უბრძოლველად წარმოუდგენელია თუნდაც ერთი რაიმე სერიოზული მუნიციპალური რეფორმა, საქალაქო მეურნეობის რაიმე დემოკრატიზაცია.

ვისაც სურს უზრუნველყოს მოსახლეობა პურით, ვისაც სურს მოსპოს საბინაო კრიზისი, ვისაც სურს დააკისროს საქალაქო გადასახადები მხოლოდ მდიდრებს, ვინც ცდილობს იმის მიღწევას, რომ ყველა ეს რეფორმა ნამდვილად განხორციელდეს, და არა მხოლოდ სიტყვიერად, — მან ხმა უნდა მისცეს იმათ, ვინც წინააღმდეგია დამპყრობლური ომისა, წინააღმდეგია მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობისა, წინააღმდეგია პოლიციის აღდგენისა, ხოლო მომხრეა დემოკრატიული ზავისა, ძალაუფლების თვით ხალხის ხელში გადასვლისა, საყოველთაო-სახალხო მილიციისა, საქალაქო მეურნეობის ნამდვილი დემოკრატიზაციისა.

ამ პირობების გარეშე «ძირითადი მუნიციპალური რეფორმა» ლიტონი სიტყვაა.

* * *

ობორონცების ბლოკი

კ.-დ. და ჩვენს პარტიას შორის დგანან მთელი რიგი შუალედი ჯგუფები, რომლებიც ჭანაობენ რევოლუციიდან კონტრრევოლუციისაკენ. ასეთები არიან: «ედინსტვო», ბუნდი, ობორონცები მენშევიკებიდან და ესერებიდან, ტრუდოვიკები [21], სახალხო «სოციალისტები» [22]. ისინი ზოგიერთ რაიონში ცალ-ცალკე გამოდიან, სხვა რაიონებში კი ბლოკსა ჰკრავენ ერთიმეორესთან, აყენებენ საერთო

სიას. ვის წინააღმდეგ ჰკრავენ ბლოკს? სიტყვიერად — კ.-დ. წინააღმდეგ. მაგრამ ასეა თუ არა სინამდვილეში?

უწინარეს ყოვლისა თვალში გეცემათ მათი ბლოკის სრული უპრინციპობა. რა არის საერთო, მაგალითად, ტრუდოვიკთა რადიკალურ-ბურჟუაზიულ ჯგუფსა და იმ მენშევიკ-ობორონეცთა ჯგუფს შორის, რომელნიც «მარქსისტებად» და «სოციალისტებად» თვლიან თავს? რა დროიდან არის, რომ ტრუდოვიკები, რომლებიც ქადაგებენ ომს გამარჯვებამდე, გახდნენ თანამებრძოლნი მენშევიკებისა და ბუნდელებისა, რომლებიც თავის თავს «ომის მოწინააღმდეგე» «ციმერვალდისტებს» უწოდებენ? ხოლო პლეხანოვის «ედინსტვო», იმ პლეხანოვისა, რომელმაც ჯერ კიდევ ცარიზმის ეპოქაში დაკეცა ინტერნაციონალის დროშა და გარკვევით დადგა სხვისი დროშის ქვეშ, იმპერიალიზმის ყვითელი დროშის ქვეშ, — რა არის საერთო ამ პირწავარდნილ შოვინისტსა და, ვთქვათ, «ციმერვალდისტ» წერეთელს, ობორონცულ-მენშევიკური კონფერენციის ამ საპატიო თავმჯდომარეს შორის? განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც პლეხანოვი მოუწოდებდა გერმანიასთან ომში მეფის მთავრობისათვის მხარდაჭერისაკენ, «ციმერვალდისტი» წერეთელი კი «ანადგურებდა» ამისათვის შოვინისტ პლეხანოვს? ომი «ედინსტვოსა» და «რაბოჩაია გაზეტას» [23] შორის გაჩაღებულია, ეს ვაჟბატონები კი თავს ისე გვაჩვენებენ, ვითომც ვერაფერს ამჩნევენ, და უკვე «დაძმობილებას» იწყებენ...

თვითონ განსაჯეთ: ასეთი ნაირნაირი ელემენტებისაგან შეიძლებოდა მხოლოდ შემთხვევითი და უპრინციპო ბლოკი შემდგარიყო, — არა პრინციპით, არამედ ჩაფლავების შიშით ხელმძღვანელობდნენ ისინი ბლოკის შექმნისას.

შემდეგ თვალში გეცემათ ის ფაქტი, რომ ორ რაიონში, ყაზანისა და სპასკისა (იხ. «კანდიდატთა სიები»), «ედინ-

ხტვო», ბუნდი და მენშევიკი და ესერი ობორონცები თავის სიებს არ აყენებენ, ხოლო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების რაიონული საბჭო იმავე რაიონებში — და მხოლოდ იქ, — წინააღმდეგ აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, თავის სიას აყენებს. როგორც ჩანს, ჩვენმა მამაცმა ბლოკისტებმა, არჩევნებში ჩაფლავების შიშით, ამჯობინეს ზურგს უკან ამოფარებოდნენ რაიონულ საბჭოს, გადაწყვიტეს გამოიყენონ ამ უკანასკნელის ავტორიტეტი. სასაცილოა, რომ ამ კეთილშობილ ჯენტლმენებს, რომლებსაც თავი მოაქვთ თავისი «პასუხისმგებლობით», გამბედაობა არ ეყოთ გამოსულიყვნენ აშკარად, — ამჯობინეს ლაჩრულად აერიდებინათ თავი «პასუხისმგებლობისათვის»...

მაინც რამ გააერთიანა ბლოკში მთელი ეს ნაირნაირი ჯგუფები?

იმან, რომ ისინი ერთნაირად გაუბედავად, მაგრამ გადაუხვევლად კვალდაკვალ მისჩანჩალებენ კადეტებს, რომ მათ ერთნაირად გარკვეულად სძულთ ჩვენი პარტია.

ისინი ყველანი, ისევე როგორც კადეტები, მომხრენი არიან ომისა, მაგრამ არა დაპყრობათათვის (ღმერთმა დაიფაროს!), არამედ... «უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის». ომი ზავისათვის...

ისინი ყველანი, ისევე როგორც კადეტები, მომხრენი არიან «რკინისებური დისციპლინისა», მაგრამ არა ჯარისკაცთა ასალაგმავად (რა თქმა უნდა, არა!), არამედ... თვით ჯარისკაცთა ინტერესებისათვის.

ისინი ყველანი, ისევე როგორც კადეტები, მომხრენი არიან შეტევისა, მაგრამ არა ინგლის-საფრანგეთის ბანკირთა ინტერესებისათვის (ღმერთმა დაიფაროს!), არამედ... «ჩვენი ნორჩი თავისუფლების» ინტერესებისათვის.

ისინი ყველანი, ისევე როგორც კადეტები, წინააღმდეგი არიან «მუშათა ანარქიული ცდებისა ხელში ჩაიგდონ ფაბრიკები და ქარხნები» (იხ. 21 მაისის «რაბოჩაია გაზეტა»), მაგრამ არა კაპიტალისტთა ინტერესებისათვის (რა საშინელებაა!), არამედ იმისათვის, რომ არ დააფრთხონ კაპიტალისტები რევოლუციისაგან, ე. ი. ...რევოლუციის ინტერესებისათვის.

საერთოდ ისინი ყველანი რევოლუციის მომხრენი არიან, მაგრამ იმდენად (იმდენად!), რამდენადაც ის საშიში არ არის კაპიტალისტებისა და მემამულეებისათვის, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელთა ინტერესებს.

მოკლედ: ისინი ყველანი მხარს უჭერენ იმავე პრაქტიკულ ნაბიჯებს, რასაც კადეტები, მაგრამ შენიშვნებითა და ლათაიებით «თავისუფლების», «რევოლუციის» შესახებ და სხვ.

ხოლო ვინაიდან სიტყვები და ლათაიები მაინც სიტყვებად რჩება, გამოდის, რომ სინამდვილეში ისინი იმავე კადეტურ ხაზს ადგანან.

ფრაზები თავისუფლებისა და სოციალიზმის შესახებ მხოლოდ მათს კადეტურ არსს ფარავენ.

და სწორედ ამიტომ მათი ბლოკი მიმართულია არა კონტრრევოლუციური კადეტების წინააღმდეგ, არამედ რევოლუციური მუშების წინააღმდეგ, წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ბლოკისა «მეჟრაიონკასთან» [24] და რევოლუციურ მენშევიკებთან.

განა შეიძლება ყოველივე ნათქვამის შემდეგ იმედი ვიქონიოთ, რომ ამ თითქმის კადეტ ჯენტლმენებს უნარი შესწევთ განაახლონ და გარდაქმნან მოშლილი საქალაქო მეურნეობა?

როგორ შეიძლება ვანდოთ მათ მოსახლეობის უღარიბესი ფენების ბედი, როცა ისინი ყოველ საათს ფეხქვეშ

თელავენ ამ მოსახლეობის ინტერესებს, მხარს უჭერენ მძარცველურ ომს და კაპიტალისტთა და მემამულეთა მთავრობას?

იმისათვის, რომ განვახორციელოთ საქალაქო მეურნეობის დემოკრატიზაცია, უზრუნველვყოთ მოსახლეობა სურსათითა და ბინით, გავათავისუფლოთ ღარიბები საქალაქო გადასახადებისაგან და მთელი საგადასახადო ტვირთი დავაკისროთ შეძლებულთ, — ამისათვის აუცილებელია ბოლო მოვუღოთ შეთანხმებათა პოლიტიკას და მოგება წავართვათ კაპიტალისტებსა და სახლმფლობელებს... განა ცხადი არ არის, რომ ზომიერ ჯენტლმენებს ობორონცული ბლოკიდან, რომელთაც ბურჟუაზიის გაჯავრებისა ეშინიათ, ასეთი რევოლუციური ნაბიჯების გადადგმის უნარი არ შესწევთ?..

პეტროგრადის ახლანდელ თვითმმართველობაში არის ეგრეთწოდებული «სოციალისტური მუნიციპალური ჯგუფი», რომელიც უმთავრესად ობორონეც-ესერებისა და მენშევიკებისაგან შედგება. მან თავისი წრიდან გამოჰყო «საფინანსო კომისია» საქალაქო მეურნეობის გაჯანსაღებისათვის «დაუყოვნებლივი ზომების» შესამუშავებლად. მერე რა? ამ «განმაახლებლებმა» მიიჩნიეს, რომ საქალაქო მეურნეობის დემოკრატიზაციისათვის აუცილებლად საჭიროა: 1) **«გადიდდეს** წყლის საფასური», 2) **«გადიდდეს** ტრამვაით მგზავრობის საფასური». «ხოლო ტრამვაით სარგებლობისათვის ჯარისკაცებისაგან ფულის გადახდევინების საკითხზე გადაწყდა — დაუკავშირდნენ მუშ. და ჯარისკ. დეპ. საბჭოს» (იხ. «ნოვაია ჟიზნ»[25] № 26). კომისიის წევრებს, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდათ ფული გადაეხდევინებინათ ჯარისკაცებისათვის, მაგრამ ვერ გაბედეს ჩაედინათ ეს ჯარისკაცების თანხმობის გარეშე.

ნაცვლად იმისა, რომ მოესპოთ გადასახადები ღარიბებზე, კომისიის პატივცემულმა წევრებმა ამ გადასახადების გადიდება გადაწყვიტეს და ჯარისკაცებიც კი არ დაინდეს!

ასეთია ესერ და მენშევიკ ობორონცების მუნიციპალური პრაქტიკის ნიმუშები.

თვითონ განსაჯეთ: მაღალფარდოვანი ფრაზები და ბევრის აღმთქმელი «მუნიციპალური პლატფორმები» ფარავენ ობორონცების უბადრუკ მუნიციპალურ პრაქტიკას.

ასე იყო — ასე იქნება...

და რაც უფრო ოსტატურად ეფარებიან ისინი ფრაზებს «თავისუფლებისა» და «რევოლუციის» შესახებ, მით უფრო გადამწყვეტი და ულმობელი უნდა იყოს მათთან ბრძოლა.

ობორონცული ბლოკისათვის სოციალისტური ნიღაბის ჩამოგლეჯა, მისი ბურჟუაზიულ-კადეტური არსის მზის სინათლეზე გამოტანა — ასეთია მიმდინარე კამპანიის ერთერთი მორიგი ამოცანა.

არავითარი მხარდაჭერა ობორონცულ ბლოკს, არავითარი ნდობა ბლოკის ვაჟბატონებს!

მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ ვინც მათი მომხრე არ არის, ის მათი წინააღმდეგია, რომ ობორონცული ბლოკი მათი მომხრე არ არის — მაშასადამე, მათი წინააღმდეგია.

* * *

«უპარტიოები»

ყველა ბურჟუაზიული ჯგუფიდან, რომლებმაც კანდიდატთა საკუთარი სიები წამოაყენეს, ყველაზე გაურკვეველი მდგომარეობა უჭირავთ უპარტიო ჯგუფებს. ისინი ცოტანი როდი არიან, ეს უპარტიო ჯგუფები, — ისინი მთელი გროვაა, თითქმის 30 ცალი. ვინღა არ არის მათ შორის! «სახლთა გაერთიანებული კომიტეტები» და «აღმზრდელობით დაწესებულებებში მოსამსახურეთა ჯგუფი», «უპარტიო საქმიანი ჯგუფი» და «პარტიების გარეშე

მდგომ ამომრჩეველთა ჯგუფი», «სახლთა ადმინისტრაციის ჯგუფი» და «ბინათმფლობელთა საზოგადოება», «ზეპარტიული რესპუბლიკური ჯგუფი» და «ქალთა თანასწორუფლებიანობის ლიგა», «ინჟინერთა კავშირის ჯგუფი» და «სავაჭრო-სამრეწველო კავშირი», «ჯგუფი პატიოსნება, ანგარიშგება, სამართლიანობა» და «დემოკრატიული მშენებლობის ჯგუფი», «ჯგუფი თავისუფლება და წესრიგი» და სხვა ჯგუფები, — ასეთია უპარტიო დომხალის ჭრელი სურათი.

ვინ არიან ისინი, საიდან არიან და საით მიდის მათი გზა?

ისინი ყველანი ბურჟუაზიული ჯგუფები არიან. ესენი მეტწილად არიან ვაჭრები, მრეწველები, სახლმფლობელები, «თავისუფალ პროფესიათა» ადამიანები, ინტელიგენტები.

მათ არა აქვთ პრინციპული პროგრამები. ამომრჩევლები ვერასოდეს ვერ გაიგებენ, სახელდობრ რის მიღწევას ცდილობენ ეს ჯგუფები, რომლებიც მოუწოდებენ ობივატელებს ხმა მისცენ მათ.

მათ არა აქვთ მუნიციპალური პლატფორმები. ამომრჩევლები ვერასოდეს ვერ გაიგებენ, რა გაუმჯობესებას მოითხოვენ ისინი საქალაქო მეურნეობის დარგში, სახელდობრ რისთვის უნდა მიეცეს მათ ხმა.

მათ არა აქვთ თავიანთი წარსული, ვინაიდან ისინი წარსულში არც არსებობდნენ.

მათ არც მომავალი აქვთ, ვინაიდან ისინი შარშანდელი თოვლივით გაქრებიან არჩევნების შემდეგ.

ისინი წარმოიშვნენ მხოლოდ არჩევნების დღეებში და ცოცხლობენ მხოლოდ ახლანდელ წუთში, სანამ არჩევნებია: ოღონდ კი გაძვრნენ როგორმე რაიონულ თვითმმართველობაში, და მერე ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა.

ესენი არიან უპროგრამო ჯგუფები ბურჟუაზიიდან, რომლებსაც სინათლისა და სიმართლისა ეშინიათ და რომლებიც ცდილობენ კონტრაბანდის გზით გააპარონ თავიანთი კანდიდატები რაიონულ თვითმმართველობებში.

ბნელია მათი მიზნები. ბნელია მათი გზა.

რით შეიძლება ასეთი ჯგუფების არსებობის გამართლება?

კიდევ გასაგებია უპარტიო ჯგუფების არსებობა წარსულში, ცარიზმის დროს, როცა პარტიულობა, **მემარცხენე** პარტიულობა, ულმობლად ისჯებოდა «კანონით», როცა ბევრს უხდებოდა გამოსულიყო უპარტიოს სახით, რათა თავიდან აეცილებინა დაპატიმრება და დევნა, როცა უპარტიობა წარმოადგენდა ფარს მეფის მეკანონეთა წინააღმდეგ. მაგრამ ახლა, თავისუფლებათა მაქსიმუმის პირობებში, როცა ყოველ პარტიას შეუძლია აშკარად და თავისუფლად გამოვიდეს და არ ჰქონდეს იმის შიში, რომ პასუხისგებაში იქნება მიცემული, როცა პარტიული გარკვეულობა და პოლიტიკური პარტიების აშკარა ბრძოლა მასების პოლიტიკური აღზრდის მცნებად და პირობად იქცა, — რით გავამართლოთ ახლა უპარტიო ჯგუფების არსებობა? რისა ეშინიათ მათ და სახელდობრ ვის უმალავენ თავიანთ ნამდვილ სახეს?

ეჭვს გარეშეა, რომ ბევრი ამომრჩეველი მასებიდან ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში, რომ მათს სწრაფ გათვითცნობიერებას ხელს უშლის ცარიზმისაგან ნაანდერძევი პოლიტიკური უძრაობა და ჩამორჩენილობა. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ უპარტიობა და უპროგრამობა მხოლოდ ამაგრებს და აკანონებს ამ ჩამორჩენილობასა და უძრაობას? ვინ გაბედავს იმის უარყოფას, რომ პოლიტიკური პარტიების აშკარა და პარტიოსანი ბრძოლა წარმოადგენს მასების გამოღვიძებისა

და მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს საშუალებას?

კიდევ ერთხელ: რისა ეშინიათ უპარტიო ჯგუფებს, რატომ არ უყვართ მათ სინათლე და სახელდობრ ვის ემალებიან ისინი? სად არის საიდუმლოება?

საქმე ის არის, რომ რუსეთის ახლანდელ პირობებში, რევოლუციის სწრაფი განვითარების პირობებში, თავისუფლებათა მაქსიმუმის პირობებში, როცა მასები პოლიტიკურად იზრდებიან არა დღეობით, არამედ საათობით, — ბურჟუაზიის აშკარა გამოსვლები უაღრესად სახიფათო ხდება მისთვის. ასეთ პირობებში დაუფარავი ბურჟუაზიული პლატფორმებით გამოსვლა ნიშნავს დანამდვილებით თავის ჩაფლავებას მასების თვალში. ერთადერთი საშუალება «მდგომარეობიდან თავის დასაღწევად» ის არის, რომ აიფარონ უპარტიობის ნიღაბი და თავი გაასაღონ «პატიოსნების, ანგარიშგებისა და სამართლიანობის» ჯგუფის მსგავს უწყინარ ჯგუფად. ეს ძალიან ხელსაყრელია იმისათვის, რომ მღვრიე წყალში თევზი დაიჭირო. ეჭვს გარეშეა, რომ უპარტიო სიების დროშის ქვეშ იმალებიან მოკადეტო და კადეტთა მსგავსი ბურჟუები, რომლებსაც ეშინიათ ნიღაბახდილნი გამოვიდნენ, რომელნიც ცდილობენ კონტრაბანდული გზით გაძვრნენ რაიონულ თვითმმართველობებში. დამახასიათებელია, რომ მათ შორის არ არის არც ერთი პროლეტარული ჯგუფი, რომ ყველა ამ უპარტიო ჯგუფს ბურჟუაზიის რიგებიდან და მხოლოდ ამ რიგებიდან ჰკრეფენ. და ისინი, უეჭველია, შესძლებენ ბლომად გააბან თავიანთ ქსელში დანდობილი გულუბრყვილო ამომრჩეველნი, თუ მათ ჯეროვანი წინააღმდეგობა არ გაუწიეს რევოლუციურმა ელემენტებმა.

ამაშია მთელი საიდუმლოება!

ამიტომ **«უპარტიო» საფრთხე** ერთ-ერთი ყველაზე რეალურ საფრთხეთაგანია მიმდინარე მუნიციპალურ კამპანიაში.

ამიტომ უპარტიობის ნიღაბი ჩამოვგლიჯოთ ამ ვაჟბატონებს, ვაიძულოთ ისინი გამოაჩინონ თავიანთი ნამდვილი სახე, რათა საშუალება მივცეთ მასებს ჯეროვნად შეაფასონ ისინი, — ასეთია ჩვენი კამპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ძირს უპარტიობის ნიღაბი, გაუმარჯოს პოლიტიკური ხაზის სიცხადესა და გარკვეულობას! — ასეთია ჩვენი პაროლი.

* * *

ამხანაგებო! ხვალ არჩევნებია. მწყობრ რიგებად გაემართეთ საარჩევნო ყუთებისაკენ და ერთსულოვნად მიეცით ხმა ბოლშევიკების სიას.

არც ერთი ხმა კადეტებს, რუსეთის რევოლუციის მტრებს!

არც ერთი ხმა ობორონცებს, კადეტებთან შეთანხმების მომხრეებს!

არც ერთი ხმა «უპარტიოებს», თქვენი მტრების ფარულ მეგობრებს!

«პრავდა» № № 63, 64 და 66;
1917 წ. 21, 24 და 26 მაისი.

ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

გუშინ და დღეს

(რევოლუციის კრიზისი)

სამი მოთხოვნა წამოაყენეს გუჩკოვმა და მილიუკოვმა დროებითი მთავრობიდან წასვლის წინ: 1) **დისციპლინის** აღდგენა, 2) **შეტევის** გამოცხადება, 3) რევოლუციურ ინტერნაციონალისტთა **ალაგმვა.**

არმია იხრწნება, მასში წესრიგი აღარ არის, აღადგინეთ დისციპლინა, ალაგმეთ ზავის პროპაგანდა, თორემ გადავდგებითო, — «მოახსენებდა» გუჩკოვი აღმასრულებელ კომიტეტს ცნობილ თათბირზე მარიამის სასახლეში (20 აპრილს).

ჩვენ დაკავშირებული ვართ მოკავშირეებთან, ჩვენგან მოითხოვენ მხარდაჭერას ფრონტის ერთიანობის ინტერესებისათვის, მოუწოდეთ არმიას შეტევისაკენ, ალაგმეთ ომის მოწინააღმდეგენი, თორემ წავალთო, — «მოახსენებდა» მილიუკოვი იმავე თათბირზე.

ეს იყო «ხელისუფლების კრიზისის» დღეებში.

მენშევიკები და ესერები აღმასრულებელი კომიტეტიდან თავს ისე გვაჩვენებდნენ, რომ დათმობებზე არ წავიდოდნენ.

შემდეგ მილიუკოვმა გამოაქვეყნა თავისი «ნოტის» «განსამარტებელი» ქაღალდი, აღმასრულებელი კომიტე-

ტის ორატორებმა ამ შემთხვევის გამო «რევოლუციური დემოკრატიის» «გამარჯვება» გამოაცხადეს, და — «ვნებათა ღელვა დაცხრა».

მაგრამ «გამარჯვება» მოჩვენებითი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ «კრიზისი» გამოცხადდა, გუჩკოვი და მილიუკოვი «იძულებული გახდნენ» წასულიყვნენ, დაიწყო აღმასრულებელი კომიტეტის დაუსრულებელი თათბირები მინისტრებთან, და — «კრიზისი მოგვარდა» დროებით მთავრობაში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა შესვლით.

გულდანდობილმა მაყურებლებმა შვებით ამოისუნთქეს. როგორც იქნა «სძლიეს» გუჩკოვ-მილიუკოვს! როგორც იქნა დადგება ზავი, «უანექსიო და უკონტრიბუციო» ზავი! ბოლო მოეღო ძმათამკვლელ ხოცვა-ჟლეტას!

მერე რა? ვერც კი მოასწრეს შეეჯამებინათ ეგრეთწოდებული «დემოკრატიის» «გამარჯვებანი», ვერც კი მოასწრეს «დაესამარებინათ» დასასვენებლად წასული მინისტრები, რომ ახალი მინისტრები, მინისტრი-«სოციალისტები», ალაპარაკდნენ ისეთი ენით, რომელმაც ნუგეში სცა გუჩკოვ-მილიუკოვს!

ჭეშმარიტად, «მკვდრებმა ხელი ჩასჭიდეს ცოცხლებს»! თვითონ განსაჯეთ.

თავის პირველ სიტყვაშივე გლეხთა ყრილობაზე [26] ახალმა სამხედრო მინისტრმა, მოქალაქე კერენსკიმ, განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს აღადგინოს არმიაში «რჟინისებური დისციპლინა». თუ რა დისციპლინაა ეს, ამაზე გარკვევით მეტყველებს კერენსკის მიერ ხელმოწერილი «ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაცია» [27], სადაც «საბრძოლო ვითარების» პირობებში უფროსებს ეძლევათ «უფლება — შეიარაღებული ძალა იხმაროს... იმ

ხელქვეითთა წინააღმდეგ, რომელნიც ბრძანებებს არ ასრულებენ» (იხ. «დეკლარაციის» მე-14 პუნქტი).

ის, რაზედაც ასე ოცნებობდა გუჩკოვი, მაგრამ რის ცხოვრებაში გატარებასაც ის ვერ ბედავდა, კერენსკიმ «გაატარა» ერთი ხელის მოსმით თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის შესახებ მყვირალა ფრაზების ხმაურში.

რისთვის დასჭირდათ ეს დისციპლინა?

ეს სხვა მინისტრებზე ადრე გვაუწყა მინისტრმა წერეთელმა. «ჩვენ მივისწრაფით ომის ლიკვიდაციისაკენ, — ეუბნებოდა ის ფოსტამტის მოსამსახურეებს, — მაგრამ არა სეპარატული ზავის გზით, არამედ ჩვენს მოკავშირეებთან საერთო გამარჯვებით თავისუფლების მტრებზე» (იხ. 8 მაისის «ვეჩერნაია ბირჟოვკა» [28]).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვებს თავისუფლების შესახებ, რომლებიც აქ ყურით არის მოთრეული, თუ მინისტრულად-ბუნდოვან სიტყვას მარტივ ენაზე გადმოვთარგმნით, გამოვა ერთი რამ: ზავის ინტერესებისათვის საჭიროა ინგლისთან და საფრანგეთთან კავშირით დავამარცხოთ გერმანია, რისთვისაც, თავის მხრივ, საჭიროა შეტევა.

შეტევის მომზადება ფრონტის ერთიანობის ინტერესებისათვის, გერმანიაზე საერთო გამარჯვებისათვის, — აი რისთვის დასჭირდათ «რკინისებური დისციპლინა».

ის, რის მიღწევასაც ასე გაუბედავად, მაგრამ დაუღალავად ცდილობდა მილიუკოვი, მინისტრმა წერეთელმა თავის საკუთარ პროგრამად გამოაცხადა.

ეს იყო პირველ დღეებშივე კრიზისის «მოგვარების» შემდეგ. მაგრამ შემდეგ მინისტრი-«სოციალისტები» უფრო გაბედული და უფრო გარკვეული გახდნენ.

12 მაისს გამოვიდა კერენსკის «ბრძანება» ოფიცრებისა, ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი:

«...თქვენ წახვალთ წინ იქ, საითაც წაგიყვანენ ბელადები და მთავრობა... თქვენ წახვალთ... შებოჭილნი მოვალეობის დისციპლინით... ხალხის ნებისამებრ თქვენ სამშობლო და მსოფლიო უნდა გაწმინდოთ მოძალადეებისა და დამპყრობლებისაგან. ამ საგმირო საქმისაკენ მოგიწოდებთ მე თქვენ» (იხ. 14 მაისის «რეჩ»).

თვითონ განსაჯეთ: კერენსკის ბრძანება არსებითად ცოტათი განსხვავდება მეფის მთავრობის ცნობილი იმპერიალისტური ბრძანებებისაგან, როგორიც იყო, მაგალითად, ის, რომ «ჩვენ უნდა ვიომოთ საბოლოო გამარჯვებამდე, ჩვენ უნდა განვდევნოთ კადნიერი მტერი ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან, ჩვენ მსოფლიო უნდა გავათავისუფლოთ გერმანიის მილიტარიზმის უღლისაგანო...» და სხვა.

ხოლო ვინაიდან შეტევაზე ლაპარაკი უფრო ადვილია, ვიდრე მისი ცხოვრებაში გატარება, ვინაიდან ზოგიერთმა პოლკმა, მაგალითად, მეშვიდე არმიისამ (ოთხმა პოლკმა) შესაძლებლად არ ჩათვალა დამორჩილებოდა ბრძანებას «გალაშქრების» შესახებ, — დროებითი მთავრობა კერენსკისთან ერთად სიტყვიდან «საქმეზე» გადავიდა, — ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ დაშალონ «დამნაშავე» პოლკები, დამნაშავე პირებს კი «კატორღაში გაგზავნით და ყველა უფლების აყრით» დაემუქრა (იხ. 1 ივნისის «ვეჩერნეე ვრემია»). და რადგან ყოველივე ეს, თურმე, მაინც არ კმარა, კერენსკიმ გამოსცა ახალი «ბრძანება», რაც სპეციალურად მიმართულია დაძმობილების წინააღმდეგ; იგი «დამნაშავეებს» ემუქრება, რომ «სამართალში» მისცემს მათ, «რათა დაისაჯონ კანონთა მთელი სიმკაცრით», ე. ი. იმავე კატორღით (იხ. 1 ივნისის «ნოვაია ჟიზნ»).

მოკლედ: გადადით შეტევაზე დაუყოვნებლივ, გადადით შეტევაზე რადაც უნდა დაგიჯდეთ, თორემ კატორღა და

დახვრეტა არ აგცდებათო, — ასეთია კერენსკის «ბრძანებათა» აზრი.

და ეს იმ დროს, როცა მეფის ხელშეკრულებები ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიასთან ძალაში რჩება, როცა ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე «ჩვენ» გარკვევით ვალდებულს გვხდიან აქტიურად შევუწყოთ ხელი ინგლისსა და საფრანგეთის დაპყრობითს პოლიტიკას მესოპოტამიაში, საბერძნეთში, ელზას-ლორენში!

ხოლო სადღაა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, სადღაა ახალი დროებითი მთავრობის ვალდებულება მიეღწია ზავისათვის ყოველგვარი «გადამწყვეტი ზომებით», — სად გაქრა ყველა ეს დაპირება, რომლებიც მოცემულ იქნა «ხელისუფლების კრიზისის» დღეებში?

არა, ჩვენი მინისტრები არ ივიწყებენ ზავს, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს, ისინი გამალებით ლა-პა-რა-კობენ, ლაპარაკობენ და წერენ, წერენ და ლაპარაკობენ. და არა მარტო ჩვენი მინისტრები. პასუხად დროებითი მთავრობის წინადადებისა გამოეთქვათ აზრი ომის მიზნების შესახებ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ჯერ კიდევ ამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს, რომ ისინიც წინააღმდეგი არიან ანექსიებისა, მაგრამ... იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება მათს განზრახვას — შეიერთონ ელზას-ლორენი, მესოპოტამია და სხვ. დროებითმა მთავრობამ კი ასეთი განცხადების პასუხად, თავის მხრივ, 31 მაისის ნოტაში განაცხადა, რომ, «რჩება რა საერთო საკავშირო საქმის ურყევად ერთგული», იგი წინადადებას იძლევა ომის მიზნების შესახებ შეთანხმების გადასასინჯავად მოწვეულ იქნას «მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც შეიძლებოდა შემდგარიყო უახლოეს ხანში, როდესაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება» (იხ. «რაბოჩაია გაზეტა» № 72). და რადგან ჯერ კიდევ არავინ უწყის,

სახელდობრ როდის «შეიქმნება ამისათვის ხელსაყრელი პირობები», რადგან ეგრეთწოდებული «უახლოესი დრო» ყოველ შემთხვევაში მალე არ დადგება, გამოდის, რომ **სინამდვილეში** «გადამწყვეტი ბრძოლა» უანექსიო ზავისათვის გადადებულია დიდი ხნით და იქცევა ფუჭ და ყალბ სიტყვიერ დავად ზავის შესახებ. სამაგიეროდ თურმე ერთი წუთითაც არ შეიძლება გადაიდოს შეტევა, რომელსაც ამზადებენ ყოველგვარი «გადამწყვეტი ზომებით», თვით კატორღისა და დახვრეტის მუქარითაც...

ეჭვი შეუძლებელია. ომი იმპერიალისტური იყო და იმპერიალისტური რჩება. უანექსიო ზავზე ლაპარაკი, **მაშინ როცა** ნამდვილად შეტევა მზადდება, მხოლოდ ომის მძარცველურ ხასიათს ფარავს. დროებითი მთავრობა გარკვეულად დაადგა **აქტიური** იმპერიალიზმის გზას. ის, რაც გუშინ კიდევ შეუძლებელი გვეჩვენებოდა, დღეს შესაძლებელი გახდა დროებით მთავრობაში «სოციალისტების» შესვლის მეოხებით. ისინი სოციალისტური ფრაზებით ფარავენ დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ არსს, რითაც განამტკიცეს და გააფართოეს კონტრრევოლუციის პოზიციები, რომელმაც თავი წამოყო.

«სოციალისტი» მინისტრები, რომლებსაც წარმატებით იყენებს იმპერიალისტური ბურჟუაზია თავისი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის — აი როგორია **ახლა** მდგომარეობა.

გაიმარჯვეს არა გულუბრყვილო «რევოლუციურმა დემოკრატებმა», არამედ იმპერიალიზმის ძველმა მოსაქმეებმა, გუჩკოვმა და მილიუკოვმა.

მაგრამ საგარეო პოლიტიკის საქმეებში მარჯვნისაკენ გეზის აღებას გარდუვალად უნდა გამოეწვია ასეთივე შემობრუნება საშინაო პოლიტიკაში, ვინაიდან მსოფლიო

ომის პირობებში საგარეო პოლიტიკა საფუძველია ყოველი სხვა პოლიტიკისა, ცენტრია მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

და, მართლაც, დროებითი მთავრობა სულ უფრო გარკვეულად ადგება რევოლუციასთან «გადამწყვეტი ბრძოლის» გზას.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მან დაიწყო შეტევა კრონშტადტელი მატროსების წინააღმდეგ და ამავე დროს ხელს უშლის პეტროგრადის მაზრის გლეხებს, პენზის, ვორონეჟისა და სხვა გუბერნიების გლეხებს განახორციელონ დემოკრატიზმის უბრალო პრინციპები.

შემდეგ რამდენიმე დღის წინათ თავი ისახელეს (ჰეროსტრატესებურად ისახელეს თავი!) სკობელევმა და წერეთელმა, რომლებმაც რუსეთიდან გააძევეს რობერტ გრიმი [29], მართალია, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად, პირდაპირ ჟანდარმულად, მაგრამ სამაგიეროდ რუს იმპერიალისტთა გულის გასახარებლად.

მაგრამ ყველაზე მკაფიოდ ასახა დროებითი მთავრობის საშინაო პოლიტიკის ახალი კურსი მინისტრმა პერევერზევმა («აგრეთვე» სოციალისტმა!). იგი მოითხოვს «სასწრაფოდ შემოღებულ იქნას კანონი სახელმწიფო მყუდროების წინააღმდეგ დანაშაულობათა შესახებ» — არც მეტი და არც ნაკლები. ამ კანონის მიხედვით (მუხლი 129)... «ვისაც ბრალი მიუძღვის 1) მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ, 2) მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის წინააღმდეგ ძალდატანებითი მოქმედების ჩადენისაკენ, 3) კანონისადმი ან ხელისუფლების სავალდებულო დადგენილებისა თუ კანონიერი განკარგულებისადმი ურჩობისაკენ ან წინააღმდეგობის გაწევისაკენ საჯარო მოწოდებაში, ან გავრცელებული ანდა საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებებით, წერილით ან

გამოხატულებებით მოწოდებაში, — ის ისჯება გამასწორებელ სახლში მოთავსებით ვადით არა უმეტეს სამი წლისა», ხოლო «ომის დროს... ვადიანი კატორღით» (იხ. 4 ივნისის «რეჩ»).

ასეთია ამ, უკაცრავად პასუხია, «სოციალისტი» მინისტრის საკატორღო კანონმდებლობითი შემოქმედება.

აშკარაა, რომ დროებითი მთავრობა განუხრელად მიეჭანება კონტრრევოლუციის ბანაკისაკენ.

ეს ცხადად ჩანს აგრეთვე იქიდან, რომ კონტრრევოლუციის ძველი მოსაქმე, მილიუკოვი, უკვე წინასწარ ტკბება ამ შემთხვევის გამო ახალი გამარჯვების ნაყოფით. «თუ დროებითი მთავრობა, — ამბობს ის, — დიდი ხნის გაჭიანურების შემდეგ, შეიგნებს, რომ ხელისუფლების ხელში არის სხვა საშუალებანიც, გარდა დაჯერებისა, სწორედ ის საშუალებანი, რომელთა გამოყენება მან უკვე დაიწყო, თუ ის დაადგება ამ გზას, მაშინ რუსეთის რევოლუციის მონაპოვარნი (ნუ კი ხუმრობთ!) განმტკიცებული იქნება»... «ჩვენმა დროებითმა მთავრობამ დააპატიმრა კოლიშკო და განდევნა გრიმი. ხოლო ლენინი, ტროცკი და მათი ამხანაგები თავისუფლად დასეირნობენ... ვისურვოთ, რომ როდისმე ლენინიც მისი ამხანაგებითურთ იქვე გაგზავნონ...» (იხ. 4 ივნისის «რეჩ»).

ასეთია რუსეთის ბურჟუაზიის ნაცადი მელიის, ბ-ნ მილიუკოვის «სურვილები».

შეასრულებს თუ არა მილიუკოვის ამ და ამის მსგავს «სურვილებს» დროებითი მთავრობა, რომელიც საერთოდ გულმოდგინედ უგდებს ყურს მის ხმას, შეიძლება თუ არა ახლა ასეთი «სურვილების» განხორციელება, — ამას უახლოეს მომავალში დავინახავთ.

მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია: დროებითი მთავრობის საშინაო პოლიტიკა მთლიანად ემორჩილება მისი აქტიური იმპერიალისტური პოლიტიკის მოთხოვნებს.

დასკვნა ერთია.

ჩვენი რევოლუციის განვითარება კრიზისის ხანაში შევიდა. რევოლუციის ახალი ეტაპი, რომელიც სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში იჭრება და თავიდან ბოლომდე არევოლუციურებს მათ, ფეხზე აყენებს ძველი და ახალი სამყაროს მთელ ძალებს. ომი და მასთან დაკავშირებული ნგრევა უკიდურეს ზომამდე ამწვავებს კლასობრივ წინააღმდეგობებს. ბურჟუაზიასთან შეთანხმებათა პოლიტიკა, რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის მანევრირების პოლიტიკა აშკარად უილაჯო ხდება.

ორში ერთი:

ან წინ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლისათვის, ომისა და ნგრევის ლიკვიდაციისათვის, წარმოებისა და განაწილების ორგანიზაციისათვის;

ან უკან, ბურჟუაზიისათვის, შეტევისათვის და ომის გაჭიანურებისათვის, ნგრევის აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომების წინააღმდეგ, წარმოებაში ანარქიისათვის, აშკარა კონტრრევოლუციური პოლიტიკისათვის.

დროებითი მთავრობა აშკარად ადგება დაუფარავი კონტრრევოლუციის გზას.

რევოლუციონერთა ვალია უფრო მჭიდროდ დაირაზმონ და წინ წასწიონ რევოლუცია.

«სოლდატსკაია პრავდა» № 42,
1917 წ. 13 ივნისი.

ხელმოწერა: კ. სტალინი.

დაჭსაჭსული დემონსტრაციების წინააღმდეგ

რამდენიმე დღის წინათ დროებითმა მთავრობამ დაადგინა გაეწმინდა დურნოვოს აგარაკი ანარქისტებისაგან. ამ, ძირიანად არასწორმა, დადგენილებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მუშებში. ეჭვს გარეშეა, მუშებმა ამ დადგენილებაში დაინახეს ამა თუ იმ ორგანიზაციის არსებობის უფლების ხელყოფა. ჩვენ პრინციპულად წინააღმდეგი ვართ ანარქისტებისა, მაგრამ, რამდენადაც ანარქისტებს მუშების თუნდაც მცირე რაოდენობა მიჰყვება, მათ არსებობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც, ვთქვათ, მენშევიკებსა და ესერებს. ამ მხრივ მუშები მართალი იყვნენ, დროებითი მთავრობის მხრივ ხელყოფათა წინააღმდეგ პროტესტს რომ აცხადებდნენ. მით უმეტეს, რომ ანარქისტების გარდა აგარაკით სარგებლობენ კიდევ რამდენიმე ჭარხანა და პროფესიული კავშირები.

მკითხველებმა იციან, რომ მუშებმა თავისი პროტესტის შედეგად მიაღწიეს დათმობას დროებითი მთავრობის მხრივ, — აგარაკი შეინარჩუნეს.

ახლა ირკვევა, რომ დურნოვოს აგარაკზე «ეწყობა» მუშების ახალი გამოსვლა. ჩვენ გვატყობინებენ, რომ

დურნოვოს აგარაკზე იმართება საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელთა კრებები, ანარქისტების მეთაურობით, იმ მიზნით, რომ დღეს მოეწყოს დემონსტრაცია. **თუ ეს მართალია,** მაშინ ჩვენ ვაცხადებთ, რომ პირდაპირ გადაჭრით **ვგმობთ** ყოველგვარ დაქსაქსულ, ანარქიულ გამოსვლებს. ცალკეული რაიონებისა და პოლკების დემონსტრაციები, ანარქისტთა მეთაურობით, რომელნიც მომენტის პირობებში ვერ ერკვევიან, დემონსტრაციები, რომლებსაც აწყობენ რაიონებისა და პოლკების უმრავლესობის ნების წინააღმდეგ, კავშირების ბიუროებისა და საქარხნო კომიტეტთა ცენტრალური საბჭოს ნების წინააღმდეგ, დასასრულ, პროლეტარიატის სოციალისტური პარტიის ნების წინააღმდეგ, — ასეთი ანარქიული დემონსტრაციები ჩვენ მიგვაჩნია **დამღუპველად მუშათა რევოლუციის საქმისათვის.**

შეიძლება და საჭიროც არის დავიცვათ ორგანიზაციების არსებობის უფლება, მათ შორის ანარქისტებსაც, როდესაც მათ უთავშესაფროდ დატოვებას უპირებენ. მაგრამ ანარქისტებთან შეერთება და მათთან ერთად წინდაუხედავი გამოსვლების წამოწყება, რომლებიც წინასწარ განწირულია მარცხისათვის, — ეს შეუწყნარებელია და დანაშაულია შეგნებული მუშების მხრივ.

დაე ამხანაგმა მუშებმა და ჯარისკაცებმა კარგად მოიფიქრონ: ვინ არიან ისინი, სოციალისტები თუ ანარქისტები, და თუ ისინი სოციალისტები არიან — გადაწყვიტონ, შეუძლიათ თუ არა ანარქისტებთან ხელიხელჩაკიდებულნი წავიდნენ აშკარად მოუფიქრებელ გამოსვლებზე, ჩვენი პარტიის დადგენილების წინააღმდეგ.

ამხანაგებო! 10 ივნისს დემონსტრაციის გაჩართვის ცდით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა და საბჭოების ყრილობამ [30] აღიარეს დემონსტრა-

ციის აუცილებლობა. თქვენ ალბათ იცით, რომ საბჭოების ყრილობამ 18 ივნისისათვის დანიშნა საყოველთაო დემონსტრაცია და წინასწარ გამოაცხადა ლოზუნგების თავისუფლება.

ახლა ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ დემონსტრაცია პეტროგრადში 18 ივნისს ჩვენი რევოლუციური ლოზუნგებით ჩატარდეს.

და სწორედ ამიტომ ძირშივე უნდა აღვკვეთოთ ყოველგვარი ანარქიული გამოსვლები, რათა მით უფრო ენერგიულად მოვემზადოთ 18 ივნისის დემონსტრაციისათვის.

დაქსაქსული დემონსტრაციების **წინააღმდეგ**, 18 ივნისის საყოველთაო დემონსტრაციისათვის — აი რისკენ მოგიწოდებთ ჩვენ.

ამხანაგებო! დრო ძვირფასია — მაშ ნუ დაკარგავთ ნურც ერთ წუთს! ყოველმა ქარხანამ, ყოველმა რაიონმა, ყოველმა პოლკმა და ასეულმა მოამზადოს თავისი დროშები რევოლუციური პროლეტარიატის ლოზუნგებით. ყველანი მუშაობაში ჩაებით, ამხანაგებო, ყველანი ემზადეთ 18 ივნისის დემონსტრაციისათვის.

ანარქიული გამოსვლების წინააღმდეგ, საერთო დემონსტრაციისათვის პროლეტარიატის პარტიის დროშით — ასეთია ჩვენი მოწოდება.

«პრავდა» № 81,
1917 წ. 14 ივნისი.

ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

პეტროზავოდის მუნიციპალური არჩევნებისათვის

რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნები პეტროზავოდში (12 რაიონი) უკვე დამთავრდა. ციფრობრივი და სხვა მასალების საერთო შენაჯამი ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა; მიუხედავად ამისა, რაიონებიდან მიღებულ ზოგიერთ მონაცემთა მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგის საერთო სურათი.

მილიონზე მეტი ამომრჩევლიდან საარჩევნო უფლება განახორციელა 800 000-მდე კაცმა. საშუალოდ 70 პროცენტმა. ეს სრულებითაც არ არის «საშიში» აბსენტეიზმი. საარჩევნო ხაზს იქით დარჩნენ ისეთი რაიონების ყველაზე უფრო მუშური უბნები, როგორიც არის ნევისა და ნარვის რაიონები (გარეუბნები), რომლებიც ჯერ კიდევ შეერთებული არ არიან ქალაქთან.

საარჩევნო ბრძოლა გაჩაღდა არა ადგილობრივი მუნიციპალური მოთხოვნების ირგვლივ, როგორც ეს «ჩვეულებრივ» ხდება ევროპაში, არამედ ძირითადი პოლიტიკური პლატფორმების გამო. და ეს სავსებით გასაგებია. არაჩვეულებრივი რევოლუციური შენჯღრევის მომენტში, რომელიც გართულებულია ომითა და ნგრევით, როდესაც

კლასობრივი წინააღმდეგობანი უკიდურეს ზომამდე გაშიშვლდნენ, სრულებით წარმოუდგენელი იყო საარჩევნო ბრძოლაში ადგილობრივ საკითხებზე შეჩერება, — ადგილობრივი საკითხების განუყრელ კავშირს ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობის საკითხებთან გარდუვალად უნდა ეჩინა თავი.

ამიტომ არჩევნებში მთავარ კონკურენტებად გამოვიდა სამი სია, სამი ძირითადი პოლიტიკური პლატფორმის რიცხვის მიხედვით: კადეტებისა, ბოლშევიკებისა და ობორონცებისა (ნაროდნიკების, მენშევიკების, «ედინსტვოს» ბლოკი). უპარტიო ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკურ გაურკვევლობასა და უპროგრამობას გამოხატავენ, ასეთ ვითარებაში გარდუვალად უნდა ქცეულიყვნენ და კიდევაც იქცნენ არარაობად.

ამომრჩეველს არჩევანი უნდა მოეხდინა:

ან უკან, პროლეტარიატთან კავშირის გაწყვეტისათვის, რევოლუციის წინააღმდეგ «გადამწყვეტი ზომებისათვის» **(კადეტები)**;

ან წინ, ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტისათვის, კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის, რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის **(ბოლშევიკები)**;

ან ბურჟუაზიასთან შეთანხმებისათვის, რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის მანევრირების პოლიტიკისათვის, ე. ი. არც წინ, არც უკან **(ობორონცების — მენშევიკებისა და ესერების ბლოკი)**.

ამომრჩეველმა მოახდინა არჩევანი. 800 000 ხმიდან ობორონცების ბლოკს მხარი დაუჭირა 400 000-ზე მეტმა; კადეტებს — 160 000-ზე ცოტა მეტმა, ამასთან მათ არც ერთ რაიონში უმრავლესობა არ მიუღიათ; ბოლშევიკებს — 160 000-ზე მეტმა, ამასთან დედაქალაქის ყველაზე პროლეტარულ რაიონში, ვიბორგის მხარეზე, ბოლშევიკებმა

აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს. ხმების დანარჩენი **(უმნიშვნელო)** რაოდენობა განაწილდა ოცდაათ «უპარტიო», «ზეპარტიულ» და ყოველნაირ სხვა შემთხვევითს ჯგუფსა და წარმონაქმნს შორის.

ასეთია ამომრჩევლის პასუხი.

რას მოწმობს იგი?

პირველი, რაც თვალში გეცემათ, — ეს არის უპარტიო ჯგუფების სისუსტე და უმწეობა. არჩევნებმა საბოლოოდ ამხილა ზღაპარი რუსი ობივატელის უპარტიო «ბუნების» შესახებ. პოლიტიკური ჩამორჩენილობა, რომელიც ასაზრდოებდა უპარტიო ჯგუფებს, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა. მასობრივი ამომრჩეველი გარკვევით დაადგა **აშკარა** პოლიტიკური ბრძოლის გზას.

მეორე თავისებურებაა კადეტების სრული დამარცხება. რარიგაც უნდა ყალთაბანდობდნენ კადეტები, მათ უნდა აღიარონ, რომ პირველ აშკარა ბრძოლაში **არჩევნების თავისუფლების** დროს ისინი სასტიკად დამარცხდნენ, თავის განკარგულებაში ვერ მიიღეს **ვერც ერთი** რაიონული თვითმმართველობა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ კადეტები პიტერს თავიანთ სამფლობელოდ თვლიდნენ. ისინი არაერთხელ წერდნენ თავიანთ მოწოდებებში, პეტროგრადი «ნდობას უცხადებს მხოლოდ ხალხის თავისუფლების პარტიასო», ამასთან მიუთითებდნენ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე სამი ივნისის კანონის მიხედვით. ახლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ კადეტები პიტერში მეფობდნენ მეფისა და მისი საარჩევნო კანონის წყალობით. საჭმარისი იყო გამქრალიყო ძველი რეჟიმი, და — კადეტებს მყისვე გამოეცალათ ნიადაგი.

მოკლედ: მასობრივი დემოკრატიული ამომრჩეველი კადეტების მომხრე არ არის.

მესამე თავისებურებაა ჩვენი ძალების, ჩვენი პარტიის ძალების გამორკვეული უეჭველი ზრდა. ჩვენი პარტიის წევრები პიტერში 23 — 25 ათასია; «პრავდის» ტირაჟია 90 — 100 ათასი, აქედან 70 000 მარტო პიტერზე მოდის; არჩევნებში კი ჩვენ მივიღეთ 160 000-ზე მეტი ხმა, ე. ი. პარტიის წევრთა რაოდენობაზე შვიდჯერ მეტი და პიტერში «პრავდის» ტირაჟზე ორჯერ მეტი. და ეს იმ ჯოჯოხეთურ ღრიანცელში და ბოლშევიკების დევნაში, რითაც ობივატელი ტერორჩვეშ დააყენა მთელმა ეგრეთწოდებულმა პრესამ ბულვარული «ბირჟოვკიდან» და «ვეჩორკიდან» სამინისტრო «ვოლია ნაროდამდე»[31] და «რაბოჩაია გაზეტამდე». რაღა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ჩვენი პარტიისათვის ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ ყველაზე მტკიცე, რევოლუციურ ელემენტებს, რომელნიც «საშინელებებს» არ უფრთხიან. ასეთები არიან, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციის ბელადი, პროლეტარიატი, რომელმაც ჩვენ მოგვცა უმრავლესობა ვიბორგის თვითმმართველობაში, და შემდეგ პროლეტარიატის ყველაზე ერთგული მოკავშირენი, რევოლუციური პოლკები. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალმა არჩევნებმა ყუთებთან მიიზიდა მოსახლეობის ახალი, პოლიტიკურ ბრძოლაში ჯერ კიდევ გამოუცდელი, ფართო ფენები. ესენი არიან, უწინარეს ყოვლისა, ქალები და შემდეგ ათეულათასობით წვრილი მოხელენი, რომლებითაც ავსებულია სამინისტროები, შემდეგ კი დიდძალი «მდაბიო ხალხი», ხელოსნები, მედუქნეები და სხვ. ჩვენ სრულებითაც არ ვვარაუდობდით და არც შეგვეძლო გვევარაუდნა, რომ ეს ფენები შეძლებენ ახლავე გაწყვიტონ კავშირი «ძველ სამყაროსთან» და გადაჭრით დაადგნენ რევოლუციური პროლეტარიატის თვალსაზრისს. ხოლო არსებითად ხომ მათ გადაწყვიტეს არჩევნების ბედი. თუ მათ შეძლეს ზურგი შეექციათ

კადეტებისათვის, — ისინი კი სწორედ ასე მოიქცნენ, — ეს უკვე დიდი პროგრესია.

მოკლედ: მასობრივი ამომრჩეველი **უკვე** ჩამოშორდა კადეტებს, მაგრამ იგი **ჯერ კიდევ** არ მოსულა ჩვენს პარტიასთან, — იგი შუაგზაზე შეჩერდა. სამაგიეროდ ჩვენი პარტიის გარშემო **უკვე** დაირაზმნენ ყველაზე გაბედული ელემენტები: რევოლუციური პროლეტარები და რევოლუციური ჯარისკაცები.

მასობრივი ამომრჩეველი შუაგზაზე შეჩერდა. და, რაკი შეჩერდა, მან ჰპოვა იქ, შუაგზაზე, შესაფერი ბელადი — მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების ბლოკი. წვრილბურჟუაზიულმა ამომრჩეველმა, რომელიც თანამედროვე მდგომარეობაში ვერ გაერკვა და პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის მერყეობს, რაკი გული აუცრუვდა კადეტებზე, ბუნებრივად გაიწია საბოლოოდ თავგზააბნეულ და რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის უმწეოდ მოქანავე მენშევიკებისა და სოც.-რევოლუციონერებისაკენ. გულმა გული იცნო! ამაშია ობორონცების ბლოკის «ბრწყინვალე გამარჯვების» მთელი აზრი. ამაშივეა არჩევნების მეოთხე თავისებურება. ეჭვს გარეშეა, რომ რევოლუციის შემდგომი ზრდის მიხედვით ბლოკის ჭრელი არმია გარდუვალად იწყებს დნობას, ნაწილობრივ წავა უკან, კადეტებისაკენ, ნაწილობრივ — წინ, ჩვენი პარტიისაკენ. მაგრამ ჯერჯერობით... ჯერჯერობით ბლოკის ბელადებს შეუძლიათ თავი ინუგეშონ «გამარჯვებით».

დასასრულ, არჩევნების მეხუთე და უკანასკნელი თავისებურებაა — უკანასკნელი არა თავისი მნიშვნელობით! — ის, რომ არჩევნებმა კონკრეტულად დააყენა ქვეყანაში ძალაუფლების საკითხი. არჩევნებმა საბოლოოდ გამოარკვია, რომ კადეტები უმცირესობაა, ვინაიდან მათ

ძლივს შეაგროვეს ხმების 20%. უდიდესმა უმრავლესობამ, 70%-ზე მეტმა, ხმა მისცა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის სოციალისტებს, ე. ი. ესერებსა და მენშევიკებს და ბოლშევიკებს. ამბობენ, რომ პეტროგრადის მუნიციპალური არჩევნები დამფუძნებელი კრების მომავალი არჩევნების პირველსახეა. მაგრამ თუ ეს ასეა, განა საოცარი შეუსაბამობა არ არის, რომ კადეტებს, რომლებიც ქვეყანაში უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, უდიდესი უმრავლესობა ჰყავთ დროებით მთავრობაში? როგორ შეიძლება დროებით მთავრობაში კადეტების ბატონობის შეწყნარება, როდესაც მოსახლეობის **უმრავლესობა** აშკარა უნდობლობას იჩენს კადეტებისადმი? განა ეს შეუსაბამობა არ არის მიზეზი იმ მზარდი უკმაყოფილებისა დროებითი მთავრობით, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს ჩვენს ქვეყანაში?

განა ცხადი არ არის, რომ ამ შეუსაბამობის შემდგომ დატოვება არაგონივრულიც არის და არადემოკრატიულიც?

«რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ბიულეტენები» № 1, 1917 წ. 15 ივნისი.

ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

პეტროგრადის ყველა მუშათა და ჯარისკაცის[32]

ამხანაგებო!

მძიმე განსაცდელშია რუსეთი.

ომი, რომელიც აურაცხელ მსხვერპლს იწირავს, კვლავ გრძელდება. მას განზრახ აჭიანურებენ **ავაზაკები, სისხლისმსმელი ბანკირები,** რომლებიც ომით მდიდრდებიან.

ომით გამოწვეული სამრეწველო ნგრევა იწვევს ქარხნების გაჩერებას, უმუშევრობას. მას განზრახ ამწვავებენ ზღაპრული მოგების მიღებას დახარბებული **მელოკაუტე-კაპიტალისტები.**

სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა, რაც გამოწვეულია ომით, სულ უფრო და უფრო საშიში ხდება. სიძვირე სულს უხუთავს ქალაქის ღარიბ მოსახლეობას. ფასები კი სულ მატულობს **მაროდიორ-სპეკულანტების** ჟინის დასაკმაყოფილებლად.

შიმშილისა და გაღატაკების ავბედითი აჩრდილი დაგვტრიალებს თავს...

ამავე დროს კონტრრევოლუციის შავი ღრუბლები გვიახლოვდება.

სამი ივნისის სათათბირო, რომელიც მეფეს ეხმარებოდა ხალხის ჩაგვრაში, ახლა მოითხოვს დაუყოვნებლივ შეტევას ფრონტზე, — რისთვის? იმისათვის, რომ სისხლში ჩაახრჩოს მოპოვებული თავისუფლება «მოკავშირე» და რუსი მძარცველების საამებლად.

სახელმწიფო საბჭო, რომელიც მეფეს აძლევდა მინისტრ-ჩამომხრჩობებს, ფარულად გრეხს მუხანათურ თოკს, — რისთვის? იმისათვის, რომ მოხერხებულ წუთში ხალხს წაუჭიროს ის ყელში «მოკავშირე» და რუსი მჩაგვრელების საამებლად.

დროებითი მთავრობა კი, რომელიც დაყენებულია მეფის სათათბიროსა და დეპუტატთა საბჭოს შორის, 10 ბურჟუათი თავის შემადგენლობაში, აშკარად ექცევა მემამულეებისა და კაპიტალისტების გავლენის ქვეშ.

ჯარისკაცების უფლებათა უზრუნველყოფის ნაცვლად— კერენსკის «დეკლარაცია», რომელიც ამ უფლებებს არღვევს.

იმ თავისუფლებათა განმტკიცების ნაცვლად, რაც ჯარისკაცებმა რევოლუციის დღეებში მოიპოვეს, — ახალი «ბრძანებანი», რომლებიც კატორღითა და ნაწილების დაშლით იმუქრებიან.

რუსეთის მოქალაქეების მიერ მოპოვებული თავისუფლების უზრუნველყოფის ნაცვლად, — ყაზარმაში პოლიტიკური ძიების დაწესება, დაპატიმრებანი გაუსამართლებლად და გამოუძიებლად, ახალი განზრახულობანი 129-ე მუხლისათვის, რომელიც კატორღით იმუქრება.

ხალხის შეიარაღების ნაცვლად, — მუშათა და ჯარისკაცთა განიარაღების მუქარა.

ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ნაცვლად, — შარის მოდება ფინეთისა და უკრაინისათვის, მათთვის თავისუფლების მიცემის შიში.

კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი ბრძოლის ნაცვლად, — წაყრუება კონტრრევოლუციონერთა თარეშისადმი. რომელნიც აშკარად იარაღდებიან რევოლუციასთან საბრძოლველად...

ომი კი კვლავ წარმოებს, და მის შესაწყვეტად, **ყველა** ხალხთათვის სამართლიანი ზავის შესათავაზებლად არავითარ რეალურ, სერიოზულ ზომებს არ იღებენ.

ნგრევა კი სულ მატულობს, და მის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ მიმართავენ.

შიმშილი კი სულ უფრო ახლოვდება, და მის წინააღმდეგ არავითარ რეალურ ზომებს არ იღებენ.

განა შეიძლება გაგვიკვირდეს, რომ კონტრრევოლუციონერები უფრო და უფრო თავხედდებიან, აქეზებენ მთავრობას ახალი რეპრესიებისათვის მუშებისა და გლეხების, ჯარისკაცებისა და მატროსების წინააღმდეგ.

ამხანაგებო! ასეთი წესების მდუმარედ მოთმენა აღარ შეიძლება! ყოველივე ამის შემდეგ დუმილი დანაშაულია!

თქვენ თავისუფალი მოქალაქენი ხართ, თქვენ უფლება გაქვთ პროტესტი განაცხადოთ, და უნდა ისარგებლოთ თქვენი ამ უფლებით, სანამ გვიან არ არის.

დაე ხვალინდელი დღე (18 ივნისი), მშვიდობიანი მანიფესტაციის დღე, გადაიქცეს რევოლუციური პეტროგრადის მრისხანე პროტესტის დღედ იმ ჩაგვრისა და თვითნებობის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ ცოცხლდება!

დაე აფრიალდნენ ხვალ ძლევის დროშები თავისუფლებისა და სოციალიზმის მტერთა თავზარდასაცემად!

დაე თქვენმა მოწოდებამ, რევოლუციის მებრძოლთა მოწოდებამ, მთელ მსოფლიოს შემოუქროლოს ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა სასიხარულოდ!

იქ, დასავლეთში, მეომარ ქვეყნებში, უკვე დგება ახალი ცხოვრების გარიჟრაჟი, დიდი მუშური რევოლუციის

გარიჟრაჟი. დაე გაიგონ ხვალ თქვენმა ძმებმა დასავლეთში, რომ თქვენი დროშებით თქვენ მიგაქვთ მათთვის არა ომი, — არამედ ზავი, არა დამონება, — არამედ განთავისუფლება!

მუშებო! ჯარისკაცებო! მიეცით ერთმანეთს ძმური ხელი და — წინ სოციალიზმის დროშისაკენ!

ყველანი ქუჩაში, ამხანაგებო!

მჭიდრო რკალად დაირაზმეთ თქვენი დროშების გარშემო!

მწყობრი რიგებით გამართეთ მსვლელობა დედაქალაქის ქუჩებში!

დინჯად და მტკიცე რწმენით განაცხადეთ თქვენი სურვილები:

ძირს კონტრრევოლუცია!

ძირს მეფის სათათბირო!

ძირს სახელმწიფო საბჭო!

ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი!

მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!

გადაისინჯოს «ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაცია»!

გაუქმდეს ჯარისკაცებისა და მატროსების წინააღმდეგ გამოცემული «ბრძანებანი»!

ძირს რევოლუციური მუშების განიარაღება!

გაუმარჯოს სახალხო მილიციას!

ძირს ანარქია მრეწველობაში და მელოკაუტე-კაპიტალისტები!

გაუმარჯოს წარმოებისა და განაწილების კონტროლსა და ორგანიზაციას!

შეტევის პოლიტიკის წინააღმდეგ!

დროა გათავდეს ომი! დაე გამოაცხადოს დეპუტატთა საბჭომ ზავის სამართლიანი პირობები!

არც სეპარატული ზავი ვილჰელმთან, არც ფარული ხელშეკრულებანი საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალისტებთან!

პარის ზავის თავისუფლებას

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი
რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი
რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
საგხედრო ორგანიზაცია
ქ. პეტროგრადის საფაბრ.-საქარხნო კომიტეტების
ცენტრ. საბჭო
გოლშევიკთა ფრაქცია პეტროგრადის მ. და მ.-ქ.
დეპ. საბჭოში

«პრავდის» რედაქცია
«სოლდატსკაია პრავდის» რედაქცია

«პრავდა» № 84,
1917 წ. 17 ივნისი

დემონსტრაციაზე

ნათელი, მზიანი დღე. დემონსტრანტთა დაუსრულებელი წყება. მსვლელობა მიემართება მარსის ველისაკენ დილიდან საღამომდე. დროშების დაუსრულებელი ტყე. ყველა საწარმო და დაწესებულება დახურულია. მოძრაობა შეჩერებულია. საფლავებთან გავლისას დემონსტრანტები დროშებს დაბლა ხრიან. «მარსელიოზასა» და «ინტერნაციონალს» ცვლის «მსხვერპლად დაეცით». შეძახილებისაგან ჰაერში გუგუნი დგას. დროგამოშვებით გაისმის: «ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი!», «მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს!». პასუხად ყოველი მხრიდან მოისმის ხმამაღალი მოწონების «ვაშა!».

დემონსტრაციას თვალს რომ გადაავლებთ, ერთი რამ გეცემათ თვალში, — არ ჩანან ბურჟუაზია და თანამგზავრები. დაკრძალვის დღის მანიფესტაციისაგან განსხვავებით, როდესაც მუშები არ ჩანდნენ ობივატელთა და წვრილ ბურჟუათა ზღვაში, 18 ივნისის დემონსტრაცია წმინდა პროლეტარული დემონსტრაცია იყო, ვინაიდან მისი მთავარი მონაწილენი მუშები და ჯარისკაცები იყვნენ. კადეტებმა დემონსტრაციის წინადღესვე **ბოიკოტი გამოაცხადეს.**

თავიანთი ცენტრალური კომიტეტის საშუალებით გაანაცხადეს, საჭიროა დემონსტრაციაში მონაწილეობისაგან «თავის შეკავებაო». და, მართლაც, ბურჟუები არათუ არ მონაწილეობდნენ, — ისინი პირდაპირ დაიმალნენ. ნევის პროსპექტზე, სადაც ჩვეულებრივად დიდძალი ხალხი ირევა და ჟრიამული დგას, ამ დღეს ბურჟუაზიულ მუდმივ მოხეტიალეთა ჭაჭანებაც არ იყო.

მოკლედ. ეს იყო ნამდვილი **პროლეტარული** დემონსტრაცია რევოლუციური მუშებისა, რომლებსაც მიჰყვებიან რევოლუციური ჯარისკაცები.

მუშებისა და ჯარისკაცების **კავშირი** გაქცეული ბურჟუების **წინააღმდეგ** ობივატელის ნეიტრალიტეტის **პირობებში** — ასეთია 18 ივნისის მსვლელობის გარეგანი სახე.

არა მანიფესტაცია, არამედ დემონსტრაცია

18 ივნისის მსვლელობა არ იყო უბრალო გასეირნება, მანიფესტაცია-პარადი, როგორიც უთუოდ იყო მანიფესტაცია დაკრძალვის დღეს. ეს იყო საპროტესტო დემონსტრაცია, რევოლუციის ცოცხალი ძალების დემონსტრაცია, ძალთა თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებაზე გაანგარიშებული. მეტად დამახასიათებელია, რომ დემონსტრანტები მარტო თავიანთი ნების გამოცხადებით კი არ დაკმაყოფილდნენ, არამედ მოითხოვეს ამხ. ხაუსტოვის *, «ოკოპნაია პრავდის» [33] ყოფილი თანამშრომლის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. ჩვენ ვლაპარაკობთ დემონსტრაციის მონაწილე ჩვენი პარტიის სამხედრო ორგანიზაციების სრულიად რუსეთის კონფერენციაზე, რომელმაც მოსთხოვა აღმასრულებელ კომიტეტს, ჩხეიძის სახით,

* პრაპორშჩიკი, ს.-დ. ბოლშევიკი, ს.-დ. მენშევიკ მუშის, IV სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრის თანამოგვარე.

ამხ. ხაუსტოვის განთავისუფლება, ამასთან ჩხეიძე დაჰპირდა, რომ ყველა ზომას მიიღებდა მისი «დღესვე» განთავისუფლებისათვის.

მთელი ხასიათი ლოზუნგებისა, რომლებიც გამოხატავენ პროტესტს დროებითი მთავრობის «ბრძანებათა» წინააღმდეგ, მთელი მისი პოლიტიკის წინააღმდეგ, უეჭველად მოწმობს იმას, რომ «მშვიდობიანი მანიფესტაცია», რომლისთვისაც უნდოდათ უწყინარი გასეირნების ხასიათი მიეცათ, გადაიქცა არსებულ მთავრობაზე ზემოქმედების მძლავრ დემონსტრაციად.

უნდობლობა დროებით მთავრობას

თვალში გეცემათ ერთი თავისებურება: არც ერთ ქარხანას, არც ერთ ფაბრიკას, არც ერთ პოლკს არ წამოუყენებია ლოზუნგი «ნდობა დროებით მთავრობას». მენშევიკებსა და ესერებსაც კი **დაავიწყდათ** (უფრო კი ვერ გაბედეს!) ამ ლოზუნგის წამოყენება. მათ ჰქონდათ ყველაფერი, რაც გნებავთ: «ძირს გათიშვა», «ერთობისათვის», «მხარდაჭერა საბჭოს», «საყოველთაო სწავლებისათვის» (თუ არ მოგწონს, ყურს ნუ უგდებ), — არ ჰქონდათ მხოლოდ მთავარი — წამოყენებული არ ჰქონდათ **ნდობა** დროებითი მთავრობისადმი, თუნდაც თაღლითური შენიშვნით «იმდენად — რამდენადაც». მხოლოდ სამმა ჯგუფმა გაბედა ნდობის ლოზუნგის წამოყენება, მაგრამ მათაც ეს სანანებლად გაუხდათ. ესენი იყვნენ კაზაკთა ჯგუფი, ბუნდის ჯგუფი და პლეხანოვის «ედინსტვოს» ჯგუფი. «წმინდა სამებაო», — ოხუნჯობდნენ მუშები მარსის ველზე. ორი მათგანი მუშებმა და ჯარისკაცებმა აიძულეს დაეკეცათ დროშა (ბუნდი და «ედინსტვო») შეძახილებით «ძირს». იმ კაზაკებს, რომლებიც არ დათანხმდნენ დაეკეცათ დროშა, ეს უკანასკნელი დაუხიეს. ხოლო ერთი უსახელო დროშა

«ნდობით», რომელიც გადაჭიმული იყო «ჰაერში» მარსის ველის შესასვლელის გარდიგარდმო, ჯარისკაცებისა და მუშების ჯგუფებმა მოსპო, რასაც საზოგადოება შეეგება მოწონების შენიშვნებით: «დროებითი მთავრობისადმი ნდობა **ჰაერში დაეკიდაო».**

მოკლედ. მთავრობისადმი უნდობლობა დემონსტრანტების უდიდესი უმრავლესობის მხრივ, ამასთან მენშევიკებისა და ესერების აშკარა გაუბედაობა — გამოსულიყვნენ «დინების წინააღმდეგ» — ასეთია დემონსტრაციის საერთო ტონი.

შეთანხმების პოლიტიკის კრახი

ლოზუნგებში ყველაზე პოპულარული იყო: «მთელი ძალაუფლება საბჭოს», «ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი», «არც სეპარატული ზავი ვილჰელმთან, არც ფარული ხელშეკრულებანი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან», «გაუმარჯოს წარმოების კონტროლსა და ორგანიზაციას», «ძირს სათათბირო და სახელმწიფო საბჭო», «გაააუქმეთ ჯარისკაცთა წინააღმდეგ გამოცემული ბრძანებანი», «გამოაცხადეთ ზავის სამართლიანი პირობები» და სხვა. დემონსტრანტთა უდიდესი უმრავლესობა ჩვენი პარტიისადმი სოლიდარული აღმოჩნდა. ისეთი პოლკებიც კი, როგორიც არიან ვოლინისა, კექსჰოლმისა, გამოვიდნენ ლოზუნგებით: «მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს!». აღმასრულებელი კომიტეტის უმრავლესობის წევრები, რომლებსაც საქმე აქვთ არა ჯარისკაცთა მასასთან, არამედ საპოლკო კომიტეტებთან, გულწრფელად განცვიფრებული აღმოჩნდნენ ამ «მოულოდნელობით».

მოკლედ. დემონსტრანტთა უდიდესმა უმრავლესობამ (სულ 400 — 500 ათასი მონაწილე იყო) პირდაპირი უნდობ-

ლობა გამოუცხადა ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას — დემონსტრაციამ ჩვენი პარტიის რევოლუციური ლოზუნგებით ჩაიარა.

ეჭვი შეუძლებელია: ზღაპარი ბოლშევიკების «შეთქმულების» შესახებ საბოლოოდ მხილებულია. პარტიას, რომელიც დედაქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა უდიდესი უმრავლესობის ნდობით სარგებლობს, «შეთქმულებები» არ ესაჭიროება. მხოლოდ უწმინდურ სინდისს ან პოლიტიკურ უვიცობას შეეძლო ეკარნახა «უმაღლესი პოლიტიკის შემოქმედთათვის» «იდეა» ბოლშევიკური «შეთქმულების» შესახებ.

«პრავდა» № 86,
1917 წ. 20 ივნისი
ხელმოწერა: კ. ს ტ.

შეამჩიდროეთ რიგები

3 — 4 ივლისის ამბები გამოწვეულია საერთო კრიზისით ჩვენს ქვეყანაში. გაჭიანურებულმა ომმა და საერთო მოქანცვამ, უმაგალითო სიძვირემ და შიმშილობამ, მზარდმა კონტრრევოლუციამ და ეკონომიურმა ნგრევამ, ფრონტზე პოლკების დაშლამ და მიწის საკითხის გადაჭრის გაჭიანურებამ. საერთო ნგრევამ ჩვენს ქვეყანაში და იმ გარემოებამ, რომ დროებით მთავრობას უნარი არ შესწევს გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან, — აი რამ გამოიყვანა მასები ქუჩაში 3 — 4 ივლისს.

ამ გამოსვლის ახსნა ამა თუ იმ პარტიის მზაკვრული აგიტაციით — ნიშნავს იმას, რომ დაადგე ოხრანკელთა თვალსაზრისს, რომელნიც მზად არიან «მოთავეთა» და «წამქეზებელთა» შთაგონებით ახსნან ყოველი მასობრივი მოძრაობა.

არც ერთი პარტია — მათ შორის არც ბოლშევიკები — 3 ივლისის გამოსვლისაკენ არ მოუწოდებდა. უფრო მეტიც. პეტროგრადში ყველაზე გავლენიანი პარტია — ბოლშევიკების პარტია — ჯერ კიდევ 3 ივლისს მოუწოდებდა მუშებსა და ჯარისკაცებს თავშეკავებისაკენ. ხოლო როდესაც მოძრაობამ მაინც იფეთქა, ჩვენმა პარტიამ, რომელიც თვლიდა, რომ უფლება არ ჰქონდა ხელი დაებანა, ყოველივე შესაძლებელი გააკეთა, რათა მოძრაობისათვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა.

მაგრამ კონტრრევოლუციას არ ეძინა. მან მოაწყო პროვოკაციური სროლა, მან სისხლისღვრით მოშხამა დემონსტრაციის დღეები და, ფრონტიდან ჩამოყვანილ ზოგიერთ სამხედრო ნაწილზე დაყრდნობით, შეტევაზე გადავიდა რევოლუციის წინააღმდეგ. კონტრრევოლუციის ბირთვი, კადეტების პარტია, თითქოს ყოველივე ამას ითვალისწინებდაო, წინასწარ გამოვიდა მთავრობიდან და ხელ-ფეხი გაიხსნა. ხოლო აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა მენშევიკებმა და ესერებმა, იმის სურვილით, რომ შერყეული პოზიციები შეენარჩუნებინათ, საბჭოების სრულძალაუფლებიანობისათვის გამართული დემონსტრაცია ვერაგულად გამოაცხადეს აჯანყებად საბჭოების წინააღმდეგ და რევოლუციურ პეტროგრადს მიუსიეს ფრონტიდან გამოწვეული ჯარის ნაწილების ჩამორჩენილი ფენები. ფრაქციული ფანატიზმით დაბრმავებულებმა, მათ ვერ შეამჩნიეს, რომ რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცებისათვის ლახვრის ჩაცემით ისინი ასუსტებენ რევოლუციის მთელ ფრონტს, ფრთებს ასხამენ კონტრრევოლუციის იმედებს.

შედეგი — კონტრრევოლუციის თარეში და სამხედრო დიქტატურა.

«პრავდისა» და «სოლდატსკაია პრავდის» [34] დარბევა, სტამბა «ტრუდისა» [35] და ჩვენი რაიონული ორგანიზაციების დარბევა, ცემა-ტყეპა და მკვლელობანი, გაუსამართლებლად დაპატიმრება და მთელი რიგი «თვითნებური» ანგარიშგასწორება, საზიზღარ მაძებართა ბილწი ცილისწამება ჩვენი პარტიის ბელადების მიმართ და მოსყიდული გაზეთების კალმოსან ავაზაკთა თარეში, რევოლუციური მუშების განიარაღება და პოლკების დაშლა, სიკვდილით დასჯის აღდგენა, — აი სამხედრო დიქტატურის «მუშაობა»

ყოველივე ეს ხდება «რევოლუციის ხსნის» დროშით, კერენსკი-წერეთლის «სამინისტროს» «ბრძანებით», სამინისტროსი, რომელსაც მხარს უჭერს სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი. ამასთან, სამხედრო დიქტატურის მიერ დაშინებული მმართველი პარტიები ესერებისა და მენშევიკებისა გულმშვიდად უგდებენ რევოლუციის მტრებს ხელში პროლეტარული პარტიის ბელადებს, ჩქმალავენ რბევასა და უწესობას, წინააღმდეგობას არ უწევენ «თვითნებურად» ანგარიშის გასწორებას.

დროებითი მთავრობის ჩუმი შეთანხმება კონტრრევოლუციის შტაბთან, კადეტთა პარტიასთან, აღმასრულებელი კომიტეტის აშკარა წაყრუებით, პეტროგრადის რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ — აი როგორია ახლა სურათი.

და რაც უფრო დამთმობი არიან მმართველი პარტიები, მით უფრო თავხედი ხდებიან კონტრრევოლუციონერები. ბოლშევიკთა წინააღმდეგ იერიშიდან ისინი უკვე გადადიან იერიშზე ყველა საბჭოთა პარტიისა და თვით საბჭოების წინააღმდეგ. არბევენ მენშევიკთა რაიონულ ორგანიზაციებს პეტროგრადის მხარესა და ოხტაზე. არბევენ მელითონეთა კავშირის განყოფილებას ნევის კარის იქით. იჭრებიან პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე და აპატიმრებენ მის წევრებს (დეპუტატი სახაროვი). აწყობენ ნევის პროსპექტზე სპეციალურ ჯგუფებს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების შესაპყრობად. გარკვევით ლაპარაკობენ აღმასრულებელი კომიტეტის გარეკვაზე. აღარას ვამბობთ «შეთქმულებაზე» დროებითი მთავრობის ზოგიერთი წევრისა და აღმასრულებელი კომიტეტის ლიდერების წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციონერების თავხედობა და გამომწვევი მოქმედება ყოველ საათობით იზრდება. დროებითი მთავრობა კი განაგრძობს რევოლუციური მუშებისა და ჯარის-

კაცების განიარაღებას «რევოლუციის ხსნის» ინტერესებისათვის...

ყოველივე ეს ქვეყანაში კრიზისის განვითარების გამო, შიმშილისა და ნგრევის, ომისა და მასთან დაკავშირებულ მოულოდნელობათა გამო — კიდევ უფრო ამწვავებს მდგომარეობას, გარდუვალს ხდის ახალ პოლიტიკურ კრიზისებს.

მზად ვიყოთ მომავალი ბრძოლებისათვის, ღირსეულად და ორგანიზებულად შევხვდეთ ამ ბრძოლებს — ასეთია **ახლა** ამოცანა.

აქედან:

პირველი მცნება — არ ავყვეთ კონტრრევოლუციონერთა პროვოკაციებს, აღვიჭურვოთ სიმტკიცითა და თავდაჭერილობით, დავზოგოთ ძალები მომავალი ბრძოლისათვის, არ დავუშვათ არავითარი ნაადრევი გამოსვლა.

მეორე მცნება — მჭიდროდ დავირაზმოთ ჩვენი პარტიის გარშემო, შევამჭიდროოთ რიგები ჩვენზე ამხედრებულ ურიცხვ მტერთა წინააღმდეგ, მაღლა გვეჭიროს დროშა, გავამხნევოთ სუსტები, შემოვიკრიბოთ ჩამორჩენილნი, გავანათლოთ შეუგნებელნი.

არავითარი შეთანხმება კონტრრევოლუციასთან!

არავითარი ერთობა ჯალათ «სოციალისტებთან».

რევოლუციური ელემენტების კავშირისათვის კონტრრევოლუციისა და მის მფარველთა წინააღმდეგ — ასეთია ჩვენი პაროლი.

«პროლეტარსკოე დელო»
(კრონშტადტი) № 2,
1917 წ. 15 ივლისი.

ხელმოწერა: რუს. სოც.-დემ.
მ. პ. ცენტრ. კომიტეტის
წევრი კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

გამოსვლები რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის ორგანიზაციის საგანგებო კონფერენციაზე

1917 წ. 16 — 20 ივლისი [36]

1. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება ივლისის ამბების შესახებ

16 ივლისს

ამხანაგებო!

ჩვენს პარტიას, განსაკუთრებით ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბრალს სდებენ იმაში, რომ მან გამოიწვია და მოაწყო 3 — 4 ივლისის გამოსვლა იმ მიზნით, რომ აეძულებინა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აეღო ძალაუფლება თავის ხელში, ხოლო თუ არ სურთ ძალაუფლების აღება — თვითონ ჩაეგდო ის ხელში.

უწინარეს ყოვლისა მე უნდა გავაბათილო ეს ბრალდებანი. 3 ივლისს სატყვიამფრქვევო პოლკის ორი წარმომადგენელი შემოიჭრა ბოლშევიკების კონფერენციის სხდომაზე და განაცხადა 1 სატყვიამფრქვევო პოლკის გამოსვლის შესახებ. თქვენ გახსოვთ, როგორ განვუცხადეთ დელეგატებს, რომ პარტიის წევრებს არ შეუძლიათ წავიდნენ თავიანთი პარტიის დადგენილების წინააღმდეგ, და როგორ გამოთქვეს პროტესტი პოლკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი ამჯობინებენ პარტიიდან გასვლას, პოლკის დადგენილების წინააღმდეგ კი არ წავლენ.

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ახლანდელ მდგომარეობაში მუშებისა და ჯარისკაცების გამოსვლა პეტროგრადში მიზანშეუწონლად მიაჩნდა. ცენტრალურ კომიტეტს ეს გამოსვლა მიზანშეუწონლად მიაჩნდა, ვინაიდან ცხადი იყო, რომ მთავრობის მიერ ფრონტზე დაწყებული შეტევა ავანტიურაა, რომ ჯარისკაცები, რაკი არ იციან, თუ რა მიზნებისათვის მიჰყავთ ისინი, შეტევაზე არ წავლენ, რომ პეტროგრადში ჩვენი გამოსვლის შემთხვევაში რევოლუციის მტრებს შეუძლიათ ჩვენ დაგვაკისრონ პასუხისმგებლობა ფრონტზე შეტევის ჩაშლისათვის. ჩვენ გვინდოდა, რომ პასუხისმგებლობა ფრონტზე შეტევის ჩაშლისათვის ამ ავანტიურის ნამდვილ დამნაშავეებს დაჰკისრებოდათ.

მაგრამ გამოსვლა დაიწყო. მეტყვიამფრქვეველებმა ქარხნებში დელეგატები დაგზავნეს. ექვსი საათისათვის ჩვენ მუშათა და ჯარისკაცთა უდიდესი მასების გამოსვლის ფაქტის წინაშე ვიდექით. ხუთ საათზე საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კონფერენციის სახელით მე ოფიციალურად განვაცხადე, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ არ გამოვიდეთ. ამის შემდეგ ჩვენთვის ბრალდების წამოყენება, რომ გამოსვლა მოვაწყეთ, ნიშნავს სიცრუის ლაპარაკს, რაც თავხედ ცილისმწამებლებს შეეფერებათ.

გამოსვლა გაჩაღდა. უფლება ჰქონდა თუ არა პარტიას ხელი დაებანა და განზე გამდგარიყო? თუ გავითვალისწინებთ კიდევ უფრო სერიოზულ გართულებათა შესაძლებლობას, ჩვენ უფლება არ გვქონდა ხელი დაგვებანა,— როგორც პროლეტარიატის პარტია, ჩვენ უნდა ჩავრეულიყავით გამოსვლაში და მიგვეცა მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი, ჩვენ მიზნად არ ვისახავდით შეიარაღებული ძალით ხელში ჩაგვეგდო ძალაუფლება.

მოგაგონებთ ანალოგიურ შემთხვევებს ჩვენი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. 1905 წ. 9 იანვარს, როდესაც გაპონს მასები მეფესთან მიჰყავდა, პარტიას უარი არ განუცხადებია მასასთან ერთად წასვლაზე, თუმცა იცოდა, რომ ეშმაკმა უწყის სად მიდიოდნენ. ახლა, როდესაც მოძრაობა მიდიოდა არა გაპონის ლოზუნგებით, არამედ ჩვენი ლოზუნგებით, ჩვენ მით უმეტეს არ შეგვეძლო ჩამოვშორებოდით მოძრაობას. ჩვენ უნდა ჩავრეულიყავით, როგორც რეგულატორი, როგორც შემკავებელი პარტია, რათა დაგვეცვა მოძრაობა შესაძლო გართულებათაგან.

მენშევიკები და ესერები მუშათა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის პრეტენზიას აცხადებენ, მაგრამ ისინი არ ჰგვანან ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ მუშათა კლასს. მათი თავდასხმები ბოლშევიკების მიმართ ააშკარავებენ იმას, რომ მათ სრულებით არ ესმით მუშათა კლასის პარტიის მოვალეობა. მუშების უკანასკნელი გამოსვლის შესახებ ისინი მსჯელობენ, როგორც ისეთი ადამიანები, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს მუშათა კლასთან.

ღამით ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პეტერბურგის კომიტეტმა, სამხედრო ორგანიზაციამ გადაწყვიტეს ჩარეულიყვნენ ჯარისკაცთა და მუშათა ამ სტიქიურ მოძრაობაში. მენშევიკებმა და ესერებმა, რაკი დაინახეს, რომ ჩვენ 400 000-ზე მეტი ჯარისკაცი და მუშა მოგვყვება, რომ მათ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ, მუშებისა და ჯარისკაცების გამოსვლა გამოაცხადეს გამოსვლად საბჭოების წინააღმდეგ. მე ვამტკიცებ, რომ 4 ივლისს საღამოს, როდესაც ბოლშევიკები რევოლუციის მოღალატეებად გამოაცხადეს, მენშევიკებმა და ესერებმა გასცეს რევოლუცია, ააფეთქეს ერთიანი რევოლუციური ფრონტი და კავშირი

შეკრეს კონტრრევოლუციასთან. ბოლშევიკებს რომ უშენდნენ, ამით ისინი უშენდნენ რევოლუციას.

5 ივლისს მენშევიკებმა და ესერებმა სამხედრო წესები გამოაცხადეს, მოაწყეს შტაბი და მთელი საქმეები გადასცეს სამხედრო ხროვას. ამრიგად, ჩვენ, რომლებიც საბჭოების სრულძალაუფლებიანობისათვის ვიბრძვით, საბჭოების შეიარაღებული მოწინააღმდეგის მდგომარეობაში მოვექეცით. ისეთი სურათი შეიქმნა, რომ ბოლშევიკების ჯარები შეიძლებოდა საბჭოების ჯარების წინააღმდეგ აღმოჩენილიყვნენ. ასეთ მდგომარეობაში ჩვენს მიერ ბრძოლის მიღება სიგიჟე იქნებოდა. ჩვენ ვეუბნებოდით საბჭოების ხელმძღვანელებს: კადეტები წავიდნენ, შეჰკარით ბლოკი მუშებთან, დაე ხელისუფლება პასუხისმგებელი იყოს საბჭოების წინაშე. მაგრამ მათ გადადგეს მუხანათური ნაბიჯი, მათ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანეს კაზაკები, იუნკრები, მრბევლები, ფრონტიდან მოხსნილი ზოგიერთი პოლკი, რომლებიც მოატყუეს, თითქოს ბოლშევიკები საბჭოების წინააღმდეგ მიდიოდნენ. თავისთავად ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო ასეთ პირობებში მიგვეღო ის ბრძოლა, რომლისკენაც მენშევიკები და ესერები გვიბიძგებდნენ. ჩვენ გადავწყვიტეთ უკან დაგვეხია.

5 ივლისს გაიმართა მოლაპარაკება საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ლიბერის სახით. ლიბერმა წამოაყენა პირობა: ჩვენ, ე. ი. ბოლშევიკები, ვხსნით ჯავშნიან ავტომობილებს ქშესინსკაიას სასახლიდან, მატროსები პეტრე-პავლეს ციხიდან კრონშტადტში მიდიან. ჩვენ დავთანხმდით, იმ პირობით, რომ საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაიცავდა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებელი დარბევისაგან. ლიბერმა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, დაგვარწმუნა, რომ ჩვენი პირობები შესრულებული

იქნებოდა, რომ ქ"შესინსკაიას სასახლე ჩვენს განკარგულებაში დარჩებოდა მანამდე, სანამ ჩვენ მუდმივი ბინა არ მოგვეცემოდა. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი დაპირებანი. ჯავშნიანი ავტომობილები მოხსნილ იქნა, კრონშტადტელები დათანხმდნენ უკანვე წასულიყვნენ, ოღონდ იარაღით ხელში. საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კი არც ერთი თავისი ვალდებულება არ შეასრულა. 6 ივლისს ესერების სამხედრო წარმომადგენელმა კუზმინმა ტელეფონით გადმოგვცა მოთხოვნა, რომ ¾ საათის შემდეგ ქ"შესინსკაიას სასახლე და პეტრე-პავლეს ციხე დაგვეცალა, წინააღმდეგ შემთხვევაში კუზმინი იმუქრებოდა, რომ შეიარაღებულ ძალებს დასძრავდა. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მთელი ძალღონით არიდებოდა სისხლისღვრას. ცენტრალურმა კომიტეტმა დელეგატად გამგზავნა მე პეტრე-პავლეს ციხეში, სადაც მოხერხდა დაგვეჯერებინა მატროსთაგან შემდგარი გარნიზონი არ მიეღო ბრძოლა, ვინაიდან მდგომარეობა ისე შეტრიალდა, რომ ჩვენ შეიძლება საბჭოების წინააღმდეგ აღმოვჩნდეთ. როგორც საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, მე მენშევიკ ბოგდანოვთან ერთად მივდივარ კუზმინთან. კუზმინს ყველაფერი მზადა აქვს ბრძოლისათვის: არტილერია, კავალერია, ქვეითი ჯარი. ჩვენ მას ვურჩევთ შეიარაღებული ძალა არ იხმაროს. კუზმინი უკმაყოფილოა, რომ «სამოქალაქო პირები თავისი ჩარევით ყოველთვის ხელს უშლიან მას», და უხალისოდ თანხმდება დაემორჩილოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დაჟინებულ მოთხოვნას. ჩემთვის ცხადია, რომ სამხედრო ესერებს სისხლისღვრა სურდათ, რათა «გაკვეთილი» მიეცათ მუშებისა, ჯარისკაცებისა და მატროსებისათვის. ჩვენ მათ ხელი შევუშალეთ მათი ვერაგული გეგმის განხორციელებაში.

ამასობაში კონტრრევოლუცია შეტევაზე გადმოვიდა: «პრავდისა» და «ტრუდის» დარბევა, ჩვენი ამხანაგების ცემა და მოკვლა, ჩვენი გაზეთების დახურვა და სხვა. კონტრრევოლუციის სათავეში დგას კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მის ზურგს უკან არმიის შტაბი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, — სწორედ იმ ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელსაც სურს აწარმოოს ომი, რადგან ამ ომით მდიდრდება.

კონტრრევოლუცია დღითიდღე მაგრდებოდა. თვითეულ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ახსნა-განმარტებისათვის მივმართავდით, ვრწმუნდებოდით, რომ მას არ ძალუძს აგვაშოროს ექსცესები, რომ ძალაუფლება ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხელში კი არ არის, არამედ კადეტურ-სამხედრო ხროვის ხელშია, იმ ხროვის ხელში, რომელიც ტონს აძლევს კონტრრევოლუციას.

მინისტრები ტიკინებივით ცვივიან. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სურთ შეცვალონ მოსკოვის საგანგებო თათბირით [37], რომელზეც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 280 წევრი ისე შთაინთქმება ბურჟუაზიის ასობით აშკარა წარმომადგენლებში, როგორც ბუზები რძეში.

ბოლშევიზმის ზრდით შეშინებული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სამარცხვინო კავშირს დებს კონტრრევოლუციასთან, აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, როგორიც არის: ბოლშევიკების გაცემა, ბალტიის ფლოტის დელეგაციის დაპატიმრება [38], რევოლუციური ჯარისკაცებისა და მუშების დაპატიმრება. ყოველივე ეს მეტად მარტივად ეწყობა: პროვოკაციული სროლის საშუალებით ობორონცების ხროვა განიარაღების საბაბს ქმნის და განიარაღებას იწყებს. ასე მოექცნენ, მაგალითად, სესტრო-

რეცკის მუშებს [39], რომლებიც გამოსვლაში მონაწილეობას არ იღებდნენ.

ყოველი კონტრრევოლუციის პირველი ნიშანია მუშებისა და რევოლუციური ჯარისკაცების განიარაღება. ჩვენში ეს შავბნელი კონტრრევოლუციური სამუშაო შეასრულეს წერეთლისა და საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მყოფი სხვა «სოციალისტი მინისტრების» ხელით. ამაშია მთელი საშიშროება. «რევოლუციის ხსნის მთავრობა» რევოლუციას «ამაგრებს» რევოლუციის ჩახრჩობის საშუალებით.

ჩვენი ამოცანაა შემოვიკრიბოთ ძალები, განვამტკიცოთ არსებული ორგანიზაციები და შევაკავოთ მასა ნაადრევი გამოსვლებისაგან. კონტრრევოლუციისათვის ხელსაყრელია ახლავე გამოგვიწვიოს ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ არ უნდა ავყვეთ პროვოკაციას, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ რევოლუციური თავდაჭერილობის მაქსიმუმი. ეს არის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო ტაქტიკური ხაზი.

ჩვენი ბელადების მიმართ საზიზღარი ცილისწამების საკითხზე, თითქოს ისინი გერმანელთა ფულით მუშაობენ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი შემდეგ პოზიციას ადგას. ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში პროლეტარიატის რევოლუციურ ბელადებს უყენებდნენ ხოლმე ცილისმწამებლურ ბრალდებას ღალატში. გერმანიაში — ლიბკნეხტი, რუსეთში — ლენინი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ აკვირვებს ის, რომ რუსეთის ბურჟუები «არასასურველ ელემენტებთან» ბრძოლის ნაცად ხერხს მიმართავენ. საჭიროა მუშებმა აშკარად თქვან, რომ თავიანთი ბელადები უმწიკვლოდ მიაჩნიათ, სოლიდარობას უცხადებენ მათ და თავს თვლიან მათი საქმის მონაწილეებად. თვითონ მუშები მიმართავდნენ პეტერბურგის კომიტეტს ჩვენი ბელადების დევნის წინააღმდეგ პროტესტის პროექტისათვის.

პეტერბურგის კომიტეტმა შეიმუშავა ასეთი პროექტი, რომელსაც მრავალი მუშა მოაწერს ხელს.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს, მენშევიკებსა და ესერებს, დაავიწყდათ, რომ მოვლენებს იწვევენ არა ცალკეული პირები, არამედ რევოლუციის მიწისქვეშა ძალები, და ამით ოხრანკის თვალსაზრისს დაადგნენ.

თქვენ იცით, რომ «პრავდა» დახურულია 6 ივლისიდან, სტამბა «ტრუდი» დალუქულია, ამასთან კონტრდაზვერვა გვიპასუხებს, ის ალბათ გაიღება, როდესაც გამოძიება დამთავრდებაო. უმოქმედობის დროისათვის დაახლოებით 30 000 მანეთი უნდა მიეცეს «პრავდისა» და სტამბის ასოთამწყობებსა და მოსამსახურეებს.

ივლისის ამბების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ამ ხნის განმავლობაში მოხდა, ჩვენ აღარ შეგვიძლია სოციალისტებად ჩავთვალოთ ესერები და მენშევიკები. მუშები ახლა მათ სოციალ-ჯალათებს უწოდებენ.

ამის შემდეგ სოციალ-ჯალათებთან ერთიანობაზე ლაპარაკი დანაშაულია. უნდა წამოვაყენოთ სხვა ლოზუნგი: ერთიანობა მათს მემარცხენე ფრთასთან — ინტერნაციონალისტებთან, რომლებსაც კიდევ შერჩენიათ რევოლუციური ღირსების ნასახი და რომლებიც მზად არიან ებრძოლონ კონტრრევოლუციას.

ასეთია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზი.

2. მოხსენება მიმდინარე მომენტზე

16 ივლისს

ამხანაგებო!

მიმდინარე მომენტის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ხელისუფლების კრიზისი. ამ საკითხის ირგვლივ დაჯგუფებულია სხვა მეორეხარისხოვანი საკითხები. ხე-

ლისუფლების კრიზისი განისაზღვრება მისი მერყეობით: დადგა მომენტი, როდესაც ხელისუფლების ბრძანებანი ან სიცილს იწვევენ, ან გულგრილობას, და არავის არ სურს მათი შესრულება. ხელისუფლებისადმი უნდობლობა მოსახლეობის სიღრმეში აღწევს. ხელისუფლება ირყევა. ეს არის ხელისუფლების კრიზისის საფუძველი.

ჩვენ განვიცდით ხელისუფლების მესამე კრიზისს. პირველი კრიზისი იყო კრიზისი მეფის ხელისუფლებისა, რომელმაც არსებობა შეწყვიტა. მეორე კრიზისი იყო პირველი დროებითი მთავრობის კრიზისი, რომლის შედეგიც იყო მილიუკოვისა და გუჩკოვის წასვლა მთავრობიდან. მესამე კრიზისია კოალიციური მთავრობის კრიზისი, რომელსაც ხელისუფლების მერყეობამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. სოციალისტი მინისტრები თავიანთ პორტფელებს აბარებენ კერენსკის, ხოლო ბურჟუაზია უნდობლობას უცხადებს კერენსკის. შედგა კაბინეტი, რომელიც მეორე დღესვე იმავე მერყევ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

როგორც მარქსისტები, ჩვენ ხელისუფლების კრიზისს უნდა მივუდგეთ არა მარტო ფორმალური თვალსაზრისით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კლასობრივი თვალსაზრისით. ხელისუფლების კრიზისი — ეს არის კლასთა გააფთრებული, აშკარა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. პირველი კრიზისის შედეგად მემამულეთა ხელისუფლებამ ადგილი დაუთმო ბურჟუაზიის ხელისუფლებას, რომელსაც მხარი დაუჭირეს საბჭოებმა, რომლებიც პროლეტარიატისა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს «წარმოადგენენ». მეორე კრიზისის შედეგად მოხდა შეთანხმება მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიას შორის კოალიციური მთავრობის სახით. როგორც პირველი, ისე მეორე კრიზისის დროს ხელისუფალნი ებრძოდნენ მუშათა რევოლუციურ გამოსვლებს (27 თებერვალს და 20 — 21 აპრილს). მეორე კრიზისი გადაიზრა

საბჭოების «სასარგებლოდ» იმ გზით, რომ ბურჟუაზიულ მთავრობაში შევიდნენ «სოციალისტები» საბჭოებიდან. მესამე კრიზისის დროს ჯარისკაცებმა და მუშებმა აშკარად დააყენეს საკითხი მშრომელების — წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატიის მიერ ძალაუფლების აღებისა, მთავრობიდან ყველა კაპიტალისტური ელემენტის განდევნით.

რით არის გამოწვეული მესამე კრიზისი?

ახლა მთელ «ბრალს» ბოლშევიკებს დებენ. 3 და 4 ივლისის გამოსვლა თითქოს კრიზისის გამწვავების მომენტი გახდა. ჯერ კიდევ კ. მარქსი ამბობდა, რომ რევოლუციის მიერ წინ გადადგმული ყოველი ნაბიჯი კონტრრევოლუციის საპასუხო, უკან გადადგმულ ნაბიჯს იწვევს. ბოლშევიკები 3 და 4 ივლისის გამოსვლას რევოლუციურ ნაბიჯად თვლიან და თავის თავზე იღებენ წინსვლის პიონერთა პატივს, რომელსაც მათ რენეგატი-სოციალისტები მიაწერენ. მაგრამ ხელისუფლების ეს კრიზისი მუშების სასარგებლოდ არ გადაიჭრა. ვინ არის ამაში დამნაშავე? მენშევიკებსა და ესერებს მუშებისა და ბოლშევიკებისათვის რომ დაეჭირათ მხარი, კონტრრევოლუცია დამარცხდებოდა, მაგრამ მათ ბოლშევიკებს დაუშინეს, რევოლუციის ერთიანი ფრონტი დაარღვიეს, და კრიზისი წარიმართა ისეთ პირობებში, რომლებიც არახელსაყრელია არა მარტო ბოლშევიკებისათვის, არამედ მათთვისაც, ესერებისა და მენშევიკებისათვის.

ეს იყო კრიზისის გამწვავების პირველი ფაქტორი.

მეორე ფაქტორი გახდა მთავრობიდან კადეტების წასვლა. კადეტებმა ალღო აუღეს, რომ საქმე მდგომარეობის გაუარესებისაკენ მიდის, რომ ეკონომიური კრიზისი ფართოვდება, ფული ცოტაა, და გადაწყვიტეს გაპარვა. მათი წასვლა კონოვალოვის ბოიკოტის განგრძობა იყო. კადე-

ტებმა მთავრობის მერყეობა გამოამჟღავნეს და პირველნი წავიდნენ მთავრობიდან.

მესამე ფაქტორი, რომელმაც გამოამჟღავნა და გაამწვავა ხელისუფლების კრიზისი, — ეს იყო ჩვენი ჯარების დამარცხება ფრონტზე. ომის საკითხი ამჟამად წარმოადგენს ძირითად საკითხს, რომლის გარშემო ტრიალებს ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების ყველა სხვა საკითხი. და ამ ძირითად საკითხში მთავრობა ჩაფლავდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ფრონტზე შეტევა ავანტიურაა. ხმები დადის, რომ ჩვენ ასეული ათასები დავტოვეთ ტყვედ, რომ ჯარისკაცები უწესრიგოდ გამორბიან. ფრონტზე «ნგრევის» მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკების აგიტაციისათვის მიწერა ბოლშევიკების გავლენის გაზვიადებას ნიშნავს. არც ერთ პარტიას არ ძალუძს ასეთი სიმძიმის აწევა. რით აიხსნება, რომ ჩვენმა პარტიამ, რომელშიც 200 ათასამდე წევრი ითვლება, შეძლო არმიის «გახრწნა», ხოლო საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც 20 მილიონ მოქალაქეს აერთიანებს, ვერ შეინარჩუნა არმიაზე თავისი გავლენა. საქმე ის არის, რომ ჯარისკაცებს არ სურთ იომონ, რადგან არ იციან, რისთვის ომობენ, რისინი დაიღალნენ, მათ აწუხებს მიწის განაწილების საკითხი და სხვა. იმაზე იმედის დამყარება, რომ ასეთ პირობებში შეიძლება სათმრად წაიყვანო ჯარისკაცები, ნიშნავს იმას, რომ სასწაულის იმედი გქონდეს. საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შესაძლებლობა ჰქონდა ეწარმოებინა არმიაში გაცილებით უფრო ძლიერი აგიტაცია, ვიდრე ჩვენ, და კიდეც აწარმოებდა მას, და მიუხედავად ამისა ომის წინააღმდეგ ბრძოლის დიადმა სტიქიამ თავისი გაიტანა. ამაში დამნაშავენი ვართ არა ჩვენ, არამედ «დამნაშავეა» რევოლუცია, რომელმაც თვითეულ მოქალაქეს

უფლება მისცა მიიღოს პასუხი კითხვაზე: რის გულისათვის წარმოებს ომი?

ამრიგად, სამმა ფაქტორმა გამოიწვია ხელისუფლების კრიზისი:

1) მთავრობით უკმაყოფილო იყვნენ მუშები და ჯარისკაცები, რომლებისთვისაც მთავრობის პოლიტიკა მეტისმეტად მემარჯვენე იყო.

2) მთავრობით უკმაყოფილო იყო ბურჟუაზია, რომელიც მთავრობის პოლიტიკას მეტისმეტად მემარცხენედ თვლიდა, და

3) დამარცხებანი ფრონტზე.

ეს არის გარეგანი ძალები, რომლებმაც გამოიწვიეს ხელისუფლების კრიზისი.

ხოლო ყველაფრის საფუძველი, კრიზისის მიწისქვეშა ძალა იყო ქვეყნის ეკონომიური ნგრევა, რაც გამოწვეულია ომით. მხოლოდ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ეს სამი ფაქტორი, რომლებმაც შეარყიეს კოალიციური მთავრობის ძალაუფლება.

თუ კრიზისი არის კლასების ბრძოლა ძალაუფლებისათვის, მაშინ ჩვენ, როგორც მარქსისტებმა, უნდა დავსვათ კითხვა: მაშ რომელი კლასი მიდის ამჟამად ძალაუფლებისაკენ? ფაქტები მოწმობენ, რომ ძალაუფლებისაკენ მიდის მუშათა კლასი. ცხადია, ბურჟუაზიის კლასი უბრძოლველად არ მიუშვებს მას ძალაუფლებამდე. წვრილი ბურჟუაზია, რომელიც რუსეთში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს, მერყეობს, ხან ჩვენთან ერთიანდება, ხან კადეტებთან, და ამით სასწორის თეფშზე აგდებს უკანასკნელ საწონს. ამაშია კლასობრივი შინაარსი ხელისუფლების იმ კრიზისისა, რომელსაც ჩვენ განვიცდით.

მაშ ვინ გამოდის დამარცხებული და ვინ იმარჯვებს ახლანდელ კრიზისში? აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ძალა-

უფლებას იღებს ბურჟუაზია კადეტების სახით. ერთი წუთით, როდესაც მთავრობიდან კადეტები წავიდნენ, ძალაუფლება საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხელში აღმოჩნდა, მაგრამ მან ძალაუფლებაზე უარი თქვა და მთავრობის წევრებს მიანდო კაბინეტის შედგენა. ახლა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ხელისუფლების დანამატი აღმოჩნდა, მინისტრთა კაბინეტში ოთურმაა, დარჩა მარტო კერენსკი. ვიღაც უკარნახებს თავის ნებას, რომელსაც უნდა ასრულებდნენ მინისტრებიც და საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიც. ცხადია, ეს არის ორგანიზებული ბურჟუაზიის, უწინარეს ყოვლისა კადეტების ნება. იგი უკარნახებს თავის პირობებს: იგი მოითხოვს, რომ ხელისუფლების სათავეში იდგნენ «საქმიანი ადამიანები» და არა პარტიული წარმომადგენლები, რომ ჩერნოვის აგრარული პროგრამა მოხსნილ იქნას, რომ მთავრობის 8 ივლისის დეკლარაცია [40] შეიცვალოს, რომ ხელისუფლების ყველა ორგანოდან განდევნილ იქნან ბოლშევიკები. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უკან იხევს ბურჟუაზიის წინაშე და თანხმდება მის პირობებზე.

როგორ მოხდა, რომ ბურჟუაზია, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უკან იხევდა, დღეს ბრძანებებს აძლევს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს? საქმე ის არის, რომ ფრონტზე დამარცხების შემდეგ ხელისუფლების კრედიტი დაეცა საზღვარგარეთელ ბანკირთა თვალში. ზოგიერთი, სერიოზული ყურადღების ღირსი ცნობით, აქ ჩანს ხელი ინგლისის ელჩ ბიუკენენისა და ბანკირებისა, რომლებიც მთავრობას კრედიტზე უარს ეუბნებიან, თუ მან ხელი არ აიღო თავის «სოციალისტურ» ზრახვებზე.

ეს არის პირველი მიზეზი.

მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიის ფრონტი უკეთ არის ორგანიზებული, ვიდრე რევოლუციის ფრონტი. როდესაც მენშევიკები და ესერები ბურჟუაზიასთან გაერთიანდნენ და ბოლშევიკებს დაუშინეს, კონტრრევოლუცია მიხვდა, რომ რევოლუციის ერთიანი ფრონტი აფეთქებულია. სამხედრო და ფინანსურ-იმპერიალისტურ ხროვებად ორგანიზებულმა, კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, კონტრრევოლუციამ მთელი რიგი მოთხოვნები წაუყენა ობორონცებს. მენშევიკები და ესერები, რომლებიც თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის შიშით კანკალებდნენ, საჩქაროდ ასრულებდნენ კონტრრევოლუციის მოთხოვნებს.

აი ის ფონი, რომელზეც მოხდა კონტრრევოლუციის გამარჯვება.

ცხადია, ამჟამად კონტრრევოლუციამ იმიტომ დაამარცხა ბოლშევიკები, რომ ბოლშევიკები იზოლირებული არიან, გაცემული არიან მენშევიკებისა და ესერების მიერ. ცხადია ისიც, რომ დადგება ჩვენთვის ხელსაყრელი მომენტი, როდესაც ჩვენ შევძლებთ გადამწყვეტი ბრძოლა გავუმართოთ ბურჟუაზიას.

არსებობს კონტრრევოლუციის ორი ცენტრი. ერთი ცენტრია ორგანიზებული ბურჟუაზიის პარტია — კადეტები, რომლებიც საფრად იყენებენ ობორონცულ საბჭოებს. მისი აღმასრულებელი ორგანოა შტაბი, გამოჩენილი გენერლების მეთაურობით, რომელთაც ხელთ უპყრიათ მეთაურთა შემადგენლობის მთელი ძაფები. მეორე ცენტრია იმპერიალისტური ფინანსური ხროვა, რომელიც დაკავშირებულია ინგლისთან და საფრანგეთთან და ხელთ უპყრია კრედიტის მთელი ძაფები. შემთხვევითი როდია, რომ ეფრემოვი — წევრი საპარლამენტთაშორისო კომისიისა

რომელსაც ხელთ უპყრია კრედიტი, — შეყვანილია მთავრობაში.

ჩამოთვლილმა ფაქტებმა შექმნეს კონტრრევოლუციის გამარჯვება რევოლუციაზე.

როგორია პერსპექტივები? ვიდრე ომი წარმოებს, — ხოლო იგი იწარმოებს; ვიდრე სამრეწველო ნგრევა მოგვარებული არ არის, — ხოლო იგი არ მოგვარდება, ვინაიდან ჯარისკაცებისა და მუშების წინააღმდეგ რეპრესიებით მისი მოგვარება არ შეიძლება, გმირული ზომების მიღება კი მმართველ კლასებს არ შეუძლიათ; ვიდრე გლეხები მიწას არ მიიღებენ, — ხოლო ისინი ვერ მიიღებენ მიწას, იმიტომ რომ ჩერნოვიც კი თავისი ზომიერი პროგრამით მთავრობის შეუფერებელი წევრი აღმოჩნდა, — ვიდრე ყოველივე ეს არის, — კრიზისები გარდუვალი იქნება, მასები არაერთხელ გამოვლენ ქუჩაში, იწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლები.

რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა. დადგა ახალი პერიოდი, მწვავე კონფლიქტების, შეხლა-შემოხლის, შეტაკებების პერიოდი. ცხოვრება იბობოქრებს, კრიზისს კრიზისი მოჰყვება. ჯარისკაცები და მუშები მდუმარედ როდი იქნებიან. «ოკოპნაია პრავდის» დახურვის წინააღმდეგაც კი 20 პოლკმა განაცხადა თავისი პროტესტი. იმით, რომ მთავრობაში ახალი მინისტრები შეიყვანეს, კრიზისი კიდევ არ გადაუჭრიათ. მუშათა კლასი სისხლით დაცლილი არ არის. მუშათა კლასი უფრო გონიერი აღმოჩნდა, ვიდრე მოწინააღმდეგენი ფიქრობდნენ მასზე: როცა იგი მიხვდა, რომ საბჭოებმა უღალატეს, მან არ გამართა ბრძოლა 4 და 5 ივლისს. აგრარული რევოლუცია კი ჯერ-ჯერობით ახლა იწყებს გაჩაღებას.

მომავალ ბრძოლებს ჩვენ ღირსეულად და ორგანიზებულად უნდა შევხვდეთ.

ჩვენი ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

1) მოვუწოდოთ მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს თავდაჭერილობისა, სიმტკიცისა და ორგანიზებულობისაკენ;

2) განვაახლოთ, განვამტკიცოთ და გავაფართოოთ ჩვენი ორგანიზაციები;

3) არ უგულებელვყოთ ლეგალური შესაძლებლობანი, ვინაიდან არავითარ კონტრრევოლუციას არ შეუძლია სერიოზულად ჩაგვრეკოს იატაკქვეშეთში.

აღვირახსნილ რბევათა ხანამ განვლო, დგება «კანონიერი» დევნის ხანა, და ჩვენ ხელში უნდა ჩავიგდოთ და გამოვიყენოთ ყოველი ლეგალური შესაძლებლობა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლშევიკები იზოლირებული დარჩნენ, ვინაიდან საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უმრავლესობამ გვიღალატა, კავშირი დასდო რა კონტრრევოლუციასთან, იბადება კითხვა, როგორ უნდა მოვეპყროთ საბჭოებს და მათს უმრავლესობას, მენშევიკებსა და ესერებს? ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მარტოვმა ბრალდება წაუყენა გოცსა და დანს, რომ მათ მოიტანეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც უკვე მიღებული იყო შავრაზმელთა და კადეტთა კრებაზე. ბოლშევიკების დევნის პროცესმა დაგვანახა, რომ ისინი უმოკავშირეოდ დარჩნენ. ცნობას ჩვენი ბელადების დაპატიმრებისა და ჩვენი გაზეთების დახურვის შესახებ მენშევიკები და ესერები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. ამის შემდეგ მენშევიკებთან და ესერებთან ერთიანობაზე ლაპარაკი კონტრრევოლუციისათვის ხელის გაწოდებას ნიშნავს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ აქა-იქ ქარხნებში ცდილობენ მოაგვარონ მენშევიკებისა და ესერების კავშირი ბოლშევიკებთან. ეს რევოლუციასთან ბრძოლის შენიღბული ფორმაა, იმიტომ რომ ობორონცებთან კავშირით შეიძლება

რევოლუცია დაღუპო. მენშევიკებსა და ესერებს შორის მოიპოვებიან ელემენტები, რომელნიც მზად არიან ებრძოლონ კონტრრევოლუციას (ესერებში — კამკოველები [41], მენშევიკებში — მარტოველები), და მათთან ჩვენ მზად ვართ გავერთიანდეთ ერთიან რევოლუციურ ფრონტად.

3. პასუხი შემოსულ გარათებზე

16 ივლისს

1) **მახლოვსკის ბარათი:** მომავალი კონფლიქტების, და შესაძლოა შეიარაღებული გამოსვლების დროსაც, რამდენად შეუწყობს ამას ხელს ჩვენი პარტია და სათავეში ჩაუდგება თუ არა იგი შეიარაღებულ პროტესტს?

სტალინის პასუხი: უნდა ვიგულისხმოთ, რომ გამოსვლები შეიარაღებული იქნება, და მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის. მომავალი კონფლიქტები უფრო მწვავე იქნება, და პარტიამ ხელი არ უნდა დაიბანოს. სალნი ლატვიელთა რაიონის სახელით ბრალს სდებდა პარტიას, რომ მან მოძრაობის ხელმძღვანელობა არ იკისრა. მაგრამ ეს სწორი არ არის, იმიტომ რომ პარტიამ სწორედ მიზნად დაისახა მოძრაობის გადაყვანა მშვიდობიან რელსებზე. ჩვენ შეიძლება გვისაყვედურონ, რომ ძალაუფლების აღებისაკენ არ მივისწრაფოდით. 3 და 4 ივლისს ჩვენ შეგვეძლო ძალაუფლების აღება, შეგვეძლო დაგვევალდებულებინა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაედასტურებინა ჩვენი ძალაუფლება. მაგრამ საკითხი ის არის, შეგვეძლო თუ არა შეგვენარჩუნებინა ძალაუფლება? ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ ფრონტი, პროვინცია, მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოები. ხელისუფლება, რომელიც პროვინციას არ ეყრდნობა, უნიადაგო აღმოჩნდებოდა. ასეთ პირობებში ძალაუფლების აღებით ჩვენ შევრცხვებოდით.

2) **ივანოვის ბარათი:** როგორია ჩვენი დამოკიდებულება ლოზუნგისადმი: «ძალაუფლება საბჭოებს!»? ხომ არ არის დრო ვთქვათ: «პროლეტარიატის დიქტატურა»?

სტალინის პასუხი: როდესაც ხელისუფლების კრიზისის მოგვარება ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგა გარკვეული კლასი, ამ შემთხვევაში ბურჟუაზია. შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავიტოვოთ ძველი ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!»? თავისთავად ცხადია, არა. ძალაუფლების გადაცემა საბჭოებისათვის, რომლებიც სინამდვილეში მდუმარედ მხარდამხარ მიჰყვებიან ბურჟუაზიას, ნიშნავს იმას, რომ მტრებისათვის მუშაობდე. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, შეგვიძლია ძალაუფლება გადავცეთ მხოლოდ მუშათა კლასს, რომელსაც მხარს დაუჭერენ სოფლის უღარიბესი ფენები. ჩვენ უნდა წამოვაყენოთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციის სხვა, ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა. ძალაუფლების ფორმა ძველი რჩება, მაგრამ ამ ლოზუნგის კლასობრივ შინაარსს ჩვენ ვცვლით, ჩვენ ვლაპარაკობთ კლასობრივი ბრძოლის ენით: მთელი ძალაუფლება მუშებსა და უღარიბეს გლეხებს, რომლებიც დაადგებიან რევოლუციური პოლიტიკის გზას.

3) **უცნობის ბარათი:** როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა განაცხადა **უმცირესობის** დამორჩილება **უმრავლესობისადმი?** წავალთ ჩვენ მაშინ საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიდან, თუ არა?

სტალინის პასუხი: სათანადო დადგენილება უკვე არის. ბოლშევიკურ ფრაქციას ჰქონდა თათბირი, რომელზეც გამომუშავებულია პასუხი იმ თვალსაზრისით, რომ **ჩვენ,** როგორც საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, ვემორჩილებით ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ არ გამოვდივართ, მაგრამ, როგორც პარტიის წევრებს, ჩვენ შეგვიძლია გამოვდიოდეთ დამოუკიდებლად, რადგან ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოების არსებობა არ აუქმებს პარტიების დამოუკიდებელ არსებობას. ხვალ ჩვენი პასუხი გამოცხადდება ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე.

4. საბოლოო სიტყვა

16 ივლისს

ამხანაგებო!

ბოლშევიკების შესახებ საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისადმი დამოკიდებულების საკითხზე რეზოლუციის შესადგენად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიც მეც ვიყავი. კომისიამ შეიმუშავა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: ჩვენ, როგორც საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, უმრავლესობას ვემორჩილებით, მაგრამ როგორც ბოლშევიკური პარტიის წევრებს შეგვიძლია დამოუკიდებლად გამოვდიოდეთ საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებათა წინააღმდეგაც.

პროხოროვს პროლეტარიატის დიქტატურა ესმის როგორც ჩვენი პარტიის დიქტატურა. ჩვენ კი ვლაპარაკობთ კლასის დიქტატურაზე, კლასისა, რომელსაც მიჰყვებიან გლეხობის უღარიბესი ფენები.

არასიზუსტე ორატორთა სიტყვებში: რას განვიცდით ჩვენ, რეაქციას თუ კონტრრევოლუციას. რევოლუციების დროს რეაქციები არ არის ხოლმე. როდესაც ხელისუფლების სათავეში კლასები იცვლებიან, ეს არის არა რეაქცია, არამედ რევოლუცია ან კონტრრევოლუცია.

რაც შეეხება მეოთხე ფაქტორს, რომელმაც გამოიწვია ხელისუფლების კრიზისი, რაც მოიხსენია ხარიტონოვმა, საერთაშორისო ფაქტორს, ჩვენი ხელისუფლების კრიზისთან დამოკიდებულება ჰქონდა მხოლოდ ომს და საგარეო პოლიტიკის საკითხებს ომთან დაკავშირებით. ჩემს მოხსენებაში ომს, როგორც იმ ფაქტორს, რომელმაც ხელისუფლების კრიზისი გამოიწვია, მე მთავარ მნიშვნელობას ვანიჭებდი.

რაც შეეხება წვრილ ბურჟუაზიას, ის აღარ წარმოადგენს რაღაც მთელს, მასში წარმოებს სწრაფი დაშლა ფენებად (პეტროგრადის გარნიზონის გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება გლეხთა ყრილობის აღმასრულებელ კომიტეტს). სოფლად ბრძოლა წარმოებს, და გლეხთა დეპუტატების არსებული საბჭოების პარალელურად იქმნებიან ახალი, თვითნებურად წარმოშობილი საბჭოები. ჩვენ იმედს ვამყარებთ გლეხობის სწორედ ამ ღარიბესი ფენების მხარდაჭერაზე, რომლებიც მაღლა შეიწევენ. თავისი ეკონომიური მდგომარეობით მხოლოდ მათ შეუძლიათ გამოგვყვნენ ჩვენ. გლეხების ის ფენები, რომლებმაც გლეხთა ყრილობის აღმასრულებელ კომიტეტში დასხეს პროლეტარიატის სისხლს მოწყურებული ისეთი ადამიანები, როგორიც არის ავქსენტიევი, ჩვენ არ გამოგვყვებიან და ჩვენსკენ არ გადმოიხრებიან. მე ვხედავდი, როგორ უკრავდნენ ტაშს ეს ადამიანები, როცა წერეთელმა გამოაცხადა ბრძანება ამხ. ლენინის დაპატიმრების შესახებ.

იმ ამხანაგებს, რომლებიც ლაპარაკობენ იმაზე, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია იმიტომ, რომ პროლეტარიატი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენსო, უმრავლესობის ძალა მექანიკურად ესმით. საბჭოებიც ხომ მათ მიერ ორგანიზებული ადამიანების მხოლოდ 20 მილიონს წარმოადგენენ, მაგრამ თავისი ორგანიზებულობის

მეოხებით მთელ მოსახლეობას მიიყოლიებენ. ორგანიზებულ ძალას, რომელსაც შეუძლია გაწყვიტოს ეკონომიური ნგრევის ბორკილები, მთელი მოსახლეობა გაჰყვება.

ამხ. ვოლოდარსკი კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციას სხვანაირად განმარტავს, ვიდრე მე, მაგრამ ძნელი გასაგებია, როგორია მისი თვალსაზრისი.

ამხანაგები მეკითხებიან, შეგვიძლია თუ არა შევცვალოთ ჩვენი ლოზუნგი? ჩვენი ლოზუნგი საბჭოების ძალაუფლების შესახებ ნავარაუდევი იყო რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი პერიოდისათვის, რომელიც ჩვენ განვვლეთ. არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ ახლა ძალაუფლების გადმოსვლის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კონტრრევოლუციაზე გამარჯვება აჯანყების გზით. როდესაც ჩვენ ვაყენებდით ჩვენს ლოზუნგს საბჭოების შესახებ, ძალაუფლება ფაქტიურად საბჭოების ხელში იყო. საბჭოებზე ზეგავლენის გზით ჩვენ შეგვეძლო გავლენა მოგვეხდინა ცვლილებებზე მთავრობის შემადგენლობაში. ახლა ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელშია. ჩვენ არ შეგვიძლია იმედი დავამყაროთ იმაზე, რომ ძალაუფლება მშვიდობიანად გადავა მუშათა კლასის ხელში საბჭოებზე ზეგავლენის გზით. როგორც მარქსისტებმა, ჩვენ უნდა ვთქვათ: საქმე დაწესებულებები კი არ არის, არამედ ის, თუ რა კლასის პოლიტიკას ატარებს ეს დაწესებულება. ჩვენ, უეჭველად, მხარს ვუჭერთ იმ საბჭოებს, სადაც ჩვენები უმრავლესობას შეადგენენ და ჩვენ კიდეც შევეცდებით ასეთი საბჭოების შექმნას. ხოლო ჩვენ არ შეგვიძლია გადავცეთ ძალაუფლება იმ საბჭოებს, რომლებიც კავშირს დებენ კონტრრევოლუციასთან.

თუ განვაზოგადებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, შეიძლება ითქვას: მოძრაობის განვითარების მშვიდობიანი გზა

დამთავრდა, ვინაიდან მოძრაობა სოციალისტური რევოლუციის გზას დაადგა. წვრილი ბურჟუაზია, გლეხობის უღარიბეს ფენებს გარდა, ახლა კონტრრევოლუციას უჭერს მხარს. ამიტომ ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» ახლანდელი მომენტისათვის მოძველდა.

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს
ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში» № 7.

რა მოხდა?

ეს მოხდა 3 — 4 ივლისს. მუშები და ჯარისკაცები ერთად მიემართებოდნენ პეტროგრადის ქუჩებში შეძახილებით: «მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს!».

რა სურდათ მაშინ მუშებსა და ჯარისკაცებს, რის მიღწევას ცდილობდნენ ისინი?

იქნებ, საბჭოების დამხობას?

რასაკვირველია, არა!

მუშები და ჯარისკაცები მაშინ იმის მიღწევას ცდილობდნენ, რომ საბჭოებს თავიანთ ხელში აეღოთ მთელი ძალაუფლება და შეემსუბუქებინათ მუშების, გლეხების, ჯარისკაცებისა და მატროსების მძიმე ცხოვრება.

ისინი ცდილობდნენ საბჭოების გაძლიერებას და არა მათს დასუსტებასა და მოსპობას.

მათ სურდათ, რომ საბჭოებს ხელში აეღოთ ძალაუფლება, კავშირი გაეწყვიტათ მემამულეებთან და ახლავე, საქმის გაუჭიანურებლად გადაეცათ მიწა გლეხებისათვის.

მათ სურდათ, რომ საბჭოებს ხელში აეღოთ ძალაუფლება, კავშირი გაეწყვიტათ კაპიტალისტებთან და შრომის უკეთესი პირობები და მუშათა კონტროლი შეექმნათ ფაბრიკა-ქარხნებში.

მათ სურდათ, რომ საბჭოებს გამოეცხადებინათ ზავის სამართლიანი პირობები და ბოლოს და ბოლოს შეეწყვიტათ მძიმე ომი, რომელიც მილიონობით ახალგაზრდის სიცოცხლეს იწირავს.

აი რის მიღწევას ცდილობდნენ მაშინ მუშები და ჯარისკაცები.

მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტის მესვეურებმა, მენშევიკებმა და ესერებმა, არ ისურვეს რევოლუციის გზით წასვლა.

რევოლუციურ გლეხობასთან კავშირს მათ მემამულეებთან შეთანხმება ამჯობინეს.

რევოლუციურ მუშებთან კავშირს მათ კაპიტალისტებთან შეთანხმება ამჯობინეს.

რევოლუციურ ჯარისკაცებთან და მატროსებთან კავშირს მათ იუნკრებთან და კაზაკებთან კავშირი ამჯობინეს.

მათ ვერაგულად გამოაცხადეს ბოლშევიკი მუშები და ჯარისკაცები რევოლუციის მტრებად და თავიანთი იარაღი მათ წინააღმდეგ მიმართეს კონტრრევოლუციის საამებლად.

ბრმები! ვერ შეამჩნიეს, რომ, ბოლშევიკებს რომ უშენდნენ, ამით რევოლუციას უშენდნენ და კონტრრევოლუციის გამარჯვებას აახლოებდნენ.

სწორედ ამიტომ გამოხოხდნენ მაშინ კონტრრევოლუციონერები, რომლებიც მანამდე ბნელში იმალებოდნენ.

ხოლო იმ დროისათვის დაწყებულმა გარღვევამ ფრონტზე, რამაც ცხადყო ობორონცების პოლიტიკის დამღუპველობა, კიდევ უფრო შეასხა ფრთები კონტრრევოლუციის იმედებს.

და კონტრრევოლუციამ დაუყოვნებლივ გამოიყენა მენშევიკებისა და ესერების «შეცდომები».

კონტრრევოლუციის მეთაურებმა, ბ-მა მილიუკოვებმა, დააფრთხეს და დააბნიეს, მოაშინაურეს და თავის გარშემო

დარაზმეს ისინი და დაიწყეს ლაშქრობა რევოლუციის წინააღმდეგ. გაზეთების დარბევა და დახურვა, მუშებისა და ჯარისკაცების განიარაღება, დაპატიმრებანი და ცემა-ტყეპა, სიცრუე და ცილისწამება, მოსყიდულ მაძებართა საზიზღარი და მდაბალი ცილისწამება ჩვენი პარტიის ბელადების მიმართ, — ასეთია შეთანხმებათა პოლიტიკის ნაყოფი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გათავხედებული კადეტები ულტიმატუმებს აყენებენ, იმუქრებიან და ტერორს მიმართავენ, ლანძღავენ და აძაგებენ საბჭოებს, დამფრთხალი მენშევიკები და ესერები კი ზედიზედ თმობენ პოზიციებს, ამასთან კადეტთა დარტყმებით გულადი მინისტრები ნაფოტივით ცვივიან და გზას უცლიან მილიუკოვის კაცებს რევოლუციის... «გადარჩენის»... ინტერესებისათვის.

განა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ კონტრრევოლუცია გამარჯვებას ზეიმობს?

ასეთია მდგომარეობა ახლა.

მაგრამ ამან არ შეიძლება დიდხანს გასტანოს.

კონტრრევოლუციის გამარჯვება მემამულეების გამარჯვებაა. მაგრამ გლეხებს აღარ შეუძლიათ ისე იცხოვრონ, თუ მიწა არ ექნათ. ამიტომ გარდუვალია გადამწყვეტი ბრძოლა მემამულეებთან.

კონტრრევოლუციის გამარჯვება კაპიტალისტების გამარჯვებაა. მაგრამ მუშები ვერ დამშვიდდებიან, თუ მათი ყოფა ძირფესვიანად არ გაუმჯობესდა. ამიტომ გარდუვალია გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალისტებთან.

კონტრრევოლუციის გამარჯვება მოასწავებს ომის განგრძობას, მაგრამ ომი არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ვინაიდან მისი სიმძიმე სულს უხუთავს მთელ ჩვენს ქვეყანას.

ამიტომ კონტრრევოლუციის გამარჯვება არამტკიცე და წარმავალია.

მომავალი ახალ რევოლუციას ეკუთვნის.

მხოლოდ ხალხის სრული ძალაუფლებიანობის განხორციელებას შეუძლია მისცეს გლეხებს მიწა, მოაწესრიგოს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება და უზრუნველყოს მშვიდობა, რაც ესოდენ საჭიროა ევროპის გაწამებული ხალხებისათვის.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 1,
1917 წ. 23 ივლისი.

სტატია ხელმოუწერელია.

კონტრრევოლუციის ვამარჯვება [42]

კონტრრევოლუცია დაირაზმა. იგი იზრდება და მთელი ზაზით შეტევაზე გადმოდის. კონტრრევოლუციის ლიდერები, ბ-ნი კადეტები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ბოიკოტს უცხადებდნენ მთავრობას, დღეს მზად არიან დაუბრუნდნენ ძალაუფლებას იმისათვის, რომ იპარპაშონ ქვეყანაში.

«მმართველი» პარტიები ესერებისა და მენშევიკებისა «რევოლუციის ხსნის» თავიანთი მთავრობით სრულიად უწესრიგოდ იხევენ უკან. ისინი მზად არიან ყველა დათმობისათვის, ისინი მზად არიან ყველაფრისათვის — მხოლოდ გვიბრძანეთო.

გავცეთ ბოლშევიკები და მათი მომხრეები?

— ინებეთ, ბ-ნო კადეტებო, წაიყვანეთ ბოლშევიკები.

გავცეთ ბალტიის დელეგაცია და კრონშტადტელი ბოლშევიკები?

— მზად გახლავართ, ბ-ნო «კონტრმზვერავებო», წაიყვანეთ დელეგაცია.

დავხუროთ კადეტებისათვის არასასიამოვნო ბოლშევიკური, მუშათა და ჯარისკაცთა გაზეთები?

— მოხარული ვართ გემსახუროთ, ბ-ნო კადეტებო, დავხურავთ.

განვაიარაღოთ რევოლუცია, განვაიარაღოთ მუშები და ჯარისკაცები?

— დიდი სიამოვნებით, ბ-ნო მემამულეებო და კაპიტალისტებო. ჩვენ განვაიარაღებთ არა მარტო პიტერის, არამედ სესტრორეცკის მუშებსაც, თუმცა მათ არც კი მიუღიათ მონაწილეობა 3 — 4 ივლისის ამბებში.

შევზღუდოთ სიტყვისა და კრების თავისუფლება, პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, შემოვიღოთ ცენზურა და ოხრანკა?

— ყველაფერს გავაკეთებთ, ბ-ნო შავრაზმელებო, ყველაფერს უკლებლივ.

აღვადგინოთ ფრონტზე სიკვდილით დასჯა?

— დიდი სიამოვნებით, ბ-ნო გაუმაძღარნო...

დავითხოვოთ ფინეთის სეიმი, რომელიც საბჭოს მიერ მიღებულ პლატფორმაზე დგას?

— შესრულებული იქნება, ბ-ნო მემამულეებო და კაპიტალისტებო.

შევცვალოთ მთავრობის პროგრამა?

— მოხარული ვართ გემსახუროთ, ბ-ნო კადეტებო.

და მენშევიკები და ესერები მზად არიან შემდგომ დათმობებზეც წავიდნენ, ოღონდ კი შეუთანხმდნენ კადეტებს, ოღონდ კი როგორმე მოურიგდნენ მათ...

კონტრრევოლუცია კი სულ უფრო და უფრო თავხედდება, მოითხოვს ახალ-ახალ მსხვერპლს, მიჰყავს დროებითი მთავრობა და აღმასრულებელი კომიტეტი სამარცხვინო თვითუარყოფამდე. კადეტების საამებლად წინადადებას იძლევიან მოწვეულ იქნას მოსკოვში «საგანგებო კრება» გაუქმებული სახელმწიფო სათათბიროს წევრებისაგან და სხვა ცენზიანებისაგან, რომელთა საერთო გუნდში ცენტრა-

ლური აღმასრულებელი კომიტეტი ყოვლად უბადრუკ უმცირესობაში რჩება. თავგზააბნეული მინისტრები პორტფელებს კერენსკის ფეხთან ჰყრიან. კადეტების კარნახით სდგება მთავრობის წევრთა სია.

მეფის სათათბიროს და გამცემელ-კადეტების შემწეობით დასამარებულ იქნას სისხლით მოპოვებული თავისუფლება — აი რა შერცხვენამდე მივყავართ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ახლანდელ მესვეურებს...

ომი კი გრძელდება, აღრმავებს უბედურებას ფრონტზე, ამასთან ფრონტზე სიკვდილით დასჯის აღდგენით ფიქრობენ გააუმჯობესონ მდგომარეობა. ბრმები! ვერ ხედავენ, რომ შეტევას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს მასობრივი თანაგრძნობის იმედი, როდესაც ომის მიზნები ნათელი და მახლობელია არმიისათვის, როდესაც არმიას შეგნებული აქვს, რომ ის სისხლს ღვრის თავისი, სისხლხორცეული საქმისათვის, — ვერ ხედავენ, რომ დემოკრატიულ რუსეთში, ჯარისკაცთა მიტინგებისა და თავისუფალი კრებების დროს, მასობრივი შეტევა წარმოუდგენელია ასეთი შეგნების გარეშე.

ნგრევა კი გრძელდება, გვიქადის შიმშილს, უმუშევრობასა და საერთო გაღატაკებას, ამასთან რევოლუციის წინააღმდეგ პოლიციური ზომებით ფიქრობენ სამეურნეო კრიზისის მოგვარებას. ასეთია კონტრრევოლუციის ნება. ბრმები! ვერ ხედავენ, რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციური ზომების მიუღებლად შეუძლებელია ქვეყნის ხსნა რღვევისაგან.

დევნილი მუშები, დანგრეული ორგანიზაციები, მოტყუებული გლეხები, დაპატიმრებული ჯარისკაცები და მატროსები, პროლეტარული პარტიის ცილდაწამებული და გაჭორვილი ბელადები და ამასთან ერთად მოზეიმე, ცილისმწამებელი, გათავხედებული კონტრრევოლუციონერები, —

ყოველივე ეს რევოლუციის «ხსნის» დროშით, — აი სადამდე მიგვიყვანეს ესერებისა და მენშევიკების პარტიებმა.

და კიდევ მოიპოვებიან ქვეყანაზე ადამიანები (იხ. «ნოვაია ჟიზნ»), ვინც ყოველივე ამის შემდეგ წინადადებას გვაძლევს გავერთიანდეთ ამ ვაჟბატონებთან, რომელნიც ეწევიან რევოლუციის «ხსნას» მისი ჩახრჩობის გზით!

ვინ ვგონივართ მათ?!

არა, ბატონებო, რევოლუციის გამცემლებთან ჩვენ საერთო გზა არა გვაქვს!

მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ ივლისის დღეების მძიმე წუთებში, როდესაც გააფთრებული კონტრრევოლუცია ტყვიას უშენდა რევოლუციას, ბოლშევიკების პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელსაც არ მიუტოვებია მუშათა უბნები.

მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ ამ მძიმე წუთებში «მმართველი» პარტიები ესერებისა და მენშევიკებისა იმათ ბანაკში იყვნენ, ვინც არბევდა და იარაღს ჰყრიდა მუშებს, ჯარისკაცებსა და მატროსებს.

მუშები დაიხსომებენ ყოველივე ამას და სათანადო დასკვნებს გამოიტანენ აქედან.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 1,
1917 წ. 23 ივლისი.

ხელმოწერა: კ. ს ტ.

კადეტების გამარჯვება

სამინისტრო ოთურმა, ჩანს, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. კადეტების ვაჭრობა კერენსკისთან კვლავ გრძელდება. «კომბინაციები» «კომბინაციებს» მოსდევს.

კადეტები, რა თქმა უნდა, შევლენ მთავრობაში, ვინაიდან ყველაფერი მათი მითითებით კეთდება. შესაძლოა, რომ ჩერნოვი დარჩეს. წერეთელი, ჩანს, «აღარ სურთ». წერეთელი «საჭირო იყო» მუშების განიარაღებისათვის. მუშების განიარაღების შემდეგ მისი როლი დამთავრებულია. «მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს» [43]. მას ავქსენტიევი შეცვლის.

მაგრამ აქ საქმე, რა თქმა უნდა, პიროვნებები როდია. ჩერნოვი, წერეთელი თუ იმგვარივე ვინმე მესამე — განა სულ ერთი არ არის? ვინ არ იცის, რომ ეს ვაი-ციმერვალდისტები ჰენდერსონებსა და ტომებზე [44] ნაკლებად არ ემსახურებოდნენ იმპერიალიზმის საქმეს?

ვიმეორებ, აქ საქმე პიროვნებები როდია.

საქმე ის არის, რომ მთელ ამ ფაციფუცში, პორტფელების გამოდევნებაში და სხვა, რასაც საფუძვლად უდევს ძალაუფლებისათვის ბრძოლა, — გაიმარჯვა კადეტების ხაზმა, საშინაო პოლიტიკაში კონტრრევოლუციის ხაზმა, საგარეო პოლიტიკაში — «ომის ბოლომდე მიყვანის» ხაზმა.

საკითხი ხომ ასე იდგა:

ან ომის გაგრძელება, და მაშინ სრული დამოკიდებულება ინგლისისა და ამერიკის ფულის ბაზრისაგან, კადეტების ბატონობა, რევოლუციის ალაგმვა, ვინაიდან არც კადეტები, არც «მოკავშირეთა» კაპიტალი არ შეიძლება თანაუგრძნობდნენ რუსეთის რევოლუციას.

ან ძალაუფლების გადაცემა რევოლუციური კლასის ხელში, მოკავშირეთა კაპიტალის იმ ფინანსური ბორკილების გაწყვეტა, რომლებიც ხელ-ფეხს უბორკავენ რუსეთს, ზავის პირობების გამოცხადება, მოშლილი სახალხო მეურნეობის მოწესრიგება მემამულეთა და კაპიტალისტთა მოგების ხარჯზე.

მესამე გზა არ არსებობს, და მენშევიკები და ესერები, რომლებიც მესამე გზას ეძებდნენ, გარდუვალად უნდა ჩაფლავებულიყვნენ.

კადეტები ამ მხრივ უფრო საღად მოაზროვნენი აღმოჩნდნენ.

საჭიროა «გადაჭრით გაწყვეტილ იქნას ხელისუფლების კავშირი ციმერვალდიზმისა და «უტოპიური» სოციალიზმის დამღუპველ ტენდენციებთანო», — წერს «რეჩი».

სხვანაირად რომ ვთქვათ: ომი ყოველ მიზეზს გარეშე, ომი ბოლომდე.

«საჭიროა გააკეთოთ საბოლოო დასკვნა», — ამბობს ნეკრასოვი ცნობილ თათბირზე: ან თქვენ აიღეთ ძალაუფლება (მიმართავს ის საბჭოს), ან სხვებს მიეცით შესაძლებლობა აიღონ ეს ძალაუფლებაო.

სხვანაირად რომ ვთქვათ: ან რევოლუცია, ან კონტრრევოლუცია.

მენშევიკებმა და ესერებმა უარი თქვეს რევოლუციურ გზაზე, მაშასადამე, ისინი გარდუვალად უნდა მოქ-

ცეულიყვნენ კადეტების ბატონობის ქვეშ, კონტრრევოლუციის ბატონობის ქვეშ.

ვინაიდან კადეტები — ეს არის უზრუნველყოფილი საშინაო სესხი.

ვინაიდან კადეტები — ეს არის მეგობრობა მოკავშირეთა კაპიტალთან, ესე იგი უზრუნველყოფილი საგარეო სესხი.

ფული კი ასე საჭიროა ნგრევის გამო ზურგში და განსაკუთრებით ფრონტზე...

ამაშია «კრიზისის» მთელი დედაარსი.

ამაშია კადეტების გამარჯვების მთელი აზრი.

დიდხანს ეყოფათ თუ არა ეს გამარჯვება, ამას უახლოესი მომავალი დაგვანახვებს.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 2,
1917 წ. 24 ივლისი.
მოწინავე.

პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს!

ამხანაგებო!

მძიმე დღეებს განიცდის რუსეთი.

სამი წლის ომმა, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი შთანთქა, ქვეყანა გამოფიტვამდე მიიყვანა.

ტრანსპორტის მოშლა და სასურსათო ნგრევა მასობრივ შიმშილობას გვიქადის.

სამრეწველო ნგრევა და ქარხნების შეჩერება სახალხო მეურნეობის თვით საფუძვლებს არყევს.

ომი კი კვლავ წარმოებს და საერთო კრიზისს ამწვავებს, ქვეყანა სრულ რღვევამდე მიჰყავს.

დროებითი მთავრობა, რომელიც მოწოდებულია «იხსნას» ქვეყანა, იმის უნარმოკლებული აღმოჩნდა, რომ შეასრულოს თავისი ამოცანა. მეტიც, — მან კიდევ უფრო ააბნია საქმე, დაიწყო რა შეტევა ფრონტზე და ამით გააჭიანურა ომი, მთავარი მიზეზი საერთო კრიზისისა ჩვენს ქვეყანაში.

შედეგად — ხელისუფლების სრული მერყეობა, ხელისუფლების კრიზისი და რღვევა, რაზედაც ყველანი გაჰყვი-

რიან, მაგრამ რის წინააღმდეგაც არავითარ სერიოზულ ზომებს არ იღებენ.

მთავრობიდან კადეტების წასვლამ ერთხელ კიდევ გამოააშკარავა, რომ კოალიციური სამინისტრო მთლად ხელოვნური და სიცოცხლის უნარს მოკლებულია.

ხოლო ფრონტზე ჩვენი ჯარების უკანდახევამ, მათი ცნობილი შეტევის შემდეგ, გამოააშკარავა შეტევის პოლიტიკის მთელი დამღუპველობა, უკიდურეს ზომამდე მიიყვანა კრიზისი, დაცა ხელისუფლების პრესტიჟი და დაუკარგა მას კრედიტი როგორც «შინაურ», ისე «მოკავშირე» ბურჟუაზიასთან.

შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა.

რევოლუციის «მხსნელების» წინაშე ორი გზა ისახებოდა.

ან ომის განგრძობა და შემდგომი «შეტევა», და მაშინ — ძალაუფლების აუცილებელი გადაცემა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისათვის, რათა გამონახულ იქნას ფული საშინაო და საგარეო სესხების გზით, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბურჟუაზია არ შევიდოდა მთავრობაში, საშინაო სესხი არ შედგებოდა, ინგლისი და ამერიკა კრედიტზე უარს იტყოდნენ, ხოლო ასეთ შემთხვევაში ქვეყნის «ხსნა» ნიშნავს ომის ხარჯების დაფარვას მუშებისა და გლეხების ხარჯზე იმპერიალიზმის რუსი და «მოკავშირე» სვავების საამებლად.

ან ძალაუფლების გადასვლა მუშებისა და ხელმოკლე გლეხების ხელში, ზავის დემოკრატიული პირობების გამოცხადება და ომის შეწყვეტა იმისათვის, რომ, რევოლუციის შემდგომი წინწაწევით, გადაეცეს მიწა გლეხებს, დაწესდეს მუშათა კონტროლი მრეწველობაში და მოწესრიგებულ იქნას რღვევის გზაზე მყოფი სახალხო მეურნეობა კაპიტალისტთა და მემამულეთა მოგების ხარჯზე.

პირველ გზას მივყავართ მშრომელებზე შეძლებულ კლასთა ბატონობის გაძლიერებისაკენ და რუსეთის გადაქცევისაკენ ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის კოლონიად.

მეორე გზა ხსნის ევროპაში მუშური რევოლუციის ერას, წყვეტს ფინანსურ ძაფებს, რომლებითაც შებოჭილია რუსეთი, არყევს ბურჟუაზიული ბატონობის თვით საფუძვლებს და წმენდს გზას რუსეთის ნამდვილი განთავისუფლებისათვის.

3 — 4 ივლისის დემონსტრაცია იყო მუშათა და ჯარისკაცთა მასების მოწოდება, მიმართული სოციალისტური პარტიებისადმი, — დასდგომოდნენ მეორე გზას, რევოლუციის შემდგომი განვითარების გზას.

ამაშია მისი პოლიტიკური აზრი და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

მაგრამ დროებითმა მთავრობამ და ესერ-მენშევიკთა სამინისტრო პარტიებმა, რომლებიც თავის ძალას იკრებენ არა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოქმედებაში, არამედ კადეტურ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლურ კომბინაციებში, — ამჯობინეს პირველი გზა — კონტრრევოლუციასთან შეგუების გზა.

ნაცვლად იმისა, რომ ხელი გაეწოდებინათ დემონსტრანტებისათვის, აეღოთ ძალაუფლება და მათთან ერთად დაეწყოთ ბრძოლა «მოკავშირე» და «შინაური» იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან რევოლუციის ნამდვილი ხსნისათვის, — მათ კავშირი დადეს კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და თავისი იარაღი მიმართეს დემონსტრანტების წინააღმდეგ, მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ, მიუსიეს რა მათ იუნკრები და კაზაკები.

ამით მათ გასცეს რევოლუცია და ფართოდ გაუღეს კარი კონტრრევოლუციას.

და ცხოვრების ფსკერიდან ამოტივტივდა შავი ნალეჭი, რომელმაც ლაფში ამოსვარა ყოველივე პატიოსანი, კეთილშობილი.

ჩხრეკა და რბევა, დაპატიმრებანი და ცემა-ტყეპა, წამება და მკვლელობანი, გაზეთებისა და ორგანიზაციების დახურვა, მუშების განიარაღება და პოლკების დაშლა, ფინეთის სეიმის დათხოვნა, თავისუფლებათა შეზღუდვა და სიკვდილით დასჯის აღდგენა, დამრბევთა და კონტრრევოლუციონერთა თარეში, სიცრუე და ბინძური ცილისწამება, ყოველივე ეს ესერებისა და მენშევიკების მდუმარე თანხმობით, — ასეთია კონტრრევოლუციის პირველი ნაბიჯები.

მოკავშირე და რუსი იმპერიალისტები კადეტთა პარტიით, მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობა იუნკრებით, კაზაკებითა და კონტრრევოლუციონერებით, — აი ისინი, კონტრრევოლუციის ძალები.

ამ ჯგუფების კარნახით დგება დროებითი მთავრობის წევრთა სიები, ამასთან მინისტრები მარიონეტებივით ჩნდებიან და ქრებიან.

ამ ჯგუფების მითითებით ხდება ბოლშევიკებისა და ჩერნოვის გაცემა, პოლკებისა და გემთა ეკიპაჟების წმენდა, ხვრეტა და ჯარის ნაწილების დაშლა ფრონტზე, დროებითი მთავრობის გადაქცევა სათამაშოდ კერენსკის ხელში, საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაქცევა ამ სათამაშოს უბრალო დანამატად, «რევოლუციური დემოკრატიის» მიერ თავის უფლებათა და მოვალეობათა სამარცხვინო უარყოფა, ამას წინათ გაუქმებული მეფის სათათბიროს აღდგენა თავის უფლებებში.

საქმე იქამდე მიდის, რომ «ისტორიულ თათბირზე»[46] ზამთრის სასახლეში (21 ივლისს) არაორაზროვნად უთანხმდებიან ერთიმეორეს (შეთქმულება!) რევოლუციის შემდ-

გომი ალაგმვის შესახებ, ამასთან, ბოლშევიკების მხრივ მხილების შიშით, არ იწვევენ მათ ამ თათბირზე.

ამის შემდეგ კი — პროექტი «მოსკოვის თათბირისა», სადაც ისინი აპირებენ საბოლოოდ დაასამარონ სისხლით მოპოვებული თავისუფლება...

ყოველივე ეს მენშევიკებისა და ესერების მონაწილეობით, რომლებიც ლაჩრულად ზედიზედ თმობენ პოზიციებს, მორჩილად იმათრახებენ თავს და თავისსავე ორგანიზაციებს, დანაშაულებრივად ჰქელავენ რევოლუციის მონაპოვართ...

ჯერ არასოდეს არ მოქცეულან დემოკრატიის «წარმომადგენელნი» ისე უღირსად, როგორც ახლა, ამ ისტორიულ დღეებში!

ჯერ არასოდეს არ მისულან ისინი ისეთ სამარცხვინო დაცემამდე, როგორც ახლა!

განა შეიძლება გვიკვირდეს ყოველივე ამის შემდეგ, რომ კონტრრევოლუცია გათავხედდა და ლაფში სვრის ყოველსავე პატიოსანსა და რევოლუციურს?

განა შეიძლება გვიკვირდეს ამის შემდეგ, რომ გამყიდველი დაჭირავებულნი და ლაჩარი ცილისმწამებელნი ბედავენ აშკარად «დასდონ ბრალი» ჩვენი პარტიის ბელადებს «ღალატში», კალმოსანი ყაჩაღები ბურჟუაზიული გაზეთებიდან თავხედურად ბერავენ ამ «ბრალდებას», ხოლო ეგრეთწოდებული საპროკურორო ხელისუფლება წარბშეუხრელად აქვეყნებს ეგრეთწოდებულ მასალებს «ლენინის საქმეზე» და სხვ.?

ეს ვაუბატონები, როგორც ჩანს, ვარაუდობენ არევდარევა შეიტანონ ჩვენს რიგებში, დათესონ ჩვენში ეჭვები და დაბნეულობა, განავითაროონ უნდობლობა ჩვენი ბელადებისადმი.

უბადრუკნი! მათ არ იციან, რომ ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ბელადების სახელები ისე ძვირფასი და მახლობელი მუშათა კლასისათვის, როგორც ახლა, როდესაც გათავხედებული ბურჟუაზიული ბრბო ლაფში სვრის მათ!

მოსყიდულნი! ისინი ვერც კი მიმხვდარან, რომ რაც უფრო უხეშად ეწევიან ცილისწამებას ბურჟუაზიის დაქირავებული აგენტები, მით უფრო ძლიერია მუშების სიყვარული ბელადებისადმი, მით უფრო უსაზღვროა მუშების ნდობა მათდამი, ვინაიდან მუშებმა გამოცდილებით იციან, რომ როდესაც მტრები ლანძღავენ პროლეტარიატის ბელადებს, ეს იმის ნამდვილი ნიშანია, რომ ბელადები პატიოსნად ემსახურებიან პროლეტარიატს.

უნამუსო ცილისმწამებელთა სამარცხვინო დაღი — აი ჩვენი ძღვენი თქვენდამი, ბ-ნო ალექსინსკებო და ბურცევებო, პერევერზევებო და დობრონრავოვებო. მიიღეთ ეს დაღი პეტროგრადის 32 000 ორგანიზებული მუშის სახელით, რომლებმაც ჩვენ ამოგვირჩიეს, და კუბოს ფიცრამდე ატარეთ იგი. თქვენ იგი დაიმსახურეთ.

თქვენ კი, ბ-ნო კაპიტალისტებო და მემამულეებო, ბანკირებო და სპეკულანტებო, ხუცებო და კონტრმზვერავებო, ყველა, ვინც ხალხთა ბორკილებს სჭედავთ, — მეტისმეტად ადრე ზეიმობთ გამარჯვებას, მეტისმეტად ადრე შეუდექით თქვენ რუსეთის დიდი რევოლუციის დასამარებას.

რევოლუცია ცოცხლობს, და ის კიდევ გაცნობებთ თავს, ბ-ნო მესაფლავენო.

ომი და ნგრევა გრძელდება, და ველური რეპრესიებით ვერ განკურნავთ მათ მიერ მიყენებულ ჭრილობებს.

რევოლუციის მიწისქვეშა ძალები ცოცხლობენ და აწარმოებენ თავის დაუღალავ მუშაობას ქვეყნის გარევოლუციურებისათვის.

გლეხებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ მიწა. ისინი იბრძოლებენ, ვინაიდან მათ უმიწოდ ცხოვრება არ შეუძლიათ.

მუშებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს თავის კონტროლს ქარხნებსა და ფაბრიკებში. ისინი იბრძოლებენ ამისათვის, ვინაიდან სამრეწველო ნგრევა უმუშევრობას უქადის მათ.

ჯარისკაცები და მატროსები უნდათ უკუაგდონ ძველი დისციპლინისაკენ. ისინი იბრძოლებენ თავისუფლებისათვის, ვინაიდან მათ დაიმსახურეს თავისუფლება.

არა, ბატონო კონტრრევოლუციონერებო, რევოლუცია არ მომკვდარა, ის მხოლოდ მინელდა იმისათვის, რომ შემოიკრიბოს ახალი მომხრენი და ახალი ძალით ეკვეთოს მტრებს.

«ჩვენ ცოცხლები ვართ, დაუხარჯავი ძალების ცეცხლით დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი!» [47].

იქ კი, დასავლეთში, ინგლისსა და გერმანიაში, საფრანგეთსა და ავსტრიაში, — განა იქ უკვე არ ფრიალებს მუშათა რევოლუციის დროშა, განა იქ უკვე არ ეწყობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები?

კიდევ იქნება ბრძოლები!

კიდევ იქნება გამარჯვებანი!

მთელი საქმე ის არის, რომ ღირსეულად და ორგანიზებულად შევხვდეთ მომავალ ბრძოლებს.

მუშებო! თქვენ გხვდათ რუსეთის რევოლუციის ბედადთა საპატიო როლი. დარაზმეთ მასები თქვენს გარშემო და შემოკრიბეთ ისინი ჩვენი პარტიის დროშის ქვეშ. გახსოვდეთ, რომ ივლისის დღეების მძიმე წუთებში, როდესაც ხალხის მტრები თოფს უშენდნენ რევოლუციას, ბოლშევიკების პარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელმაც არ მიატოვა მუშათა უბნები. გახსოვდეთ, რომ იმ მძიმე დღეებში მენშევიკები და ესერები იმათ ბანაკში იყვნენ, ვინც არბევდა და იარაღს ჰყრიდა მუშებს.

ჩვენი დროშის ქვეშ, ამხანაგებო!

გლეხებო! თქვენმა ბელადებმა ვერ გაამართლეს თქვენი იმედები. ისინი კუდში მისჩანჩალებენ კონტრრევოლუციას, თქვენ კი უმიწოდ რჩებით, ვინაიდან ვიდრე კონტრრევოლუცია ბატონობს, თქვენ მემამულეთა მიწებს ვერ მიიღებთ. მუშები — აი თქვენი ერთადერთი ერთგული მოკავშირენი. მხოლოდ მათთან კავშირით მიიღებთ თქვენ მიწასა და თავისუფლებას. მაშ დაირაზმეთ მუშების გარშემო!

ჯარისკაცებო! რევოლუციის ძალა ხალხისა და ჯარისკაცების კავშირშია. მინისტრები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება. მაშ ყოველთვის ხალხთან იყავით და იბრძოლეთ მის რიგებში!

ძირს კონტრრევოლუცია!
გაუმარჯოს რევოლუციას!
გაუმარჯოს სოციალიზმს და ხალხთა ძმობას!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენცია

«რაბოჩი ი სოლდატ» № 2,
1917 წ. 24 ივლისი.

ორი კონფერენცია[48]

ორი კონფერენცია. ორივე საერთო-საქალაქო, პეტროგრადისა.

ერთი მენშევიკური. მეორე ბოლშევიკური.

პირველი წარმოადგენს სულ 8 ათას მუშას.

მეორე — 32 ათასს.

პირველზე მეფობს ქაოსი და რღვევა, ვინაიდან **ის** სადაც არის გაითიშება ორ ნაწილად.

მეორეზე ერთიანობა და შემჭიდროებაა.

პირველი თავის ძალებს იკრებს კადეტურ ბურჟუაზიასთან შეთანხმებებში. და სწორედ ამ ნიადაგზე გაითიშა იგი, ვინაიდან ჯერ კიდევ მოიპოვებიან მენშევიკებს შორის ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ დაუკარგავთ პატიოსნება, რომლებსაც არ სურთ კუდში მისჩანჩალებდნენ ბურჟუაზიას.

მეორე, პირიქით, თავის ძალებს იკრებს არა ბურჟუაზიასთან კომბინაციებში, არამედ მუშების რევოლუციურ ბრძოლაში კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

პირველი «ქვეყნის ხსნას» ხედავს ბოლშევიზმის აღმოფხვრაში და რევოლუციის გაცემაში.

მეორე — კონტრრევოლუციისა და მისი «სოციალისტური» დანამატების აღგვაში.

ამბობენ, ბოლშევიზმი ლიკვიდირებული და დასამარებულიაო.

მეტისმეტად ადრე გვასამარებენ ბ-ნი მესაფლავენი. ჩვენ კიდევ ცოცხალი ვართ, და ბურჟუაზია კიდევ არა ერთხელ აძრწოლდება და აცახცახდება ჩვენი ხმისაგან.

32 ათასი დარაზმული ბოლშევიკი, რომლებიც დგანან რევოლუციის მხარეზე, და 8 ათასი დაქსაქსული მენშევიკი, რომელთა უმრავლესობამ უღალატა რევოლუციას, — აირჩიეთ, ამხანაგო მუშებო!

«რაბოჩი ი სოლდატ» № 2,
1917 წ. 24 ივლისი.

სტატია ხელმოუწერელია.

ახალი მთავრობა

სამინისტრო ოთურმა დასრულდა. შედგა ახალი მთავრობა. კადეტები, მოკადეტოები, ესერები, მენშევიკები — ასეთია მთავრობის შემადგენლობა.

კადეტების პარტია დაკმაყოფილებულია. კადეტების ძირითადი მოთხოვნები მიღებულია. ეს მოთხოვნები საფუძვლად დაედო ახალი მთავრობის საქმიანობას.

კადეტები მოითხოვდნენ მთავრობის გაძლიერებას საბჭოების ხარჯზე, მთავრობის დამოუკიდებლობას საბჭოებისაგან. საბჭოები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ «ცუდი მწყემსები» ესერებიდან და მენშევიკებიდან, წავიდნენ ამ დათმობაზე და ხელი მოაწერეს თავის სასიკვდილო განაჩენს.

დროებითი მთავრობა, როგორც ერთადერთი ხელისუფლება, — აი რას მიაღწიეს კადეტებმა.

კადეტები მოითხოვდნენ «არმიის გაჯანსაღებას», ესე იგი «რკინისებურ დისციპლინას» არმიაში, არმიის დამორჩილებას მხოლოდ უშუალო უფროსებისადმი, რომლებიც თავის მხრივ მხოლოდ მთავრობას ემორჩილებიან. საბჭოები, რომლებსაც ესერები და მენშევიკები ხელმძღვანელობენ, ამ დათმობაზეც წავიდნენ და თავი განიიარაღეს.

უარმიოდ დარჩენილი საბჭოები, მხოლოდ მოკადეტო ელემენტების მთავრობისადმი დაქვემდებარებული არმია, — აი რას მიაღწიეს კადეტებმა.

კადეტები მოითხოვდნენ აუცილებელ ერთიანობას მოკავშირეებთან. საბჭოები «გადაჭრით» დაადგნენ ამ გზას... «ქვეყნის დაცვის» ინტერესებისათვის და დაივიწყეს თავისი «ინტერნაციონალური» დეკლარაციები. ამასთან 8 ივლისის ეგრეთწოდებული პროგრამა ჰაერში გამოეკიდა.

ომი «დაუზოგავად», «ომი ბოლომდე» — აი რას მიაღწიეს კადეტებმა.

მოუსმინეთ თვით კადეტებს:

«კადეტების მოთხოვნები უეჭველად საფუძვლად დაედო მთელი მთავრობის საქმიანობას... სწორედ ამიტომ, რაკი კადეტების ძირითადი მოთხოვნები მიღებულ იქნა, პარტიამ შესაძლებლად ვეღარ ჩათვალა განეგრძო დავა სპეციფიკურ-პარტიულ უთანხმოებათა გამო». ვინაიდან კადეტებმა იციან, რომ ახლანდელ პირობებში «8 ივლისის ყბადაღებული პროგრამის დემოკრატიული ელემენტებისათვის ძალიან ცოტა დრო და შესაძლებლობა დარჩება» (იხ. «რეჩ»).

ვგონებთ, ნათელია.

იყო დრო, როდესაც საბჭოები ქმნიდნენ ახალ ცხოვრებას, შემოჰქონდათ რევოლუციური გარდაქმნები და აიძულებდნენ დროებით მთავრობას განემტკიცებინა ეს გარდაქმნები დეკრეტებსა და ბრძანებულებებში.

ეს იყო მარტ-აპრილში.

მაშინ დროებითი მთავრობა მორჩილად მიჰყვებოდა საბჭოებს და თავისი არარევოლუციური ალმით ფარავდა საბჭოების რევოლუციურ ღონისძიებებს.

ახლა დადგა დრო, როდესაც დროებითმა მთავრობამ უკუ იბრუნა პირი, შემოაქვს კონტრრევოლუციური «გარ-

დაქმნები», ამასთან საბჭოები «იძულებული» ხდებიან მდუმარედ დაადასტურონ ეს «გარდაქმნები» თავიანთ წყალწყალა რეზოლუციებში.

ახლა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ყველა საბჭოების ეს წარმომადგენელი, მორჩილად მიჰყვება დროებით მთავრობას და რევოლუციური ფრაზეოლოგიით ფარავს ამ უკანასკნელის კონტრრევოლუციურ სახეს.

როლები, როგორც ჩანს, შეიცვალა, და შეიცვალა არა საბჭოების სასარგებლოდ.

დიახ, კადეტებს საფუძველი აქვთ «კმაყოფილი» იყვნენ.

დიდხანს გასტანს ეს თუ არა, ამას უახლოესი მომავალი დაგვანახვებს.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 3,
1917 წ. 26 ივლისი.

მოწინავე.

დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის [49]

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია დაიწყო. პარტიები უკვე ახდენენ თავისი ძალების მობილიზაციას. კადეტების მომავალი კანდიდატები უკვე მიმოდიან რუსეთში და სინჯავენ წარმატების შანსებს. სოც.-რევოლუციონერებმა პეტროგრადში მოიწვიეს გლეხთა საგუბერნიო წარმომადგენლების თათბირი არჩევნების «ორგანიზაციის» მიზნით. ნაროდნიკთა მეორე ჯგუფი იმავე მიზნით იწვევს გლეხთა სრულიად რუსეთის კავშირის [50] ყრილობას მოსკოვში. ამავე დროს იქმნებიან თვითნებური უპარტიო «გლეხთა დეპუტატების საგარნიზონო საბჭოები», სხვათა შორის, იმ მიზნით, რომ წარმატებით აწარმოონ არჩევნები სოფლად. ამავე მიზნით ჩნდებიან მუშათა მრავალრიცხოვანი სათვისტომოები, რომლებიც ამარაგებენ სოფელს ლიტერატურით, ადამიანებით. დასასრულ, ცალკეული ჭარხნები გზავნიან სოფლად სპეციალურ არჩეულებს საარჩევნო აგიტაციისათვის. აღარას ვამბობთ უამრავ ერთეულ «დელეგატებზე», უმთავრესად, ჯარისკაცებსა და მატროსებზე, რომლებიც მოგზაურობენ რუსეთში და უზიარებენ გლეხებს «ქალაქის ახალ ამბებს».

აშკარაა, მომენტის დიდი მნიშვნელობა და დამფუძნებელი კრების გადამწყვეტი მნიშვნელობა შეგნებული აქვთ მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენებს. ამასთან ყველანი გრძნობენ, რომ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სოფელს, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობას, რომ სწორედ იქითკენ უნდა წარიმართოს მთელი თავისუფალი ძალები. ყოველივე ეს სასოფლო-სამეურნეო მუშების — სოფლად ჩვენი პარტიის მთავარი დასაყრდენის — დაქსაქსულობასა და არაორგანიზებულობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად ართულებს ჩვენს ამოცანებს სოფლად. ქალაქის მუშებისაგან, ქალაქის მოსახლეობის ამ ყველაზე ორგანიზებული ფენისაგან განსხვავებით, — სოფლის მუშები ყველაზე არაორგანიზებულ ძალას წარმოადგენენ. გლეხთა დეპუტატების საბჭოებს აწყობენ, უმთავრესად, გლეხობის საშუალო და შეძლებული ფენები, რომლებიც ბუნებრივად მიდრეკილებას იჩენენ «ლიბერალურ მემამულესთან და კაპიტალისტთან» შეთანხმებისაკენ. ისინივე მიუძღვიან სოფლის პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ელემენტებს, უმორჩილებენ რა მათ ტრუდოვიკთა და სოც.-რევოლუციონერთა შემთანხმებლური პარტიების გავლენას. სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმისა და სოფლად კლასობრივი ბრძოლის არასაკმაო განვითარება ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს ასეთი შემთანხმებლური პოლიტიკისათვის.

ჩვენი პარტიის მორიგი ამოცანაა გაათავისუფლოს გლეხობის უღარიბესი ფენები ტრუდოვიკთა და სოც.-რევოლუციონერთა გავლენისაგან და შეაკავშიროს ისინი ქალაქის მუშებთან ერთ ძმურ ოჯახად.

თვით ცხოვრება მუშაობს ამ მიმართულებით, თანდათანობით ააშკარავებს შეთანხმებათა პოლიტიკის უვარგისობას. პარტიულ მუშაკთა ამოცანაა ყოველნაირად ჩაე-

რიონ დამფუძნებელი კრების არჩევნებში იმისათვის, რომ ცხადი გახადონ ასეთი პოლიტიკის მთელი დამღუპველობა და ამით შეუმსუბუქონ გლეხობის უღარიბეს ფენებს ქალაქის პროლეტარიატის გარშემო მათი დარაზმვის საქმე.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა ახლავე შეიქმნას სოფლებში ჩვენი პარტიული ბირთვები, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულ უნდა იქნან პარტიულ კომიტეტებთან ქალაქებში. ყოველ თემში, ყოველ მაზრაში, ყოველ საარჩევნო ოლქში უნდა მოეწყოს ჩვენი პარტიული ჯგუფები უღარიბესი გლეხებისა და გლეხ-ქალებისაგან. ეს ჯგუფები დაკავშირებულ უნდა იქნან ჩვენს კომიტეტებთან გუბერნიის სამრეწველო ცენტრებში. კომიტეტების მოვალეობაა — მოამარაგონ ჯგუფები აუცილებელი მასალებით არჩევნების შესახებ, ლიტერატურით, ადამიანებით.

მხოლოდ ამ გზით და თვით კამპანიის მსვლელობაში შესაძლებელი იქნება შეიქმნას ქალაქისა და სოფლის პროლეტარების ნამდვილი ერთიანობა.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ კაპიტალისტებთან და მემამულეებთან შეთანხმებისა, ვინაიდან ვიცით, რომ ასეთი შეთანხმებით მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინტერესები შეილახება.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ, საერთოდ, ყოველგვარი შეთანხმების წინააღმდეგი ვართ.

ჩვენ მომხრენი ვართ უქონელი გლეხების იმ უპარტიო ჯგუფებთან შეთანხმებისა, რომლებსაც თვით ცხოვრება უბიძგებს მემამულისა და კაპიტალისტის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გზისაკენ.

ჩვენ მომხრენი ვართ ჯარისკაცებისა და მატროსების იმ უპარტიო ორგანიზაციებთან შეთანხმებისა, რომლებიც გამსჭვალული არიან ნდობით არა მდიდრებისადმი, არამედ

ღარიბებისადმი, არა ბურჟუაზიის მთავრობისადმი, არამედ ხალხისადმი და, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასისადმი. ასეთი ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის ხელის კვრა იმის გამო, რომ მათ არ შეუძლიათ ან არ სურთ შემოუერთდნენ ჩვენს პარტიას — არაგონივრული და მავნე იქნებოდა.

ამიტომ ასეთ ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან საერთო ენის გამონახვა, საერთო რევოლუციური პლატფორმის გამომუშავება, მათთან კანდიდატების საერთო სიების შედგენა ყველა საარჩევნო ოლქში, ამ სიებში არა «პროფესორთა» და «მეცნიერთა», არამედ გლეხთა, ჯარისკაცთა და მატროსთა შეტანა, რომელნიც მზად არიან მკერდით დაიცვან ხალხის მოთხოვნები, — აი რა მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი საარჩევნო კამპანია სოფლად.

მხოლოდ ამგვარად იქნება შესაძლებელი სოფლის მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენების დარაზმვა ჩვენი რევოლუციის ბელადის გარშემო, პროლეტარიატის გარშემო.

ასეთი უპარტიო ჯგუფების დიდხანს ძებნა არ მოგვიხდება, ვინაიდან ისინი ჩნდებიან ყველგან, ყოველდღე. და ისინი კვლავაც წარმოიშობიან დროებითი მთავრობისადმი მზარდი უნდობლობის ნიადაგზე, ვინაიდან ეს მთავრობა ხელს უშლის გლეხთა კომიტეტებს მოიხმარონ მემამულეთა მიწები. ისინი იზრდებიან და კვლავაც გაიზრდებიან გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკით უკმაყოფილების ნიადაგზე, იმ აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელიც კუდში მისჩანჩალებს დროებით მთავრობას. მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ამას წინათ შექმნილი «პეტროგრადის გლეხთა დეპუტატების საბჭო» [51], რომელიც ქალაქის მთელ გარნიზონს აერთიანებს და რომელიც თავისი საქმიანობის პირ-

ველ ნაბიჯებისთანავე შეეჯახა დროებით მთავრობას და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტს.

აი სანიმუშო პლატფორმაც, რომელიც შეიძლება გამოდგეს ნიადაგად გლეხთა და ჯარისკაცთა ასეთ უპარტიო ორგანიზაციებთან შეთანხმებისათვის.

1. ჩვენ წინააღმდეგი ვართ მემამულეებისა და კაპიტალისტებისა მათი «ხალხის თავისუფლების პარტიით», ვინაიდან ისინი, და მხოლოდ ისინი, არიან რუსი ხალხის მთავარი მტრები. არავითარი ნდობა, არავითარი მხარდაჭერა მდიდრებს და მათს მთავრობას!

2. ჩვენ მომხრენი ვართ მუშათა კლასისადმი, სოციალიზმისათვის თავდადებული მებრძოლისადმი ნდობისა და მხარდაჭერისა, ჩვენ მომხრენი ვართ მუშებთან გლეხების, ჯარისკაცების და მატროსების კავშირისა და შეთანხმებისა მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

3. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ომისა, ვინაიდან ის დამპყრობლური ომია. უანექსიო ზავზე ლაპარაკი ფუჭ ლაყბობად რჩება, ვიდრე ომი წარმოებს იმ საიდუმლო ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლებიც მეფემ დადო ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან.

4. ჩვენ მომხრენი ვართ ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტისა იმ გზით, რომ ხალხებმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუჩაღონ თავიანთი იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ.

5. ჩვენ წინააღმდეგი ვართ მრეწველობაში ანარქიისა, რომელსაც კაპიტალისტები ამწვავებენ. ჩვენ მომხრენი ვართ მუშათა კონტროლისა მრეწველობაზე, ჩვენ მომხრენი ვართ მრეწველობის ორგანიზაციისა დემოკრატიულ საფუძვლებზე, თვით მუშებისა და მათ მიერ აღიარებული ხელისუფლების ჩარევის გზით.

6. ჩვენ მომხრენი ვართ ქალაქსა და სოფელს შორის პროდუქტების სწორი გაცვლა-გამოცვლის მოწყობისა იმ ანგარიშით, რომ ქალაქი მარაგდებოდეს სურსათ-სანოვაგის საკმაო რაოდენობით, ხოლო სოფელი — შაქრით, ნავთით, ფეხსაცმლით, ქსოვილებით, რკინის ნაკეთობითა და სხვა აუცილებელი საქონლით.

7. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მთელი მიწა — საუფლისწულო, სახაზინო, საკაბინეტო, მემამულეთა, სამონასტრო-საეკლესიო — გამოუყიდველად გადავიდეს მთელი ხალხის ხელში.

8. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მემამულეთა მთელი თავისუფალი მიწა, სახნავი და საძოვარი, **დაუყოვნებლივ** გადავიდეს გლეხთა დემოკრატიულად არჩეული კომიტეტების განკარგულებაში.

9. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მთელი თავისუფალი ცოცხალი და მკვდარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რომელიც მემამულეებს აქვთ და საწყობებში მოიპოვება, **დაუყოვნებლივ** გადაცემულ იქნას გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში მინდვრების, სათიბების დასამუშავებლად, პურის მოსავლის ასაღებად და სხვ.

10. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ყველა ინვალიდს, რომლებმაც ომში დაკარგეს შრომის უნარი, აგრეთვე ქვრივებსა და ობლებს ეძლეოდეთ დახმარება იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ადამიანურ არსებობას.

11. ჩვენ მომხრენი ვართ სახალხო რესპუბლიკისა, სადაც არ იქნება მუდმივი არმია, სადაც არ იქნება ბიუროკრატია, სადაც არ იქნება პოლიცია.

12. მუდმივი არმიის ნაცვლად ჩვენ მოვითხოვთ საყოველთაო-სახალხო ლაშქარს უფროსთა არჩევითობით.

13. უპასუხისმგებლო მოხელე-ბიუროკრატების ნაცვლად ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოსამსახურეები იყვნენ არჩეულნი და შეიძლებოდეს მათი შეცვლა.

14. ხალხის მეურვე პოლიციის ნაცვლად ჩვენ მოვითხოვთ არჩევითს მილიციას, რომლის შემადგენლობა უნდა იცვლებოდეს.

15. ჩვენ მომხრენი ვართ ჯარისკაცებისა და მატროსების წინააღმდეგ მიმართულ «ბრძანებათა» გაუქმებისა.

16. ჩვენ წინააღმდეგი ვართ პოლკების დაშლისა და ჯარისკაცების ერთიმეორეზე წასისიანებისა.

17. ჩვენ წინააღმდეგი ვართ მუშათა და ჯარისკაცთა პრესის დევნისა; ჩვენ წინააღმდეგი ვართ სიტყვისა და კრების თავისუფლების შეზღუდვისა როგორც ზურგში, ისე ფრონტზე; ჩვენ წინააღმდეგი ვართ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დაპატიმრებისა, წინააღმდეგი ვართ მუშების განიარაღებისა.

18. ჩვენ წინააღმდეგი ვართ სიკვდილით დასჯის აღდგენისა.

19. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყველა ხალხს მიეცეს თავისი ცხოვრების თავისუფლად მოწყობის უფლება, რომ ეს ხალხები არ იჩაგრებოდნენ.

20. დასასრულ, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მთელი ძალაუფლება ქვეყანაში გადაეცეს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ საბჭოებს, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ძალაუფლებას შესწევს უნარი გამოიყვანოს ქვეყანა ჩიხიდან, სადაც ის მოაქციეს ომმა, ნგრევამ, სიძვირემ და კაპიტალისტებმა და მემამულეებმა, რომელნიც ხალხის გაჭირვებით მდიდრდებიან.

ასეთია, ზოგადად, პლატფორმა, რომელსაც შეუძლია შექმნას ნიადაგი ჩვენი პარტიული ორგანიზაციების შე-

თანხმებისათვის გლეხთა და ჯარისკაცთა უპარტიო რევოლუციურ ჯგუფებთან.

ამხანაგებო! ახლოვდება არჩევნების დრო. ჩაერიეთ საქმეში, ვიდრე გვიან არ არის, და მოაწყეთ საარჩევნო კამპანია.

შექმენით აგიტატორთა მფრინავი ჯგუფები მუშებისა და მუშა-ქალებისაგან, ჯარისკაცებისა და მატროსებისაგან და მოაწყეთ მოკლე ლექციები პლატფორმის შესახებ.

მოამარაგეთ ეს ჯგუფები ლიტერატურით და დაგზავნეთ ისინი რუსეთის ყველა კუთხეში.

დაე მათმა ხმამ გააღვიძოს სოფელი დამფუძნებელი კრების მომავალი არჩევნებისათვის.

შექმენით პარტიული ჯგუფები თემებსა და მაზრებში და დარაზმეთ მათ გარშემო ღარიბი გლეხობის ფართო ფენები.

მოაწყეთ თათბირები თემებში, მაზრებში, გუბერნიებში რევოლუციურ-პარტიული კავშირის განსამტკიცებლად, დამფუძნებელი კრებისათვის კანდიდატების დასასახელებლად.

დიდია დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა. მაგრამ გაცილებით უფრო დიდია იმ მასების მნიშვნელობა, რომლებიც დამფუძნებელი კრების გარეთ რჩებიან. ძალა თვით დამფუძნებელ კრებაში კი არ არის, არამედ იმ მუშებსა და გლეხებში, რომლებიც, ქმნიან რა თავისი ბრძოლით ახალ რევოლუციურ სამართალს, წინ წასწევენ დამფუძნებელ კრებას.

იცოდეთ, რომ რაც უფრო ორგანიზებული იქნებიან რევოლუციური მასები, მით უფრო ყურადღებს მათს

ხმას დამფუძნებელი კრება, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის რევოლუციის ბედი.

ამიტომ არჩევნებში მთავარი ამოცანაა გლეხობის ფართო მასების დარაზმვა ჩვენი პარტიის გარშემო.

მაშ, შევუდგეთ საქმეს, ამხანაგებო!

«რაბოჩი ი სოლდატ» № 4,
1917 წ. 27 ივლისი.
ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

გამოსვლები რსდმპ (ბოლშევიკების) VI ყრილობაზე

1917 წ. 26 ივლისი — 3 აგვისტო 52

1. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება

27 ივლისს

ამხანაგებო!

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება მოიცავს ცენტრალური კომიტეტის მუშაობას უკანასკნელი ორთვენახევრის განმავლობაში — მაისი, ივნისი, ივლისის პირველი ნახევარი.

ცენტრალური კომიტეტის მუშაობა **მაისში** სამი მიმართულებით მიმდინარეობდა.

ჯერ-ერთი, მიცემულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელახალი არჩევნების ლოზუნგი. ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იქიდან, რომ ჩვენში რევოლუცია მშვიდობიანი გზით ვითარდება, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელახალი არჩევნების გზით შეიძლება შეცვლილ იქნას საბჭოების შემადგენლობა, მაშასადამე მთავრობის შემადგენლობაც. მოწინააღმდეგენი ჩვენ მოგვაწერდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდას. ეს ცილისწამებაა. ჩვენ ასეთი განზრახვები არ გვქონია. ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენში შექმნილია

შესაძლებლობა საბჭოების ხელახალი არჩევნების გზით შევცვალოთ საბჭოების საქმიანობის ხასიათი ფართო მასების სურვილის თანახმად. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ საკმარისია ერთი ხმის გადამეტება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, და ხელისუფლება იძულებული იქნება სხვა გზით წავიდეს. ამიტომ მთელი მუშაობა მაისში ხელახალი არჩევნების დროშით მიმდინარეობდა. ბოლოს და ბოლოს ჩვენ მოვიპოვეთ ადგილების დაახლოებით ნახევარი საბჭოს მუშათა ფრაქციაში და დაახლოებით ¼ — ჯარისკაცთა ფრაქციაში.

მეორე მხარე იყო აგიტაცია ომის წინააღმდეგ. ჩვენ ვისარგებლეთ იმით, რომ ფრ. ადლერს[53] სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, და მოვაწყეთ მთელი რიგი საპროტესტო მიტინგები სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ომის წინააღმდეგ. ჯარისკაცები კარგად შეხვდნენ ამ კამპანიას.

ცენტრალური კომიტეტის მუშაობის მესამე მხარე იყო მუნიციპალური არჩევნები მაისში. ცენტრალურმა კომიტეტმა პეტროგრადის კომიტეტთან ერთად ყველა ღონე იხმარა, რომ ბრძოლა გაემართა როგორც კადეტებთან, კონტრრევოლუციის ძირითად ძალასთან, ისე მენშევიკებთან და ესერებთან, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ მიჰყვებოდნენ კადეტებს. 800 000 კაციდან, რომლებმაც ხმა მისცეს პეტროგრადში, ჩვენ მივიღეთ ყველა ხმის დაახლოებით 20%, ამასთან ვიბორგის რაიონული თვითმმართველობა მთლიანად დავიპყარით. პარტიას განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს ამხანაგმა ჯარისკაცებმა და მატროსებმა.

ამრიგად, მაისმა ჩაიარა: 1) მუნიციპალური არჩევნების, 2) ომის წინააღმდეგ აგიტაციისა და 3) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელახალი არჩევნების ნიშნით.

ივნისი. ხმები ფრონტზე შეტევის მომზადების შესახებ აშფოთებდა ჯარისკაცებს. გამოვიდა მთელი რიგი ბრძანებანი, რომლებიც აქარწყლებდნენ ჯარისკაცთა უფლებებს. ყოველივე ეს აღელვებდა მასებს. ყოველი ხმა მყისვე ვრცელდებოდა მთელ პიტერში და იწვევდა მღელვარებას მუშებში და განსაკუთრებით ჯარისკაცებში. ხმები შეტევის შესახებ; კერენსკის ბრძანებანი ჯარისკაცის უფლებების დეკლარაციით; პეტროგრადის განტვირთვა «ზედმეტი» ელემენტებისაგან, როგორც ხელისუფალნი ამბობდნენ, ამასთან ცხადი იყო, რომ უნდოდათ პეტროგრადის განთავისუფლება რევოლუციური ელემენტებისაგან; ნგრევა, რომელიც სულ უფრო და უფრო გარკვეულ სახეს იღებდა, — ყოველივე ეს აღელვებდა მუშებსა და ჯარისკაცებს. ქარხნებში კრებები ეწყობოდა, და სხვადასხვა პოლკები და ქარხნები წამდაუწუმ გვაძლევდნენ წინადადებას მოგვეწყო გამოსვლა. 5 ივნისს ნავარაუდევი იყო გამოსვლა-დემონსტრაცია. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ჯერ გამოსვლა არ მოგვეწყო, არამედ 7-ს მოგვეწვია კრება რაიონების, ფაბრიკების, ქარხნებისა და პოლკების წარმომადგენლებისაგან და ამ კრებაზე გადაგვეწყვიტა გამოსვლის საკითხი. ასეთი კრება მოწვეულ იქნა, — დაესწრო 200-მდე კაცი. გამოირკვა, რომ განსაკუთრებით ღელავენ ჯარისკაცები. ხმის უდიდესმა უმრავლესობამ გადაწყვიტა მოწყობილიყო გამოსვლა. დაისვა საკითხი იმის შესახებ, როგორ მოვქცეულიყავით, თუ საბჭოების ყრილობა, რომელიც იმ დროს გაიხსნა, გამოსვლის წინააღმდეგ გამოთქვამდა აზრს. გამოსული ამხანაგების უდიდესი უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს გამოსვლას. ამის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეკისრა მშვიდობიანი დემონსტრაციის მოწყობა ჯარისკაცების მიერ დასმულ კითხვაზე, ხომ არ შეიძლება

შეიარაღებული გამოვიდეთო, ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: იარაღით არ გამოსულიყვნენ. მაგრამ ჯარისკაცები ამბობდნენ, რომ შეუიარაღებლად გამოსვლა შეუძლებელია, რომ იარაღი ერთადერთი რეალური გარანტიაა ბურჟუაზიის მხრივ ექსცესების წინააღმდეგ, რომ ისინი იარაღს წამოიღებენ მხოლოდ თავდაცვისათვის.

9 ივნისს ცენტრალური კომიტეტი, პეტროგრადის კომიტეტი და სამხედრო ორგანიზაცია აწყობენ საერთო სხდომას. ცენტრალური კომიტეტი აყენებს კითხვას: ვინაიდან საბჭოების ყრილობა და ყველა «სოციალისტური» პარტიები აშკარად ილაშქრებენ ჩვენი დემონსტრაციის წინააღმდეგ, ხომ არ გადავდოთ გამოსვლაო. ყველა უარყოფითად უპასუხებს.

9 ივნისს ღამის 12 საათზე საბჭოების ყრილობა უშვებს მოწოდებას, რომელშიც მთელ თავის ავტორიტეტს ჩვენს წინააღმდეგ მომართავს. ცენტრალური კომიტეტი ადგენს— დემონსტრაცია არ მოეწყოს 10 ივნისს და გადაიდოს 18 ივნისისათვის იმ ვარაუდით, რომ თვით საბჭოების ყრილობა ნიშნავს დემონსტრაციას 18 ივნისისათვის, სადაც მასები შეძლებენ თავისი ნების გამოვლინებას. მუშები და ჯარისკაცები გულში ჩამარხული უკმაყოფილებით ხვდებიან ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას, მაგრამ ასრულებენ მას. დამახასიათებელია, ამხანაგებო, რომ ამ დღეს, 10 ივნისს, დილით, როდესაც საბჭოების ყრილობის მთელი რიგი ორატორები ქარხნებში გამოდიოდნენ «დემონსტრაციის მოწყობის ცდის ლიკვიდაციისათვის», მუშების უდიდესი უმრავლესობა მხოლოდ ჩვენი პარტიის ორატორების მოსმენას თანხმდებოდა. ცენტრალურმა კომიტეტმა შეძლო ჯარისკაცებისა და მუშების დაშოშმინება. ამით დემონსტრირებულ იქნა ჩვენი ორგანიზებულობა.

საბჭოების ყრილობამ, დანიშნა რა დემონსტრაცია 18 ივნისისათვის, ამასთან ერთად გამოაცხადა, რომ დემონსტრაცია შედგება ლოზუნგების თავისუფლების დროშით. ცხადია, რომ ყრილობამ გადაწყვიტა გაემართა ბრძოლა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ჩვენ გამოწვევა მივიღეთ და დავიწყეთ ძალების მზადება მომავალი დემონსტრაციისათვის.

ამხანაგებმა იციან, როგორ ჩაიარა 18 ივნისის დემონსტრაციამ. ბურჟუაზიული გაზეთებიც კი ამბობდნენ, რომ დემონსტრანტების უდიდესი უმრავლესობა მიდიოდა ბოლშევიკების მიერ წამოყენებული ლოზუნგებით. ძირითადი ლოზუნგი იყო — «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!». დემონსტრაციაში მონაწილეობდა არა ნაკლებ 400 000-სა. მხოლოდ სამმა პატარა ჯგუფმა — ბუნდმა, კაზაკებმა და პლეხანოველებმა — გაბედეს წამოეყენებინათ ლოზუნგი: «ნდობა დროებით მთავრობას!», მაგრამ მათაც ინანეს, იმიტომ რომ ისინი აიძულეს დაეკეცათ თავისი დროშები. საბჭოების ყრილობა თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტიის ძალა და გავლენა დიდია. ყველას შეექმნა რწმენა, რომ 18 ივნისის დემონსტრაცია, უფრო ძლიერი, ვიდრე 21 აპრილის დემონსტრაცია, ფუჭად არ ჩაივლის. და, მართლაც, მას ფუჭად არ უნდა ჩაევლო. «რეჩი» ამბობდა, ალბათ მთავრობის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები მოხდება, ვინაიდან საბჭოების პოლიტიკას მასები არ იწონებენო. მაგრამ სწორედ ამ დღეს დაიწყო ჩვენი ჯარების შეტევა ფრონტზე, წარმატებითი შეტევა, და ამასთან დაკავშირებით დაიწყო «შავების» მანიფესტაციები ნევის პროსპექტზე. ამ გარემოებამ გააქარწყლა ბოლშევიკების მორალური გამარჯვება დემონსტრაციაში. გაქარწყლდა ის შესაძლებელი პრაქტიკული შედეგებიც, რომლებზეც ლაპარაკობდნენ

«რეჩიც» და მმართველი პარტიების—ესერებისა და მენშევიკების ოფიციალური წარმომადგენლებიც.

დროებითი მთავრობა ხელისუფლების სათავეში დარჩა. წარმატებითი შეტევის ფაქტმა, დროებითი მთავრობის ნაწილობრივმა წარმატებებმა, მთელმა რიგმა პროექტებმა პეტროგრადიდან ჯარების გაყვანის შესახებ ჯეროვნად იმოქმედა ჯარისკაცებზე. ამ ფაქტებით ისინი დარწმუნდნენ, რომ პასიური იმპერიალიზმი აქტიურ იმპერიალიზმად იქცევა. ისინი მიხვდნენ, რომ დაიწყო ახალ მსხვერპლთა ხანა.

ფრონტი თავისებურად გამოეხმაურა აქტიური იმპერიალიზმის პოლიტიკას. მთელმა რიგმა პოლკებმა, მიუხედავად აკრძალვისა, მოაწყეს კენჭისყრა იმის შესახებ, წასულიყვნენ შეტევაზე თუ არა. უმაღლესმა სარდლობამ ვერ შეიგნო, რომ რუსეთის ახალ პირობებში და მაშინ, როდესაც ომის მიზნები ნათელი არ არის, შეუძლებელია მასების ბრმად გაგზავნა შეტევაზე. გამოვიდა ის, რაც ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ: შეტევა ჩაშლისათვის განწირული აღმოჩნდა.

ივნისის დამლევი და ივლისის დამდეგი მიმდინარეობს შეტევის პოლიტიკის დროშით. ხმები დადის სიკვდილით დასჯის აღდგენის, მთელი რიგი პოლკების დაშლის, ფრონტზე ცემა-ტყეპის შესახებ. დელეგატები ფრონტიდან ჩამოდიან მოხსენებებით დაპატიმრებათა შესახებ, მათ რიგებში ცემა-ტყეპის შესახებ. ამასვე იუწყებიან გრენადერთა და სატყვიამფრქვევო პოლკებიდან. ყოველივე ამან მოამზადა ნიადაგი მუშათა და ჯარისკაცთა ახალი გამოსვლისათვის პიტერში.

გადავდივარ 3 — 5 ივლისის ამბებზე. ეს საქმე დაიწყო 3 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, პეტერბურგის კომიტეტის შენობაში.

8 ივლისი. დღის 3 საათი. მიმდინარეობს ჩვენი პარტიის პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციის სხდომა. წარმოებს განხილვა უაღრესად უწყინარი საკითხისა მუნიციპალური არჩევნების შესახებ. შემოდის გარნიზონის ერთ-ერთი პოლკის ორი წარმომადგენელი, რომლებსაც შემოაქვთ რიგგარეშე განცხადება იმის შესახებ, რომ მათ «გადაწყვეტილი აქვთ დღეს საღამოს გამოვიდნენ», რომ მათ «აღარ შეუძლიათ მდუმარედ ითმინონ, როგორ ზედიზედ ხდება პოლკების დაშლა ფრონტზე», რომ მათ «უკვე დაგზავნეს თავიანთი დელეგატები ქარხნებსა და პოლკებში» და წინადადება მისცეს შეუერთდნენ გამოსვლას. ამის საპასუხოდ კონფერენციის პრეზიდიუმის წარმომადგენელი ამხ. ვოლოდარსკი აცხადებს, რომ «პარტიას გადაწყვეტილი აქვს — გამოსვლა არ მოეწყოს, რომ ამ პოლკის პარტიულ წევრებს უფლება არა აქვთ დაარღვიონ პარტიის გადაწყვეტილება».

დღის 4 საათი. პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა, სამხედრო ორგანიზაციამ და ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი და დაადგინეს — გამოსვლა არ მოეწყოს. ამ დადგენილებას იღებს კონფერენცია, რომლის წევრები მიდიან ქარხნებსა და პოლკებში იმ მიზნით, რომ დაარწმუნონ ამხანაგები არ გამოვიდნენ.

დღის 5 საათი. თავრიდის სასახლე. მიმდინარეობს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს სხდომა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამხ. სტალინს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროში შეაქვს განცხადება ყოველივე იმის შესახებ, რაც მოხდა, ამასთან აუწყებს ბოლშევიკების გადაწყვეტილებას — გამოსვლა არ მოეწყოს.

საღამოს 7 საათი. პეტერბურგის კომიტეტის შენობის წინ. მოდის რამდენიმე პოლკი დროშებით. ლოზუნგია

«მთელი ძალაუფლება საბჭოებს!». ისინი შეჩერდნენ პეტერბურგის კომიტეტის შენობის წინ და სთხოვენ ჩვენი ორგანიზაციის წევრებს «თქვან რამე». ორატორები, ბოლშევიკები ლაშევიჩი და კურაევი, თავიანთ სიტყვებში არკვევენ თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას და მოუწოდებენ თავი შეიკავონ გამოსვლისაგან. მათ ხვდებიან ყიჟინით «ძირს!». მაშინ ჩვენი ორგანიზაციის წევრები წინადადებას აძლევენ აირჩიონ დელეგაცია, განუცხადონ თავიანთი სურვილი საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და შემდეგ პოლკებში წავიდ-წამოვიდნენ. ამის პასუხად გაისმის გამაყრუებელი «ვაშა!». მუსიკა უკრავს «მარსელიოზას»... ამ დროისათვის მთელ პეტროგრადს მოედო ამბავი მთავრობიდან კადეტების წასვლის შესახებ, რაც ანერვიულებს მუშებს. ჯარისკაცების შემდეგ გამოჩნდნენ მუშათა კოლონები. ლოზუნგები ისეთივეა, როგორიც ჯარისკაცებს აქვთ. ჯარისკაცები, ისევე როგორც მუშები, თავრიდის სასახლისაკენ გაემართნენ.

საღამოს 9 საათი. პეტერბურგის კომიტეტის შენობა. განუწყვეტლივ მოდიან ქარხნების დელეგატები. ისინი ყველანი წინადადებას აძლევენ ჩვენი პარტიის ორგანიზაციებს ჩაერიონ საქმეში და ხელთ აიღონ დემონსტრაციის ხელმძღვანელობა. თუ არა-და, «სისხლისღვრა მოხდებაო». გაისმის ხმები, რომ საჭიროა არჩეულ იქნას დელეგაციები ფაბრიკა-ქარხნებისაგან, რათა დელეგაციებმა საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განუცხადონ დემონსტრანტთა ნების შესახებ, ხოლო მასებმა შემდეგ მოისმინონ დელეგაციების მოხსენებანი და მშვიდობიანად დაიშალონ.

ღამის 10 საათი. თავრიდის სასახლე. მიმდინარეობს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს მუშათა სექციის სხდომა. დაწყებული გამოსვლის

შესახებ მუშების მოხსენებებთან დაკავშირებით სექციის უმრავლესობას გადაწყვეტილება გამოაქვს, რომ ექსცესების თავიდან ასაცილებლად ჩავერიოთ დემონსტრაციაში მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათის მისაცემად. უმცირესობა, რომელიც არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას, ტოვებს სხდომის დარბაზს. უმრავლესობა ირჩევს ბიუროს ეს-ეს არის მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად.

ღამის 11 საათი. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტის შესაკრები ადგილი გადატანილია თავრიდის სასახლეში, სადაც საღამოდან თავს იყრიან დემონსტრანტები. მოდიან აგიტატორები რაიონებიდან და ქარხნების წარმომადგენლები. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პეტროგრადის კომიტეტის, სამხედრო ორგანიზაციის, სარაიონთაშორისო კომიტეტის, პეტროგრადის საბჭოს მუშათა სექციის ბიუროს წარმომადგენელთა კრება. რაიონებისაგან წარმოდგენილი მოხსენებებით ირკვევა, რომ:

1) ხვალ შეუძლებელი იქნება მუშებისა და ჯარისკაცების შეკავება დემონსტრაციაში მონაწილეობისაგან;

2) დემონსტრანტები გამოვლენ იარაღით მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნით, რათა შექმნან ნამდვილი გარანტია ნევის პროსპექტიდან პროვოკატორული სროლისაგან: «შეიარაღებულებს ისე ადვილად ვერ ესვრიან».

კრებას გამოაქვს გადაწყვეტილება: იმ მომენტში, როცა მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციური მასები დემონსტრაციას აწყობენ ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», პროლეტარიატის პარტიას უფლება არა აქვს განზე გადგეს და გვერდი აუაროს მოძრაობას, მას არ შეუძლია ბედის ანაბარა მიატოვოს მასები, იგი მასებთან ერთად უნდა იყოს, რათა სტიქიურ მოძრაობას შეგნებული და ორგანიზებული ხასიათი მისცეს. კრებას გადაწყვეტილება

გამოაქვს — წინადადება მიეცეთ მუშებსა და ჯარისკაცებს აირჩიონ დელეგატები პოლკებისა და ქარხნებისაგან და მათი საშუალებით განუცხადონ თავიანთი სურვილი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს. ამ გადაწყვეტილების მიხედვით შედგენილ იქნა მიმართვა «მშვიდობიანი და ორგანიზებული დემონსტრაციისაკენ» მოწოდებით [54].

ღამის 12 საათი. 30 ათასზე მეტი პუტილოველი მოდის თავრიდის სასახლესთან. დროშები. ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!». ირჩევენ დელეგატებს. დელეგატები მოახსენებენ აღმასრულებელ კომიტეტს პუტილოველთა მოთხოვნების შესახებ. თავრიდის სასახლესთან მდგომი ჯარისკაცები და მუშები იშლებიან.

4 ივლისი. დღე. მუშათა და ჯარისკაცთა მსვლელობა. დროშები. ლოზუნგები ბოლშევიკურია. ხალხი თავრიდის სასახლისაკენ მიდის. მსვლელობის ბოლოშია ათასობით კრონშტადტელი. მატროსი. დემონსტრანტთა რიცხვი, ბურჟუაზიული გაზეთების მოწმობით («ბირჟოვკა»), 400 ათასზე ნაკლები არ არის. ქუჩებში ზეიმია. მცხოვრებლები დემონსტრანტებს მხიარული «ვაშათი» ხვდებიან. ნაშუადღევს იწყება ექსცესები. ბურჟუაზიული უბნების შავბნელმა ძალებმა მუშებს გამოსვლა დანაშაულებრივი პროვოკაციული სროლით ჩაუშხამეს. «ბირჟევიე ვედომოსტიც» კი ვერ ბედავს იმის უარყოფას, რომ სროლა დემონსტრაციის მოწინააღმდეგეთა მხრივ დაიწყო. «დღის სრულ ორ საათზე, — წერს «ბირჟოვკა» (4 ივლისის საღამოს გამოშვება), — ბაღის ქუჩისა და ნევის პროსპექტის კუთხეში, როცა შეიარაღებული დემონსტრანტები მიდიოდნენ და მნიშვნელოვანი რაოდენობით თავმოყრილი ხალხი მშვიდად უცქეროდა მათ, ბაღის ქუჩის მარჯვენა მხრიდან

გამაყრუებელი სროლის ხმა გაისმა, რის შემდეგ ხშირი სროლა ატყდა».

ცხადია, რომ სროლა დაიწყეს არა დემონსტრანტებმა, არამედ «უცნობმა პირებმა», ესროდნენ დემონსტრანტებს, და არა პირიქით.

სროლა გრძელდებოდა ერთსა და იმავე დროს ქალაქის ბურჟუაზიული ნაწილის სხვადასხვა ადგილას. პროვოკატორებს არ ეძინათ. მაგრამ დემონსტრანტები მაინც არ გამოდიან საჭირო თავდაცვის ფარგლებიდან. შეთქმულებასა ან აჯანყებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შემჩნეული არ ყოფილა მთავრობის დაწესებულებათა ან საზოგადოებრივ დაწესებულებათა ხელში ჩაგდების არც ერთი შემთხვევა, ასეთი ხელში ჩაგდების არც ერთი ცდა, თუმცა დემონსტრანტებს, რომლებსაც კოლოსალური შეიარაღებული ძალები ჰყავდათ, სავსებით შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ არა მარტო ცალკეული დაწესებულებანი, არამედ მთელი ქალაქიც...

საღამოს 8 საათი. თავრიდის სასახლე. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სარაიონთაშორისო კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების კრება. გადაწყდა: მას შემდეგ, რაც დემონსტრირებულ იქნა რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცების ნება, გამოსვლა უნდა შეწყდეს. ამ გადაწყვეტილების მიხედვით შედგენილ იქნა მოწოდება: «დემონსტრაცია დამთავრდა... ჩვენი პაროლია: სიმტკიცე, თავდაჭერილობა, სიმშვიდე» (იხ. მოწოდება «ლისტოკ პრავდი»-ში [55]). «პრავდისათვის» გადაცემული ეს მოწოდება 5 ივლისს ვერ გამოქვეყნდა, რადგან ღამით (4 ივლისს) «პრავდა» დაარბიეს იუნკრებმა და კონტრმზვერავებმა.

ღამის 10 — 11 საათი. თავრიდის სასახლე. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

წარმოებს ხელისუფლების საკითხის განხილვა. მთავრობიდან კადეტების წასვლის შემდეგ ესერებისა და მენშევიკების მდგომარეობა განსაკუთრებით კრიზისული ხდება: მათ «ესაჭიროებათ» ბლოკი ბურჟუაზიასთან, მაგრამ არ არის ბლოკის შეკვრის შესაძლებლობა, ვინაიდან ბურჟუაზიას აღარა სურს მათთან შეთანხმება. კადეტებთან ბლოკის იდეა იფუშება. ამის გამო მკვეთრად ისმება საკითხი საბჭოების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესახებ.

ხმები გერმანიის ჯარების მიერ ჩვენი ფრონტის გარღვევის შესახებ, მართალია, ჯერ კიდევ შეუმოწმებელი, მაგრამ შეშფოთების გამომწვევი.

ხმები იმის შესახებ, რომ ხვალ პრესაში გამოქვეყნებული იქნება ცნობა საზიზღარი ცილისწამებით ამხ. ლენინის მიმართ.

საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავრიდის სასახლეში გამოუძახა ვოლინელებს (ჯარისკაცებს) სასახლის დასაცავად, — ვისგან? თურმე, ბოლშევიკებისაგან, რომლებიც სასახლეში ვითომდა იმისათვის მივიდნენ, რომ «დაეპატიმრებინათ» აღმასრულებელი კომიტეტი და «ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება». ამას ლაპარაკობენ ბოლშევიკებზე, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოების გაძლიერებისათვის, ჩვენს ქვეყანაში მთელი ძალაუფლების მათ ხელში გადაცემისათვის!..

ღამის 2 — 3 საათი. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი არ იღებს ძალაუფლებას. იგი «სოციალისტ» მინისტრებს ავალებს შეადგინონ ახალი მთავრობა და მასში შეიყვანონ თუნდაც ცალკეული ბურჟუები. მინისტრებს აძლევენ განსაკუთრებულ რწმუნებებს «ანარქიასთან საბრძოლველად». საქმე ცხადია: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც დაყენებულია ბურჟუაზიასთან კავშირის გადაჭრით გაწყვეტის საჭიროე-

ბის წინაშე, რისიც მას განსაკუთრებით ეშინია, — ვინაიდან იგი დღემდე თავის ძალას ბურჟუაზიასთან ამა თუ იმ «კომბინაციით» იღებდა, — უპასუხებს იმით, რომ გადაჭრით წყვეტს კავშირს მუშებთან და ბოლშევიკებთან, რათა, ბურჟუაზიასთან შეერთების შემდეგ, თავისი იარაღი მიმართოს რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ. ამით იწყება ლაშქრობა რევოლუციის წინააღმდეგ. ესერები და მენშევიკები უტევენ რევოლუციას კონტრრევოლუციის სასიხარულოდ...

5 ივლისი. გაზეთებში (სახელდობრ «ჟივოე სლოვოში» [56]) ქვეყნდება ცნობა საზიზღარი ცილისწამებით ამხ. ლენინის მიმართ. «პრავდა» არ გამოსულა, ვინაიდან იგი 4 ივლისს ღამით დაარბიეს. მყარდება დიქტატურა «სოციალისტი» მინისტრებისა, რომლებიც კადეტებთან ბლოკს ეძებენ. მენშევიკები და ესერები, რომლებსაც ძალაუფლების აღება არ სურდათ, ამჯერად იღებენ მას (მოკლე ხნით) იმისათვის, რომ ბოლშევიკებს გაუსწორდნენ... ქუჩებში ჩნდებიან ფრონტიდან ჩამოსული ჯარის ნაწილები. იუნკრები და კონტრრევოლუციური ბანდები არბევენ, ჩხრეკენ, ბილწავენ. ლენინისა და ბოლშევიკების დევნას, რაც ალექსინსკი-პანკრატოვ-პერევერზევმა დაიწყეს, კონტრრევოლუცია მთლიანად იყენებს. კონტრრევოლუცია საათობით იზრდება. დიქტატურის ცენტრი სამხედრო შტაბია. კონტრდაზვერვის, იუნკრების, კაზაკების თარეში. დაპატიმრება, ცემა-ტყეპა. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აშკარა ლაშქრობა ბოლშევიკი მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ ხელ-ფეხს უხსნის კონტრრევოლუციის ძალებს...

ალექსინსკისა და კომპანიის ცილისწამების პასუხად გამოდის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ფურცელი — «ცილისმწამებელნი გასამართლებულ უნდა იქნან!» [57].

გამოდის ცენტრალური კომიტეტის ცალკე მოწოდება (რომელიც არ გამოქვეყნებულა «პრავდაში» ამ უკანასკნელის დარბევის გამო) გაფიცვისა და დემონსტრაციის შეწყვეტის შესახებ. საოცარია ის, რომ არ არის არავითარი მოწოდება დანარჩენი «სოციალისტური» პარტიებისა. ბოლშევიკები მარტონი არიან. მათ წინააღმდეგ მდუმარედ ერთიანდება ბოლშევიკებზე მემარჯვენე ყველა ელემენტი — სუვორინიდან და მილიუკოვიდან დანამდე და ჩერნოვამდე.

6 ივლისი. ხიდები დაშლილია. დამსჯელ მაზურენკოს ნაკრები რაზმი. ქუჩებში ჯარებია, რომლებიც ურჩებს აწყნარებენ. ფაქტიურად საალყო წესებია. «საეჭვოებს» აპატიმრებენ და შტაბში მიჰყავთ. წარმოებს მუშების, ჯარისკაცების, მატროსების განიარაღება. პეტროგრადი სამხედრო ხროვის ხელთ არის გადაცემული. მიუხედავად «ძლიერთა ამა ქვეყნისათა» მთელი სურვილისა — გამოიწვიონ ეგრეთწოდებული «ბრძოლა», მუშები და ჯარისკაცები არ ეგებიან პროვოკაციის ანკესზე, არ «იღებენ ბრძოლას». პეტრე-პავლეს ციხე კარს უღებს განმაიარაღებლებს. პეტერბურგის კომიტეტის შენობას იკავებს ნაკრები რაზმი. მუშათა უბნებში მიმდინარეობს ჩხრეკა, განიარაღება. წერეთლის იდეა მუშათა და ჯარისკაცთა განიარაღების შესახებ, რაც პირველად 11 ივნისს იყო გაუბედავად ჩამოყალიბებული, ახლა სისრულეში მოჰყავთ. «განიარაღების მინისტრი» — გაბოროტებით ამბობენ მის შესახებ მუშები...

სტამბა «ტრუდი» დარბეულია. გამოვიდა «ლისტოკ პრავდი». მოკლეს მუშა ვოინოვი, რომელიც «ლისტოკს» ავრცელებდა... ბურჟუაზიული პრესა ცოფსა ყრის, საზიზღარ ცილისწამებას ამხ. ლენინის წინააღმდეგ ასაღებს როგორც ფაქტს, ამასთან თავის იერიშში რევოლუციის

წინააღმდეგ იგი ბოლშევიკებს აღარ სჯერდება, ავრცელებს მას საბჭოებზე, მენშევიკებზე, ესერებზე.

ცხადი ხდება, რომ ესერებმა და მენშევიკებმა, ბოლშევიკები რომ გასცეს, გასცეს თავიანთი თავიც, გასცეს რევოლუცია, ხელ-ფეხი გაუხსნეს და აღვირი ახსნეს კონტრრევოლუციის ძალებს. კონტრრევოლუციური დიქტატურის ლაშქრობა თავისუფლებათა წინააღმდეგ ზურგში და ფრონტზე გაჩაღებულია. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ კადეტებისა და მოკავშირეთა პრესამ, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უკმაყოფილო იყო რევოლუციური რუსეთით, თავი ერთბაშად დაკმაყოფილებულად იგრძნო, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამშვიდების «საქმე» ისე ჩატარდა, რომ ლაშქრობაში შინაური და მოკავშირეთა ფულის ტომრებიც იყო ჩარეული.

2. საბოლოო სიტყვა

27 ივლისს

ამხანაგებო!

როგორც კამათიდან ჩანს, არც ერთ ამხანაგს არ გაუკრიტიკებია ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და არ გაულაშქრნია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგების წინააღმდეგ. ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა სამი ძირითადი ლოზუნგი: მთელი ძალაუფლება საბჭოებს, კონტროლი წარმოებაზე და მემამულეთა მიწის კონფისკაცია. ამ ლოზუნგებმა სიმპათიები მოიპოვა მუშათა მასებსა და ჯარისკაცებში. ეს ლოზუნგები სწორი აღმოჩნდა, და ჩვენ, ამ ნიადაგზე რომ ვიბრძოდით, მასები შევინარჩუნეთ. ეს მე მიმაჩნია ძირითად ფაქტად, რომელიც ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ მეტყველებს. თუ ცენტრალური კომიტეტი ყველაზე მძიმე მომენტებში იძლევა სწორ ლოზუნგებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ძირითადად მართალია.

კრიტიკა ეხებოდა არა ძირითადს, არამედ მეორეხარისხოვანს. ის განისაზღვრებოდა იმაზე მითითებებით, რომ ცენტრალური კომიტეტი არ დაუკავშირდა პროვინციას, და მისი საქმიანობა უმთავრესად პეტროგრადში ჩანდა. საყვედური პროვინციისაგან მოწყვეტის შესახებ მოკლებული არ არის საფუძველს. მაგრამ არავითარი შესაძლებლობა არ იყო გავწვდომოდით მთელ პროვინციას. საყვედური, რომ ცენტრალური კომიტეტი ფაქტიურად პეტერბურგის კომიტეტად გადაიქცა, ნაწილობრივ სამართლიანია. ეს ასეა. მაგრამ აქ, პეტროგრადში იჭედება რუსეთის პოლიტიკა. აქ არის რევოლუციის ხელმძღვანელი ძალები. პროვინცია ეხმაურება იმას, რაც პეტროგრადში ხდება. ბოლოს, ეს იმით აიხსნება, რომ აქ არის დროებითი მთავრობა, რომლის ხელშიც მოქცეულია მთელი ძალაუფლება, აქ არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც მთელი ორგანიზებული რევოლუციური დემოკრატიის ხმა. მეორე მხრივ, მოვლენები სწრაფად ვითარდება, წარმოებს ამკარა ბრძოლა, ოდნავაც არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ არსებული ხელისუფლება ხვალვე არ დაემხობა. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო დავლოდებოდით, თუ როდის გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს ჩვენი მეგობრები პროვინციიდან. ცნობილია, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წყვეტს რევოლუციის საკითხებს ისე, რომ პროვინციას არ ელოდება. მათ ხელში აქვთ მთავრობის მთელი აპარატი. ჩვენ კი? ჩვენ ცენტრალური კომიტეტის აპარატი გვაქვს. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის აპარატი, რა თქმა უნდა, სუსტია. და ცენტრალური კომიტეტისაგან იმის მოთხოვნა, რომ მან არავითარი ნაბიჯი არ გადადგას, თუ წინასწარ არ შეეკითხა პროვინციას, ნიშნავს იმის მოთხოვნას, რომ ცენტრალური კომიტეტი მოვლენებს კი არ მიუძღოდეს, არამედ კუდში მისჩანჩა-

ლებდეს მათ. მაგრამ ეს ცენტრალური კომიტეტი არ იქნებოდა. მხოლოდ იმ მეთოდით, რომელსაც ჩვენ ვადექით, შეეძლო ცენტრალურ კომიტეტს ჯეროვან სიმაღლეზე დარჩენილიყო.

იყო კერძო ხასიათის საყვედურები. ამხანაგები ლაპარაკობდნენ 3 — 5 ივლისის აჯანყების მარცხზე. დიახ, ამხანაგებო, მარცხი იყო, მაგრამ ეს დემონსტრაცია იყო და არა აჯანყება. ეს მარცხი აიხსნება რევოლუციის ფრონტის გარღვევით, რაც გამოიწვია ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული პარტიების მოღალატურმა ქცევამ, რომლებმაც ზურგი შეაქციეს რევოლუციას.

ამხ. ბეზრაბოტნი [58] ამბობდა, რომ ცენტრალური კომიტეტი არ შეეცადა აევსო პეტროგრადი და პროვინცია ფურცლებით 3 — 5 ივლისის ამბების განსამარტებლად. მაგრამ ჩვენი სტამბა განადგურებული იყო, და არ იყო არავითარი ფიზიკური შესაძლებლობა დაგვებეჭდა რამე სხვა სტამბებში, ვინაიდან ეს განადგურებას უქადდა სტამბებს.

მაინც საქმის ვითარება აქ არც ისე ცუდი იყო: თუ ჩვენ ზოგ უბანში გვაპატიმრებდნენ, სამაგიეროდ სხვა უბნებში გულთბილად და არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით გვხვდებოდნენ. ახლაც პიტერის მუშების განწყობილება საუცხოოა, ბოლშევიკების პრესტიჟი დიდია.

მე მინდა დავსვა ჰთელი რიგი კითხვები.

ჯერ-ერთი, როგორ უნდა მოვეკიდოთ ცილისწამებას ჩვენი ბელადების მიმართ. უკანასკნელი დროის ამბებთან დაკავშირებით აუცილებლად საჭიროა შევადგინოთ მანიფესტი მთელი ხალხისადმი ყველა ფაქტის განმარტებით, რისთვისაც საჭიროა ავირჩიოთ კომისია. და ჩემი წინადადებაა, რომ ამავე კომისიამ, თუ თქვენ მას აირჩევთ, გამოსცეს მოწოდება გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვ. რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცებისადმი —

ინფორმაციით 3—5 ივლისის ამბებზე, რომელშიც სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ ცილისმწამებლები. ჩვენ პროლეტარიატის ყველაზე მოწინავე ნაწილი ვართ, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ რევოლუციისათვის, ჩვენ სრული სიმართლე უნდა ვთქვათ მოვლენების შესახებ და ვამხილოთ საზიზღარი ცილისმწამებლები.

მეორეც—«სასამართლოში» გამოცხადებისაგან ლენინისა და ზინოვიევის თავის არიდების შესახებ. ამჟამად ჯერ კიდევ ნათელი არ არის, ვის ხელშია ძალაუფლება. არ არის გარანტია, რომ, თუ ისინი გამოცხადდებიან, მათ წინააღმდეგ უხეშ ძალადობას არ მიმართავენ. სხვა საქმეა, თუ სასამართლო დემოკრატიულად იქნება მოწყობილი და მოგვეცემა გარანტია, რომ დაშვებული არ იქნება ძალადობა. ამ კითხვაზე ჩვენ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გვიპასუხეს: «ჩვენ არ ვიცით, რა შეიძლება მოხდესო». მაშასადამე, სანამ ვდგომარეობა კიდევ არ გამორკვეულა, სანამ კიდევ წარმოებს უჩინარი ბრძოლა ოფიციალურ ხელისუფლებასა და ფაქტიურ ხელისუფლებას შორის, ამხანაგებისათვის არავითარი აზრი არა აქვს «სასამართლოში» გამოცხადებას. ხოლო თუ სათავეში იდგომება ისეთი ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ჩვენი ამხანაგების გარანტირებას ძალადობისაგან, ისინი გამოცხადდებიან.

3. მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

30 ივლისს

ამხანაგებო!

რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი ჩვენი რევოლუციის ბედის, იმპერიალისტური ომის პირობებში მის გამარჯვებათა და დამარცხებათა საკითხია.

უკვე თებერვალში ცხადი გახდა, რომ ჩვენი რევოლუციის ძირითადი ძალებია პროლეტარიატი და გლეხობა, ომის გამო ჯარისკაცის მაზარებში გამოწყობილი.

ისე მოხდა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ ძალებთან ერთ ბანაკში, თითქოს მათთან კოალიციაში, აღმოჩნდნენ კიდევ სხვა ძალები — ლიბერალური ბურჟუაზია და მოკავშირეთა კაპიტალი.

პროლეტარიატი ცარიზმის მოსისხლე მტერი იყო და კვლავაც არის.

გლეხობა უჯეროდა პროლეტარიატს და, რაკი ხედავდა, რომ ცარიზმის დაუმხობლად მიწას ვერ მიიღებდა, პროლეტარიატს გაჰყვა.

ლიბერალურ ბურჟუაზიას იმედი გაუცრუა ცარიზმმა და იგი ჩამოშორდა ამ უკანასკნელს, ვინაიდან ცარიზმმა არათუ ვერ მოუპოვა მას ახალი ბაზრები, არამედ ძველებიც კი ვერ შეინარჩუნა და გერმანიას 15 გუბერნია მისცა.

მოკავშირეთა კაპიტალიც, ნიკოლოზ II-ის მეგობარი და კეთილმოსურნე, «იძულებული» გახდა ეღალატნა ცარიზმისათვის, ვინაიდან ცარიზმმა არათუ ვერ უზრუნველყო მისთვის სასურველი «ერთიანობა ფრონტისა», არამედ აშკარადაც ამზადებდა სეპარატულ ზავს გერმანიასთან.

ამრიგად ცარიზმი იზოლირებული აღმოჩნდა.

არსებითად რომ ვთქვათ, ამით აიხსნება ის «საოცარი» ფაქტი, რომ ცარიზმმა ასე «წყნარად და მშვიდად განუტევა სული».

მაგრამ ეს ძალები სულ სხვადასხვა მიზნებს ისახავდნენ.

ლიბერალურ ბურჟუაზიას და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებს სურდათ რუსეთში მოეხდინათ **მცირე** რევოლუცია, ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის მსგავსი, რათა აღეფრთოვანებინათ ხალხის მასები და ეს აღფრთოვანება გამოეყენებინათ **დიდი** ომისათვის, ამასთან

კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება ძირითადად შეურყეველი დარჩებოდა.

მცირე რევოლუცია დიდი ომისათვის!

მუშები და გლეხები, პირიქით, ცდილობდნენ მიეღწიათ ძველი წყობილების ძირეული დამსხვრევისათვის, იმისათვის, რასაც ჩვენში დიდი რევოლუცია ეწოდება, რათა მემამულეთა დამხობით და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ალაგმვით დაემთავრებინათ ომი, უზრუნველეყოთ ზავის საქმე.

დიდი რევოლუცია და ზავი!

სწორედ ეს ძირეული წინააღმდეგობა დაედო საფუძვლად ჩვენი რევოლუციის განვითარებას, ყველა და ყოველგვარ «ხელისუფლების კრიზისებს».

20 — 21 აპრილის «კრიზისი» ამ წინააღმდეგობის პირველი აშკარა გამოხატულებაა. თუ ამ «კრიზისების» ისტორიაში წარმატება ჯერჯერობით ყოველთვის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდებოდა ხოლმე, ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ კონტრრევოლუციის ფრონტი, რომელსაც სათავეში კადეტთა პარტია უდგას, ორგანიზებული იყო, არამედ უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იმპერიალიზმისაკენ გადახრილი ესერთა და მენშევიკთა შემთანხმებლური პარტიები, რომლებიც ჯერ კიდევ მიუძღვიან ფართო მასებს, — ყოველთვის არღვევდნენ რევოლუციის ფრონტს, გადარბოდნენ ბურჟუაზიის ბანაკში და ამრიგად ქმნიდნენ უპირატესობას კონტრრევოლუციის ფრონტის სასარგებლოდ.

ასე იყო აპრილში.

ასე იყო ივლისში.

იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან კოალიციის «პრინციპი», მენშევიკებისა და ესერების მიერ წამოყენებული, ნამდვილად სწორედ ის დამღუპველი საშუალება აღმოჩნდა,

რომლის მეოხებითაც კადეტთა პარტია — კაპიტალისტებისა და მემამულეების პარტია — ბოლშევიკების იზოლირებით თანდათანობით განიმტკიცებდა პოზიციებს თვით მენშევიკებისა და ესერებისავე ხელით...

მარტ-აპრილ-მაისში ფრონტზე ჩამოვარდნილი სიწყნარე გამოყენებულ იქნა რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის. რევოლუცია, რომელსაც აჩქარებდა საერთო ნგრევა ჩვენს ქვეყანაში და ხელს უწყობდა თავისუფლებათა არსებობა, რომელნიც არც ერთ მეომარ ქვეყანას არა აქვს, სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და დღის წესრიგში აყენებდა სოციალურ საკითხებს. იგი იჭრება სამეურნეო სფეროში, აყენებს საკითხებს მრეწველობაში მუშათა კონტროლის შესახებ, მიწის ნაციონალიზაციისა და ხელმოკლე გლეხობის ინვენტარით მომარაგების შესახებ, ქალაქსა და სოფელს შორის სწორი გაცვლა-გამოცვლის მოწყობის შესახებ, ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ, ბოლოს, პროლეტარიატისა და გლეხობის უღარიბესი ფენების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესახებ. რევოლუცია პირისპირ მიადგა სოციალისტურ გარდაქმნათა საჭიროებას.

ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, რომ ვინაიდან ჩვენში კაპიტალიზმი სუსტად არის განვითარებული, სოციალისტური რევოლუციის საკითხის დასმა უტოპიურია. ისინი მართალი იქნებოდნენ, რომ არ ყოფილიყო ომი, რომ არ ყოფილიყო ნგრევა, შერყეული რომ არ ყოფილიყო სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის საფუძვლები. სამეურნეო სფეროში ჩარევის საკითხი ყველა სახელმწიფოში ისმება, როგორც აუცილებელი საკითხი ომის პირობებში. გერმანიაშიც ეს საკითხი ცხოვრებამ დააყენა და მისი გადაჭრა ხდება მასების პირდაპირი აქტიური მონაწილეობის გარეშე. სხვა საქმეა ჩვენში, რუსეთში. ჩვენში ნგრევამ უფრო მრისხანე მასშტაბი მიიღო. მეორე მხრივ,

ისეთი თავისუფლება, როგორიც ჩვენშია, არსად არ არსებობს ომის პირობებში. შემდეგ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მუშების უდიდესი ორგანიზებულობა: მაგალითად, ჩვენთან, პიტერში, 66% ორგანიზებული მელითონეა. დასასრულ, პროლეტარიატს არსად არ ჰქონია და არა აქვს ისეთი ფართო ორგანიზაციები, როგორიც არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. გასაგებია, რომ მუშები, რომლებიც თავისუფლებისა და ორგანიზებულობის მაქსიმუმით სარგებლობდნენ, უარს ვერ იტყოდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში აქტიურ ჩარევაზე სოციალისტურ გარდაქმნათა გასატარებლად, თუ არ უნდოდათ, რომ პოლიტიკური თვითმკვლელობა ჩაედინათ. არასაკადრისი პედანტიზმი იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ რუსეთს «მოეცადნა» და არ დაეწყო სოციალისტურ გარდაქმნათა გატარება, ვიდრე ევროპა არ «დაიწყებს». «იწყებს» ის ქვეყანა, რომელსაც მეტი შესაძლებლობანი აქვს...

რამდენადაც რევოლუციამ ასე შორს გადადგა ნაბიჯი წინ, მას უეჭველად უნდა გამოეწვია კონტრრევოლუციონერთა სიფხიზლე, სტიმული უნდა მიეცა კონტრრევოლუციისათვის. ეს არის კონტრრევოლუციის მობილიზაციის პირველი ფაქტორი.

მეორე ფაქტორია ავანტიურა, რაც დაიწყო ფრონტზე შეტევის პოლიტიკით, და ფრონტის მთელი რიგი გარღვევები, რომლებმაც ყოველგვარი პრესტიჟი დაუკარგა დროებითს მთავრობას და ფრთა შეასხა კონტრრევოლუციას, რომელმაც იერიში მიიტანა მთავრობაზე. ხმები დადის, რომ ჩვენში დაიწყო ფართო მასშტაბის პროვოკაციების ხანა. ფრონტის დელეგატებს მიაჩნიათ, რომ შეტევაც და უკანდახევაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ფრონტზე მოხდა, მომზადებულია იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ რევოლუციას და დაამხონ საბჭოები. მე არ ვიცი, სწო-

რია თუ არა ეს ხმები, მაგრამ ყურადსაღებია, რომ 2 ივლისს შთავრობიდან წავიდნენ კადეტები, 3-ს იწყება ივლისის ამბები, 4-ს კი მოდის ცნობები ფრონტის გარღვევის შესახებ. საკვირველი თანამთხვევაა! არ შეიძლება იმის თქმა, რომ კადეტები წავიდნენ უკრაინის საკითხზე გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, ვინაიდან კადეტები არ ყოფილან უკრაინის საკითხის გადაწყვეტის წინააღმდეგნი. არის მეორე ფაქტიც, რომელიც მოწმობს, რომ მართლაც დაიწყო პროვოკაციების ხანა: მე ვლაპარაკობ უკრაინაში მომხდარი სროლის შესახებ [59]. ამ ფაქტებთან დაკავშირებით ამხანაგებისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ კონტრრევოლუციის გეგმაში ფრონტის გარღვევა ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომელსაც რევოლუციის იდეისათვის სახელი უნდა გაეტეხა ფართო წვრილბურჟუაზიული მასების თვალში.

არის კიდევ მესამე ფაქტორი, რომელმაც გააძლიერა კონტრრევოლუციური ძალები რუსეთში: ეს არის მოკავშირეთა კაპიტალი. თუ მოკავშირეთა კაპიტალმა, რაკი დაინახა, რომ ცარიზმი სეპარატულ ზავზე მიდის, უღალატა რიკოლოზის მთავრობას, მას არავინ უშლის ხელს გაწყვიტოს კავშირი ახლანდელ მთავრობასთან, თუ ეს უკანასკნელი იმის უნარს მოკლებული აღმოჩნდება, რომ შეინარჩუნოს «ერთიანი» ფრონტი. მილიუკოვმა ერთ-ერთ სხდომაზე თქვა, რომ საერთაშორისო ბაზარზე რუსეთი ფასობს როგორც ადამიანთა მიმწოდებელი, და ამისათვის ფულს იღებს, და თუ გამოირკვა, რომ ახალ ხელისუფლებას, დროებითი მთავრობის სახით, უნარი არ შესწევს ხელი შეუწყოს გერმანიაზე შეტევის ერთიან ფრონტს, მაშინ არც ღირს ასეთი მთავრობის სუბსიდირება. უფულოდ, უკრედიტოდ კი მთავრობა დაემხობოდა. ამაშია იმის საიდუმლოება, რომ კადეტებმა კრიზისის პერიოდში დიდი ძალა

მოიპოვეს. ხოლო კერენსკი და ყველა მინისტრი ტიკინები აღმოჩნდნენ კადეტების ხელში. კადეტები იმით იყვნენ ძლიერნი, რომ მათ მხარს უჭერდა მოკავშირეთა კაპიტალი.

რუსეთის წინაშე ორი გზა იყო:

ან ბოლო ეღება ომს, წყდება ყოველგვარი ფინანსური კავშირი იმპერიალიზმთან, რევოლუცია წინ მიდის, ირყევა ბურჟუაზიული სამყაროს საფუძვლები, და იწყება მუშური რევოლუციის ერა;

ან მეორე გზა, ომის განგრძობის, ფრონტზე შეტევის განგრძობის, მოკავშირეთა კაპიტალისა და კადეტების ყველა ბრძანებისადმი დამორჩილების გზა, — და მაშინ სრული დამოკიდებულება მოკავშირეთა კაპიტალისაგან (თავრიდის სასახლეში გარკვეული ხმები იყო, რომ ამერიკა 8 მილიარდ მანეთს მოგვცემს, მეურნეობის «აღდგენის» სახსრებს მოგვცემსო) და კონტრრევოლუციის ზეიმი.

მესამე გზა მოცემული არ არის.

ესერებისა და მენშევიკების ცდა — შეიარაღებულ ამბოხებად დასახონ 3 — 4 ივლისის გამოსვლა — პირდაპირ სასაცილოა. 3 ივლისს ჩვენ ვიძლეოდით წინადადებას — შექმნილიყო ერთიანი რევოლუციური ფრონტი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენი ლოზუნგია: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» და მაშასადამე — შეიქმნას ერთიანი რევოლუციური ფრონტი. მაგრამ მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებიც შიშობდნენ, ბურჟუაზიას არ ჩამოვშორდეთო, ზურგი შემოგვაქციეს, რამაც დაარღვია რევოლუციური ფრონტი კონტრრევოლუციონერთა საამებლად. თუ ვილაპარაკებთ იმაზე, ვინ არის დამნაშავე კონტრრევოლუციის გამარჯვებაში, დამნაშავენი არიან ესერები და მენშევიკები. ჩვენი უბედურება ის არის, რომ რუსეთი წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, იგი ჯერ კიდევ მიჰყვება ესერებსა და მენშევიკებს, რომლებიც კადეტებს უთანხმდებიან. და

იმ მომენტამდე, ვიდრე მასებს გული არ გაუტყდებათ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის იდეაზე, რევოლუცია იკოჭლებს და იბორძიკებს.

ახლა ჩვენს წინაშეა იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და კონტრრევოლუციური გენერალიტეტის დიქტატურის სურათი. მთავრობა, რომელიც გარეგნულად ებრძვის ამ დიქტატურას, საქმით მის ნებას ასრულებს, წარმოადგენს მხოლოდ ფარდას, რომელიც ხალხის გულისწყრომისაგან იფარავს ამ დიქტატურას. დაუძლურებული და პატივაყრილი საბჭოები თავიანთი დაუსრულებელ დათმობათა პოლიტიკით მხოლოდ ასრულებენ სურათს, ამასთან, თუ მათ არ რეკავენ, ეს იმიტომ, რომ ისინი «საჭიროა» არიან როგორც «აუცილებელი» და მეტად «მოხერხებული» საფარველი.

მდგომარეობა, ამრიგად, ძირეულად შეიცვალა.

უნდა შეიცვალოს ჩვენი ტაქტიკაც.

წინათ ჩვენ ვემხრობოდით ძალაუფლების მშვიდობიან გადასვლას საბჭოების ხელში, ამასთან ვვარაუდობდით, რომ საკმარისია საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ძალაუფლების აღების შესახებ, რომ ბურჟუაზიამ მშვიდობიანად დაცალოს გზა. და, მართლაც, მარტში, აპრილსა და მაისში საბჭოების ყოველი გადაწყვეტილება კანონად ითვლებოდა, ვინაიდან ყოველთვის შეიძლებოდა იგი ძალით ყოფილიყო განმტკიცებული. საბჭოების განიარაღებითა და უბრალო «პროფესიული» ორგანიზაციების ხარისხამდე მათი (ფაქტიურად) დაყვანით მდგომარეობა შეიცვალა. ახლა საბჭოების გადაწყვეტილებებს ანგარიშს არ უწევენ. ახლა ძალაუფლების ასაღებად საჭიროა წინასწარ დამხობილ იქნას არსებული დიქტატურა.

იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის დამხობა — აი რა უნდა იყოს ახლა პარტიის მორიგი ლოზუნგი.

რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა. დადგა შეტაკებათა და აფეთქებათა პერიოდი.

ახლანდელი დიქტატურის დამხობის ლოზუნგის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი რუსეთის მასშტაბით მოხდება ახალი მძლავრი პოლიტიკური აღმავლობა. ასეთი აღმავლობის გარდუვალობას გვიკარნახებს ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელი მსვლელობა, გვიკარნახებს ის გარემოება, რომ რევოლუციის არც ერთი ძირითადი საკითხი არ არის გადაწყვეტილი, ვინაიდან მიწის, მუშათა კონტროლის, ზავის, ხელისუფლების საკითხები გადაწყვეტილი არ არის.

რეპრესიები ვერ წყვეტენ რევოლუციის ვერც ერთ საკითხს და მხოლოდ ამწვავებენ მდგომარეობას.

ახალი მოძრაობის ძირითადი ძალები იქნებიან ქალაქის პროლეტარიატი და გლეხების უღარიბესი ფენები. სწორედ ისინი აიღებენ ხელთ ძალაუფლებას გამარჯვების შემთხვევაში.

/მომენტის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ კონტრრევოლუციური ღონისძიებანი ტარდება «სოციალისტთა» ხელით. მხოლოდ ასეთი ფარდის შექმნით შეძლებს კონტრრევოლუცია კიდევ ორიოდე თვე იარსებოს. მაგრამ რამდენადაც ვითარდებიან რევოლუციის ძალები, აფეთქებანი იქნება, და დადგება მომენტი, როცა მუშები ფეხზე დააყენებენ და თავიანთ გარშემო დარაზმავენ გლეხობის ღარიბ ფენებს, ააფრიალებენ მუშათა რევოლუციის დროშას და დასაწყისს მისცემენ ევროპაში სოციალისტური რევოლუციის ხანას./

4. პასუხი შეკითხვებზე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენებების გამო

31 ივლისს

პირველ პუნქტზე: «საბრძოლო ორგანიზაციის რა ფორმებს აყენებს მომხსენებელი მუშათა დეპუტატების საბჭოების ნაცვლად», მე ვუპასუხებ, რომ საკითხის ასე დაყენება სწორი არ არის. მე არ გამოვსულვარ საბჭოების, როგორც მუშათა კლასის ორგანიზაციის ფორმის, წინააღმდეგ, მაგრამ ლოზუნგი რევოლუციური დაწესებულების ორგანიზაციის ფორმით კი არ განისაზღვრება, არამედ იმ შინაარსით, რომელიც მოცემული დაწესებულების სისხლსა და ხორცს შეადგენს. საბჭოების შემადგენლობაში კადეტები რომ შედიოდნენ, ჩვენ არასოდეს არ წამოვაყენებდით მათთვის ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგს.

ახლა ჩვენ ვაყენებთ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელში ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგს. მაშასადამე, საქმე ფორმა კი არ არის, არამედ ის, თუ რომელ **კლასს** გადაეცემა ძალაუფლება, საქმე საბჭოების შემადგენლობაა.

საბჭოები წარმოადგენენ ძალაუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას, მაგრამ საბჭოები რევოლუციური ორგანიზაციის ერთადერთი ტიპი როდია. ეს არის წმინდა რუსული ფორმა. საზღვარგარეთ ჩვენ ვხედავდით ამ როლში მუნიციპალიტეტებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, ნაციონალური გვარდიის ცენტრალურ კომიტეტს კომუნის დროს. ჩვენშიც იყო აზრი რევოლუციური კომიტეტის შესახებ. შესაძლოა მუშათა სექცია გახდეს ყველაზე შესაფერისი ფორმა ძალაუფლებისათვის საბრძოლველად.

მაგრამ ნათლად უნდა გავერკვეთ იმაში, რომ ორგანიზაციის ფორმის საკითხი როდი იქნება გადამწყვეტი.

ნამდვილად გადამწყვეტია ის საკითხი, მომწიფდა თუ არა მუშათა კლასი დიქტატურისათვის, ყოველივე დანარჩენი კი მოგვარდება, შეიქმნება რევოლუციის შემოქმედებით.

მეორე და მესამე პუნქტებზე, — პრაქტიკულად როგორ ჩამოყალიბდება ჩვენი დამოკიდებულება არსებული საბჭოებისადმი, — პასუხი სავსებით ნათელია. რამდენადაც ლაპარაკია მთელი ძალაუფლების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის გადაცემაზე, ეს ლოზუნგი მოძველდა. და მხოლოდ ამაზეა ლაპარაკი. საკითხი საბჭოების დამხობის შესახებ მოგონილია. ის აქ არავის დაუყენებია. თუ ჩვენ წინადადებას ვიძლევით მოიხსნას ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს: «ძირს საბჭოები!». და ჩვენ, რომელნიც ვხსნით ამ ლოზუნგს, ამავე დროს არც კი გაგვივართ საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიდან, მიუხედავად მთელი მისი უბადრუკი როლისა ამ ბოლო დროს.

ადგილობრივ საბჭოებს კიდევ შეუძლიათ ითამაშონ როლი, ვინაიდან მათთვის აუცილებლად საჭირო იქნება თავი დაიცვან დროებითი მთავრობის პრეტენზიებისაგან, და ამ ბრძოლაში ჩვენ მათ მხარს დავუჭერთ.

ამრიგად, ვიმეორებ: საბჭოების ხელში ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგის მოხსნა არ ნიშნავს «ძირს საბჭოებს!». «ჩვენი დამოკიდებულება იმ საბჭოებისადმი, სადაც ჩვენ უმრავლესობას შევადგენთ»,—უაღრესად თანაგრძნობითია. ცოცხლობდნენ და მტკიცდებოდნენ ასეთი საბჭოები. მაგრამ **ძალა** უკვე აღარ არის საბჭოებში. წინათ დროებითი მთავრობა გამოსცემდა ხოლმე დეკრეტს, საბ-

ჭოების აღმასრულებელი კომიტეტი კი — კონტრდეკრეტს, ამასთან მხოლოდ ეს უკანასკნელი იძენდა კანონის ძალას. გაიხსენეთ № 1 ბრძანების ისტორია[60]. ახლა კი დროებითი მთავრობა ანგარიშს არ უწევს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მონაწილეობა 3 — 5 ივლისის ამბების საგამომძიებლო კომისიაში საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არ გაუუქმებია, მაგრამ მას მონაწილეობა არ მიუღია კერენსკის ბრძანების გამო. საკითხი ახლა საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება კი არ არის, რაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია, არამედ კონტრრევოლუციის დიქტატურის დამხობა.

მეოთხე პუნქტზე — «უღარიბესი გლეხობის» ცნების უფრო კონკრეტულად განმარტებისა და ამ გლეხობის ორგანიზაციის ფორმის მითითების შესახებ — მე ვუპასუხებ, რომ ტერმინი «უღარიბესი გლეხობა» ახალი ტერმინი როდია. ის შემოღებულია მარქსისტულ ლიტერატურაში ამხ. ლენინის მიერ ცხრაას ხუთი წლიდან, ხოლო მას შემდეგ იხმარებოდა «პრავდის» თითქმის ყოველ ნომერში და ადგილი ჰპოვა აპრილის კონფერენციის რეზოლუციებში.

გლეხობის უღარიბესი ფენები — ეს ისინი არიან, რომლებიც არ ეთანხმებიან გლეხობის ზედაფენებს. გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც თითქოს 80 მილიონ გლეხს «წარმოადგენს» (ქალების ჩათვლით), გლეხობის ზედაფენების ორგანიზაციაა. გლეხობის ქვედაფენები გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან ამ საბჭოს პოლიტიკის წინააღმდეგ. მაშინ როდესაც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეთაური ჩერნოვი, შემდეგ ავქსენტიევი და სხვები წინადადებას აძლევენ გლეხებს — დაუყოვნებლივ კი არ აიღონ მიწა, არამედ დაელოდონ მიწის საკითხის საერთო გადაჭრას დამფუძნებელი კრების მიერ, გლეხები ამის საპასუხოდ ხელში იგდებენ მიწას. ხნავენ მას, მიაქვთ ინვენტარი და

სხვ. ასეთი ცნობები ჩვენ გვაქვს პენზის, ვორონეჟის, ვიტებსკის, ყაზანის და მთელი რიგი სხვა გუბერნიებიდან. მარტო ეს ნათლად გვიჩვენებს სოფლის დაშლას ქვედა და ზედა ფენებად, გვიჩვენებს, რომ გლეხობა, როგორც ერთიანი მთელი, აღარ არსებობს. ზედაფენები მიჰყვებიან უმთავრესად სოციალისტ-რევოლუციონერებს, ქვედაფენებს არ შეუძლიათ იცხოვრონ უმიწოდ და ისინი ოპოზიციაში უდგანან დროებით მთავრობას. ესენი არიან მცირემიწიანი, ერთცხენიანი, უცხენო გლეხები და ა. შ. მათვე ეკუთვნიან თითქმის სრულიად უმიწო, ნახევრადპროლეტარული ფენები.

გონივრული არ იქნებოდა არ ვცდილიყავით რევოლუციურ პერიოდში მიგვეღწია ერთგვარი შეთანხმებისათვის გლეხობის ამ ფენებთან. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ცალკე დავრაზმოთ გლეხობის მოჯამაგირული ფენები, შევამჭიდროთ ისინი პროლეტარების გარშემო.

თუ როგორი იქნება ამ ფენების ორგანიზაციის ფორმა—ამის განჭვრეტა ძნელია. ამჟამად გლეხობის ქვედაფენები ირაზმებიან ან თვითნებურ საბჭოებად, ან ცდილობენ ხელში ჩაიგდონ უკვე არსებული საბჭოები. მაგალითად, პეტერბურგში 1½ თვის წინათ მოეწყო საბჭო უღარიბესი გლეხებისაგან (ჯარისკაცთა 80 ნაწილისა და ქარხნების წარმომადგენელთაგან), რომელიც გააფთრებულ ბრძოლას ეწევა გლეხთა დეპუტატების საბჭოს პოლიტიკის წინააღმდეგ.

საერთოდ საბჭოები წარმოადგენენ მასების ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას, მაგრამ ჩვენ **დაწესებულებათა** ენით კი არ უნდა ვლაპარაკობდეთ, არამედ მივუთითებდეთ **კლასობრივ შინაარსზე**, უნდა მივისწრაფოდეთ იქითკენ, რომ მასებიც განასხვავებდნენ **ფორმას შინაარსისაგან.**

საერთოდ რომ ვთქვათ, ორგანიზაციის ფორმების საკითხი ძირითადი არ არის. თუ რევოლუციური აღმავლობა იქნება, ორგანიზაციული ფორმებიც შეიქმნებიან. დაე ფორმების საკითხი ნუ დაჩრდილავს ძირითად საკითხს: **რომელი კლასის** ხელში უნდა გადავიდეს ძალაუფლება.

ამიერიდან ჩვენთვის წარმოუდგენელია ბლოკი ობორონცებთან. ობორონცულმა პარტიებმა თავისი ბედი ბურჟუაზიას დაუკავშირეს, და სოციალისტ-რევოლუციონერებიდან ბოლშევიკებამდე ბლოკის იდეამ მარცხი განიცადა. ბრძოლა საბჭოების ზედაფენების წინააღმდეგ გლეხობის უღარიბეს ფენებთან კავშირში და კონტრრევოლუციის გაცამტვერება — აი მორიგი საკითხი.

5. საბოლოო სიტყვა

31 ივლისს

ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა მე უნდა შემოვიტანო რამდენიმე ფაქტიური შესწორება.

ამხ. იაროსლავსკი უარყოფს ჩემს მტკიცებას, რომ რუსეთის პროლეტარიატი ყველაზე ორგანიზებულია, და მიგვითითებს ავსტრიის პროლეტარიატზე. მაგრამ, ამხანაგებო, მე ვლაპარაკობდი «წითელ», რევოლუციურ ორგანიზებულობაზე, მსგავსი ორგანიზებულობა კი არც ერთ ქვეყანაში არ არის იმ ზომით, როგორც ეს აქვს რუსეთის პროლეტარიატს.

ანგარსკი სრულებით არ არის მართალი, როდესაც მიუთითებს, თითქოს მე ყველა ძალთა გაერთიანების იდეის მომხრე ვიყო. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვხედავდეთ, რომ, სხვადასხვა მოტივებით, არა მარტო გლეხობამ და

პროლეტარიატმა, არამედ რუსეთის ბურჟუაზიამაც და უცხოეთის კაპიტალმაც ზურგი შეაქციეს ცარიზმს. ეს ფაქტია. არ არის კარგი, თუ მარქსისტები უგულებელყოფენ ფაქტს. მაგრამ შემდეგ პირველი ორი ძალა რევოლუციის შემდგომი განვითარების გზას დაადგა, მეორენი კი — კონტრრევოლუციის გზას.

გადავდივარ საკითხის არსებით მხარეზე. ყველაზე მწვავედ საკითხი დააყენა ბუხარინმა, მაგრამ არც მან მიიყვანა იგი ბოლომდე. ბუხარინი ამტკიცებს, რომ ბურჟუა-იმპერიალისტს ბლოკი აქვს დადებული გლეხთან. მაგრამ რომელ გლეხთან? ჩვენში სხვადასხვა გლეხები არიან. მემარჯვენე გლეხებთან ბლოკი დადებულია, მაგრამ ჩვენში არიან ქვედაფენის გლეხები, მემარცხენეები, რომლებიც გლეხობის უღარიბეს ფენებს წარმოადგენენ. აი მათთან კი ეს ბლოკი შეუძლებელი იყო. მათ მსხვილ ბურჟუაზიასთან ბლოკი არ დაუდვიათ, მაგრამ ისინი მისდევენ ამ ბურჟუაზიას შეუგნებლობით, მათ პირდაპირ ატყუებენ, მიიყოლიებენ.

მაშ ვის წინააღმდეგაა ბლოკი?

ეს ბუხარინს არ უთქვამს. ეს არის ბლოკი მოკავშირეთა და რუსეთის კაპიტალისა, გლეხობის მეთაურთა შემადგენლობისა და ზედაფენებისა. ჩერნოვის ტიპის სოციალისტ-რევოლუციონერთა სახით. ეს ბლოკი ჩამოყალიბდა გლეხობის ქვედაფენების წინააღმდეგ, მუშების წინააღმდეგ.

რაშია ბუხარინის პერსპექტივა? მისი ანალიზი არასწორია თვით საფუძველში. მისი აზრით, პირველ ეტაპზე ჩვენ მივდივართ გლეხური რევოლუციისაკენ. მაგრამ გლეხური რევოლუცია ხომ არ შეიძლება არ შეხვდეს, არ დაემთხვეს მუშურ რევოლუციას. არ შეიძლება, რომ მუშათა კლასი, რომელიც რევოლუციის ავანგარდს შეადგენს, ამასთან ერ-

თად არ იბრძოდეს თავისი საკუთარი მოთხოვნებისათვის. ამიტომ მე ბუხარინის სქემა მოუფიქრებელ სქემად მიმაჩნია.

ბუხარინის მიხედვით მეორე ეტაპია პროლეტარული რევოლუცია დასავლეთ ევროპის მხარდაჭერით, უგლეხებოდ, რომლებმაც მიიღეს მიწა და დაკმაყოფილდნენ. მაგრამ ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს რევოლუცია? ბუხარინი თავის სათამაშო სქემაში ამაზე პასუხს არ იძლევა. მოვლენათა ანალიზისადმი სხვა მიდგომა არ ყოფილა წამოყენებული.

პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ახლა ორხელისუფლებიანობაზე აღარავინ ლაპარაკობს. თუ წინათ საბჭოები რეალურ ძალას წარმოადგენდნენ, ახლა ისინი არიან მხოლოდ მასების შეკავშირების ორგანოები, რომლებსაც არავითარი ძალაუფლება არა აქვთ. სწორედ ამიტომ შეუძლებელია «უბრალოდ» გადაეცეთ მათ ძალაუფლება. ამხ. ლენინი თავის ბროშურაში [61] უფრო შორს მიდის და გარკვევით მიგვითითებს, რომ ორხელისუფლებიანობა არ არის, ვინაიდან მთელი ძალაუფლება კაპიტალის ხელში გადავიდა, და ახლა ლოზუნგის: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» წამოყენება დონკიხოტობას ნიშნავს.

თუ წინათ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის უსანქციოდ არავითარ კანონს ძალა არა ჰქონდა, ახლა ორხელისუფლებიანობაზე ლაპარაკიც კი არ არის. ხელში ჩაიგდეთ ყველა საბჭო, ძალაუფლება მაინც არ გექნებათ!

ჩვენ დავცინოდით კადეტებს რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნების დროს, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ ყველაზე უბადრუკ ჯგუფს, რომელმაც ხმების 20% მიიღო. ახლა ისინი დაგვცინიან. რაშია საქმე? იმაში, რომ ძალაუფლება საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წაყრუებით ბურჟუაზიის ხელში გადავიდა.

ამხანაგები ჩქარობენ ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხში. მაგრამ ძალაუფლება ხომ ჯერ არა გაქვთ!

მთავარი ამოცანაა არსებული ხელისუფლების **დამხობის** აუცილებლობის პროპაგანდა. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ მომზადებული არა ვართ ამისათვის. მაგრამ საჭიროა მოვემზადოთ.

საჭიროა მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა შეიგნონ, რომ ახლანდელი ხელისუფლების დაუმხობლად ისინი ვერც თავისუფლებას მიიღებენ, ვერც მიწას!

ამრიგად, საკითხი დგას არა ხელისუფლების ორგანიზაციის, არამედ მისი დამხობის შესახებ, ხოლო როდესაც ხელთ ვიგდებთ ძალაუფლებას, ხელისუფლების ორგანიზებას შევძლებთ.

ახლა რამდენიმე სიტყვა პასუხად ანგარსკისა და ნოგინს მათ მიერ რუსეთში სოციალისტურ გარდაქმნათა წინააღმდეგ გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ აპრილის კონფერენციაზე ჩვენ ვამბობდით, რომ დადგა მომენტი დავიწყოთ ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმისაკენ (კითხულობს «მიმდინარე მომენტის შესახებ» აპრილის კონფერენციის რეზოლუციის ბოლოს):

«რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც მოქმედებს ევროპის ერთერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში, წვრილგლეხური მოსახლეობის მასებს შორის, არ შეიძლება მიზნად ისახავდეს სოციალისტურ გარდაქმნათა დაუყოვნებლივ განხორციელებას. მაგრამ უდიდესი შეცდომა, ხოლო პრაქტიკულად ბურჟუაზიის მხარეზე სრული გადასვლაც კი იქნებოდა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ საჭიროა მუშათა კლასი მხარს უჭერდეს ბურჟუაზიას, ან საჭიროა შევზღუდოთ ჩვენი მოქმედება წვრილი ბურჟუაზიისათვის მისაღები ფარგლებით, ან ხელი ავიღოთ პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლზე იმ საქმეში, რომ განუმარტავდეს ხალხს სოციალიზმისაკენ მთელი რიგი პრაქტიკულად მომწიფებული ნაბიჯების გადადგმის გადაუდებლობას».

ამხანაგები სამი თვით ჩამორჩნენ. რა მოხდა ამ სამ თვეში? წვრილი ბურჟუაზია ფენებად დაიშალა, ქვედაფენები შორდებიან ზედაფენებს, პროლეტარიატი ირაზმება, ნგრევა იზრდება და კიდევ უფრო კატეგორიულად აყენებს დღის წესრიგში მუშათა კონტროლის განხორციელების საკითხს (მაგალითად, პიტერში, დონეცის ოლქში და სხვ.). ყოველივე ეს მეტყველებს იმ დებულებათა სასარგებლოდ, რომლებიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ აპრილში. ამხანაგები კი უკან გვეწევიან.

საბჭოების შესახებ. იმ ფაქტით, რომ ჩვენ ვხსნით წინანდელ ლოზუნგს საბჭოების ძალაუფლების შესახებ, ჩვენ საბჭოების წინააღმდეგ როდი გამოვდივართ. პირიქით, შეიძლება ვიმუშაოთ და კიდევაც უნდა ვიმუშაოთ საბჭოებში, საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტშიც კი — კონტრრევოლუციური საფარის ორგანოში. თუმცა საბჭოები ახლა მხოლოდ მასების შეკავშირების ორგანოები არიან, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მასებთან ვართ და არ წავალთ საბჭოებიდან, სანამ ჩვენ იქიდან არ გამოგვდევნიან. ხომ ვრჩებით ჩვენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და მუნიციპალიტეტებშიც, თუმცა მათ ხელში ძალაუფლება არა აქვთ. მაგრამ, საბჭოებში რომ ვრჩებით, ჩვენ განვაგრძობთ სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების ტაქტიკის მხილებას.

მას შემდეგ, რაც კონტრრევოლუციამ სავსებით თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა ჩვენი ბურჟუაზიის კავშირი მოკავშირეთა კაპიტალთან, კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ ჩვენს რევოლუციურ ბრძოლაში ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ სამ ფაქტორს: რუსეთის პროლეტარიატს, ჩვენს გლეხობას და საერთაშორისო პროლეტარიატს, ვინაიდან ჩვენი რევოლუციის ბედი მჭიდროდ დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის მოძრაობასთან.

6. პასუხი პრეობრაჟენსკის «პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» რეზოლუციის მე-9 პუნქტის საკითხზე

3 აგვისტოს

სტალინი კითხულობს რეზოლუციის მე-9 პუნქტს:

9. «მაშინ ამ რევოლუციური კლასების ამოცანა გახდება მთელი ძალღონის დაძაბვა სახელმწიფო ძალაუფლების თავის ხელში ასაღებად და მის წარსამართავად, მოწინავე ქვეყნების რევოლუციურ პროლეტარიატთან კავშირში, ზავისაკენ და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისაკენ».

პრეობრაჟენსკი. წინადადება შემომაქვს რეზოლუციის ბოლო ნაწილი მოცემულ იქნას სხვა რედაქციით: «მის წარსამართავად ზავისაკენ და დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის შემთხვევაში — სოციალიზმისაკენ». თუ ჩვენ მივიღებთ კომისიის რედაქციას, გამოვა უთანხმოება ბუხარინის უკვე მიღებულ რეზოლუციასთან.

სტალინი. მე ასეთი შესწორების წინააღმდეგი ვარ. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა. დღემდე არც ერთი ქვეყანა არ სარგებლობდა ომის პირობებში ისეთი თავისუფლებით, როგორც რუსეთი, და არ უსინჯავს წარმოებისადმი მუშათა კონტროლის განხორციელება. გარდა ამისა, ჩვენი რევოლუციის ბაზა უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი დგას ბურჟუაზიის პირისპირ სრულიად განმარტოებული. ჩვენში კი მუშებს მხარს უჭერენ გლეხობის უღარიბესი ფენები. დასასრულ, გერმანიაში სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი გაცილებით უკეთ მოქმედებს, ვიდრე არასრულყოფილი აპარატი ჩვენი ბურჟუაზიისა, რომელიც თვითონაც

ევროპის კაპიტალის მოხარკეა. უნდა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ამ უკანასკნელის ნიადაგზე ვდგავარ.

თავმჯდომარე. კენჭს ვუყრი პრეობრაჟენსკის შესწორებას. უარყოფილია *.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
რსდმპ (ბოლშევიკების) VI ყრილობის ოქმები. გამომც. «კომუნისტი», 1919.

* «რსდმპ (ბ) VI ყრილობის ოქმების» სიმოკლისა და აშკარა არასაკმარისობის გამო, აგრეთვე იმის გამოც, რომ ეს ოქმები ყრილობიდან ორი წლის შემდეგ გამოიცა, რედაქციამ ამხ. სტალინის მიერ VI ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვების ტექსტის დადგენისას საჭიროდ ჩათვალა «ოქმებს» გარდა გამოეყენებინა აგრეთვე ის ოფიციალური ანგარიშები ყრილობაზე ამხ. სტალინის გამოსვლების შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა 1917 წლის ივლის-აგვისტოში გაზეთებში: «რაბოჩი ი სოლდატ» №№ 7 და 14 და «პროლეტარი» № 3.

რა სურთ კაპიტალისტებს?

ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნა ვაჭართა და მრეწველთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა. ყრილობა გაიხსნა ნაციონალისტთა ლიდერის, მილიონერ რიაბუშინსკის საპროგრამო სიტყვით.

რაზე ლაპარაკობდა რიაბუშინსკი?

როგორია კაპიტალისტების პროგრამა?

ეს უნდა იცოდნენ მუშებმა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც კაპიტალისტები მბრძანებლობენ ხელისუფლების მიმართ, ხოლო მენშევიკები და ესერები ელაციცებიან მათ, როგორც «ცოცხალ ძალებს».

ეს უნდა იცოდნენ მუშებმა, ვინაიდან კაპიტალისტები მუშების დაუძინებელი მტრები არიან, ხოლო მტრები რომ დაამარცხო, უწინარეს ყოვლისა უნდა იცნობდე მათ.

ამრიგად, რა სურთ კაპიტალისტებს?

ვის ხელშია ძალაუფლება?

კაპიტალისტები ფუჭი მოლაყბენი როდი არიან. ისინი საქმის ხალხია. მათ იციან, რომ რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძირითადი საკითხი ძალაუფლების საკითხია. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ თავის სიტყვას რიაბუშინსკი ამ ძირითადი საკითხით იწყებს.

«ჩვენი დროებითი მთავრობა, — ამბობს ის, — რომელიც ხელისუფლების რაღაც მოჩვენებითობას წარმოადგენდა, გარეშე ხალხის ზეგავლენის ქვეშ იყო. ჩვენში ფაქტიურად გამეფდა პოლიტიკურ შარლატანთა ხროვა. საბჭოურმა ხალხის ცრუ ბელადებმა დაღუპვის გზაზე დააყენეს ხალხი, და აი მთელი რუსეთის სამეფო შავი უფსკრულის პირას დადგა» («რეჩ»).

რომ «ჩვენში ფაქტიურად გამეფდა პოლიტიკურ შარლატანთა ხროვა», ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ არანაკლებ მართალია ისიც, რომ ამ «შარლატანებს» უნდა ვეძებდეთ არა «საბჭოურ ბელადებს» შორის, არამედ თვით რიაბუშინსკებს შორის, რიაბუშინსკის იმ მეგობრებს შორის, რომლებიც 2 ივლისს გავიდნენ დროებითი მთავრობიდან, მთელი კვირაობით ვაჭრობდნენ მინისტრთა პორტფელების გამო, შანტაჟს უწევდნენ ესერ-მენშევიკ დოყლაპიებს იმის მუქარით, რომ მთავრობას უკრედიტოდ დატოვებდნენ, და, ბოლოს, მიაღწიეს თავის მიზანს, — ააცეკვეს ისინი თავის სალამურზე.

ვინაიდან მათ, ამ «შარლატანებმა», და არა «საბჭოურმა ბელადებმა». უკარნახეს მთავრობას დაპატიმრებანი და რბევა, დახვრეტა და სიკვდილით დასჯა.

ვინაიდან ისინი, ეს «შარლატანები», «ზეგავლენას ახდენენ» მთავრობაზე, აქცევენ რა მას შირმად, რომელიც იცავს მათ ხალხის რისხვისაგან.

ვინაიდან ისინი, ეს «შარლატანები», და არა «საბჭოური» უძალაუფლებო «ბელადები», «გამეფდნენ ახლა ფაქტიურად» რუსეთში.

მაგრამ აქ საქმე, რა თქმა უნდა, ამაში როდია. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ საბჭოებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ ფეხქვეშ ეგებოდნენ კაპიტალისტები და რომლებიც ახლა გაცამტვერებულები არიან, ჯერ კიდევ შეინარჩუნეს ძალაუფლების ნატამალი, და ახლა კაპიტალისტებს სურთ

ჩამოართვან საბჭოებს ეს უკანასკნელი ნამცეცებიც, რათა მით უფრო საფუძვლიანად განამტკიცონ თავისი საკუთარი ძალაუფლება.

აი რაზე ლაპარაკობს, უწინარეს ყოვლისა, ბ-ნი რიაბუშინსკი.

თქვენ გინდათ იცოდეთ, რა სურთ კაპიტალისტებს?

მთელი ძალაუფლება კაპიტალისტებს — აი რა სურთ მათ.

* * *

ვინ ღუპავს რუსეთს?

რიაბუშინსკი ლაპარაკობს არა მარტო აწმყოზე. იგი წინააღმდეგი არ არის «თვალი გადაავლოს წინა თვეებსაც». მერე რა? «შეჯამებისას» იგი, სხვათა შორის, ხედავს, რომ: «ჩვენ მოვექეცით რაღაც ჩიხში, საიდანაც გამოსვლა არ შეგვიძლია... სასურსათო საკითხი საბოლოოდ ჩაიფუშა, რუსეთის ეკონომიური და ფინანსური ცხოვრება მოიშალა და სხვ.».

ამაში, თურმე, ბრალი მიუძღვით იმავე «ამხანაგებს» საბჭოებიდან, იმ «გამნიავებლებს», რომლებსაც საჭიროა «მეურვეობა დაუწესდეთ».

«გმინავს მთელი რუსეთი მათი ამხანაგური მოხვევნისაგან, ვიდრე ხალხს ვერ გაუგია მათი ზრახვები, მაგრამ გაუგებს თუ არა, ეტყვის მათ: «ხალხის მატყუარებო!»».

რუსეთი რომ ჩიხშია მოქცეული, ის რომ ღრმა კრიზისს განიცდის, ის რომ დაღუპვის პირზეა, — ეს, რა თქმა უნდა, მართალია.

მაგრამ განა უცნაური არ არის, რომ:

1) რუსეთში ომამდე პურის სიჭარბე იყო, ამასთან ჩვენ ის ყოველწლიურად გაგვქონდა 400 — 500 მილიონი ფუთი, ახლა კი, ომის დროს, პური არ გვყოფნის, იძულებული ვართ ვშიმშილობდეთ.

2) რუსეთში ომამდე სახელმწიფო დავალიანება უდრიდა 9 მილიარდს, ამასთან პროცენტების გადასახდელად საჭირო იყო სულ 400 მილიონი მანეთი წელიწადში, ომის სამი წლის განმავლობაში კი დავალიანება 60 მილიარდს აღწევს და მარტო პროცენტებისათვის მოითხოვს ყოველწლიურად 3 მილიარდ მანეთს.

განა ცხადი არ არის, რომ რუსეთი მოქცეულია ჩიხში ომით და მხოლოდ ომით?

მაგრამ ვინ უბიძგებდა რუსეთს ომის გზაზე, ვინ უბიძგებს მას ახლა ომის განგრძობის გზაზე, თუ არა იგივე რიაბუშინსკები და კონოვალოვები, მილიუკოვები და ვინავერები?

«გამნიავებლები» რუსეთში ბევრნი არიან და ისინი ღუპავენ რუსეთს, — ეს უეჭველია. მაგრამ ისინი უნდა ვეძებოთ არა «ამხანაგებში», არამედ იმავე რიაბუშინსკებსა და კონოვალოვებში, კაპიტალისტებსა და ბანკირებში, რომელნიც მილიონობით მოგებას იჯიბავენ სამხედრო მიწოდებებითა და სახელმწიფო სესხებით.

და თუ რუსი ხალხი გაუგებს როდისმე მათ ზრახვებს, ის მკაცრად გაუსწორდება მათ, — ამაში მათ შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ.

მაგრამ აქ საქმე, რა თქმა უნდა, ამაში როდია. საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტებს სწყურიათ მათთვის მომგებიანი «ომი ბოლომდე», მაგრამ ეშინიათ პასუხი აგონ მისი შედეგებისათვის, ამიტომ ისინი ცდილობენ დანაშაული დააკისრონ «ამხანაგებს», რათა ამით გაუადვილდეთ რევოლუციის ჩახრჩობა ომის ტალღებში.

აი საით უმიზნებს თავის სიტყვაში ბ-ნი რიაბუშინსკი. თქვენ გინდათ იცოდეთ, რა სურთ კაპიტალისტებს?

ომი რევოლუციაზე სრულ გამარჯვებამდე — აი რა სურთ მათ.

ვინ ღალატობს რუსეთს?

დახატა რა რუსეთის კრიზისული მდგომარეობა, რიაბუშინსკი «მდგომარეობიდან გამოსავალსაც» იძლევა. მაგრამ აბა ყური დაუგდეთ, რა «გამოსავალია» ეს:

«სახელმწიფომ არ მისცა მოსახლეობას არც პური, არც ნახშირი, **არც** მანუფაქტურა... შესაძლოა, მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საჭირო გახდეს შიმშილის გაძვალტყავებული ხელი, ხალხის სიღატაკე, რომელიც ყელში სწვდება ხალხის ცრუ მეგობრებს, დემოკრატიულ საბჭოებსა და კომიტეტებს».

ხომ გესმით: «**საჭირო გახდება** შიმშილის გაძვალტყავებული ხელი, ხალხის სიღატაკე»...

ბატონ რიაბუშინსკებს, თურმე, სურთ დააჯილდოონ რუსეთი «შიმშილითა» და «სიღატაკით» იმისათვის, რომ «ყელში სწვდნენ» «დემოკრატიულ საბჭოებსა და კომიტეტებს».

მათ, თურმე, სურთ დახურონ ქარხნები და ფაბრიკები, შექმნან უმუშევრობა და შიმშილი, რათა გამოიწვიონ ხალხის ნაადრევი ბრძოლა და უფრო წარმატებით გაუსწორდნენ მუშებსა და გლეხებს.

აი ისინი, ქვეყნის «ცოცხალი ძალები» «რაბოჩაია გაზეტას» და «დელო ნაროდას» ატესტაციით.

აი სად არიან რუსეთის ნამდვილი მოღალატენი **და** გამცემნი.

რუსეთში ახლა ბევრს ლაპარაკობენ გამცემლობაზე. ყოფილი ჟანდარმები და ახლანდელი კონტრმზვერავები, უნიჭო დაქირავებულნი და გარყვნილი სუტენერები — ახლა ყველანი წერენ გამცემლობაზე, გულისხმობენ რა «დემოკრატიულ საბჭოებსა და კომიტეტებს». დაე იცოდნენ მუშებმა, რომ ცრუ სიტყვები გამცემლების შესახებ მხოლოდ ფარავენ მრავალტანჯული რუსეთის ნამდვილ გამცემლებს!

თქვენ გინდათ იცოდეთ, რა სურთ კაპიტალისტებს?

თავისი ჭისის ინტერესთა გამარჯვება, თუნდაც რუსეთის დალუპვის ფასად — აი რა სურთ მათ.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 13,
1917 წ. 6 აგვისტო.

მოწინავე.

მოსკოვის თათბირის წინაალმდეგ

კონტრრევოლუციის განვითარება ახალ ხანაში შედის. რბევიდან და ნგრევიდან ის გადადის დაკავებული პოზიციების გამაგრებაზე. თავაშვებულობიდან და უწესოებიდან — «კონსტიტუციური მშენებლობის» «კანონიერი კალაპოტისაკენ».

შეიძლება და საჭიროა დავამარცხოთ რევოლუციაო, ამბობენ კონტრრევოლუციონერები. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა კიდევ ეს მოგიწონონ. ამასთან საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ ეს მოიწონოს თვით «ხალხმა», «ერმა», და არა მხოლოდ პიტერში ან ფრონტზე, არამედ მთელ რუსეთში. მაშინ გამარჯვება მტკიცე იქნება. მაშინ მიღწეული მონაპოვარნი შეიძლება კონტრრევოლუციის მომავალ ახალ გამარჯვებათა საფუძველი გახდნენ.

მაგრამ როგორ მოაწყონ ეს?

შეიძლებოდა დაეჩქარებინათ დამფუძნებელი კრების — მთელი რუსი ხალხის ამ ერთადერთი წარმომადგენლის, მოწვევა და გამოეთხოვათ მისგან, რათა მოეწონებინა ომისა და გაღატაკების, რბევისა და დაპატიმრებების, ცემა-ტყეპისა და დახვრეტის პოლიტიკა.

მაგრამ ბურჟუაზია არ იზამს ამას. მან იცის, რომ დამფუძნებელი კრების მხრივ, სადაც უმრავლესობა გლეხებისაგან იქნება შემდგარი, იგი ვერ მიაღწევს კონტრრევოლუციის პოლიტიკის ვერც აღიარებას, ვერც მოწონებას.

ამიტომ იგი ცდილობს მიაღწიოს (უკვე მიაღწია!) დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებას. იგი, ალბათ, უფრო შორს გადადებს მის მოწვევას, რათა, ბოლოს, მიაღწიოს მის სავსებით ჩაშლას.

მაგრამ სადღაა «გამოსავალი»?

«გამოსავალია» დამფუძნებელი კრების შეცვლა «მოსკოვის თათბირით».

«გამოსავალია» ის, რომ ხალხის ნება-სურვილი შეიცვალოს ბურჟუაზიულ-მემამულური ზედაფენების ნება-სურვილით, რისთვისაც დამფუძნებელი კრება «მოსკოვის თათბირით» უნდა შეიცვალოს.

მოიწვიოს თათბირი ვაჭრებისა და მრეწველებისაგან, მემამულეებისა და ბანკირებისაგან, მეფის სათათბიროს წევრებისა და უკვე მოშინაურებული მენშევიკებისა და ესერებისაგან იმ მიზნით, რომ გამოაცხადოს ეს თათბირი «საერთო-ნაციონალურ კრებად», მიაღწიოს იმას, რომ მან მოიწონოს იმპერიალიზმისა და კონტრრევოლუციის პოლიტიკა, გადააკისროს ომის მთელი სიმძიმე მუშებსა და გლეხებს, — აი სად არის «გამოსავალი» კონტრრევოლუციისათვის.

კონტრრევოლუციას ესაჭიროება თავისი პარლამენტი, თავისი ცენტრი, და იგი ქმნის მას.

კონტრრევოლუციას ესაჭიროება «საზოგადოებრივი აზრის» ნდობა, და იგი ქმნის მას.

ეს არის მთელი დედაარსი.

ამ მხრივ კონტრრევოლუცია იმავე გზით მიდის, რითაც რევოლუცია. ის რევოლუციისაგან სწავლობს.

რევოლუციას ჰქონდა თავისი პარლამენტი, თავისი ნამდვილი ცენტრი, და რევოლუციაც ორგანიზებულად გრძნობდა თავს.

ახლა კონტრრევოლუცია ცდილობს შექმნას თავისი პარლამენტი, და იგი ქმნის მას შიგ რუსეთის გულში, მოსკოვში, მერე ვისი ხელით — აი ბედის ირონია! — ესერებისა და მენშევიკების ხელით.

და ეს იმ დროს, როდესაც რევოლუციის პარლამენტი დაქვეითებულია ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური კონტრრევოლუციის უბრალო დანამატის მდგომარეობამდე, როდესაც საბჭოებს და მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა კომიტეტებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს!

ძნელი გასაგები არ არის, რომ ასეთ პირობებში თათბირი, რომელსაც 12 აგვისტოსათვის მოსკოვში იწვევენ, გარდუვალად გადაიქცევა კონტრრევოლუციის შეთქმულების ორგანოდ მუშების წინააღმდეგ, რომლებსაც ლოკაუტებითა და უმუშევრობით ემუქრებიან, — გლეხების წინააღმდეგ, რომლებსაც მიწას «არ აძლევენ», — ჯარისკაცების წინააღმდეგ, რომლებსაც რევოლუციის დღეებში მოპოვებულ თავისუფლებას ართმევენ, — გადაიქცევა იმ შეთქმულების ორგანოდ, რასაც ფარავენ ესერთა და მენშევიკთა — იმ ადამიანთა «სოციალისტური ფრაზებით», რომელნიც მხარს უჭერენ ამ თათბირს.

ამიტომ მოწინავე მუშების ამოცანაა:

1) ჩამოჰგლიჯონ თათბირს სახალხო წარმომადგენლობის ნიღაბი, დღის სინათლეზე გამოიტანონ მისი კონტრრევოლუციური, ხალხის საწინააღმდეგო არსი.

2) ამხილონ მენშევიკები და ესერები, რომლებიც «რევოლუციის ხსნის» დროშით ფარავენ ამ თათბირს და ატყუებენ რუსეთის ხალხებს.

3) მოაწყონ მასობრივი საპროტესტო მიტინგები იმათი კონტრრევოლუციური ხრიკის წინააღმდეგ, ვინც ცდილობს «იხსნას»... მემამულეთა და კაპიტალისტთა მოგება.

დაე იცოდნენ რევოლუციის მტრებმა, რომ მუშები არ მოტყუვდებიან, რომ ისინი ხელიდან არ გაუშვებენ რევოლუციის საბრძოლო დროშას.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 14,
1917 წ. 8 აგვისტო.

მოწინავე.

კიდევ სტოკჰოლმის შესახებ [63]

ომი გრძელდება. მრისხანედ და განუხრელად მიიმართება მისი სისხლიანი ეტლი. ევროპის ომიდან ის თანდათანობით იქცევა მსოფლიო ომად და სულ ახალ-ახალ სახელმწიფოებს ითრევს თავის შავბნელ საქმეში.

ამასთან ერთად ეცემა და თავის მნიშვნელობას კარგავს სტოკჰოლმის კონფერენცია.

«ზავისათვის ბრძოლა» და იმპერიალისტურ მთავრობებზე «ზეგავლენის» ტაქტიკა, რაც შემარიგებლებმა გამოაცხადეს, «ცარიელ სიტყვად» იქცა.

შემარიგებელთა ცდებმა — დაეჩქარებინათ ომის დამთავრება და აღედგინათ მუშათა ინტერნაციონალი სხვადასხვა ქვეყნების «ობორონცულ უმრავლესობებს» შორის შეთანხმების გზით — სრული მარცხი განიცადა.

მენშევიკებისა და ესერების სტოკჰოლმის განაზრახი, რომლის გარშემოც იქსოვება იმპერიალისტური ინტრიგების ხშირი ქსელი, გარდუვალად უნდა გადაიქცეს ან უილაჯო პარადად, ან სათამაშოდ იმპერიალისტურ მთავრობათა ხელში.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატების მოგზაურობა ევროპაში [64] და ობორონცების «სოციალისტური» დიპლომატია

ინგლის-საფრანგეთის სოციალ-იმპერიალიზმის წარმომადგენლებთან საზეიმო საუზმეების გამართვით — არ არის გზა მუშების საერთაშორისო ძმობის აღდგენისაკენ.

ჩვენი პარტია მართალი იყო, ჯერ კიდევ აპრილის კონფერენციაზე რომ გაემიჯნა სტოკჰოლმს.

ომის განვითარება და მთელი მსოფლიო ვითარება გარდუვალად ამწვავებენ კლასობრივ წინააღმდეგობებს და მათ მივყავართ გრანდიოზული სოციალური ბრძოლების ეპოქისაკენ.

ამაში, და მხოლოდ ამაში, უნდა ვეძებდეთ დემოკრატიულ გზებს ომის ლიკვიდაციისათვის.

ლაპარაკობენ «ევოლუციაზე» ინგლის-საფრანგეთის სოციალ-პატრიოტთა შეხედულებებში, მათს გადაწყვეტილებაზე — წავიდნენ სტოკჰოლმში და სხვ.

მაგრამ განა ეს საქმეს ცვლის? განა რუსეთის და გერმანია-ავსტრიის სოციალ-პატრიოტებმა აგრეთვე არ გადაწყვიტეს (ინგლის-საფრანგეთისაზე კიდევ უფრო ადრე!) მონაწილეობა მიიღონ სტოკჰოლმის კონფერენციაში? ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ მათმა ამ გადაწყვეტილებამ დააჩქარა ომის დამთავრების საქმე?

განა შეიდემანის პარტია, რომელიც სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობს, მხარს აღარ უჭერს თავის მთავრობას, რომელიც აწარმოებს შეტევას და ხელთ იგდებს გალიციას, რუმინეთს?

განა რენოდელისა და ჰენდერსონის პარტიები, რომლებიც ლაპარაკობენ «ზავისათვის ბრძოლისა» და სტოკჰოლმის შესახებ, ამავე დროს მხარს არ უჭერენ თავიანთ მთავრობებს, რომლებიც ხელთ იგდებენ მესოპოტამიას, საბერძნეთს?

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ომის ლიკვიდაციის საქმისათვის მათს **ლაყბობას** სტოკჰოლმში ამ ფაქტების წინაშე?

ტკბილ-ტკბილი სიტყვები ზავის შესახებ, რომლებიც ფარავენ ომისა და დაპყრობათა პოლიტიკისათვის გადაჭრით მხარდაჭერას, — ვინ არ იცნობს მასების იმპერიალისტური მოტყუების ამ ძველისძველ ხერხებს?

ამბობენ, რომ ახლა ვითარება წარსულთან შედარებით შეიცვალა, რომ საჭიროა ამის გამო შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულებაც სტოკჰოლმისადმი.

დიახ, ვითარება შეიცვალა, მაგრამ შეიცვალა არა სტოკჰოლმის სასარგებლოდ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მის საწინააღმდეგოდ.

შეიცვალა, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ომი ევროპის ომიდან მსოფლიო ომად იქცა და მან უკიდურესობამდე გააფართოვა და გააღრმავა საერთო კრიზისი.

ამიტომ იმპერიალისტური ზავისა და მთავრობებზე «ზეგავლენის» პოლიტიკის შანსები უკიდურეს მინიმუმამდე შემცირდა.

შეიცვალა, მეორე მხრივ, ის, რომ რუსეთი დაადგა ფრონტზე შეტევის გზას და ქვეყნის შინაგანი ცხოვრება შეტევის პოლიტიკის მოთხოვნებს შეუფარდა თავისუფლებათა ალაგმვის მხრივ. ხომ დროა, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, რომ შეტევის პოლიტიკა შეუთავსებელია «მაქსიმალურ თავისუფლებებთან», რომ მობრუნების პუნქტი ჩვენი რევოლუციის განვითარებაში ჯერ კიდევ ივნისში დაიწყო. ამასთან ბოლშევიკები საპყრობილეებში «მჯდომარენი აღმოჩნდნენ», ხოლო ობორონცები, რომლებიც შემტევებად იქცნენ, ჯალათების როლს თამაშობენ.

ამიტომ «ზავისათვის ბრძოლის» მომხრეთა მდგომარეობა აუტანელი გახდა, ვინაიდან თუ წინათ შეიძლე-

ბოდა ლაპარაკი ზავის შესახებ, ისე რომ სიცრუეში მხილების შიში არ ჰქონოდათ, ახლა, შეტევის პოლიტიკის შემდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირეს «ობორონცებმა», «ობორონცების» პირში სიტყვები ზავის შესახებ დაცინვად ისმის.

მაშ რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ ზავის შესახებ «ამხანაგური» **ლაყბობა** სტოკჰოლმში და სისხლისმღვრელი **საქმეები** ფრონტებზე აბსოლუტურად შეუთავსებელი აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობა მათ შორის აშკარა, თავისთავად თვალსაჩინო გახდა.

ამაშია სტოკჰოლმის კონფერენციის კრახის გარდუვალობა.

ამის გამო რამდენადმე შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულებაც სტოკჰოლმისადმი.

წინათ ჩვენ ვამხილებდით სტოკჰოლმის განაზრახს, ახლა საეჭვოა ღირდეს მისი მხილება, ვინაიდან ის თვითონ ამხილებს თავის თავს.

წინათ საჭირო იყო მისი დაგმობა, როგორც მშვიდობანას თამაშისა, რომელიც მასებს ატყუებს. ახლა საეჭვოა ღირდეს მისი დაგმობა, ვინაიდან დაცემულს არ სცემენ.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ გზა სტოკჰოლმისაკენ არ არის გზა ზავისაკენ.

ზავისაკენ მიმავალი გზა გვერდს უვლის სტოკჰოლმს. ეს არის გზა მუშების რევოლუციური ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 15,
1917 წ. 9 აგვისტო.

მოწინავე.

საით მივყავართ მოსკოვის თათბირს?

პეტროგრადიდან გაქცევა

მოსკოვის თათბირი გაიხსნა. იგი გაიხსნა არა პეტროგრადში, არა რევოლუციის ცენტრში, არამედ ბევრად შორს მისგან, «მოსკოვის მყუდროებაში».

რევოლუციის დღეებში მნიშვნელოვანი თათბირების მოწვევა, ჩვეულებრივად, ხდებოდა პეტროგრადში, რევოლუციის ციტადელში, რომელმაც ცარიზმი დაამხო. მაშინ პეტროგრადისა არ ეშინოდათ, მაშინ ეტანებოდნენ მას. მაგრამ ახლა რევოლუციის დღეები კონტრრევოლუციის ბინდბუნდით შეიცვალა. ახლა პეტროგრადი საშიშია, ახლა მისი ისე ეშინიათ, როგორც შავი ჭირისა და... გაურბიან მას, როგორც ეშმაკები საკმეველს, რაც შეიძლება შორს, მოსკოვში, «სადაც ასეთი მოუსვენრობა არ არის», სადაც, კონტრრევოლუციონერების აზრით, უფრო ადვილად შეიძლება თავისი შავბნელი საქმეების მოჭახრაკება.

«თათბირი წავა მოსკოვის დროშით, მოსკოვის იდეები, მოსკოვის განწყობილებები დიდად განსხვავდება დამპალი პეტროგრადისაგან, — ამ წყლულისაგან, რომელიც სწამლავს რუსეთს» («ვეჩერნეე ვრემია», 11 აგვისტო).

ასე ლაპარაკობენ კონტრრევოლუციონერები.

მათ სავსებით ეთანხმებიან «ობორონცები».

— მოსკოვში, მოსკოვში! — ჩურჩულებენ «ქვეყნის მხსნელნი» და პეტროგრადიდან გარბიან.

— ჯანდაბამდის გზა გქონიათ, — უპასუხებს მათ რევოლუციური პეტროგრადი.

— ბოიკოტი თქვენს თათბირს, — მისძახიან მათ პეტროგრადის მუშები.

მოსკოვი? გაამართლებს თუ არა ის კონტრრევოლუციონერთა იმედებს?

რაღაც არ ეტყობა. გაზეთები სავსეა ცნობებით საერთო გაფიცვის შესახებ მოსკოვში. გაფიცვა გამოაცხადეს მოსკოვის მუშებმა. მოსკოვის მუშები, ისევე როგორც პიტერისა, ბოიკოტს უცხადებენ თათბირს. მოსკოვი არ ჩამორჩება პეტროგრადს.

გაუმარჯოს მოსკოვის მუშებს!

მაშ ისევ გაქცევა?

პეტროგრადიდან მოსკოვში, მოსკოვიდან კი — საით? იქნებ, ცარევოკოშაისკში?

ცუდად არის, ცუდად ბატონ ვერსალელთა საქმეები...

* * *

თათბირიდან «ხანგრძლივ პარლამენტამდე» [65]

მოსკოვის თათბირს რომ ამზადებდნენ, ბ-ნი «მხსნელები» თავს ისე გვაჩვენებდნენ, რომ იწვევენ «უბრალო თათბირს», რომელიც არაფერს არ წყვეტს, არავის არაფერს ავალებს. მაგრამ «უბრალო თათბირმა» თანდათანობით იწყო გადაქცევა «სახელმწიფო თათბირად», შემდეგ — «დიდ კრებად», ახლა კი გარკვევით ლაპარაკობენ თათბირის გადაქცევაზე «ხანგრძლივ პარლამენტად», რომელმაც

უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

«თუ მოსკოვის თათბირზე, — ამბობს თერგის კაზაკთა ჯარის ატამანი კარაულოვი, — არ ჩამოყალიბდება ქვეყნის გაერთიანების ცენტრი, რუსეთის მომავალი უნუგეშო ფერებით გვესახება. მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ცენტრი შეიქმნება... და თუ... ასეთი დასაყრდენი პუნქტი გამოვლინდა, მაშინ მოსკოვის თათბირი არა მარტო სიცოცხლისუნარიანი ორგანო აღმოჩნდება, არამედ მას იმის შანსებიც აქვს, რომ ხანგრძლივად და ბრწყინვალედ იარსებოს, როგორც **«ხანგრძლივმა პარლამენტმა»** კრომველის ეპოქაში. ჩემი მხრით, მე, როგორც კაზაკობის წარმომადგენელი, ვეცდები ყველა საშუალებით შევუწყო ხელი ასეთი გამაერთიანებელი ცენტრის შექმნას» («რუსსკიე ვედომოსტი» საღ., 11 აგვისტო).

ასე ლაპარაკობს «კაზაკობის წარმომადგენელი».

მოსკოვის თათბირი, როგორც კონტრრევოლუციის «გაერთიანების ცენტრი» — ასეთია კარაულოვის გრძელი სიტყვის მოკლე აზრი.

ამასვე ამბობს დონის კაზაკობა თავისი წარმომადგენლებისათვის მიცემულ განაწესში:

«მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოს მოსკოვის თათბირმა ან სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა, და არა რომელიმე პარტიამ, როგორც ეს დღემდე იყო. ასეთ მთავრობას უნდა მიეცეს სრული ძალაუფლება და დამოუკიდებლობა».

ასე ლაპარაკობს დონის კაზაკობის «ვოისკოვოი კრუგი».

ხოლო ვინ არ იცის ახლა, რომ «კაზაკები ძალაა»?

ეჭვი შეუძლებელია: ან თათბირი არ შედგება, ან ის გარდუვალად გადაიქცევა კონტრრევოლუციის «ხანგრძლივ პარლამენტად».

მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებმაც თათბირი მოიწვიეს, გააადვილეს კონტრრევოლუციის ორგანიზაციის საქმე, სულ ერთია — სურდათ მათ ეს თუ არა.

ასეთია ფაქტი.

* * *

ვინ არიან ისინი?

ვინ არიან ისინი, კონტრრევოლუციის ეს მესვეურები? ესენი არიან, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო წრეები, მეთაურთა შემადგენლობის ზედაფენები, რომლებიც მიიყოლიებენ კაზაკობისა და გიორგის კავალრების გარკვეულ წრეებს.

ეს არის, მეორე მხრივ, ჩვენი სამრეწველო ბურჟუაზია რიაბუშინსკის მეთაურობით, იმ რიაბუშინსკისა, რომელიც «შიმშილითა» და «სიღატაკით» ემუქრება ხალხს, თუ იგი ხელს არ აიღებს თავის მოთხოვნებზე.

დასასრულ, ეს არის მილიუკოვის პარტია, რომელიც აერთიანებს გენერლებსა და მრეწველებს რუსი ხალხის წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს საკმაოდ გამოირკვა გენერლების, მრეწველებისა და კადეტების «წინასწარ თათბირზე» [66] 8 — 10 აგვისტოს.

«ყველას პირზე აკერია გენ. კორნილოვის სახელი, — წერს «ბირჟოვკა». — **თათბირზე გადამწყვეტი გავლენა აქვთ ეგრეთწოდებული სამხედრო პარტიის წარმომადგენლებს გენ. ალექსეევის მეთაურობით და კაზაკთა კავშირის დელეგატებს.** გენ. ალექსეევის სიტყვა, რომელიც წარმოთქმულ იქნა პირველ სხდომაზე და რომელსაც თათბირი მჭუხარე მოწონებით შეხვდა, განმეორებულ იქნება მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე» («ვეჩერნიაია ბირჟოვკა», 11 აგვისტო).

ეს სწორედ ის სიტყვაა, რომლის ცალკე ფურცლად გამოცემაც მოითხოვა მილიუკოვმა.

შემდეგ:

«დიდ ყურადღებას იპყრობს გენ. კალედინი. მას განსაკუთრებით აკვირდებიან და უსმენენ. მის გარშემო ჯგუფდება მთელი სამხედრო ნაწილი» («ვეჩერნეე ვრემია», 11 აგვისტო).

დასასრულ, ყველასათვის ცნობილია ულტიმატუმები გიორგის კავალრებისა და კაზაკთა კავშირებისა, რომლებსაც მეთაურობენ იგივე დამხობილი და ჯერ კიდევ დაუმხობელი გენერლები.

ამასთან ულტიმატუმები დაუყოვნებლივ სრულდება. ვინაიდან სამხედრო პირებს «ტყუილუბრალოდ ლაყბობა» არ უყვართ.

ეჭვი შეუძლებელია: საქმე მიდის სამხედრო დიქტატურის დამკვიდრებისა და ჩამოყალიბებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის და მოკავშირეთა ბურჟუაზია მას «მხოლოდ» დააფინანსებს.

ტყუილად კი არ არის, რომ ასე «დაინტერესებულია თათბირით სერ ბიუკენენი» (იხ. «ბირჟოვკა»), რომელიც, ვგონებთ, აგრეთვე აპირებს მოსკოვში წასვლას.

ტყუილად კი არ ზეიმობენ ბ-ნ მილიუკოვის დამჭაშები.

ტყუილად კი არ გრძნობს თავს რიაბუშინსკი მინინად, «მხსნელად» და სხვ.

* * *

რა სურთ მათ?

მათ სურთ კონტრრევოლუციის სრული გამარჯვება. მოისმინეთ წინასწარი თათბირის რეზოლუცია.

«დაე ჯარებში აღდგენილ იქნას დისციპლინა, და ძალაუფლება გადავიდეს მეთაურთა შემადგენლობის ხელში».

სხვანაირად რომ ვთქვათ: ალაგმე ჯარისკაცები!

«დაე ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ერთიანმა და ძლიერმა, ბოლო მოუღოს კოლეგიურ დაწესებულებათა უპასუხისმგებლო პარპაშის სისტემას».

სხვანაირად რომ ვთქვათ: ძირს მუშათა და გლეხთა საბჭოები!

დაე მთავრობამ «გადაჭრით აღმოფხვრას ყოველგვარი კომიტეტებისა, საბჭოებისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციებისაგან დამოკიდებულების ყოველი კვალი».

სხვანაირად რომ ვთქვათ: დაე მთავრობა დამოკიდებული იყოს მხოლოდ კაზაკთა «საბჭოებისაგან» და გიორგის კავალერთა «კონფერენტებისაგან».

რეზოლუცია გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება «რუსეთის ხსნა».

ვგონებთ, ნათელია.

აბა, რას იტყვით, ბატონო შემთანხმებლებო, ესერებო და მენშევიკებო, თანახმა ხართ თუ არა მოაწყოთ შეთანხმება «ცოცხალი ძალების» წარმომადგენლებთან?

ან, იქნებ, გადაიფიქრეთ?

საცოდავი შემთანხმებლები...

* * *

მოსკოვის ხმა

მოსკოვი კი თავის რევოლუციურ საქმეს აკეთებს. გაზეთები იუწყებიან, რომ ბოლშევიკების მოწოდებით მოსკოვში უკვე დაიწყო საერთო გაფიცვა მიუხედავად სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებისა, რომელიც დღემდე კიდევ კუდში მისჩანჩალებს ხალხის მტრებს.

სირცხვილი აღმასრულებელ კომიტეტს!

გაუმარჯოს მოსკოვის რევოლუციურ პროლეტარიატს!

დაე უფრო ძლიერად გაისმას მოსკოვში ჩვენი ამხანაგების ხმა ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა სასიხარულოდ!

დაე გაიგოს მთელმა რუსეთმა, რომ კიდევ არიან ქვეყანაზე ადამიანები, რომელნიც მზად არიან მკერდით დაიცვან რევოლუციის საქმე.

მოსკოვი გაფიცულია. გაუმარჯოს მოსკოვს!

«პროლეტარი» № 1,
1917 წ. 13 აგვისტო.

მოწინავე.

კონტრრევოლუცია და რუსეთის ხალხები

რევოლუციისა და დემოკრატიულ გარდაქმნათა დღეებში მოძრაობა განთავისუფლების დროშით მიმდინარეობდა.

თავისუფლდებოდნენ გლეხები მემამულეთა სრული ბატონობისაგან. თავისუფლდებოდნენ მუშები ქარხნის ადმინისტრაციის ჟინიანობისაგან. თავისუფლდებოდნენ ჯარისკაცები გენერლების თვითნებობისაგან...

განთავისუფლების პროცესი არ შეიძლებოდა არ შეხებოდა რუსეთის ხალხებსაც, რომლებსაც ცარიზმი საუკუნეობით ჩაგრავდა.

დეკრეტი ხალხთა «თანასწორუფლებიანობის» შესახებ და ნაციონალურ შეზღუდვათა ფაქტიური მოსპობა, უკრაინელთა, ფინელთა, ბელორუსთა ყრილობები და საკითხი ფედერაციული რესპუბლიკის შესახებ, ერთა თვითგამორკვევის უფლების საზეიმოდ გამოცხადება და «დაბრკოლებათა შეუქმნელობის» ოფიციალური დაპირება — ყოველივე ეს მოწმობდა რუსეთის ხალხთა დიად განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ეს იყო რევოლუციის დღეებში, როცა მემამულეები სცენიდან ჩამოვიდნენ, ხოლო იმპერიალისტური ბურჟუაზია შეეწროებული იყო დემოკრატიის შეტევით.

ხელისუფლების სათავეში მემამულეთა (გენერლების) დაბრუნებისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ სურათი სრულებით იცვლება.

«დიად სიტყვებს» თვითგამორკვევის შესახებ და «დაბრკოლებათა შეუქმნელობის» საზეიმო დაპირებას ივიწყებენ. დაბრკოლებებს ქმნიან სრულიად დაუჯერებელს და იქამდეც კი მიდიან, რომ პირდაპირ ერევიან ხალხთა საშინაო ცხოვრებაში. დაითხოვეს სეიმი ფინეთში [67] და იმუქრებიან, რომ «ფინეთში გამოაცხადებენ საალყო წესებს, თუ ეს საჭირო გახდება» («ვეჩერნეე ვრემია», 9 აგვისტო). იწყება ლაშქრობა უკრაინის რადისა და სამდივნოს [68] წინააღმდეგ იმ აშკარა განზრახვით, რომ თავი მოჰკვეთონ უკრაინის ავტონომიას. ამასთან ერთად თავს იჩენს ძველი, საზიზღარი ხერხები ეროვნებათა შეხლა-შემოხლის პროვოკაციულად გამოწვევისა და «ღალატში» ეჭვის დანაშაულებრივად მიტანისა, რათა ხელ-ფეხი გაუხსნან კონტრრევოლუციურ-შოვინისტურ ძალებს და სისხლის ღვარში ჩაახრჩონ თვით იდეა ნაციონალური განთავისუფლებისა, უფსკრული გათხარონ რუსეთის ხალხებს შორის და შუღლი დათესონ მათ შორის რევოლუციის მტრების გასახარებლად.

ამით სასიკვდილო ლახვარს სცემენ ამ ხალხების ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანების საქმეს.

ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ ეროვნებათათვის «შარის მოდების» პოლიტიკა კი არ აერთიანებს, არამედ თიშავს ხალხებს, მათ შორის «სეპარატისტულ» მისწრაფებებს აძლიერებს.

ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკა, რომელსაც კონტრრევოლუციური ბურჟუაზია ატარებს, ქმნის რუსეთის სწორედ იმ «დაშლის» საფრთხეს, რომლის წინააღმდეგაც ასე ყალბად და პირმოთნედ ღაღადებს ბურჟუაზიული პრესა.

ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ ეროვნებათა წასისიანების პოლიტიკა სწორედ ის საზიზღარი პოლიტიკაა, რომელიც აძლიერებს ხალხთა ურთიერთ უნდობლობასა და მტრობას და თიშავს სრულიად რუსეთის პროლეტარიატის ძალებს, ძირს უთხრის რევოლუციის თვით საფუძვლებს.

სწორედ ამიტომ მთელი ჩვენი სიმპატია არასრულუფლებიან და ჩაგრულ ხალხთა მხარეზეა, რომლებიც, ბუნებრივია, იბრძვიან ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ ჩვენს მახვილს მივმართავთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ხალხის «თვითგამორკვევის» **სახით** ატარებს იმპერიალისტური ანექსიებისა და ძალდატანებით «გაერთიანების» პოლიტიკას.

ჩვენ სრულებითაც არა ვართ წინააღმდეგნი ხალხთა ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანებისა. ჩვენ სრულებითაც არ ვემხრობით დიდი სახელმწიფოების წვრილ სახელმწიფოებად დაჭუცმაცებას. ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ წვრილი სახელმწიფოების დიდ სახელმწიფოებად გაერთიანება ერთ-ერთი პირობაა, რომელიც აადვილებს სოციალიზმის განხორციელების საქმეს.

ამგრამ ჩვენ უთუოდ იმის მომხრენი ვართ, რომ ეს გაერთიანება **ნებაყოფლობითი** იყოს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გაერთიანებაა ნამდვილი და მტკიცე.

მაგრამ ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ხალხთა თვითგამორკვევის უფლების სრული და უსიტყვო აღიარება, თვით მათ ჩამოშორებამდე რუსეთისაგან.

შემდეგ საჭიროა, რომ ეს სიტყვიერი აღიარება დადასტურებულ იქნას საქმით და ხალხებს შესაძლებლობა მიეცეთ თავიანთ დამფუძნებელ კრებებზე ახლავე განსაზღვ-

რონ თავიანთი ტერიტორიები და თავიანთი პოლიტიკური წყობილების ფორმები.

მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია გააძლიეროს ხალხთა ნდობა და მეგობრობა.

მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია გზა გაუკაფოს ხალხთა ნამდვილი გაერთიანების საქმეს.

ეჭვი არ არის, რომ რუსეთის ხალხები უცოდველი არ არიან და მათ შეუძლიათ დაუშვან ესა თუ ის შეცდომა თავიანთი ცხოვრების მოწყობის საქმეში. რუსეთის მარქსისტების მოვალეობაა მიუთითონ მათ, უწინარეს ყოვლისა, მათს პროლეტარებს, ამ შეცდომებზე და ეცადონ მიაღწიონ შეცდომების გამოსწორებას კრიტიკის გზით, დარწმუნების გზით. მაგრამ **არავის** არა აქვს უფლება **ძალდატანებით** ჩაერიოს ერების საშინაო ცხოვრებაში და **ძალით** «გაასწოროს» მათი შეცდომები. ერები სრულუფლებიანი არიან თავიანთი საშინაო ცხოვრების საქმეებში, და მათ უფლება აქვთ თავიანთი სურვილისამებრ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება.

ასეთია რუსეთის ხალხთა ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც რევოლუციამ გამოაცხადა და რომლებსაც ახლა კონტრრევოლუცია თელავს.

ამ მოთხოვნათა განხორციელება წარმოუდგენელია, ვიდრე ხელისუფლების სათავეში კონტრრევოლუცია დგას.

რევოლუციის გამარჯვება — ასეთია ნაციონალური ჩაგვრისაგან რუსეთის ხალხთა განთავისუფლების ერთადერთი გზა.

დასკვნა ერთია: ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების საკითხი ძალაუფლების საკითხია. ნაციონალური ჩაგვრის ფესვები მემამულეებისა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბატონობაშია ჩამარხული. პროლეტარიატის და რევოლუციური გლეხების ხელში ძალაუფლების გადა-

ცემა — სწორედ ეს ნიშნავს ნაციონალური ჩაგვრისაგან რუსეთის ხალხთა სრული განთავისუფლების მიღწევას.

ან რუსეთის ხალხები მხარს დაუჭერენ მუშების რევოლუციურ ბრძოლას ძალაუფლებისათვის, და მაშინ — ისინი მიაღწევენ განთავისუფლებას, ანდა ისინი ამ ბრძოლას მხარს არ დაუჭერენ, და მაშინ — განთავისუფლებას სიზმრადაც ვერ ნახავენ.

«პროლეტარი» № 1,
1917 წ. 13 აგვისტო.

სტატია ხელმოუწერელია.

ᲝᲠᲘ ᲒᲖᲐ

თანამედროვე მდგომარეობის ძირითადი საკითხი ომის საკითხია. ეკონომიური ნგრევა და სასურსათო საქმე, მიწის საკითხი და პოლიტიკური თავისუფლება — ყოველივე ეს კერძო საკითხებია ერთი საერთო საკითხისა ომის შესახებ.

რით არის გამოწვეული სასურსათო საქმის ნგრევა?

— გაჭიანურებული ომით, რომელმაც მოშალა ტრანსპორტი და უპუროდ დატოვა ქალაქი.

რით არის გამოწვეული ფინანსურ-ეკონომიური ნგრევა?

— დაუსრულებელი ომით, რომელმაც მთელი ძალღონე და სახსრები გამოსწოვა რუსეთს.

რით არის გამოწვეული რეპრესიები ფრონტზე და ზურგში?

— ომით და შეტევის პოლიტიკით, რომელიც «რკინისებურ დისციპლინას» მოითხოვს.

რით არის გამოწვეული ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ზეიმი?

— ომის მთელი მსვლელობით, რაც მოითხოვს ახალ მილიარდებს, ამასთან ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია, რომელსაც მხარს უჭერს მოკავშირეთა ბურჟუაზია, უარს ამბობს

კრედიტის მიცემაზე, თუ წინასწარ არ მოხდა რევოლუციის ძირითად მონაპოვართა ლიკვიდაცია.

და ასე შემდეგ, და ასე ამგვარად.

ამის გამო ომის საკითხის გადაჭრა — სწორედ ეს ნიშნავს ყველა და ყოველგვარი «კრიზისის» გადაჭრას, რომლებიც სულს უხუთავენ ახლა ქვეყანას.

მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ეს?

რუსეთის წინაშე ორი გზაა.

ან ომის განგრძობა და შემდგომი «შეტევა» ფრონტზე, და მაშინ — ძალაუფლების გარდუვალად გადაცემა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ფული საშინაო და საგარეო სესხების გზით.

ქვეყნის «ხსნა» ასეთ შემთხვევაში ნიშნავს ომის ხარჯების დაფარვას მუშებისა და გლეხების სახსრებით (არაპირდაპირი გადასახადები!) იმპერიალიზმის რუსი და მოკავშირე ვეშაპების საამებლად.

ან ძალაუფლების გადასვლა მუშებისა და გლეხების ხელში, ზავის დემოკრატიული პირობების გამოცხადება და ომის შეწყვეტა იმისათვის, რომ, რევოლუციის შემდგომი წინწაწევით, გადაეცეს მიწა გლეხებს, დაწესდეს მუშათა კონტროლი მრეწველობაში და ნგრევის გზაზე მდგომი სახალხო მეურნეობა მოყვანილ იქნას წესრიგში კაპიტალისტებისა და მემამულეების მოგებათა ხარჯზე.

ქვეყნის ხსნა ასეთ შემთხვევაში ნიშნავს მუშებისა და გლეხების განთავისუფლებას ომის ფინანსური ტვირთისაგან იმპერიალიზმის ვეშაპების საზიანოდ.

პირველ გზას მივყავართ მშრომელებზე მემამულეებისა და კაპიტალისტების დიქტატურისაკენ, უმძიმესი გადასახადებით ქვეყნის დაბეგვრისაკენ, საზღვარგარეთელი კაპიტალისტებისათვის რუსეთის თანდათანობით მიყიდვისა-

კენ (კონცესიები!) და ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის კოლონიად რუსეთის გადაქცევისაკენ.

მეორე გზა ხსნის დასავლეთში მუშური რევოლუციის ერას, წყვეტს იმ ფინანსურ ძაფებს, რომლებითაც შებოჭილია რუსეთი, არყევს ბურჟუაზიული ბატონობის თვით საფუძვლებს და გზას უკაფავს რუსეთის ნამდვილ განთავისუფლებას.

ასეთია ორი გზა, რომლებიც გამოხატავენ ორი მოპირდაპირე კლასის — იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და სოციალისტური პროლეტარიატის ინტერესებს.

მესამე გზა არ არსებობს.

ამ ორი გზის შერიგება ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია იმპერიალიზმისა და სოციალიზმის შერიგება.

ბურჟუაზიასთან შეთანხმების (კოალიციის) გზა განწირულია გარდუვალი მარცხისათვის.

«კოალიცია დემოკრატიული პლატფორმის საფუძველზე — აი გამოსავალი», — წერენ მოსკოვის თათბირის გამო ბ-ნი ობორონცები («იზვესტია» [69]).

— არ არის მართალი, ბატონო შემთანხმებლებო!

თქვენ სამჯერ მოაწყეთ კოალიცია ბურჟუაზიასთან და სამჯერვე წააწყდით ახალ «ხელისუფლების კრიზისს».

რატომ?

იმიტომ, რომ ბურჟუაზიასთან კოალიციის გზა ყალბი გზაა, რომელიც ფარავს თანამედროვე მდგომარეობის წყლულებს.

იმიტომ, რომ კოალიცია ან ლიტონი სიტყვაა, ან საშუალება იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელში — განამტკიცოს თავისი ძალაუფლება «სოციალისტების» ხელით.

განა ახლანდელი კოალიციური მთავრობა, რომელმაც ორ ბანაკს შუა დაჯდომა სცადა, შემდეგ იმპერიალიზმის მხარეზე არ გადავიდა?

რისთვის არის მოწვეული «მოსკოვის თათბირი», თუ არ იმისათვის, რომ განამტკიცოს კონტრრევოლუციის პოზიციები და მიიღოს საამისო სანქცია (და კრედიტი!) «მთელი ხალხისაგან»?

რა მიზანს ისახავს კერენსკის მიერ «თათბირზე» წარმოთქმული სიტყვა მოწოდებით «მსხვერპლისა» და «კლასობრივი თვითშეზღუდვისაკენ», რა თქმა უნდა, «სამშობლოს» და «ომის» ინტერესებისათვის, თუ არ იმპერიალიზმის განმტკიცებას?

ან პროკოპოვიჩის განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობა «არ დაუშვებს მუშების ჩარევას (მუშათა კონტროლი!) საწარმოების მართვაშიო»?

ან იმავე მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ «არავითარ ძირითად რეფორმას მიწის საკითხის დარგში მთავრობა არ გაატარებსო»?

ან ნეკრასოვის განცხადება იმის შესახებ, რომ «კერძო საკუთრების კონფისკაციაზე მთავრობა არ წავაო»?

რა არის ეს, თუ არ პირდაპირი სამსახური იმპერიალისტური ბურჟუაზიის საქმისადმი?

განა ცხადი არ არის, რომ კოალიცია წარმოადგენს მხოლოდ ნიღაბს, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მილიუკოვებისა და რიაბუშინსკებისათვის?

განა ცხადი არ არის, რომ შეთანხმებისა და კლასთა შორის მანევრირების გზა მასების მოტყუებისა და გაბრიყვების გზაა?

არა, ბატონო შემთანხმებლებო! დადგა მომენტი, როდესაც მერყეობასა და შეთანხმებებს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. მოსკოვში უკვე გარკვევით ლაპარაკობენ

კონტრრევოლუციონერთა «შეთქმულებაზე». ბურჟუაზიული პრესა სინჯავს შანტაჟის ნაცად საშუალებას, ავრცელებს რა ხმებს «რიგის ჩაბარების» [70] შესახებ. ასეთ მომენტში საჭიროა არჩევანის მოხდენა.

ან პროლეტარიატთან, ან მის წინააღმდეგ.

პეტროგრადისა და მოსკოვის პროლეტარიატი ბოიკოტს უცხადებს «თათბირს» და მოგვიწოდებს რევოლუციის **ნამდვილი** ხსნის გზისაკენ.

ყურადიღეთ მისი ხმა, ან გზიდან ჩამოდექით.

«პროლეტარი» № 2,
1917 წ. 15 აგვისტო.

მოწინავე.

მოსკოვის თათბირის შედეგები

დაიხურა მოსკოვის თათბირი.

«ორი მოპირდაპირე ბანაკის მკვეთრი შეჯახების» შემდეგ, წერეთლებთან მილიუკოვების «სისხლისმღვრელი ბრძოლის» შემდეგ, მას შემდეგ, რაც «ბრძოლა» დამთავრდა, ხოლო დაჭრილები აკრეფილი არიან, — ნება გვაქვს ვიკითხოთ: რით დამთავრდა მოსკოვის «ბრძოლა», ვინ მოიგო, ვინ წააგო?

კადეტები კმაყოფილი არიან და ხელებს იფშვნეტენ. «ხალხის თავისუფლების პარტიას შეუძლია იამაყოს, ამბობენ ისინი, იმით, რომ მისი ლოზუნგები... აღიარებულია... საყოველთაო-სახალხო ლოზუნგებად» («რეჩ»).

კმაყოფილი არიან ობორონცებიც, ვინაიდან ისინი ლაპარაკობენ «დემოკრატიის (იგულისხმე: ობორონცების!) გამარჯვებაზე» და გვარწმუნებენ, რომ «დემოკრატია მოსკოვის თათბირიდან განმტკიცებული გამოდის» («იზვესტია»).

«საჭიროა მოისპოს ბოლშევიზმი», — ამბობს მილიუკოვი თათბირზე «ცოცხალი ძალების» წარმომადგენელთა ტაშის გრიალში.

ამას ჩვენ ვაკეთებთო, უპასუხებს წერეთელი, ვინაიდან «უკვე გატარებულია განსაკუთრებული კანონი» ბოლშე-

ვიზმის წინააღმდეგ. ამასთანავე «რევოლუცია (იგულისხმე: კონტრრევოლუცია!) ჯერ კიდევ გამოუცდელია მემარცხენე საფრთხესთან ბრძოლაში», — მაშ გვაცალეთ გამოცდილების შეძენაო.

და კადეტებიც ეთანხმებიან, რომ უმჯობესია თანდათანობით მოსპონ ბოლშევიზმი, ვიდრე ერთბაშად, და ამასთან არა პირდაპირ, არა საკუთარი ხელით, არამედ სხვისი ხელით, იმავე «სოციალისტ»-ობორონცების ხელით.

საჭიროა «გაუქმებულ იქნან კომიტეტები და საბჭოები», — ამბობს გენ. კალედინი «ცოცხალი ძალების» წარმომადგენელთა ტაშის გრიალში.

სწორია, უპასუხებს მას წერეთელი, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა, ვინაიდან «ჯერ კიდევ არ შეიძლება მოიხსნას ეს ხარაჩოები, როდესაც თავისუფალი რევოლუციის (იგულისხმე: კონტრრევოლუციის!) შენობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის». გვაცალეთ «დამთავრება», და მერე საბჭოებიც მოიხსნებიან და კომიტეტებიცო!

და კადეტებიც ეთანხმებიან, რომ უმჯობესია კომიტეტებისა და საბჭოების დაქვეითება იმპერიალისტური მექანიზმის უბრალო დანამატების როლამდე, ვიდრე მათი ერთბაშად მოსპობა.

შედეგად — «საერთო ზეიმი» და «კმაყოფილება».

ტყუილად კი არ წერენ გაზეთებში, რომ «მინისტრ-სოციალისტებსა და მინისტრ-კადეტებს შორის უფრო მეტი ერთიანობა დამყარდა, ვიდრე ეს თათბირამდე იყოო» («ნოვაია ჟიზნ»).

ვინ მოიგო, კითხულობთ თქვენ?

მოიგეს კაპიტალისტებმა, ვინაიდან მთავრობამ თათბირზე იკისრა ვალდებულება «არ დაუშვას მუშების ჩარევა (კონტროლი!) საწარმოების მართვაში».

მოიგეს მემამულეებმა, ვინაიდან მთავრობამ თათბირზე იკისრა ვალდებულება «არ გაატაროს არავითარი ძირითადი რეფორმა მიწის საკითხის დარგში».

მოიგეს კონტრრევოლუციურმა გენერლებმა, ვინაიდან სიკვდილით დასჯა მოწონებულ იქნა მოსკოვის თათბირზე.

ვინ მოიგო, კითხულობთ თქვენ?

მოიგო კონტრრევოლუციამ, ვინაიდან იგი დაირაზმა სრულიად რუსეთის მასშტაბით, მან თავის გარშემო შეამჭიდროვა ქვეყნის ყველა «ცოცხალი ძალები», როგორიც არიან, მაგალითად, რიაბუშინსკი და მილიუკოვი, წერეთელი და დანი, ალექსეევი და კალედინი.

მოიგო კონტრრევოლუციამ, ვინაიდან მან თავის ვანკარგულებაში მიიღო ეგრეთწოდებული «რევოლუციური დემოკრატია», როგორც მოხერხებული საფარი ხალხის აღშფოთებისაგან.

ახლა კონტრრევოლუციონერები მარტო არ არიან. ახლა მთელი «რევოლუციური დემოკრატია» მათთვის მუშაობს. ახლა მათს განკარგულებაშია «მთელი რუსეთის» «საზოგადოებრივი აზრი», რომელსაც «განუხრელად» დაამუშავებენ ბ-ნი ობორონცები.

კონტრრევოლუციის გვირგვინის კურთხევა — აი მოსკოვის თათბირის შედეგი.

ობორონცები, რომლებიც ახლა «დემოკრატიის გამარჯვებაზე» ლაყბობენ, ვერც კი ხვდებიან, რომ ისინი მხოლოდ ლაქიებად აიყვანეს მოზეიმე კონტრრევოლუციონერებისათვის სამსახურის გასაწევად.

ასეთი და მხოლოდ ასეთია პოლიტიკური აზრი «პატიოსანი კოალიციისა», რომლის შესახებაც «მუდარით» ლაპარაკობდა ბ-ნი წერეთელი და რომლის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ ბ-ნ მილიუკოვებს.

ობორონცების «კოალიცია» იმპერიალისტური ბურჟუაზიის «ცოცხალ ძალებთან» რევოლუციური პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ, — ასეთია მოსკოვის თათბირის შედეგები.

დიდხანს ეყოფათ თუ არა ობორონცებს ეს კონტრრევოლუციური «კოალიცია» — ამას უახლოესი მომავალი დაგვანახვებს.

«პროლეტარი» № 4,
1917 წ. 17 აგვისტო.
მოწინავე.

სიმართლე ფრონტზე ჩვენი დამარცხების შესახებ

ქვემოთ ვბეჭდავთ ამონაწერებს დოკუმენტების ხასიათის მქონე ორი სტატიიდან ფრონტზე ივლისში ჩვენი ჯარების დამარცხების მიზეზების შესახებ.

ორივე სტატია, არსენი მერიჩის სტატიაც («დელო ნაროდაში») და ვ. ბორისოვის სტატიაც («ნოვოე ვრემიაში»[71]), ცდილობს დადგეს ივლისის დამარცხების პირუთვნელი შესწავლის გზაზე და ანგარიშს არ უწევს ულირს ადამიანთა იმ იაფფასიან ბრალდებებს, რასაც ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართავენ.

მით უფრო დასაფასებელია მათი აღიარებანი და განცხადებანი.

ა. მერიჩის სტატიაში ლაპარაკია უმთავრესად დამარცხების **დამნაშავეებზე.** დამნაშავენი, თურმე, არიან «ყოფილი გოროდოვოები და ჟანდარმები» და უწინარეს ყოვლისა ვისილაც და «რაღაც ავტომობილები», რომლებიც ტარნოპოლისა და ჩერნოვიცის დამცველ არმიაში მიმოდიოდნენ და ჯარისკაცებს უბრძანებდნენ უკან დაეხიათ. თუ რა ავტომობილები იყო ეს და როგორ შეიძლებოდა, რომ მეთაურებმა დაუშვეს ასეთი აშკარა პროვოკაცია, — ამაზე, სა-

ცწუხაროდ. ავტორი დუმს. მაგრამ ის ცხადად და გარკვევით ლაპარაკობს **«პროვოცირებულ უკანდახევაზე»**, **«ღალატზე, რომელიც გატარდა წინასწარ მოფიქრებული, გაანგარიშებული გეგმით»**, და იმაზე, რომ გამოძიება წარმოებს, რომ მალე «ფარული ცხადი გახდება».

ბოლშევიკები კი? «ბოლშევიზმის ღალატი»?

ამაზე ა. მერიჩის სტატიაში ერთი სტრიქონი, ერთი სიტყვაც არ არის!

კიდევ უფრო საინტერესოა ვ. ბორისოვის სტატია «ნოვოე ვრემიაში». ამ სტატიაში ლაპარაკია არა იმდენად დამარცხების დამნაშავეებზე, რამდენადაც დამარცხების **მიზეზებზე**.

სტატია პირდაპირ აცხადებს, რომ **«ხსნის ბოლშევიზმს ხელაღებითს ბრალდებას ჩვენს დამარცხებაში»**, რომ საქმე ბოლშევიზმში კი არ არის, არამედ «უფრო ღრმა მიზეზებში», რომლებიც უნდა გამოირკვეს და აღმოიფხვრას. მაგრამ რა მიზეზებია ეს? ეს, უწინარეს ყოვლისა, არის შეტევის ტაქტიკის უვარგისობა ჩვენთვის, რადგან «დონდლო გენერლები» გვყავს, რადგან ჩვენი ჯარების «მატერიალური ნაწილი» სუსტია, რადგან ჩვენი ჯარისკაცები არაორგანიზებული არიან. შემდეგ ჩარევა «დილეტანტური» (გამოუცდელი) ელემენტებისა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ და კიდევაც მიაღწიეს შეტევის მოწყობას ივნისში. დასასრულ, მთავრობის მეტისმეტად დიდი მზადყოფნა შეესრულებინა მოკავშირეთა რჩევა შეტევის აუცილებლობის შესახებ, ფრონტზე ნამდვილი მდგომარეობისათვის ანგარიშის გაუწევლად.

მოკლედ: «ჩვენი» საერთო მოუმზადებლობა შეტევისათვის, რამაც ეს შეტევა სისხლიან ავანტიურად გადააქცია.

ესე იგი დასტურდება ყოველივე ის, რაზეც არაერთხელ იძლეოდნენ გაფრთხილებას ბოლშევიკები და «პრავდა»

და რისთვისაც მათ წინააღმდეგ გესლს ანთხევდა ყველა, ვისაც კი მოეპრიანებოდა.

ასე. ლაპარაკობენ ახლა ისინი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ გვაბრალებდა ჩვენ ფრონტზე დამარცხებას.

ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ გულდამშვიდებას მივეცეთ იმ სტრატეგიულ და სხვა მხილებათა და მოსაზრებათა გამო, რაც გამოაქვეყნა «ნოვოე ვრემიამ», რომელსაც ახლა საჭიროდ მიაჩნია «მოხსნას ბოლშევიკებს ხელაღებითი ბრალდება ჩვენს დამარცხებაში».

აგრეთვე სრულებითაც არ ვაპირებთ ამომწურავად ჩავთვალოთ ა. მერიჩის ცნობები.

მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ თუ სამინისტროს გაზეთი «დელო ნაროდა» შესაძლებლად ვეღარ თვლის დუმდეს დამარცხების ნამდვილ დამნაშავეებზე, თუ სუვორინის «ნოვოე ვრემიაც» კი (ისიც კი!), რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ბოლშევიკებს აბრალებდა დამარცხებას, დღეს საჭიროდ თვლის «მოხსნას ბოლშევიკებს» ეს ბრალდება, — ეს მოწმობს იმას, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება, რომ მეტისმეტად ძლიერად გეცემათ თვალში სიმართლე დამარცხების შესახებ და მასზე დუმილი აღარ შეიძლება, რომ სიმართლე დამარცხებაში დამნაშავეთა შესახებ, რომელიც დღის სინათლეზე გამოაქვთ თვით ჯარისკაცებს, ეს-ეს არის თვით ბრალმდებლებს გაამათრახებს, რომ შემდგომი დუმილი ნიშნავს თვითონ ფათერაკში ჩაიგდო თავი...

აშკარაა, ბრალდება, რომელიც შეთითხნეს ბოლშევიკების, როგორც დამარცხებაში დამნაშავეების, წინააღმდეგ რევოლუციის მტრებმა, როგორიც არიან «ნოვოე ვრემიას» ვაჟბატონები, და რომელსაც მხარი დაუჭირეს რევოლუ-

ციის «მეგობრებმა», როგორიც არიან «დელო ნაროდას» ვაჟბატონები, **საბოლოოდ ჩაიფუშა.**

ამიტომ, და მხოლოდ ამიტომ, გაბედეს ახლა ამ ვაჟბატონებმა ალაპარაკებულიყვნენ დამარცხებაში **ნამდვილ** დამნაშავეთა შესახებ.

ხომ ძალიან მოგვაგონებენ ეს ვაჟბატონები იმ კეთილგონიერ ვირთაგვებს, რომელნიც პირველნი ტოვებენ დასაღუპავად განწირულ ხომალდს...

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ აქედან?

გველაპარაკებიან ფრონტზე დამარცხების საქმის გამოძიებაზე, ამასთან გვარწმუნებენ, მალე «ფარული ცხადი გახდებაო». მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ გამოძიების შედეგებს მაუდქვეშ არ ამოსდებენ, რომ გამოძიებას ობიექტურად ჩაატარებენ, რომ დამნაშავენი ჯეროვან სასჯელს მიიღებენ?

ამიტომ ჩვენი პირველი წინადადებაა: **მიღწეულ იქნას თვით ჯარისკაცთა წარმომადგენლების მონაწილეობა საგამომძიებლო კომისიაში.**

მხოლოდ ასეთ მონაწილეობას შეუძლია უზრუნველყოს «პროვოცირებული აუკანდახევის» დამნაშავეთა ნამდვილად გამომჟღავნება!

ასეთია პირველი დასკვნა.

გველაპარაკებიან დამარცხების მიზეზებზე და წინადადებას იძლევიან აღარ გამეორდეს ძველი «შეცდომები». მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ «შეცდომები» მართლაც შეცდომებია, და არა «წინასწარ მოფიქრებული გეგმა»? ვის შეუძლია იკისროს თავდებობა, რომ მას შემდეგ, რაც «პროვოცირებულ» იქნა ტარნოპოლის ჩაბარება, «პროვოცირებული» არ იქნება კიდევ რიგისა და პეტროგრადის ჩაბარება იმისათვის, რომ დასცენ რევოლუციის პრესტიჟი

და შემდეგ რევოლუციის ნანგრევებზე დაამკვიდრონ საძულველი ძველი წესწყობილება?

ამიტომ ჩვენი მეორე წინადადებაა: **დაწესდეს თვით ჯარისკაცთა წარმომადგენლების კონტროლი თავის უფროსთა მოქმედებაზე, ამასთან დაუყოვნებლივ გამოცვლილ იქნას ყველა ეჭვმიტანილი.**

მხოლოდ ასეთ კონტროლს შეუძლია უზრუნველყოს რევოლუცია დიდი მასშტაბის დანაშაულებრივი პროვოკაციებისაგან.

ასეთია მეორე დასკვნა.

«პროლეტარი» № 5,
1917 წ. 18 აგვისტო.

სტატია ხელმოუწერელია

ივლისში ფრონტზე დამარცხების მიზეზების შესახებ

ყველას ახსოვს ბოროტი ცილისწამებანი ბოლშევიზმის მიმართ, რომელსაც ხელაღებით აბრალებდნენ ფრონტზე დამარცხებას. ბურჟუაზიული პრესა და «დელო ნაროდა», პროვოკატორები «ბირჟოვკიდან» და «რაბოჩაია გაზეტა», მეფის ყოფილი ლაქიები «ნოვოე ვრემიადან» და «იზვესტია» — ყველანი ერთსულოვნად აფრქვევდნენ ცეცხლს ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც დამარცხებაში დამნაშავეებად გამოაცხადეს.

ახლა ირკვევა, რომ **დამნაშავეებს** უნდა ვეძებდეთ არა ბოლშევიკებს შორის, არამედ იმათ შორის, ვინც აამოქმედა «საიდუმლო ავტომობილები», რომლებიც მოუწოდებდნენ უკანდახევისაკენ და პანიკას იწვევდნენ ჯარისკაცებში (იხ. «დელო ნაროდა», 16 აგვისტო).

თუ რა «ავტომობილები» იყო ეს, და **სად იყვნენ მეთაურები,** რომლებმაც დაუშვეს ამ საიდუმლო ავტომობილების რბენა, — ამაზე «დელო ნაროდას» კორესპონდენტი, სამწუხაროდ, დუმს.

ახლა ირკვევა, რომ დამარცხების **მიზეზს** უნდა ვეძებდეთ არა ბოლშევიზმში, არამედ «უფრო ღრმა მიზეზებში»,

ჩვენთვის შეტევის ტაქტიკის უვარგისობაში, შეტევისათვის ჩვენს მოუმზადებლობაში, «ჩვენი გენერლების დონდლოობაში» და სხვ. (იხ. «ნოვოე ვრემია», 15 აგვისტო).

დაე წაიკითხონ და კვლავ გადაიკითხონ მუშებმა და ჯარისკაცებმა «დელო ნაროდას» და «ნოვოე ვრემიას» აღნიშნული ნომრები, დაე წაიკითხონ ისინი და დარწმუნდნენ:

1) რამდენად მართალი იყვნენ ბოლშევიკები, როდესაც იძლეოდნენ გაფრთხილებას ფრონტზე შეტევის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მაისის დამლევს (იხ. «პრავდის» ნომრები);

2) რამდენად დანაშაულებრივად იქცეოდნენ მენშევიკებისა და ესერების ბელადები, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ შეტევის სასარგებლოდ და რომლებმაც ჩაფუშეს საბჭოების ყრილობაზე ივნისის დამდეგს ბოლშევიკების წინადადება შეტევის წინააღმდეგ;

3) რომ პასუხისმგებლობა ივლისის დამარცხებისათვის ეკისრებათ, უწინარეს ყოვლისა, მილიუკოვებსა და მაკლაკოვებს, შულგინებსა და როძიანკოებს, რომელნიც ჯერ კიდევ ივნისის დამდეგს «მოითხოვდნენ» სახელმწიფო სათათბიროს სახელით «დაუყოვნებლივ შეტევას» ფრონტზე.

აი ამონაწერები ხსენებული სტატიებიდან.

1) ამონაწერები არსენი მერიჩის ცნობიდან («დელო ნაროდა», 16 აგვისტო):

«რატომ? რატომ დაგვატყდა თავს ეს უბედურება, თითქმის ერთსა და იმავე დროს ორი მხრიდან — ტარნოპოლთან და ჩერნოვიცთან? რატომ უეცრად დაეცნენ სულით იქ მდგომი პოლკები? რა მოხდა? რა არის განწყობილების ამ უეცარი ცვლილების მიზეზი?

ოფიცრები, ჯარისკაცები ხალისით უპასუხებენ ამ კითხვებზე. პასუხები თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, და თვითეული ცალ-ცალკე მკვეთრ შტრიხს უმატებს შემაძრწუნებელ სურათს...

პანიკის, მოწინავე პოსტებიდან გამოქცევის უმთავრეს თაოსნებად ფრონტელები სთვლიან **ყოფილ გოროდოვოებსა და ჟანდარმებს.**

ორგანიზებულად მოქმედებენ თუ არა ისინი?

— ძნელი სათქმელია, — გვიპასუხებს ინტელიგენტი პრაპორშჩიკი, გლეხობის წრიდან გამოსული, პარტიული, სოც.-რევ., ჯ.-კ. და მუშ. დეპ. ადგილობრივი აღმ. კომიტეტის წევრი. — მაგრამ ყოველთვის უცვლელად ირკვეოდა, რომ თესავდნენ შიშს, აკრცელებდნენ შეუსაბამო ცნობებს მტრის სიახლოვისა და მრავალრიცხოვნობის შესახებ და იმის შესახებ, რომ ერთი-ორი საათის შემდეგ ჩვენზე მხუთავ გაზებს გამოუშვებენო, — **მხოლოდ ყოფილი «ფარაონები»**... ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ყოფილი გოროდოვოები, ჟანდარმები **არც კი არიან შეგნებული გამცემლები, არამედ მხოლოდ «თავკერძები», მხოლოდ ლაჩრები არიან.** ხოლო უჩინარი ჯაშუშები, პროვოკატორები, განსაკუთრებული ალღოთი პოულობენ მათში ერთგულ ადამიანებს...

აი როგორ ხდებოდა, როგორც გაგებული და დაკვირვებული ადამიანები მოგვითხრობენ, ჩვენი ჯარების სამარცხვინო უკანდახევა...

მიდიან ასეულებად, გზა ფართოა... ასეულებს შორის პატარა შუალედებია...

და უეცრად — მტვრის კორიანტელი... წინ შეფერხებაა, რომელიც ვერავის ვერ აუხსნია... ასეულები ჩერდებიან, ადგილს ტკეპნიან, ლაპარაკს იწყებენ... კისერს იწვდიან, რომ შეამჩნიონ, რა ხდება წინ და რა არის ამ მოახლოებულ კორიანტელში... ავტომობილები მოქრიან, გუგუნებენ, და აი ისინი უკვე მთლად ახლოს არიან, და გაისმის ძახილი: «დაბრუნდით... დაბრუნდით... ავსტრიელები». ვინ ყვირის, ვინ არის ავტომობილებში, — ვერ გაარჩევ, ისე მიჰქრიან. ზოგჯერ ძლივს გაარჩევ — ვის აცვია გიმნასტურა, ან რა სამხრეები უკეთია, ზოგჯერ კი ვერაფერსაც ვერ გაარჩევდი... და მორჩა — ჯერ არავისაც არ მოუსაზრებია, სად არიან ავსტრიელები, ვინ იძლევა გაფრთხილებას, მაგრამ უკვე გამორბიან... ჯერ გონსაც ვერ მოსულან, რომ მეორე ავტომობილი მოქრის. კვლავ ისმის ძახილი: «ავსტრიელები!!! ავსტრიელები!!! პოზიციები... დატოვებულია... გაზი. ჩქარა, ჩქარა... დაბრუნდით... დაბრუნდით...»

ეს იყო პანიკა, რომელიც ყველას ელვისებური სენივით მოედო... ლალატი, რომელიც ისე გაითამაშეს, როგორც ნოტებზე, განსაცვიფრებელი ოსტატობით, როგორც ჩანს, წინასწარ მოფიქრებული, გაანგარიშებული გეგმით... ოცამდე ასეთი უნომრო ავტომობილი დავითვალეთ... შვიდი დავიჭირეთ, და, რა თქმა უნდა, იქ აღმოჩნდნენ ჩვენი პოლკებისათვის სრულიად უცხო, გარეშე ადამიანები... თვრამეტამდე კი ხელი-

დან გაგვისხლტა. ასეულები, რომლებსაც თავგზა აუბნია ყვირილმა, თავგზა აუბნია იმან, რომ წინა რიგები უკან იხევდნენ, პირს იბრუნებდნენ და გარბოდნენ... ავსტრიელები შემოვიდნენ ცარიელ ქალაქში, შემოვიდნენ ცარიელ გარეუბანში და უფრო და უფრო იჭრებოდნენ ჩვენს სიღრმეში, თითქოს საკვირაო გასეირნებააო — მათ ხელს არავინ უშლიდა...

მეორე ჯგუფთან მიდის ტარნოპოლიდან ჩამოსული ერთი, მეორე ჯარისკაცი, ორი-სამი კაცი უნივერსიტეტის ნიშნით. და ყველანი დასძენენ **პროვოცირებული უკანდახევის** სურათის შემავსებელ **შტრიხებს.** უკანდახევის გმირები იყვნენ ვიგინდარები, ჯაშუშები, გამცემლები... ვინ არიან ისინი? **ამაზე პასუხს მოგვცემს ახლო მომავალი.** სად წავიდნენ დანარჩენნი, რომელთა დაჭერა და რომელთა კვალის მიგნება დღემდე ვერ მოხერხდა? რა დროშით მუშაობენ ისინი? რა ლოზუნგებით ფარავენ ახლა თავის დანაშაულებრივ მუშაობას? ადამიანებს, რომლებმაც თავისი თვალით ნახეს ტარნოპოლთან უკანდახევის საშინელება, ფრონტის ადამიანებს სწამთ, რომ ყველაფერი, რაც დღემდე საიდუმლო იყო, მალე ცხადი გახდება ყველასათვის, და სამარცხვინო საიდუმლოების გამომჟღავნებასთან ერთად სირცხვილის ლაქა მოეხსნება აგრეთვე არმიას, რომელიც ტარნოპოლთან მოქმედებდა და რომელიც უსაზიზღრესი გამცემლობისა და მოტყუების მსხვერპლი გახდა».

2) ამონაწერები ბორისოვის სტატიიდან «ბოლშევიზმი და ჩვენი დამარცხება» («ნოვოე ვრემია», 15 აგვისტო):

«ჩვენ გვინდა მოვხსნათ ბოლშევიზმს ხელაღებითი ბრალდება ჩვენს დამარცხებაში. ჩვენ გვინდა გავერკვეთ ჩვენი დამარცხების ნამდვილ მიზეზებში, ვინაიდან **მხოლოდ მაშინ შევძლებთ თავიდან ავიცილოთ ჩვენი უბედურების გამეორება.** სამხედრო ხელოვნებისათვის იმაზე დამღუპველი არა არის რა, როგორც ის, როდესაც სამხედრო უბედურების მიზეზს ეძებენ არა იქ, სადაც იგი არის. ივლისის დამარცხება მოხდა არა მარტო ბოლშევიზმისაგან, იგი იყო უფრო რთული მიზეზების შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში დამარცხების გრანდიოზულობა მაჩვენებელი იქნებოდა ჩვენს არმიაში ბოლშევიზმის იდეების უდიდესი, უაღრესი მნიშვნელობისა, რაც, რა თქმა უნდა, არ არის და არც შეიძლება იყოს. ალბათ თვითონ ბოლშევიკები გააოცა მათი პროპაგანდის ფართო შედეგებმა. მაგრამ რუსეთის არმიის უბედურება შეიძლებოდა ახლა

დამთავრებულად ჩაგვეთვალა, მთელი საქმე ბოლშევიკების გავლენით **რომ** აიხსნებოდეს. სამწუხაროდ, დამარცხების დედაარსი გაცილებით უფრო რთულია: **სამხედრო ხელოვნების სპეციალისტები** მას ითვალისწინებდნენ უკვე 18 ივნისის შეტევის დაწყების წინ; 18 ივნისის **«აღტაცებულ»** განცხადებებში «რევოლუციური» პოლკების შესახებ, **«წითელ»** დროშებში და სხვ. მომაკვდინებელი საფრთხე გამოსჭვიოდა.

როდესაც მთავარბანაკში მიიღეს ოპერატიული დეპეშები 18 ივნისის **დღის** ვითომდა ბრწყინვალე შედეგების შესახებ, ჩვენ, გვჭონდა რა შეგნებული, **რომ** არსებითად ბრწყინვალე არაფერია, ვინაიდან ჩვენ დავიკავეთ მხოლოდ ის სიმაგრეები, რომლებიც მტერმა, ახლანდელ ბრძოლაში, მსხვერპლად უნდა გაიღოს თავისი გამარჯვების უზრუნველსაყოფად, ვთქვით: «ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება, თუ გერმანელებმა კონტრდარტყმით **არ გვიპასუხეს**». მაგრამ კონტრდარტყმა მოხდა, და **რუსეთის** არმია, **ისევე როგორც** საფრანგეთისა 1815 წელს, ერთბაშად გადაიქცა პანიკით მოცულ ადამიანთა გროვად. ცხადია, რომ კატასტროფა მოხდა არა მარტო ბოლშევიზმისაგან, არამედ რაღაც მიზეზისაგან, რაც ღრმად ჩამარხულია **არმიის ორგანიზმში და რის გამოცნობა და გაგება უმაღლესმა სარდლობამ ვერ შეძლო**. ჩვენი დამარცხების აი სწორედ ეს, ბოლშევიზმზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი გვინდა აღვნიშნოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია საგაზეთო სტატიაში, ვინაიდან დრო არ ითმენს.

გერმანიის **«მილიტარიზმმა»** დააწესა სამხედრო-მეცნიერული ფორმულა: **«შეტევა მოქმედების უძლიერესი ფორმაა»**. გერმანული ფორმულა ომის დასაწყისიდანვე (სამსონოვისა და რენენკამპფის გრანდიოზული დამარცხებანი) უვარგისი აღმოჩნდა ჩვენთვის: დონდლო გენერლებისა და დონდლო ჯარისკაცებისათვის შესაძლებელია მხოლოდ თავდაცვა უზრუნველყოფილი ფლანგებით ომში ბუნებრივი დანაკლისისდა კვალად, როგორც გენერლების, ოფიცრების, ისე დაბალი ჩინის ჯარისკაცთა შემადგენლობა უარესდებოდა, და თავდაცვა მოქმედების ყველაზე ხელსაყრელი ფორმა ხდებოდა ჩვენთვის. თუ ამას დავუმატებთ პოზიციური ომის განვითარებას და **აღმაშფოთებელ ნაკლოვანებებს მატერიალურ ნაწილში**, საჭირო არ არის ბოლშევიკი იყო, არამედ მხოლოდ უნდა გესმოდეს საქმის ვითარება, რომ ერიდებოდე **«შეტევას»**! გაზეთი **«ნაროდნოე სლოვო»** ამბობს, რომ, ბ. ვ. სავინკოვის სიტყვით, ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით, ჯარისკაცთა მასამ თანდათანობით დაიჯერა, რომ დეზერტირები სამშობლოს მოღალატენი კი არ არიან,

არამედ «საერთაშორისო სოციალიზმის» მიმდევარნი. ყოველი ძველი ოფიცერი, რომელიც ჩვენს ჯარისკაცთა მასალას უკეთ იცნობს, ვიდრე მას «კომიტეტები» იცნობენ, იტყვის, რომ ასე ფიქრი ნიშნავს ჩვენი დაბალი ჩინის ჯარისკაცების სახელოვანი და სავსებით გონიერი შემადგენლობის მეტისმეტად დამცირებას. ეს შემადგენლობა სავსებით საღად აზროვნებს; მას სავსებით და გარკვეულად აქვს შეგნებული სახელმწიფოს მნიშვნელობა; სავსებით შეგნებული აქვს, რომ გენერალი და ოფიცერი — იგივე ჯარისკაცია; იგი დასცინის იმ სიახლეს, რომ სახელწოდება დაბალი ჩინი შეიცვალა (უაზროდ) ჯარისკაცის საერთო სახელწოდებით, რამაც დაამცირა ეს საპატიო სახელწოდება, — ვინაიდან ახლა შორეული ზურგის ნაყარნუყარი გუნდიც «ჯარისკაცებისაგან» შედგება, — და სავსებით შეგნებული აქვს, რომ «დეზერტირია» დეზერტირია, ე. ი. საზიზღარი გამოქცეული. და თუ «შეტევაზე უარის თქმის» ამ იდეას, რომელსაც ბოლშევიკები ქადაგებენ, ახლა ჩვენი არმიის ეს გონიერი შემადგენლობა ასრულებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ლოგიკურად გამომდინარეობდა საქმის ვითარებიდან, ომში მთელი ჩვენი გამოცდილებიდან. სულ სხვადასხვა საქმეა: ინგლისელს, ფრანგს ელაპარაკებოდე შეტევაზე, დარტყმაზე, და ამავე საგანზე ელაპარაკებოდე რუსს. ისინი სრული კომფორტით სხედან საუცხოო საფარებში და ელიან, როდის აღგვის ყველაფერს მათი მძლავრი არტილერია, და მხოლოდ მაშინ გადადის შეტევაზე მათი ქვეითი ჯარი. ჩვენ კი ყოველთვის და **ყველგან გაგვჭონდა ადამიანთა მასით, ჩვენ მთელ საუკეთესო პოლკებს ვანადგურებდით. სადღაა ჩვენი გვარდია,** სადღა არიან ჩვენი მსროლელები? საეჭვოა, რომ პოლკმა, რომელიც 2 — 3-ჯერ გაანადგურეს და ამდენჯერვე შეავსეს თუნდაც უკეთესი ელემენტებით, ვიდრე ეს სინამდვილეში ხდება, «შეტევა მოკმედების უძლიერეს ფორმად» მიიჩნიოს, განსაკუთრებით, თუ დავძენთ, რომ ეს უდიდესი დანაკლისი გამართლებული არ არის შედეგებით. გამომდინარეობდა რა ამ გამოცდილებიდან, წინანდელი უმაღლესი სარდლობა დარტყმის მოხდენას თანხმდებოდა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს; ასე დართეს ნება ბრუსილოვს 1916 წლის მაისში მოეხდინა დარტყმა გალიციაში. ეს დარტყმა სუსტი იყო თავისი შედეგებით და მან მხოლოდ დაადასტურა გამოცდილების დასკვნები. სავსებით შესაძლებელია, რომ წინანდელი უმაღლესი სარდლობისას «შეტევა» იარსებებდა დირექტივებში მხოლოდ როგორც სამხედრო სიმხნევის მომმატებელი იდეა, მაგრამ მისი რეალიზაცია დღემდე არ მოხდებოდა. მაგ-

რამ უეცრად მოხდა რაღაც, რაც სამხედრო ხელოვნების გარეთ დგას, «დილეტანტიზმმა» აიღო ხელმძღვანელობა, და ყველა და ყველაფერი აყვირდა «შეტევაზე», მის ვითომდა უკიდურეს საჭიროებაზე, იწამა ის, რასაც საღი სამხედრო თეორია უარყოფს, — განსაკუთრებული «რევოლუციური» ბატალიონები, «სიკვდილის» ბატალიონები, «დამკვრელი» ბატალიონები, ის კი არ ესმოდა, რომ ყოველივე ეს მეტად ნედლი მასალაა, და გარდა ამისა, ეგი პოლკებს ართმევს, შესაძლოა, ყველაზე აღფრთოვანებულ ადამიანებს, და მაშინ პოლკები უკვე სავსებით იქცევიან «გროვად და შევსებად». გვეტყვიან, მოკავშირენი «შეტევას» მოითხოვდნენ, ისინი ჩვენ «გამცემლებს» გვიწოდებდნენო. ჩვენ ერთობ დიდად ვაფასებთ საფრანგეთის ნიჭიერ და მომუშავე გენერალურ შტაბს, რომ დავიჯეროთ, თითქოს მისი აზრი ემთხვეოდეს სამხედრო ხელოვნებაში დილეტანტთა ეგრეთწოდებულ საზოგადოებრივ აზრს. რა თქმა უნდა, ომის იმ ვითარებაში, როდესაც მოწინააღმდეგე ცენტრშია, ჩვენ კი ჩვენი მოკავშირეებით ფრეხაზზე ვიმყოფებით, ჩვენი ყოველი დარტყმა მოწინააღმდეგეზე, თუნდაც ეს ჩვენი მხრით ადამიანთა უდიდეს და შედეგებთან შეუფარდებელ დანაკლისს იწვევდეს, ყოველთვის ხელსაყრელია ჩვენი მოკავშირეებისათვის, ვინაიდან აშორებს მათ მტრის ძალებს. ეს უკვე ბუნებრივი რამ არის და არა მოკავშირეთა გულქვაობა. მაგრამ ამას უნდა ვეკიდებოდეთ გონივრულად, ზომიერების გრძნობით, და არ ვეშურებოდეთ ჩვენი ხალხის განადგურებას მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მოკავშირე. სამხედრო ხელოვნება დაუშვებლად სთვლის ყოველგვარ ფანტაზიებს და მაშინვე სჯის ამ ფანტაზიების განხორციელებისათვის. ამას თვალყურს ადევნებს მოწინააღმდეგე, რომელსაც კარგად გამოწრთობილი გენერალური შტაბი ჰყავს».

«პროლეტარი» № 5,
1917 წ. 18 აგვისტო.

სტატია ხელმოუწერელია.

მაშ ვინ არის დამნაშავე ფრონტზე დამარცხებაში?

ახლა ყოველი დღე ახალ მასალებს მოგვიტანს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. და ყოველი დღე დაამტკიცებს, თუ რარიგ საზიზღრად, რარიგ ბილწად მოქმედებდნენ ისინი, ვინც ცდილობდა ბოლშევიკებისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ივლისში ფრონტზე დამარცხებისათვის.

საბჭოების ოფიციალურ ორგანოში — «იზვესტიაში» № 147 — დაიბეჭდა სტატია «სიმართლე მლინოვის პოლკის შესახებ». ეს პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია.

7 ივლისს პეტროგრადის ამბების გუგუნში ყველასათვის მოულოდნელად პრესაში იბეჭდება მთავარბანაკის დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ 607 მლინოვის პოლკმა «თვითნებურად მიატოვა სანგრები», რომ ამან შესაძლებლობა მისცა გერმანელებს შემოჭრილიყვნენ ჩვენს ტერიტორიაზე და რომ მთელი ეს უბედურება «მნიშვნელოვანწილად აიხსნება **ბოლშევიკთა აგიტაციის გავლენით...**» ისედაც ცილდაწამებულ ბოლშევიკებს ბრალდება ბრალდებაზე დააყარეს. ბოლშევიკებისადმი სიძულვილს საზღვარი არა აქვს. ყოველდღე მთელი «პატრიოტული» პრესა ცეცხლზე ნავთს ასხამს. ცილისწამება სულ უფრო და უფრო ძლიერდება.

ასე იყო ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ.

და რა ირკვევა ახლა?

თურმე, მთავარბანაკის პირველივე ძირითადი ცნობა, რომელიც გამოსავალი პუნქტი გახდა ცილისწამების მთელი კამპანიისათვის, მთლად **ყალბი** ყოფილა. 607 მლინოვის პოლკის საპოლკო კომიტეტი ახლა გამოდის განცხადებით; მიმართავს რა ცილისმწამებლებს, იგი ამ განცხადებაში ამბობს:

— «თქვენ იყავით ბრძოლაში 6 ივლისს?

იცით თუ არა თქვენ, რომ პოლკი, რომელსაც 798 ჯარისკაცი და **54** ოფიცერი ჰყავდა, იცავდა $2^1/_2$-ვერსიან ხაზს. იცით თუ არა, რომ ბრძოლიდან გამოვიდა 12 ოფიცერი და 114 ჯარისკაცი, დანარჩენნი კი **სამშობლოსათვის დაიღუპნენ (75%** დანაკლისი)?

იცით თუ არა, **რომ** 607 პოლკი უმაგალითო ჯოჯოხეთურ-გრიგალისებურ ცეცხლში 7 საათს იდგა და, მიუხედავად ბრძანებისა უკან დაეხია $8^1/_2$ საათზე დასაყრდენ პუნქტებამდე, დღის 11 საათამდე გაძლო (დილის $3^1/_2$ საათიდან)?

განა თქვენ **იცით, როგორ** სანგრებში ვისხედით, რა ტექნიკური საშუალებები გვქონდა თავდაცვისათვის?..»

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. «იზვესტიას» მოჰყავს **ოფიციალური გამოძიების** დოკუმენტები, რომლებსაც ხელს აწერენ გენერალ-მაიორები გოშტოფტი და გავრილოვი, შტაბის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი კოლესნიკოვი და სხვები, და ამ დოკუმენტებში ჩვენ ვკითხულობთ:

«გამოძიების შედეგის მიხედვით... 607 ქვეითს მლინოვის პოლკს და გრენადერთა მთელ მე-6 დივიზიას **არ შეიძლება** ბრალი დაედოს ღალატში, გამცემლობაში და პოზიციებიდან თვითნებურად წასვლაში. **დივიზია 6 ივლისს იბრძოდა და წყდებოდა...** დივიზია აღგავა მტრის 200-ზე მეტი ქვემეხის საარტილერო ცეცხლმა, მაშინ როცა თვითონ **მას მხოლოდ 16 ჰქონდა».**

და — **ერთი სიტყვაც არ** არის ნათქვამი მავნე ბოლშევიკურ აგიტაციაზე.

ასეთია ფაქტები.

და «იზვესტიაც» კი — გაზეთი, რომელიც მზად არის ერთ კოვზ წყალში ჩაახრჩოს ბოლშევიკები, — ამის თაობაზე წერს:

— «რა თქმა უნდა, დამარცხებაში არმიის რევოლუციურ წყობას როდი მიუძღვის ბრალი. **მაგრამ ამ წყობის მიმართ ცილისწამება შესაძლებლობას იძლეოდა დამარცხებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ ბოლშევიკური პროპაგანდისათვის,** მისი ხელშემწყობი კომიტეტებისათვის».

ხომ ასე, «იზვესტიელო» ვაქბატონებო! თვითონ თქვენ კი, ნება გვიბოძეთ შეგეკითხოთ, განა იმასვე არ სჩადიოდით? განა თქვენ კი არ ბეჭდავდით, ყველა შავრაზმელ არამზადათა კვალდაკვალ, საზიზღარ ცილისწამებასა და ბილწ დაბეზღებებს ბოლშევიკებზე? განა თვითონ თქვენ კი არ ყვიროდით: ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ბოლშევიკი, ის არის ყველაფერში დამნაშავეო?..

მაგრამ მოისმინეთ შემდეგ:

— «და ეს ცილისწამება (მთავარბანაკში შეთხზული) შემთხვევითი როდია, ეს სისტემაა! — განაგრძობს ოფიციალური «იზვესტია». — სწორედ ასევე ოფიციალური ცნობები მთავარბანაკიდან ლაპარაკობდნენ გვარდიის კორპუსის გამცემლობაზე... ჩვენ კი იმის მოწმენი ვიყავით, თუ როგორ ცდილობდნენ უნიჭო **კონტრრევოლუციონერი გენერლები არმიის** ორგანიზაციებისათვის დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა თავისი უნიჭობისათვის, რომელმაც ათასობით ადამიანთა სიცოცხლე იმსხვერპლა... ასე იყო მცირე მასშტაბით **სტოხოდთან,** ასე მეორდება უდიდესი მასშტაბით ახლა... ცილისმწამებლურ მოხსენებებს რომ გზავნიდნენ, კონტრრევოლუციურ შტაბებს ამით შეეძლოთ მოეთხოვათ ჰოლკების დაშლა, კომიტეტების გაუქმება. ცილისწამების საშუალებით მათ შეეძლოთ დაეხვრიტათ ასობით ადამიანები, **კვლავ აეცილებინათ დაცარიელებული საპყრობილეები.** მათ შეეძლოთ, არმიის რევოლუციური ორგანიზაციების დანგრევით, კვლავ გაეხადათ არმია **მთავის** იარაღად, შეეძლოთ **დაეძრათ იგი რევოლუციის წინააღმდეგ».**

აი რას მოვესწარით! ჩვენი თავგამოდებული მოწინააღმდეგენიც კი «იზვესტიადან» იძულებული არიან აღიარონ, რომ ცილისწამების საშუალებით კონტრრევოლუციონერმა გენერლებმა კვლავ აავსეს დაცარიელებული საპყრობილეები. მერე რა ხალხით აავსეს, ბატონებო? ბოლშევიკებით, ინტერნაციონალისტებით! თქვენ კი, ბატონებო «იზვესტიიდან», რას შვრებოდით თქვენ იმ დროს, როდესაც ჩვენი ამხანაგებით საპყრობილეებს ავსებდნენ? კონტრრევოლუციონერ გენერლებთან ერთად თქვენ მოგვძახოდით: ჰკა მაგათ, ჰკა მაგათო! რევოლუციის ყველაზე უარეს მტრებთან ერთად თქვენც ჯვარს აცვამდით ძველ რევოლუციონერებს, რომლებმაც ათეული წლების თავგანწირული ბრძოლით დაამტკიცეს თავისი ერთგულება რევოლუციისადმი. კალედინებთან, ალექსინსკებთან, კარინსკებთან, პერევერზევებთან, მილიუკოვებთან და ბურცევებთან ერთად თქვენ საპყრობილეში ჰყრიდით ბოლშევიკებს და შესაძლებელს ხდიდით ევრცელებინათ ცილისწამება «ბოლშევიკების მიერ მიღებული გერმანული ფულის» შესახებ!..

გულახდილობით გატაცებული «იზვესტია» განაგრძობს:

— «რა თქმა უნდა, მათ (ე. ი. კონტრრევოლუციონერმა გენერლებმა) იცოდნენ, რომ ცრუ ცნობებმა, თითქოს პოლკები ერთიმეორეზე ტოვებენ პოზიციებს, ყველა ნაწილში წარმოშვა იმის რწმენის უქონლობა, დაუჭერდნენ თუ არა მხარს მეზობლები და ზურგი, ხომ არ წავიდნენ უკვე მათი მეზობლები, პირდაპირ ხომ არ ჩაუვარდებიან ხელში მტერს, ადგილზე თუ დარჩნენ?

მათ იცოდნენ ყოველივე ეს, — მაგრამ რევოლუციისადმი სიძულვილმა თვალი აუხვია მათ.

და მაშინ ბუნებრივია, რომ პოლკები ტოვებდნენ პოზიციებს, რომ პოლკები უსმენდნენ იმათ, ვინც მათ ამას ურჩევდა, რომ ისინი მიტინგებზე მსჯელობდნენ, საჭიროა ბრძანების შესრულება თუ არაო. პანიკა მატულობდა. არმია იქცეოდა გადარეულ ჯოგად... შემდეგ კი დაიწყო

ანგარიშის გასწორება. ჯარისკაცებმა იცოდნენ, როგორი იყო მათი დანაშაული და როგორი — მეთაურთა შემადგენლობისა. ასობით წერილებში ისინი ყოველდღე აცხადებენ პროტესტს: **ჩვენ გვყიდდნენ მეფის დროს, ახლაც გაგვყიდეს და ჩვენვე გვსჯიან ამისათვისო!»** («იზვესტია» № 147).

ესმის თუ არა «იზვესტიას», რა აღიარა მან ამ სიტყვებით? ესმის თუ არა მას, რომ ეს სიტყვები წარმოადგენენ ბოლშევიკების ტაქტიკის სრულ გამართლებას და ესერებისა და მენშევიკების მთელი პოზიციის სრულ დაგმობას?

როგორ! თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ ჯარისკაცებს ყიდიან, ისევე როგორც მეფის დროს, თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ ჯარისკაცებს საზიზღრად უსწორდებიან, — და თქვენვე იწონებთ ასეთ მოქმედებას (სიკვდილით დასჯას აძლევთ ხმას), ლოცავთ და აკურთხევთ მას, ეხმარებით მას? რა სახელით უნდა გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე ასეთი ადამიანები?!

როგორ! თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ გენერლები, რომლებზეც დამოკიდებულია ასეულათასობით ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლე, თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობენ რევოლუციისადმი სიძულვილით. და თქვენვე მილიონობით ჯარისკაცებს ხელში უგდებთ ამ გენერლებს, და თქვენვე ლოცავთ და აკურთხევთ შეტევას. და თქვენვე უძმობილდებით ამ გენერლებს მოსკოვის თათბირზე?!

მაგრამ ამით თქვენ თვითონ ხელს აწერთ თქვენს განაჩენზე, ბატონებო! სადღაა თქვენი დაცემის საზღვარი?

ჩვენ მოვისმინეთ დამამოწმებელი ჩვენება «იზვესტიას» ვაჟბატონებისა. და ჩვენ გეკითხებით: თუ მთავარსარდალმა, «იზვესტიას» სიტყვით, ცილი დასწამა მლინოვის პოლკს, თუ მან დაუშვა თაღლითური თამაში სტოხოდთან, თუ იგი ხელმძღვანელობს არა სამშობლოს დაცვის

მოსაზრებებით, არამედ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მოსაზრებებით, — თუ ყოველივე ეს ასეა, რა გარანტია გვაქვს, რომ ახლანდელი ცნობებიც რუმინეთის ფრონტის ამბების შესახებ დამახინჯებული არ არის? რა გარანტიაა, რომ რეაქცია წინასწარი განზრახვით და შეგნებულად ზედიზედ არ აწყობს დამარცხებას ფრონტზე?

ბროშურა «ვინ არის დამნაშავე ფრონტზე დამარცხებაში?».
გამომცემლობა «პრიბოი»,
პეტერბურგი, 1917.

ამერიკული მილიარდები

მოსკოვის თათბირის შედეგები ირკვევა.

«რუსსკიე ვედომოსტის»[73] (17 აგვისტოს საღამ.) ცნობით:

«გუშინ შედგა ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა. მოხსენებით გამოვიდა მილიუკოვი, რომელმაც წინადადება მისცა ცენტრალური კომიტეტის წევრებს გაუზიარონ ერთმანეთს შეხედულებანი მოსკოვის თათბირის შედეგების საკითხზე. ორატორები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს კოალიციურობის პრინციპს. სხდომის მონაწილეთა უმრავლესობა შეთანხმდა იმაზე, რომ მოსკოვის თათბირმა მოგვცა მაქსიმუმი იმისა, რის მოლოდინიც შეიძლებოდა გვქონოდა».

ამრიგად, ბ-ნ მილიუკოვის პარტია კმაყოფილია. ის კოალიციის მომხრეა.

«მოსკოვის თათბირი, — წერენ ობორონცები, — გამარჯვება იყო დემოკრატიისა (ე. ი. ობორონცებისა?), რომელმაც შეძლო ახლანდელ ტრაგიკულ წუთებში გამოსულიყო როგორც ნამდვილი სახელმწიფოებრივი ძალა, რომლის გარშემო დაირაზმა ყოველივე (!), რაც კი ცოცხალია რუსეთში» («იზვესტია» № 146).

როგორც ჩანს, ობორონცების პარტიაც კმაყოფილია. ყოველ შემთხვევაში, თავს ისე გვიჩვენებს, რომ კმაყოფილია, ვინაიდან ისიც კოალიციის მომხრეა.

მთავრობა? ის როგორღა აფასებს მოსკოვის თათბირს?

«იზვესტიას» ცნობით (№ 146) «დროებითი მთავრობის წევრთა საერთო შთაბეჭდილება» ისეთია, რომ:

«თათბირი სახელმწიფოებრივი იყო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. **საერთოდ მთავრობის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის ხაზი მოწონებულია.** მთავრობის ეკონომიური პროგრამის საწინაღმდეგო მოსაზრებანი არ გამოთქმულა. არსებითად, მთავრობის საადგილმამულო პოლიტიკაზეც არ ყოფილა თავდასხმები».

ერთი სიტყვით, მთავრობაც კმაყოფილია თათბირით, ვინაიდან, თურმე, ისიც კოალიციის მომხრეა.

საქმე ნათელია. ეწყობა სამი ძალის: მთავრობის, კადეტებისა და ობორონცების კოალიცია.

«პატიოსანი კოალიცია» კერენსკი-მილიუკოვ-წერეთლის ფირმით შეიძლება ჯერჯერობით უზრუნველყოფილად ჩაითვალოს.

ასეთია მოსკოვის თათბირის პირველი შედეგი.

კაპიტალიზმის პირობებში არც ერთ წამოწყებას არ შეუძლია იოლად წავიდეს უკაპიტალოდ. ამჟამად შემდგარი კოალიცია. რომლის სათავეშიც მთავრობა დგას, ყველაზე დიდი წამოწყებაა რუსეთში. ერთ საათს, ერთ წუთსაც კი არ შეუძლია მას არსებობა, თუ სათანადო კაპიტალები არ ექნება. განსაკუთრებით ახლა, ომის პირობებში, რომელიც აურაცხელ სახსრებს მოითხოვს. იბადება კითხვა:

რა კაპიტალებით აპირებს არსებობას ახალი (მთლად ახალი!) კოალიცია?

მოუსმინეთ «ბირჟოვკას» (17 აგვისტოს საღამ.):

«მოსკოვის თათბირის მუშაობის, განსაკუთრებით ამ თათბირისადმი ამერიკელების მხრივ გამოვლინებული სიმპატიის, უახლოესი შედეგი გახდა, როგორც გადმოგვცემენ, იმის შესაძლებლობა, რომ საზღვარგარეთის ბაზარზე დაიდოს **5-მილიარდიანი სახელმწიფო სესხი.** სესხი

რეალიზებული იქნება **ამერიკის ბაზარზე**. ამ სესხის მეოხებით შესრულდება დროებითი მთავრობის მცირე საფინანსო პროგრამა».

პასუხი ნათელია. კოალიცია იარსებებს ამერიკული მილიარდებით, რომლებიც შემდეგ რუსეთის **მუშებმა და** გლეხებმა უნდა ზღონ.

ამერიკის იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც **აფინანსებს** რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის (მილიუკოვი!), სამხედრო ხროვის (კერენსკი!) და რუსეთის «ცოცხალი ძალების» წინაშე ლაქიურად მორჩილი წვრილბურჟუაზიული ზედაფენების (წერეთელი!) კოალიციას — აი ახლანდელი მდგომარეობის სურათი.

ამერიკული კაპიტალის «სიმპატიები» მოსკოვის თათბირისადმი, ხუთმილიარდიანი სესხით განმტკიცებული, — განა ამის მიღწევას არ ცდილობდნენ ის ვაჟბატონები, რომლებმაც თათბირი მოიწვიეს?..

ოდესღაც რუსეთში ამბობდნენ, სოციალიზმის შუქი დასავლეთიდან მოდისო. და ეს მართალი იყო. ვინაიდან იქ, დასავლეთში, ვსწავლობდით ჩვენ რევოლუციასა და სოციალიზმს.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის დაწყებით მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა.

1906 წელს, როდესაც რევოლუცია რუსეთში ჯერ კიდევ ვითარდებოდა, დასავლეთი დაეხმარა მეფის რეაქციას გამოესწორებინა თავისი მდგომარეობა იმით, რომ მისცა მას 2 მილიარდი სესხი. და ცარიზმი მართლაც განმტკიცდა მაშინ დასავლეთისადმი რუსეთის ახალი ფინანსური დამონების ფასად.

ამ შემთხვევის გამო მაშინ შენიშნავდნენ, რომ დასავლეთს რუსეთში შემოაქვს არა მარტო სოციალიზმი, არამედ რეაქციაც მილიარდების სახით.

ახლა ჩვენს წინაშე უფრო მჭევრმეტყველური სურათი იშლება. იმ მომენტში, როდესაც რუსეთის რევოლუცია ძალღონეს ძაბავს თავის მონაპოვართა დასაცავად, იმპერიალიზმი კი ცდილობს ბოლო მოუღოს მას, — ამერიკის კაპიტალი მილიარდებით ამარაგებს კერენსკი-მილიუკოვ-წერეთლის კოალიციას იმისათვის, რომ საბოლოოდ ალაგმოს რუსეთის რევოლუცია და ძირი გამოუთხაროს დასავლეთში მზარდ რევოლუციურ მოძრაობას.

ასეთია ფაქტი.

ხომ ასეა: დასავლეთს რუსეთში შემოაქვს არა იმდენად სოციალიზმი და განთავისუფლება, რამდენადაც დამონება და კონტრრევოლუცია.

მაგრამ კოალიცია კავშირია. მაშ ვის წინააღმდეგ არის მიმართული კერენსკი-მილიუკოვ-წერეთლის კავშირი?

აშკარაა, იმათ წინააღმდეგ, ვინც არ იყო მოსკოვის თათბირზე, ვინც ბოიკოტი გამოუცხადა ამ თათბირს, ვინც ებრძოდა თათბირს, ე. ი. რუსეთის რევოლუციური მუშების წინააღმდეგ.

კერენსკი-მილიუკოვ-წერეთლის «პატიოსანი კოალიცია», რომელსაც აფინანსებენ ამერიკელი კაპიტალისტები, რუსეთის რევოლუციური მუშების **წინააღმდეგ**, — ეს ხომ ასეა, ბატონო ობორონცებო?

ასეც ჩავიწერთ.

«პროლეტარი» № 6,
1917 წ. 19 აგვისტო.

მოწინავე.

დღეს არჩევნებია

დღეს პეტროგრადის ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებია. არჩევნების შედეგი დამოკიდებულია თქვენზე, ამხანაგო მუშებო და ამხანაგო ჯარისკაცებო. არჩევნები საყოველთაო და თანასწორია. ყოველი ჯარისკაცის, ყოველი მუშის, ყოველი მუშა-ქალის ხმა კაპიტალისტის, სახლთმფლობელის, პროფესორის, მოხელის ხმის თანასწორი იქნება. თქვენ, ამხანაგებო, და მხოლოდ თქვენ დაგეკისრებათ ბრალი, თუ თქვენ ვერ შეძლებთ ისარგებლოთ ამ უფლებით.

თქვენ იცოდით ქუჩებში ბრძოლა მეფის ფარაონების წინააღმდეგ, — მაშ იბრძოლეთ ახლა თქვენი ინტერესებისათვის იმით, რომ ხმა მიეცით ჩვენს პარტიას!

თქვენ იცოდით თქვენი უფლებების დაცვა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, — მაშ უთხარით მას ახლა უარი ნდობის გამოცხადებაზე დღევანდელ არჩევნებში!

თქვენ იცოდით ნიღაბის ჩამოგლეჯა რევოლუციის მოღალატეთათვის, — მაშ უყვირეთ ახლა მათ: «ხელები შორს!».

თქვენს წინაშე გამოდის, უწინარეს ყოვლისა, **მილიუკოვის პარტია, ხალხის თავისუფლების პარტია.** ეს პარტია

იცავს მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს. ეს პარტია წინააღმდეგია მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისა, ვინაიდან ის წინააღმდეგია მუშათა კონტროლისა მრეწველობაში, წინააღმდეგია გლეხებისათვის მემამულეთა მიწების გადაცემისა, მომხრეა ფრონტზე ჯარისკაცებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღებისა. კადეტთა პარტია იყო, ჯერ კიდევ ივნისის დამდეგს რომ მოითხოვდა ფრონტზე დაუყოვნებლივ შეტევას, რომელიც ქვეყანას ასეულ ათასობით ადამიანთა სიცოცხლედ დაუჯდა. კადეტთა პარტია იყო, კონტრრევოლუციის გამარჯვების, მუშებთან, ჯარისკაცებთან და მატროსებთან ანგარიშის გასწორების მიღწევას რომ ცდილობდა და, ბოლოს, მიაღწია კიდეც ამას. მილიუკოვის პარტიისათვის ხმის მიცემა ნიშნავს იმას, რომ გასცე საკუთარი თავი, შენი ცოლ-შვილი, შენი ძმები ზურგში და ფრონტზე.

ამხანაგებო! **არც ერთი ხმა ხალხის თავისუფლების პარტიას!**

შემდეგ, თქვენ წინაშე გამოდიან **ობორონცები, მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიები.** ეს პარტიები იცავენ ქალაქისა და სოფლის უზრუნველყოფილ მესაკუთრე-მეურნეთა ინტერესებს. ამიტომ ყოველთვის, როდესაც კლასობრივი ბრძოლა გადამწყვეტ ხასიათს იღებს, ისინი აღმოჩნდებიან ხოლმე ერთ ბანაკში მემამულეებთან და კაპიტალისტებთან მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ. ასე იყო ივლისის დღეებში, როდესაც მენშევიკებისა და ესერების პარტიები, ბურჟუაზიასთან შეკავშირებულნი, იარაღს ართმევდნენ და არბევდნენ მუშებსა და ჯარისკაცებს. ასე იყო მოსკოვის თათბირის დღეებში, როდესაც ეს პარტიები, ბურჟუაზიასთან შეკავშირებულნი, ამკვიდრებდნენ რეპრესიებსა და სიკვ-

დილით დასჯას მუშებისა და ფრონტზე ჯარისკაცების წინააღმდეგ.

თუ კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა, ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ესერებისა და მენშევიკების პარტიები დაეხმარნენ მას რევოლუციის ალაგმვაში, მოაწყეს რა შეთანხმება მემამულეებთან და კაპიტალისტებთან.

თუ კონტრრევოლუცია ახლა მაგრდება, ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ესერებისა და მენშევიკების პარტიები იფარავენ მას ხალხის გულისწყრომისაგან, ასრულებენ რა მის ბრძანებებს რევოლუციის დროშის ქვეშ.

ამ პარტიებისათვის ხმის მიცემა ნიშნავს ხმის მიცემას კონტრრევოლუციასთან კავშირისათვის მუშებისა და უღარიბესი გლეხების წინააღმდეგ.

ამ პარტიებისათვის ხმის მიცემა ნიშნავს ხმის მიცემას იმისათვის, რომ დამკვიდრდეს დაპატიმრებანი ზურგში და სიკვდილით დასჯა ფრონტზე.

ამხანაგებო! **არც ერთი ხმა ობორონცებს, მენშევიკებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს!**

ბოლოს, თქვენს წინაშე გამოდის **«ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი № 12-ით.** ეს ჯგუფი გამოხატავს ცხოვრებისა და მოძრაობისაგან მოწყვეტილ უნიადაგო ინტელიგენტთა განწყობილებებს. ამიტომ ის მუდამ მერყეობს რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შუა, ომსა და ზავს შუა, მუშებსა და კაპიტალისტებს შუა, მემამულეებსა და გლეხებს შუა.

ერთი მხრით, ის მუშების მომხრეა, მეორე მხრით, მას არც კაპიტალისტებთან სურს კავშირის გაწყვეტა, — ამიტომ არის, რომ ის ასე სამარცხვინოდ უარყოფს მუშათა და ჯარისკაცთა ივლისის დემონსტრაციას.

ერთი მხრით, ის გლეხების მომხრეა, მეორე მხრით, იგი არც მემამულეებთან წყვეტს კავშირს, — ამიტომ ის წი-

ნააღმდეგია გლეხებისათვის მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ გადაცემისა და წინადადებას იძლევა დაველოდოთ დამფუძნებელ კრებას, რომლის მოწვევაც გადადებულია, შესაძლოა, სამუდამოდ.

სიტყვიერად «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი ზავის მომხრეა, სინამდვილეში კი ზავის წინააღმდეგია, ვინაიდან იგი **მოუწოდებს მხარი დაუჭირონ** «თავისუფლების სესხს», რომელიც გათვალისწინებულია იმპერიალისტური ომის განსაგრძობად.

მაგრამ ვინც მხარს უჭერს «თავისუფლების სესხს», ის ხელს უწყობს ომის გაჭიანურებას, ის ეხმარება იმპერიალისტებს, ის სინამდვილეში ინტერნაციონალიზმს ებრძვის.

სიტყვიერად «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი რეპრესიებისა და საპყრობილეების წინააღმდეგია, სინამდვილეში კი რეპრესიებისა და საპყრობილეების მომხრეა, ვინაიდან მან კავშირი დადო ობორონცებთან, რომლებიც მხარს უჭერენ რეპრესიებსაც და საპყრობილეებსაც.

მაგრამ ვინც კავშირს დებს ობორონცებთან, ის ეხმარება კონტრრევოლუციას, ის სინამდვილეში რევოლუციას ებრძვის!

ისწავლეთ, ამხანაგებო, ადამიანთა გამოცნობა საქმის და არა სიტყვის მიხედვით!

ისწავლეთ პარტიებისა და ჯგუფების შეფასება მათი მოქმედებისა და არა დაპირების მიხედვით!

თუ «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი აყენებს **ზავისათვის** ბრძოლის წინადადებას, ამავე დროს კი მოუწოდებს «თავისუფლების სესხისათვის» მხარდაჭერისაკენ, იცოდეთ, რომ იგი ხელს უმართავს იმპერიალისტებს.

თუ «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი ზოგჯერ ელაქუცება ბოლშევიკებს, ამავე დროს კი მხარს უჭერს ობორონცებს, იცოდეთ, რომ იგი ხელს უწყობს კონტრრევოლუციას.

ამ ორჭოფი ჯგუფისათვის ხმის მიცემა, № 12-სათვის ხმის მიცემა ნიშნავს იმას, რომ სამსახურში დაუდგე ობორონცებს, რომლებიც თავის მხრით კონტრრევოლუციას ემსახურებიან.

ამხანაგებო! **არც ერთი ხმა «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფს.**

ჩვენი პარტია არის ქალაქის და სოფლის მუშების პარტია, უღარიბესი გლეხების პარტია, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა პარტია.

ყველა ბურჟუაზიულ პარტიას, ყველა ბურჟუაზიულ გაზეთს, ყველა მერყევ და ნახევრულ ჯგუფს სძულს ჩვენი პარტია და ისინი ცილს სწამებენ მას.

რატომ?

იმიტომ, რომ:

მხოლოდ ჩვენი პარტია არის მომხრე რევოლუციური ბრძოლისა მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ;

მხოლოდ ჩვენი პარტია არის მომხრე მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ გადასვლისა გლეხთა კომიტეტების ხელში;

მხოლოდ ჩვენი პარტია არის მომხრე მუშათა კონტროლისა მრეწველობაში ყველა კაპიტალისტთა წინააღმდეგ;

მხოლოდ ჩვენი პარტია არის მომხრე ქალაქსა და სოფელს შორის გაცვლა-გამოცვლის დემოკრატიული ორგანიზაციისა სპეკულანტების და მაროდიორების წინააღმდეგ;

მხოლოდ ჩვენი პარტია არის მომხრე კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაციისა ზურგში და ფრონტზე;

მხოლოდ ჩვენი პარტია იცავს უყოყმანოდ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციურ ორგანიზაციებს;

მხოლოდ ჩვენი პარტია იბრძვის გადაჭრით და რევოლუციურად ხალხთა მშვიდობისა და ძმობისათვის;

მხოლოდ ჩვენი პარტია იბრძვის გადაჭრით და უყოყმანოდ მუშებისა და ღარიბი გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობისათვის;

მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პარტიას არ მოუცხია თავისთვის ჩირქი ფრონტზე სიკვდილით დასჯისათვის მხარდაჭერით.

აი რატომ სძულთ ასე ჩვენი პარტია ბურჟუებსა და შემამულეებს.

აი რატომ უნდა მისცეთ თქვენ დღეს ხმა ჩვენს პარტიას.

მუშებო, ჯარისკაცებო, მუშა-ქალებო!

ხმა მიეცით ჩვენს პარტიას, № 6 სიას!

«პროლეტარი» № 7,
1917 წ. 20 აგვისტო.

მოწინავე.

პროვოკაციების ხანა

პროვოკაცია კონტრრევოლუციის ნაცადი საშუალებაა.

1848 წლის ივნისის ხოცვა-ჟლეტა, 1871 წელს პარიზის ჩაბარება, პროვოკაცია ზურგში და ფრონტზე რევოლუციასთან ბრძოლის მიზნით, — ვისთვის არ არის ცნობილი ბურჟუაზიის ეს ვერაგული ხერხები?

მაგრამ მსოფლიოში არსად ისე თავხედურად და უსაზღვროდ არ უსარგებლნია ბურჟუაზიას ამ მოშხამული საშუალებით, როგორც ჩვენში, რუსეთში სარგებლობს.

განა რიაბუშინსკი ამას წინათ აშკარად და საჭვეყნოდ არ იმუქრებოდა, რომ ბურჟუაზია უკიდურეს შემთხვევაში არ მოერიდება მიმართოს «შიმშილისა და სიღატაკის გაძვალტყავებულ ხელს», რათა ალაგმოს მუშები და გლეხები?

და განა ბურჟუაზია უკვე არ გადავიდა სიტყვიდან საქმეზე, — მან ხომ მიაღწია ქარხნებისა და ფაბრიკების დახურვას, მან ხომ ქუჩაში გარეკა ათეულ ათასობით მუშები?

ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ეს შემთხვევითობაა, და არა გეგმა, იმაზე გაანგარიშებული, რომ პროვოკაციის გზით გამოიწვიონ ხოცვა-ჟლეტა და სისხლში ჩაახრჩონ რევოლუცია?

მაგრამ პროვოკაციის მთავარი სფეროა არა ზურგი, არამედ ფრონტი.

ჯერ კიდევ მარტში ლაპარაკობდნენ ზოგიერთი გენერლის გეგმაზე — ჩაებარებინათ რიგა, ხოლო ეს მათ ვერ მოახერხეს მათგან «დამოუკიდებელ გარემოებათა» გამო.

ამა წლის ივლისში რუსეთის ჯარებმა დაცალეს ტარნოპოლი და ჩერნოვიცი. ბურჟუაზიული პრესის დაქირავებულნი ამაში ერთხმად სდებდნენ ბრალს ჯარისკაცებსა და ჩვენს პარტიას. მერე რა? ირკვევა, რომ «უკანდახევა პროვოცირებული იყო», რომ «ღალატი გათამაშებულ იქნა, როგორც ნოტებზე, წინასწარ მოფიქრებული, გაანგარიშებული გეგმით». ამასთან გარკვევით მიუთითებენ ზოგიერთ გენერალზე, ვინც მოაწყო ავტომობილები, რომლებიც არმიაში მიმოქროდნენ და ჯარისკაცებს უკანდახევას უბრძანებდნენ.

ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ კონტრრევოლუციონერები მოლაყბენი არიან, რომლებმაც არ უწყიან, რას სჩადიან?

ახლა ჯერი მიდგა რიგაზე. ტელეგრაფმა მოიტანა ცნობები რიგის ჩაბარების შესახებ. ბურჟუაზიული პრესის დაქირავებულნი უკვე შეუდგნენ გესლის ნთხევას ჯარისკაცების წინააღმდეგ, რომლებიც ვითომ უწესრიგოდ გამორბიან. კონტრრევოლუციური მთავარბანაკი «ვეჩერნეე ვრემიასთან» შეხმატკბილებული მღერის და ცდილობს ბრალი დააკისროს რევოლუციურ ჯარისკაცებს. ჩვენ არ გაგვიკვირდება, რომ დღეს ნევის პროსპექტზე დაიწყოს მანიფესტაციები ლოზუნგით: «ძირს ბოლშევიკები!».

ამავე დროს კი რიგასთან მყოფი ჯარის კომისრის თანაშემწის ვოიტინსკის დეპეშები სავსებით უეჭველს ხდიან იმას, რომ ჯარისკაცებს ცილსა სწამებენ.

«მთელი რუსეთის წინაშე ვამოწმებ, — იტყობინება დეპეშით ვოიტინსკი, — რომ ჯარები პატიოსნად ასრულებდნენ მეთაურთა შემადგენლობის ყველა ბრძანებას და პირისპირ ხვდებოდნენ გარდუვალ სიკვდილს».

ასე წერს ამბების თვალით მნახველი.

ხოლო მთავარბანაკი ისევ და ისევ პოლკების გაქცევაზე ლაპარაკობს და ცილსა სწამებს ჯარისკაცებს.

ხოლო ბურჟუაზიული პრესა ისევ და ისევ განაგრძობს ლაყბობას ფრონტზე «ღალატის» შესახებ.

განა ცხადი არ არის, რომ კონტრრევოლუციური გენერლები და ბურჟუაზიული პრესა, ჯარისკაცებს რომ ცილს სწამებენ, რაღაც გეგმას ასრულებენ?

განა ცხადი არ არის, რომ ეს გეგმა, როგორც ორი წვეთი წყალი ერთიმეორეს, ისე წააგავს მეორე გეგმას, რომელიც ტარნოპოლთან და ჩერნოვიცთან გათამაშდა?

განა ცხადი არ არის, ბოლოს, რომ რუსეთში დაწყებული პროვოკაციების ხანა იარაღია იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურისა, რომლის სრული ლიკვიდაცია პროლეტარიატისა და რევოლუციური ჯარისკაცების პირველ ამოცანას წარმოადგენს?

«პროლეტარი» № 8,
1917 წ. 22 აგვისტო.
მოწინავე.

შრომის განაწილება «სოციალისტ-რევოლუციონერთა» პარტიაში

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უკანასკნელ კრებაზე ესერებმა ხმა მისცეს სიკვდილით დასჯის გაუქმებას და შეუერთდნენ პროტესტს ბოლშევიკების დაპატიმრების წინააღმდეგ.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი და საქებია.

ოღონდ ჩვენ თავს ნებას მივცემთ დავსვათ ამასთან ერთი პატარა კითხვა.

ვინ შემოიღო სიკვდილით დასჯა ფრონტზე, **ვინ** აპატიმრებდა ბოლშევიკებს?

ეს ხომ **ესერები** იყვნენ (კადეტებისა და მენშევიკების კეთილმოსურნე ხელშეწყობით!). რამდენადაც ვიცით, მოქალაქე პირველი მინისტრი ა. თ. კერენსკი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრია. მისი სახელი ამშვენებს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კანდიდატების სიას პეტროგრადის ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში.

რამდენადაც ვიცით, მოქალაქე ბ. ვ. სავინკოვი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი, აგრეთვე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრია.

და ხომ სახელდობრ ეს ორი ცნობილი «სოციალისტ-რევოლუციონერია» ფრონტზე სიკვდილით დასჯის აღდგენის მთავარი ავტორები. (მათ უნდა დაემატოს კიდევ გენერალი კორნილოვი, მაგრამ ეს უკანასკნელი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში ჯერ არ შესულა).

შემდეგ, ჩვენ ვიცით, რომ მოქალაქე ჩერნოვიც, მიწათმოქმედების მინისტრი, აგრეთვე თითქოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრია.

და, ბოლოს, მოქალაქე ნ. დ. ავქსენტიევი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ე. ი. ის პიროვნება, რომელსაც კერენსკის გვერდით ყველაზე თვალსაჩინო პოსტი უჭირავს სამინისტროში, აგრეთვე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრია.

ხომ სწორედ ამ დიდად პატივცემულმა «სოციალისტ-რევოლუციონერებმა» შემოიღეს სიკვდილით დასჯა ფრონტზე და ხომ ისინი აპატიმრებდნენ ბოლშევიკებს.

იბადება კითხვა: შრომის ეს რა უცნაური განაწილებაა ამ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში, რომ ზოგი მისი წევრი ყოველნაირად პროტესტს აცხადებს სიკვდილით დასჯის შემოღების წინააღმდეგ, სხვა წევრებს კი საკუთარი ხელით შემოაქვთ ის?..

საკვირველი საქმეა! ჩვენ სულ ამ ცოტა ხნის წინათ დავამხეთ თვითმპყრობელური წყობილება, სულ ცოტა ხანია დავიწყეთ ცხოვრება «ევროპულად», ხოლო «ევროპიზმის» ყველა ცუდი მხარე ერთბაშად შევითვისეთ. აიღეთ რომელიც გნებავთ ბურჟუაზიულ-რადიკალური პარტია, ვთქვათ, საფრანგეთში. ეს პარტია აუცილებლად სოციალისტურს უწოდებს თავს: «რადიკალ-სოციალისტთა» პარტია, «დამოუკიდებელ სოციალისტთა» პარტია და სხვ. და ა. შ. ამომრჩევლებს, მასებს, «ქვედაფენებს» ყოველთვის უხვად უმასპინძლდებიან ეს პარტიები «მემარცხენე»

ფრაზებით — განსაკუთრებით არჩევნების წინ და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ აწვება კონკურენციის გამწევი, ნამდვილად სოციალისტური პარტია. და ამავე დროს «ზემოთ» იმავე «რადიკალ-სოციალისტთა» და «დამოუკიდებელ სოციალისტთა» პარტიის მინისტრები გულდამშვიდებით აკეთებენ თავიანთ ბურჟუაზიულ საქმეს, ოდნავაც არ უწევენ ანგარიშს თავიანთ ამომრჩეველთა სოციალისტურ სურვილებს.

ასე იქცევიან ახლა სოციალისტ-რევოლუციონერებიც.

ბედნიერი პარტიაა! ვინ შემოიღო სიკვდილით დასჯა? — სოციალისტ-რევოლუციონერებმა! ვინ განაცხადა პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ? — სოციალისტ-რევოლუციონერებმა! რაც გსურს, იმას თხოულობ...

ასეთი ქცევით სოციალისტ-რევოლუციონერებს იმედი აქვთ უმანკოებაც შეინარჩუნონ (მასების წინაშე პოპულარობა არ დაკარგონ) და კაპიტალიც შეიძინონ (სამინისტრო პორტფელები შეინარჩუნონ).

მაგრამ გვეტყვიან, ყოველ პარტიაში არის ხოლმე უთანხმოება: ზოგი მისი წევრი ასე ფიქრობს, ზოგი კი ისეო.

ჰო, მაგრამ უთანხმოებაც არის და უთანხმოებაც. თუ ერთი ჯალათების მომხრეა, მეორე კი ჯალათების წინააღმდეგია, ასეთ «უთანხმოებათა» შერიგება ერთ პარტიაში საკმაოდ ძნელია. და თუ ამასთან ჯალათების მომხრენი არიან პარტიის სწორედ უალრესად პასუხისმგებელი ბელადები, მინისტრები, რომლებსაც იქვე ცხოვრებაში გაჰყავთ თავისი აზრები, მაშინ პარტიის პოლიტიკაზე ყოველი პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი იმსჯელებს სწორედ ამ მინისტრების საქმიანობის მიხედვით, და არა ამა თუ იმ საპროტესტო რეზოლუციის მიხედვით, რომელსაც პარტიის რიგითი წევრები შეუერთდნენ.

სირცხვილი ჩამოურეცხავი რჩება. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია რჩება სიკვდილით დასჯის პარტიად, ჯალათთა პარტიად, რომელიც აპატიმრებს მუშათა კლასის ბელადებს. ესერები ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავენ იმ სირცხვილს, რომ სიკვდილით დასჯა აღადგინეს **მათი** პარტიის ყველაზე თვალსაჩინო წევრებმა. ესერები ვერასოდეს **ვერ** ჩამოირეცხავენ იმ ლაქას, რომ **მათი** მთავრობა აქეზებდა საზიზღარ ცილისწამებას მუშათა პარტიის ბელადების წინააღმდეგ, რომ **მათი** მთავრობა ცდილობდა ლენინის წინააღმდეგ შეექმნა დრეიფუსის ახალი საქმე [73]...

«პროლეტარი» № 9,
1917 წ. 23 აგვისტო.

სტატია ჩელმოუწერელია.

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

რუსეთის რევოლუცია რაღაც განკერძოებული რამ როდია. ის სისხლხორცეულად არის დაკავშირებული რევოლუციურ მოძრაობასთან დასავლეთში. უფრო მეტიც, ის ნაწილია ყველა ქვეყნის პროლეტართა იმ დიადი მოძრაობისა, რომელიც მოწოდებულია შემუსროს თვით საფუძვლები მსოფლიო კაპიტალიზმისა. სავსებით გასაგებია, რომ ჩვენი რევოლუციის ყოველი ნაბიჯი გარდუვალად იწვევს საპასუხო ტალღას დასავლეთში, ყოველი მისი გამარჯვება იწვევს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებასა და ზრდას, ამხედრებს ყველა ქვეყნის მუშებს კაპიტალთან საბრძოლველად.

ეს არ შეიძლება არ იცოდნენ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის ვეშაპებმა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადონ რუსეთის რევოლუციას.

ჩვენი რევოლუციის ჯერ კიდევ დასაწყისში მის წინააღმდეგ ლაშქრობა მოაწყეს ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებმა. იმათი ორგანოები «Times» [74] და «Matin» [75] უკვე მაშინ აძაგებდნენ რევოლუციურ საბჭოებსა და კომიტეტებს და მოუწოდებდნენ მათი გარეკვისაკენ.

ამის შემდეგ ორი თვე გავიდა, და საიდუმლო კონფერენციაზე შვეიცარიაში იმპერიალისტებმა ერთხელ კიდევ

დასვეს საკითხი «მზარდ რევოლუციასთან» ბრძოლის ზომების შესახებ, ამასთან თავის დარტყმებს უწინარეს ყოვლისა რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ მიმართავდნენ.

ახლა ისინი აშკარა იერიშზე გადადიან. ამის საბაბად იყენებენ რიგასთან დამარცხებას. ამასთან ყველაფერს ჯარისკაცებს აბრალებენ და რუსეთში კონტრრევოლუციის შემდგომი გაძლიერებისაკენ მოუწოდებენ.

მოისმინეთ «ბირჟევიე ვედომოსტის» დეპეშები.

დეპეშა პარიზიდან:

«მეორე არმიის უკანდახევა, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უბრძოლველად გაქცევა და რიგის დაცემა აქ **უდიდეს გულისტკივილს, აღშფოთებასა და ზიზღს** იწვევს.

«Matin» ამტკიცებს, რომ რუსი პაციფისტები, ამ კატასტროფაში დამნაშავენი, **იმდენადვე უნიჭონი** აღმოჩნდნენ, **როგორიც ყოფილი იმპერატორის ცუდი მრჩეველნი იყვნენ, და კიდევ უფრო მავნენი, ვიდრე ისინი.**

გაზეთი აცხადებს, რომ მას **არ ესმის ჯიუტობა მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოსი,** რომელიც, მიუხედავად ესოდენ ტრაგიკული საგნობრივი გაკვეთილებისა, კვლავ იცავს **ისეთ უაზრო დაწესებულებებს, როგორიც არიან საარმიო კომიტეტები».**

ასე წერს საფრანგეთის კაპიტალისტების ორგანო.

აი დეპეშაც ლონდონიდან:

«Daily Chronicle» ამბობს: **«უწინარეს ყოვლისა საჭიროა** არმიაში დისციპლინის აღდგენა. თავის სწრაფ და ესოდენ მნიშვნელოვან გამარჯვებას გერმანელები **უნდა უმადლოდნენ იმავე მიზეზებს,** რომლებმაც საშუალება მისცეს მათ დაეკავებინათ გალიცია და ბუკოვინა, **სახელდობრ—ბრძანებებისადმი ურჩობას, მოლალატეობას, რასაც ადგილი აქვს რუსეთის ჯარებში».**

ასე ლაპარაკობენ ინგლისის იმპერიალისტები.

«... უბრძოლველად გაქცევა»... «უაზრო საარმიო კომიტეტები»... «დისციპლინის აღდგენა» (სიკვდილით დასჯას არ სჯერდებიან!)... «მოღალატეობა რუსეთის ჯარებში»...

აი რა კომპლიმენტებით ხვდებიან ეს ფულით გატენილი ტომრები რუს ჯარისკაცებს, რომლებიც სისხლისაგან იცლებიან!

და ეს საკუთარი თვალით მნახველთა საყოველთაო აღიარების შემდეგ, რომ «არმია უკანდახევისას მუდამ პატიოსნად იბრძვის მტრების წინააღმდეგ», რომ «ჯარები ფრონტის გარღვევის რაიონში სიტყვაშეუბრუნებლად და პატიოსნად ასრულებენ მათთვის დავალებულ ამოცანებს»!!!

მაგრამ აქ საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ჯარისკაცების წინააღმდეგ გესლის ნთხევა და საზიზღარი ცილისწამება როდია.

საქმე ის არის, რომ, ცილს სწამებენ რა ჯარისკაცებს, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებს სურთ გამოიყენონ ფრონტზე მომხდარი მარცხი რუსეთის რევოლუციური ორგანიზაციების საბოლოო ლიკვიდაციისათვის, იმპერიალიზმის დიქტატურის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ეს არის მთელი დედაარსი.

როდესაც პურიშკევიჩი და მილიუკოვი ნიანგის ცრემლებს ღვრიან რიგის დაცემის გამო და ცილს სწამებენ ჯარისკაცებს, ხოლო ამავე დროს საბჭოებსა და კომიტეტებს ჰგმობენ, — ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ახარებს შემთხვევა — მოითხოვონ შემდგომი რეპრესიები მემამულეთა და კაპიტალისტთა საბოლოო გამარჯვებისათვის.

როდესაც დასავლეთის იმპერიალისტები ლაყბობენ «უდიდეს გულისტკივილზე» რიგის დაცემის გამო, ყველაფერს ჯარისკაცებს აბრალებენ და ამავე დროს «უაზრო საარმიო კომიტეტებს» გმობენ, — ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ახარებს შემთხვევა — მოსპონ რუსეთში რევოლუციური ორგანიზაციების უკანასკნელი ნაშთები.

ეს და მხოლოდ ეს არის პოლიტიკური აზრი სიცრუის და ცილისწამების გაერთიანებული ლაშქრობისა რუსი ჯარისკაცების წინააღმდეგ, რომელნიც ჩრდილოეთის ფრონტზე იხოცებიან.

შინაური და ევროპელი იმპერიალისტების კავშირი იმისათვის, რომ რიგასთან მომხდარი სამხედრო მარცხი გამოიყენონ ჯარისკაცებზე ცილისწამების გზით რუსეთის რევოლუციის **წინააღმდეგ,** რომელიც სისხლისაგან იცლება,— აი როგორია ახლა მდგომარეობა.

დაე დაიხსომონ ეს მუშებმა და ჯარისკაცებმა!

დაე იცოდნენ მათ, რომ მხოლოდ დასავლეთის მუშებთან კავშირით, მხოლოდ დასავლეთში კაპიტალიზმის საფუძვლების შერყევით შესაძლებელი იქნება ვიქონიოთ რუსეთში რევოლუციის გამარჯვების იმედი!

დაე იცოდნენ მათ ეს და ყველა ღონისძიება მიიღონ იმისათვის, რომ იმპერიალისტების ყვითელ კავშირს დაუპირისპირდეს ყველა ქვეყნის რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცების წითელი კავშირი.

«რაბოჩი» № 1,
1917 წ. 25 აგვისტო.

მოწინავე.

ან — ან [76]

მოვლენები ვითარდებიან. ზედიზედ იქმნება კოალიციები, რეპრესიებს ფრონტზე მოსდევს რეპრესიები ზურგში, ამაში კი «არაფერია სახეირო», ვინაიდან ჩვენი დროების ძირითადი წყლული, საერთო ნგრევა ქვეყანაში, კვლავინდებურად განაგრძობს ზრდას, სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებს.

ქვეყანა შიმშილობის წინაშეა. ყაზანი და ნ.-ნოვგოროდი, იაროსლავლი და რიაზანი, ხარკოვი და როსტოვი, დონეცის აუზი და ცენტრალური სამრეწველო რაიონი, მოსკოვი და პეტროგრადი, ფრონტი და უახლოესი ზურგი — ყველა ეს და მრავალი სხვა პუნქტი მწვავე სასურსათო კრიზისს განიცდის. შიმშილობის ნიადაგზე უკვე დაიწყო აჯანყებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ მოუხერხებლად იყენებენ კონტრრევოლუციის აგენტები...

«გლეხები პურს არ იძლევიან», — ჩივიან ყოველმხრივ. მაგრამ გლეხები «პურს არ იძლევიან» არა «სისულელის გამო», არამედ იმიტომ, რომ მათ დაკარგეს რწმენა მთავრობისადმი, აღარა სურთ «დაეხმარონ» მას. მარტსა და აპრილში გლეხები ენდობოდნენ საბჭოებს, მათი საშუალებით კი — მთავრობასაც, და პური უხვად მიდიოდა როგორც ქალაქებში, ისე ფრონტზე. ახლა ისინი კარგავენ

რწმენას მთავრობისადმი, რომელიც მემამულეთა პრივილეგიებს იცავს, — და პურიც გაქრა. გლეხები მარაგს ინახავენ და ამჯობინებენ «უკეთეს დროს» დაელოდონ.

გლეხები «პურს არ იძლევიან» არა ბოროტი განზრახვით, არამედ იმიტომ, რომ არ არის არაფერი, რაშიც ისინი პურს გაცვლიან. გლეხებს სჭირდებათ ჩითი, ფეხსაცმელი, რკინა, ნავთი, შაქარი, მაგრამ ამ პროდუქტებს მათ უმნიშვნელო რაოდენობით აწვდიან; ხოლო პურის გაცვლას ქალაქის ფულზე, რომელიც ვერ შეცვლის ფაბრიკატებს და რომლის ფასიც ამასთანავე ეცემა, — აზრი არა აქვს.

ჩვენ აღარას ვამბობთ იმაზე, რომ «მოშლილია» ტრანსპორტი, რომელიც მეტისმეტად არასრულყოფილია იმისათვის, რათა ერთნაირად კარგად მოემსახუროს ფრონტსაც და ზურგსაც.

ყოველივე ამას განუწყვეტელ მობილიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც სოფელს საუკეთესო მუშახელს სწყვეტს და ნათესი ფართობის შემცირებას იწვევს, — გარდუვალად მივყავართ სასურსათო ნგრევისაკენ, რაც ერთნაირად ვნებს როგორც ზურგს, ისე ფრონტს.

ამასთან ერთად იზრდება და ფართოვდება სამრეწველო ნგრევა, რომელიც თავის მხრივ ამწვავებს სასურსათო ნგრევას.

«შიმშილობა» ქვანახშირისა და ნავთის მხრივ, «კრიზისი» რკინისა და ბამბის მხრივ, რაც საფეიქრო, მეტალურგიულ და სხვა საწარმოთა გაჩერებას იწვევს, — ყოველივე ეს ნაცნობი სურათებია, რომლებიც ჩვენს ქვეყანას სამრეწველო ნგრევის, მასობრივი უმუშევრობისა და უსაქონლობის საფრთხის წინაშე აყენებენ.

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ქარხნებსა და ფაბრიკებს, რომლებიც უმთავრესად ომისათვის მუშაობენ, არ ძალუძთ ამავე დროს თანაბრადვე დააკმაყოფილონ ზურგის

საჭიროება, — არამედ ისიც, რომ ყველა ამ «შიმშილობას» და «კრიზისს» კაპიტალი ხელოვნურად ამწვავებს იმისათვის, რომ ან გაადიდოს საქონლის ფასები (სპეკულაცია!), ან სძლიოს წინააღმდეგობა მუშებისა, რომლებიც ცდილობენ, სიძვირის გამო, გაიდიდონ ხელფასი (კაპიტალისტთა იტალიური გაფიცვები!), ან გამოიწვიოს უმუშევრობა ქარხნების დახურვით (ლოკაუტები!) და მიიყვანოს მუშები სასოწარკვეთილებით გამოწვეულ გამოსვლებამდე, რათა «ერთხელ და სამუდამოდ» მოუღოს ბოლო მუშების «ზომაგადასულ მოთხოვნებს».

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დონეცის აუზის ქვანახშირის მრეწველები იწვევენ წარმოების შემცირებასა და უმუშევრობას.

ყველასათვის ცნობილია, რომ იმიერკასპიის მხარის მეგამბეები გაჰყვირიან «შიმშილობაზე» ბამბის მხრივ, თვითონ კი სპეკულაციის მიზნით მალავენ მილიონებად ღირებულ ბამბის მარაგს. ხოლო მათი მეგობრები, საფეიქრო ფაბრიკების მეპატრონეები, სარგებლობენ ამ სპეკულაციის ნაყოფით, თვითონვე აწყობენ ამ სპეკულაციას, თან კი პირფერულად გაჰყვირიან ბამბის ნაკლებობაზე, ხურავენ ფაბრიკებს, ამწვავებენ უმუშევრობას.

ყველას ახსოვს რიაბუშინსკის მუქარა — «შიმშილისა და სიღატაკის გაძვალტყავებული ხელით» «ყელში ვწვდეთ» რევოლუციურ პროლეტარიატსო.

ყველასათვის ცნობილია, რომ კაპიტალისტები უკვე გადავიდნენ სიტყვებიდან საქმეზე, მიაღწიეს პეტროგრადისა და მოსკოვის განტვირთვას, მთელი რიგი ქარხნების დახურვას.

ამის შედეგია სამრეწველო ცხოვრების მოახლოებული დადამბლავება და აბსოლუტური უსაქონლობის საშიშროება.

ალარას ვამბობთ ღრმა ფინანსურ კრიზისზე, რასაც ახლა რუსეთი განიცდის. 50 — 55 მილიარდი მანეთი ვალი, რაც ყოველწლიურად სამმილიარდიან პროცენტებს მოითხოვს საწარმოო ძალთა საერთო დაცემის დროს, საკმაოდ გარკვეულად ლაპარაკობს რუსეთის ფინანსების მძიმე მდგომარეობაზე.

საერთო სურათს მხოლოდ ავსებს ფრონტზე განცდილი უკანასკნელი «მარცხები», რომლებიც ასე მარჯვედ იყო პროვოცირებული ვიღაცის მოხერხებული ხელით.

ჩვენი ქვეყანა შეუჩერებლივ მიდის უმაგალითო კატასტროფისაკენ.

მთავრობას, რომელმაც მოკლე ხანში ათას ერთი რეპრესია შემოიღო და არც ერთი «სოციალური რეფორმა» არ გაუტარებია, აბსოლუტურად არ შესწევს უნარი მომაკვდინებელი საფრთხიდან გამოიყვანოს ქვეყანა.

უფრო მეტიც. იმით, რომ, ერთი მხრივ, იმპერიალისტური ბურჟუაზიის ნება-სურვილს ასრულებს და, მეორე მხრივ, არ სურს ახლავე გააუქმოს «საბჭოები და კომიტეტები», მთავრობა იწვევს საერთო უკმაყოფილების ტალღას როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან.

ერთი მხრივ — იმპერიალისტური ხროვა კადეტების მეთაურობით უტევს მთავრობას, მოითხოვს მისგან «გადამწყვეტ» ზომებს რევოლუციის წინააღმდეგ. პურიშკევიჩმა, რომელმაც ამ დღეებში განაცხადა, საჭიროა «გენერალ-გუბერნატორების» «სამხედრო დიქტატურა» და «საბჭოების დაპატიმრებაო», მხოლოდ აშკარად გამოხატა კადეტების ზრახვები. მათ მხარს უჭერს მოკავშირეთა კაპიტალი, რომელიც მთავრობას აწვება მანეთის კურსის მკვეთრი შემცირებით ბირჟაზე და მიმართავს შეყვირებას: «რუსეთი უნდა ომობდეს და არა ლაპარაკობდეს» («**Daily Express**», იხ. «რუსსკაია ვოლია» [77], 18 აგვისტო).

მთელი ძალაუფლება იმპერიალისტებს, შინაურთ და მოკავშირე სახელმწიფოებისას, — ასეთია კონტრრევოლუციის ლოზუნგი.

მეორე მხრივ, იზრდება ღრმა უკმაყოფილება მუშათა და გლეხთა ფართო მასებში, რომლებიც განწირული არიან უმიწობისა და უმუშევრობისათვის, რომლებიც განიცდიან რეპრესიებსა და სიკვდილით დასჯას. პეტროგრადში ჩატარებულმა არჩევნებმა, რამაც ძალა და ავტორიტეტი შეურყია შემთანხმებლურ პარტიებს, განსაკუთრებით მკაფიოდ ასახა მარცხნივ გადახრა გლეხთა და ჯარისკაცთა მასებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ენდობოდნენ შემთანხმებლებს.

მთელი ძალაუფლება პროლეტარიატს, რომელსაც მხარს დაუჭერენ უღარიბესი გლეხები, — ასეთია რევოლუციის ლოზუნგი.

ან — ან!

ან მემამულეებთან და კაპიტალისტებთან, და მაშინ — კონტრრევოლუციის სრული გამარჯვება.

ან პროლეტარიატთან და უღარიბეს გლეხობასთან, და მაშინ — რევოლუციის სრული გამარჯვება.

შეთანხმებებისა და კოალიციების პოლიტიკას ჩაფუშვა შოელის.

გამოსავალი სადღაა?

საჭიროა კავშირის გაწყვეტა მემამულეებთან და მიწის გადაცემა გლეხთა კომიტეტებისათვის. გლეხები ამას გაიგებენ, და — პური იქნება.

საჭიროა კავშირის გაწყვეტა კაპიტალისტებთან და დემოკრატიული კონტროლის მოწყობა ბანკებისა, ფაბრიკებისა და ქარხნებისადმი. მუშები ამას გაიგებენ, და — «შრომის ნაყოფიერება» გაიზრდება.

საჭიროა კავშირის გაწყვეტა სპეკულანტებთან და მა-
როდიორებთან, ქალაქსა და სოფელს შორის გაცვლა-
გამოცვლის მოწყობა დემოკრატიულ საფუძველზე. მო-
სახლეობა ამას გაიგებს, და — შიმშილი ლიკვიდირებული
იქნება.

საჭიროა იმპერიალისტური ძაფების გაწყვეტა, რომლე-
ბიც ყოველი მხრიდან შემოხვევია რუსეთს, და ზავის სა-
მართლიანი პირობების გამოცხადება. მაშინ არმია გაი-
გებს, თუ რისთვის დგას იგი თოფქვეშ, და თუ ვილჰელმი
არ დათანხმდება ასეთ ზავს, რუსი ჯარისკაცები ლომები-
ვით იბრძოლებენ მის წინააღმდეგ.

საჭიროა მთელი ძალაუფლების «გადაცემა» პროლეტა-
რიატისა და უღარიბესი გლეხების ხელში. დასავლეთის
მუშები გაიგებენ ამას და თავის მხრივ დაიწყებენ იერიშს
თავიანთი იმპერიალისტური ხროვების წინააღმდეგ.

ეს იქნება ომის დასასრული და მუშათა რევოლუციის
დასაწყისი ევროპაში.

ასეთია გამოსავალი, რომელსაც სახავს რუსეთის გან-
ვითარება და მთელი მსოფლიო ვითარება.

«რაბოჩი» № 1,
1917 წ. 25 აგვისტო.

სტატია ხელმოუწერელია.

ჩვენ მოვითხოვთ

მოვლენები მიჰქრიან. მოსკოვის თათბირის შემდეგ — რიგის ჩაბარება და მოთხოვნები რეპრესიების შესახებ. ფრონტზე ჯარისკაცთა დევნის შემდეგ, რაც უშედეგო აღმოჩნდა, — პროვოკატორული ხმები «ბოლშევიკების შეთქმულებაზე» და ახალი მოთხოვნები რეპრესიების შესახებ. პროვოკატორული ხმების მხილების შემდეგ—აშკარა გამოსვლა კორნილოვისა, რომელიც მოითხოვს დროებითი მთავრობის გადაყენებას და სამხედრო დიქტატურის გამოცხადებას. ამასთან მილიუკოვის პარტია, ხალხის თავისუფლების პარტია, გადის, როგორც ივლისის დღეებში, მთავრობიდან და ამით აშკარად უჭერს მხარს კორნილოვის კონტრრევოლუციურ შეთქმულებას.

შედეგად — კორნილოვის პოლკების გალაშქრება პეტროგრადზე სამხედრო დიქტატურის დამყარების მიზნით. კორნილოვის გადაყენება დროებითი მთავრობის მიერ, კერენსკის განცხადება კრიზისის შესახებ, კიშკინის გასვლა კ.-დ. პარტიიდან, რომელიც შეთქმულებაშია გარეული, ეგრეთწოდებული რევოლუციური დირექტორიის შექმნა.

ამრიგად:

ფაქტია, რომ კონტრრევოლუციას «ბოლშევიკური შეთქმულება» იმისათვის ესაჭიროებოდა, რომ გზა გაეკაფა კორნილოვისათვის, რომელიც პეტროგრადზე მიდიოდა **ვითომდა** «ბოლშევიკების დასაწყნარებლად».

ფაქტია, რომ მთელი ბურჟუაზიული პრესა «რუსსკაია ვოლიადან» და «ბირჟოვკიდან» «ნოვოე ვრემიამდე» და «რეჩამდე» ეხმარებოდა კორნილოვს, გამალებით ავრცელებდა რა ამ დღეებში ხმებს «ბოლშევიკების შეთქმულების» შესახებ.

ფაქტია, რომ კორნილოვის ახლანდელი გამოსვლა მხოლოდ გაგრძელებაა მეთაურთა შემადგენლობის იმ კონტრრევოლუციური ზედაფენის ცნობილი ფანდებისა, რომელმაც ივლისში ჩააბარა ტარნოპოლი, აგვისტოში კი — რიგა იმისათვის, რომ ფრონტზე მომხდარი «მარცხი» გამოეყენებინა კონტრრევოლუციის «საბოლოო» გამარჯვებისათვის.

ფაქტია, რომ კადეტების პარტია ახლაც, ისევე როგორც ივლისში, აღმოჩნდა ერთ ბანაკში ფრონტის გამცემლებთან და ზურგში მყოფ უბოროტეს კონტრრევოლუციონერებთან.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც კადეტებს ხატავდა, როგორც ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის სულისჩამდგმელებს.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც მოითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და შეთქმულებაში «გარეული» პირების (კალედინისა და სხვ.) დაპატიმრებას ჯერ კიდევ ივნისის პირველ რიცხვებში.

კონტრრევოლუცია დაიწყო არა გუშინდლიდან და არა კორნილოვის შეთქმულებასთან დაკავშირებით. ის დაიწყო ივნისში მაინც, როდესაც მთავრობამ ფრონტზე შეტევა

მოაწყო და რეპრესიების პოლიტიკის გატარებას შეუდგა; როდესაც კონტრრევოლუციონერმა გენერლებმა ჩააბარეს ტარნოპოლი, ხოლო მთელი დანაშაული ჯარისკაცებს დააკისრეს და მიაღწიეს ფრონტზე სიკვდილით დასჯის შემოღებას; როდესაც კადეტებმა, რომლებიც საბოტაჟს უწევდნენ მთავრობას ჯერ კიდევ ივლისში და მოკავშირეთა კაპიტალის მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ, მიაღწიეს თავის ჰეგემონიას დროებითი მთავრობის შიგნით; როდესაც, ბოლოს, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბელადებმა, მენშევიკებმა და ესერებმა, ნაცვლად იმისა, რომ კავშირი გაეწყვიტათ კადეტებთან და გაერთიანებულიყვნენ ივლისის დემონსტრანტებთან, მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ მიმართეს თავისი იარაღი.

ეს ფაქტია, რომლის უარყოფა სასაცილო იქნებოდა.

იმ ბრძოლაში, რომელიც ახლა კოალიციურ მთავრობასა და კორნილოვის პარტიას შორის წარმოებს, გამოდიან არა რევოლუცია და კონტრრევოლუცია, არამედ კონტრრევოლუციური პოლიტიკის ორი სხვადასხვა მეთოდი, ამასთან კორნილოვის პარტია, რევოლუციის უბოროტესი მტერი, არ ერიდება იმას, რომ რიგის დატოვების შემდეგ დაიწყოს ლაშქრობა პეტროგრადის წინააღმდეგ, რათა მოამზადოს პირობები ძველი რეჟიმის აღსადგენად.

მუშები და ჯარისკაცები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიონ კორნილოვის კონტრრევოლუციურ ბანდებს, თუ ისინი რევოლუციურ პეტროგრადში გამოჩნდებიან.

მუშები და ჯარისკაცები არ დაუშვებენ რუსეთის დედაქალაქის შებილწვას რევოლუციის მტრების ბინძური ხელებით.

ისინი მკერდით დაიცავენ რევოლუციის საბრძოლო დროშას.

მაგრამ ისინი რევოლუციის დროშას დაიცავენ იმისათვის კი არა, რომ ერთი დიქტატურა, რომელიც უცხოა მათთვის სულიერად, შეცვალონ სხვა დიქტატურით, მათთვის არა ნაკლებად უცხოთი, არამედ იმისათვის, რომ გზა გაუკაფონ რუსეთის რევოლუციის სრულ გამარჯვებას.

ახლა, როდესაც ქვეყანას სული ეხუთება ნგრევისა და ომის მარწუხებში, კონტრრევოლუციური ყვავ-ყორანი კი გარდუვალ დაღუპვას უმზადებს მას, რევოლუციამ უნდა ჰპოვოს თავის თავში იმისათვის აუცილებელი ძალები და საშუალებანი, რომ იხსნას ქვეყანა ნგრევისა და დაშლისაგან.

ახლა საჭიროა არა ერთი «მმართველი» ჯგუფების შეცვლა მეორე ჯგუფებით და არა დიქტატურობიას თამაში, არამედ ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაცია და გადამწყვეტი ზომები რუსეთის ხალხთა უმრავლესობის ინტერესებისათვის.

ამ მიზნებისათვის ბოლშევიკების პარტია მოითხოვს:

1) კონტრრევოლუციური გენერლების დაუყოვნებლივ თავიდან მოშორებას ზურგში და ფრონტზე, მათს შეცვლას ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიერ არჩეულებით და, საერთოდ, არმიის სრული დემოკრატიზაციის გატარებას თავიდან ბოლომდე.

2) ჯარისკაცთა რევოლუციური ორგანიზაციების აღდგენას, რომლებსაც ერთადერთ შესწევთ უნარი — დაამყარონ არმიაში დემოკრატიული დისციპლინა.

3) ყველა და ყოველგვარი რეპრესიების, პირველ რიგში სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

4) მემამულეთა ყველა მიწების დაუყოვნებლივ გადაცემას გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში და უღარიბესი გლეხების უზრუნველყოფას ინვენტარით.

5) 8-საათიანი სამუშაო დღის კანონმდებლობითი გზით დაწესებას და ფაბრიკებისა, ქარხნებისა და ბანკებისადმი

დემოკრატიული კონტროლის მოწყობას ისე, რომ მუშების წარმომადგენლები სჭარბობდნენ.

6) საფინანსო მეურნეობის სრულ დემოკრატიზაციას, პირველ რიგში — კაპიტალებისა და კაპიტალისტური ქონების ულმობლად დაბეგვრას და ომის წყალობით მიღებულ სასკანდალო მოგებათა კონფისკაციას.

7) ქალაქსა და სოფელს შორის სწორი გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაციას იმ ანგარიშით, რომ ქალაქი იღებდეს საჭირო სურსათ-სანოვაგეს, სოფელი კი — აუცილებელ საქონელს.

8) რუსეთის ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

9) თავისუფლებათა აღდგენას, დეკრეტით დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას და დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას.

10) მოკავშირეებთან დადებულ ფარულ ხელშეკრულებათა გაუქმებას და საყოველთაო დემოკრატიული ზავის პირობების წამოყენებას.

პარტია აცხადებს, რომ ამ მოთხოვნების განუხორციელებლად შეუძლებელია ხსნა რევოლუციისა, რომელსაც ნახევარი წელიწადია სული ეხუთება ომისა და საერთო ნგრევის მარწუხებში.

პარტია აცხადებს, რომ ერთადერთი გზა, რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნების განსახორციელებლად, არის კაპიტალისტებთან კავშირის გაწყვეტა, ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაცია და ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლების გადასვლა რევოლუციური მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ხელში.

ასეთია ერთადერთი გამოსავალი, რომელსაც შეუძლია იხსნას ქვეყანა და რევოლუცია კრახისაგან.

«რაბოჩი» № 4,
1917 წ. 28 აგვისტო.
მოწინავე.

შეთქმულება გრძელდება

ვინ არიან ისინი?

გუშინ ჩვენ ვწერდით, რომ კონტრრევოლუციის სულისჩამდგმელნი კადეტები არიან. ჩვენ ვეყრდნობოდით არა მარტო «ხმებს», არამედ იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსაც, რომ კადეტები მთავრობიდან გავიდნენ ივლისში ტარნოპოლის «ჩაბარებისა» და აგვისტოში კორნილოვის შეთქმულების კრიზისულ წუთებში. ვინაიდან არ შეიძლებოდა შემთხვევითი ყოფილიყო, რომ ივლისში, ისევე როგორც აგვისტოში, კადეტები აღმოჩნდნენ ერთ ბანაკში გამცემლებთან ფრონტზე და უბოროტეს კონტრრევოლუციონერებთან ზურგში რუსი ხალხის წინააღმდეგ.

დღეს «იზვესტია» და ობორონცები, ეს ნაფიცი შემთანხმებლები კადეტებთან, უშენიშვნოდ ადასტურებენ ჩვენს გუშინდელ განცხადებებს კადეტების შესახებ:

«ლვოვს არ დაუმალავს, — წერენ ობორონცები, — რომ ეს (ე. ი. სამხედრო დიქტატურა) სურს არა მარტო გენერალ კორნილოვს, **არამედ საზოგადო მოღვაწეთა ცნობილ ჯგუფსაც,** რომელიც ამჟამად მთავრობანაკში იმყოფება» («იზვესტია»).

ამრიგად:

ფაქტია, რომ მთავარბანაკი კონტრრევოლუციის მთავარი შტაბია.

ფაქტია, რომ კონტრრევოლუციის გენერალური შტაბი «ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისაგან» შედგება.

ვინ არიან ეს «საზოგადო მოღვაწეები»?
მოუსმინეთ შემდეგ:

«ეჭვმიუტანლად დადასტურებულია, რომ შეთქმულებაში გარეული არიან მთელი რიგი საზოგადო მოღვაწენი, რომლებსაც ფრიად ახლო იდეური და პერსონალური კავშირი აქვთ კადეტთა პარტიის წარმომადგენლებთან» («იზვესტია»).

ამრიგად:

ფაქტია, რომ ბ-ნი ობორონცები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ელოლიავებოდნენ ქვეყნის «ცოცხალ ძალებს» «კადეტთა პარტიის წარმომადგენლების» სახით, დღეს იძულებული არიან ჩამოაქვეითონ ისინი და გამოაცხადონ შეთქმულებად რევოლუციის წინააღმდეგ.

ფაქტია, რომ შეთქმულება მოწყობილია და წარიმართება «კადეტთა პარტიის წარმომადგენლების» მიერ.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ რევოლუციის გამარჯვების პირველ პირობას წარმოადგენს კადეტებთან **კავშირის გაწყვეტა.**

რისი იმედი აქვთ მათ?

გუშინ ჩვენ ვწერდით, რომ კორნილოვის პარტია რუსეთის რევოლუციის უბოროტესი მტერია, რომ რიგის ჩაბარების შემდეგ კორნილოვი არ მოერიდება იმას, რომ ჩააბაროს პეტროგრადი, ოღონდ კი კონტრრევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოს.

დღეს «იზვესტია» უშენიშვნოდ ადასტურებს ჩვენს ამ განცხადებას:

მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ლუკომსკი, რომელიც ფაქტიურად ამბოხების სულსა და გულს წარმოადგენს, იუწყება, რომ «წინაბრძოლამ ფრონტზე, იმ შემთხვევაში, თუ დროებითი მთავრობა არ დაეთანხმა გენერალ კორნილოვის მოთხოვნას, შეიძლება გამოიწვიოს

ფრონტის გარღვევა და მოწინააღმდეგის გამოჩენა იმ ადგილებში, სადაც მას ყველაზე ნაკლებად მოველით».

თვითონ განსაჯეთ: ხომ ძალიან ჰგავს ეს იმის მუქარას, რომ ჩააბარონ, ვთქვათ, პეტროგრადი?

აი კიდევ უფრო გარკვეული განცხადება:

«გენერალი ლუკომსკი, ცხადია, არ მოერიდება პირდაპირ ღალატს სამშობლოსადმი, რათა მიაღწიოს შეთქმულების წარმატებას. მისი მუქარა, რომ გენერალ კორნილოვის მოთხოვნის შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს სამოქალაქო ომს ფრონტზე, ფრონტის გახსნას და სამარცხვინო სეპარატულ ზავს, არ შეიძლება განხილულ იქნას სხვანაირად, თუ არ როგორც მტკიცე გადაწყვეტილება — შეუთანხმდეს გერმანელებს შეთქმულების წარმატების უზრუნველსაყოფად».

ხომ გესმით: «გერმანელებთან შეთანხმება», «ფრონტის გახსნა», «სეპარატული ზავი»...

«შეთქმულებაში გარეული» კადეტები, რომლებიც მთავარბანაკში თავისი ყოფნით ფარავენ «ფრონტის გახსნის», «გერმანელებთან შეთანხმების» მუქარას, — აი სად არიან ნამდვილი «გამცემნი» და «მოღალატენი»!

მთელი თვეების განმავლობაში ლაფში სვრიდნენ ჩვენს პარტიას «ფრონტის გახსნის» ეს გმირები, — ბრალს სდებდნენ მას «ღალატში», ლაპარაკობდნენ «გერმანულ ფულზე». მთელი თვეების განმავლობაში თითხნიდნენ ამ საზიზღარ ზღაპარს ბანკების ყვითელი დაქირავებულნი «ნოვოე ვრემიადან» და «ბირჟოვკიდან», «რეჩიდან» და «რუსსკაია ვოლიადან». მერე რა გამოირკვა? ახლა ობორონცებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ფრონტზე ღალატი მეთაურთა შემადგენლობისა და მისი იდეური მასულდგმულებლების მიერ ჩადენილი საქმეა.

დაე ახსოვდეთ ეს მუშებსა და ჯარისკაცებს!

დაე იცოდნენ მათ, რომ ბურჟუაზიული პრესის პროვოკატორული ღრიანცელი ჯარისკაცთა და ბოლშევიკთა

«ღალატის» შესახებ **მხოლოდ ფარავდა** გენერლებისა და კადეტური პარტიის «საზოგადო მოღვაწეთა» ნამდვილ ღალატს.

დაე იცოდნენ მათ, რომ, როდესაც ბურჟუაზიული პრესა ღრიანცელს სტეხს ჯარისკაცთა «ღალატის» შესახებ, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ პრესის სულისჩამდგმელებმა უკვე მოამზადეს ღალატი, ცდილობენ რა ჯარისკაცებს დააბრალონ დანაშაული.

დაე იცოდნენ ეს მუშებმა და ჯარისკაცებმა და აქედან სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

თქვენ გინდათ იცოდეთ, რისი იმედი აქვთ მათ?

მათ იმედი აქვთ «ფრონტის გახსნისა» და «გერმანელებთან შეთანხმებისა» და ფიქრობენ სეპარატული ზავის იდეით გაიყოლიონ ომით დატანჯული ჯარისკაცები და შემდეგ დასძრან ისინი რევოლუციის წინააღმდეგ.

მუშები და ჯარისკაცები შეიგნებენ, რომ არ უნდა იყოს დანდობა ამ გამცემლებისადმი მთავარბანაკიდან.

შეთქმულება გრძელდება...

მოვლენები მიჰქრიან. ახალი ფაქტები და ხმები სწრაფად მიჰქროლავენ ჩვენი თვალის წინ. დადის ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ხმები კორნილოვის მოლაპარაკებაზე გერმანელებთან. გარკვევით ლაპარაკობენ, რომ კორნილოვის პოლკებსა და რევოლუციურ ჯარისკაცებს შორის პიტერთან სროლაა. გამოქვეყნდა კორნილოვის «მანიფესტი», სადაც ის თავს აცხადებს დიქტატორად, რუსეთის რევოლუციის მონაპოვართა მტრად და მესაფლავედ.

დროებითი მთავრობა კი, ნაცვლად იმისა, რომ მტერს მტრულად შეხვდეს, ამჯობინებს ეთათბიროს გენ. ალექსეევს, კიდევ და კიდევ მართავს მოლაპარაკებას კორნი-

ლოვთან, კიდევ და კიდევ ეხვეწება შეთქმულთ, რომელნიც აშკარად ღალატობენ რუსეთს.

ეგრეთწოდებული «რევოლუციური დემოკრატია» კი ემზადება ახალი «განსაკუთრებული თათბირისათვის მოსკოვის თათბირის ნიმუშის მიხედვით, რომელზეც წარმოდგენილი იქნებოდნენ ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები» (იხ. «იზვესტია»).

ამასთან ერთად კადეტები, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ გაჰყვიროდნენ «ბოლშევიკების შეთქმულებაზე», დღეს, კორნილოვის შეთქმულების აღმოჩენით წაქეზებულნი, მოუწოდებენ «კეთილგონიერებისა» და «შეთანხმებისაკენ» (იხ. «რეჩ»).

ცხადია, სურთ «მოაგვარონ» ახალი შეთანხმება სწორედ იმ «ცოცხალ ძალებთან», რომლებიც ბოლშევიკების შეთქმულებაზე გაჰყვირიან, თვითონ კი შეთქმულებას აწყობენ რევოლუციისა და რუსი ხალხის წინააღმდეგ.

მაგრამ ისინი, ეს შემთანხმებლები, პატრონის შეუკითხავად ეწევიან ანგარიშს, ვინაიდან ქვეყნის ნამდვილ პატრონებს, მუშებსა და ჯარისკაცებს, არ სურთ არავითარი თათბირი რევოლუციის მტრებთან. რაიონებიდან და პოლკებიდან მიღებული ცნობები ერთხმად მოწმობენ იმას, რომ მუშები ძალთა მობილიზაციას ახდენენ, ჯარისკაცები თოფქვეშ დგანან. ცხადია, მუშები ამჯობინებენ მტერს მტრულად ელაპარაკონ.

სხვანაირად არც შეიძლება: მტრებს კი არ ეთათბირებიან, არამედ ებრძვიან.

შეთქმულება გრძელდება, — ემზადეთ წინააღმდეგობის გაწევისათვის!

«რაბოჩი» № 5, მეორე
საგანგებო გამოშვება,
1917 წ. 28 აგვისტო.

მოწინავე.

ბურჟუაზიასთან შეთანხმების წინააღმდეგ

მემამულეთა და კაპიტალისტთა კონტრრევოლუცია გატეხილია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის განადგურებული.

კორნილოვის გენერლები დამარცხებული არიან, მაგრამ რევოლუციის გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი.

რატომ?

იმიტომ, რომ მტრებთან ულმობელი ბრძოლის ნაცვლად შემთანხმებელნი მოლაპარაკებას აწარმოებენ მათთან.

იმიტომ, რომ მემამულეებთან და კაპიტალისტებთან კავშირის გაწყვეტის ნაცვლად ობორონცები შეთანხმებას აწყობენ მათთან.

იმიტომ, რომ მათი კანონგარეშე გამოცხადების ნაცვლად მთავრობა სამინისტროებში იწვევს მათ.

სამხრეთ რუსეთში გენერალი კალედინი აჯანყებას აწყობს რევოლუციის წინააღმდეგ, — ხოლო მის მეგობარს, გენერალ ალექსეევს, მთავარი შტაბის უფროსად ნიშნავენ.

რუსეთის დედაქალაქში მილიუკოვის პარტია აშკარად უჭერს მხარს კონტრრევოლუციას, — ხოლო კონტრრევოლუციის წარმომადგენლებს, მაკლაკოვებსა და კიშკინებს, სამინისტროებში იწვევენ.

დროა ბოლო მოეღოს ამ დანაშაულს რევოლუციის წინააღმდეგ!

დროა გადაჭრით და საბოლოოდ ითქვას, რომ **მტრებთან ბრძოლა უნდა და არა შეთანხმება!**

მემამულეებისა და კაპიტალისტების **წინააღმდეგ,** გენერლებისა და ბანკირების **წინააღმდეგ,** რუსეთის ხალხთა **ინტერესებისათვის, ზავისათვის, თავისუფლებისათვის, მიწისათვის,** — ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან კავშირის გაწყვეტა — ასეთია პირველი ამოცანა.

მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნა — ასეთია მეორე ამოცანა.

«რაბოჩი» № 9,
1917 წ. 31 აგვისტო.
მოწინავე.

კრიზისი და დირექტორია

მას შემდეგ, რაც კორნილოვის შეთქმულება მოხდა და ხელისუფლება დაიშალა, მას შემდეგ, რაც შეთქმულება ჩაიფუშა და შეიქმნა კერენსკი-კიშკინის სამინისტრო, მას შემდეგ, რაც მოხდა «ახალი» კრიზისი და გაიმართა წერეთელ-გოცის «ახალი» მოლაპარაკება კვლავ იმავე კერენსკისთან, — ჩვენ, ბოლოს, გვაქვს «ახალი» (მთლად ახალი!) ხუთთა მთავრობა.

კერენსკი, ტერეშჩენკო, ვერხოვსკი, ვერდერევსკი და ნიკიტინი, ხუთთა «დირექტორია» — ასეთია «ახალი» ხელისუფლება, კერენსკის მიერ «არჩეული», კერენსკის მიერ დამტკიცებული, კერენსკის წინაშე პასუხისმგებელი და მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისაგან **დამოუკიდებელი.**

ლაპარაკობენ ამ ხელისუფლების ასეთსავე დამოუკიდებლობაზე კადეტებისაგან, მაგრამ ეს ფუჭი ლაყბობაა. ვინაიდან მთავრობაში კადეტთა ოფიციალური წარმომადგენლების არყოფნა მხოლოდ ფარავს მის სრულ დამოკიდებულებას კადეტებისაგან.

მოსაჩვენებლად—ესერი კერენსკი, უმაღლესი მთავარსარდალი. სინამდვილეში — კადეტთა დამქაში, გენერალი

ალექსეევი, რომელსაც გადაეცა მთავარი შტაბი, ე. ი. ფრონტის ყველა ძაფი.

მოსაჩვენებლად — «მემარცხენე» დირექტორია, კადეტებისაგან დამოუკიდებელი (ნუ კი ეხუმრებით!). სინამდვილეში — კადეტთა დამქაშები, რომლებიც სამინისტროებს მართავენ და ფაქტიურად განაგებენ სახელმწიფოს ყველა საქმეს.

სიტყვით — კადეტებთან კავშირის გაწყვეტა. საქმით — შეთანხმება კადეტთა დამქაშებთან ზურგში და ფრონტზე.

დირექტორია, როგორც შირმა, რომელიც ფარავს კადეტებთან კავშირს; კერენსკის დიქტატურა, როგორც ნიღაბი, რომელიც ხალხის აღშფოთებისაგან იფარავს მემამულეთა და კაპიტალისტთა დიქტატურას — აი როგორია ახლა სურათი.

ახლო მომავალში კი — ახალი თათბირი «ცოცხალი ძალების» წარმომადგენელთაგან, სადაც ბ-ნი წერეთლები და ავქსენტიევები, ეს ნაფიცი შემთანხმებლები, შეეცდებიან გუშინ კადეტებთან მოგვარებული ფარული შეთანხმება გადააქციონ აშკარა და გარკვეულ შეთანხმებად მუშებისა და გლეხების მტრების სასიხარულოდ.

უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში სამჯერ განიცადა ჩვენმა ქვეყანამ ხელისუფლების მწვავე კრიზისი. კრიზისი ყოველთვის თავდებოდა ბურჟუაზიასთან შეთანხმებით, ამასთან ყოველთვის მუშები და გლეხები რჩებოდნენ გაბრიყვებულნი.

რატომ?

იმიტომ, რომ ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული პარტიები, ძალაუფლებისათვის ბრძოლაში რომ ერეოდნენ, ყოველთვის მემამულეებისა და კაპიტალისტების მხარეზე დგებოდნენ და საქმეს კადეტების სასარგებლოდ წყვეტდნენ.

კორნილოვის შეთქმულებამ გამოამჟღავნა კადეტების მთელი კონტრრევოლუციურობა. სამ დღეს გაჰყვიროდნენ ობორონცები კადეტების ღალატზე, სამ დღეს გაჰყვიროდნენ ისინი კოალიციის უსიცოცხლობაზე, რომელიც კონტრრევოლუციასთან პირველი შეტაკებისთანავე დაიშალა. მერე რა გამოვიდა? ყოველივე ამის შემდეგ მათ იმაზე უკეთესი ვერაფერი გამონახეს, რომ მიეღოთ შენიღბული კოალიცია იმავე გალანძღულ კადეტებთან.

მხოლოდ გუშინ იყო, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოპორონცულმა უმრავლესობამ თავისი კენჭისყრით გადაწყვიტა «მხარი დაუჭიროს» ხუთთა დირექტორიას, რომელიც წარმოიშვა კადეტებთან ფარულ შეთანხმებათა შედეგად მუშათა და გლეხთა ძირითადი ინტერესების საზიანოდ.

ამ დღეს, ხელისუფლების გამწვავებული კრიზისის დღეს, ძალაუფლებისათვის გამძაფრებული ბრძოლის დღეს, როდესაც კორნილოვი მიწასთან იყო გასწორებული, მენშევიკები და ესერები **ერთხელ კიდევ** დაეხმარნენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს შეენარჩუნებინათ ძალაუფლება თავის ხელში, **ერთხელ კიდევ** დაეხმარნენ კონტრრევოლუციურ კადეტებს — გაებრიყვებინათ მუშები და გლეხები.

ასეთი და მხოლოდ ასეთია ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გუშინ მომხდარი კენჭისყრის პოლიტიკური აზრი.

დაე იცოდნენ ეს მუშებმა, დაე იცოდნენ ეს გლეხებმა და დაე სათანადო დასკვნები გამოიტანონ აქედან.

დღევანდელი ფარული კოალიცია მტკიცე არ არის, ისევე როგორც მტკიცე არ იყო გუშინდელი აშკარა კოალიციები: არ შეიძლება მოეწყოს მტკიცე შეთანხმება მემამულესა და გლეხს შორის, კაპიტალისტსა და მუშას შორის. ამის გამო, ბრძოლა ძალაუფლებისათვის არა-

თუ არ დამთავრებულა, არამედ, პირიქით, — უფრო და უფრო ძლიერდება და მწვავდება.

დაე იცოდნენ მუშებმა, რომ ამ ბრძოლაში ისინი მუდამ აუცილებლად დამარცხდებიან, სანამ ესერები და მენშევიკები მასებში გავლენით სარგებლობენ.

დაე ახსოვდეთ მუშებს, რომ ძალაუფლების ასაღებად აუცილებელია ჩამოაშორონ გლეხთა და ჯარისკაცთა მასები შემთანხმებლებს — ესერებსა და მენშევიკებს — და დარაზმონ ისინი რევოლუციური პროლეტარიატის გარშემო.

დაე ახსოვდეთ ეს მათ და დაე თვალი აუხილონ გლეხებსა და ჯარისკაცებს, ამხილონ მათ წინაშე ესერებისა და მენშევიკების გამცემლობა.

ულმობელი ბრძოლა ესერულ-მენშევიკურ გავლენასთან მასებში, დაუღალავი მუშაობა გლეხებისა და ჯარისკაცების დასარაზმავად პროლეტარიატის პარტიის დროშის გარშემო — ასეთია ახლახან განვლილი კრიზისის გაკვეთილი.

«რაბოჩი პუტ» № 1,
1917 წ. 3 სექტემბერი.

მოწინავე.

საკუთარი გზით

გერმანიის 1848 წლის რევოლუციის სისუსტეს მარქსი ხსნიდა, სხვათა შორის, იმითაც, რომ იქ არ იყო ძლიერი კონტრრევოლუცია, რომელიც წინ წაუბიძგებდა რევოლუციას და განამტკიცებდა მას ბრძოლის ცეცხლში.

ჩვენ, რუსებს, უფლება არა გვაქვს ამ მხრივ ბედს ვემდუროდეთ, ვინაიდან ჩვენში არის კონტრრევოლუცია და თან საკმაოდ საფუძვლიანიც. ხოლო გენერლურ-ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის უკანასკნელმა გამოსვლებმა და რევოლუციური მოძრაობის საპასუხო ტალღამ განსაკუთრებული სიცხადით დაგვანახვეს, რომ რევოლუცია იზრდება და მტკიცდება სწორედ კონტრრევოლუციასთან შეტაკებებში.

ამ შეტაკებათა ცეცხლში გამოცოცხლდნენ და გაიშალნენ თითქოს მომკვდარი საბჭოები და კომიტეტები, რომლებიც ბურჟუაზიის ფანდებით დამარცხებულ იქნენ ივლის-აგვისტოში.

ამ ორგანიზაციების მეოხებით რევოლუცია ამაღლდა იქამდე, რომ გაიმარჯვა კონტრრევოლუციაზე.

ახლა, როდესაც კორნილოვშჩინა უწესრიგოდ იხევს უკან, ხოლო კერენსკი უბოდიშოდ ითვისებს სხვის სახელსა და დიდებას, — ახლა განსაკუთრებით ცხადია — ეს ორ-

განიზაციები, რკინიგზელთა, ჯარისკაცთა, მატროსთა, გლეხთა, მუშათა, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა «თვითნებური» კომიტეტები რომ არ ყოფილიყვნენ, მათი რევოლუციური თაოსნობა და საბრძოლო თვითმოქმედება რომ არ ყოფილიყო, რევოლუცია გაცამტვერებული იქნებოდა.

მით უფრო დიდი პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ ამ ორგანიზაციებს. მით უფრო ენერგიული უნდა იყოს ჩვენი მუშაობა ამ ორგანიზაციების განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. დაე ცოცხლობდნენ და ვითარდებოდნენ, დაე მტკიცდებოდნენ და იმარჯვებდნენ «თვითნებური» კომიტეტები — აი როგორი უნდა იყოს რევოლუციის მეგობართა ლოზუნგი.

მხოლოდ მტრებს, მხოლოდ რუსი ხალხის დაუძინებელ მტრებს შეუძლიათ ამ ორგანიზაციების მთლიანობის ხელყოფა.

ამავე დროს კი კერენსკის მთავრობამ კონტრრევოლუციის გამოსვლის პირველი დღეებიდანვე ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა «თვითნებურ» კომიტეტებს. მას არ ჰქონდა არც უნარი და არც სურვილი — ებრძოლნა კორნილოვშჩინის წინააღმდეგ, ეშინოდა მასისა და მასობრივი მოძრაობისა უფრო მეტად, ვიდრე კონტრრევოლუციისა, და კორნილოვის გამოსვლების პირველი დღეებიდანვე იგი დაბრკოლებებს უქმნიდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სახალხო ბრძოლის პიტერის კომიტეტს. და კორნილოვშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის ამ საბოტაჟს ის მუდამ განაგრძობდა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ოთხ სექტემბერს კერენსკის მთავრობამ გამოსცა სპეციალური ბრძანება, სადაც ის აშკარა ომს უცხადებს რევოლუციურ კომიტეტებს და კანონგარეშე აყენებს მათ. ეს მთავრობა «თვითნებურ

მოქმედებად» ნათლავს ამ კომიტეტების საქმიანობას და აცხადებს, რომ:

«თვითნებური მოქმედება შემდეგში აღარ უნდა იქნას დაშვებული, და დროებითი მთავრობა შეებრძოლება მას, როგორც თავაშვებულ და რესპუბლიკისათვის მავნე მოქმედებას».

კერენსკის, როგორც ჩანს, დავიწყებია, რომ «დირექტორია» ჯერ კიდევ არ შეცვლილა «კონსულატით», ხოლო თვითონ იგი რუსეთის რესპუბლიკის პირველი კონსული არ არის.

კერენსკის, როგორც ჩანს, არ სცოდნია, რომ «დირექტორიასა» და «კონსულატს» შუა იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც უფრო ადრე უნდა მოეხდინა, ვიდრე ასეთ ბრძანებებს გამოსცემდა.

კერენსკიმ არ იცის, რომ ზურგში და ფრონტზე «თვითნებურ» კომიტეტებთან ბრძოლაში მას დასჭირდებოდა დაყრდნობა კალედინებსა და კორნილოვებზე, და მხოლოდ მათზე, ამასთან ამ უკანასკნელთა ბედი მას ყოველ შემთხვევაში უნდა ახსოვდეს...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რევოლუციური კომიტეტები საკადრის პასუხს გასცემენ ამ ზურგში დარტყმას კერენსკის მხრივ.

ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ რევოლუციური კომიტეტები **არ გადაუხვევენ თავის გზას.**

და თუ «დირექტორიისა» და რევოლუციური კომიტეტების გზები საბოლოოდ გაიყარა, მით უარესი «დირექტორიისათვის».

კონტრრევოლუციურ საფრთხეს ჯერ კიდევ არ გაუვლია, — გაუმარჯოს რევოლუციურ კომიტეტებს!

«რაბოჩი პუტ» № 3,
1917 წ. 6 სექტემბერი.

მოწინავე.

კადეტებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ

კორნილოვშჩინას მარტო უარყოფითი მხარე კი არა აქვს. მას, ისევე როგორც ყოველ მოვლენას ცხოვრებაში, თავისი დადებითი მხარეც აქვს. კორნილოვშჩინამ მოახდინა ხელყოფა რევოლუციის თვით სიცოცხლეზე. ეს უეჭველია. მაგრამ, რევოლუცია რომ ხელყო და საზოგადოების ყველა ძალები რომ მოძრაობაში მოიყვანა, მან ამით, ერთი მხრივ, დააჩქარა რევოლუცია, — მისცა მას ბიძგი მეტი აქტიურობისა და ორგანიზებულობისაკენ, ხოლო მეორე მხრივ — გამოამჟღავნა კლასებისა და პარტიების ჭეშმარიტი ბუნება, ჩამოჰგლიჯა მათ ნიღაბი, ხელი შეუწყო მათი ნამდვილი ფიზიონომიის გამოაშკარავებას.

კორნილოვშჩინას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ საბჭოები ზურგში და კომიტეტები ფრონტზე, რომლებმაც თითქოს არსებობა შეწყვიტეს, მყისვე გამოცოცხლდნენ და თავისი საქმიანობა გააჩაღეს.

კორნილოვშჩინას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ კადეტების კონტრრევოლუციურობაზე ალაპარაკდნენ ახლა ყველანი, ისინიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ «გაფაციცებით» ცდილობდნენ მათთან შეთანხმების მიღწევას.

ეს ფაქტია, რომ «ყოველივე მომხდარის შემდეგ» ესერები და მენშევიკებიც კი დასაშვებად ვეღარ თვლიან კადეტებთან კოალიციას.

ეს ფაქტია, რომ კერენსკის მიერ შედგენილი ხუთთა «დირექტორიაც» კი იძულებული გახდა არ შეეყვანა თავის შემადგენლობაში კადეტების ოფიციალური წარმომადგენლები.

შეიძლება იფიქრო, რომ კადეტებთან კავშირის გაწყვეტა «დემოკრატიული» პარტიების მცნება გახდა.

ამაშია კორნილოვშჩინის დადებითი მხარე.

მაგრამ რას ნიშნავს კადეტებთან **კავშირის გაწყვეტა?**

დავუშვათ, რომ ესერებმა და მენშევიკებმა «საბოლოოდ» გაწყვიტეს კავშირი კადეტებთან, როგორც გარკვეული პარტიის წევრებთან. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მათ ამით კავშირი გაწყვიტეს კადეტების, როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლების, პოლიტიკასთან?

არა, არ ნიშნავს.

დავუშვათ, რომ დემოკრატიულ თათბირზე, რომელიც 12 სექტემბერს უნდა შედგეს, ობორონცები შექმნიან ახალ ხელისუფლებას უკადეტებოდ, ხოლო კერენსკი დაემორჩილება ასეთ გადაწყვეტილებას. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამით მათ კავშირი გაწყვიტეს კადეტების, როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლების, პოლიტიკასთან?

არა, არ ნიშნავს.

საფრანგეთის იმპერიალისტური რესპუბლიკა იძლევა იმის უამრავ მაგალითებს, რომ კაპიტალის წარმომადგენლები, თუმცა თვითონ არ შედიან მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, მაგრამ წვრილბურჟუაზიულ «სოციალისტებს» «უშვებენ» იქ იმისათვის, რომ კულისებში

შიიმალონ, სხვისი ხელით იმოქმედონ და დაუბრკოლებლივ ძარცვონ ქვეყანა. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ საფრანგეთის ფინანსური ბობოლები სამინისტროს სათავეში აყენებდნენ «სოციალისტებს» (ბრიანი! ვივიანი!), თვითონ კი მათს ზურგს უკან იდგნენ და წარმატებით ატარებდნენ თავისი კლასის პოლიტიკას.

სავსებით შესაძლებელია რუსეთშიც არსებობდეს ასეთი არაკადეტური მინისტრთა კაბინეტი, რომელიც საჭიროდ ჩათვლის გაატაროს კადეტური პოლიტიკა, როგორც ერთადერთი შესაძლებელი პოლიტიკა, ვთქვათ, მოკავშირეთა კაპიტალის ზეგავლენის გამო, რომლის მოხარკეც ხდება რუსეთი, ან სხვა გარემოებათა გამო.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ უკიდურეს შემთხვევაში კადეტებს ასეთი მინისტრთა კაბინეტის საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, განა სულ ერთი არ არის, ვინ ატარებს კადეტურ პოლიტიკას: ოღონდ კი ის ტარდებოდეს!

ცხადია, საკითხის სიმძიმის ცენტრი მთავრობის პირადი შემადგენლობა კი არ არის, არამედ მისი პოლიტიკა.

ამიტომ ვისაც სურს ნამდვილად, და არა მხოლოდ მოსაჩვენებლად, გაწყვიტოს კავშირი კადეტებთან, მან უწინარეს ყოვლისა კავშირი უნდა გაწყვიტოს კადეტების პოლიტიკასთან.

მაგრამ კადეტების პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტა — ეს ნიშნავს კავშირი გაწყვიტო მემამულეებთან და გლეხთა კომიტეტებს გადასცე მათი მიწა, არ მოერიდო იმას, რომ ასეთი ზომა მძიმე ლახვარს ჩასცემს ზოგიერთ ყოვლისშემძლე ბანკს.

კადეტების პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტა — ეს ნიშნავს კავშირი გაწყვიტო კაპიტალისტებთან და დააწესო მუშათა კონტროლი წარმოებასა და განაწილებაზე, არ

მოერიდო იმას, რომ ამისათვის საჭირო იქნება კაპიტალისტების მოგებათა ხელყოფა.

კადეტების პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტა — ეს ნიშნავს ბოლო მოუღო მძარცველურ ომს და ფარულ ხელშეკრულებებს, არ მოერიდო იმას, რომ ასეთი ზომა მძიმე ლახვარს ჩასცემს მოკავშირეთა იმპერიალისტურ ხროვებს.

შეუძლიათ თუ არა მენშევიკებსა და ესერებს გადადგან ასეთი ნაბიჯი და გაწყვიტონ კავშირი კადეტებთან?

არა, არ შეუძლიათ. ვინაიდან მაშინ ისინი აღარ იქნებოდნენ ობორონცები, ე. ი. მომხრენი ომისა ფრონტზე და კლასობრივი ზავისა ზურგში.

მაშ რას წარმოადგენს ასეთ შემთხვევაში მენშევიკებისა და ესერების განუწყვეტელი ხმაური კადეტებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ?

— კადეტებთან კავშირის სიტყვიერად გაწყვეტას, — ეს არის და ეს!

საქმე ის არის, რომ კორნილოვის შეთქმულების ჩაფუშვის შემდეგ. მილიუკოვის პარტიის კონტრრევოლუციური ბუნების გამოაშკარავების შემდეგ, ამ პარტიასთან აშკარა შეთანხმება მეტად არაპოპულარული გახდა მუშებსა და ჯარისკაცებში: საკმარისია მოახდინონ მენშევიკებმა და ესერებმა ასეთი შეთანხმება, რომ მათ მყისვე დაკარგონ თავისი ყოფილი არმიის უკანასკნელი ნაშთები. ამიტომ აშკარა შეთანხმების ნაცვლად ისინი იძულებული არიან წავიდნენ შენიღბულ შეთანხმებაზე. აქედან წარმოდგება ეს ხმაური კადეტებთან კავშირის გაწყვეტაზე. რომელიც ფარავს მალულ შეთანხმებას კადეტებთან. მოსაჩვენებლად — ძირს კადეტები! სინამდვილეში — კავშირი კადეტებთან! მოსაჩვენებლად — მთავრობა უკადეტებოდ! სინამდვილეში — მთავრობა შინაური და მოკავშირეთა კადე-

ტებისათვის, რომელნიც თავის ნება-სურვილს უკარნახებენ «ძლიერთ ამა ქვეყნისა».

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთი შევიდა პოლიტიკური განვითარების იმ ხანაში, როდესაც იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან აშკარა შეთანხმება სახიფათო ხდება. ჩვენ ვიმყოფებით სოციალ-ობორონცულ, შემადგენლობით არაკადეტურ, მთავრობათა პერიოდში, რომელნიც მაინც მოწოდებული არიან შეასრულონ იმპერიალისტური ბურჟუაზიის ნება.

«დირექტორია», რომელიც ამ დღეებში გაჩნდა, ასეთი მთავრობის შექმნის პირველ ცდას წარმოადგენს.

უნდა ვიფიქროთ, რომ 12 სექტემბრისათვის დანიშნული თათბირი, თუ ის ფარსით არ დამთავრდა, შეეცდება შექმნას ასეთივე, ალბათ, «უფრო მემარცხენე» მთავრობა.

მოწინავე მუშების მოვალეობაა — ნიღაბი ჩამოჰგლიჯონ ასეთ არაკადეტურ მთავრობებს და დაანახვონ მასებს მათი ნამდვილი კადეტური არსი.

«რაბოჩი პუტ» № 3,
1917 წ.. 6 სექტემბერი.

ხელმოწერა: კ. სტ.

მეოთხე ტალღა

რუსეთის რევოლუციის პირველი ტალღა დაიწყო ცარიზმთან ბრძოლის დროშით. რევოლუციის ძირითად ძალებად მაშინ მუშები და ჯარისკაცები გამოდიოდნენ. მაგრამ ისინი ერთადერთი ძალები როდი იყვნენ. მათთან ერთად «გამოდიოდნენ» კიდევ ლიბერალური ბურჟუები (კადეტები) და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები, რომელთაგან პირველნი ჩამოშორდნენ ცარიზმს მისი უუნარობის გამო — გაეკაფა გზა კონსტანტინოპოლისაკენ, მეორეებმა კი ულალატეს ცარიზმს გერმანიასთან სეპარატული ზავისაკენ მისი მისწრაფების გამო.

ამრიგად შეიქმნა ერთგვარი ფარული კოალიცია, რომლის შეტევით ცარიზმი ასპარეზიდან უნდა წასულიყო. ამასთან ცარიზმის დამხობის მეორე დღესვე ეს ფარული კოალიცია აშკარა გახდა, მან მიიღო ფორმა გარკვეული ხელშეკრულებისა დროებით მთავრობასა და პეტროგრადის საბჭოს შორის, კადეტებსა და «რევოლუციურ დემოკრატიას» შორის.

მაგრამ ეს ძალები სულ სხვადასხვა მიზნებს ისახავდნენ. მაშინ როდესაც კადეტებსა და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებს სურდათ მოეხდინათ მხოლოდ პატარა რევოლუცია იმისათვის, რომ მასების რევოლუციური აღფრთო-

ვანება გამოეყენებინათ დიდი იმპერიალისტური ომისათვის, — მუშები და ჯარისკაცები, პირიქით, ცდილობდნენ მიეღწიათ ძველი რეჟიმის ძირფესვიანი მსხვრევისა და დიდი რევოლუციის სრული გამარჯვებისათვის, რათა გადმოეგდოთ მემამულეები, აელაგმათ იმპერიალისტური ბურჟუაზია და ამის შემდეგ მიეღწიათ ომის დამთავრებისათვის, უზრუნველეყოთ სამართლიანი ზავი.

ეს ძირითადი წინააღმდეგობანი საფუძვლად დაედო რევოლუციის შემდგომ განვითარებას. ამავე წინააღმდეგობამ წინასწარ განსაზღვრა, რომ კადეტებთან კოალიცია მტკიცე არ იქნებოდა.

ამ წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენს ხელისუფლების ყველა ეგრეთწოდებული კრიზისი, თვით უკანასკნელ, აგვისტოს კრიზისამდე.

და თუ ამ კრიზისების მსვლელობაში წარმატება ყოველთვის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზეა, თუ კრიზისის ყოველი «მოგვარების» შემდეგ მუშები და ჯარისკაცები მოტყუებული აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, ხოლო კოალიცია ამა თუ იმ ფორმით — მაინც ძალაში რჩებოდა, ეს აიხსნება არა მარტო იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიდი ორგანიზებულობითა და ფინანსური ძლიერებით, არამედ იმითაც, რომ წვრილი ბურჟუაზიის მერყევი ზედაფენები და მათი პარტიები ესერებისა და მენშევიკებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ მიჰყვებიან ჩვენი საერთოდ წვრილბურჟუაზიული ქვეყნის წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასები, ყოველთვის დგებოდნენ «ბარიკადის იქითა მხარეს» და კადეტების სასარგებლოდ წყვეტდნენ ძალაუფლებისათვის ბრძოლას.

კადეტებთან კოალიციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია ივლისის დღეებში, როდესაც კოალიციის წევრები ერთიანი საბრძოლო ფრონტით გამოვიდნენ და თავისი იარაღი

მიმართეს «ბოლშევიკი» მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ.

მოსკოვის თათბირი ამ მხრივ მხოლოდ გამოძახილი იყო ივლისის დღეებისა, ამასთან თათბირზე ბოლშევიკების არდაშვება უნდა გამხდარიყო საწინდარი, რომელიც საჭირო იყო ქვეყნის «ცოცხალ ძალებთან» «პატიოსანი კოალიციის» განსამტკიცებლად, ვინაიდან ბოლშევიკების **იზოლაციას** განიხილავდნენ, როგორც კადეტებთან **კოალიციის** სიმტკიცის აუცილებელ პირობას.

ასეთი იყო საქმის ვითარება კორნილოვის აჯანყებამდე.

კორნილოვის გამოსვლით სურათი იცვლება.

უკვე მოსკოვის თათბირზე ცხადი გახდა, რომ კადეტებთან კავშირი შეიცავდა მუქარას — გადაქცეულიყო კავშირად კორნილოვებთან და კალედინებთან... არა მარტო ბოლშევიკების წინააღმდეგ, არამედ რუსეთის მთელი რევოლუციის წინააღმდეგაც, თვით რევოლუციის მონაპოვართა არსებობის წინააღმდეგ. მოსკოვის თათბირის ბოიკოტი და მოსკოვის მუშების გაფიცვა-პროტესტი, რამაც ნიღაბი ჩამოჰგლიჯა კონტრრევოლუციურ ხროვას და დაარღვია შეთქმულთა გეგმები, გახდა მაშინ არა მარტო გაფრთხილება ამ მხრივ, არამედ მოწოდებაც მზად ყოფნისათვის. ცნობილია, რომ მოწოდება არ დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: მთელი რიგი ქალაქები მაშინვე გამოეხმაურნენ გაფიცვა-პროტესტით...

ეს დიდი საფრთხის მომასწავებელი იყო.

კორნილოვის აჯანყებამ მხოლოდ სარქველი ახსნა დაგროვილ რევოლუციურ აღშფოთებას, მან მხოლოდ ხელფეხი გაუხსნა თითქოს შებორკილ რევოლუციას, დააჩქარა ის და წინ უბიძგა მას.

და აქ, კონტრრევოლუციურ ძალებთან შეტაკებათა ცეცხლში, სადაც სიტყვები და დაპირებანი მოწმდება

პირდაპირი ბრძოლის ცოცხალი საქმით, — აქ გამოჩნდნენ რევოლუციის ნამდვილი მეგობრები და მტრები, მუშების, გლეხების, ჯარისკაცების ნამდვილი მოკავშირენი და მოღალატენი.

დროებითი მთავრობა, რომელიც ასე გულმოდგინედ იყო შეკოწიწებული სხვადასხვაგვარი მასალისაგან, მთლად დაირღვა, როგორც კი კორნილოვის აჯანყება დაიწყო.

«სავალალოა», მაგრამ ფაქტია: კოალიცია ძალას წააგავს, როდესაც საჭიროა ლაყბობა «რევოლუციის ხსნაზე», — კოალიცია ფშუტე აღმოჩნდება ხოლმე, როდესაც საჭიროა რევოლუციის ნამდვილად ხსნა სასიკვდილო საფრთხისაგან.

კადეტები აშკარად უცხადებენ სოლიდარობას კორნილოველებს და მთავრობიდან გადიან. ყველა ჯურისა და ხარისხის ყველა იმპერიალისტები, ბანკირები და მეფაბრიკეები, მექარხნეები და სპეკულანტები, მემამულეები და გენერლები, კალმოსანი ყაჩაღები «ნოვოე ვრემიადან» და ლაჩარი პროვოკატორები «ბირჟოვკიდან». — ყველა ისინი, კადეტების პარტიის მეთაურობით და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ ხროვებთან შეკავშირებულნი, აღმოჩნდნენ კონტრრევოლუციონერებთან საერთო ბანაკში, — რევოლუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ.

ცხადი ხდება, რომ კადეტებთან კავშირი არის კავშირი მემამულეებთან გლეხების წინააღმდეგ, კაპიტალისტებთან მუშების წინააღმდეგ, გენერლებთან ჯარისკაცების წინააღმდეგ.

ცხადი ხდება, რომ ვინც უთანხმდება მილიუკოვს, ის ამით უთანხმდება კორნილოვს, ის უნდა გამოვიდეს რევოლუციის წინააღმდეგ, ვინაიდან მილიუკოვი და კორნილოვი «ერთნი არიან».

სწორედ ამ ჭეშმარიტების ბუნდოვნად შეგნება ედება საფუძვლად ახალ მასობრივ რევოლუციურ მოძრაობას, რუსეთის რევოლუციის მეორე ტალღას.

და თუ პირველი ტალღა **მთავრდება** კადეტებთან კოალიციის ტრიუმფით (მოსკოვის თათბირი!), სამაგიეროდ მეორე ტალღა **იწყება** ამ კოალიციის კრახით, აშკარა ომით კადეტების წინააღმდეგ.

გენერლურ-კადეტურ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში ცოცხლდებიან და მტკიცდებიან თითქოს მომკვდარი საბჭოები და კომიტეტები ზურგში და ფრონტზე.

გენერლურ-კადეტურ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში იქმნებიან მუშათა და ჯარისკაცთა, მატროსთა და გლეხთა, რკინიგზელთა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ახალი რევოლუციური კომიტეტები.

ამ ბრძოლის ცეცხლში ყალიბდებიან ხელისუფლების ახალი ორგანოები ადგილებზე, მოსკოვსა და კავკასიაში, პიტერში და ურალზე, ოდესასა და ხარკოვში.

საქმე აქ ესერებისა და მენშევიკების ახალ რეზოლუციებში კი არ არის, რომელნიც ამ დღეებში უეჭველად გამემარცხენდნენ, რასაც თავისთავად, რა თქმა უნდა, მცირე მნიშვნელობა როდი აქვს.

საქმე არც «ბოლშევიზმის გამარჯვებაშია», რომლის ჰრდილითაც ბურჟუაზიული პრესა შანტაჟს უწევს «დენისა» და «ვოლია ნაროდას» დამფრთხალ ფილისტერებს.

საქმე იმაშია, რომ კადეტებთან **ბრძოლაში** და მათი ნება-სურვილის **წინააღმდეგ** იზრდება ახალი ხელისუფლება, რომელმაც აშკარა შეტაკებაში დაამარცხა კონტრრევოლუციის რაზმები.

საქმე იმაშია, რომ ეს ხელისუფლება, გადადის რა თავდაცვიდან თავდასხმაზე, გარდუვალად ეხება მემამულეთა

და კაპიტალისტთა საარსებო ინტერესებს და ამით თავის გარშემო რაზმავს მუშათა და გლეხთა ფართო მასებს.

საქმე იმაშია, რომ თავისი ასეთი მოქმედებით ეს ხელისუფლება, რომელიც «აღიარებული არ არის», საქმის ვითარების გამო იძულებულია დასვას საკითხი თავისი «ლეგალიზაციის» შესახებ, ამასთან «ოფიციალურ» ხელისუფლებას, რომელმაც გამოამჟღავნა აშკარა ნათესაობა კონტრრევოლუციონერ შეთქმულებთან, ფეხქვეშ მკვიდრი ნიადაგი ეცლება.

ბოლოს, საქმე იმაშია, რომ რევოლუციის ახალი ტალღის წინაშე, რაც მძაფრად ედება სულ ახალ-ახალ ქალაქებსა და ოლქებს, კერენსკის მთავრობა, რომელსაც გუშინ კიდევ ეშინოდა კორნილოვის კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი ბრძოლისა, დღეს უკვე უერთდება კორნილოვსა და კორნილოველებს ზურგში და ფრონტზე, ამასთანავე «ბრძანებას იძლევა» — დაშლილ იქნას რევოლუციის კერები, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა «თვითნებური» კომიტეტები.

და რაც უფრო საფუძვლიანად უხმატკბილდება კერენსკი კორნილოვებსა და კალედინებს, მით უფრო ფართოხდება ბზარი ხალხსა და მთავრობას შორის, მით უფრო მოსალოდნელია კავშირის გაწყვეტა საბჭოებსა და დროებით მთავრობას შორის.

ეს ფაქტები, და არა ცალკეული პარტიების რეზოლუციები შეიცავენ სასიკვდილო განაჩენს ძველი შემთანხმებლური ლოზუნგებისათვის.

ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ გადაჭარბებით შევაფასოთ კადეტებთან კავშირის გაწყვეტის ფარგლები. ჩვენ ვიცით, რომ ეს კავშირის გაწყვეტა ჯერჯერობით მხოლოდ ფორმალურია. მაგრამ კავშირის ასეთი გაწყვეტაც, როგორც დასაწყისი, უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია. და–

ნარჩენს, უნდა ვიფიქროთ, თვითონ კადეტები დაამთავრებენ. ისინი უკვე ბოიკოტს უცხადებენ დემოკრატიულ თათბირს. ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლები, რომლებიც უნდოდათ «თავის ბადეში გაებათ» ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეშმაკ სტრატეგებს, კადეტების კვალს გაჰყვნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი უფრო შორს წავლენ, — განაგრძობენ ქარხნებისა და ფაბრიკების დახურვას, უარს ეტყვიან კრედიტზე «დემოკრატიის» ორგანოებს, განზრახ გაამწვავებენ ნგრევასა და შიმშილს. ამასთან «დემოკრატია», ნგრევასა და შიმშილთან ბრძოლის დროს, გარდუვალად ჩაებმება გადამჭრელ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან, გააღრმავებს კადეტებთან კავშირის გაწყვეტას...

ამ პერსპექტივისა და ასეთი ურთიერთკავშირის აზრით დემოკრატიულ თათბირს, რომელსაც 12 სექტემბრისათვის იწვევენ, განსაკუთრებით სიმპტომატური მნიშვნელობა ენიჭება. რით დამთავრდება თათბირი, «აიღებს» თუ არა ის ძალაუფლებას, «დასთმობს» თუ არა კერენსკი, — ყოველივე ეს ისეთი საკითხებია, რომლებზეც პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია. შესაძლებელია, რომ თათბირის ინიციატორები შეეცდებიან გამონახონ «შეთანხმების» რაიმე მოხერხებული ფორმულა. მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, ამაში როდია. რევოლუციის ძირითადი საკითხები, განსაკუთრებით კი ძალაუფლების საკითხი, თათბირებზე როდი წყდება. მაგრამ ერთი რამ უეჭველია, — ეს არის ის, რომ თათბირი შეაჯამებს უკანასკნელი დღეების ამბებს, იგი მოახდენს ძალთა გამოანგარიშებას, იგი გამოამჟღავნებს განსხვავებას რუსეთის რევოლუციის პირველ, განვლილ, და მეორე, მზარდ, ტალღას შორის.

და ჩვენ გავიგებთ, რომ:

იქ, პირველი ტალღის დროს, იყო ბრძოლა ცარიზმთან და მის ნაშთებთან. აქ, მეორე ტალღის დროს, არის ბრძოლა მემამულეებთან და კაპიტალისტებთან.

იქ — კავშირი კადეტებთან. აქ — მათთან კავშირის გაწყვეტა.

იქ — ბოლშევიკების იზოლაცია. აქ — კადეტების იზოლაცია.

იქ — კავშირი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალთან დაომი. აქ — მასთან კავშირის გაწყვეტის მომწოფება და ზავი, ზავი სამართლიანი და საყოველთაო.

ასეთი, და მხოლოდ ასეთი, გზით წავა რევოლუციის მეორე ტალღა, რაც არ უნდა გადაწყვიტოს დემოკრატიულმა თათბირმა.

«რაბოჩი პუტ» № 6,
1917 წ. 9 სექტემბერი.

ხელმოწერა: კ. ს ტ ა ლ ი ნ ი

უცხოელები და კორნილოვის შეთქმულება

კორნილოვის შეთქმულებასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია უცხოელების მასობრივად წასვლა რუსეთიდან. ბურჟუაზიული პრესის დაქირავებულნი ცდილობენ ეს მოვლენა დაუკავშირონ «ხმებს ზავის შესახებ» ანდა პიტერსა და მოსკოვში «ბოლშევიზმის გამარჯვებასაც» კი. მაგრამ ეს არის ყვითლების აურზაურიანი და უგუნური ფანდი, რომლის მიზანია — მკითხველს დაუმალონ უცხოელთა წასვლის ნამდვილი მიზეზი. მათი წასვლის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ ზოგი ვინმე უცხოელნი უცილობლად ერივნენ კორნილოვის შეთქმულებაში, ახლა კი ეს მამაცი ვაჟბატონები ცდილობენ კეთილგონივრულად აარიდონ თავი პასუხისმგებლობას.

ცნობილია, რომ იმ ჯავშნიანი მანქანების მომსახურე პირები, რომლებიც თან ახლდნენ პიტერისაკენ დაძრულ «ველურ დივიზიას», უცხოელები იყვნენ.

ცნობილია, რომ მთავარბანაკში მყოფმა საელჩოთა ზოგმა ვინმე წარმომადგენლებმა არა თუ იცოდნენ კორნილოვის შეთქმულების ამბავი, არამედ კიდევაც ეხმარებოდნენ კორნილოვს მის მომზადებაში.

ცნობილია, რომ «Times»-ისა და ლონდონის იმპერიალისტური ხროვის აგენტი ავანტიურისტი ალადინი, რომელიც ინგლისიდან პირდაპირ მოსკოვის თათბირზე ჩამოვიდა, შემდეგ კი მთავარბანაკში «წაბრძანდა», — კორნილოვის შეთქმულების სული და გული იყო.

ცნობილია, რომ რუსეთში მყოფი ყველაზე თვალსაჩინო საელჩოს ერთი ვინმე თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯერ კიდევ ივნისში გარკვეულად ჩაება კალედინთა და სხვათა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში და მათთან თავის კავშირს თავის პატრონთა სალაროდან მიღებული საგრძნობი სუბსიდიებით ამაგრებდა.

ცნობილია, რომ «Times»-ი და «Temps»-ი [79] თავიანთ უკმაყოფილებას არ მალავდნენ კორნილოვის აჯანყების ჩაფუშვის გამო, ამასთან აძაგებდნენ და ლანძღავდნენ რევოლუციურ კომიტეტებსა და საბჭოებს.

ცნობილია, რომ დროებითი მთავრობის კომისრები ფრონტზე იძულებული იყვნენ გარკვეული გაფრთხილებით მიემართათ ზოგ ვინმე უცხოელთათვის, რომელნიც რუსეთში ისე იქცევიან, როგორც ევროპელები ცენტრალურ აფრიკაში.

ცნობილია, რომ, არსებითად, სწორედ ასეთ «ზომებთან» დაკავშირებით დაიწყო უცხოელთა მასობრივად წასვლა რუსეთიდან, ამასთან რუსეთის ხელისუფალნი, რომელთაც არ უნდოდათ ხელიდან გაეშვათ ასეთი საიმედო «მოწმენი», იძულებული გახდნენ ზომები მიეღოთ მათი წასვლის წინააღმდეგ, ხოლო ბიუკენენმა (თვით ბიუკენენმა!), ალბათ, მხილების შიშით, თავის მხრივ მიიღო «ზომები» და წინადადება მისცა ბრიტანეთის კოლონიის წევრებს წასულიყვნენ რუსეთიდან. ახლა ბიუკენენი «კატეგორიულად უარყოფს» იმ «ხმებს», თითქოს დიდი ბრიტანეთის ელჩს წინადადება მიეცეს პეტროგრადში

მყოფ ბრიტანეთის კოლონიის ყველა წევრთათვის — წასულიყვნენ რუსეთიდან (იხ. «რეჩ»). მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს უცნაური «უარყოფა» მხოლოდ ადასტურებს «ხმებს», მეორეც, ვისთვის არის ახლა საჭირო ყალბი «უარყოფა», როდესაც ზოგიერთი უცხოელი («ყველა» კი არა, — ზოგიერთი!) უკვე წავიდა — გაიპარა?

ყოველივე ეს, ვიმეორებთ, ცნობილი და გადაღეჭილია.

ყოველივე ამას თვით «უტყვი ქვანი» ღაღადებენ.

და თუ, ყოველივე ამის შემდეგ, რომელიღაც «მთავრობის წრეები», განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული პრესა, ცდილობენ საკითხი მიიჩქმალონ და «ბრალი» ბოლშევიკებს დააკისრონ, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ეს «წრეებიც» და ეს პრესაც მთლიანად იზიარებენ «გულში» «ზოგ ვინმე უცხოელთა» კონტრრევოლუციურ ზრახვებს.

მოუსმინეთ «სოციალისტური აზრის» ორგანოს, გაზეთ «დენს».

«რუსეთიდან უცხოელთა — ფრანგთა და ინგლისელთა — მასობრივად წასვლის გამო დროებითი მთავრობის წრეებში მწუხარებით აღნიშნავენ: სრულებით არ არის გასაკვირველი, რომ იმ უწონასწორო მდგომარეობის დროს, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, უცხოელები ამჯობინებენ თავი აარიდონ უსიამოვნებას. აკი, სამწუხაროდ, არც თუ უსაფუძვლოდ ლაპარაკობენ, რომ ბოლშევიკების სრული გამარჯვების შემთხვევაში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები რუსეთის საზღვრების დატოვებას ირჩევენო» («დენ», 10 სექტემბერი).

ასე წერს ბოლშევიზმის აჩრდილით დაშინებულ ფილისტერთა ორგანო.

ასე «აღნიშნავენ», თანაც «მწუხარებით», დროებითი მთავრობის რომელიღაც, სრულიად უცნობი «წრეები».

ეჭვი შეუძლებელია: ყველა ქვეყნის ყვითლები ერთიანდებიან და შეთქმულებას აწყობენ რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ; ბანკის ორგანოთა კალმოსნები ცდილობენ ეს «მუშაობა» დაფარონ ხმაურით — ყალბი ფრაზებით

«ბოლშევიკური საფრთხის» შესახებ; ხოლო მთავრობის სრულიად უცნობი «წრეები», რომლებიც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა ნება-სურვილს ასრულებენ, ფარისევლურად ანიშნებენ ბოლშევიკებზე და უხეიროდ ცდილობენ ხელი დააფარონ გაქცეულ დამნაშავეებს ყალბი სენტენციებით რუსეთში არსებული «უწონასწორო მდგომარეობის» შესახებ.

აი სურათი...

«რაბოჩი პუტ» № 8,
1917 წ. 12 სექტემბერი.

ხელმოწერა: ჯ.

დემოკრატიული თათბირისათვის

დღეს იხსნება დემოკრატიული თათბირი.

ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რატომ მოიწვიეს სახელდობრ თათბირი, და არა საბჭოების ყრილობა. უეჭველია, რომ ყრილობის მიერ არჩეულმა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელმაც მძიმე ისტორიულ მომენტში საბჭოების ყრილობას კი არ მიმართა, არამედ ბურჟუაზიული ელემენტების მონაწილეობით გამართულ თათბირს, — ამით მოახდინა არა მარტო უხეში ფორმალური დარღვევა, არამედ შეუწყნარებელი შეცვლაც რევოლუციური კლასების ნება-სურვილისა ანტირევოლუციური კლასების ნება-სურვილით. ცხადია, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბელადებს «იდეა» ჰქონდათ — რაც უნდა ყოფილიყო გაეძვრინათ ცენზიანი ელემენტები...

ნურც იმაზე ვილაპარაკებთ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა მთელი რიგი საბჭოები, რომლებმაც პირისპირ შეტაკებაში დაამარცხეს კონტრრევოლუციის რაზმები, ხმის უფლებას მოკლებულნი აღმოჩნდნენ იმ თათბირზე, სადაც უნდა გადაწყდეს ძალაუფლების საკითხი, ამავე დროს კი ცენზიანმა ელემენტებმა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დახმარებას უწევდნენ კონტრრევოლუციას, ეს უფლება მიიღეს. რევოლუციების ისტორიაში ბურჟუაზია

საერთოდ ხალისით თანხმდებოდა, რომ მუშებსა და გლეხებს მარტოდმარტო ებრძოლათ, თავიანთი თავის იმედით, მაგრამ ბურჟუაზია ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდა იმას, რომ გამარჯვებულ მუშებსა და გლეხებს ესარგებლათ თავიანთი გამარჯვების ნაყოფით და თვითონ ჩასდგომოდნენ სათავეში ხელისუფლებას. ჩვენ არ გვეგონა, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამ მხრივ ბურჟუაზიის გზას დაადგებოდა და მით საბოლოოდ შეირცხვენდა თავს...

სავსებით გასაგებია, რომ მუშათა და ჯარისკაცთა მთელი რიგი ორგანიზაციები ადგილებზე, ზურგში და ფრონტზე, რუსეთის ცენტრალურ რაიონსა და ხარკოვში, დონეცის აუზსა და ციმბირში, სამარასა და დვინსკში — უდიდესი პროტესტით შეხვდნენ რევოლუციის უფლებათა ამ აშკარა დარღვევას.

მაგრამ, ვიმეორებ, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. გადავიდეთ მთავარ საკითხზე.

თათბირი იმისათვის არის მოწვეული, რომ დასახოს პირობები, რაც აუცილებელია «რევოლუციური ძალაუფლების მოსაწყობად».

ამრიგად, როგორ მოვაწყოთ ძალაუფლება?

ეჭვი არ არის, რომ შეიძლება მოაწყო ის, რაცა გაქვს, — არ შეიძლება მოაწყო ძალაუფლება, რომელსაც სხვები ჰფლობენ. თათბირი, რომელიც ხელს ჰკიდებს იმ ძალაუფლების მოწყობას, რომელიც მას არა აქვს, რომელიც მთლიანად კერენსკის ხელშია და რომელიც კერენსკიმ ერთხელ უკვე მიმართა «საბჭოებისა და ბოლშევიკების» წინააღმდეგ პიტერში, — ეს თათბირი შეიძლება ყოვლად სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს სიტყვიდან საქმეზე გადასვლის პირველი ცდისთანავე.

ვინაიდან ორში ერთი:

ან თათბირი ნამდვილად «აიღებს» ძალაუფლებას, მიუხედავად ყველაფრისა, — და მაშინ შეიძლება და საჭიროც არის ლაპარაკი მის მიერ დაპყრობილი რევოლუციური ძალაუფლების მოწყობაზე.

ან თათბირი ძალაუფლებას არ «აიღებს», კერენსკისთან კავშირის გაწყვეტას არ ისურვებს, — და მაშინ ძალაუფლების მოწყობაზე ლაპარაკი გარდუვალად უნდა იქცეს ფუჭ ლაყბობად.

მაგრამ დავუშვათ — დავუშვათ ერთი წუთით, — რომ ძალაუფლება რაღაც სასწაულით აღებულია და მისი მოწყობა-ღა დაგვრჩენია. საკითხავია, როგორ უნდა მოვაწყოთ ის? რა საწყისებზე ავაგოთ?

— ბურჟუაზიასთან კოალიციის საწყისებზე! — გუნდად გვიპასუხებენ ავქსენტიევები და წერეთლები.

— ბურჟუაზიასთან კოალიციის იქით ხსნა არ არის! — გაჰყვირიან «დენი», «ვოლია ნაროდა» და იმპერიალისტური ბურჟუაზიის სხვა დამქაშები.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ბურჟუაზიასთან კოალიციის ექვსი თვის გამოცდილება. რა მოგვცა ამ კოალიციამ, გარდა ნგრევის გამწვავებისა და მტანჯველი შიმშილისა, გარდა ომის გაჭიანურებისა და მეურნეობის დაშლისა, გარდა ხელისუფლების ოთხი კრიზისისა და კორნილოვის აჯანყებისა, გარდა ქვეყნის გაჩანაგებისა და დასავლეთისადმი ფინანსურად დამონებისა?

განა ეს არ კმარა ბ-ნ შემთანხმებელთათვის?

ლაპარაკობენ კოალიციის ძალასა და ძლიერებაზე, რევოლუციის «ბაზის გაფართოებაზე» და სხვ. მაგრამ რატომ მოხდა, რომ ბურჟუაზიასთან კოალიცია, კადეტებთან კოალიცია მაშინვე გაცამტვერდა, როგორც კი კორნილოვის აჯანყება დაიწყო? განა კადეტები არ გაიქცნენ მთავრობიდან, როგორც დეზერტირები? სად არის კოალიციის

«ძალა» და სად არის აქ რევოლუციის «ბაზის გაფართოება»?

მიხვდებიან კი ოდესმე ბ-ნი შემთანხმებლები, რომ დეზერტირებთან შეკავშირებით «რევოლუციის ხსნა» შეუძლებელია?

ვინ დაიცვა რევოლუცია და მისი მონაპოვარნი კორნილოვის აჯანყების დღეებში?

იქნებ «ლიბერალურმა ბურჟუაზიამ»? მაგრამ ის ხომ იმ დღეებში კორნილოველებთან ერთ ბანაკში იყო რევოლუციისა და მისი კომიტეტების წინააღმდეგ. მილიუკოვი და მაკლაკოვი ახლა აშკარად ლაპარაკობენ ამაზე.

იქნებ «ვაჭარ-მრეწველთა კლასებმა»? მაგრამ ისინიც ხომ იმ დღეებში კორნილოვთან ერთ ბანაკში იყვნენ. «საზოგადო მოღვაწენი» კორნილოვის ყოფილ მთავარბანაკში, გუჩკოვი, რიაბუშინსკი და კომპანია, ახლა აშკარად ლაპარაკობენ ამაზე.

მიხვდებიან კი ოდესმე ბ-ნი შემთანხმებლები, რომ ბურჟუაზიასთან კოალიცია კორნილოვებთან და ლუკომსკებთან კავშირია?

ლაპარაკობენ მრეწველობის ნგრევის გამწვავებაზე, ამავე დროს კი ფაქტებზე დაყრდნობით ამხილებენ კაპიტალისტ-მელოკაუტეებს წარმოების განზრახ შემცირებაში... ლაპარაკობენ ნედლეულის ნაკლებობაზე, ამავე დროს კი ფაქტებზე დაყრდნობით ამხილებენ ვაჭარ-სპეკულანტებს ბამბის, ნახშირისა და სხვ. გადამალვაში... ლაპარაკობენ ქალაქებში გამეფებულ შიმშილზე, ამავე დროს კი ბანკებს, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან, ფაქტებზე დაყრდნობით ბრალი ედებათ პურის მოზიდვის ხელოვნურად შეფერხებაში... მიხვდებიან კი ოდესმე ბ-ნი შემთანხმებლები, რომ ბურჟუაზიასთან კოალიცია, ცენზიან ელემენტებთან კოალიცია არის თაღლითებთან და სპეკულანტებ-

თან კავშირი, მაროდიორებთან და მელოკაუტეებთან კავშირი?

და განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ მხოლოდ მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ბრძოლით, მხოლოდ ყველა ჯურის იმპერიალისტებთან ბრძოლით, მხოლოდ მათთან ბრძოლით და მათზე გამარჯვებით — შევძლებთ ვიხსნათ ქვეყანა შიმშილისა და ნგრევისაგან, მეურნეობრივად დაუძლურებისა და ფინანსური კრახისაგან, რღვევისა და გაველურებისაგან?

და თუ საბჭოები და კომიტეტები რევოლუციის მთავარი ბურჯები აღმოჩნდნენ, თუ საბჭოებმა და კომიტეტებმა აჯანყებული კონტრრევოლუცია დაამარცხეს, — განა ამით ცხადი არ არის, რომ ისინი, და მხოლოდ ისინი, უნდა იყვნენ ახლა ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური ძალაუფლების ძირითადი მპყრობელნი?

თქვენ გვეკითხებით: როგორ მოვაწყოთ რევოლუციური ძალაუფლება?

ის ხომ უკვე ეწყობა თათბირის გარეშე და, შეიძლება, წინააღმდეგ თათბირისა, კონტრრევოლუციასთან ბრძოლის მსვლელობაში, ბურჟუაზიასთან ფაქტიურად კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე, ამ ბურჟუაზიასთან ბრძოლით, — ეწყობა რევოლუციური მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისაგან.

ამ ძალაუფლების ელემენტებია რევოლუციური კომიტეტები და საბჭოები ზურგში და ფრონტზე.

ამ ხელისუფლების ჩანასახია ის მემარცხენე ფრთა, რომელიც, ალბათ, თათბირზე შეიქმნება.

თათბირს მოუხდება გააფორმოს და დაამთავროს ეს პროცესი რევოლუციური ხელისუფლების აღმოცენებისა, ანდა სამოწყალოდ დანებდეს კერენსკის და ასპარეზს ჩამოშორდეს.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უკვე შეეცადა გუშინ რევოლუციურ გზას დადგომოდა, როდესაც კადეტებთან კოალიციაჟ უარყო.

მაგრამ კადეტები ერთადერთი სერიოზული ბურჟუაზიული პარტიაა. მიხვდებიან კი ბ-ნი შემთანხმებლები, რომ უკვე აღარ დარჩენილა ისეთი ბურჟუაზიული წრეები, რომლებთანაც კოალიციის მოწყობა შეიძლებოდეს?

ეყოფათ თუ არა მათ გამბედაობა — მოახდინონ არჩევანი?

ამას მომავალი დაგვანახვებს.

«რაბოჩი პუტ» № 10,
1917 წ. 14 სექტემბერი.

მოწინავე.

ორი ხაზი

რევოლუციის ძირითადი საკითხი ძალაუფლების საკითხია. რევოლუციის ხასიათი, მისი მსვლელობა და შედეგი, მთლიანად განისაზღვრება იმით, თუ ვის ხელშია ძალაუფლება, რომელი კლასი დგას ხელისუფლების სათავეში. ხელისუფლების ეგრეთწოდებული კრიზისი სხვა არა არის რა, თუ არა გარეგანი გამოხატულება კლასების ბრძოლისა ძალაუფლებისათვის. რევოლუციური ეპოქა სწორედ იმით არის შესანიშნავი, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლა აქ განსაკუთრებით მწვავე და გაშიშვლებულ ხასიათს იღებს. აქედან წარმოდგება ხელისუფლების «ქრონიკული» კრიზისი ჩვენში, რაც ამასთანავე მწვავდება ომით, ნგრევით, შიმშილით. აქედან წარმოდგება ის «განსაცვიფრებელი» ფაქტი, რომ ვერც ერთი «თათბირი», ვერც ერთი «ყრილობა» ჩვენს დროში გვერდს ვერ უვლის ძალაუფლების საკითხს.

გვერდი ვერ აუარა ამ საკითხს დემოკრატიულმა თათბირმაც, რომელიც ალექსანდრეს თეატრში მიმდინარეობს.

ძალაუფლების საკითხში ამ თათბირზე ორი ხაზი დაისახა.

პირველი ხაზი — ეს არის ხაზი აშკარა კოალიციისა კადეტების პარტიასთან. მას ქადაგებენ ობორონცები მენშევიკებიდან და ესერებიდან. თათბირზე მას იცავდა ნაფიცი შემთანხმებელი წერეთელი.

მეორე ხაზი — ეს არის ხაზი კადეტთა პარტიასთან კავშირის რადიკალურად გაწყვეტისა. მას ქადაგებენ ჩვენი პარტია და ინტერნაციონალისტები ესერებიდან და მენშევიკებიდან. თათბირზე მას იცავდა კამენევი.

პირველ ხაზს მივყავართ ხალხზე იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებისაკენ. ვინაიდან კოალიციური მთავრობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ კადეტებთან კოალიცია არის მემამულის ბატონობა გლეხზე, რომელსაც მიწას არ აძლევენ, კაპიტალისტის ბატონობა მუშაზე, რომელსაც უმუშევრობას განუმზადებენ, უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე, რომელსაც განუმზადებენ განადგურებას ომითა და ნგრევით, შიმშილითა და გაპარტახებით.

მეორე ხაზს მივყავართ მემამულეებსა და კაპიტალისტებზე ხალხის ბატონობის დამყარებისაკენ. ვინაიდან კადეტებთან კავშირის გაწყვეტა — სწორედ ეს ნიშნავს უზრუნველყო მიწა გლეხებისათვის, კონტროლი — მუშებისათვის, სამართლიანი ზავი — მშრომელი უმრავლესობისათვის.

პირველი ხაზი გამოხატავს ნდობას არსებული მთავრობისადმი, მთლიანად უტოვებს მას ხელში სრულ ძალაუფლებას.

მეორე — უნდობლობას უცხადებს მას, იბრძვის იმისათვის, რომ ძალაუფლება გადავიდეს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების პირდაპირი წარმომადგენლების ხელში.

არიან ადამიანები, რომლებიც ოცნებობენ ამ ორი შეურიგებელი ხაზის შერიგებაზე. ასეთია, მაგალითად, ჩერნოვი, რომელიც თათბირზე გამოვიდა კადეტების წინააღმდეგ, მაგრამ კაპიტალისტებთან კოალიციის სასარგებლოდ, თუ (!) კაპიტალისტები ხელს აიღებენ (!) თავიანთ ინტერესებზე. ჩერნოვის «პოზიციის» შინაგანი სიყალბე

თავისთავად ცხადია, მაგრამ აქ საქმე იმაში კი არ არის, რომ ეს პოზიცია წინააღმდეგობით არის გამსჭვალული, არამედ იმაშია, რომ ის კონტრაბანდულად აპარებს წერეთლისეულ ნაგავს კადეტების პარტიასთან კოალიციის შესახებ.

ვინაიდან ეს პოზიცია გზას უკაფავს კერენსკის, «თათბირის პლატფორმაზე დაყრდნობით», «შეავსოს» მთავრობა სხვადასხვა ბურიშკინებითა და კიშკინებით, რომელნიც მზად არიან ხელი მოაწერონ ყოველგვარ პლატფორმას იმისათვის, რომ ცხოვრებაში არ გაატარონ იგი.

ვინაიდან ის, სწორედ ეს ყალბი «პოზიცია» უადვილებს კერენსკის საბჭოებთან და კომიტეტებთან ბრძოლას, ხელში აძლევს მას იარაღს სათათბირო ხასიათის მქონე «წინა-პარლამენტის» სახით.

ჩერნოვის «ხაზი» იგივე წერეთლის ხაზია, მაგრამ «ოსტატურად» შენიღბული იმისათვის, რომ «კოალიციის» ბადეში გააბას ზოგიერთი გულუბრყვილონი.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თათბირი ჩერნოვის კვალს გაჰყვება.

მაგრამ თათბირი უკანასკნელი ინსტანცია როდია.

ზემოთ დახასიათებული ორი ხაზი გამოხატავს მხოლოდ იმას, რაც ცხოვრებაშია. ცხოვრებაში კი ჩვენ გვყავს არა ერთი, არამედ ორი ხელისუფლება: ოფიციალური ხელისუფლება, — დირექტორია, და არაოფიციალური ხელისუფლება, — საბჭოები და კომიტეტები.

ბრძოლა ამ ორ ხელისუფლებას შორის, ჯერჯერობით ფარული და შეუცნობელი, — აი მომენტის დამახასიათებელი ნიშანი.

თათბირი, როგორც ჩანს, მოწოდებულია გახდეს ის ზედმეტი საწონი, რომელიც წყვეტს ძალაუფლების საკითხს დირექტორიის სასარგებლოდ.

მაგრამ დაე იცოდნენ ბ-მა ფარულმა და აშკარა შემთანხმებლებმა, რომ ვინც დირექტორიის მხარეზე გამოდის, ის ამაგრებს ბურჟუაზიის ხელისუფლებას, ის გარდუვალად ექცევა კონფლიქტში მუშათა და ჯარისკაცთა მასებთან, ის უნდა გამოვიდეს საბჭოებისა და კომიტეტების წინააღმდეგ.

ბ-მა შემთანხმებლებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, **რომ** უკანასკნელი სიტყვა რევოლუციურ კომიტეტებსა და საბჭოებს ეკუთვნის.

«რაბოჩი პუტ» № 12,
1917 წ. 16 სექტემბერი.

მოწინავე.

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!

რევოლუცია მიმდინარეობს. ივლისის დღეებში ტყვიებით დაცხრილული და მოსკოვის თათბირზე «დასამარებული», ის კვლავ იმართება წელში, — ამსხვრევს ძველ დაბრკოლებებს, ქმნის ახალ ხელისუფლებას. კონტრრევოლუციის სანგრების პირველი ხაზი აღებულია. კორნილოვის კვალდაკვალ უკან იხევს კალედინი. ბრძოლის ცეცხლში ცოცხლდებიან თითქოს მომკვდარი საბჭოები. ისინი კვლავ დგებიან საჭესთან და რევოლუციურ მასებს უძღვებიან.

მთელი ძალაუფლება საბჭოებს! — ასეთია ახალი მოძრაობის ლოზუნგი.

ახალი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდის კერენსკის მთავრობა. კორნილოვის აჯანყების პირველივე დღეებში გამოვიდა ის მუქარით, რომ დაშლიდა რევოლუციურ კომიტეტებს, ხოლო კორნილოვშჩინასთან ბრძოლას «თვითნებობად» ნათლავდა. მას შემდეგ კომიტეტების წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, უკანასკნელ დროს კი აშკარა ომად იქცა.

სიმფეროპოლის საბჭო აპატიმრებს კორნილოვის შეთქმულების თანამონაწილეს, საკმაოდ ცნობილ რიაბუშინსკის. კერენსკის მთავრობა კი, ამის პასუხად, განკარგულებას იძლევა, რომ «მიღებულ იქნას ზომები რიაბუშინსკის გან-

სათავისუფლებლად და იმ პირების პასუხისგებაში მისაცემად, რომლებმაც ის უკანონოდ დააპატიმრეს» («რეჩ»).

ტაშკენტში მთელი ძალაუფლება გადადის საბჭოს ხელში, ამასთან ძველი ხელისუფალნი გადააყენეს. კერენსკის მთავრობა კი, ამის პასუხად, «იღებს მთელ რიგ ზომებს, რომლებსაც ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ რომლებმაც აუცილებლად გონს უნდა მოიყვანონ ტაშკენტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავგასული მოღვაწენი» («რუსსკიე ვედომოსტი»).

საბჭოები მოითხოვენ კორნილოვისა და მის თანამებრძოლთა საქმის მკაცრად და ყოველმხრივ გამოძიებას. კერენსკის მთავრობა კი, ამის პასუხად, «ზღუდავს გამოძიებას პიროვნებათა უმნიშვნელო წრით, არ იყენებს ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან წყაროებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიდნენ იმას, რომ კორნილოვის დანაშაული კვალიფიცირებული ყოფილიყო, როგორც სამშობლოსადმი ღალატი, და არა როგორც მხოლოდ ამბოხება» (შუბნიკოვის მოხსენება, «ნოვაია ჟიზნ»).

საბჭოები მოითხოვენ კავშირის გაწყვეტას ბურჟუაზიასთან და პირველ რიგში კადეტებთან. კერენსკის მთავრობა კი, ამის პასუხად, მოლაპარაკებას მართავს კიშკინებთან და კონოვალოვებთან, მთავრობაში იწვევს მათ, აცხადებს მთავრობის «დამოუკიდებლობას» საბჭოებისაგან.

მთელი ძალაუფლება იმპერიალისტურ ბურჟუაზიას! — ასეთია კერენსკის მთავრობის ლოზუნგი.

ეჭვი შეუძლებელია. ჩვენს წინაშეა ორი ძალაუფლება: კერენსკისა და მისი მთავრობის ძალაუფლება, და საბჭოებისა და კომიტეტების ძალაუფლება.

ბრძოლა ამ ორ ძალაუფლებას შორის — აი ახლანდელი მომენტის დამახასიათებელი ნიშანი.

ან კერენსკის მთავრობის ძალაუფლება, — და მაშინ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა, ომი და ნგრევა.

ან საბჭოების ძალაუფლება, — და მაშინ მუშებისა და გლეხების ბატონობა, ზავი და ნგრევის ლიკვიდაცია.

ასე და მხოლოდ ასე სვამს კითხვას თვით ცხოვრება.

ხელისუფლების ყოველი კრიზისის დროს აყენებდა რევოლუცია ამ კითხვას. ბ-ნი შემთანხმებლები ყოველთვის თავს იძვრენდნენ პირდაპირი პასუხის გაცემისაგან და, თავს რომ იძვრეწდნენ, თან მტრებს აძლევდნენ ძალაუფლებას. თათბირის მოწვევით, ნაცვლად საბჭოების ყრილობისა, შემთანხმებლებს სურდათ ერთხელ კიდევ დაეძვრინათ თავი ბურჟუაზიისათვის ძალაუფლების დათმობით. მაგრამ ისინი ანგარიშში მოტყუვდნენ. დადგა დრო, როდესაც თავის დაძვრენა აღარ შეიძლება.

ცხოვრების მიერ დასმულ პირდაპირ კითხვაზე საჭიროა ნათელი და გარკვეული პასუხი.

საბჭოების მხარეზე თუ მათ წინააღმდეგ!

დაე აირჩიონ ბ-ნმა შემთანხმებლებმა.

«რაბოჩი პუტ» № 13,
1917 წ. 17 სექტემბერი.

მოწინავე.

რევოლუციური ფრონტის შესახებ

ბოლშევიკებით უკმაყოფილონი არიან «ღელო ნაროდას» ესერები. ბოლშევიკებს ლანძღავენ, ბოლშევიკებს აძაგებენ, ბოლშევიკებს, ბოლოს, ემუქრებიან. რისთვის? «თავაშვებული დემაგოგიისათვის», «ფრაქციული სექტანტობისათვის», «გამთიშველობისათვის», «რევოლუციური დისციპლინის» უქონლობისათვის. მოკლედ: იმისათვის, რომ ბოლშევიკები წინააღმდეგი არიან «დელო ნაროდას» ესერებთან ერთიანობისა.

ერთიანობა «დელო ნაროდას» ესერებთან... მაგრამ თვითონ განსაჯეთ, შესაძლებელია თუ არა ახლა ასეთი ერთიანობა.

იმ დროს, როდესაც დემოკრატიული თათბირი პიტერში ლაყბობას გადაჰყოლია, თათბირის ინიციატორები კი საჩქაროდ იმუშავებენ რევოლუციის «ხსნის» ფორმულებს, მაშინ როდესაც კერენსკის მთავრობა, ბიუკენენ-მილიუკოვის მიერ წაქეზებული, განაგრძობს «თავისი» გზით სვლას, — რუსეთში მიმდინარეობს გადამწყვეტი პროცესი ახალი ძალაუფლების ზრდისა, ნამდვილად ხალხური, ნამდვილად რევოლუციური ძალაუფლებისა, რომელიც ეწევა გააფთრებულ ბრძოლას არსებობისათვის. ერთი მხრით — საბჭოები, რომელნიც სათავეში უდგანან რევოლუციას, სათავეში უდგანან ბრძოლას კონტრრევოლუციის

წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული, რომელმაც მხოლოდ უკან დაიხია და გონივრულად დაიმალა მთავრობის ზურგს უკან. მეორე მხრით — კერენსკის მთავრობა, რომელიც ხელს აფარებს კონტრრევოლუციონერებს, რომელიც უთანხმდება კორნილოველებს (კადეტები!), რომელმაც ომი გამოუცხადა საბჭოებს და ცდილობს დაამარცხოს ისინი, რათა თვითონ არ იქნას დამარცხებული.

ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში — ეს არის ახლა თავიდათავი.

ან საბჭოების ძალაუფლება და მაშინ — რევოლუციის გამარჯვება და სამართლიანი ზავი.

ან კერენსკის მთავრობის ძალაუფლება და მაშინ — კონტრრევოლუციის გამარჯვება და «ომი ბოლომდე»... რუსეთის სრულ გამოფიტვამდე.

თათბირი არ წყვეტს საკითხს, — იგი მხოლოდ ასახავს ამ ბრძოლას და ასახავს, რა თქმა უნდა, დიდი დაგვიანებით.

ამიტომ ახლა ძირითადია არა რევოლუციის «ხსნის» ზოგადი ფორმულის გამომუშავება, — არამედ საბჭოებისათვის პირდაპირი მხარდაჭერა მათს ბრძოლაში კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ.

თქვენ გსურთ ერთიანი რევოლუციური ფრონტი? მხარი დაუჭირეთ საბჭოებს, გაწყვიტეთ კავშირი კერენსკის მთავრობასთან, — და ერთიანობა თავისთავად მოვა. ფრონტის ერთიანობა ყალიბდება არა კამათის შედეგად, არამედ ბრძოლის მსვლელობაში.

საბჭოები მოითხოვენ კადეტი კომისრების გადაყენებას. კერენსკის მთავრობა კი მათ თავზე ახვევს მათთვის არასასურველ კომისრებს და ემუქრება ძალის გამოყენებით...

ვის მხარეზე ხართ თქვენ, მოქალაქენო «დელო ნაროდადან», საბჭოების თუ კერენსკის კომისრების მხარეზე?

ტაშკენტში საბჭომ, რომლის უმრავლესობა ესერებისაგან შედგება, თავის ხელში აიღო ძალაუფლება და გადააყენა ძველი მოხელენი. კერენსკის მთავრობა კი იქ გზავნის დამსჯელ ექსპედიციას და მოითხოვს ძველი ხელისუფლების აღდგენას, საბჭოს «დასჯას» და სხვ. ...

ვის მხარეზე ხართ თქვენ, მოქალაქენო «დელო ნაროდადან», ტაშკენტის საბჭოს თუ კერენსკის მიერ გაგზავნილი დამსჯელი ექსპედიციის მხარეზე?

— პასუხი არ არის. ვინაიდან ჩვენ არ ვიცით არც ერთი პროტესტი, არც ერთი აქტი «დელო ნაროდას» მიმდევართა ბრძოლისა ბ-ნ კერენსკის ამ კონტრრევოლუციურ ვარჯიშობათა წინააღმდეგ.

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. პიტერელი ესერი კერენსკი, რომელიც დირექტორიაში ზის, «ტყვიამფრქვევებით» შეიარაღებული ილაშქრებს იმ ესერების წინააღმდეგ, რომელნიც ტაშკენტის საბჭოში სხედან, ხოლო ესერების პარტიის ცენტრალური ორგანო «დელო ნაროდა» ღრმააზროვნად დუმს, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს! ესერი კერენსკი აპირებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართოს ტაშკენტელ ესერებს, «დელო ნაროდა» კი, ბეჭდავს რა კერენსკის პოგრომულ «ბრძანებას», შესაძლებლად თვლის დუმილით აუაროს მას გვერდი, — როგორც ჩანს, «ნეიტრალიტეტს» იცავს!

მაგრამ ეს რა პარტიაა, რომლის წევრებიც ერთიმეორესთან ხელჩართულ ბრძოლამდე მიდიან, ამავე დროს კი ამ პარტიის ცენტრალური ორგანო აშკარა წაყრუებას იჩენს?

გველაპარაკებიან რევოლუციური ფრონტის ერთიანობაზე. მაგრამ ერთიანობა ვისთან?

ესერების პარტიასთან, რომელსაც თავისი აზრი არა აქვს, ვინაიდან იგი დუმს?

კერენსკის ჯგუფთან, რომელიც საბჭოების დარბევას აპირებს?

თუ ტაშკენტელ ესერთა ჯგუფთან, რომელნიც ქმნიან ახალ ძალაუფლებას რევოლუციისა და მის მონაპოვართა გულისათვის?

ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ტაშკენტის საბჭოს, ჩვენ რევოლუციურ ესერებთან საერთო რიგებში ვიბრძოლებთ, მათთან ჩვენ ერთიანი ფრონტი გვექნება.

მაგრამ მიხვდებიან თუ არა როდისმე მოქალაქენი «დელო ნაროდადან», რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ტაშკენტელებსაც უჭერდე მხარს და კერენსკისაც, ვინაიდან ვინც მხარს უჭერს ტაშკენტელებს, ის წყვეტს კავშირს კერენსკისთან?

მიხვდებიან თუ არა ისინი როდისმე, რომ, რაკი არ წყვეტენ კავშირს კერენსკის მთავრობასთან და იცავენ «ნეიტრალიტეტს», ამით ისინი ღალატობენ თავისი ტაშკენტელი ამხანაგების საქმეს?

მიხვდებიან თუ არა ისინი როდისმე, რომ ვიდრე ბოლშევიკებთან ფრონტის ერთიანობას მოითხოვდნენ, საჭიროა ჯერ თავის სახლში, თავისსავე პარტიაში, დაამყარონ ეს ერთიანობა, გარკვევით გაწყვიტონ კავშირი **ან** კერენსკისთან, **ან** მემარცხენე ესერებთან?

თქვენ გსურთ ბოლშევიკებთან ფრონტის ერთიანობა? გაწყვიტეთ კავშირი კერენსკის მთავრობასთან, მხარი დაუჭირეთ საბჭოებს მათს ბრძოლაში ძალაუფლებისათვის — და ერთიანობაც იქნება.

რატომ ჩამოყალიბდა ერთიანობა ისე იოლად და მარტივად კორნილოვის აჯანყების დღეებში?

იმიტომ, რომ მაშინ ის წარმოიშვა არა დაუსრულებელი კამათის შედეგად, არამედ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის მსვლელობაში.

კონტრრევოლუცია ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. მან მხოლოდ უკან დაიხია, ზურგს უკან ამოეფარა კერენსკის მთავრობას. რევოლუციამ უნდა აიღოს კონტრრევოლუციის სანგრების ეს მეორე ხაზიც, თუ მას სურს გაიმარჯვოს. საბჭოების წარმატებითი ბრძოლა ძალაუფლებისათვის — სწორედ ეს არის ამ გამარჯვების საბოლოოდ მოპოვება. ვისაც არ სურს მოხვდეს «ბარიკადის იქითა მხარეს», ვისაც არ სურს თავის წინააღმდეგ აიმხედროს საბჭოები, ვისაც სურს რევოლუციის გამარჯვება, მან კავშირი უნდა გაწყვიტოს კერენსკის მთავრობასთან, მან მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოების ბრძოლას.

თქვენ გსურთ რევოლუციური ფრონტის ერთიანობა? მხარი დაუჭირეთ საბჭოებს დირექტორიის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირეთ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას გადაჭრით და ბოლომდე, — და მაშინ ერთიანობა ჩამოყალიბდება თავისთავად, მარტივად და ბუნებრივად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კორნილოვის აჯანყების დღეებში.

საბჭოებთან თუ მათ წინააღმდეგ? — აირჩიეთ, მოქალაქენო «დელო ნაროდადან»!

«რაბოჩი პუტ» № 14,
1917 წ. 19 სექტემბერი.

მოწინავე.

ბოკრკილებს ჰედავენ

შემთანხმებლური მანქანა ამუშავდა. ზამთრის სასახლე, ეს პოლიტიკური სამაჭანკლო სახლი, სტუმრებით არის სავსე. ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს? მოსკოველი კორნილოველები და პიტერელი სავინკოველები, კორნილოვის «მინისტრი» ნაბოკოვი და განიარაღების გმირი წერეთელი, საბჭოების დაუძინებელი მტერი კიშკინი და განთქმული მელოკაუტე კონოვალოვი, პოლიტიკურ დეზერტირთა პარტიის (კადეტები!) წარმომადგენლები და ბერკენგეიმის ჯიშის კოოპერატორი ზუბრები, დამსჯელი ექსპედიციების პარტიის (ესერები!) წარმომადგენლები და დუშეჩკინის ყაიდის მემარჯვენე ერობელები, პოლიტიკური მაჭანკლები დირექტორიიდან და ცნობილი ჯიბესქელები «საზოგადო მოღვაწეთაგან», — აი ისინი, ღირსპატივცემული სტუმრები.

ერთი მხრით — კადეტები და მრეწველები.

მეორე მხრით — ობორონცები და კოოპერატორები.

იქ მრეწველები, როგორც დასაყრდენი, და კადეტების არმია.

აქ კოოპერატორები, როგორც დასაყრდენი, და ობორონცების არმია, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ობორონცებმა საბჭოები დაკარგეს, ისინი უნდა გადასულიყვნენ ძველ პოზიციებზე, კოოპერატორებთან.

— «ჩამოიშორეთ ბოლშევიკები» და მაშინ «ბურჟუაზიასა და დემოკრატიას საერთო ფრონტი ექნებათ», — ეუბნება ობორონცებს კიშკინი.

— მზად ვართ გემსახუროთ, — უპასუხებს ავქსენტიევი, — მაგრამ ჯერ გვაცალეთ «სახელმწიფოებრივი თვალსაზრისის» დადგენაო.

— «ბურჟუაზია არანაკლებად უნდა უწევდეს ანგარიშს ბოლშევიზმის ზრდას და ზრუნავდეს კოალიციური ხელისუფლების შექმნისათვის, ვიდრე დემოკრატია», — ჩასჩურჩულებს ავქსენტიევს ბერკენგეიმი.

— მზად ვართ გემსახუროთ, — უპასუხებს ავქსენტიევი.

ხომ გესმით: კოალიციური ხელისუფლება თურმე საჭიროა ბოლშევიზმის, ე. ი. საბჭოების, ე. ი. მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— წინაპარლამენტი «სათათბირო ორგანო» უნდა იყოს, ხელისუფლება კი — მისგან «დამოუკიდებელიო», —ამბობს ნაბოკოვი.

— მზად ვარ გემსახუროთ, — უპასუხებს წერეთელი, ვინაიდან იგი თანახმაა, «რომ დროებითი მთავრობა არ იყოს ფორმალურად... პასუხისმგებელი წინაპარლამენტის წინაშე» («რეჩ»).

— წინაპარლამენტი კი არ ქმნის ხელისუფლებას, არამედ, პირიქით, ხელისუფლება ქმნის წინაპარლამენტს, «აცხადებს რა მის შემადგენლობას, კომპეტენციასა და რეგლამენტს», — ამბობს კადეტების დეკლარაცია.

— თანახმა ვარ, — უპასუხებს წერეთელი, — «ხელისუფლებამ სანქცია უნდა მისცეს ამ დაწესებულებას» («ნოვაია ჟიზნ») და განსაზღვროს «მისი კონსტრუქციის ფორმები» («რეჩ»).

ხოლო პატიოსანი მაკლერი ზამთრის სასახლიდან, ბ-ნი კერენსკი, ავტორიტეტულად წარმოთქვამს:

1) «ხელისუფლების ორგანიზაცია და მისი შემადგენლობის შევსება ამჟამად მხოლოდ დროებით მთავრობას ეკუთვნის».

2) «ამ თათბირს (წინაპარლამენტს) არ შეიძლება ჰქონდეს პარლამენტის ფუნქციები და უფლებები».

3) «დროებითი მთავრობა არ შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ამ თათბირის წინაშე» («რეჩ»).

ერთი სიტყვით, კერენსკი «სავსებით ეთანხმება» კადეტებს, ობორონცები კი მზად არიან სამსახურისათვის, — მეტი რაღა გნებავთ?

ტყუილად კი არ იყო, რომ პროკოპოვიჩმა, ზამთრის სასახლეს რომ ტოვებდა, განაცხადა: «შეთანხმება შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოსო».

მართალია, თათბირმა ჯერ კიდევ გუშინ გაილაშქრა კადეტებთან კოალიციის წინააღმდეგ, მაგრამ რას დაგიდევენ ამას ნაფიცი შემთანხმებლები? თუ მათ გაბედეს მოეხდინათ რევოლუციური დემოკრატიის ნება-სურვილის ფალსიფიკაცია, საბჭოების ყრილობის ნაცვლად თათბირი რომ მოიწვიეს, — რატომ არ უნდა მოახდინონ თვით თათბირის ნება-სურვილის ფალსიფიკაციაც? მხოლოდ პირველი ნაბიჯია ძნელი.

მართალია, თათბირმა ჯერ კიდევ გუშინ გამოიტანა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ წინასწარი პარლამენტი «ქმნის» ხელისუფლებას, ხოლო ეს უკანასკნელი «პასუხისმგებელია» მის წინაშე, მაგრამ რას დაგიდევენ ამას ნაფიცი შემთანხმებლები: ოღონდ კოალიცია იყოს დღეგრძელი, თათბირის გადაწყვეტილებები კი... რა ფასი აქვს მათ, თუ ისინი კოალიციას უთხრიან ძირს?

საცოდავი «დემოკრატიული თათბირი»!

საცოდავი გულუბრყვილოდ მიმნდობელი დელეგატები!

განა შეეძლოთ მათ ეფიქრათ, რომ თავიანთი ბელადები აშკარად გასცემდნენ მათ?

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ წვრილბურჟუაზიულ ესერებსა და მენშევიკებს, რომ-

ლებიც ძალას იკრებენ არა მასების რევოლუციურ მოძრაობაში, არამედ ბურჟუაზიული პოლიტიკანების შემთანხმებლურ კომბინაციებში, — არ შესწევთ დამოუკიდებელი პოლიტიკის უნარი.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ შეთანხმებათა პოლიტიკას ისინი მიჰყავს რევოლუციის ინტერესებისადმი ღალატისაკენ.

ახლა ყველა ხედავს, რომ ობორონცობის პოლიტიკური ბანკროტები საკუთარი ხელით ჰედავენ ბორკილებს რუსეთის ხალხებისათვის რევოლუციის მტრების სასიხარულოდ.

ტყუილად კი არ არის, რომ კადეტები თავს კმაყოფილად გრძნობენ, ხელებს იფშვნეტენ და გამარჯვებას წინასწარმეტყველებენ.

ტყუილად კი არ არის, რომ ბ-ნი შემთანხმებლები დამნაშავეებივით გამოიყურებიან და «ნაცემი ძაღლებივით» დაეხეტებიან.

ტყუილად კი არ გაისმის ძლევის ნოტები კერენსკის განცხადებებში.

დიახ, ისინი ზეიმობენ.

მაგრამ მკვიდრი არ არის მათი «გამარჯვება» და სწრაფწარმავალია მათი ზეიმი, ვინაიდან ისინი თავის გეგმებს ადგენენ ბატონ-პატრონის შეუკითხავად, ხალხის შეუკითხავად.

ვინაიდან მოახლოებულია ჟამი, როდესაც მოტყუებული მუშები და ჯარისკაცები, ბოლოს, იტყვიან თავის გადამწყვეტ სიტყვას და ნაფოტებად აქცევენ მათი მოჩვენებითი «გამარჯვების» ხუხულას.

და მაშინ დაე ბ-ნმა შემთანხმებლებმა თავიანთ თავს დააყვედრონ, თუ კოალიციის მთელ ხუხულასთან ერთად მათი საკუთარი ობორონცული ძველმანიც გაცამტვერდება.

«რაბოჩი პუტ» № 19,
1917 წ. 24 სექტემბერი.
მოწინავე.

ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა

თათბირის გარშემო ყალბისმქნელობისა და მთავრობის სასკანდალო დაშლის შემდეგ, მოსკოველ მებირჟეებთან «საუბრისა» და სერ ბიუკენენთან საიდუმლო მისვლა-მოსვლის შემდეგ, ზამთრის სასახლეში სასიყვარულო პაემანთა და შემთანხმებლების მხრით მთელ რიგ გამცემლობათა შემდეგ, — ბოლოს, ჩამოყალიბდა «ახალი» (მთლად ახალი!) მთავრობა.

ექვსი მინისტრი-კაპიტალისტი, როგორც «კაბინეტის» ბირთვი, და ათი მინისტრი-«სოციალისტი» მათ მსახურებად, მათი ნება-სურვილის გამტარებლებად.

მთავრობის დეკლარაცია ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მისი საფუძვლები ცნობილია: «ბრძოლა ანარქიასთან» (ესე იგი: საბჭოებთან!), «ბრძოლა ნგრევასთან» (ესე იგი: გაფიცვებთან!), «არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება» (ესე იგი: ომის განგრძობა და «დისციპლინა»!).

ასეთია ზოგადად კერენსკი-კონოვალოვის მთავრობის «პროგრამა».

ეს ნიშნავს: გლეხები მიწას ვერ იხილავენ, მუშები კონტროლს ვერ მიიღებენ, რუსეთი ზავს ვერ მოიპოვებს.

კერენსკი-კონოვალოვის მთავრობა ომისა და ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობაა.

ათი მინისტრი-«სოციალისტი» შირმაა, რომლის უკანაც იმპერიალისტური ბურჟუაზია იმუშავებს მუშებზე, გლეხებსა და ჯარისკაცებზე თავისი ბატონობის განსამტკიცებლად.

ის, რის გატარებაც კორნილოვს უნდოდა პირდაპირ და გენერლურად მარტივად, «ახალი» მთავრობა შეეცდება განახორციელოს თანდათანობით და უხმაუროდ, თვით «სოციალისტების» ხელით.

რით განსხვავდება ბურჟუაზიის დიქტატურა პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის დიქტატურისაგან?

იმით, რომ ბურჟუაზიის დიქტატურა არის უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე, რის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ ძალმომრეობით უმრავლესობის მიმართ და რაც მოითხოვს სამოქალაქო ომს უმრავლესობის წინააღმდეგ. ამავე დროს კი, პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის დიქტატურა, როგორც უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობა, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო ომის გარეშე. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ «ახალი» მთავრობის პოლიტიკა გახდება პოლიტიკა მარცხიანი ნაწილობრივი გამოსვლების პროვოცირებისა იმ ანგარიშით, რომ წაუსისიანოს ჯარისკაცები მუშებს, ან ფრონტი ზურგს და სისხლში ჩაახრჩოს რევოლუციის ძლიერება.

კიდევ იმით, რომ ბურჟუაზიის დიქტატურა არის ფარული, მალული, კულისებსიქითა დიქტატურა, რომელსაც ესაჭიროება ესა თუ ის კეთილსახიერი საფარველი მასების მოსატყუებლად. ამავე დროს კი, პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის დიქტატურა არის აშკარა დიქტატურა, მასების დიქტატურა, რომელსაც არ ესაჭიროება მოტყუება საშინაო საქმეებში და საიდუმლო დიპლომატია საგარეო საქმეებში. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ

ჩვენი ბურჟუაზიული დიქტატორები შეეცდებიან ქვეყნის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის, მაგალითად, ომისა და ზავის საკითხი, გადაჭრან მასების ზურგს უკან და მასების გვერდის ავლით, მასების წინააღმდეგ შეთქმულების გზით.

ამას ნათლად მოწმობენ კერენსკი-კონოვალოვის მთავრობის პირველივე ნაბიჯები. თვითონ განსაჯეთ. ყველაზე პასუხსაგები პოსტები საგარეო პოლიტიკის დარგში გადაცემული აქვთ კადეტ-კორნილოველთა ბურჯებს. ტერეშჩენკო საგარეო საქმეთა მინისტრია, ნაბოკოვი — ელჩი ლონდონში, მაკლაკოვი — ელჩი პარიზში, ეფრემოვი — ელჩი ბერნში, სადაც ახლა იკრიბება ზავის საერთაშორისო კონფერენცია (წინასწარი!). და ეს ადამიანები, მასებისაგან მოწყვეტილნი, მასების აშკარა მტრები, გადაწყვეტენ ომისა და ზავის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მილიონობით ჯარისკაცთა სიცოცხლესთან!

ან კიდევ: გაზეთების ცნობით «დღეს მთავარბანაკში მიემგზავრებიან კერენსკი, ტერეშჩენკო, ვერხოვსკი, ვერდერევსკი», სადაც, «გარდა ფრონტზე არსებული საერთო მდგომარეობის განხილვისა ტერეშჩენკოს მონაწილეობით, მოხდება აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოთა იმ სამხედრო აგენტების თათბირი, რომლებიც მთავარბანაკთან იმყოფებიან» («ბირჟოვკა», საღ.)... ყოველივე ეს — მოკავშირეთა კონფერენციის მოლოდინში, სადაც, ბატონ ტერეშჩენკოს სანჩო-პანსად, მიჰყავთ საკმაოდ ცნობილი წერეთელიც. რაზე შეიძლება ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს ეს იმპერიალიზმის საქმისადმი ერთგული ადამიანები, თუ არა შინაური და მოკავშირე იმპერიალისტების ინტერესებზე, და, კაცმა რომ თქვას, რა შეიძლება მოჰყვეს მათს ფარულ მოლაპარაკებას ზავსა და ომზე, თუ არა შეთქმულება ხალხის ინტერესების წინააღმდეგ?

ეჭვი შეუძლებელია. კერენსკი-კონოვალოვის მთავრობა იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის მთავრობაა. სამოქალაქო ომის პროვოკაცია — ასეთია მისი საშინაო პოლიტიკა. ომისა და ზავის საკითხების მალულად გადაწყვეტა — ასეთია მისი საგარეო პოლიტიკა. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობაზე უმცირესობის ბატონობის განმტკიცება — ასეთია მისი მიზანი.

პროლეტარიატის, როგორც რუსეთის რევოლუციის ბელადის, ამოცანაა — ნიღაბი ჩამოჰგლიჯოს ამ მთავრობას და დაანახვოს მასებს მისი ნამდვილი კონტრრევოლუციური სახე. პროლეტარიატის ამოცანაა — დარაზმოს თავის გარშემო ჯარისკაცებისა და გლეხობის ფართო ფენები და თავი შეაკავებინოს მათ ნაადრევი გამოსვლებისაგან. პროლეტარიატის ამოცანაა — შეამჭიდროოს რიგები და დაუღალავად ემზადოს მომავალი ბრძოლებისათვის.

დედაქალაქის მუშებმა და ჯარისკაცებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯი იმით, რომ უნდობლობა გამოუცხადეს კერენსკი-კონოვალოვის მთავრობას და მოუწოდეს მასებს «შეამჭიდროონ თავისი რიგები თავისი საბჭოების გარშემო და თავი შეიკავონ ნაწილობრივი გამოსვლებისაგან» (იხ. პეტროგრადის საბჭოს რეზოლუცია [80]).

ახლა სიტყვა პროვინციას ეკუთვნის.

«რაბოჩი პუტ» № 21,
1917 წ. 27 სექტემბერი.

მოწინავე.

გამოკაზილი

რკინიგზელთა გაფიცვა და დემოკრატიზმის ბანკროტები

გრანდიოზულად მოფიქრებული და ჩინებულად მოწყობილი რკინიგზელთა გაფიცვა[81], როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება. გამარჯვებულნი რკინიგზელები გამოდიან, ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ კორნილოვ-ობორონცული ბანაკის ხუხულასებურ კოალიციას არ ძალუძს გაუმკლავდეს ქვეყნის მთელი დემოკრატიის მძლავრ შეტევას. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ გაფიცვა «გამოწვეული» იყო არა რკინიგზელთა ბოროტი ნებით, არამედ დირექტორიის ანტირევოლუციური პოლიტიკით. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ქვეყანას გაფიცვა თავს მოახვიეს არა რკინიგზელთა კომიტეტებმა, არამედ კერენსკი-ნიკიტინის კონტრრევოლუციურმა მუქარებმა. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ამ გაფიცვის ჩაშლა მომასწავებელი იქნებოდა რკინიგზების უეჭველი მილიტარიზაციისა და... იმპერიალისტური ბურჟუაზიის ძალაუფლების განმტკიცებისა. რკინიგზელები მართალნი არიან, როდესაც კერენსკი-ნიკიტინის უღირს ცილისწამებას მომაკვდინებელი ბრალდებით უპასუხებენ:

«ჩვენ კი არ გვიღალატნია სამშობლოსათვის, მოქ. კერენსკი და ნიკიტინო, არამედ თქვენ უღალატეთ თქვენს იდეალებს, ხოლო დრო-

ბითმა მთავრობამ უღალატა თავის დაპირებებს, და ახლა ჩვენ კვლავაც ვერ შეგვაჩერებს ვერავითარი სიტყვა და ვერავითარი მუქარა».

ყოველივე ეს, ვიმეორებთ, ცხადია და საყოველთაოდ ცნობილია.

ამავე დროს კი, ყოფილან, თურმე, ქვეყნად ადამიანები, რომლებიც დემოკრატებს უწოდებენ თავიანთ თავს, მაგრამ შესაწყნარებლად ცნობენ ამ მძიმე მომენტში ქვა ესროლონ რკინიგზელებს, ის კი ვერ გაუგიათ ან არ სურთ გაიგონ, რომ ამით ისინი ხელს უმართავენ «რეჩისა» და «ნოვოე ვრემიას» კაციჭამიებს.

ჩვენ ვლაპარაკობთ მენშევიკური «რაბოჩაია გაზეტას» რედაქციაზე.

გაზეთი ბრალს სდებს გაფიცვის ხელმძღვანელებს იმაში, რომ გაფიცვის გამოცხადებით ისინი «სტიქიას აჰყვნენ», და მუქარით ამბობს:

«ამას დემოკრატია არ აპატიებს რკინიგზელთა გენერალურ შტაბს. ასე იოლად როდი სდებენ სასწორზე მთელი ქვეყნის, მთელი დემოკრატიის ინტერესებს» («რაბოჩაია გაზეტა» № 170).

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: უბადრუკ უდემოკრატიო გაზეთს თავისი თავი იმის უფლების მქონედ მიაჩნია, რომ მუქარით მიმართოს ნამდვილ დემოკრატიას, რკინიგზელ მშრომელთ.

«დემოკრატია არ აპატიებს»... მერე რომელი დემოკრატიის სახელით ლაპარაკობთ თქვენ, «რაბოჩაია გაზეტას» ვაჟბატონებო?

საბჭოების იმ დემოკრატიის სახელით ხომ არა, რომელიც თქვენ გაგშორდათ და რომლის ნება-სურვილის ფალსიფიკაცია თქვენ თათბირზე მოახდინეთ?

მაგრამ ვინ მოგცათ უფლება — **ამ** დემოკრატიის სახელით ილაპარაკოთ?

ან, იქნებ, თქვენ ბრძანებთ წერეთლისა და დანის, ლიბერისა და სხვა ფალსიფიკატორების სახელით, რომლებმაც

თათბირზე საბჭოების ნება-სურვილი გააყალბეს, თვით თათბირის მიმართ კი გამცემლობა ჩაიდინეს ზამთრის სასახლეში «მოლაპარაკების» დროს?

მაგრამ ვინ მოგცათ უფლება — «მთელი ქვეყნის დემოკრატიასთან» გააიგივოთ დემოკრატიის ეს გამცემელნი?

მიხვდებით თუ არა თქვენ როდისმე, რომ «რაბოჩაია გაზეტას» და «მთელი ქვეყნის დემოკრატიის» გზები სამუდამოდ გაიყარნენ?

დემოკრატიზმის უბადრუკი ბანკროტები...

* * *

რუსი გლეხები და უთავოთა პარტია

სულ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ვწერდით, რომ ძირითად საკითხში — საბჭოების წინააღმდეგ მთავრობის ბრძოლის საკითხში — სოც.-რევოლუციონერთა პარტიას არ აღმოაჩნდა ერთი საერთო გადაწყვეტილება. იმ დროს, როდესაც ესერების მემარჯვენე ფრთა «ანარქიული» საბჭოების განადგურებისაკენ მოუწოდებდა (გაიხსენეთ ტაშკენტი!) და დამსჯელ ექსპედიციებს აწყობდა, ხოლო მემარცხენე ფრთა საბჭოებს უჭერდა მხარს, — ჩერნოვის ცენტრს, ჰამლეტის ეჭვებით შეპყრობილს, თავისი აზრი არ ჰქონდა: ის «ნეიტრალიტეტის» დაცვას ამჯობინებდა. მართალია, ცენტრმა შემდეგ «ჰპოვა თავისი თავი» და ტაშკენტის საბჭოდან გამოიწვია ესერთა პარტიის წევრები, რითაც მხარი დაუჭირა დამსჯელი ექსპედიციების პოლიტიკას. მაგრამ ვინ არ იცის ახლა, რომ ამ გამოწვევამ მხოლოდ ცხადყო ესერთა პარტიის შერცხვენა, ვინაიდან ესერები არ გამოვიდნენ ტაშკენტის საბჭოდან, ხოლო «გამოსვლათა კონტრრევოლუციურობა» საბჭოს მხრით კი არ გამოდგა, არამედ კერენსკის მთავრობისა და მისი დამჭაშების მხრით?..

მაგრამ ვერც კი მოასწრეს ესერებმა თავი დაეღწიათ ამ «ამბისათვის», რომ კვლავ შეემთხვათ ახალი, კიდევ უფრო

ცუდი «ამბავი». ლაპარაკი გვაქვს მათს ხმის მიცემაზე მიწის საკითხის გამო ეგრეთწოდებულ წინაპარლამენტში.

საქმე იმაშია, რომ წინაპარლამენტში 14 აგვისტოს დეკლარაციის [82] განხილვის დროს მემარცხენე ესერებმა წინადადება შეიტანეს, რომ მემამულეთა მთელი მიწის გამგებლობა გლეხთა კომიტეტების ხელში ყოფილიყო გადაცემული. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ დემოკრატიის მოვალეობაა მხარი დაუჭიროს ამ წინადადებას? განა საჭიროა კიდევ ლაპარაკი იმაზე, რომ მიწის საკითხი ჩვენი რევოლუციის ძირითად საკითხს წარმოადგენს? ნამდვილად კი რა გამოვიდა? იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები წინადადებას იძლეოდნენ — მიწა გლეხებისათვის გადაეცათ, ხოლო მემარჯვენე ესერები ლიბერდანელებთან [83] ერთად ამ წინადადების წინააღმდეგნი იყვნენ, — ჩერნოვის ცენტრი ერთხელ კიდევ აღმოჩნდა «საკუთარი აზრის» უქონლად: მან **თავი შეიკავა** ხმის მიცემის დროს!

«გლეხთა მინისტრმა» ჩერნოვმა ვერ გაბედა მიმხრობოდა გლეხებისათვის მემამულეთა მიწების გადაცემას და საკითხის გადაწყვეტა გლეხების ნება-სურვილის ფალსიფიკატორებს მიანება!

ესერების პარტიას, «აგრარული რევოლუციისა» და «ინტეგრალური სოციალიზმის» პარტიას გარკვეული გადაწყვეტილება არ აღმოაჩნდა ძირითად საკითხზე გლეხების შესახებ რუსეთის რევოლუციის კრიზისულ მომენტში!

მართლაც რომ უთავო რეზონიორთა პარტიაა!
საბრალო რუსი გლეხები...

«რაბოჩი პუტ» № 21,
1917 წ. 27 სექტემბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

ლაშქრობა მუშების წინააღმდეგ

ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინათ ბურჟუაზიული პრესა ბოროტად ახმაურდა დონეცის აუზის მუშების წინააღმდეგ. «ანარქია», «საწარმოთა განადგურება», მოსამსახურე პერსონალის «დაპატიმრება და ცემა-ტყეპა», — რა ცილს არ სწამებდნენ მათ მოსყიდული ბურჟუაზიული გაზეთები? იმთავითვე შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ მზადდებოდა ლაშქრობა დონეცის მუშების წინააღმდეგ, რომ გზა იკაფებოდა ასეთი ლაშქრობისათვის მთავრობის მხრივ. და მართლაც, მთავრობა «ყრუ არ დარჩა» ბურჟუაზიის დამჭაშთა ღაღადისადმი. მაშ რაღა ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა იქნებოდა ის! გაზეთების ცნობით, დროებით მთავრობასთან არსებულმა მთავარმა ეკონომიურმა კომიტეტმა, რა თქმა უნდა, კერენსკის მხრივ «თანაგრძნობითი განწყობილებით», «მიზანშეწონილად ცნო გაიგზავნოს ხარკოვსა და დონეცის აუზში... **დიქტატორული** რწმუნებებით აღჭურვილი ერთი პირი. მას უნდა დაევალოს აიძულოს მრეწველნი განაგრძონ მუშაობა და გავლენა მოახდინოს მუშათა მასაზე მისი დაშოშმინების აზრით. მივლინებულ პირს ხელთ ექნება იძულების ყველა საშუალება, როგორიც კი მთავრობის ხელისუფლებას მოე-

პოვება» («ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა» [84], 26 სექტემბერი).

ყურადღება მიაქციეთ: «იძულების საშუალებებით» აღჭურვილი «დიქტატორი»... ვის წინააღმდეგ გზავნიან ამ ჯერ კიდევ უცნობ «დიქტატორს»? იქნებ დონეცის მეწარმეთა წინააღმდეგ, რომლებიც აი აგერ სამი თვეა განზრახ ამცირებენ წარმოებას, დანაშაულებრივად ამწვავებენ უმუშევრობას, ახლა კი ყველას თვალწინ აწყობენ ლოკაუტებს და ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების დაშლას იმუქრებიან?

რა თქმა უნდა, არა!

მთავარი ეკონომიური კომიტეტი პირდაპირ აცხადებს, რომ მთელი ბრალი «ბოროტგანმზრახველ აგიტატორებს» ედებათ, და არა მეწარმეებს, ვინაიდან: «არსებული ცნობებით, მომხდარი ექსცესები წარმოიშვა ბოროტგანმზრახველ აგიტატორთა ცალკეული ჯგუფების მეოხებით» (იხ. იქვე).

სწორედ მათ წინააღმდეგ გზავნიან, უწინარეს ყოვლისა, «იძულების საშუალებებით» აღჭურვილ «დიქტატორს».

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. როგორც «ბირჟოვკა» იტყობინება, მრეწველთა ხარკოვის კონფერენციას მიუღია გადაწყვეტილება:

1) «მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა და მიღება მხოლოდ და მხოლოდ საწარმოთა უფლებად გამოცხადდეს».

2) «შეუწყნარებელია მუშათა დეპუტატების საბჭოს ჩარევა წარმოების გამგებლობისა და მეთვალყურეობის საქმეში».

3) «საწარმოებს არ შეუძლიათ ხარჯები გასწიონ მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების შესანახად და საფასურის მისაცემად».

4) «ხელფასის არავითარი მომატება არ შეუმსუბუქებს მუშებს მდგომარეობას» («ბირჟევიე ვედომოსტი», 27 სექტემბერი).

მოკლედ: მრეწველები ომს უცხადებენ მუშებს და მათს ორგანიზაციებს.

თქმა არ უნდა, მელოკაუტე კონოვალოვის მთავრობა არ დააყოვნებს და სათავეში ჩაუდგება ამ ომს მუშების წინააღმდეგ.

და რადგან მუშები უბრძოლველად არ დანებდებიან, სწორედ ამიტომ არის საჭირო «დიქტატორი» და «იძულების საშუალებანი».

თავსამტვრევი აქ არაფერი ყოფილა.

სავინკოვს იმისათვის უწოდეს კონტრრევოლუციონერი, რომ მან დაწერა იმ საწარმოთა მილიტარიზაციის პროექტი, რომელნიც თავდაცვისათვის მუშაობენ.

კორნილოვს იმისათვის დასდეს ბრალი მოღალატეობაში, რომ ის ამ პროექტის განხორციელებას მოითხოვდა.

რა ვუწოდოთ მთავრობას, რომელიც «ზედმეტი სიტყვების დაუხარჯავად» გზავნის დონეცის აუზში უფლებაშეუზღუდავ «დიქტატორს», აღჭურვილს «იძულების ყველა საშუალებით» მუშათა მასების წინააღმდეგ საომრად, მათი ორგანიზაციების დასარბევად?

რა შეუძლიათ თქვან ამის შესახებ ბ-ნ «სოციალისტ» მინისტრებს?

«რაბოჩი პუტ» № 22,
1917 წ. 28 სექტემბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

რამდენიც უნდა ელოდოთ, ვერ მოესწრებით...

ახლანდელი მომენტის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გაუვალი უფსკრული მთავრობასა და ხალხის მასებს შორის, — უფსკრული, რომელიც არ იყო რევოლუციის პირველ თვეებში და რომელიც გაჩნდა კორნილოვის აჯანყების შედეგად.

ცარიზმზე გამარჯვების შემდეგ, რევოლუციის პირველ დღეებშივე, ძალაუფლება ხელში ჩაუვარდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ არა მუშები და ჯარისკაცები, არამედ ერთი მუჭა კადეტი იმპერიალისტები. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს, და, კაცმა რომ თქვას, რას ეყრდნობოდა მაშინ ერთი მუჭა ბურჟუაზიის ბატონობა? საქმე იმაშია, რომ მუშები და, უმთავრესად, ჯარისკაცები ენდობოდნენ ბურჟუაზიას, იმედი ჰქონდათ, რომ მასთან კავშირში მიიღებდნენ პურსა და მიწას, ზავსა და თავისუფლებას. მასების «შეუგნებელ-მიმნდობელი» დამოკიდებულება ბურჟუაზიისადმი — აი რას ეყრდნობოდა მაშინ ბურჟუაზიის ბატონობა. ბურჟუაზიასთან კოალიცია მხოლოდ გამოხატულება იყო ამ ნდობისა და ამ ბატონობისა.

მაგრამ რევოლუციის ექვს თვეს ფუჭად არ ჩაუვლია. პურის ნაცვლად — შიმშილი, ხელფასის გადიდების ნაცვ-

ლად — უმუშევრობა, მიწის ნაცვლად — ფუჭი დაპირებანი, თავისუფლების ნაცვლად — ბრძოლა საბჭოებთან, ზავის ნაცვლად — ომი რუსეთის გამოფიტვამდე და კორნილოველების ღალატი ტარნოპოლთან და რიგასთან — აი რა მისცა მასებს ბურჟუაზიასთან კოალიციამ. კორნილოვის აჯანყებამ მხოლოდ შეაჯამა კოალიციის ექვსი თვის გამოცდილება, გამოამჟღავნა კადეტების გამცემლობა და მათთან შეთანხმების პოლიტიკის დამღუპველობა.

ყოველივე ამას, ცხადია, ფუჭად არ ჩაუვლია. მასების «შეუგნებელ-მიმნდობელი» დამოკიდებულება ბურჟუაზიისადმი გაქრა. კადეტებთან კოალიცია შეიცვალა მათთან კავშირის გაწყვეტით. ბურჟუაზიისადმი ნდობამ ადგილი დაუთმო მისდამი სიძულვილს. ბურჟუაზიის ბატონობამ თავისი საიმედო დასაყრდენი დაკარგა.

მართალია, ობორონცების შემთანხმებლური ხრიკების გზით, ყალბისმქნელობისა და ფალსიფიკაციის გზით, ბიუკენენისა და კადეტ კორნილოველების დახმარებით, მუშებისა და ჯარისკაცების მხრით აშკარა უნდობლობის პირობებში, — შემთანხმებლებმა მაინც შეაკოწიწეს ძველი ბურჟუაზიული დიქტატურის «ახალი» მთავრობა, მოტყუების გზით გააპარეს რა დრომოჭმული და გაცვეთილი კოალიცია.

მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს კოალიცია უდღეურია, ვინაიდან, ზამთრის სასახლეში დადებული, იგი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ წინააღმდეგობასა და აღშფოთებას ხვდება.

მეორეც, ეს მთავრობა მტკიცე არ არის, ვინაიდან მას ფეხქვეშ არა აქვს ნიადაგი მასების ნდობისა და თანაგრძნობის სახით, მასებისა, რომლებიც მხოლოდ სიძულვილს გრძნობენ მისდამი.

აქედან წარმოდგება გაუვალი უფსკრული მთავრობასა და ქვეყანას შორის.

და თუ ეს მთავრობა მაინც რჩება ხელისუფლების სათავეში, თუ იგი, ასრულებს რა უმცირესობის ნება-სურვილს, აპირებს ბატონობას აშკარად მტრულ უმრავლესობაზე, მაშინ ცხადია, რომ მას შეუძლია იმედი ჰქონდეს მხოლოდ ერთი რამისა: მასებზე ძალადობისა. არავითარი სხვა დასაყრდენი ასეთ მთავრობას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

ამიტომ შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ კერენსკი-კონოვალოვის მთავრობის პირველი ნაბიჯი გახდა საბჭოს განადგურება ტაშკენტში.

შემთხვევითი როდია ისიც, რომ ეს მთავრობა უკვე შეუდგა მუშათა მოძრაობის ჩახშობას დონეცის აუზში, სადაც საიდუმლოებით მოსილ «დიქტატორს» გზავნის.

შემთხვევითი როდია ისიც, რომ თავის გუშინდელ სხდომაზე მან ომი გამოუცხადა გლეხთა «მღელვარებებს» და გადაწყვიტა:

«შეიქმნას ადგილებზე დროებითი მთავრობის კომიტეტები, რომელთა პირდაპირ დანიშნულებას უნდა შეადგენდეს ანარქიასთან ბრძოლა და უწესრიგობის დათრგუნვა» («ბირჟოვკა»).

ყოველივე ეს შემთხვევითი როდია.

ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობას, მასების ნდობას მოკლებულს და მაინც იმის მსურველს, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩეს, არ შეუძლია იცოცხლოს «ანარქიისა» და «უწესრიგობის» გარეშე, რომლებთანაც ბრძოლით იგი ცდილობს გაამართლოს თავისი არსებობა. მას სძინავს და სიზმარში ხედავს, რომ ბოლშევიკებმა «აჯანყება მოაწყეს», ან გლეხებმა მემამულეები «დაარბიეს», ან რკინიგზელებმა «თავს მოახვიეს დამღუპველი გაფიცვა», რომელმაც ფრონტი უპუროდ დატოვა... ყოველივე ეს «სჭირდება» მას იმისათვის, რომ აამხედროს გლეხები მუშების წინააღმდეგ, ფრონტი — ზურგის წინააღმდეგ, შექმ-

ნას ამგვარად შეიარაღებული ჩარევის საჭიროება და დროებით განამტკიცოს თავისი მერყევი მდგომარეობა.

ვინაიდან ხომ საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, რომ მთავრობა, რომელიც მოკლებულია ქვეყნის ნდობას და გარემოცულია მასების სიძულვილით, არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არა **მთავრობა «სამოქალაქო ომის» პროვოცირებისა.**

ტყუილად კი არ არის, რომ «რეჩ», დროებითი მთავრობის ოფიციოზი, აფრთხილებს მთავრობას არ «მისცეს ბოლშევიკებს შესაძლებლობა აირჩიონ მომენტი სამოქალაქო ომის გამოცხადებისათვის», არ ურჩევს მას «მოთმენასა და ლოდინს, სანამ ისინი (ბოლშევიკები) აირჩევენ მოხერხებულ მომენტს საერთო გამოსვლისათვის», («რეჩ», ოთხშაბათი).

დიახ, მათ ხალხის სისხლი სწყურიათ...

მაგრამ ამაოა მათი იმედები და სასაცილოა მათი ჭაპანწყვეტა.

შეგნებულად და ორგანიზებულად მიდის გამარჯვებისაკენ რევოლუციური პროლეტარიატი. ერთსულოვნად და მტკიცე რწმენით ირაზმებიან მის გარშემო გლეხები და ჯარისკაცები. სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის შეძახილი: მთელი ძალაუფლება საბჭოებს!

ქაღალდზე შეთითხნილი კოალიცია ზამთრის სასახლეში... განა გაუძლებს ის შეტევას?

თქვენ ბოლშევიკების დაქსაქსული და ნაადრევი გამოსვლები გსურთ?

რამდენიც უნდა ელოდოთ, ვერ მოესწრებით, ბ-ნო კორნილოველებო.

«რაბოჩი პუტ» № 23,
1917 წ. 29 სექტემბერი.

პოწინავე.

გამოკაზილი

«უსახურთა» პარტია და რუსი ჯარისკაცები

ცარიზმის ეპოქაში სოც.-რევოლუციონერთა პარტია ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვიროდა — აუცილებლად უნდა გადაეცეს გლეხებს მემამულეთა მიწებიო. გლეხები მაშინ უჯერებდნენ ესერებს და მათ გარშემო ირაზმებოდნენ, რადგან თავიანთ გლეხურ პარტიად მიაჩნდათ ისინი.

ცარიზმის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დადგა დრო — სიტყვა საქმედ ექციათ და განეხორციელებინათ, ბოლოს და ბოლოს, ესერთა «ოქროს სიტყვები» მიწის შესახებ. მაგრამ... (ცნობილი «მაგრამ»!) ესერები შეყოყმანდნენ, მათ ენა დაებათ და წინადადება მისცეს გლეხებს — მიწას დალოდებოდნენ დამფუძნებელ კრებამდე, რომლის მოწვევა, თანაც, გადაიდო.

აღმოჩნდა, რომ მიწასა და გლეხებზე ყვირილი უფრო ადვილია, ვიდრე გლეხებისათვის მიწის ნამდვილად გადაცემა. აღმოჩნდა, რომ ესერებს მხოლოდ სიტყვით «შესტკიოდათ გული» გლეხებისათვის, ხოლო სიტყვიდან საქმეზე გადასვლის დრო რომ დადგა, — მათ განზე გადგომა ირჩიეს და დამფუძნებელ კრებას ამოეფარნენ...

გლეხებმა ამას უპასუხეს მძლავრი აგრარული მოძრაობით, მემამულეთა მიწების თვითნებურად «ხელში ჩაგდებით», «სხვისი» ინვენტარის «მისაკუთრებით», რითაც გამოხატეს უნდობლობა ესერული ლოდინის პოლიტიკისადმი.

ესერთა მინისტრებმა სამაგიერო გადაუხადეს გლეხებს და ათობით, ასობით დააპატიმრეს გლეხები, საადგილმამულო კომიტეტების წევრები. ესერი მინისტრები, რომლებიც აპატიმრებენ ესერ გლეხებს ესერთა დაპირებების ცხოვრებაში გატარებისათვის, — აი რა სურათი გადაგვეშალა თვალწინ.

ამას შედეგად მოჰყვა ესერთა პარტიის სრული დაშლა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა წინაპარლამენტში ხმის მიცემის დროს, როდესაც მემარცხენე ესერებმა **მხარი დაუჭირეს** გლეხებისათვის მიწების დაუყოვნებლივ გადაცემას, მემარჯვენე ესერებმა ამის **წინააღმდეგ** მისცეს ხმა, ხოლო ჩერნოვმა ცენტრიანად, ესერთა პარტიის ამ ჰამლეტმა, ღრმააზროვნულად **თავი შეიკავა**.

ამის პასუხი იყო ჯარისკაცების მასობრივად გასვლა ესერთა პარტიიდან.

ხოლო ჯარისკაცთა ერთი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ წასულა ესერთა პარტიიდან, დაბეჯითებით «სთხოვს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს» შექმნას, ბოლოს და ბოლოს, პარტიის ერთიანობა «უსახურობის» მოსპობის საფუძველზე.

მოუსმინეთ:

«პეტროგრადის, ცარსკოე სელოს, პეტერჰოფისა და სხვ. პოლკებისა და სპეციალური ნაწილების სამხედრო ორგანიზაციათა წარმომადგენლების გაერთიანებული თათბირი, ფიქრობს რა, რომ დღევანდელ, პარტიისათვის მძიმე მომენტში აუცილებელია პარტიის უმრავლესობის დარაზმვა... ისეთი პროგრამის საფუძველზე, რომელიც მოსპობს პარტიის უსახურ ფიზიონომიას და დარაზმავს პარტიის

ყველა სიცოცხლისუნარიან ელემენტს... მოითხოვს... სოფლის მეურნეობისათვის გამოყენებული მთელი მიწის დაუყოვნებლივ გადაცემას სააღგილმამულო კომიტეტების გამგებლობაში...» («დელო ნაროდა»).

მაშ ასე, კვლავ საკითხი «მიწის **დაუყოვნებლივ** გადაცემისა»!

ამ მოთხოვნის აღიარების საფუძველზე იმედოვნებენ ჯარისკაცები დარაზმონ ესერთა «პარტიის ყველა სიცოცხლისუნარიანი ელემენტი»!

გულუბრყვილო ადამიანები! რევოლუციონერი კამკოვი, კადეტი ავქსენტიევი და «უსახურია» ჩერნოვი მათ სურთ, მთელ რიგ მარცხთა შემდეგ, ერთხელ კიდევ შეაბან ერთ ურემში!

დროა, ამხანაგო ჯარისკაცებო, გაიგოთ, რომ ესერების პარტია აღარ არსებობს, — არის მხოლოდ «უსახურია» მასა, რომლის ერთი ნაწილი სავინკოველობაში გაიხლართა, მეორე — რევოლუციონერთა რიგებში დარჩა, მესამე კი — უმწეოდ ტკეპნის ერთ ადგილს და სინამდვილეში სავინკოველებს ფარავს.

დროა გაიგოთ ეს და მიანებოთ თავი იმის გაერთიანების ცდებს, რის გაერთიანებაც შეუძლებელია...

* * *

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ

თავის გაზეთში «ობშჩეე დელო»[85] ბურცევი დღეს წერს:

«ახლა დარწმუნებით შეიძლება ითქვას: კორნილოვის არავითარი შეთქმულება არ ყოფილა! ნამდვილად სულ სხვა რამ იყო: **იყო მთავრობის შეთანხმება გენ. კორნილოვთან ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ!** ის, რაზედაც მთავრობის წარმომადგენლები გენ. კორნილოვს უთანხმდებოდნენ, — ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძო-

ლა, — წარმოადგენდა სხვადასხვა — როგორც დემოკრატიულ, ისე სოციალისტურ — პარტიათა წარმომადგენლების სანუკვარ ოცნებას. თვით ბედუკუღმართ 26 აგვისტომდე ყველა მათ გენ. კორნილოვი მიაჩნდათ თავიანთ მხსნელად მოახლოებული ბოლშევიკური საფრთხისაგან».

არა «შეთქმულება», არამედ «შეთანხმებაო» — ხაზგასმით წერს ბურცევი.

ის მართალია. ის უეჭველად მართალია ამ შემთხვევაში. დაიდო შეთანხმება იმის შესახებ, რომ მოწყობილიყო შეთქმულება ბოლშევიკების წინააღმდეგ, ე. ი. მუშათა კლასის წინააღმდეგ, რევოლუციური არმიისა და გლეხობის წინააღმდეგ, — მოხდა **შეთანხმება რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ!**

ამაზე ჩვენ მივუთითებთ კორნილოვის ამბოხების პირველივე დღეებიდან, ამას მეტყველებს ათობით და ასობით ფაქტი, ამას სრულიად უეჭველს ხდიან ის მხილებანი, რაც არავის არ გაუბათილებია.

და შეთქმულნი მაინც ხელისუფლების სათავეში დგანან ანდა ხელისუფლების გარშემო ტრიალებენ. და თამაში მაინც გრძელდება, გამოძიების თამაში, «რევოლუციობანას» თამაში...

შეთქმულებთან კოალიცია, შეთქმულების მთავრობა — აი, თურმე, რა მიუძღვნეს მუშებსა და ჯარისკაცებს ბ-ნმა ობორონცებმა!

«რაბოჩი პუტ» № 23,
1917 წ. 29 სექტემბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

ჟაღალდის კოალიცია

ნგრევაზე ლაპარაკობენ. ნგრევაზე წერენ. ნგრევის აჩრდილით შანტაჟს ეწევიან და ხშირად «ანარქიულად» განწყობილ მუშებზე ანიშნებენ. მაგრამ არავის არ სურს აშკარად აღიაროს, რომ ხშირად ნგრევას ქმნიან და განზრახ ამწვავებენ კაპიტალისტები, როდესაც ფაბრიკებს ხურავენ და უმუშევრობას უმზადებენ მუშებს. ამ საკითხზე საინტერესო ამბებს იტყობინება «ბირჟოვკა».

«რუსეთ-საფრანგეთის ძაფსართავი საზოგადოების ფაბრიკაში, მოსკოვის გუბერნიის პავლოვსკი პოსადში, კონფლიქტი წამოიჭრა იმ ხელშეკრულების დარღვევის ნიადაგზე, რომელიც ორეხოვო-ზუევოს რაიონის კომისიამ შეიმუშავა მინისტრ პროკოპოვიჩის თავმჯდომარეობით. ფაბრიკაში დაახლოებით 4 000 მუშა მუშაობს. მუშათა კომიტეტმა შრომის სამინისტროს აცნობა შექმნილი საშიში მდგომარეობის შესახებ, რაც გამოუწვევია იმას, რომ მეწარმეებს არ სურთ დაემორჩილონ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თანაც განზრახ ამცირებენ შრომის ნაყოფიერებას. მოლაპარაკება 4 თვეს გაგრძელდა, და ახლა ქარხნის დახურვის საფრთხე შეიქმნა. ამავე დროს რუსეთ-საფრანგეთის საზოგადოების ფაბრიკის გამგეობამ განცხადებით მიმართა საფრანგეთის საელჩოს, რომ მუშებს არ სურთ დაემორჩილონ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ექსცესებსა და რბევას იმუქრებიანო. საფრანგეთის საელჩომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით — ხელი შეუწყოს შეტაკების ლიკვიდაციას».

მერე რა? გამოირკვა, რომ «ფაბრიკის გამგეობასაც» და «საფრანგეთის საელჩოსაც» თანაბრად უცრუვნიათ მუშების გასამტყუნებლად და მელოკაუტე-კაპიტალისტის გასამართლებლად. მოისმინეთ:

«საქმე გადაეცა შრომის სამინისტროს მოსკოვის კომისარს, რომელიც ადგილობრივ გაეცნო კონფლიქტს და შეატყობინა **შრომის მინისტრს, რომ ფაბრიკის ადმინისტრაცია სისტემატურად არიდებს თავს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებას.** შრომის სამინისტროს **მოსკოვის** კომისრის მოხსენება გადაეცა საგარეო საქმეთა სამინისტროს».

როგორც ხედავთ, კონტრრევოლუციური სამინისტროს კომისარიც კი იძულებული ყოფილა აღეარებინა მუშების სიმართლე.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. იგივე «ბირჟოვკა» იტყობინება მეორე, კიდევ უფრო საინტერესო ფაქტს.

«მოსკოვიდან შრომის სამინისტროს ატყობინებენ, რომ ა. ვ. სმირნოვის ფაბრიკის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ხურავს ფაბრიკას, სადაც 3 000 მუშაა, ნედლეულის და სათბობის ნაკლებობისა და კაპიტალური რემონტის აუცილებელი საჭიროების გამო. «მოსკოვსათბობისა» და მოსკოვის საქარხნო თათბირის წარმომადგენელთა კომისიამ ფაბრიკის მუშათა კომიტეტთან ერთად მოახდინა საწარმოს გამოკვლევა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საწარმოს დახურვის მიზეზები უსაფუძვლოა, რადგან სამუშაოთათვის ნედლეული საკმაო რაოდენობით არის, ხოლო რემონტი მუშაობის შეუწყვეტლადაც შეიძლება ჩატარდეს. ამის შემდეგ **მუშებმა დააპატიმრეს საწარმოს პატრონი. საერობო კრებამ ფაბრიკის სეკვესტრი მოითხოვა.** კონფლიქტის გადაჭრაში მონაწილეობას იღებენ პოკროვსკის აღმასრულებელი კომიტეტი და დროებითი მთავრობის მაზრის კომისარი».

ასეთია ფაქტები.

ესერი და მენშევიკი შემთანხმებლები ყოველი მხრიდან გაიძახიან ქვეყნის «ცოცხალ ძალებთან» კოალიციის აუცილებლობაზე, გარკვეულად მიუთითებენ მოსკოვის მრეწვე-

ლებზე. ამასთან ისინი ყოველთვის აღნიშნავენ ხაზგასმით, რომ საქმე ეხება არა სიტყვიერ კოალიციას ზამთრის სასახლეში, არამედ ნამდვილ კოალიციას ჩვენს ქვეყანაში...

ჩვენ ვსვამთ კითხვას:

შესაძლებელია თუ არა რაიმე ნამდვილი კოალიცია, ერთი მხრივ, უმუშევრობის განზრახ გამამწვავებელ მეფაბრიკეებსა და, მეორე მხრივ, მუშებს შორის, რომლებიც მათ ამისათვის აპატიმრებენ დროებითი მთავრობის კომისრების კეთილმოწყალე მონაწილეობით?

აქვს თუ არა საზღვარი იმ «რევოლუციურ» მოლაყბეთა სიყეყეჩეს, რომლებიც კვლავ და კვლავ უმღერიან კოალიციას ბოროტმოქმედ მელოკაუტეებთან?

ხვდებიან თუ არა კოალიციის ეს სასაცილო მებუკენი, რომ ახლა არავითარი სხვა კოალიცია არ არის შესაძლებელი, გარდა ქაღალდზე შეთითხნილი, ზამთრის სასახლეში დადებული და წინასწარ დასაღუპავად განწირული კოალიციისა?

«რაბოჩი პუტ» № 24,
1917 წ. 30 სექტემბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲡ

ქალაქებში რომ სასურსათო კრიზისია, ამაზე ახლა ყველა ლაპარაკობს. შიმშილის «გაძვალტყავებული ხელის» აჩრდილი თავს დასტრიალებს ქალაქებს. მაგრამ არავის არ სურს აღიაროს, რომ შიმშილი კარს მიადგა სოფელსაც. არავის არ სურს გაიგოს, რომ სწორედ შიმშილობის ნიადაგზე ხდება ახლა მეტ ნაწილად «აგრარული არეულობა» და «რბევა».

აი გლეხის წერილი აგრარულ «არეულობაზე»:

«მინდა გთხოვოთ განგვიმარტოთ ჩვენ, «უსწავლელ ადამიანებს, გლეხებს», — რატომ ხდება რბევა? თუ გგონიათ, რომ ყოველივე ამას სჩადიან ხულიგნები, მაწანწალები და მთვრალი ვიგინდარები, მაშინ თქვენ, ცოტა არ იყოს, სცდებით. დამრბევნი არიან არა მაწანწალები და არც ვიგინდარები, — არამედ შიმშილით გაბრუებული ადამიანები. ასე, მაგალითად, მე ვწერ მურომის მაზრის არეფინოს თემის შესახებ. პირდაპირ შიმშილით უნდათ ამოგვხოცონ. თითო კაცზე თვეში ხუთ გირვანქა ფქვილს გვაძლევენ. შეისმინეთ და წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. ეს რა სიცოცხლეა? აქ არა თუ ღვინით დამთვრალნი ახდენენ დარბევას, არამედ თვითონ ჩვენა ვართ «შიმშილით მთვრალნი»» (იხ. «ბირჟოვკა»).

«დენისა». და «რუსსკაია ვოლიას» ბურჟუაზიული ეზოს ფინიები დაუღალავად წკავწკავებენ სოფლის სიმდიდრეზე, გლეხის დოვლათზე და სხვ. ამავე დროს კი ფაქტები ურყევად მოწმობენ, რომ სოფელი დამშეულია და ქანცმილეული, რომ სოფლად შიმშილობის ნიადაგზე გავრცელებულია

სურავანდი და სხვა სნეულებანი. და რაც დრო მიდის, მით უფრო უჭირს სოფელს, რადგან კერენსკი-კონოვალოვის მთავრობა პურის ნაცვლად სოფელს ახალ დამსჯელ ექსპედიციებს უმზადებს, ხოლო კარსმომდგარი ზამთარი ახალ, კიდევ უფრო მძიმე განსაცდელს უქადის გლეხს.

იგივე გლეხი წერს:

«აგერ ზამთარიც მოდის, მდინარეები გაიყინება, და მაშინ შიმშილით ამოვწყდებით. რკინიგზის სადგური ჩვენგან შორს არის. გამოვალთ ქუჩაში ლუკმაპურის საძებნელად. რაც უნდა გვიწოდოთ, — შიმშილი გვაიძულებს ამას» («ბირჟოვკა»).

ასეთია გლეხის მჭევრმეტყველური ნაამბობი.

ესერი და მენშევიკი შემთანხმებლები გაჰყვიროდნენ კოალიციისა და კოალიციური მთავრობის ყოვლისმხსნელ ძალაზე. ახლა ჩვენში «კოალიციაც» არის და «კოალიციური» მთავრობაც. საკითხავია:

სადღაა ამ მთავრობის ყოვლისმხსნელი ძალა?

კიდევ რას მისცემს იგი დამშეულ სოფელს, გარდა დამსჯელი ექსპედიციებისა?

გრძნობენ თუ არა ბატონი შემთანხმებლები, რომ გლეხის უბრალო წერილი სასიკვდილო განაჩენია მათი კოალიციური ნათითხნისათვის?

* * *

შიმშილი ფაბრიკებში

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობას განიცდიან ფაბრიკის რაიონები. შიმშილი, რომელიც პირველად როდი სწვევია ფაბრიკებში მომუშავე მოსახლეობას, ახლა განსაკუთრებით მძვინვარებს იქ. ომამდე რუსეთს ყოველწლიურად 400 — 500 მილიონი ფუთი პური გაჰქონდა საზღვარგარეთ, ახლა კი, ომის დროს, თავისივე მუშების გამოკვებაც

არ ძალუძს. ფაბრიკებში მუშაობა ჩერდება, მუშები სამუშაოდან გარბიან იმის გამო, რომ ფაბრიკის რაიონებში არ არის პური, არ არის სურსათი.

აი რას იტყობინებიან სხვადასხვა ადგილიდან.

«შუიადან დეპეშით გვაცნობებენ: მთელ მაზრაში შეწყვეტილია შეშის ხერხვა. პური არ არის. კორიუკოვკის რაფინადი შაქრის ქარხანას, მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის უქონლობის გამო, დახურვა მოელის. პარხალი უკვე ლპება. იარცევოს სართავ-საქსოვი მანუფაქტურის (სმოლენსკის გუბერნია) თორმეტიათასიანი მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაშია. ფქვილისა და ბურღულის მარაგი სულ გამოილია. გუბერნიის სასურსათო კომიტეტი უძლურია დაგვეხმაროს. სურსათის მიუღებლობის გამო მუშებში მღელვარება იწყება. არეულობა აუცილებელია. კუვშინოვის ამხანაგობის საწერი ქაღალდის ფაბრიკის (ტვერის გუბერნია) მამასახლისთა საბჭო დეპეშით იტყობინება: მუშები შიმშილის პირას არიან. პურზე ყველგან უარი გვეთქვა. გთხოვთ დაუყოვნებლივ დახმარებას. მოროკინის ამხანაგობის ფაბრიკის (ვიჩუგა) გამგეობა დეპეშით გვაცნობებს: სურსათის საკითხი საშიშ ხასიათს იღებს. მუშები შიმშილობენ და ღელავენ. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება მომარაგებისათვის. იმავე ამხანაგობის საფაბრიკო კომიტეტმა შემდეგი დეპეშით მიმართა სამინისტროს: დაბეჯითებით გთხოვთ სასწრაფოდ მოაწოდოთ მუშებს ფქვილი, რადგან შიმშილობა დაიწყო».

ასეთია ფაქტები.

მიწათმოქმედების რაიონები იმას ჩივიან, რომ ფაბრიკის რაიონებისაგან მათ წარმოუდგენლად ცოტა საქონელი მისდით. ამის გამო პურსაც ისინი საფაბრიკო რაიონებს შესაბამისად ცოტას აძლევენ. მაგრამ საფაბრიკო რაიონებში პურის ნაკლებობა იწვევს მუშების წასვლას ფაბრიკებიდან, ფაბრიკებში მუშაობის შემცირებას და, მაშასადამე, სოფლისათვის საჭირო საქონლის რაოდენობის შემდგომ შემცირებას, რასაც თავის მხრივ მოსდევს ფაბრიკებისათვის მისაწოდებელი პურის რაოდენობის კვლავ შემცი-

რება, ფაბრიკებში შიმშილობის კვლავ გაძლიერება და მუშების კვლავ გაქცევა ფაბრიკებიდან.

იბადება კითხვა:

სად არის გამოსავალი ამ მოჯადოებული წრიდან, რომელიც რკინის მარწუხად შემოჭდობია მუშებსა და გლეხებს?

რისი მოცემა შეუძლია კიდევ ეგრეთწოდებულ კოალიციურ მთავრობას, გარდა ყბადაღებული «დიქტატორებისა», რომლებსაც ის საიდუმლოდ გზავნის დამშეულ სამრეწველო რაიონებში?

გრძნობენ თუ არა ბ-ნი შემთანხმებლები, რომ იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ, რომელსაც ისინი დღემდე მხარს უჭერენ, რუსეთი ისეთ ჩიხში მოაქცია, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ ერთია — მძარცველური ომის შეწყვეტა?

«რაბოჩი პუტ» № 26,
1917 წ. 3 ოქტომბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

თავი გაიწკეპლეს

ამას წინათ ტაშკენტში დატრიალდა «სულ ჩვეულებრივი» ამბავი, «როგორიც ბევრი» ხდება ახლა რუსეთში. ტაშკენტის მუშებმა და ჯარისკაცებმა, მოვლენათა გამარევოლუციურებელი ლოგიკის ზეგავლენით, უნდობლობა გამოუცხადეს საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ძველ შემადგენლობას, აირჩიეს ახალი რევოლუციური კომიტეტი, გადააყენეს კორნილოველი ხელისუფალნი, დააყენეს ახალნი და ხელთ აიღეს ძალაუფლება. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დროებითი მთავრობის ჩხუბისთავ-მოძალადეებს ომი გამოეცხადებინათ ტაშკენტის «ანარქისტული» საბჭოსათვის. მართალია, ფაქტები მოწმობენ, რომ საბჭოებში უმრავლესობას ესერები შეადგენდნენ და არა ანარქისტები. მაგრამ რას დაგიდევენ ამას დროებით მთავრობაში მოკალათებული «დამწყნარებელნი».

ხოლო «დელო ნაროდას» ესერმა ჰამლეტებმა, კერენსკის გარშემო ფინიებსავით რომ ტრიალებენ, ღრმააზროვნულად გამოაცხადეს ტაშკენტის საბჭო «კონტრრევოლუციურ» საბჭოდ, მოითხოვეს ტაშკენტის საბჭოდან ესერების გამოწვევა და გამოაცხადეს «რევოლუციური წესრიგის» დამყარების აუცილებლობა თურქესტანში.

დაჩაჩანაკებულმა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმაც კი საჭიროდ სცნო წიხლი ეკრა საბრალო ტაშკენტელებისათვის...

მხოლოდ ჩვენი პარტია უჭერდა მხარს ბოლომდე და მტკიცედ ტაშკენტის რევოლუციურ საბჭოს მთავრობისა

და მისი აგენტების კონტრრევოლუციურ მცდელობათა წინააღმდეგ.

მერე რა?

სულ რამდენიმე კვირა გავიდა, «ვნებათა ღელვა დაცხრა», გუშინ ტაშკენტიდან ჩამოსულმა დელეგატმა თვალწინ გადაგვიშალა ტაშკენტის «ამბის» ნამდვილი სურათი, — და აღმოჩნდა, რომ ტაშკენტელებს პატიოსნად შეუსრულებიათ თავიანთი რევოლუციური ვალი, მიუხედავად დროებითი მთავრობის აგენტების კონტრრევოლუციური ვარჯიშისა.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო **ერთხმად** იღებს გადაწყვეტილებას ტაშკენტელი ამხანაგებისადმი ნდობის შესახებ და «საბჭო, ყველა ფრაქციის» ხმებით, «აცხადებს სრულ მზადყოფნას — მხარი დაუჭიროს ტაშკენტის რევოლუციური დემოკრატიის სამართლიან მოთხოვნებს». ამასთან კენჭისყრის მოტივებისათვის გამოსული შიროკოვა ესერთა პარტიის სახელით აცხადებს, რომ პარტია ხმას მისცემს ბოლშევიკების რეზოლუციას.

ტაშკენტის საბჭოდან ესერების გამოწვევის საქმე როგორღა იქნება? სად გაქრა ამ საბჭოს «კონტრრევოლუციურობა», ამ საბჭოს «არასაკადრისი საქციელი»?

ყოველივე ეს ახლა დავიწყებულია...

რას იზამ? მივესალმებით ესერების ამ «შემობრუნებას»: მართალია, გვიან, მაგრამ მაინც მოსულან გონს.

მაგრამ გრძნობენ თუ არა «დელო ნაროდას» ლიდერები, რომ ორი კვირის წინათ მათ ულმობლად გაიწკეპლეს თავი, როდესაც ლაჩრულად განუდგნენ ტაშკენტის საბჭოს?

«რაბოჩი პუტ» № 27,
1917 წ. ოქტომბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ

ბურცევი ამას წინათ გაზეთ «ობშჩეე დელოში» წერდა, რომ «კორნილოვის არავითარი **შეთქმულება** არ ყოფილა», — «იყო მხოლოდ **შეთანხმება**» კორნილოვსა და კერენსკის მთავრობას შორის ბოლშევიკებისა და საბჭოების აღმოფხვრის შესახებ სამხედრო დიქტატურის დამყარების მიზნითო. თავისი შეხედულების დასადასტურებლად ბურცევი «ობშჩეე დელოს» № 6-ში ბეჭდავს კორნილოვის «განმარტებითს ბარათს». ეს «ბარათი» შედგება მთელი რიგი დოკუმენტებისაგან, რომლებიც გვიხატავენ შეთქმულების ისტორიას. ბურცევის მთელი ამ წამოწყების უახლოესი მიზანია — შექმნას კორნილოვისათვის ხელსაყრელი ატმოსფერო და შეუძლებელი გახადოს მისი სამართალში მიცემა.

ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ ამომწურავად ვცნოთ კორნილოვის მასალები. კორნილოვი, გარდა იმისა, რომ თავს იძერენს ღალატის ბრალდებებისაგან, არ იხსენიებს, მაგალითად, შეთქმულებაში გარეულ ზოგიერთ პირსა და ორგანიზაციას, უწინარეს ყოვლისა კი — მთავარბანაკში საელჩოთა ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლებიც, მოწმეთა ჩვენებით, თამაშობდნენ სრულიადაც არა მეორეხა-

რისხვან როლს. საჭიროა აგრეთვე შევნიშნოთ, რომ კორნილოვის «განმარტებითს ბარათს» ჯაშუშური რედაქცია გაუკეთა ბურცევმა, რომელმაც «ბარათიდან» ამოაგდო ზოგიერთი, შესაძლოა, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი. მიუხედავად ამისა, «ბარათი» მაინც დიდ ღირებულებას წარმოადგენს, როგორც დოკუმენტი. და ვიდრე ამ დოკუმენტს არ დაპირისპირებია თანაბარი მნიშვნელობის ჩვენებანი მოწმეებისა, ჩვენ მას ანგარიშს გავუწევთ, როგორც დოკუმენტს.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვესაუბროთ ამ დოკუმენტის შესახებ მკითხველს.

ვინ არიან ისინი?

ვინ არიან ისინი, კორნილოვის მრჩეველნი და შთამაგონებელნი, ვის ანდობდა ის უწინარეს ყოვლისა თავის შეთქმულებითს ზრახვებს?

«იმ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, — ამბობს კორნილოვი, — თუ რა მდგომარეობაშია ქვეყანა, და რა ზომებია საჭირო ქვეყნისა და არმიის გადასარჩენად საბოლოო დაშლისაგან, მე მინდოდა მომეწვია მ. როძიანკო, თავადი გ. ლვოვი და პ. მილიუკოვი, რომლებსაც გაეგზავნათ დეპეშები თხოვნით — ჩამოსულიყვნენ არა უგვიანეს 29 აგვისტოსი მთავარბანაკში».

აი ვინ არიან მთავარი მრჩეველნი თვით კორნილოვის აღიარებით.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. გარდა მრჩევლებისა და შთამაგონებლებისა, იყვნენ კიდევ მთავარი თანამშრომლები, რომლების იმედიც ჰქონდა კორნილოვს, რომლებზეც ამყარებდა ის თავის ანგარიშებს და რომლებთან ერთადაც ის აპირებდა თავისი შეთქმულების განხორციელებას.

მოუსმინეთ:

«მოხაზულ იქნა პროექტი «სახალხო თავდაცვის საბჭოსი». უმაღლესი მთავარსარდლის, როგორც თავმჯდომარის, კერენსკის — მინისტრ-მოადგილის, სავინკოვის, გენერალ ალექსეევის, ადმირალ კოლჩაკისა და ფილონენკოს მონაწილეობით. ამ თავდაცვის საბჭოს **უნდა განეხორციელებინა კოლექტიური დიქტატურა,** ვინაიდან ერთ პიროვნული დიქტატურის დამყარება ცნობილ იქნა არასასურველად. სხვა მინისტრების პოსტებზე დასახული იყვნენ ბ-ნნი ტახტამიშევი, ტრეტიაკოვი, პოკროვსკი, იგნატიევი, ალადინი, პლეხანოვი, ლვოვი და ზავოიკო».

ასეთია ღირსპატივცემულ შეთქმულთა შეხმატკბილებული კომპანია, კორნილოვის შთამაგონებელი და მის მიერ შთაგონებული, კომპანია, რომელიც საიდუმლოდ ეკურკურებოდა კორნილოვს ხალხის ზურგს უკან და ტაშს უკრავდა მას მოსკოვის თათბირზე. **მილიუკოვი,** როგორც ხალხის თავისუფლების პარტიის მეთაური; **როძიანკო,** როგორც საზოგადო მოღვაწეთა საბჭოს მეთაური; **ტრეტიაკოვი,** როგორც მრეწველთა მეთაური; **კერენსკი,** როგორც ესერ ობორონცების მეთაური; **პლეხანოვი,** როგორც მენშევიკ ობორონცების მასწავლებელი; **ალადინი,** როგორც ლონდონის უცნობი ფირმის აგენტი, — აი ისინი, კორნილოვშჩინის იმედი და სასოება, კონტრრევოლუციის სული და ნერვები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისტორია მათ არ დაივიწყებს, თანამედროვენი კი ჯეროვანს მიუზღავენ მათ.

მათი მიზნები

მათი მიზნები «მარტივი და ნათელია»: «არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება» და «ზურგის გაჯანსაღება» «რუსეთის ხსნისათვის».

არმიის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად «მე მივუთითეო», — ამბობს კორნილოვი, —

«იმის საჭიროებაზე, რომ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას კანონი სიკვდილით დასჯისა საომარი მოქმედების ასპარეზზე».

ხოლო ზურგის გასაჯანსაღებლად «მე მივუთითეო», — განაგრძობს კორნილოვი, —

«იმის საჭიროებაზე, რომ კანონი სიკვდილით დასჯისა და სამხედრო-რევოლუციური სასამართლოების შესახებ გავრცელებულ იქნას შიდა ოლქებზე, იმ მოსაზრებით, რომ ვერავითარი ზომები არმიის ბრძოლისუნარიანობის აღდგენისათვის ვერ მოგვცემენ სასურველ შედეგს, სანამ არმიას ზურგიდან მოსდის შევსებანი თავაშვებულ, გაუწვრთნელ, პროპაგანდით გაჟღენთილ ჯარისკაცთა ბრბოს სახით».

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. კორნილოვის აზრით, «ომის მიზნების მისაღწევად»... საჭიროა ვიყოლიოთ სამი არმია: «ერთი — სანგრებში, დანარჩენი ზურგში — მუშათა და რკინიგზელთა» არმიები. სხვანაირად რომ ვთქვათ: «საჭიროა» გავრცელდეს სამხედრო «დისციპლინა», მთელი მისი შედეგებით, თავდაცვისათვის მომუშავე ქარხნებზე და რკინიგზებზე, ე. ი. «საჭიროა» მათი მილიტარიზაცია.

ამრიგად, სიკვდილით დასჯა ფრონტზე, სიკვდილით დასჯა ზურგში, ქარხნებისა და რკინიგზების მილიტარიზაცია, ქვეყნის გადაქცევა «სამხედრო» ბანაკად და, როგორც ყოველივეს დაგვირგვინება, სამხედრო დიქტატურა კორნილოვის თავმჯდომარეობით, — აი, თურმე, რა მიზნებს ისახავდა შეთქმულთა კომპანია.

ეს მიზნები გამოთქმული იყო საგანგებო «მოხსენებაში», რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ კიდევ მოსკოვის თათბირამდე. მათ ვხვდებით კორნილოვის დეპეშებსა და «ბარათში», როგორც «კორნილოვის მოთხოვნებს».

ცნობილი იყო თუ არა ეს «მოთხოვნები» კერენსკის მთავრობისათვის?

— უეჭველია, ცნობილი იყო.

ეთანხმებოდა თუ არა კერენსკის მთავრობა კორნილოვს?

— აშკარაა, ეთანხმებოდა.

«ხელი რომ მოვაწერე ბ-ნ სავინკოვისა და ბ-ნ ფილონენკოს მიერ უკვე ხელმოწერილ საერთო მოხსენებას არმიისა და ზურგის გაჯანსაღების ზომების შესახებ, — ამბობს კორნილოვი, — მოვახსენე იგი დროებითი მთავრობის კერძო თათბირს ბბ. კერენსკის, ნეკრასოვისა და ტერეშჩენკოს შემადგენლობით. მოხსენების განხილვის შემდგომ მე განმიცხადეს, რომ მთავრობა ეთანხმება ჩემ მიერ წამოყენებულ ყველა ზომას, მათი განხორციელების საკითხი კი მთავრობის ღონისძიებათა ტემპის საკითხიაო».

ამასვე ამბობს სავინკოვი, რომელიც 24 აგვისტოს უცხადებს კორნილოვს: «თქვენს მოთხოვნებს დროებითი მთავრობა უახლოეს დღეებში დააკმაყოფილებსო».

ცნობილი იყო თუ არა კორნილოვის მიზნები ხალხის თავისუფლების პარტიისათვის?

— უეჭველია, ცნობილი იყო.

ეთანხმებოდა თუ არა ეს პარტია კორნილოვს?

— აშკარაა, ეთანხმებოდა. ვინაიდან ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, გაზეთმა «რეჩმა», აშკარად განაცხადა, რომ ის «სავსებით იზიარებს გენერალ კორნილოვის იდეალებს».

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ხალხის თავისუფლების პარტია ბურჟუაზიული დიქტატურის პარტიაა.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ კერენსკის მთავრობა შირმაა ასეთი დიქტატურის დასაფარავად.

ახლა, როდესაც პირველი დარტყმის შემდეგ კორნილოველები წელში გაიმართნენ, ხელისუფლების სათავეში მდგომი შეთქმულნი ისევ ალაპარაკდნენ «არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე» და «ზურგის გაჯანსაღებაზე».

მუშებსა და ჯარისკაცებს უნდა ახსოვდეთ, რომ «არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება» და «ზურგის გაჯანსაღება» მოასწავებს სიკვდილით დასჯას ზურგში და ფრონტზე.

მათი გზა

მათი გზა ისევე «მარტივი და ნათელია», როგორც მიზნები. ეს არის ბოლშევიზმის აღმოფხვრა, საბჭოების გარეკვა, პეტროგრადის გამოყოფა განსაკუთრებულ სამხედრო საგუბერნატოროდ, კრონშტადტის განიარაღება. ერთი სიტყვით — რევოლუციის განადგურება. ამისათვის დასჭირდათ მესამე ცხენოსანი კორპუსი. ამისათვის დასჭირდათ ველური დივიზია.

აი რას ამბობს სავინკოვი მას შემდეგ, რაც კორნილოვთან ერთად განიხილეს პეტროგრადის სამხედრო საგუბერნატოროს საზღვრების დადგენის საკითხი, მიმართავს რა კორნილოვს:

— «ამრიგად, ლავრ გიორგის-ძევ, თქვენს მოთხოვნებს დროებითი მთავრობა უახლოეს დღეებში დააკმაყოფილებს; მაგრამ ამასთან მთავრობა შიშობს, რომ პეტროგრადში შეიძლება წარმოიშვას სერიოზული გართულებანი. თქვენ, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, რომ დაახლოებით 28 თუ 29 აგვისტოს პეტროგრადში მოსალოდნელია ბოლშევიკების სერიოზული გამოსვლა. თქვენი მოთხოვნების გამოქვეყნება, რომლებიც დროებითი მთავრობის საშუალებით ტარდება, რა თქმა უნდა, ბიძგი გახდება ბოლშევიკების გამოსვლისათვის. თუმცა ჩვენს განკარგულებაში საკმაო ჯარებია, მაგრამ სავსებით მათზე დაყრდნობა ჩვენ არ შეგვიძლია. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ შეხვდება ახალ კანონს მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭო. ეს უკანასკნელიც შეიძლება მთავრობის წინააღმდეგი აღმოჩნდეს, და მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს ჯარებზე დაყრდნობა. ამიტომ გთხოვთ გასცეთ განკარგულება იმის შესახებ, რომ მე-3 ცხენოსანი კორპუსი აგვისტოს დამლევისათვის გადმოყვანილ იქნას პეტროგრადთან და გადაცემულ იქნას დროებითი მთავრობის განკარგულებაში. იმ შემთხვევაში, თუ, ბოლშევიკებს გარდა, მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს წევრებიც გამოვლენ, ჩვენ მათ წინააღმდეგაც უნდა ვიმოქმედოთ».

ამასთან სავინკოვმა თქვა, მოქმედება უაღრესად გაბედული და ულმობელი უნდა იყოსო. ამაზე გენერალმა კორნილოვმა უპასუხა, რომ მას «სხვანაირად მოქმედება არც ესმის. რაკი ბოლშევიკებისა და მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს გამოსვლა მოხდება, ის მთელი ენერგიით იქნება დათრგუნვილი».

ამ ზომების პირდაპირ შესასრულებლად მესამე ცხენოსანი კორპუსისა და ველური დივიზიის უფროსს, გენერალ კრიმოვს, კორნილოვმა მისცა «ორი ამოცანა»:

«1) იმ შემთხვევაში, თუ ჩემგან (კორნილოვისაგან) ან უშუალოდ ადგილზე მიიღებთ ცნობას ბოლშევიკების გამოსვლის დაწყების შესახებ, დაუყოვნებლივ დაიძარით კორპუსით პეტროგრადისაკენ, დაიკავეთ ქალაქი, განაიარაღეთ პეტროგრადის გარნიზონის ნაწილები, რომლებიც ბოლშევიკების მოძრაობას მიემხრობიან, განაიარაღეთ პეტროგრადის მოსახლეობა და გარეკეთ საბჭოები.

2) ამ ამოცანის შესრულების დამთავრების შემდეგ გენერალ კრიმოვს უნდა გამოეყო ერთი ბრიგადა არტილერიითურთ ორანიენბაუმისაკენ და, იქ ჩასვლისთანავე, მოეთხოვა კრონშტადტის გარნიზონისაგან ციხე-სიმაგრის განიარაღება და კონტინენტზე გადმოსვლა.

მინისტრ-თავმჯდომარის თანხმობა კრონშტადტის ციხე-სიმაგრის განიარაღებასა და იქიდან გარნიზონის გამოყვანაზე მიღებულ იქნა 8 აგვისტოს, და ამის შესახებ საზღვაო გენერალური შტაბის მოხსენება მინისტრ-თავმჯდომარის რეზოლუციით წარედგინა უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსს ადმირალ მაქსიმოვის წერილთან ერთად».

ასეთია რევოლუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ შეთქმულთა შეხმატკბილებული კომპანიის გზა.

კერენსკის მთავრობა არა თუ იცნობდა მთელ ამ ჯოჯოხეთურ გეგმას, არამედ თვითონაც მონაწილეობას იღებდა მის შემუშავებაში და კორნილოვთან ერთად აპირებდა მის ცხოვრებაში გატარებას.

სავინკოვი, მაშინ ჯერ კიდევ სამხედრო სამინისტროს მმართველი, აშკარად აცხადებს ამას, ამასთან მისი ეს გან-

ცხადება, რომელიც ყველასათვის ცნობილია, ჯერ არავის არ უარუყვია.

აი ეს განცხადება:

«ვალად ვრაცხ ისტორიული სიზუსტის აღსადგენად განვაცხადო, რომ მე, მინისტრ-თავმჯდომარის დავალებით, გთხოვეთ თქვენ (კორნილოვს) ცხენოსანი კორპუსი იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო პეტროგრადში სამხედრო წესების ცხოვრებაში გატარება და დაგვეთრგუნა ყოველგვარი ცდები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებისა, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს ცდები...»

ვგონებთ, ნათელია.

იცოდა თუ არა კორნილოვის გეგმის შესახებ კადეტების პარტიამ?

— უეჭველია, იცოდა.

ვინაიდან ამ პარტიის ცენტრალური ორგანო, გაზეთი «რეჩ», კორნილოვის აჯანყების წინადღეს გაფაციცებით ავრცელებდა პროვოკატორულ ხმებს «ბოლშევიკური აჯანყების» შესახებ და **ამით გზას უკაფავდა** კორნილოვის შემოჭრას პეტროგრადსა და კრონშტადტში.

ვინაიდან კადეტების პარტიის **წარმომადგენელი,** ბ-ნი მაკლაკოვი, «პირადად» მონაწილეობდა, როგორც ეს კორნილოვის «ბარათიდან» ჩანს, სავინკოვსა და კორნილოვს შორის წარმოებულ მთელ მოლაპარაკებაში პეტროგრადში შემოჭრის გეგმების შესახებ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, მაკლაკოვს მაშინ არავითარი ოფიციალური პოსტი არ ეჭირა დროებით მთავრობასთან ან დროებით მთავრობაში, — მაშ როგორ შეეძლო მას ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღება, თუ არა როგორც თავისი პარტიის წარმომადგენელს?

ასეთია ფაქტები.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ კერენსკის მთავრობა არის ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მთავრობა, რომელიც ეყრდნობა კორნილოვშჩინას

და ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ ერთგვარი «გაუბედაობით» განირჩევა.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ კონტრრევოლუციის იდეური და პოლიტიკური ძაფები თავს იყრის კადეტების პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

თუ პიტერელ და მოგილიოველ შეთქმულთა კონტრრევოლუციური გეგმა მარცხით დამთავრდა, ამაში ბრალი მიუძღვით არა კერენსკისა და კორნილოვს, ან მაკლაკოვსა და სავინკოვს, არამედ სწორედ იმ საბჭოებს, რომელთა «გარეკვას» ისინი აპირებდნენ, მაგრამ რომლების წინააღმდეგ გამკლავება მათ ვერ შეძლეს.

ახლა, როდესაც კორნილოველები წელში გაიმართნენ და შემთანხმებლების დახმარებით ხელისუფლების სათავეში გაძვრნენ, საბჭოებთან ბრძოლის საკითხი კვლავ დღის წესრიგში ისმება. მუშებსა და ჯარისკაცებს უნდა ახსოვდეთ, რომ თუ მათ მხარი არ დაუჭირეს საბჭოებს მათს ბრძოლაში კორნილოველთა მთავრობის წინააღმდეგ, მათ მოელით სამხედრო დიქტატურის რკინის ქუსლქვეშ მოქცევის საფრთხე.

იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურა

რა არის «კოლექტიური დიქტატურა», რომლის დამყარებაზეც შეთანხმდნენ რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულნი, კორნილოვი და მილიუკოვი, ალადინი და ფილონენკო, კერენსკი და თავ. ლვოვი, როძიანკო და სავინკოვი? რა პოლიტიკური ფორმები უნდოდათ მიეცათ მათ ამ დიქტატურისათვის?

რა პოლიტიკური დაწესებულებანი მიაჩნდათ მათ საჭიროდ იმისათვის, რომ დაემყარებინათ და მოეგვარებინათ «კოლექტიური დიქტატურა»?

მივცეთ სიტყვა დოკუმენტებს.

«გენ. კორნილოვმა ჰკითხა ფილონენკოს, ხომ არ მიაჩნია მას, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო დიქტატურის გამოცხადება.

ფილონენკომ უპასუხა, რომ, თუ რეალურად ვიფიქრებთ დიქტატორზე, ახლანდელ ვითარებაში მას ეს დიქტატორი წარმოუდგენია მხოლოდ გენ. კორნილოვის სახით. ერთპიროვნული დიქტატურის წინააღმდეგ ფილონენკომ ასეთი მოსაზრება წამოაყენა: თვით გენ. კორნილოვს არ მოეპოვება პოლიტიკური ვითარების საკმაო ცოდნა და ამიტომ მისი დიქტატურის დროს გამეფდებოდა ის, რასაც კამარილას უწოდებენ. დემოკრატიული და რესპუბლიკური წრეები იძულებული იქნებიან გამოვიდნენ ამის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ერთპიროვნული დიქტატურის წინააღმდეგაც.

გენ. კორნილოვი. მაშ რა ვქნათ, მთავრობა რომ არავითარ ზომებს არ იღებს?

ფილონენკო. გამოსავალი შეიძლება გამოინახოს დირექტორიის შექმნით. მთავრობის შემადგენლობიდან საჭიროა გამოიყოს მცირე სამხედრო კაბინეტი, რომელშიც უნდა შევიდნენ განსაკუთრებით ძლიერი ნებისყოფის ადამიანები, ხოლო ამ კაბინეტში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ «სახალხო თავდაცვის საბჭო» ან რაიმე სხვა სახელი — საქმე სახელწოდება როდია, — აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ კერენსკი, გენ. კორნილოვი და სავინკოვი. ამ მცირე კაბინეტმა თავის უპირველეს ამოცანად უნდა დაისახოს ქვეყნის თავდაცვა. ამ სახით უნდა მიიღოს დირექტორიის პროექტი მთავრობამ.

კორნილოვი. თქვენ მართალი ხართ. საჭიროა დირექტორია და რაც შეიძლება მალე...» («ნოვოე ვრემია»).

და შემდეგ:

«მოხაზულ იქნა პროექტი «სახალხო თავდაცვის საბჭოსი», უმაღლესი მთავარსარდლის, როგორც თავმჯდომარის, ა. თ. კერენსკის — მინისტრ-მოადგილის, ბ-ნ სავინკოვის, გენ. ალექსეევის, ადმირალ კოლჩაკისა და ბ-ნ ფილონენკოს მონაწილეობით.

ამ თავდაცვის საბჭოს უნდა განეხორციელებინა კოლექტიური დიქტატურა, ვინაიდან ერთპიროვნული დიქტატურის დამყარება ცნობილ იქნა არასასურველად» («ობშჩეე დელო»).

ამრიგად, **დირექტორია** — აი ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც უნდა მისცემოდა კორნილოვ-კერენსკის «კოლექტიურ დიქტატურას».

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, როდესაც დირექტორიას ქმნიდა კორნილოვის მარცხით დამთავრებული «ამბოხების» შემდეგ, კერენსკი სხვა საშუალებებით ატარებდა **სწორედ იმავე კორნილოვის დიქტატურას.**

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, როდესაც მხარს უჭერდა ღამის ცნობილ სხდომაზე კერენსკის დირექტორიას, დაჩაჩანაკებული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამით ხმას აძლევდა გენერალ კორნილოვის კონტრრევოლუციურ გეგმას.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, როდესაც დორბლმორეულნი იცავდნენ კერენსკის დირექტორიას, «დელო ნაროდას» ბრძენნი ამით, თავისვე შეუმჩნევლად, ღალატობდნენ რევოლუციას, აშკარა და ფარულ კორნილოველთა გასახარებლად.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ დირექტორია არის კონტრრევოლუციის დიქტატურის შენიღბული ფორმა.

მაგრამ მარტო დირექტორიით «ფონს ვერ გახვალ». კონტრრევოლუციის ოსტატებს არ შეიძლებოდა შეგნებული არ ჰქონოდათ, რომ იმ ქვეყნის «მართვა», რომელმაც დემოკრატიზმის ნაყოფი იგემა, მარტო დირექტორიის საშუალებით, რაიმე «დემოკრატიული» საფარველის გამოუყენებლად — არ შეიძლება. «კოლექტიური დიქტატურა» დირექტორიის ფორმით — დიახ! მაგრამ რატომ უნდა გააშიშვლონ ის? განა უმჯობესი არ არის დაფარონ ის რაიმე «წინაპარლამენტით»? დაე ცოცხლობდეს და ლაყბობდეს «დემოკრატიული წინაპარლამენტი», — ოღონდ კი სახელმწიფო აპარატი დირექტორიის ხელში იყოს! ცნობი-

ლია, რომ კორნილოვის დამჭაშმა ბ-მა ზავოიკომ, ლონდონის უცნობი ფირმის აგენტმა ბ-მა ალადინმა და მილიუკოვის მეგობარმა «თვით» კორნილოვმა — პირველებმა წამოაყენეს პროექტი «წინაპარლამენტისა», როგორც დასაყრდენისა და შირმისა დირექტორიისათვის, რომელიც «პასუხისმგებელი» უნდა იყოს (ხუმრობა კი არ გეგონოთ!) ამ «წინაპარლამენტის» წინაშე.

სიტყვა მივცეთ დოკუმენტს.

«დირექტორიის შექმნას რომ მოითხოვდნენ, გენ. კორნილოვს და მის გარშემო მყოფთ არ წარმოედგინათ იგი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გარეშე.

მ. მ. ფილონენკო იყო ერთ-ერთი ყველაზე დარწმუნებული მომხრე ალადინის მიერ წამოყენებული პროექტისა წარმომადგენლობითი ორგანოს შესახებ, რომლის წინაშე აუცილებლად პასუხისმგებელი უნდა იყოს მთავრობა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე.

ამ წარმომადგენლობით ორგანოში, ალადინის აზრით, უნდა შესულიყვნენ მე-4 სახ. სათათბირო (მემარჯვენე ფრთის გამოკლებით და ყველა უმოქმედო წევრის გამორიცხვით), პირველი სამი სათათბიროს მემარცხენე ელემენტები, დელეგაცია მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან (პარტიებისაგან წარმომადგენლობის შეუზღუდავად) და 10 — 20 ყველაზე გამოჩენილი რევოლუციური მოღვაწე, როგორიც არიან ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, კროპოტკინი, ფიგნერი და სხვ., რომლებიც კოოპტირებული იქნებოდნენ წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაში თვით ორგანოს მიერ. ამრიგად «წინაპარლამენტის» იდეა პირველად ა. ფ. ალადინს დაებადა» («ნოვოე ვრემია».)

მაშ ასე, **«წინაპარლამენტი»** — აი ის «წარმომადგენლობითი ორგანო», რომელიც კორნილოვ-კერენსკის «კოლექტიური დიქტატურის» «დემოკრატიული» დასაყრდენი უნდა გამხდარიყო.

«წინაპარლამენტი», როგორც ორგანო, რომლის წინაშე «პასუხისმგებელია» მთავრობა დამფუძნებელი კრების

«მოწვევამდე»; «წინაპარლამენტი», რომელიც **გასწევს** დამფუძნებელი კრების **მაგიერობას** ამ უკანასკნელის მოწვევამდე; «წინაპარლამენტი», რომელიც **ეწევა** დამფუძნებელი კრების **მაგიერობას,** თუ ამ უკანასკნელის მოწვევა გადაიდება; «წინაპარლამენტი», რომელიც **იძლევა** «იურიდიულ **საფუძველს»** (გიხაროდეთ, იურისტებო!) დამფუძნებელი კრების მოწვევის **გადადებისათვის;** «წინაპარლამენტი», როგორც დამფუძნებელი კრების **ჩაშლის საშუალება,** — ამაშია რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულთა კონტრრევოლუციური «დემოკრატიზმის» მთელი აზრი.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, როდესაც «სანქციას აძლევს» კორნილოვისეულ «წინაპარლამენტს», რომლის მოწვევაც ორი დღის შემდეგ მოხდება, კერენსკი მხოლოდ ასრულებს სხვა საშუალებებით რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულთა **სწორედ იმავე კონტრრევოლუციურ გეგმას.**

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, როდესაც «წინაპარლამენტს» აწყობდნენ და ამისათვის მთელ რიგ ფალსიფიკაციებს სჩადიოდნენ, ავქსენტიევები და დანები მუშაობდნენ აშკარა და ფარული კორნილოველებისათვის, რევოლუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ, როდესაც დამფუძნებელი კრების შესახებ გაჰყვირიან, ამავე დროს კი კორნილოვისეულ «წინაპარლამენტს» ამაგრებენ, «დელო ნაროდას» ბრძენნი მუშაობენ დამფუძნებელი კრების ჩაშლისათვის.

კორნილოვის მოწაფენი — აი ყველაფერი, რის უნარის მქონენიც აღმოჩნდნენ «პასუხისმგებელი» მოლაყბენი «დემოკრატიულ თათბირზე», წერეთლები და ჩერნოვები, ავქსენტიევები და დანები.

* * *

პირველი დასკვნა

ზემოთ განხილული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ «კორნილოვის საქმეში» ჩვენ საქმე გვაქვს არა «ამბოხებასთან» დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, და არც პატივმოყვარე გენერლის უბრალო «ავანტიურასთან», არამედ ნამდვილ შეთქმულებასთან რევოლუციის წინააღმდეგ, ორგანიზებულ და ზუსტად მოფიქრებულ შეთქმულებასთან.

შეთქმულების ორგანიზატორები და შთამაგონებლები არიან: გენერალიტეტის კონტრრევოლუციური ნაწილი, კადეტების პარტიის წარმომადგენლები, მოსკოვის «საზოგადო მოღვაწეთა» წარმომადგენლები, დროებითი მთავრობის ყველაზე მეტად «განდობილი» წევრები და — თავისი მნიშვნელობით არა უკანასკნელნი! — რომელიღაც საელჩოთა რომელიღაც წარმომადგენლები (კორნილოვის «ბარათი» მათ დუმილით უვლის გვერდს).

ესე იგი ყველა ის, ვინც «აღტაცებით» ხვდებოდა კორნილოვს მოსკოვის თათბირზე, როგორც «რუსეთის აღიარებულ ბელადს».

«კორნილოვის შეთქმულება» არის შეთქმულება იმპერიალისტური ბურჟუაზიისა რუსეთის რევოლუციური კლასების წინააღმდეგ, პროლეტარიატისა და გლეხობის წინააღმდეგ.

შეთქმულების მიზანია: რევოლუციის განადგურება და იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის დამყარება.

იყო უთანხმოებანი შეთქმულებს შორის, მაგრამ უთანხმოებანი მცირე, რაოდენობრივი. ეს უთანხმოებანი გამოიხატებოდნენ «მთავრობის ღონისძიებათა ტემპში»: კერენსკის უნდოდა ემოქმედნა ფრთხილად და უკან-უკან

ცქერით, კორნილოვი კი «პირდაპირ აწვებოდა». მაგრამ ისინი ყველანი ეთანხმებოდნენ ერთმანეთს ძირითადში: იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის დამყარება **დირექტორიის** «კოლექტიური დიქტატურის» სახით, რომელიც გულუბრყვილოთა მოსატყუებლად დაფარული იქნებოდა «დემოკრატიული» **წინაპარლამენტით.**

რა შეადგენს იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის დამახასიათებელ ნიშანს?

უწინარეს ყოვლისა ის, რომ ასეთი დიქტატურა არის მეომარი და ექსპლოატატორული უმცირესობის ბატონობა მშრომელ და ზავს მოწყურებულ უმრავლესობაზე. წაიკითხეთ კორნილოვის «ბარათი», გადაათვალიერეთ «მოლაპარაკება» მთავრობის წევრებთან: იქ ლაპარაკია რევოლუციის დათრგუნვის ზომებზე, ლაპარაკია ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებისა და იმპერიალისტური ომის გაგრძელების გზებზე, მაგრამ იქ ერთი სიტყვაც არ არის გლეხებზე, რომლებიც მოითხოვენ მიწას, მუშებზე, რომლებიც მოითხოვენ პურს, მოქალაქეთა უმრავლესობაზე, რომელთაც ზავი სწყურიათ. მეტიც, მთელი «ბარათი» აგებულია იმ ვარაუდზე, რომ საჭიროა იყოლიონ მასები რკინის მარწუხებში, გამგებლობის სადავე კი ერთი მუჭა დიქტატორების ხელში უნდა იყოსო.

მეორეც, ის, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურა არის კულისებსიქითა, საიდუმლო, ფარული, მასების მოტყუებაზე გაანგარიშებული დიქტატურა. გაეცანით «ბარათს» და მიხვდებით, თუ რა გულმოდგინებით ცდილობდნენ ბ-ნი შეთქმულნი დაემალათ თავისი შავბნელი გეგმები და ფარული ხრიკები არა მარტო მასებისაგან, არამედ თავისი თანამოსამსახურეებისა და პარტიული «მეგობრებისაგანაც». მასების მოსატყუებლად შეთითხნეს «დემოკრატიული» წინაპარლამენტის გეგმა, ვინაიდან რა დემო-

კრატიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ზურგში და ფრონტზე სიკვდილით დასჯაა შემოღებული? მასების მოსატყუებლად დატოვეს «რუსეთის რესპუბლიკა», ვინაიდან რა რესპუბლიკაზე შეიძლება ლაპარაკი ხუთი დიქტატორისაგან შემდგარი ჯგუფის შეუზღუდავი ბატონობის დროს!

დასასრულ, ის, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურა არის მასების მიმართ ძალადობაზე დაყრდნობილი დიქტატურა. არავითარი სხვა «საიმედო» დასაყრდენი, გარდა სისტემატური ძალადობისა მასების მიმართ, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ასეთ დიქტატურას. სიკვდილით დასჯა ზურგში და ფრონტზე, ქარხნებისა და რკინიგზების მილიტარიზაცია, ხვრეტა — ასეთია ამ დიქტატურის არსენალი. ძალადობით ზურგგამაგრებული «დემოკრატიული» მოტყუება; «დემოკრატიული» მოტყუებით დაფარული ძალადობა, — ასეთია იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის ალფა და ომეგა.

შეთქმულებს სურდათ სწორედ ასეთი დიქტატურა დაემყარებინათ რუსეთში.

* * *

მეორე დასკვნა

ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ იმას, რომ შეთქმულების მიზეზად ცალკეული გმირების ბოროტი ნებისყოფა მივიჩნიოთ. ჩვენ ასევე სრულებითაც არ ვაპირებთ იმას, რომ შეთქმულება მის ინიციატორთა უფლებამოყვარულობით ავხსნათ. კონტრრევოლუციური შეთქმულების მიზეზები უფრო ღრმად არის ჩამარხული. ამ მიზეზებს იმპერიალისტური ომის პირობებში უნდა ვეძებდეთ. მათ უნდა ვეძებდეთ ამ ომის საჭიროებებში. ფრონტზე შეტევის პოლიტიკა, რომელიც ივნისში შეითვისა დროებითმა მთავრობამ, — აი სად უნდა ვეძებდეთ საფუძველს, რომელმაც მოამზადა კონტრ-

რევოლუციონერთა შეთქმულება. ყველგან, ყველა მეომარ სახელმწიფოში, შეტევის პოლიტიკა იმპერიალისტური ომის ვითარებაში იწვევდა თავისუფლებათა გაუქმების, სამხედრო წესების შემოღების, «რკინისებური დისციპლინის» დამყარების საჭიროებას, ვინაიდან მაქსიმალურ თავისუფლებათა დროს წარმოუდგენელია დაუსჯელად ერეკებოდე მასებს ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც მსოფლიოს მტაცებლებმა წამოიწყეს. რუსეთი ამ მხრივ გამონაკლისი არ იქნებოდა.

შინაურ და მოკავშირე იმპერიალისტურ ხროვათა ზეგავლენით ივნისში გამოცხადდა შეტევა ფრონტზე. ჯარისკაცები უარს ამბობენ მორჩილად წავიდნენ შეტევაზე. სარდლობამ დაიწყო პოლკების დაშლა. ამ ზომამ არ გასჭრა. ამის გამო არმია აღიარებულ იქნა «ბრძოლისუნარმოკლებულად». არმიის «ბრძოლისუნარიანობის ამაღლების» მიზნით კორნილოვი (და არა მარტო კორნილოვი!) მოითხოვს კანონს ფრონტზე სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ, წინასწარ აკრძალა რა ჯარისკაცთა მიტინგები და კრებები. ჯარისკაცები და მუშები ზურგში პროტესტს აცხადებენ ამის წინააღმდეგ და აქეზებენ ჯარისკაცების აღშფოთებას ფრონტზე. ამის პასუხად ფრონტის გენერლები ბურჟუაზიის მხარდაჭერით მოითხოვენ სიკვდილით დასჯის გავრცელებას ზურგში, ქარხნებისა და რკინიგზების მილიტარიზაციას. დიქტატურის გეგმა და შეთქმულება მხოლოდ ლოგიკური გაგრძელებაა ამ ზომებისა. ასეთია «რკინისებური დისციპლინის აღდგენისა» და კონტრრევოლუციის განვითარების მოკლე ისტორია, რომელიც ფერადოვნად გადმოცემულია კორნილოვის «ბარათში». კონტრრევოლუცია მოვიდა ფრონტიდან, იგი წარმოიშვა იმპერიალისტური ომის პირობებში შეტევის საჭიროებათა ნიადაგზე. შეთქმულება მიზნად

ისახავდა უკვე არსებული კონტრრევოლუციის ორგანიზებასა და გაფორმებას, მის გავრცელებას მთელ რუსეთზე.

მეფის სათათბიროს სამი ივნისის ზუბრებმა იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ, როდესაც ჯერ კიდევ ივნისის დამდეგს მოითხოვდნენ «დაუყოვნებლივ» შეტევას, მოკავშირეებთან მჭიდრო ურთიერთობით. მათ, კონტრრევოლუციის ნაცადმა მოსაქმეებმა, იცოდნენ, რომ შეტევის პოლიტიკა გარდუვალად გამოიწვევდა კონტრრევოლუციას.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როდესაც გაფრთხილებას იძლეოდა მაშინ თავის განცხადებაში საბჭოების ყრილობაზე, რომ ფრონტზე შეტევა სასიკვდილო საფრთხეს უმზადებს რევოლუციას.

ობორონცობის ბელადებმა, რომლებმაც უარყვეს ჩვენი პარტიის განცხადება, ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი პოლიტიკური უსუსურობა და იდეური დამოკიდებულება იმპერიალისტური ბურჟუაზიისაგან.

რა გამომდინარეობს აქედან?

დასკვნა ერთია. ეს შეთქმულება გაგრძელებაა კონტრრევოლუციისა, რომელიც წარმოიშვა იმპერიალისტური ომისა და შეტევის პოლიტიკის საჭიროებებიდან. სანამ არის ეს ომი და ასეთი პოლიტიკა — იქნება კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა საფრთხეც. იმისათვის, რომ დაცულ იქნას რევოლუცია ასეთი საფრთხისაგან — საჭიროა იმპერიალისტური ომის შეწყვეტა, საჭიროა შეტევის პოლიტიკის შესაძლებლობის მოსპობა, საჭიროა დემოკრატიული ზავის მოპოვება.

* * *

მესამე დასკვნა

კორნილოვი და მისი «თანამზრახველნი» დაპატიმრებული არიან. მთავრობის მიერ მოწყობილი საგამომძიებლო კომისია საქმეს «სასწრაფო წესით» აწარმოებს. დროე-

ბით მთავრობას უმაღლეს მოსამართლედ გამოჰყავს თავი. კორნილოვსა და მის «თანამზრახველებს» მიკუთვნებული აქვთ «მეამბოხეთა» როლი. «რეჩისა» და «ნოვოე ვრემიას» საზოგადოებას — კორნილოვის დამცველთა როლი. «გასამართლება საინტერესო იქნებაო», — ამბობენ ახალი ამბების მოყვარულნი. «გასამართლება ბევრ მნიშვნელოვან მხილებას მოგვცემსო», — ღრმააზროვნულად შენიშნავს «დელო ნაროდა».

ამბოხება ვის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, რევოლუციის წინააღმდეგ! რევოლუცია სადღაა? რა თქმა უნდა, დროებით მთავრობაში, ვინაიდან ამბოხება დაწყებულია დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ვისგან შესდგება თვით ეს რევოლუცია? «უცვლელი» კერენსკისაგან, კადეტების პარტიის წარმომადგენლებისაგან, მოსკოვის «საზოგადო მოღვაწეთა» წარმომადგენლებისა და ერთი სერისაგან, რომელიც ამ ჯენტლმენების ზურგს უკან დგას. პირველი ხმა: «მაგრამ იქ ხომ კორნილოვი აკლია?». მეორე ხმა: «რა შუაშია აქ კორნილოვი: მას ნაბრძანები აქვს ბრალდებულის სკამზე იჯდეს»...

მაგრამ ჩამოვუშვათ ფარდა. კორნილოვმა მართლაც მოაწყო შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ ის მარტო არ ყოფილა. მას ჰყავდა შთამაგონებელნი მილიუკოვისა და როძიანკოს სახით, ლვოვისა და მაკლაკოვის სახით, ფილონენკოს და ნაბოკოვის სახით. მას ჰყავდა თანამშრომელნი კერენსკისა და სავინკოვის სახით, ალექსეევისა და კალედინის სახით. განა ეს ზღაპარია, რომ ეს და მათი მსგავსი ჯენტლმენები ახლა გულდამშვიდებულნი დასეირნობენ თავისუფლად, და არა მარტო თავისუფლად დასეირნობენ, არამედ კიდევაც «განაგებენ» ქვეყანას «თვით» კორნილოვის კონსტიტუციის მიხედვით? კორნილოვს, დასასრულ, მხარს უჭერდა რუსეთისა და ინგლის-

საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომლის ინტერესების გულისათვის «განაგებენ» ახლა ქვეყანას კორნილოვის ყველა ეს თანამშრომელნი. განა ცხადი არ არის, რომ მარტო კორნილოვის გასამართლება უბადრუკ და სასაცილო კომედიას წარმოადგენს? მეორე მხრით, როგორ უნდა მისცე სამართალში იმპერიალისტური ბურჟუაზია, ეს მთავარი დამნაშავე რევოლუციის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისა? ბრძენო ხელოსნებო იუსტიციის სამინისტროდან, — გადაწყვიტეთ!

აშკარაა, საქმე კომედიურ გასამართლებაში როდია. საქმე იმაშია, რომ კორნილოვის გამოსვლის შემდეგ, გახმაურებულ დაპატიმრებათა და «სასტიკი» გამოძიების შემდეგ, ძალაუფლება კვლავ მთლიანად და უკლებლივ «აღმოჩნდა» კორნილოველების ხელში. იმას, რის მიღწევასაც კორნილოვი იარაღის ძალით ცდილობდა, თანდათანობით, მაგრამ განუხრელად ახორციელებენ ხელისუფლების სათავეში მდგომი კორნილოველები, თუმცა სხვა საშუალებებით. კორნილოვისეული «წინაპარლამენტიც» კი შემოიღეს ცხოვრებაში.

საქმე იმაშია, რომ რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულების მშვიდობიანი «ლიკვიდაციის» შემდეგ ჩვენ კვლავ «აღმოვჩნდით» შეთქმულთა შტაბის, იმავე კერენსკისა და ტერეშჩენკოს, კადეტთა პარტიისა და «საზოგადო მოღვაწეთა» იმავე წარმომადგენლების, იმავე სერთა და სერისმსგავს გენერალთა ხელში. აკლია კორნილოვი, მაგრამ რით არის კორნილოვზე ნაკლები სერ ალექსეევი, ურომლისოდაც არ ტარდება არც ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე და რომელიც თურმე აპირებს თანხმობის კონფერენციაზე იყოს არ ვიცით რუსეთისა თუ ინგლისის წარმომადგენელი?

საქმე იმაშია, რომ აღარ შეიძლება კვლავაც მოვითმინოთ შეთქმულთა ეს «მთავრობა».

საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება ვენდობოდეთ შეთქმულთა ამ «მთავრობას» ისე, რომ ახალ შეთქმულებათა სასიკვდილო საფრთხეში არ ჩავაგდოთ რევოლუცია.

დიახ, რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულთა გასამართლება საჭიროა. მაგრამ არა კომედიური და ყალბი გასამართლება, არამედ ნამდვილი და სახალხო. ამ გასამართლების მიზანი ის უნდა იყოს, რომ ძალაუფლება მოვუსპოთ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომლის ინტერესების გულისთვისაც მოღვაწეობს შეთქმულთა ახლანდელი «მთავრობა». ამ გასამართლების მიზანი ის უნდა იყოს, რომ მოვახდინოთ ხელისუფლების ძირფესვიანი წმენდა, თავიდან ბოლომდე, კორნილოველთა ელემენტებისაგან.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ იმპერიალისტური ომის დაუმთავრებლად და დემოკრატიული ზავის მოუპოვებლად შეუძლებელია რევოლუციის დაცვა კონტრრევოლუციის შეთქმულებებისაგან. მაგრამ ვიდრე ხელისუფლების სათავეში დგას ახლანდელი «მთავრობა», დემოკრატიულ ზავზე ოცნებაც არ შეიძლება. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ასეთი ზავი, უნდა «მოიხსნას» ეს ხელისუფლება და «დაყენებულ» იქნას ახალი.

ამისათვის საჭიროა ძალაუფლება გადაეცეს ახალ, რევოლუციურ კლასებს, პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობას. ამისათვის საჭიროა მოექცეს ძალაუფლება მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციების ხელში, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

ამ კლასებმა და ამ ორგანიზაციებმა, და მხოლოდ მათ, იხსნეს რევოლუცია კორნილოვის შეთქმულებისაგან. ისინივე უზრუნველყოფენ მის გამარჯვებას.

სწორედ ეს იქნება იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მისი აგენტების — შეთქმულების — გასამართლება.

* * *

ორი კითხვა

პირველი კითხვა. რამდენიმე კვირის წინათ, როდესაც პრესაში პირველად გამოქვეყნდა სასკანდალო მხილებანი რევოლუციის წინააღმდეგ ხელისუფლების (არა კორნილოვის, არამედ ხელისუფლების!) შეთქმულების შესახებ, ბოლშევიკურმა ფრაქციამ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში შეიტანა შეკითხვა, მიმართული «კორნილოვის ეპოპეის» პერიოდის დროებითი მთავრობის ყოფილი წევრების — ავქსენტიევისა და სკობელევისადმი. შემკითხველთ აინტერესებდათ ის ჩვენებანი, რომლებიც პატიოსნებისა და დემოკრატიის წინაშე მოვალეობის მიხედვით უნდა მოეცათ ავქსენტიევსა და სკობელევს დროებითი მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მხილებათა საკითხზე. ჩვენი ფრაქციის შეკითხვა იმავე დღეს მიღებულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს მიერ და, ამრიგად, ის «მთელი რევოლუციური დემოკრატიის» შეკითხვა გახდა. მას შემდეგ თვე გადის, მხილება კი მხილებას მოსდევს, ერთიმეორეზე უფრო სასკანდალო, ხოლო ავქსენტიევსა და სკობელევს პირში წყალი ჩაუგუბებიათ და დუმილს განაგრძობენ, თითქოს ეს მათ არ ეხებოდეს. მიაჩნიათ თუ არა მკითხველებს, რომ დროა გაიხსენონ ამ «პასუხისმგებელმა» მოქალაქეებმა უბრალო რიგიანობის ელემენტარული წესები და, ბოლოს და ბოლოს, გამოეხმაურონ შეკითხვას, რომლითაც მათ «მთელმა რევოლუციურმა დემოკრატიამ» მიმართა?

მეორე კითხვა. როდესაც გაჩაღებული იყო ახალი მხილებანი კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ, «დელო ნაროდამ» მოუწოდა მკითხველებს «მოითმინონ» ეს მთავრობა, «ელოდონ» დამფუძნებელ კრებას. რა თქმა უნდა, სასაცილოა ახლა გვესმოდეს სიტყვები «მოთმენის» შესახებ იმ ადამიანთაგან, რომლებმაც საკუთარი ხელით შექმნეს ეს მთავრობა «ქვეყნის ხსნისათვის». ნუთუ მხოლოდ იმისათვის შექმნეს მათ ეს მთავრობა, რომ ძალაუნებურად «მოითმინონ» ის «მოკლე ხნით»?.. მაგრამ რას ნიშნავს კერენსკის მთავრობის «მოთმენა»? ეს ნიშნავს იმას, რომ მრავალმილიონიანი ხალხის ბედი ხელში ჩაუგდო რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ომისა და ზავის ბედი ხელში ჩაუგდო იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტებს. ეს ნიშნავს იმას, რომ დამფუძნებელი კრების ბედი ხელში ჩაუგდო გაუსწორებელ კონტრრევოლუციონერებს. რა უნდა ვუწოდოთ იმ «სოციალისტურ» პარტიას, რომელმაც თავისი პოლიტიკური ბედი დაუკავშირა რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულთა «მთავრობის» ბედს? ლაპარაკობენ ესერების პარტიის ბელადების «გულუბრყვილობაზე». ლაპარაკობენ «დელო ნაროდას» «სიბეცეზე». ეჭვს გარეშეა, რომ ესერების «პასუხისმგებელ» ბელადებს საკმაოდ მოეპოვებათ ასეთი «ღირსებანი». მაგრამ... მიაჩნიათ თუ არა მკითხველებს, რომ პოლიტიკაში გულუბრყვილობა დანაშაულია, რომელიც ახლო დგას გამცემლობასთან?

«რაბოჩი პუტ» №№ 27, 28 და 30.
1917 წ. 4, 5 და 7 ოქტომბერი.
ხელმოწერა: კ. სტალინი.

ვინ შლის დამფუძნებელ კრებას?

მაშინ როდესაც შემთანხმებლობის მოლაყბენი გადაჰყოლიან სიტყვების კორიანტელს წინაპარლამენტის შესახებ, მათი თანამგზავრნი კი ეომებიან ბოლშევიკებს, რომლებიც ვითომ დამფუძნებელ კრებას შლიან, კონტრრევოლუციის მოსაქმენი უკვე სინჯავენ ძალებს დამფუძნებელი კრების ნამდვილად ჩაშლისათვის.

სულ რაღაც ერთი კვირის წინათ «დონის კაზაკობის» ბელადებმა წამოაყენეს წინადადება — დამფუძნებელი კრების არჩევნები გადაიდოს «მოსახლეობის მოუმზადებლობის» გამოო.

ამის შემდეგ ორი დღე გავიდა, და გაზეთ «დენს», კადეტური «რეჩის» მახლობელ თანამშრომლებს, წამოსცდა: «აგრარული არეულობის ტალღამ... შეიძლება გადადოს დამფუძნებელი კრების არჩევნებიო».

გუშინ კი ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა, რომ მოსკოვის «საზოგადო მოღვაწეებს», სახელდობრ იმათ, რომლებიც ახლა გეზს აძლევენ დროებით მთავრობას, აგრეთვე «შეუძლებლად მიაჩნიათ» დამფუძნებელი კრების არჩევნები.

«სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ნ. ნ. ლვოვმა აღნიშნა, რომ, ჩვენს ქვეყანაში არსებული ანარქიის გამო, ტექნიკური და პოლიტი-

კური მოსაზრებებით ამჟამად შეუძლებელია არჩევნების ჩატარება. კუზმინ-კარავაევმა კი დასძინა, რომ დამფუძნებელი კრებისათვის ხელისუფლება მომზადებული არ არის, არავითარი კანონპროექტი არ არის გამომუშავებულიო».

აშკარაა, ბურჟუაზიას განზრახული აქვს ჩაშალოს დამფუძნებელი კრების არჩევნები.

აშკარაა ახლა, როდესაც ბურჟუაზია გამაგრდა დროებით მთავრობაში, შეიქმნა რა თავისთვის «დემოკრატიული» საფარველი კონტრრევოლუციური წინაპარლამენტის სახით, — იგი თავს საკმაოდ ძლიერად სთვლის იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ «გადადოს» დამფუძნებელი კრება.

რა შეუძლიათ დაუპირდაპირონ ამ საფრთხეს «იზვესტიასა» და «დელო ნაროდაში» მოკალათებულ ბ-ნ შემთანხმებლებს?

რა შეუძლიათ მათ დაუპირდაპირონ დროებით მთავრობას, თუ ეს უკანასკნელი «ყურად იღებს ქვეყნის ხმას», კვალდაკვალ გაჰყვება «საზოგადო მოღვაწეებს» და გადადებს დამფუძნებელი კრების არჩევნებს?

იქნებ, უბადაღებული წინაპარლამენტი? მაგრამ წინაპარლამენტი, რომელიც შექმნილია კორნილოვის გეგმით და მოწოდებულია დაფაროს კერენსკის მთავრობის იარები, ხომ სწორედ იმისათვის შექმნეს, რომ მან გასწიოს დამფუძნებელი კრების მაგიერობა, თუ ის გადადებული იქნება. რა შეუძლია მოგვცეს კორნილოვის ამ უდღეურმა ნახელავმა დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლაში?

იქნებ, დაჩაჩანაკებული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი? მაგრამ რა ავტორიტეტით შეიძლება სარგებლობდეს ეს მასებს მოწყვეტილი დაწესებულება, რომელიც წარამარა წიხლებს ესვრის ხან რკინიგზელებს, ხან საბჭოებს?

იქნებ, «რუსეთის დიდი რევოლუცია», რომელზეც ასე არასასიამოვნო სიყალბით ლაყბობს «დელო ნაროდა»?

მაგრამ აკი თვითონ «დელო ნაროდას» ბრძენნი ამბობენ, რომ რევოლუცია შეუთავსებელია დამფუძნებელ კრებასთან («ან რევოლუცია, ან დამფუძნებელი კრება»!). რა ძალა შეიძლება ჰქონდეს ფუჭ ფრაზებს «რევოლუციის ძლიერების» შესახებ დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლაში?

მაშ სად არის ის ძალა, რომელიც შეიძლება დავუპირდაპიროთ ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ცდებს?

ეს ძალა არის რუსეთის მზარდი რევოლუცია. შემთანხმებლებს არა აქვთ მისი რწმენა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას იზარდოს, მოედოს სოფელს და აღგავოს მემამულეთა ძალაუფლების საყრდენები.

საბჭოების ყრილობის[86] წინააღმდეგ რომ იბრძვიან და კორნილოვისეულ წინაპარლამენტს რომ ამაგრებენ, ამით მენშევიკები და ესერები ეხმარებიან ბურჟუაზიას ჩაშალოს დამფუძნებელი კრება. მაგრამ დაე იცოდნენ მათ, რომ ამ გზით სვლის დროს მათ საქმე ექნებათ მზარდ რევოლუციასთან.

«რაბოჩი პუტ» № 22,
1917 წ. 5 ოქტომბერი.

მოწინავე.

კონტრრევოლუცია ირაზმება, — ემზადეთ წინააღმდეგობისათვის

რევოლუცია ცოცხლობს. მან ჯერ ჩაშალა კორნილოვის «ამბოხება» და შეარხია ფრონტი, შემოუქროლა ქალაქებს და გამოაცოცხლა ფაბრიკის რაიონები, — ახლა კი იგი გადადის სოფლად და აცამტვერებს მემამულეთა ძალაუფლების საძულველ საყრდენებს.

ემხობა შემთანხმებლობის უკანასკნელი დასაყრდენი. კორნილოვ-შჩინასთან ბრძოლამ აღგვა შემთანხმებლური ილუზიები მუშებისა და ჯარისკაცებისა, დარაზმა ეს უკანასკნელნი ჩვენი პარტიის გარშემო. მემამულეებთან ბრძოლა აღგვის შემთანხმებლურ ილუზიებს გლეხებში, შემოკრებს ამ უკანასკნელთ მუშებისა და ჯარისკაცების გარშემო.

ობორონცებთან ბრძოლაში და მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ ყალიბდება მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების რევოლუციური ფრონტი. შემთანხმებლებთან ბრძოლაში და მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ იზრდება და მტკიცდება ეს ფრონტი.

რევოლუცია რაზმავს თავის ძალებს, თავისი წრიდან ერეკება მენშევიკ და ესერ შემთანხმებლებს.

ამასთან ერთად თავის ძალებს რაზმავს კონტრრევოლუციაც.

კადეტების პარტია, კონტრრევოლუციის ბუდე და გამავრცელებელი, პირველი იწყებს ბრძოლას, ეწევა რა აგიტაციას კორნილოვის სასარგებლოდ. ხელში რომ ჩაიგდო ძალაუფლება, ამ პარტიამ აუშვა სუვორინის ხროვის გოშიები, საფრად გამოიყენა ესერულ-მენშევიკურ-კორნილოვისეული წინაპარლამენტი და უზრუნველყო თავისთვის კონტრრევოლუციური გენერლების მხარდაჭერა; ყოველივე ამით კადეტების პარტია ახალ კორნილოვშჩინას ამზადებს და რევოლუციის განადგურებით იმუქრება.

მოსკოვის «საზოგადო მოღვაწეთა კავშირი», მელოკაუტეებისა და «შიმშილის გაძვალტყავებული ხელის» კავშირი, სწორედ ის, რომელიც ეხმარებოდა კორნილოვს ჯარისკაცებისა და მუშების წახრჩობაში, ზურგში საბჭოებისა და ფრონტზე კომიტეტების გარეკვაში, — ეს კავშირი ორი დღის შემდეგ იწვევს **«მოსკოვის მეორე თათბირს»** და გულმოდგინედ ეპატიჟება ამ თათბირზე «კაზაკთა ჯარების კავშირის» წარმომადგენლებს.

ფრონტზე, განსაკუთრებით სამხრეთით და დასავლეთით, კორნილოველ გენერალთა საიდუმლო კავშირი გაფაციცებით აწყობს ახალ ლაშქრობას რევოლუციის წინააღმდეგ, თავის გარშემო იკრებს შავი «მუშაობისათვის» გამოსადეგ ყველა ძალებს...

კერენსკის მთავრობა კი, სწორედ ის მთავრობა, რომელმაც კორნილოვთან ერთად მოაწყო შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ, ემზადება მოსკოვში გასაქცევად იმისათვის, რომ ჩააბაროს გერმანელებს პეტროგრადი და მოაწყოს რიაბუშინსკებთან და ბურიშკინებთან ერთად, კალედინებთან და ალექსეევებთან ერთად ახალი, უფრო მრისხანე შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ.

ეჭვი შეუძლებელია. რევოლუციის ფრონტის საპირისპიროდ იქმნება და მტკიცდება კონტრრევოლუციის

ფრონტი, კაპიტალისტებისა და მემამულეების, კერენსკის მთავრობისა და წინაპარლამენტის ფრონტი. კონტრრევოლუცია ახალ კორნილოვშჩინას ამზადებს.

კორნილოვშჩინის პირველი შეთქმულება ჩაშლილ იქნა. მაგრამ კონტრრევოლუცია არ განადგურებულა. მან მხოლოდ უკან დაიხია, ზურგს უკან ამოეფარა კერენსკის მთავრობას და ახალ პოზიციებზე გამაგრდა.

კორნილოვშჩინის მეორე შეთქმულება, რომელიც ახლა მზადდება, ძირშივე უნდა იქნას გასრესილი, რათა დიდი ხნით ვიხსნათ რევოლუცია საფრთხისაგან.

კონტრრევოლუციის პირველი გამოსვლა ჩაშლილ იქნა მუშებისა და ჯარისკაცების ძალებით, ზურგში საბჭოებისა და ფრონტზე კომიტეტების ძალებით.

საბჭოებმა და კომიტეტებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ კონტრრევოლუციის მეორე გამოსვლა გაცამტვერებულ იქნას დიდი რევოლუციის მთელი ძლიერებით.

დაე იცოდნენ მუშებმა და ჯარისკაცებმა, დაე იცოდნენ გლეხებმა და მატროსებმა, რომ ბრძოლა წარმოებს **ზავისა** და **პურისათვის, მიწისა** და **თავისუფლებისათვის** კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ, სპეკულანტებისა და მარიოდიორების წინააღმდეგ, მოღალატეებისა და გამცემლების წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც არ სურს ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო კორნილოვშჩინას, რომელიც ირაზმება.

კორნილოვშჩინა ირაზმება, — ემზადეთ წინააღმდეგობისათვის!

«რაბოჩი პუტ» № 32,
1917 წ. 10 ოქტომბერი.

მოწინავე.

ვის ესაჭიროება წინაპარლამენტი?

ამ რამდენიმე თვის წინათ, საბჭოების გარეკვის გეგმას რომ თხზავდა და სამხედრო დიქტატურას აწყობდა, კორნილოვმა ამასთან ერთად გადაწყვიტა «დემოკრატიული» წინაპარლამენტი შეექმნა.

რისთვის?

იმისთვის, რომ საბჭოები წინაპარლამენტით შეეცვალა, მით დაეფარა კორნილოვშჩინის კონტრრევოლუციური არსი და მოეტყუებინა ხალხი კორნილოვის «რეფორმათა» ნამდვილი მიზნების საკითხში.

კორნილოვის აჯანყების «ლიკვიდაციის» შემდეგ კერენსკიმ და კადეტებმა, ჩერნოვმა და მოსკოვის მრეწველებმა, ბურჟუაზიის «ახალ» კოალიციურ დიქტატურას რომ აწყობდნენ, ამასთან ერთად გადაწყვიტეს კორნილოვისეული წინაპარლამენტი შეექმნათ.

რისთვის?

იქნებ საბჭოების წინააღმდეგ საბრძოლველად? იქნებ კერენშჩინის დასაფარავად, რომელიც მაინცდამაინც არ განსხვავდება კორნილოვშჩინისაგან? ავქსენტიევი ირწმუნება, წინაპარლამენტი «სამშობლოს სახსნელად» არის შექმნილიო. ჩერნოვი შემდგომ «ავითარებს» ავქსენტიევის

აზრს და ირწმუნება, წინაპარლამენტის მიზანი «ქვეყნისა და რესპუბლიკის ხსნა» არისო. მაგრამ კორნილოვიც ხომ «ქვეყნისა და რესპუბლიკის ხსნას» ფიქრობდა, როდესაც სამხედრო დიქტატურას აწესებდა და მას წინაპარლამენტით ფარავდა. რით განირჩევა ავქსენტიევ-ჩერნოვისეული «ხსნა» კორნილოვისეულისაგან?

ამრიგად, რისთვის წარმოიშვა ამ ქვეყნად ახლანდელი კორნილოვისეული უდღეური არსება, ეგრეთწოდებული წინაპარლამენტი?

მოვუსმინოთ წინაპარლამენტის ერთ-ერთ პირველ არქიტექტორს, კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის ყოფილ წევრს, ამჟამად წინაპარლამენტის წევრს, ბ-ნ აჯემოვს. მოვუსმინოთ მას, ვინაიდან ის სხვებზე უფრო გულახდილია:

«წინაპარლამენტის უპირველესი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ დასაყრდენი ნიადაგი შეუქმნას მთავრობას, მისცეს მას ძალაუფლება, რომელიც მას **დღეს, რა თქმა უნდა, არა აქვს**».

მაგრამ რისთვის სჭირდება მთავრობას ეს «ძალაუფლება»? ვის წინააღმდეგ უნდა მიიმართოს ის?

მოუსმინეთ შემდეგ:

«მთავარი საკითხი, — სთქვა აჯემოვმა, — ის არის, მოახერხებს თუ არა წინაპარლამენტი კარგად ჩაატაროს რეპეტიცია, შეძლებს თუ არა იგი ჯეროვნად გაუმკლავდეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს. არ შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ, რომ საბჭო და წინაპარლამენტი ერთმანეთს უპირისპირდებიან, სწორედ ისევე, როგორც ამ ორი თვის შემდეგ დამფუძნებელ კრებას კვლავ იგივე ორგანიზაციები დაუპირისპირდებიან. თუ **წინაპარლამენტი** გამოცდას ჩააბარებს, მაშინ მუშაობა შეიძლება მოგვარდეს» (იხ. «დენი», კვირა).

აი, ეს კი საქმეა! აი, ამას ჰქვია გულახდილობა და, თუ გნებავთ, პატიოსნებაც!

წინაპარლამენტი «ძალაუფლებას» უქმნის მთავრობას იმისათვის, რომ «გაუმკლავდეს საბჭოებს», ვინაიდან წინაპარლამენტი, და მხოლოდ იგი, შეიძლება «დაუპირისპირდეს» საბჭოებს.

ახლა გვეცოდინება, რომ წინაპარლამენტი წარმოშობილია არა «ქვეყნის ხსნისათვის», არამედ საბჭოების წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა გვეცოდინება, რომ დემოკრატიის რიგებიდან გაქცეულებმა, მენშევიკებმა და ესერებმა, წინაპარლამენტს შეაფარეს თავი არა «რევოლუციის ხსნისათვის», არამედ იმისათვის, რომ ბურჟუაზიას დაეხმარონ საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ტყუილად კი არ ებრძვიან ისინი ასე თავგამეტებით საბჭოების ყრილობას.

«თუ წინაპარლამენტი გამოცდას ჩააბარებს, მაშინ მუშაობა შეიძლება მოგვარდესო» — იმედოვნებს ბ-ნი აჯემოვი.

მუშები და ჯარისკაცები ყოველგვარ ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ კორნილოვის უდღეურმა ნახელავმა **ვერ** «ჩააბაროს გამოცდა», ხოლო მისი შავბნელი «მუშაობა» **ვერ** «მოგვარდეს».

«რაბოჩი პუტ» № 32,
1917 წ. 10 ოქტომბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

საბჭოების ძალაუფლება

რევოლუციის პირველ დღეებში ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» ახალი იყო. აპრილში «საბჭოების ძალაუფლება» პირველად უპირდაპირდება დროებითი მთავრობის ძალაუფლებას. უმრავლესობა დედაქალაქში ჯერ კიდევ მხარს უჭერს დროებით მთავრობას უმილიუკოვად — უგუჩკოვოდ. ივნისში ეს ლოზუნგი დემონსტრაციულად აღიარებულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა უდიდესი უმრავლესობის მიერ. დროებითი მთავრობა უკვე იზოლირებულია დედაქალაქში. ივლისში ლოზუნგის «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» გარშემო ჩაღდება ბრძოლა დედაქალაქის რევოლუციურ უმრავლესობასა და ლვოვ-კერენსკის მთავრობას შორის. შემთანხმებლური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი პროვინციის ჩამორჩენილობას ეყრდნობა და მთავრობის მხარეზე გადადის. ბრძოლა მთავრობის გამარჯვებით მთავრდება. საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებს კანონგარეშე აცხადებენ. დგება «სოციალისტური» რეპრესიებისა და «რესპუბლიკური» საპყრობილეების, ბონაპარტისტული ხრიკებისა და სამხედრო შეთქმულებების, ფრონტზე ხვრეტისა და ზურგში «თათბირების» მკვდარი ხანა. ეს აგვისტომდე. აგვისტოს

დამლევს სურათი მკვეთრად იცვლება. კორნილოვის აჯანყება იწვევს რევოლუციის მთელი ძალების დაძაბვას. საბჭოები ზურგში და კომიტეტები ფრონტზე, ივლის-აგვისტოში თითქოს მომკვდარნი, ახლა «ერთბაშად» ცოცხლდებიან. და, რომ ცოცხლდებიან, თავის ხელში იღებენ ძალაუფლებას ციმბირსა და კავკასიაში, ფინეთში და ურალზე, ოდესასა და ხარკოვში. უამისოდ, ძალაუფლების აუღებლად, რევოლუცია განადგურებული იქნებოდა. ამგვარად «საბჭოების ძალაუფლება», რაც აპრილში გამოაცხადა ბოლშევიკების «პატარა ჯგუფმა» პიტერში, აგვისტოს დამლევს თითქმის საყოველთაოდ აღიარებული ხდება რუსეთის რევოლუციური კლასების მიერ.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ «საბჭოების ძალაუფლება» არა მარტო პოპულარული ლოზუნგია, არამედ ერთადერთი საიმედო საშუალებაც რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

დადგა მომენტი, როდესაც ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», ბოლოს, ცხოვრებაში უნდა გატარდეს.

მაგრამ რა არის «საბჭოების ძალაუფლება» და რით განსხვავდება იგი ყოველგვარი სხვა ძალაუფლებისაგან?

ამბობენ, რომ საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემა — ეს ნიშნავს «ერთგვაროვანი» დემოკრატიული მთავრობის შედგენას, ახალი «კაბინეტის» მოწყობას «სოციალისტი» მინისტრებისაგან და, საერთოდ, «სერიოზული ცვლილების» მოხდენას დროებითი მთავრობის პირად შემადგენლობაში. მაგრამ ეს არ არის სწორი. აქ საქმე ის კი არ არის, რომ დროებითი მთავრობის ერთი პიროვნებანი სხვებით შეიცვალონ. საქმე ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობის ბატონ-პატრონი უნდა გახდნენ ახალი,

რევოლუციური კლასები. საქმე ის არის, რომ ძალაუფლება გადავიდეს პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის ხელში. მაგრამ ამისათვის მარტო მთავრობის შეცვლა, სრულებითაც არ არის საკმარისი. ამისათვის აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, მოხდეს ძირფესვიანი წმენდა მთავრობის ყველა უწყებასა და დაწესებულებაში, განიდევნონ ყოველგნით კორნილოველები, ყველგან დაყენებულ იქნან მუშათა კლასისა და გლეხობის ერთგული ადამიანები. მხოლოდ მაშინ და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ლაპარაკი საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლაზე «ცენტრში და ადგილებზე».

რით უნდა აიხსნას დროებითი მთავრობის «სოციალისტი» მინისტრების ყველასათვის ცნობილი უმწეობა? რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ეს მინისტრები უბადრუკი ტიკინები აღმოჩნდნენ დროებითი მთავრობის გარეთ მდგომ ადამიანთა ხელში (გაიხსენეთ ჩერნოვისა და სკობელევის, ზარუდნისა და პეშეხონოვის «მოხსენებები» «დემოკრატიულ თათბირზე»!)? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ისინი კი არ წარმართავდნენ თავიანთ უწყებებს, არამედ უწყებები წარმართავდნენ მათ. იმით, სხვათა შორის, რომ თვითეული უწყება შეადგენს ციხე-სიმაგრეს, სადაც დღემდე კიდევ სხედან მეფის პერიოდის ბიუროკრატები, რომელნიც მინისტრების კეთილ სურვილებს «ფუჭ ხმად» აქცევენ, რომელნიც მზად არიან საბოტაჟი გაუწიონ ხელისუფლების ყოველ რევოლუციურ ღონისძიებას. ძალაუფლება რომ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც გადავიდეს საბჭოების ხელში, საჭიროა აღებულ იქნას ეს ციხე-სიმაგრეები, განიდევნონ იქიდან კადეტთა და მეფის რეჟიმის მსახურნი და მათ ადგილზე დაყენებულ იქნან არჩევითი და ცვლადი, რევოლუციის საქმისადმი ერთგული მუშაკები.

ძალაუფლება საბჭოებს — ეს ნიშნავს მთავრობის ყველა და ყოველგვარ დაწესებულებათა რადიკალურ წმენდას ზურგში და ფრონტზე, თავიდან ბოლომდე.

ძალაუფლება საბჭოებს — ეს ნიშნავს ყველა და ყოველგვარ «უფროსთა» არჩევითობასა და ცვლადობას ზურგში და ფრონტზე.

ძალაუფლება საბჭოებს — ეს ნიშნავს «ხელისუფლების წარმომადგენელთა» არჩევითობასა და ცვლადობას ქალაქად და სოფლად, არმიასა და ფლოტში, «უწყებებსა» და «დაწესებულებებში», რკინიგზებზე და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

ძალაუფლება საბჭოებს — ეს ნიშნავს პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის დიქტატურას.

ეს დიქტატურა ძირფესვიანად განსხვავდება იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურისაგან, სწორედ იმ დიქტატურისაგან, რომლის დამყარებას არც თუ დიდი ხნის წინათ ცდილობდნენ კორნილოვი და მილიუკოვი კერენსკისა და ტერეშჩენკოს მწყალობელი მონაწილეობით.

პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის დიქტატურა ნიშნავს დიქტატურას მშრომელი უმრავლესობისას ექსპლოატატორულ უმცირესობაზე, მემამულეებსა და კაპიტალისტებზე, სპეკულანტებსა და ბანკირებზე, დემოკრატიული **ზავის** გულისათვის, წარმოებასა და განაწილებაზე მუშათა **კონტროლის** გულისათვის, გლეხების **მიწით** უზრუნველყოფის გულისათვის, ხალხის **პურით** უზრუნველყოფის გულისათვის.

პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის დიქტატურა ნიშნავს აშკარა, მასობრივ დიქტატურას, რომელიც ხორციელდება ყველას თვალწინ, შეთქმულებისა და ფარული მუშაობის გარეშე. ვინაიდან ასეთი დიქტატურა სრულებითაც არ მალავს, რომ დანდობა არ იქნება მელო-

კაუტე-კაპიტალისტებისა, რომლებიც ამწვავებენ უმუშევრობას სხვადასხვა «განტვირთვათა» გზით, და ბანკირ-სპეკულანტებისა, რომლებიც მაღლა სწევენ პროდუქტების ფასებს და ქმნიან შიმშილს.

პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა ნიშნავს დიქტატურას, რომლისთვისაც უცხოა ძალადობა მასების მიმართ, დიქტატურას მასების ნება-სურვილით, დიქტატურას ამ მასების მტერთა ნება-სურვილის ასალაგმავად.

ასეთია კლასობრივი დედაარსი ლოზუნგისა «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!».

საშინაო და საგარეო პოლიტიკის მოვლენები, გაჭიანურებული ომი და ზავის წყურვილი, დამარცხებანი ფრონტზე და დედაქალაქის დაცვის საკითხი, დროებითი მთავრობის სიდამპლე და მოსკოვში «გადასვლის» საკითხი, ნგრევა და შიმშილი, უმუშევრობა და გაჩანაგება, — ყოველივე ეს შეუკავებლად ეწევა რუსეთის რევოლუციურ კლასებს ძალაუფლებისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა უკვე მომწიფდა პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის დიქტატურისათვის.

დადგა მომენტი, როდესაც რევოლუციური ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», ბოლოს და ბოლოს, უნდა განხორციელდეს.

«რაბოჩი პუტ» № 35,
1917 წ. 13 ოქტომბერი.

მოწინავე.

გამოცდა თავხედობაში

რევოლუციის შეტევით კუთხეში მიმწყვდეული ბურჟუაზიულ მედროვეთა მთავრობა ცდილობს თავი დაიძვრინოს უამრავი ცრუ განცხადებით იმის შესახებ, რომ ის არ აპირებდა პეტროგრადიდან გაქცევას და არ სურდა დედაქალაქის დანებება მტრისათვის.

ჯერ კიდევ გუშინ ყველას გასაგონად იუწყებოდნენ («იზვესტია»!), რომ მთავრობა მოსკოვში «გადადის», ვინაიდან დედაქალაქის მდგომარეობას «სახიფათოდ» სთვლისო. ჯერ კიდევ გუშინ აშკარად ლაპარაკობდნენ («თავდაცვის კომისია» [87]!) პეტროგრადის «ჩაბარებაზე», ამასთან მთავრობა მოითხოვდა დედაქალაქის მისადგომებიდან ზარბაზნების მოხსნას. ჯერ კიდევ გუშინ კერენსკისა და კორნილოვის კომპანიონი რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულებაში, მემამულე როძიანკო, მიესალმებოდა მთავრობის გადაწყვეტილებას «ჩაბარების» შესახებ და დაღუპვას უსურვებდა პეტროგრადს, ფლოტსა და საბჭოებს. ჯერ კიდევ გუშინ უერთდებოდა ამ გადაწყვეტილებას «ლონდონი» და მთავრობას უსურვებდა მალე განთავისუფლებას პეტროგრადისა და ფლოტისაგან. ჯერ კიდევ გუშინ იყო ყველაფერი ეს... დღეს კი მთავრობაში მყოფი დამფრთხალი მედროვენი უწესრიგოდ იხევენ უკან ფლოტისა და

გარნიზონის წინაშე, რომლებმაც შეურყევლად გადაწყვიტეს დედაქალაქის დაცვა, იბნევიან, ერთიმეორის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ და ლაჩრულად ცდილობენ მიაფუჩეჩონ ფაქტები, ცდილობენ თავი გაიმართლონ რევოლუციის წინაშე, რომლის გაცემასაც ისინი გუშინ ასე უხეიროდ და უხერხულად აპირებდნენ.

ამასთან კერენსკის «კატეგორიულ» განცხადებას «გადასვლის» გაზაფხულამდე გადადების შესახებ აბათილებს კიშკინის ასეთივე კატეგორიული განცხადება, რომ მთავრობის ზოგიერთი დაწესებულება «შეიძლება უკვე **ახლავე** გადატანილ იქნას» მოსკოვშიო. ხოლო «თავდაცვის კომისიის» მომხსენებელი ბ. ბოგდანოვი (სრულებითაც არა ბოლშევიკი!) ასევე კატეგორიულად აცხადებს, რომ «მთავრობის მხრით გამოირკვა **პეტროგრადის დატოვების სურვილი**, მთავრობის გადასვლის ფაქტში კი დემოკრატიის ფართო ფენებმა **პეტროგრადის ჩაბარების** შესაძლებლობა დაინახესო» («იზვესტია»). აღარას ვამბობთ იმაზე, რომ, საღამოს გაზეთების ცნობით, «დროებითი მთავრობის მოსკოვში გადასვლის მომხრეებს ჰქონდათ... ხმის **უმრავლესობა**» («რუსსკიე ვედომოსტი»).

საცოდავი, პატარა ადამიანები დროებითი მთავრობიდან! განა შეეძლოთ მათ, რომელნიც მუდამ ატყუებდნენ ხალხს, სხვა რისამე იმედი ჰქონოდათ, გარდა მასების ახალი მოტყუებისა, რითაც ცდილობენ ისინი დაფარონ თავიანთი უწესრიგო უკანდახევა?

მაგრამ მედროვენი რაღა მედროვენი იქნებოდნენ, მოტყუებას რომ სჯერდებოდნენ. უკან რომ იხევს და საფარველად მოტყუებას იყენებს, კერენსკი ბრალდებას ბრალდებაზე ისვრის, თანაც ჩვენს პარტიაზე მიუთითებს და ლაყბობს «რბევის აღდგენასა» და «რევოლუციის საშიშ

მტრებზე», «შანტაჟსა» და «მასების გარყვნაზე», «უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლით გასვრილ ხელებზე» და სხვ.

კერენსკი ლაპარაკობს «რევოლუციის მტრების» წინააღმდეგ, სწორედ ის კერენსკი, რომელიც კორნილოვთან და სავინკოვთან ერთად აწყობდა შეთქმულებას რევოლუციისა და საბჭოების წინააღმდეგ, მოტყუების გზით მოჰყავდა რა დედაქალაქისაკენ მესამე ცხენოსანი კორპუსი!..

კერენსკი ლაპარაკობს «რბევის განახლების» წინააღმდეგ, სწორედ ის კერენსკი, რომელმაც პურის ფასების აწევით რბევისა და ცეცხლწაკიდებისაკენ უბიძგა სოფელს! წაიკითხეთ ობორონცულ-ესერული გაზეთი «ვლასტ ნაროდა» და თვითონ განსაჯეთ:

«ზოგიერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერს, რომ უკანასკნელი დროის არეულობა მტკიცე ფასების გადიდებას უნდა დავუკავშიროთ. ახალმა ფასებმა ერთბაშად გამოიწვია ცხოვრების საერთო გაძვირება. აქედან წარმოსდგა უკმაყოფილება, გაბოროტება, ზედმეტი ნერვიულობა, რის შედეგადაც ბრბო უფრო ადვილად ბედავს რბევას, ვიდრე წინათ!..» (№ 140).

კერენსკი ლაპარაკობს «მასების გარყვნის» წინააღმდეგ, სწორედ ის კერენსკი, რომელმაც ტალახში ამოსვარა რევოლუცია და დაამახინჯა მისი ფაქიზი ზნენი, აღადგინა რა ოხრანკელთა და მაძებართა ინსტიტუტები ბინძური ვონლიარლიარსკებისა და შჩუკინების მეთაურობით!..

კერენსკი ლაპარაკობს «შანტაჟის» წინააღმდეგ, სწორედ ის კერენსკი, რომლის მთელი რეჟიმიც წარმოადგენს განუწყვეტელ შანტაჟს დემოკრატიის მიმართ, კერენსკი, რომელიც აშკარად შანტაჟს უწევდა «დემოკრატიულ თათბირს» არარსებული დესანტით ფინეთის ნაპირებზე, რითაც წარმატებით უწევდა მეტოქეობას გენ. ხაბალოვს!..

კერენსკი ლაპარაკობს «უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლით გასვრილ ხელებზე», სწორედ ის კერენსკი, რომ-

ლის ხელები მართლაც გასვრილია ათეულ ათასობით ჯარისკაცთა, ამა წლის ივნისში ფრონტზე ავანტიურისტული შეტევის მსხვერპლთა უდანაშაულო სისხლით!..

ამბობენ, ამ ქვეყნად ყველაფერს თავისი საზღვარი აქვსო. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ბურჟუაზიულ მედროვეთა თავხედობას საზღვარი არა აქვს?..

«იზვესტია» იუწყება, რომ «რესპუბლიკის საბჭოს» წევრები კერენსკის შეხვდნენ «ხანგრძლივი და მჭუხარე ტაშით ყველა სკამებზე». სხვა რამეს არც მოველოდით ლაქიური წინაპარლამენტისაგან, კორნილოვშჩინის ამ უდღეური დანაბადისა და კერენსკის ნათლულისაგან.

მაგრამ დაე იცოდნენ ამ ვაჟბატონებმა, დაე იცოდეს ყველამ, იმათაც, ვინც მალულად ამზადებს რეპრესიებს «მემარცხენეების» წინააღმდეგ, იმათაც, ვინც ავანსად ტაშს უკრავს ამ რეპრესიებს, — დაე იცოდნენ მათ, რომ როდესაც დადგება გადამწყვეტი ჟამი, ისინი ყველანი თანაბრად აგებენ პასუხს რევოლუციის წინაშე, რომლის გაცემაც მათ უნდათ, მაგრამ რომლის მოტყუებასაც ისინი ვერ მოახერხებენ.

«რაბოჩი პუტ» № 37,
1917 წ. 15 ოქტომბერი.

მოწინავე.

რევოლუციის შტრეიკბრეხერები

საჭიროა «გავაუქმოთ საბჭოები და კომიტეტებიო», ამბობდა კორნილოველი კალედინი მოსკოვის თათბირზე, და ამ სიტყვებს მჭუხარე ტაშით ხვდებოდნენ კადეტები.

სწორია, უპასუხებდა მას შემთანხმებელი წერეთელი, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა, ვინაიდან «ჯერ კიდევ არ შეიძლება ამ ხარაჩოების აღება, როდესაც თავისუფალი რევოლუციის (ე. ი. კონტრრევოლუციის?) შენობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებულიო».

ეს იყო აგვისტოს დამდეგს, მოსკოვის თათბირზე, როდესაც პირველად დაიწყო კორნილოვისა და როძიანკოს, მილიუკოვისა და კერენსკის კონტრრევოლუციური შეთქმულების ჩამოყალიბება.

შეთქმულება მაშინ «არ გამოვიდა»: იგი ჩაშალა მოსკოვის მუშების პოლიტიკურმა გაფიცვამ. მაგრამ წერეთლისა და მილიუკოვის, კერენსკისა და კალედინის კოალიცია ჩამოყალიბდა. კოალიცია ბოლშევიკი მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ. ამასთან აღმოჩნდა, რომ კოალიცია იყო მხოლოდ შირმა, რომლის უკანაც ყალიბდებოდა ნამდვილი შეთქმულება საბჭოებისა და კომიტეტების წინააღმდეგ, რევოლუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ, შეთქმულება, რომელიც აგვისტოს დამლევს მოხდა.

შეეძლოთ თუ არა სცოდნოდათ ესერებსა და მენშევიკებს, რომ, როდესაც ხოტბას ასხამდნენ კოალიციას მოსკოვის თათბირის «ცოცხალ ძალებთან», ისინი შეთქმულ კორნილოველთა სასარგებლოდ მუშაობდნენ? შეეძლოთ თუ არა სცოდნოდათ «დელო ნაროდას» ლიბერალურ მეშჩანებს და «იზვესტიაში» მოკალათებულ ბურჟუაზიის მესაყვირეებს, რომ, როდესაც ბოლშევიკების «იზოლაციას» ახდენდნენ და ძირს უთხრიდნენ საბჭოებსა და კომიტეტებს, ამით ისინი კონტრრევოლუციის სასარგებლოდ მუშაობდნენ, რევოლუციის შტრეიკბრეხერებად ეწერებოდნენ?

კორნილოვის აჯანყებამ ყველაფერი გამოამჟღავნა. მან აშკარა გახადა კადეტებისა და მათთან კოალიციის კონტრრევოლუციურობა. მან აშკარა გახადა მთელი ის საფრთხე, რომელიც ემუქრება რევოლუციას გენერალთა და კადეტთა კავშირის მხრით. მან თვალნათლივ ცხადყო, რომ თუ არ ყოფილიყვნენ ზურგში საბჭოები და ფრონტზე კომიტეტები, რომელთა წინააღმდეგაც უთანხმდებოდნენ ობორონცები კალედინს, რევოლუცია განადგურებული იქნებოდა.

ცნობილია, რომ კორნილოვის აჯანყების მძიმე წუთებში მენშევიკები და ესერები იძულებული გახდნენ მფარველობა ეთხოვათ სწორედ იმ კრონშტადტელებისა და «ბოლშევიკური» საბჭოებისა და კომიტეტებისათვის, რომელთა წინააღმდეგაც ისინი აწყობდნენ კოალიციას კალედინებთან და სხვა «ცოცხალ ძალებთან».

გაკვეთილი მოცემულ იქნა დასაფასებელი და უაღრესად საგულისხმო.

მაგრამ... სუსტია ადამიანის მეხსიერება. განსაკუთრებით კი მეხსიერება «იზვესტიასა» და უხერხემლო «დელო ნაროდაში» მოკალათებული დეზერტირებისა.

სულ თვეზე ცოტა მეტი გავიდა კორნილოვის აჯანყების დროიდან. თითქოს, კორნილოვშჩინას სამუდამოდ მოეღო ბოლო. ამავე დროს კი «ბედის ძალით» და კერენსკის ნებასურვილით ამ მოკლე ხანში ჩვენ უკვე მოვასწარით ახალი კორნილოვშჩინის ხანაში შესვლა. კორნილოვი «დაპატიმრებულია». მაგრამ კორნილოვშჩინის ბელადები ხელისუფლების სათავეში დგანან. ძველი კოალიცია «ცოცხალ ძალებთან» ჩაშლილია. მაგრამ სამაგიეროდ ჩამოყალიბებულია ახალი კოალიცია კორნილოველებთან. მოსკოვის თათბირი არ გადაქცეულა «ხანგრძლივ პარლამენტად», როგორც ამაზე კაზაკთა ატამანი კარაულოვი ოცნებობდა. მაგრამ სამაგიეროდ შექმნილია კორნილოვისეული წინაპარლამენტი, რომელიც მოწოდებულია «შეცვალოს ძველი საბჭოთა ორგანიზაცია». შავების პირველი თათბირი მოსკოვში ასპარეზს მოშორდა. მაგრამ სამაგიეროდ ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნა შავების მეორე თათბირი, რომლის ლიდერი, მემამულე როძიანკო, აშკარად აცხადებს: **«მოხარული ვიქნები, რომ საბჭოები და ფლოტი დაიღუპებოდნენ, ხოლო პეტროგრადს გერმანელები აიღებდნენო»**. მთავრობა თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს კორნილოვს ასამართლებს. ნამდვილად კი იგი ამზადებს კორნილოვის «მოსვლას» და ამ მიზნით უთანხმდება კორნილოვსა და კალედინს, ცდილობს გაიყვანოს რევოლუციური ჯარები პეტროგრადიდან, აპირებს მოსკოვში გაქცევას, ემზადება პეტროგრადის ჩაბარებისათვის, ელოლიავება «ჩვენს სახელოვან მოკავშირეებს», რომლებიც მოუთმენლად ელიან ბალტიის ფლოტის განადგურებას, გერმანელების მიერ პეტროგრადის აღებას და... სერ კორნილოვის ტახტზე ასვლას...

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ახალი კორნილოვშჩინის წინადღეს, რომელიც კიდევ უფრო საშინელი იქნება, ვიდრე ძველი კორნილოვშჩინა?

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ ახლა გვჭირდება გაორკეცებული სიფხიზლე და სრული საბრძოლო მზადყოფნა?

განა ცხადი არ არის, რომ არასოდეს ისე საჭირონი არ ყოფილან საბჭოები და რევოლუციური კომიტეტები, როგორც ახლა?

სად არის ხსნა კორნილოვშჩინისაგან, რაშია რევოლუციის დასაყრდენი, რევოლუციისა, რომელსაც შეუძლია მასობრივი მოძრაობის მთელი ძლიერებით დათრგუნოს კონტრრევოლუციის მომავალი შემოტევა?

რა თქმა უნდა, არა ლაქიურ წინაპარლამენტში!

განა ცხადი არ არის, რომ ერთადერთი ხსნა საბჭოებში და მათს ზურგს უკან მდგომ მუშათა და ჯარისკაცთა მასებშია?

განა ცხადი არ არის, რომ საბჭოები და მხოლოდ საბჭოები არიან მოწოდებული იხსნან რევოლუცია მომავალი კონტრრევოლუციისაგან?

თითქოს, რევოლუციონერების მოვალეობაა — გაუფრთხილდნენ ამ ორგანიზაციებს და განამტკიცონ ისინი, დარაზმონ მათ გარშემო მუშათა და გლეხთა მასები, დაუკავშირონ ერთმანეთს ეს ორგანიზაციები საოლქო და სრულიად რუსეთის ყრილობებით.

ამავე დროს კი «იზვესტიასა» და «დელო ნაროდაში» მოკალათებული განდგომილნი, რომლებმაც დაივიწყეს კორნილოვის დღეების «მძიმე განსაცდელი», აი უკვე რამდენიმე დღეა შეუდგნენ საბჭოების გაბიაბრუებას, საბჭოების დევნას, საბჭოების საოლქო და სრულიად რუსეთის ყრილობების ჩაშლას, საბჭოების დეზორგანიზაციასა და დანგრევას.

«ადგილობრივი საბჭოების როლი ეცემა, — ამბობს «იზვესტია». — საბჭოები საერთო-დემოკრატიულ ორგანიზაციას აღარ წარმოადგენენ... საბჭოების დროებითი ორგანიზაცია ჩვენ გვინდა შევცვალოთ ცხოვრების სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი წყობის მუდმივი,

სრული და ყოველმხრივი ორგანიზაციით. როდესაც დაემხო თვითმპყრობელობა და მასთან ერთად მთელი ბიუროკრატიული წესწყობილება, ჩვენ ავაგეთ დეპუტატთა საბჭოები, როგორც დროებითი ბარაკები, რომლებშიც თავშესაფარი ჰპოვა მთელმა დემოკრატიამ. ახლა ბარაკების ნაცვლად შენდება ახალი წყობილების მუდმივი ქვიტკირის შენობა და, ბუნებრივია, ადამიანები თანდათანობით გადადიან ბარაკებიდან უფრო მოხერხებულ ბინებში. იმისდა მიხედვით, თუ როგორ შენდება **სართული სართულზე».**

ასე ლაპარაკობს სირცხვილდაკარგული «იზვესტია», ორგანო საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელიც ჯერ კიდევ ბოგინობს საბჭოების დიდი მოთმინების წყალობით.

ხოლო უხერხემლო «დელო ნაროდას» ლიაპკინ-ტიაპკინები კუდში მისჩანჩალებენ «იზვესტიას» და ღრმააზროვნულად ბუტბუტებენ: უნდა ჩაიშალოს საბჭოების ყრილობა, ვინაიდან ამ ჩაშლაშია რევოლუციისა და დამფუძნებელი კრების «ხსნაო».

ხომ გესმით? «დროებითი ორგანიზაცია» — ეს არიან რევოლუციური საბჭოები, რომლებმაც დაამხეს ცარიზმი და მისი თვითნებობა. «მუდმივი და ყოველმხრივი ორგანიზაცია» — ეს არის ლაქიური წინაპარლამენტი, რომელიც მორჩილად ემსახურება ალექსეევსა და კერენსკის. «დროებითი ბარაკები» — ეს არიან რევოლუციური საბჭოები, რომლებმაც კორნილოვის რაზმები გაფანტეს. «მუდმივი ქვიტკირის შენობა» კი — ეს არის კორნილოვის უღღეური ნახელავი, წინაპარლამენტი, მოწოდებული თავისი ლაყბობით დაფაროს კონტრრევოლუცია, რომელიც ირაზმება. იქ ცოცხალი რევოლუციური ცხოვრების ხმაურობა და გუგუნია. აქ კონტრრევოლუციური კანცელარიის სიდინჯე და «მყუდროებაა». განა გასაკვირველია, რომ «იზვესტიას» და «დელო ნაროდას» დეზერტირები დაეშურნენ სმოლნის ინსტიტუტის «ბარაკებიდან» ზამთრის სასახლის «ქვიტკირის

შენობაში» გადაბარგებას და «რევოლუციის ბელადებიდან» სერ ალექსეევის მსახურებად გაიხადეს თავი?

საჭიროა საბჭოების გაუქმებაო, — ამბობს სერ ალექსეევი.

მზადა ვართ გემსახუროთ, — უპასუხებს «იზვესტია», — მხოლოდ დაამთავრეთ უკანასკნელი «სართული» ზამთრის სასახლის «ქვიტკირის შენობაში», «ჩვენ» კი, ჩვენ იმ დროისათვის სმოლნი ინსტიტუტის «ბარაკებს» დავშლითო.

საჭიროა საბჭოების შეცვლა წინაპარლამენტითო. — ამბობს მისტერ აჯემოვი.

მზადა ვართ გემსახუროთ, — უპასუხებენ მას «დელო ნაროდადან», — მხოლოდ ჯერ საბჭოების ყრილობის ჩაშლა გვაცალეთო.

და ამას სჩადიან ისინი ახლა, ახალი კორნილოვშჩინის წინადღეს, როდესაც კონტრრევოლუციამ უკვე მოიწვია თავისი ყრილობა მოსკოვში, როდესაც კორნილოვშჩინამ უკვე დარაზმა თავისი ძალები, როდესაც იგი აწყობს რბევას სოფლად, იწვევს შიმშილსა და უმუშევრობას ქალაქად, ამზადებს დამფუძნებელი კრების ჩაშლას, აშკარად იკრებს ზურგში და ფრონტზე ძალებს რევოლუციის წინააღმდეგ ახალი გამოსვლისათვის.

რა არის ეს, თუ არა რევოლუციისა და მის მონაპოვართა პირდაპირი ღალატი?

ვინ არიან ესენი, თუ არა რევოლუციისა და მისი ორგანიზაციების საზიზღარი შტრეიკბრეხერები?

როგორ უნდა მოეჭცნენ მათ ამის შემდეგ საბჭოებში ორგანიზებული მუშები და ჯარისკაცები იმ შემთხვევაში, თუ «იზვესტიას» და «დელო ნაროდას» ვაჟბატონები მომავალი კორნილოვშჩინის «მძიმე წუთებში» ძველებურად მიმართავენ მათ «მათხოვრის გაწვდილი ხელით» და სთხოვენ კონტრრევოლუციისაგან დაცვას?..

მუშებს ჩვეულებრივ ხელურმით გაჰყავთ გაფიცვის შტრეიკბრეხერები.

გლეხები ჩვეულებრივ სამარცხვინო ბოძზე აკრავენ საერთო საქმის შტრეიკბრეხერებს.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოები იპოვნიან საშუალებას ჯეროვნად დაჰგმონ რევოლუციისა და მისი ორგანიზაციების საზიზღარი შტრეიკბრეხერები.

«რაბოჩი პუტ» № 37,
1917 წ. 15 ოქტომბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

სიტყვა ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე

1917 წ. 16 ოქტომბერს

აჯანყების დღე მიზანშეწონილად უნდა იქნას შერჩეული. მხოლოდ ასე უნდა გვესმოდეს რეზოლუცია [88]. ამბობენ, მთავრობის თავდასხმას უნდა დაველოდოთო, მაგრამ საჭიროა გვესმოდეს, თუ რა არის თავდასხმა. პურის ფასების გადიდება, დონეცის რაიონში კაზაკების გაგზავნა და სხვ., — ყოველივე ეს უკვე თავდასხმაა. როდემდის უნდა ვიცადოთ, თუ სამხედრო თავდასხმა არ მოხდება? ის, რასაც კამენევი და ზინოვიევი გვთავაზობენ, ობიექტურად შესაძლებლობას უქმნის კონტრრევოლუციას მოემზადოს და დაირაზმოს. ჩვენ დაუსრულებლივ უკან დავიხევთ და რევოლუციას წავაგებთ. რატომ არ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენთვის აჯანყების დღისა და პირობების შერჩევის შესაძლებლობა, რათა დარაზმვის შესაძლებლობა არ მივცეთ კონტრრევოლუციას?

ამხ. სტალინი გადადის საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზზე, ამტკიცებს, რომ ახლა მეტი რწმენა უნდა იყოს. აქ ორი ხაზია: ერთ ხაზს ალებული აქვს კურსი რევოლუციის გამარჯვებისა და ევროპისაკენ იხედება, მეორეს—არა სწამს რევოლუცია და ვარაუდობს იყოს მხოლოდ ოპოზი-

ციად. პეტროგრადის საბჭო უკვე დაადგა აჯანყების გზას, როდესაც უარი განაცხადა ჯარების გაყვანის სანქციის მიცემაზე. ფლოტი უკვე აჯანყდა, რამდენადაც კერენსკის წინააღმდეგ წავიდა. მაშასადამე, ჩვენ მტკიცედ და საბოლოოდ უნდა დავადგეთ აჯანყების გზას.

მოკლე ჩანაწერი
ც. კ-ის პლენუმზე.

«გარემოცვადგეს მე ზვარაკნი მრავალნი ჯაფებულნი»

ბოლშევიკებმა სადღეისო ლოზუნგად გამოაცხადეს: იყავით მზად! ეს გამოწვეულია მდგომარეობის გამწვავებით და კონტრრევოლუციის ძალების მობილიზაციით. კონტრრევოლუციას სურს თავს დაესხას რევოლუციას; იგი ცდილობს თავი მოჰკვეთოს რევოლუციას და ამ მიზნით აპირებს ვილჰელმს ჩააბაროს დედაქალაქი; მას განზრახული აქვს სისხლისაგან დაცალოს დედაქალაქი, და ამ მიზნით რევოლუციური არმია გამოიყვანოს იქიდან.

მაგრამ ჩვენი პარტიის მიერ მოცემული რევოლუციური ლოზუნგი ყველამ ერთნაირად როდი გაიგო.

მუშებმა ის «თავიანთებურად» გაიგეს და შეიარაღება იწყეს. ისინი, მუშები, გაცილებით უფრო გამჭრიახნი არიან, ვიდრე ბევრი «ჭკვიანი» და «განათლებული» ინტელიგენტი.

არც ჯარისკაცები ჩამორჩენიან მუშებს. ჯერ კიდევ გუშინ დედაქალაქის გარნიზონის პოლკთა და ასეულთა კომიტეტების კრებაზე მათ დიდი უმრავლესობით დაადგინეს — მკერდით დაიცვან რევოლუცია და მისი ბელადი, პეტროგრადის საბჭო, რომლის პირველ დაძახილისთანავე ისინი ვალდებულებას კისრულობენ თოფ-იარაღი აისხან-

ასეთი მდგომარეობაა მუშებსა და ჯარისკაცებში.
ასე როდია სხვა ფენებში.

ბურჟუაზიამ იცის ავისა და კარგის გარჩევა. მან პირდაპირ, «ზედმეტი სიტყვების დაუხარჯავად», ზარბაზნები გამოსდგა ზამთრის სასახლესთან, ვინაიდან მას ჰყავს თავისი «პრაპორშჩიკები» და «იუნკრები», რომელთაც, იმედია, ისტორია არ დაივიწყებს.

«დენსა» და «ვოლია ნაროდაში» მოკალათებულმა ბურჟუაზიის აგენტებმა ლაშქრობა გამართეს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ; ისინი შავებში «ურევენ» ბოლშევიკებს და დაჟინებით ეკითხებიან მათ «აჯანყების ვადის» შესახებ.

მათმა დამქაშებმა, კერენსკის მსახურებმა, ბინასიკებმა და დანებმა, მოწოდება გამოუშვეს «ც. ა. კ.»-ის ხელმოწერით, სადაც ისინი მოგვიწოდებენ გამოსვლა არ მოვაწყოთ, გვეკითხებიან, «დენისა» და «ვოლია ნაროდას» მსგავსად, «აჯანყების ვადის» შესახებ, ურჩევენ მუშებსა და ჯარისკაცებს — ფეხქვეშ გაეგონ კიშკინებსა და კონოვალოვებს.

ხოლო «ნოვაია ჟიზნის» დამფრთხალ ნევრასთენიკებს ქანცი მიელიათ, ვინაიდან «აღარ შეუძლიათ მეტი დუმილი», და გვემუდარებიან ვუთხრათ ბოლოს და ბოლოს: როდისღა გამოვლენ ბოლშევიკები.

ერთი სიტყვით, თუ მუშებსა და ჯარისკაცებს არ ჩავთვლით, ჭეშმარიტად: «გარემომადგეს მე ზვარაკნი მრავალნი ჰამებულნი», რომელნიც მიმართავენ ცილისწამებასა და დასმენას, მუქარასა და მუდარას, შეკითხვასა და დაკითხვას.

ჩვენი პასუხი.

ბურჟუაზიასა და მის «აპარატზე»: მათ ჩვენ სხვანაირად მოველაპარაკებით:

ბურჟუაზიის აგენტებსა და დაჭირავებულებზე: ვურჩევთ მათ მიმართონ კონტრდაზვერვას, — იქ შეუძლიათ «მიიღონ ცნობები», თავის მხრივ კი «ცნობები მიაწოდონ», ვისაც ჯერ არს, იმ «გამოსვლის» «დღისა» და «საათის» შესახებ, რომლის მარშრუტი უკვე შედგენილი აქვთ «დენის» პროვოკატორებს.

ბინასიკებსა, დანებსა და კერენსკის დანარჩენ მსახურებზე, რომლებიც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში იმყოფებიან: «გმირებს», რომლებიც კიშკინ-კერენსკის მთავრობას ემხრობიან მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების წინააღმდეგ, — ჩვენ ანგარიშს არ ვაბარებთ. მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ მათ, შტრეიკბრეხერობის ამ გმირებმა, პასუხი აგონ საბჭოების ყრილობის წინაშე, რომლის ჩაშლასაც ჯერ კიდევ გუშინ ცდილობდნენ ისინი, დღეს კი იძულებული არიან უკან დაიხიონ და მოიწვიონ იგი, საბჭოების მიძალების გამო.

რაც შეეხება «ნოვაია ჟიზნის» ნევრასთენიკებს, ჩვენ კარგად ვერ გაგვირკვევია, რა უნდათ მათ ჩვენგან, კაცმა რომ თქვას.

თუ აჯანყების «დღის» გაგება მათ იმისთვის უნდათ, რომ წინასწარ მოახდინონ დამფრთხალი ინტელიგენტების ძალთა მობილიზაცია, თავის დროზე... გასაქცევად, ვთქვათ, ფინეთში, — ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ... მოვუწონოთ ეს მათ, ვინაიდან ჩვენ «საერთოდ» მომხრენი ვართ ძალთა მობილიზაციისა.

თუ აჯანყების «დღის» შესახებ ისინი იმისთვის გვეკითხებიან, რომ თავიანთი «ფოლადის» ნერვები დაიმშვიდონ, შეგვიძლია დავარწმუნოთ ისინი: დანიშნულიც რომ იყოს აჯანყების «დღე» და ბოლშევიკებმა «ყურშიც» რომ უთხრან მათ ეს, ამით ოდნავადაც არ «მოეშვებოდათ

გულზე» ჩვენს ნევრასთენიკებს: დაიწყებოდა ახალი «კითხვები», ისტერიკა და სხვ.

და თუ მათ სურთ უბრალო დემონსტრაცია მოახდინონ ჩვენს წინააღმდეგ, რათა გაემიჯნონ ჩვენს პარტიას, ამ შემთხვევაშიც ჩვენ შეგვიძლია კვლავ და კვლავ მხოლოდ მოვუწოდოთ ეს მათ: ვინაიდან, ჯერ-ერთი, ეს გონივრული ნაბიჯი, უეჭველია, დაუფასდებათ მათ ვისგანაც ჯერ არს, შესაძლებელ «გართულებათა» და «მარცხთა» შემდეგ; მეორეც, ეს შეიტანს გარკვეულობას მუშებისა და ჯარისკაცების შეგნებაში, — ისინი, ბოლოს და ბოლოს, გაიგებენ, რომ «ნოვაია ჟიზნ» ეს მეორედ (ივლისის დღეები!) დეზერტირობს და რევოლუციის რიგებიდან ბურცევსუვორინთა შავ ლაშქარში გადადის. ჩვენ კი, როგორც ეს ყველამ იცის, საერთოდ გარკვეულობის მომხრენი ვართ.

მაგრამ იქნებ იმიტომ არ შეუძლიათ მათ «დუმილი», რომ ახლა საერთოდ ყველანი აყვავდნენ ინტელიგენტური დაბნეულობის მშობლიურ ჭაობში? ამით ხომ არ აიხსნება გორკის «არ შეიძლება დუმილი»? წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. ისინი ისხდნენ და სდუმდნენ, როდესაც მემამულეებს და მათს დამჭაშებს სასოწარკვეთილებამდე და შიმშილით გამოწვეულ «ამბოხებამდე» მიჰყავდათ გლეხები. ისინი ისხდნენ და სდუმდნენ, როდესაც კაპიტალისტები და მათი მაჩანჩალები სრულიად რუსეთის ლოკაუტსა და უმუშევრობას უმზადებდნენ მუშებს. მათ შეეძლოთ დუმილი, როდესაც კონტრრევოლუცია ცდილობდა ჩაებარებინა დედაქალაქი და იქიდან არმია გამოეყვანა. მაგრამ ამ ადამიანებს, თურმე, «არ შეუძლიათ დუმილი», როდესაც რევოლუციის ავანგარდი, პეტროგრადის საბჭო, მოტყუებულ მუშებსა და გლეხებს გამოექომაგა! და პირველი სიტყვა, რაც მათ თქვეს,—ეს იყო საყვედურის სიტყვა არა კონტრრევოლუციის მიმართ, — არა, არამედ სწორედ

იმ რევოლუციის მიმართ, რომლის შესახებაც ისინი გატაცებით ლაპარაკობენ ჩაის სმის დროს, მაგრამ რომელსაც ისინი ისე გაურბიან უაღრესად პასუხსაგებ წუთებში, როგორც შავ ჭირს! განა ეს «უცნაური» არ არის?

რუსეთის რევოლუციას ცოტა ავტორიტეტი როდი დაუმხვია. მისი ძლიერება, სხვათა შორის, იმით გამოიხატება, რომ იგი ქედს არ იხრიდა «სახელგანთქმულთა» წინაშე, სამსახურში იყვანდა მათ, ანდა არარაობის სამეფოში უკუაქცევდა, თუ მათ არ სურდათ ესწავლათ მისგან. ასეთი «სახელგანთქმული» პირი, რევოლუციის მიერ შემდეგ უკუგდებული, უამრავია. პლეხანოვი, კროპოტკინი, ბრეშკოვსკაია, ზასულიჩი და საზოგადოდ ყველა ის ძველი რევოლუციონერი, რომლებიც მხოლოდ იმით არიან შესანიშნავნი, რომ **ძველები** არიან. ვშიშობთ, რომ ამ «ბურჯთა» დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევს გორკის. ვშიშობთ, რომ გორკი «სულით და გულით» მიისწრაფის მათკენ, არქივში.

რას იზამ, ნება მისია... რევოლუცია თავის მკვდრებს არც შეიბრალებს და არც დაასაფლავებს...

«რაბოჩი პუტ» № 41,
1917 წ. 20 ოქტომბერი.

სტატია ხელმოუწერელია.

რა გვესაჭიროება ჩვენ?

თებერვალში მეფე ჩამოაგდეს ჯარისკაცებმა და მუშებმა. მაგრამ, მეფე რომ დაამარცხეს, მათ არ მოინდომეს თავის ხელში აეღოთ ძალაუფლება. მუშებმა და ჯარისკაცებმა, რომელთაც ცუდი მწყემსები — ესერები და მენშევიკები — ხელმძღვანელობდნენ, ძალაუფლება ნებაყოფლობით გადასცეს მემამულეებისა და კაპიტალისტების დამჭაშებს: მილიუკოვებსა და ლვოვებს, გუჩკოვებსა და კონოვალოვებს.

ეს იყო გამარჯვებულთა საბედისწერო შეცდომა. ამ შეცდომისათვის ახლა სამაგიეროს ზღავენ ჯარისკაცები ფრონტზე, მუშები და გლეხები ზურგში.

მეფეს რომ ამხობდნენ, მუშებს ეგონათ, პურსა და სამუშაოს მივიღებთო. მაგრამ ამის ნაცვლად მათ «მიიღეს» სიძვირე და შიმშილი, ლოკაუტები და უმუშევრობა.

რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან კაპიტალისტებისა და სპეკულანტების დამჭაშები, რომლებსაც უნდათ დაიმორჩილონ მუშები არაქათის გამოცლით.

მეფეს რომ ამხობდნენ, გლეხებს ეგონათ, მიწას მივიღებთო. მაგრამ ამის ნაცვლად მათ «მიიღეს» თავიანთი დეპუტატების დაპატიმრება და დამსჯელი ექსპედიციები.

რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან მემამულეთა დამჭაშები, რომლებიც გლეხებს არაფრის გულისათვის არ დაუთმობენ მიწას.

მეფეს რომ ამხობდნენ, ჯარისკაცებს ეგონათ, ზავს მივიღებთო. მაგრამ ამის ნაცვლად მათ «მიიღეს» გაჭიანურებული ომი, რომლის გაჭიანურებაც ამასთანავე კიდევ მომავალ შემოდგომამდე უნდათ.

რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან დამჭაშები ინგლის-საფრანგეთის ბანკირებისა, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ არის ომის «მალე» დამთავრება და რომლებიც მძარცველურად მდიდრდებიან ომის წყალობით.

მეფეს რომ ამხობდა, ხალხს ეგონა, ორი-სამი თვის შემდეგ მოიწვევენ დამფუძნებელ კრებასო. მაგრამ დამფუძნებელი კრების მოწვევა ერთხელ უკვე გადაიდო, და ახლა მტრები აშკარად ემზადებიან მისი საბოლოოდ ჩაშლისათვის.

რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან ხალხის მტრები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ არის დამფუძნებელი კრების დროულად მოწვევა.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ძალაუფლება დარჩა მემამულეებისა და კაპიტალისტების, ბანკირებისა და სპეკულანტების, ჩარჩებისა და მაროდიორების ხელში, — აი რაშია მუშებისა და გლეხების საბედისწერო შეცდომა, აი სად არის მიზეზი ახლანდელი უბედურებისა ზურგში და ფრონტზე.

ეს შეცდომა ახლავე უნდა გამოსწორდეს. დადგა მომენტი, როდესაც შემდგომი დაყოვნება დაღუპვას უქადის რევოლუციის მთელ საქმეს.

მემამულეებისა და კაპიტალისტების ახლანდელი მთავრობა უნდა შეიცვალოს მუშათა და გლეხთა ახალი მთავრობით.

ახლანდელი ცრუმარჩვია მთავრობა, რომელიც ხალხს არ აურჩევია და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი არ არის, უნდა შეიცვალოს ხალხის მიერ აღიარებული მთავრობით, რომელიც არჩეული იქნება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა წარმომადგენლების მიერ და პასუხისმგებელი იქნება ამ წარმომადგენელთა წინაშე.

კიშკინ-კონოვალოვის მთავრობა უნდა შეიცვალოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მთავრობით.

ის, რაც თებერვალში არ გაკეთებულა, ახლა უნდა გაკეთდეს.

ასეთი და მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მოპოვებულ იქნას ზავი, პური, მიწა, თავისუფლება.

— მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, კაზაკებო, ყველა მშრომელნო!

გინდათ თუ არა თქვენ, რომ მემამულეთა და კაპიტალისტთა ახლანდელი მთავრობის ნაცვლად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს მუშათა და გლეხთა ახალი მთავრობა?

გინდათ, თუ არა თქვენ, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ, გლეხთა მოთხოვნის თანახმად, გამოაცხადოს მიწაზე მემამულეთა უფლებების გაუქმება და მემამულეთა მთელი მიწა გამოუყიდველად გადასცეს გლეხთა კომიტეტებს?

გინდათ თუ არა თქვენ, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნოს მეფის ფარული ხელშეკრულებანი, არასავალდებულოდ აღიაროს ისინი და ყველა მეომარ ხალხს სამართლიანი ზავი შესთავაზოს?

გინდათ თუ არა თქვენ, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ საბოლოოდ ალაგმოს მელოკაუტეები და სპეკულან-

ტები, რომლებიც განზრახ ამწვავებენ შიმშილსა და უმუშევრობას, ნგრევასა და სიძვირეს?

თუ ეს გინდათ, მოიკრიბეთ მთელი თქვენი ძალები, აღსდეგით ყველანი უკლებლივ, როგორც ერთი კაცი, მოაწყეთ კრებები, ამოირჩიეთ დელეგაციები და მათი საშუალებით აღნუსხეთ თქვენი მოთხოვნანი საბჭოების ყრილობისათვის წარსადგენად, რომელიც ხვალ სმოლნოში იხსნება.

თუ ყველანი ერთსულოვნად და მტკიცედ იმოქმედებთ, ვერავინ ვერ გაბედავს წინააღუდგეს ხალხის ნებას. ძველი მთავრობა ადგილს დაუთმობს ახალს მით უფრო მშვიდობიანად, რაც უფრო ძლიერად, ორგანიზებულად და მძლავრად გამოხვალთ თქვენ. და მაშინ მთელი ჩვენი ქვეყანა გაბედულად და მტკიცედ წავა ხალხთათვის ზავის, გლეხთათვის მიწის, დამშეულთათვის პურისა და სამუშაოს მოსაპოვებლად.

ძალაუფლება უნდა გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

ხელისუფლების სათავეში უნდა იყოს ახალი მთავრობა, რომელიც არჩეული იქნება საბჭოების მიერ, რომლის შეცვლაც შეეძლებათ საბჭოებს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საბჭოების წინაშე.

მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია უზრუნველყოს დამფუძნებელი კრების დროზე მოწვევა.

«რაბოჩი პუტ» № 44,
1917 წ. 24 ოქტომბერი.

ხელმოწერილია: ლენინი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1 ინტერნაციონალისტთა საერთაშორისო კონფერენცია შედგა ციმერვალდში 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს (23 — 26 აგვისტოს). თავის მანიფესტში კონფერენციამ მსოფლიო ომი იმპერიალისტურ ომად ცნო; დაგმო იმ «სოციალისტების» მოქმედება, რომლებმაც ხმა მისცეს საომარ კრედიტებს და მონაწილეობა მიიღეს ბურჟუაზიულ მთავრობებში; მოუწოდა ევროპის მუშებს — გაეჩაღებინათ ბრძოლა ომის წინააღმდეგ, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის. ინტერნაციონალისტთა მეორე კონფერენცია შედგა 1916 წლის 24 — 30 (11 — 17) აპრილს კინტალში. კინტალში მიღებული მანიფესტი და რეზოლუციები შემდგომი ნაბიჯის გადადგმა იყო ომის წინააღმდეგ ინტერნაციონალური რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. მაგრამ კინტალის კონფერენციას, ისევე როგორც ციმერვალდისას, არ მიუღია ბოლშევიკური ლოზუნგები: იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, ომში თავის იმპერიალისტურ მთავრობათა დამარცხება, III ინტერნაციონალის შექმნა. — **7.**

2 «ედინსტვოს» ჯგუფი ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა 1917 წლის მარტში; აერთიანებდა უკიდურესად მემარჯვენე მენშევიკ-ობორონცებს; ჯგუფში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ პლეხანოვი და ყოფილი ლიკვიდატორები ბურიანოვი და იორდანსკი. ჯგუფი უშენიშვნოდ უჭერდა მხარს დროებით მთავრობას, მოითხოვდა იმპერიალისტური ომის განგრძობას და შავრაზმელებთან ერთად უწეოდა

ბოლშევიკების დევნას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში — «სამშობლოს და რევოლუციის ხსნის კომიტეტში». — **10.**

8 **«რეჩ»** — გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან 1917 წლის 26 ოქტომბრამდე. — **20.**

4 **«დენ»** — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლიდან ბანკების სახსრებით; იყო მენშევიკ-ლიკვიდატორების ხელში; დახურულ იქნა 1917 წლის 26 ოქტომბერს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის. — **20.**

5 ჟურნალისტებთან მილიუკოვის საუბართან დაკავშირებით გაზეთ «პრავდის» მე-17 ნომერში 1917 წლის 25 მარტს მოთავსებული იყო მოწინავე სტატია სათაურით «ძირს იმპერიალისტების პოლიტიკა!», რომელშიც დახასიათებული იყო დროებითი მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

გაზეთმა **«პრავდამ»** თებერვლის რევოლუციის შემდეგ (1917 წლის 5 მარტიდან) გამოსვლა იწყო როგორც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ. 1917 წლის 15 მარტს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის აპრილში რუსეთს დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. «პრავდის» უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, ი. მ. სვერდლოვი, მ. ს. ოლმინსკი, კ. ნ. სამოილოვა და სხვები. 1917 წლის 5 ივლისს «პრავდის» რედაქცია დაარბიეს იუნკრებმა და კაზაკებმა. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის 23 ივლისიდან რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სამხედრო ორგანიზაციამ მოახერხა მოეწყო გაზეთის გამოცემა «რაბოჩი ი სოლდატის» სახელწოდებით. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გასცა მითითება იმის შესახებ,

რომ «რაბოჩი ი სოლდატს» პარტიის ცენტრალური ორგანოს შექმნამდე მისი ფუნქციები შეესრულებინა. ივლის-ოქტომბრის პერიოდში პარტიის ცენტრალური ორგანო უდიდეს მუშაობას ეწევა ბოლშევიკური პარტიის გარშემო მუშებისა და ჯარისკაცების დასარაზმავად და შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. 1917 წლის 13 აგვისტოდან ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო გამოდის «პროლეტარის» სახელწოდებით, მისი დახურვის შემდეგ — «რაბოჩის», მერე კი — «რაბოჩი პუტის» სახელწოდებით. ეს უკანასკნელი გამოდიოდა 1917 წლის 26 ოქტომბრამდე. 1917 წლის 27 ოქტომბრიდან ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო კვლავ «პრავდის» სახელწოდებით გამოდის. — **22.**

6 **«ვეჩერნეე ვრემია»** — რეაქციული მიმართულების საღამოს გაზეთი, დაარსებული ა. ს. სუვორინის მიერ; გამოდიოდა პეტერბურგში 1911-დან 1917 წლამდე. — **23.**

7 **«დელო ნაროდა»** — ესერების გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 15 მარტიდან 1918 წლის იანვრამდე. — **25.**

8 ზონდერბუნდი — შვეიცარიის შვიდი კათოლიკური კანტონის რეაქციული კავშირი, რომელიც 1845 წელს შეიქმნა და შვეიცარიის პოლიტიკურ დაჩუცმაცებულობას იცავდა. 1847 წელს გაჩაღდა შეიარაღებული ბრძოლა ზონდერბუნდსა და დანარჩენ კანტონებს შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ შვეიცარიაში ხელისუფლების ცენტრალიზაციას. ომი დამთავრდა ზონდერბუნდის დამარცხებით და შვეიცარიის გადაქცევით სახელმწიფოთა კავშირიდან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ. — **27.**

9 რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენცია შედგა 1917 წლის 24 — 29 აპრილს პეტროგრადში. ეს იყო ბოლშევიკების პირველი ლეგალური კონფერენცია. პარტიის ცხოვრებაში მან ყრილობის როლი შეასრულა. ვ. ი. ლენინი მოხსენებაში მიმდინარე მომენტის შესახებ ავითარებდა იმ დებულებებს, რომლებიც მან უფრო ადრე აპრილის თეზისებში გამოთქვა. ი. ბ. სტალინი კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც იცავდა ვ. ი. ლენინის რეზოლუციას მიმდინარე მომენტის საკითხზე, და მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე. კონფერენციამ დაგმო ოპორ-

ტუნისტული, კაპიტულანტური პოზიცია კამენევის, რიკოვის, ზინოვიევის, ბუხარინის და პიატაკოვისა, რომლებიც გამოვიდნენ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ, ხოლო ნაციონალურ საკითხში ნაციონალ-შოვინისტურ პოზიციებზე იდგნენ. აპრილის კონფერენციამ ბოლშევიკების პარტიას უშუალო მიზნად დაუსახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის ბრძოლა. აპრილის კონფერენციის რეზოლუცია ნაციონალურ საკითხზე იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, გამოც. მე-6, 1940, გვ. 233. — **31.**

10 რკპ (ბ) VIII ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 18 — 23 მარტს. ყრილობამ გადამწყვეტი პასუხი გასცა ბუხარინისა და პიატაკოვის დიდმპყრობელურ, შოვინისტურ შეხედულებებს ნაციონალურ საკითხში. ყრილობის მიერ მიღებული «რკპ (ბ) პროგრამა» იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, გამოც. მე-6, 1940, გვ. 281 — 295. — **33.**

11 იხ. «კომინტერნის მეორე კონგრესი, 1920 წ. ივლისი — აგვისტო». მ., 1934, გვ. 492. — **33.**

12 შინგარიოვის დეპეშის ტექსტი მოყვანილია ვ. ი. ლენინის სტატიაში ««ნებაყოფლობითი შეთანხმება» მემამულეებსა და გლეხებს შორის?», რომელიც დაბეჭდილია «პრავდის» 33-ე ნომერში 1917 წლის 15 აპრილს (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტომი XX, გვ. 169, რუს. გამოცემა). — **37.**

13 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირი, რომელიც მოწვეული იყო პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, შედგა პეტროგრადში 1917 წლის 29 მარტიდან 3 აპრილამდე; თათბირმა მენშევიკებისა და ესერების გავლენით ჩაიარა. — **45.**

14 დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის, კადეტების ლიდერის მილიუკოვის ნოტა, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოებს

1917 წლის 18 აპრილს გაეგზავნა, ადასტურებდა დროებითი მთავრობის ერთგულებას ცარიზმის მიერ დადებული ხელშეკრულებებისადმი და აცხადებდა, რომ მთავრობა მზად იყო განეგრძო იმპერიალისტური ომი. ნოტამ პეტროგრადის მუშებისა და ჯარისკაცების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. — **48.**

15 მეფის ფავორიტის ქშესინსკაიას სასახლე ხელში ჩაიგდეს რევოლუციურმა ჯარისკაცებმა თებერვლის რევოლუციის დღეებში. იქ მოთავსებული იყო ბოლშევიკების ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტები, რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია, ჯარისკაცთა კლუბი და მუშათა და ჯარისკაცთა სხვა ორგანიზაციები. — **50.**

16 მარიამის სასახლეში შემდგარი თათბირის შემდეგ დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 22 აპრილს გამოაქვეყნა «განმარტება» მილიუკოვის ნოტისადმი, სადაც განაცხადა, რომ ლოზუნგით «გადამწყვეტი გამარჯვება მტერზე» იგი გულისხმობდა «მტკიცე მშვიდობის დამყარებას ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე». პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შემთანხმებლურმა აღმასკომმა მთავრობის შესწორებანი და «განმარტებანი» დამაკმაყოფილებლად ცნო და «ინციდენტი ამოწურულად» ჩათვალა. — **52.**

17 ბუნდი — «ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი პოლონეთში, ლიტვასა და რუსეთში» — შეიქმნა 1897 წლის ოქტომბერში (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 371, შენიშვნა 7). — **59.**

18 თემებისა და დაბების წარმომადგენელთა ყრილობაზე არჩეულმა შლისელბურგის სამაზრო რევოლუციურმა სახალხო კომიტეტმა მიიღო ზომები მიწის საკითხის გადასაჭრელად. ამ კომიტეტის საადგილმამულო კომისიამ დაადგინა: 1) სათემოდ მოიხნას ეკლესიების, მონასტრების, მეფის გვარეულობისა და კერძო მფლობელთა კუთვნილი თავისუფალი მიწები; 2) საჭირო ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი აღებულ იქნას მინიმალური შეფასებით კერძო მფლობელთა მამულებიდან და საწყობებიდან და სხვა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად სათემო კომიტეტებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს მაზრის მთელ მიწის ფონდზე, მოახდინეს სასოფლო-სამეურნეო ინვენ-

ტარის აღრიცხვა, დააწესეს მეთვალყურეობა ტყეების დასაცავად, მოაწყეს ცარიელი მიწების მოხვნა და სხვ. — 64.

19 1917 წლის 3 მაისის «სოლდატსკაია პრავდის» მე-13 ნომრის დამატებაში გამოქვეყნდა რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციები. — 72.

20 მზადება პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებისათვის დაიწყო 1917 წლის აპრილში. «პრავდამ», ბოლშევიკური პარტიის პეტროგრადისა და რაიონულმა კომიტეტებმა მოუწოდეს მუშებსა და ჯარისკაცებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და ხმა მიეცათ ბოლშევიკების სიებისათვის. 1917 წლის 10 მაისს შედგა რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტის სხდომა ი. ბ. სტალინის მონაწილეობით, რომელზეც მოსმენილ იქნა საერთო-საქალაქო და რაიონული კომისიების მოხსენებანი მუნიციპალური კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნები მოხდა 1917 წლის 27 მაისიდან 5 ივნისამდე. არჩევნების შედეგებს ი. ბ. სტალინმა მიუძღვნა სტატია «პეტროგრადის მუნიციპალური არჩევნების შედეგებისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 100). — 73.

21 ტრუდოვიკები, ანუ «შრომის ჯგუფი», — წვრილბურჟუაზიულ დემოკრატთა ჯგუფი; შეიქმნა 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხ დეპუტატთაგან. 1917 წელს ტრუდოვიკები შეუერთდნენ «სახალხო-სოციალისტურ» პარტიას. — 78.

22 «სახალხო სოციალისტები» (ენესები) — წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წელს, გამოეყო რა ესერების მემარჯვენე ფრთას. ენესები ისეთ პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებს არ სცილდებოდნენ. ლენინი მათ «სოციალ-კადეტებსა» და «ესერულ მენშევიკებს» უწოდებდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ენესების პარტიამ სხვა წვრილბურჟუაზიულ «სოციალისტურ» პარტიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მემარჯვენე პოზიცია დაიკავა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ენესები კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებში მონაწილეობდნენ. 78.

23 **«რაბოჩაია გაზეტა»** — მენშევიკების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 7 მარტიდან. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაზეთი მალე დახურულ იქნა. — **79.**

24 «მეჟრაიონკა» («გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატთა სარაიონთაშორისო ორგანიზაცია») წარმოიშვა პეტერბურგში 1913 წელს. მასში შედიოდნენ ტროცკისტი-მენშევიკები და პარტიისაგან გამოთიშულ ყოფილ ბოლშევიკთა ნაწილი. პირველი მსოფლიო ომის დროს მეჟრაიონელებს ცენტრისტული პოზიცია ეკავათ და ბრძოლას ეწეოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1917 წელს მეჟრაიონელებმა განაცხადეს, რომ ბოლშევიკური პარტიის ხაზს დაეთანხმნენ. ამიტომ პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში 1917 წლის მაისში ბოლშევიკებს ბლოკი ჰქონდათ მეჟრაიონელებთან. რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე მეჟრაიონელები მიღებულ იქნენ პარტიაში. მეჟრაიონელთა ნაწილი ტროცკის მეთაურობით შემდეგში ხალხის მტრები აღმოჩნდა. — **81.**

25 **«ნოვაია ჟიზნ»** — მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან. მის გარშემო დაირაზმნენ მარტოველი მენშევიკები და ნახევრადმენშევიკური ყაიდის ერთეული ინტელიგენტები. «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი მუდამ მერყეობდა შემთანხმებლებსა და ბოლშევიკებს შორის; ივლისის დღეების შემდეგ ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ გამაერთიანებელ ყრილობაში მენშევიკობორონცებთან ერთად. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჯგუფი რამდენიმე კაცის გარდა, რომლებიც ბოლშევიკებს მიემხრნენ, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულ პოზიციას დაადგა. გაზეთი «ნოვაია ჟიზნ» დახურულ იქნა 1918 წლის ზაფხულში. — **82.**

26 გლეხთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა შედგა პეტროგრადში 1917 წლის 4 — 28 მაისს. ყრილობაზე უმრავლესობა ეკუთვნოდათ ესერებს და მათთან ახლო მდგომ ჯგუფებს. გუბერნიებიდან წარგზავნილი გლეხთა დელეგატების უდიდესი უმრავლესობა სოფლის კულაკურ ზედაფენებს წარმოადგენდა. — **89.**

27 **«ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაცია»** — ბრძანება არმიისა და ფლოტისადმი სამხედრო მოსამსახურეთა ძირითადი უფლებების

შესახებ, რაც დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ გამოსცა 1917 წლის 11 მაისს. «დეკლარაცია» მნიშვნელოვნად ზღუდავდა ჯარისკაცთა უფლებებს, რომლებიც მათ 1917 წლის რევოლუციის პირველ დღეებში მოიპოვეს. პეტროგრადის საბჭოს ესერულ-მენშევიკური აღმასკომი მიესალმა «ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაციას», მაგრამ ჯარისკაცები და მატროსები მას საპროტესტო მიტინგებით შეხვდნენ და უუფლებობის დეკლარაციას უწოდებდნენ. — **89.**

28 «ვეჩერნაია ბირჟოვკა» — გაზეთი «ბირჟევიე ვედომოსტი», საღამოს გამოშვება. «**ბირჟევიე ვედომოსტი**» — ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟოვკა» საზოგადო სახელი გახდა პრესის უპრინციპობისა და გამყიდველობის აღსანიშნავად. 1917 წლის ოქტომბრის დამლევს გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. — **90.**

29 შვეიცარიის სოციალისტური პარტიის მდივანი რობერტ გრიმი რუსეთში ჩამოვიდა 1917 წლის მაისში. ივნისის დამდეგს ბურჟუაზიულ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ გრიმს დავალებული ჰქონდა მოესინჯა ნიადაგი გერმანიასა და რუსეთს შორის სეპარატული ზავის დადების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით დროებითმა მთავრობამ გრიმი რუსეთიდან გააძევა. — **94.**

30 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა, რომელიც პეტროგრადის საბჭომ მოამზადა და მოიწვია, შედგა 1917 წლის 3 — 24 ივნისს. ყრილობაზე უმრავლესობა ეკუთვნოდათ ესერებსა (285 დელეგატი) და მენშევიკებს (248 დელეგატი). ბოლშევიკებს, რომლებიც მაშინ საბჭოებში უმცირესობას შეადგენდნენ, 105 დელეგატი ჰყავდათ. ბოლშევიკები ყრილობაზე ააშკარავებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს და ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის დამღუპველობას. დროებით მთავრობასთან დამოკიდებულებისა და ომის შესახებ სიტყვები წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლურ ლოზუნგებს დაუპირისპირა მოთხოვნა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისა. ყრილობამ მენშევიკებისა და ესერების გავლენით ჩაიარა. — **98.**

81 «ვოლია ნაროდა» — გაზეთი, ესერების პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 29 აპრილიდან 24 ნოემბრამდე. — **103.**

82 მოწოდება «პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს» დაიწერა მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და პეტროგრადის კომიტეტმა 1917 წლის 10 ივნისისათვის დანიშნეს. პირველად იგი გამოქვეყნდა 9 ივნისს პროკლამაციის სახით, რომელიც პეტროგრადის რაიონებში გავრცელდა. 10 ივნისს მოწოდება უნდა დაბეჭდილიყო «პრავდისა» და «სოლდატსკაია პრავდის» ფურცლებზე, მაგრამ ვინაიდან 9 ივნისს ღამით ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტი და პეტროგრადის კომიტეტი იძულებული გახდნენ დემონსტრაცია გადაედოთ, იგი ამოჭრილ იქნა «პრავდისა» და «სოლდატსკაია პრავდის» სტერეოტიპებიდან. მხოლოდ «სოლდატსკაია პრავდის» ეგზემპლარების მცირე რაოდენობა გავრცელდა მოწოდების ტექსტით. 13 ივნისს მოწოდება გამოქვეყნდა «პრავდის» მე-80 ნომერში სტატიის — «სიმართლე დემონსტრაციის შესახებ» — შემდეგ. 1917 წლის 17 და 18 ივნისს მოწოდება ერთხელ კიდევ დაიბეჭდა გაზეთ «პრავდაში» 18 ივნისისათვის დანიშნულ ახალ დემონსტრაციასთან დაკავშირებით. — **106.**

83 «ოკოპნაია პრავდა» — ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა 1917 წლის 30 აპრილიდან რიგაში. გაზეთის პირველი ნომრები გამოსცა ნოვოლადოჟსკის პოლკის ჯარისკაცთა კომიტეტმა თვით ჯარისკაცთა სახსრებით. მე-7 ნომრიდან (1917 წლის 17 მაისიდან) გაზეთი რსდმპ (ბ) რიგის კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციისა და რუსული სექციის ორგანო გახდა, ხოლო 26-ე ნომრიდან (1917 წლის 5 ივნისიდან) — ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის რიგის კომიტეტთან, შემდეგ კი ცენტრალურ კომიტეტთან არსებული XII არმიის სამხედრო ორგანიზაციის ორგანო. 1917 წლის 21 ივლისიდან დახურულ იქნა, მაგრამ უკვე ერთი დღის შემდეგ — 23 ივლისს — «ოკოპნაია პრავდის» ნაცვლად დაიწყო გაზეთ «ოკოპნი ნაბატის», ლატვიის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციის ორგანოს გა-

მოცემა. გაზეთი გამოდიოდა მანამდე, სანამ რიგა გერმანელებმა არ აიღეს. 12 ოქტომბრიდან «ოკოპნი ნაბატის» გამოცემა განახლდა ქ. ვენდენში. 1917 წლის 29 ოქტომბრიდან გაზეთმა მიიღო წინანდელი სახელწოდება — «ოკოპნაია პრავდა». მას შემდეგ გაზეთი განუწყვეტლივ გამოდიოდა 1918 წლის თებერვლამდე. — **112.**

34 **«სოლდატსკაია პრავდა»** — ბოლშევიკური გაზეთი, გამოდიოდა 1917 წლის 15 აპრილიდან, როგორც რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციის ორგანო, ხოლო 19 მაისიდან — როგორც რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციის ორგანო. «სოლდატსკაია პრავდა» დიდი პოპულარობით სარგებლობდა პეტროგრადის ჯარისკაცებსა და მუშებში. მუშებს ფული შეჰქონდათ გაზეთის გამოსაცემად და ფრონტელ ჯარისკაცებში უფასოდ გასავრცელებლად. გაზეთის ტირაჟი აღწევდა 50 ათას ეგზემპლარს, საიდანაც ნახევარი ფრონტზე მიდიოდა. 1917 წლის ივლისის დღეებში, «პრავდასთან» ერთად, «სოლდატსკაია პრავდა» დროებითმა მთავრობამ დაარბია და დახურა; გაზეთი განახლდა პირველ დღეებში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. გამოდიოდა 1918 წლის მარტამდე. — **117.**

35 სტამბა «ტრუდ», რომელშიც ბოლშევიკური გაზეთები და წიგნები იბეჭდებოდა, რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეიძინა 1917 წლის 22 აპრილს. «პრავდის» მოწოდებით სტამბის შესაძენი სახსრები თვით მუშებსა და ჯარისკაცებს შეჰქონდათ. 1917 წლის 6 ივლისს სტამბა იუნკერთა და კაზაკთა რაზმებმა დაარბიეს. — **117.**

36 ბოლშევიკების პეტროგრადის მეორე (საგანგებო) საერთო-საქალაქო კონფერენცია მოწვეულ იქნა 1917 წლის 1 ივლისს. მას დაესწრო 145 დელეგატი, რომლებიც პარტიის 32 220 წევრს წარმოადგენდნენ. კონფერენციის საგანგებოდ მოწვევის მიზეზი გახდა პეტროგრადსა და რუსეთში პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება იმასთან დაკავშირებით, რომ ფრონტზე შეტევა დაიწყო, ხოლო დროებითი მთავრობა ცდილობდა გაეყვანა პეტროგრადიდან რევოლუციური პოლკები, «განეტვირთა» ქალაქი რევოლუციური მუშებისაგან და სხვა. 3 — 5 ივლისის ამბებთან დაკავშირებით კონფერენციის სხდომები შეწყდა და მხოლოდ 16 ივლისს განახლდა.

მთელი მისი შემდგომი მუშაობა ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. — **120.**

37 მოსკოვის საგანგებო თათბირი — მოსკოვის საბჭოს თათბირი — დროებითმა მთავრობამ მოიწვია 1917 წლის 12 აგვისტოს. თათბირის მონაწილეთა უმრავლესობას შეადგენდნენ მემამულეების, ბურჟუაზიის, გენერალიტეტის, ოფიცრობისა და კაზაკთა ზედაფენის წარმომადგენლები. საბჭოებისა და ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დელეგაცია მენშევიკებისა და ესერებისაგან შედგებოდა. თათბირზე კორნილოვი, ალექსეევი, კალედინი და სხვები რევოლუციის ჩახშობას პროგრამით გამოვიდნენ. კერენსკი თავის სიტყვაში იმუქრებოდა, რომ ჩაახშობდა რევოლუციურ მოძრაობას და აღკვეთდა გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების ცდებს. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ მიმართვაში პროლეტარიატს მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ პროტესტისაკენ მოუწოდებდა. მოსკოვში ბოლშევიკებმა თათბირის გახსნის დღეს მოაწყეს ერთი დღის გაფიცვა, რომელშიც 400 ათასზე მეტი მუშა მონაწილეობდა. საპროტესტო მიტინგები და გაფიცვები მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც ხდებოდა. მოსკოვის თათბირის კონტრრევოლუციური არსის გამოაშკარავებას ი. ბ. სტალინმა მთელი რიგი სტატიები მიუძღვნა (იხ. ეს ტომი, გვ. 218, 226, 238, 243 და სხვ.). — **125.**

38 1917 წლის 5 ივლისს ჰელსინგფორსიდან პეტროგრადს ჩამოვიდა ბალტიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურთა დელეგაცია. დელეგაციის ჩამოსვლის საბაბი გახდა დროებითი მთავრობის ცდა — გამოეყენებინა ბალტიის ფლოტის გემები კრონშტადტის რევოლუციურ მატროსებთან საბრძოლველად, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პეტროგრადის 3 — 4 ივლისის დემონსტრაციაში. 7 ივლისს დროებითი მთავრობის განკარგულებით ბალტიის დელეგაცია — 67 კაცი — დაპატიმრებულ იქნა. — **125.**

39 სესტრორეცკის მუშების განიარაღება მოხდა 1917 წლის 11 ივლისს დროებითი მთავრობის განკარგულებით და ესერულ-მენშევიკური ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თანხმობით. მუშებს წაუყენეს ულტიმატუმი იარაღის ჩაბარების შესახებ და დაემუქრნენ, რომ შეიარაღებულ ძალას იხმარდნენ. სესტრორეცკის იარაღის

ქარხნის საქარხნო კომიტეტის წევრები, ბოლშევიკები, დაპატიმრებულ იქნენ. — **126.**

40 დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 8 ივლისს გამოქვეყნებული დეკლარაცია შეიცავდა მთელ რიგ დემაგოგიურ დაპირებებს, რომელთა საშუალებითაც დროებით მთავრობას, ესერებსა და მენშევიკებს სურდათ დაემშვიდებინათ მასები 3 — 5 ივლისის ამბების შემდეგ. დროებითი მთავრობა იმპერიალისტური ომის განგრძობისაკენ მოუწოდებდა და თან დაპირებას იძლეოდა, რომ დანიშნულ ვადაზე — 17 სექტემბერს — ჩაატარებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს, შეიმუშავებდა კანონპროექტებს 8-საათიანი სამუშაო დღის, სოციალური დაზღვევისა და სხვ. შესახებ. მიუხედავად წმინდა ფორმალური ხასიათისა, 8 ივლისის დეკლარაცია კადეტების მხრივ თავდასხმების საგანი გახდა. კადეტებმა მთავრობაში თავიანთი შესვლის პირობად წამოაყენეს ამ დეკლარაციის გაუქმება. — **132.**

41 კამკოველები — ესერთა პარტიის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებული მემარცხენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერის ბ. კამკოვის (კაცის) მომხრენი. — **136.**

42 სტატია «კონტრრევოლუციის გამარჯვება» მოთავსებული იყო კრონშტადტის გაზეთ «პროლეტარსკოე დელოს» მე-5 ნომერში 1917 წლის 19 ივლისს სათაურით «კონტრრევოლუციის ზეიმი». — **146.**

43 ფ. შილერის ტრაგედიის — «ფიესკოს შეთქმულება გენუაში» — ერთ-ერთი გმირის, ტუნისელ მავრ მულეი-ჰასანის სიტყვები (ფ. შილერი, თხზულებანი, ტ. II, გამომც. «აკადემია», 1936, გვ. 260). — **150.**

44 ა. ჰენდერსონი — ინგლისის მუშათა პარტიის (ლეიბორისტების) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ჰენდერსონი სოციალ-შოვინისტი იყო, ლოიდ-ჯორჯის მთავრობის წევრი.

ა. ტომა — საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სოციალ-შოვინისტი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. იგი საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შევიდა. — **150.**

45 მოწოდება «პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს» დაწერილია 3 — 5 ივლისის ამბებთან დაკავშირებით ბოლშევიკების პეტროგრადის II საერთო-საქალაქო კონფერენციის დავალებით. 1917 წლის 25 ივლისს (გაზეთში პირველ გვერდზე შეცდომით ნაჩვენებია თარიღი 24 ივლისი) მოწოდება დაიბეჭდა «რაბოჩი ი სოლდატის» მე-2 ნომერში; 1 აგვისტოს მუშებისა და ჯარისკაცების მოთხოვნით იგი ხელმეორედ დაიბეჭდა მე-8 ნომერში. — **153.**

46 21 ივლისის თათბირი, რომელსაც ესერებმა და მენშევიკებმა «ისტორიული» უწოდეს, დროებითმა მთავრობამ მოიწვია მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით, რაც გამოიწვია მთავრობის შემადგენლობიდან კადეტების წასვლამ და კერენსკის განცხადებამ გადადგომის შესახებ. თათბირში მონაწილეობდნენ ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების წარმომადგენლები. თათბირზე კადეტები მოითხოვდნენ ისეთი მთავრობის შექმნას, რომელიც თავის მოქმედებაში დამოუკიდებელი იქნებოდა საბჭოებისა და დემოკრატიული პარტიებისაგან, უნარი ექნებოდა რეპრესიების საშუალებით აღედგინა «დისციპლინა» არმიაში და ა. შ. ესერები და მენშევიკები ამ მოთხოვნებზე დათანხმდნენ და კერენსკის უფლება მისცეს შეედგინა ახალი დროებითი მთავრობა. — **156.**

47 სიტყვები ამერიკელი დემოკრატი პოეტის უ. უიტმანის სიმღერიდან (იხ. «რევოლუციურ სიმღერათა კრებული», რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის გამოცემა, 1916, გვ. 9). — **159.**

48 ლაპარაკია ბოლშევიკების პეტროგრადის საგანგებო საერთო-საქალაქო კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1917 წლის 1 — 3 და 16 — 20 ივლისს (იხ. შენიშვნა 36), და მენშევიკების მეორე საერთო-საქალაქო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 15 — 16 ივლისს. — **161.**

49 სტატია «დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის» დაიწერა დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით. დროებითმა მთავრობამ არჩევნები 1917 წლის 17 სექტემბრისათვის დანიშნა. სტატიის პირველი ნაწილი დაიბეჭდა «პრავდის» 99-ე ნომერში, 1917 წლის 5 ივლისს. მაგრამ ვინაიდან

ივლისის დღეების შემდეგ «პრავდა» დახურულ იქნა, სტატიის ბეჭდვა შეწყდა. სტატია მთლიანად დაიბეჭდა მხოლოდ 1917 წლის 27 ივლისს გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» მე-4 ნომერში. — **166.**

50 გლეხთა სრულიად რუსეთის კავშირი — წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია, რომელიც 1905 წელს წარმოიშვა. კავშირი აყენებდა პოლიტიკური თავისუფლების, დამფუძნებელი კრების მოწვევისა და მიწის კერძო საკუთრების გაუქმების მოთხოვნას. 1906 წელს გლეხთა კავშირი დაიშალა. 1917 წელს კავშირმა თავისი საქმიანობა განაახლა და 31 ივლისს მოიწვია სრულიად რუსეთის ყრილობა მოსკოვში. ყრილობამ აზრი გამოთქვა დროებითი მთავრობისათვის სრული მხარდაჭერის, იმპერიალისტური ომის განგრძობის სასარგებლოდ, გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. 1917 წლის შემოდგომაზე გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტის ზოგიერთი წევრი მონაწილეობას იღებდა რეპრესიებში გლეხების აჯანყებათა წინააღმდეგ. — **166.**

51 პეტროგრადის გარნიზონის გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელსაც შემდეგ გლეხთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო ეწოდა, შეიქმნა 1917 წლის 14 აპრილს სამხედრო ნაწილების და პეტროგრადის ზოგიერთი საწარმოს წარმომადგენლებისაგან. საბჭო ძირითად ამოცანად ისახავდა ბრძოლას გლეხთა სარგებლობაში მთელი მიწის უსასყიდლოდ გადაცემისათვის. გლეხთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო ბრძოლას ეწეოდა შემთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ატარებდა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭო, რომელსაც მემარჯვენე ესერები ხელმძღვანელობდნენ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საბჭომ აქტიური მონაწილეობა მიიღო სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციასა და მიწის შესახებ დეკრეტის განხორციელებაში. 1918 წლის თებერვალში, ძველი არმიის დემობილიზაციასთან დაკავშირებით, საბჭომ შეწყვიტა თავისი მუშაობა. — **169.**

52 რსდმპ (ბოლშევიკების) VI ყრილობა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე. ყრილობაზე მოსმენილ და განხილულ იქნა მოხსენებანი: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიშები, ანგარიშები

ადგილებიდან, ომი და საერთაშორისო მდგომარეობა, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, პროფესიული მოძრაობა, დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო კამპანია. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება და გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება ახალგაზრდობის კავშირთა ორგანიზაციის შესახებ. ი. ბ. სტალინი გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით და მოხსენებით პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ყრილობამ უარყო ტროცკისტული წინადადებანი ბუხარინისა და პრეობრაჟენსკისა, რომლებმაც სცადეს ჩაეშალათ პარტიის კურსი სოციალისტური რევოლუციისაკენ, და მიიღო ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილი რეზოლუცია პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ყრილობამ პარტიას უშუალო მიზნად დაუსახა შეიარაღებული აჯანყება, სოციალისტური რევოლუცია. — **175.**

53 ფრიდრიხ ადლერი — ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი. 1916 წელს, ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მოკლა ავსტრიის პრემიერ-მინისტრი შტიურკი, რისთვისაც 1917 წლის მაისში მიესაჯა სიკვდილით დასჯა. საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ 1918 წელს ადლერმა მტრული პოზიცია დაიკავა ოქტომბრის რევოლუციის მიმართ. — **176.**

54 1917 წლის 4 ივლისს მუშათა უბნებში გავრცელებულ იქნა მოწოდება:

«ამხანაგებო, პეტროგრადის მუშებო და ჯარისკაცებო! მას შემდეგ, რაც კონტრრევოლუციური ბურჟუაზია აშკარად გამოვიდა რევოლუციის წინააღმდეგ, დაე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭომ ხელთ აიღოს მთელი ძალაუფლება.

ასეთია ნება-სურვილი პეტროგრადის რევოლუციური მოსახლეობისა, რომელსაც უფლება აქვს ეს თავისი ნება-სურვილი **მშვიდობიანი** და **ორგანიზებული** დემონსტრაციის საშუალებით აუწყოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებსაც ამჟამად სხდომები აქვთ.

გაუმარჯოს რევოლუციური მუშებისა და რევოლუციური ჯარისკაცების ნება-სურვილს!

გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას!

კოალიციურმა მთავრობამ კრახი განიცადა; იგი დაიშალა, რადგან არ შეეძლო შეესრულებინა ის ამოცანები, რომელთათვისაც იგი შექმნილი იყო. რევოლუციის წინაშე გრანდიოზული, უძნელესი ამოცანები დგას. საჭიროა ახალი ხელისუფლება, რომელიც რევოლუციურ პროლეტარიატთან, რევოლუციურ არმიასთან და რევოლუციურ გლეხობასთან ერთად გაბედულად მოჰკიდებდა ხელს ხალხის მონაპოვართა განმტკიცებასა და გაფართოებას. ასეთი ხელისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლება.

გუშინ პეტროგრადის რევოლუციური გარნიზონი და მუშები გამოვიდნენ, რათა გამოეცხადებინათ ეს ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოს!». ჩვენ მოგიწოდებთ, რომ ეს მოძრაობა, რომელმაც პოლკებსა და ქარხნებში იფეთქა, გადააქციოთ მთელი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა პეტროგრადის ნება-სურვილის მშვიდობიან, ორგანიზებულ გამოვლინებად.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი
რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი
რსდმპ საარაიონთაშორისო კომიტეტი
რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
სამხედრო ორგანიზაცია
მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს
მუშათა სექციის კომისია». — **184.**

55 «ლისტოკ პრავდი» გამოვიდა 1917 წლის 6 ივლისს გაზეთ «პრავდის» მორიგი ნომრის მაგიერ, რადგან «პრავდის» რედაქცია იუნკრებმა გაანადგურეს. «ლისტოკ პრავდი»-ში სათაურით «სიმშვიდე და თავდაჭერილობა» მოთავსებული იყო რსდმპ (ბ) ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტებისა და რსდმპ (ბ) სამხედრო ორგანიზაციის მოწოდება. — **185.**

56 «ვეჩერნეე სლოვო» — ბულვარულ-შავრაზმული ტიპის გაზეთი, რომელიც პეტროგრადში გამოდიოდა. 1917 წელს გაზეთი ეწეოდა პოგრომულ აგიტაციას ბოლშევიკების წინააღმდეგ; გამოდიოდა **ოქტომბრის რევოლუციამდე. — 187.**

57 ფურცელი «ცილისმწამებელნი გასამართლებულ უნდა იქნან!» რსდმპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა 5 ივლისის შემდეგ და იგი გამოქვეყნდა 1917 წლის 9 ივლისს გაზეთ «ვოლნაში», რომელსაც უშვებდა რსდმპ (ბ) ჰელსინგფორსის კომიტეტი. ფურცელში ნათქვამი იყო: «კონტრრევოლუციას სურს თავი მოჰკვეთოს რევოლუციას იმ უმარტივესი საშუალებით, რომ შფოთი დათესოს მასებში და მიუსიოს ისინი ყველაზე პოპულარულ ბელადებს, რევოლუციის დამსახურებულ მებრძოლებს... დროებითი მთავრობისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან ჩვენ მოვითხოვთ **დაუყოვნებლივ და საჯაროდ გამოძიებულ იქნას** მუშათა კლასის ბელადების ღირსებისა და სიცოცხლის წინააღმდეგ დამრბევთა და დაქირავებულ ცილისმწამებელთა საზიზღარი შეთქმულების ყველა გარემოება... ცილისმწამებელნი და ცილისწამების გამავრცელებელნი გასამართლებულ უნდა იქნან. სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ დამრბევნი და ცრუები!». — **188.**

58 ბეზრაბოტნი — დ. ზ. მანუილსკის ფსევდონიმი. — **191.**

59 1917 წლის 27 ივლისს ბოგდან ხმელნიცკის სახელობის უკრაინული პოლკის ეშელონებს, რომლებიც ფრონტზე მიდიოდნენ, კიევის ახლო მდებარე სადგურებში და თვით კიევში სროლა აუტეხეს კაზაკებმა და კირასირებმა. — **197.**

60 ბრძანება № 1 გამოსცა 1917 წლის 1 მარტს პეტროგრადის საბჭომ რევოლუციური სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მოთხოვნით, რომლებმაც განაცხადეს, რომ იზრდება ჯარისკაცების უნდობლობა სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტისადმი და მის მიერ გამოყოფილი სამხედრო კომისიისადმი.

«ბრძანება» წინადადებას აძლევდა სამხედრო ნაწილებს (ასეულებს, ბატალიონებს და სხვ.) აერჩიათ ჯარისკაცთა კომიტეტები, გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, ჯარისკაცთა კომიტეტების განკარგულებაში აძლევდა სამხედრო ნაწილების იარაღს, ნებას რთავდა სამხედრო კომისიის ბრძანებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესრულებინათ, როდესაც ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბრძანებებსა და დადგენილებებს და სხვ. — **203.**

61 ი. ბ. სტალინს მხედველობაში აქვს ლენინის ბროშურა «ლოზუნგებისათვის», რომელიც დაწერილია 1917 წლის ივლისში (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი XXI, გვ. 33, რუს. გამოცემა). — **207.**

62 სტატია «მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ» ი. ბ. სტალინმა დაწერა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით, რომელმაც 1917 წლის 5 აგვისტოს განიხილა მოსკოვის თათბირის საკითხი. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გამოეცა რეზოლუცია და ფურცელი და ცენტრალურ ორგანოში მოეთავსებინა მთელი რიგი სტატიები მოსკოვის თათბირის გამო. სტატია «მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ» ჯერ გამოქვეყნდა როგორც მოწინავე გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» № 14-ში, შემდეგ 1917 წლის 12 აგვისტოს კრონშტადტის გაზეთ «პროლეტარსკოე დელოში», ხოლო 13 აგვისტოს გაზეთ «პროლეტარის» № 1-ში როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება. გარდა ამისა, სტატია «მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ» გამოვიდა ფურცლის სახით.

მოწოდებასა და ფურცელში სტატიის უკანასკნელი სტრიქონები შეცვლილ იქნა შემდეგი სიტყვებით:

«ამხანაგებო! მოიწვიეთ მიტინგები და გამოიტანეთ საპროტესტო რეზოლუციები «მოსკოვის თათბირის» წინააღმდეგ! შეუერთდით პუტილოველებს და «თათბირის» წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დღეს მოაწყეთ ფულის შეგროვება დევნილი პარტიული პრესის სასარგებლოდ. არ აჰყვეთ პროვოკაციას და დღეს ნუ მოაწყობთ ნურავითარ გამოსვლებს ქუჩებში!». — **218.**

63 სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხი წარმოიშვა 1917 წლის აპრილში. დანიელი სოციალ-დემოკრატი ბორგბიერგი პეტროგრადს ჩამოვიდა და დანიის, ნორვეგიის, შვეციის მუშათა პარტიების გაერთიანებული კომიტეტის სახელით რუსეთის სოციალისტური პარტიები მიიწვია მონაწილეობა მიეღოთ ზავის დადების საკითხზე სტოკჰოლმში მოსაწვევ კონფერენციაში. ესერულ-მენშევიკურმა აღმასკომმა, ხოლო შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭომაც გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ სტოკჰოლმის კონფერენციაში და ეკისრნათ მისი მოწვევის ინიციატივა. ბოლშევიკების სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციამ გადაჭრით გამოთქვა აზრი სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწი-

ლეობის წინააღმდეგ და ამხილა მისი იმპერიალისტური ხასიათი. 6 აგვისტოს, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხის განხილვის დროს გამოვიდა კამენევი მოწოდებით — მონაწილეობა მივიღოთ კონფერენციაშიო. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბოლშევიკური ფრაქცია გაემიჯნა კამენევის გამოსვლას; პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰგმო მისი ხაზი და დაადგინა ცენტრალურ ორგანოში გაშუქებული ყოფილიყო პარტიის შეხედულებანი ამ საკითხზე. 9 აგვისტოს გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია «კიდევ სტოკჰოლმის შესახებ», ხოლო 16 აგვისტოს გაზეთ «პროლეტარში» დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის წერილი «სტოკჰოლმის კონფერენციის გამო ც. ა. კ-ში კამენევის გამოსვლის შესახებ». — **222.**

64 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 1917 წლის აპრილში გადაწყვიტა ნეიტრალურ და მოკავშირე ქვეყნებში გაეგზავნა დელეგაცია სტოკჰოლმის კონფერენციის მოსამზადებლად. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველმა სრულიად რუსეთის ყრილობამ დაადასტურა პეტროგრადის საბჭოს ეს გადაწყვეტილება. დელეგაციამ მოიარა ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, შვეცია, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა სხვადასხვა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებთან. სტოკჰოლმის კონფერენცია არ შემდგარა. — **222.**

65 ხანგრძლივი პარლამენტი — ინგლისის XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის პარლამენტი, რომელსაც სხდომები ჰქონდა 13 წლის განმავლობაში (1640 — 1653). — **227.**

66 ეგრეთწოდებული წინასწარი ანუ «საზოგადო მოღვაწეთა კერძო თათბირი» მიმდინარეობდა მოსკოვში 1917 წლის 8 — 10 აგვისტოს. თათბირის მიზანი იყო ბურჟუაზიულ-მემამულური წრეებისა და სამხედრო ხროვის გაერთიანება და მომავალი სახელმწიფო თათბირისათვის ერთიანი პლატფორმის გამომუშავება. თათბირზე შეიქმნა კონტრრევოლუციური «საზოგადო მოღვაწეთა კავშირი». — **229.**

67 ფინეთის სეიმმა, რომელიც მოწვეულ იქნა 1917 წლის მარტის დამლევს, მოითხოვა ფინეთის ავტონომიის განხორციელება. დროებით მთავრობასთან ხანგრძლივი და უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ ფინეთის სეიმმა 1917 წლის 5 ივლისს მიიღო «კანონი უმაღლესი ხელისუფლების შესახებ», რომლის მიხედვითაც სეიმის ძალაუფლება ვრცელდებოდა ფინეთის ცხოვრების ყველა მხარეზე, გარდა საგარეო პოლიტიკის, სამხედრო კანონმდებლობისა და სამხედრო მმართველობის საკითხებისა, რომლებიც საერთო რუსეთის დაწესებულებათა გამგებლობას ექვემდებარებოდნენ. დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 18 ივლისს განაცხადა, რომ სეიმის მიერ მიღებული კანონი წინასწარ საზღვრავს დამფუძნებელი კრების ნება-სურვილს, და დაითხოვა სეიმი. — **234**.

68 უკრაინის ცენტრალური რადა შექმნეს უკრაინის ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა და ჯგუფებმა 1917 წლის აპრილში. ივლისის დღეების წინ შეიქმნა რადის გენერალური სამდივნო როგორც მმართველობის უმაღლესი ორგანო უკრაინაში. პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციის განადგურების შემდეგ დროებითმა მთავრობამ, რომელიც ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას ატარებდა, უკრაინის ფარგლებიდან გამორიცხა დონეცის აუზი, ეკატერინოსლავშჩინა და უკრაინის ზოგიერთი სხვა რაიონი. უმაღლესი ძალაუფლება უკრაინაში გადავიდა დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული საგანგებო კომისრის ხელში. მიუხედავად ამისა, მოახლოებული პროლეტარული რევოლუციის საფრთხის გამო, რადის ლიდერები მალე წავიდნენ დროებით მთავრობასთან შეთანხმებაზე, და რადა გახდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის დასაყრდენი უკრაინაში. — **234**.

69 **პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია»** — გაზეთი; მისი გამოცემა დაიწყო 1917 წლის 28 თებერვლიდან. საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შემდეგ გაზეთი გახდა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორგანო და 1917 წლის 1 აგვისტოდან (№ 132-დან) გამოდიოდა სახელწოდებით — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პეტროგრადის

საბჭოს «იზვესტია». მთელი ამ ხნის განმავლობაში გაზეთი მენშევიკებისა და ესერების ხელში იყო და გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. 1917 წლის 27 ოქტომბრიდან საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის შემდეგ «იზვესტია» გახდა საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო. 1918 წლის მარტში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადასვლასთან დაკავშირებით გაზეთის გამოცემა პეტროგრადიდან გადატანილ იქნა მოსკოვში. — **240.**

70 1917 წლის 19 აგვისტოს გერმანიის არმიამ დაიწყო ფრონტის გარღვევა რიგასთან. რუსეთის ჯარებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ უმაღლესმა სარდლობამ კორნილოვის სახით განკარგულება გასცა უკანდახევის შესახებ, და 21 აგვისტოს გერმანელებმა დაიკავეს რიგა. კორნილოვმა რიგა იმ მიზნით ჩააბარა, რომ საფრთხე შეექმნა რევოლუციური პეტროგრადისათვის, მიელწია პეტროგრადიდან რევოლუციური ჯარების გაყვანისათვის და გაეადვილებინა კონტრრევოლუციური შეთქმულების შესრულება. — **242.**

71 **«ნოვოე ვრემია»** — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან; რეაქციული თავადაზნაურული და ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანო. 1905 წლიდან გახდა შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის დამლევს. — **247.**

72 **«რუსსკიე ვედომოსტი»** — გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1863 წლიდან; გამოხატავდა ლიბერალ მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესებს. დახურულ იქნა 1918 წელს სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — **265.**

73 დრეიფუსის საქმე — საფრანგეთის რეაქციული წრეების მიერ მოწყობილი პროვოკაციული პროცესი; ამ პროცესზე საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერს, ებრაელ დრეიფუსს, სამხედრო სასამართლომ 1894 წელს მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა აშკარად ყალბი ბრალდებით ჯაშუშობასა და სახელმწიფო ღალატში. დრეიფუსის დასაცავად საფრანგეთში განვითარებულმა საზოგადოებ-

რივმა მოძრაობამ გამოააშკარავა სასამართლოს მექრთამეობა და გააძწვავა პოლიტიკური ბრძოლა რესპუბლიკელებს და მონარქისტებს შორის. 1899 წელს დრეიფუსი შეიწყალეს და გაათავისუფლეს. 1906 წელს, საქმის ახალი გადასინჯვისას, იგი გამართლებულ იქნა. — **281.**

74 «Times» («ტაიმს») — ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიის გავლენიანი გაზეთი, გამოდის ლონდონში 1788 წლიდან. — **282.**

75 «Matin» («მატენ») — ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდის პარიზში 1884 წლიდან. — **282.**

76 წერილი «ან — ან» ზოგიერთი შემოკლებით წინათ დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 10-ში, 1917 წლის 24 აგვისტოს, სახელწოდებით «სად არის გამოსავალი?». — **286.**

77 «რუსსკაია ვოლია» — ბურჟუაზიული გაზეთი, დაარსებული მსხვილი ბანკების სახსრებით; გამოდიოდა პეტროგრადში 1916 წლის 15 დეკემბრიდან 1917 წლის 25 ოქტომბრამდე. — **289.**

78 სტატია «შეთქმულება გრძელდება» დაიბეჭდა 1917 წლის 28 აგვისტოს გაზეთ «რაბოჩის» № 5-ში. ამ დღეს კორნილოვის ამბოხებასთან დაკავშირებით გაზეთი, გარდა ჩვეულებრივი ნომრისა, გამოვიდა მეორედ — სასწრაფო გამოშვებად ერთ გვერდზე. მეორე დღეს, 29 აგვისტოს, «რაბოჩის» № 6-ში სტატია «შეთქმულება გრძელდება» ხელახლა გამოქვეყნდა სათაურით «პოლიტიკური გამოხმაურება». — **297.**

79 «Temps» («ტან») — ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პარიზში 1829 წლიდან 1942 წლამდე, გარდა პერიოდისა 1842 წლიდან 1861 წლამდე. — **825.**

80 პეტროგრადის საბჭოს რეზოლუცია გამოქვეყნდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 21-ში, 1917 წლის 27 სექტემბერს. — **853.**

81 რკინიგზელთა გაფიცვა მიმდინარეობდა 1917 წ. 24 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე. რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, რვასაათიანი სამუშაო დღის **შემოღებას,**

სასურსათო მომარაგების გაუმჯობესებას. გაფიცვა მოედო რუსეთის ყველა რკინიგზას და მიმდინარეობდა მრეწველობის მუშების თანაგრძობითა და მხარდაჭერით. — **354.**

82 14 აგვისტოს დეკლარაცია — ეგრეთწოდებული «რევოლუციური დემოკრატიის» პროგრამა, გამოაქვეყნა ჩხეიძემ მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ესერულ-მენშევიკური უმრავლესობის, გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების სახელით. დეკლარაცია მოუწოდებდა დროებითი მთავრობის მხარდაჭერისაკენ. — **357.**

83 ლიბერდანელები (ანუ ლიბერდანები) — ირონიული სახელწოდება, რომელიც მტკიცედ შეერქვათ მენშევიკთა ლიდერებს ლიბერსა და დანს და მათს მომხრეებს მას შემდეგ, რაც მოსკოვის ბოლშევიკურ გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 141-ში 1917 წლის 25 აგვისტოს დაიბეჭდა დ. ბედნის ფელეტონი სახელწოდებით «ლიბერდანი». — **357.**

84 «ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა» — ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტროგრადში 1893 წლიდან 1918 წლამდე. — **359.**

85 «ობშჩეე დელო» — ყოველდღიური საღამოს გაზეთი, რომელსაც 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სცემდა პეტროგრადში ვ. ბურცევი. გაზეთი მხარს უჭერდა კორნილოვს და გაშმაგებულ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდა საბჭოებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ. — **367.**

86 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა გლეხთა დეპუტატების სამაზრო და საგუბერნიო საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიხსნა პეტროგრადში 1917 წლის 25 ოქტომბერს. ყრილობას სულ ორი სხდომა ჰქონდა — 25 და 26 ოქტომბერს. ყრილობის გახსნის დასაწყისისათვის ჩამოვიდა 649 დელეგატი. ყრილობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქცია იყო ბოლშევიკების ფრაქცია, რომელიც 390 დელეგატისაგან შედგებოდა. მენშევიკებმა, მემარჯვენე ესერებმა და

ბუნდელებმა მიატოვეს ყრილობა მისი გახსნის უმალვე, უარი თქვეს რა ეცნოთ სოციალისტური რევოლუცია.

საბჭოების II ყრილობამ გამოაცხადა ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში და ჩამოაყალიბა პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად — ი. ბ. სტალინი. — **408.**

87 ქვეყნის თავდაცვის კომისია ანუ აღმასრულებელი კომიტეტი გამოჰყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ესერულ-მენშევიკური ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მიერ 1917 წლის 7 აგვისტოს მოწვეულმა თავდაცვის თათბირმა. ქვეყნის თავდაცვის აღმასრულებელი კომიტეტი მხარს უჭერდა დროებითი მთავრობის სამხედრო ღონისძიებებს, რომლებიც ტარდებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის სასარგებლოდ (პეტროგრადიდან რევოლუციური ჯარების გაყვანა და სხვ.). — **415.**

88 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი და რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1917 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული რეზოლუციის შესახებ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. XXI, გვ. 330, რუს. გამოცემა). — **426.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1917 წლის მარტი — ოქტომბერი)

12 მარტი. ი. ბ. სტალინი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მიერ ტურუხანსკის გადასახლებიდან განთავისუფლებული, პეტროგრადში ჩადის.

14 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 8-ში.

15 მარტი. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ თათბირზე ი. ბ. სტალინი შეყვანილ იქნა გაზეთ «პრავდის» რედაქციაში.

16 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «ომის შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 10-ში.

18 მარტი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ი. ბ. სტალინს დელეგატად გზავნის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის შემადგენლობაში.

ი. ბ. სტალინის სტატია «რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 12-ში.

3 აპრილი. სადგურ ბელოოსტროვზე (ფინეთის რკინიგზა) ი. ბ. სტალინი და მ. ი. ულიანოვა პიტერისა და სესტრორეცკის მუშებისა და მუშა-ქალების დელეგაციასთან ერთად ხვდებიან ემიგრაციიდან დაბრუნებულ ვ. ი. ლენინს და მიჰყვებიან მას პეტროგრადში.

4 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა თათბირში

და ბოლშევიკთა და მენშევიკთა — საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის დელეგატთა — გაერთიანებულ სხდომაში, სადაც ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა თავისი აპრილის თეზისები.

6 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში, გამოდის ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების საკითხის გამო გამართულ კამათში.

8 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელს აწერს განცხადება-პროტესტს პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის მიერ ეგრეთწოდებული «თავისუფლების სესხის» მხარდაჭერის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

14 აპრილი. ი. ბ. სტალინის სტატია «მიწა — გლეხებს» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 32-ში.

14 — 22 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რსდმპ (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციის მუშაობაში.

18 აპრილი. ი. ბ. სტალინმა სიტყვა წარმოთქვა «დროებითი მთავრობის შესახებ» ვასილიევის კუნძულის ბირჟის მოედანზე გამართულ საპირველმაისო მიტინგზე.

ი. ბ. სტალინის სტატია «პირველი მაისი» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 35-ში.

20 აპრილი. ი. ბ. სტალინი როგორც პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წევრი ესწრება დროებითი მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრების თათბირს მარიამის სასახლეში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლებთან ერთად; თათბირი მოწვეული იყო მილიუკოვის 1917 წლის 18 აპრილის ნოტასთან დაკავშირებით.

24 — 29 აპრილი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობენ ბოლშევიკური პარტიის სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის მუშაობას.

24 აპრილი. ი. ბ. სტალინი კონფერენციაზე გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ ლენინის რეზოლუციის დასაცავად და მას ირჩევენ ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო რეზოლუციის გამოსამუშავებლად შექმნილ კომისიაში.

29 აპრილი. ი. ბ. სტალინი კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით და საბოლოო სიტყვით ნაციონალურ საკითხზე. მას ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

4 მაისი. ი. ბ. სტალინის სტატია «რევოლუციისაგან ჩამორჩენილნი» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 48-ში.

10 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტის სხდომაში და გამოდის პეტროგრადის კომიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მუნიციპალური არჩევნების საკითხებზე.

14 მაისი. ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით ნაციონალური საკითხის შესახებ კონცერტ-მიტინგზე, რომელიც ესტონურმა მუშათა და ჯარისკაცთა კლუბმა მოაწყო ვასილიევის კუნძულზე საფონდო ბირჟის შენობაში.

21, 24 და 26 მაისი. ი. ბ. სტალინის სტატია «მუნიციპალური კამპანია» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» №№ 63, 64 და 66-ში.

მაისი. არსდება ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედის ი. ბ. სტალინი, რომელიც მას შემდეგ მისი უცვლელი წევრია.

8 — 24 ივნისი. ი. ბ. სტალინი ესწრება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის სხდომებს.

6 ივნისი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მონაწილეობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომაში. სტალინი მხარს უჭერს ლენინის წინადადებას მუშებისა და ჯარისკაცების მშვიდობიანი დემონსტრაციის მოწყობის შესახებ.

რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტის დახურულ სხდომაზე, რომელზეც ირჩეოდა დემონსტრაციის საკითხი, ი. ბ. სტალინი გამოდის პეტროგრადში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებით.

9 ივნისი, დამე. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მონაწილეობენ საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაში, შემდეგ კი — რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაში. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის წინადადებით ცენტრალური კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას 10 ივნისისათვის დანიშნული დემონსტრაციის გადადების შესახებ.

გვიან ღამით ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ამზადებენ მასალებს «პრავდისათვის» და ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს ამ უკანასკნელის მიერ დემონსტრაციის გადადების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

18 ივნისი. ი. ბ. სტალინის სტატია «გუშინ და დღეს (რევოლუციის კრიზისი)» დაიბეჭდა გაზეთ «სოლდატსკაია პრავდის» № 42-ში.

15 ივნისი. ი. ბ. სტალინის სტატია «პეტროგრადის მუნიციპალური არჩევნების შედეგებისათვის» დაიბეჭდა «რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ბიულეტენების» № 1-ში.

16 — 23 ივნისი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობენ რსდმპ (ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო

ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის კონფერენციის მუშაობას.

17 ივნისი. ი. ბ. სტალინი ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმება რსდმპ (ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის კონფერენციას.

ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი მოწოდება რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტისა — «პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს» — დაიბეჭდა გაზეთ «პრავდის» № 84-ში.

20 ივნისი. საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

21 ივნისი. ი. ბ. სტალინი გამოდის რსდმპ (ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის კონფერენციაზე მოხსენებით «ნაციონალური მოძრაობისა და ნაციონალური პოლკების შესახებ». კონფერენცია იღებს ი. ბ. სტალინის მიერ წარდგენილ რეზოლუციას ნაციონალურ საკითხზე.

22 ივნისი. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ი. ბ. სტალინი არჩეულია ბოლშევიკების ფრაქციის წარმომადგენლად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროში.

რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პეტროგრადის კომიტეტისა და სამხედრო ორგანიზაციის წევრთა კერძო თათბირს ი. ბ. სტალინი მოახსენებს, რომ ბოლშევიკურმა ფრაქციამ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში შეიტანა განცხადება, რომლითაც მოითხოვს მზარდი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებას.

1 — 8 და 16 — 20 ივლისი. ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი ხელმძღვანელობენ ბოლშევიკური პარტიის პეტროგრადის ორგანიზაციის მეორე (საგანგებო) კონფერენციის მუშაობას.

3 ივლისი. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ რიგ ზომებს იღებს, რათა შეაკავოს მასები სტიქიურად წარმოშობილი შეიარაღებული დემონსტრაციისაგან; როდესაც ირკვევა, რომ მოძრაობის შეჩერება ვერ მოხერხდება, ცენტრალური კომიტეტი ადგენს — მონაწილეობა მიიღოს დემონსტრაციაში, რათა მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მისცეს მას.

4 ივლისი. ი. ბ. სტალინი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოითხოვს, რომ აღკვეთილ იქნას ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ცილისწამების გავრცელება.

6 ივლისი. ი. ბ. სტალინმა ინახულა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრე, სადაც მან დააჯერა რევოლუციური მატროსები — თავი შეეკავებინათ შეიარაღებული მოქმედებისაგან. ი. ბ. სტალინი აღწევს იმას, რომ გაუქმებულ იქნა პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის ბრძანება მატროსების წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენების შესახებ.

7 — 8 ივლისი. ი. ბ. სტალინი და გ. კ. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინთან ერთად წყვეტენ პეტროგრადიდან ლენინის წასვლის საკითხს.

8 — 11 ივლისი. ი. ბ. სტალინი ამზადებს პირობებს პეტროგრადიდან ვ. ი. ლენინის გასამგზავრებლად.

11 ივლისი. ი. ბ. სტალინი და ს. ი. ალილუევი მიაცილებენ ვ. ი. ლენინს ზღვისპირა სადგურამდე, საიდანაც ის მატარებლით მიემგზავრება სადგ. რაზლივში.

11 ივლისი — 7 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მჭიდრო კავშირურთიერთობას ამყარებს არალეგალურ მდგომარეობაში გადახულ ვ. ი. ლენინთან და მისი მითითებებით უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას.

15 ივლისი. ი. ბ. სტალინის სტატია «შეამჭიდროეთ რიგები» დაიბეჭდა კრონშტადტის გაზეთ «პროლეტარსკოე დელოს» № 2-ში.

16 ივლისი. რსდმპ (ბ) პეტროგრადის ორგანიზაციის მეორე (საგანგებო) კონფერენციის დილის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით ივლისის ამბების შესახებ, ხოლო საღამოს სხდომაზე — მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ და საბოლოო სიტყვით.

20 ივლისი. ი. ბ. სტალინი კონფერენციაზე მონაწილეობას იღებს კამათში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს ხელახალი არჩევნებისა და სხვა საკითხების გამო.

20 — 29 ივლისი. ი. ბ. სტალინი წერს მოწოდებას «პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს», რომელიც დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» № 2-ში.

23 ივლისი. ი. ბ. სტალინის სტატიები «რა მოხდა?» და «კონტრრევოლუციის გამარჯვება» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» № 1-ში.

26 ივლისი — 3 აგვისტო. ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი ხელმძღვანელობენ ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის მუშაობას.

27 ივლისი. ი. ბ. სტალინი ყრილობაზე გამოდის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით და საბოლოო სიტყვით.

30 ივლისი. ი. ბ. სტალინი ყრილობაზე გამოდის მოხსენებით პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

31 ივლისი. ი. ბ. სტალინი უპასუხებს ყრილობის დელეგატთა ჯგუფის მიერ დასმულ კითხვებზე და გამოდის საბოლოო სიტყვით პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

31 ივლისი — 3 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს VI ყრილობის მიერ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ რეზოლუციის გამოსამუშავებლად გამოყოფილი კომისიის მუშაობას.

3 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ყრილობას მოახსენებს რეზოლუციას პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ი. ბ. სტალინი არჩეულია ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

4 აგვისტო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» რედაქტორად.

5 აგვისტო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს ცენტრალური კომიტეტის ვიწრო შემადგენლობაში.

6 აგვისტო. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვიწრო შემადგენლობის სხდომაში, რომელზეც დამტკიცდა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის. რეზოლუცია მოსკოვის თათბირის შესახებ.

8 აგვისტო. ი. ბ. სტალინის სტატია «მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» № 14-ში.

9 აგვისტო. ი. ბ. სტალინის სტატია «კიდევ სტოკჰოლმის შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» № 15-ში.

13 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით აწყობს პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «პროლეტარის» გამოცემას.

ი. ბ. სტალინის სტატია «კონტრრევოლუცია და რუსეთის ხალხები» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 1-ში.

16 აგვისტო. ცენტრალური კომიტეტი ი. ბ. სტალინს ირჩევს სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ რეზოლუციის შემდგენ კომისიაში.

17 აგვისტო. ი. ბ. სტალინი რსდმპ (ბ) ნარვის რაიონული კომიტეტის შენობაში გამოდის ლექციით ჯარისკაცებისათვის, თემაზე: «სოციალ-დემოკრატია და საქალაქო არჩევნები».

18 აგვისტო. ი. ბ. სტალინის სტატიები «სიმართლე ფრონტზე ჩვენი დამარცხების შესახებ» და «ივლისში ფრონტზე დამარცხების მიზეზების შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 5-ში.

22 აგვისტო. ი. ბ. სტალინის სტატია «პროვოკაციების ხანა» დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 8-ში.

25 აგვისტო. ი. ბ. სტალინის სტატია «ან — ან» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩის» № 1-ში.

27 აგვისტო. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გამოქვეყნდა ბოლშევიკური ფრაქციის რეზოლუცია პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, დაწერილი ი. ბ. სტალინის მიერ.

28 აგვისტო. ი. ბ. სტალინის სტატია «ჩვენ მოვითხოვთ» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩის» № 4-ში.

30 აგვისტო. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაში, სადაც განხილულ იქნა კორნილოვის კონტრრევოლუციური გამოსვლასთან ბრძოლის საკითხი.

31 აგვისტო. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს ცენტრალური კომიტეტის სხდომაში, რომელმაც განიხილა დეკლარაცია ხელისუფლების შესახებ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ი. ბ. სტალინს ავალებს გააკეთოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენება მომენტის შეფასებით.

ი. ბ. სტალინის სტატია «ბურჟუაზიასთან შეთანხმების წინააღმდეგ» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩის» № 9-ში.

აგვისტო — ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი რედაქტორობს რსდმპ (ბ) ცენტრალურ ორგანოს, რომელიც გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით: «პროლეტარი», «რაბოჩი» და «რაბოჩი პუტ».

6 სექტემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «საკუთარი გზით» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 3-ში.

9 სექტემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «მეორე ტალღა» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 6-ში.

16 სექტემბერი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ი. ბ. სტალინი, კამენევის საწინააღმდეგოდ, რომელიც მოითხოვდა, რომ დაეწვათ ვ. ი. ლენინის წერილები «ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალაუფლება», «მარქსიზმი და აჯანყება», წინადადებას იძლევა განსახილველად დაეგზავნოს ეს წერილები ყველაზე დიდ პარტიულ ორგანიზაციებს.

17 სექტემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 13-ში.

21 სექტემბერი. დემოკრატიული თათბირის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის მოხსენებით, რომელშიც იცავს ვ. ი. ლენინის დირექტივას წინაპარლამენტის ბოიკოტის შესახებ.

23 სექტემბერი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს ბოლშევიკებისაგან დამფუძნებელ კრებაში ასარჩე-

ვად წამოყენებულ კანდიდატთა სიას. კანდიდატთა რიცხვში არიან ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი.

27 სექტემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 21-ში.

28 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ვასილიევის კუნძულის რაიონის ბოლშევიკთა კრებაზე გამოდის მოხსენებით დემოკრატიული თათბირის შესახებ.

29 სექტემბერი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება — გამოაქვეყნოს დამფუძნებელი კრების წევრობის კანდიდატთა სია საარჩევნო ოლქების მიხედვით. ი. ბ. სტალინის კანდიდატურა წამოყენებულია პეტროგრადის, ეკატერინოსლავის, ამიერკავკასიის, სტავროპოლის საარჩევნო ოლქებში.

ი. ბ. სტალინის სტატია «რამდენიც უნდა ელოდოთ, ვერ მოესწრებით...» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 23-ში.

5 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს ცენტრალური კომიტეტის სხდომაში. სტალინის წინადადებით ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოიწვიოს ჩრდილოეთი ოლქის საბჭოების ყრილობის სხდომათა დღეებში პარტიული თათბირი ცენტრალური კომიტეტის წევრთა, პეტროგრადისა და მოსკოვის პარტიულ მუშაკთა მონაწილეობით.

8 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა ინახულა პეტროგრადში არალეგალურად დაბრუნებული ვ. ი. ლენინი და მასთან ერთად იქონია მსჯელობა შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხებზე.

10 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მონაწილეობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაში. ცენტრალური კომიტეტი იღებს ვ. ი. ლენინის

რეზოლუციას შეიარაღებული აჯანყების შესახებ და აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ქმნის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ბიუროს შვიდი კაცის შემადგენლობით და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ი. ბ. სტალინის სტატია «კონტრრევოლუცია ირაზმება, — ემზადეთ წინააღმდეგობისათვის» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 32-ში.

15 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინის სტატიები «გამოცდა თავხედობაში» და «რევოლუციის შტრეიკბრეხერები» დაიბეჭდა გაზეთ «რაბოჩი პუტის» № 37-ში.

16 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობენ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომას. ი. ბ. სტალინი მკაცრად აკრიტიკებს გამცემლების — კამენევისა და ზინოვიევის გამოსვლებს შეიარაღებული აჯანყების საკითხში. სხდომაზე ირჩევენ პარტიულ ცენტრს აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

20 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაში; წინადადება შემოაქვს — განხილულ იქნას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვ. ი. ლენინის წერილები კამენევისა და ზინოვიევის შტრეიკბრეხერობის შესახებ.

ი. ბ. სტალინი მონაწილეობს პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის პირველ სხდომაში.

ი. ბ. სტალინი სმოლნში პეტროგრადის პროფკავშირების რწმუნებულთა კრებაზე გამოდის შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხის გამო.

21 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაში. ცენტრალურმა კომი-

ტეტმა დაადგინა — პეტროგრადის საბჭოს აღმასკომში ბოლშევიკების გავლენის განმტკიცების მიზნით შეიყვანოს მის შემადგენლობაში სტალინი და ძერჟინსკი; ცენტრალური კომიტეტი იღებს სტალინის წინადადებას — მომზადდეს საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობისათვის მოხსენებები და თეზისები: მიწის, ომის, ძალაუფლების შესახებ (ვ. ი. ლენინი), ნაციონალური საკითხის შესახებ (ი. ბ. სტალინი); ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილი არიან სტალინი და სვერდლოვი.

24 ოქტომბერი. დილის 11 საათზე გამოდის გაზეთ «რაბოჩი პუტის» მორიგი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის სტატია «რა გვესაჭიროება ჩვენ?» მოწოდებით — დამხობილ იქნას დროებითი მთავრობა.

ი. ბ. სტალინი საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე მოხსენებას აკეთებს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

სალამოს სმოლნში მოდის ვ. ი. ლენინი. ი. ბ. სტალინი ინფორმაციას აწვდის მას პოლიტიკური ამბების მსვლელობის შესახებ.

24-25 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობენ ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

წინასიტყვაობა VII

1917

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ 1
ომის შესახებ 4
სამინისტრო პორტფელებისაკენ 10
რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ 12
ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ . 17
ან — ან 22
ფედერალიზმის წინააღმდეგ 25
ორი რეზოლუცია 35
მიწა — გლეხებს 37
პირველი მაისი 41
დროებითი მთავრობის შესახებ. სიტყვა ვასილიევის კუნძულზე შემდგარ მიტინგზე 1917 წ. 18 აპრილს (1 მაისს) 43
მარიამის სასახლეში შემდგარი თათბირის შესახებ 48
რსდმპ (ბოლშევიკების) VII (აპრილის) კონფერენცია. 1917 წ. 24 — 29 აპრილი . . . . . 53 — 63
1. სიტყვა მიმდინარე მომენტის საკითხზე ამხ. ლენინის რეზოლუციის დასაცავად 24 აპრილს . . . 53
2. მოხსენება ნაციონალურ საკითხზე 29 აპრილს . 54
3. საბოლოო სიტყვა ნაციონალურ საკითხზე 29 აპრილს . 61
რევოლუციისაგან ჩამორჩენილნი 64
რას მოველოდით კონფერენციისაგან? 70
მუნიციპალური კამპანია 73
გუშინ და დღეს (რევოლუციის კრიზისი) 88

დაჭსაჭსული დემოკონსტრაციების წინააღმდეგ . . 97
პეტროგრადის მუნიციპალური არჩევნების შედეგებისათვის 100
პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს 106
დემოკონსტრაციაზე 111
შეამჩიდროეთ რიგები 116
გამოსვლები რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის ორგანიზაციის საგანგებო კონფერენციაზე. 1917 წ. 16 — 20 ივლისი . . . . . 120 — 141
1. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება ივლისის ამბების შესახებ 16 ივლისს . . . 120
2. მოხსენება მიმდინარე მომენტზე 16 ივლისს . . 127
3. პასუხები შემოსულ ბარათებზე 16 ივლისს . . 136
4. საბოლოო სიტყვა 16 ივლისს 138
რა მოხდა? 142
კონტრრევოლუციის გამარჯვება 146
კადეტების გამარჯვება 150
პეტროგრადის ყველა მშრომელს, ყველა მუშასა და ჯარისკაცს 153
ორი კონფერენცია 161
ახალი მთავრობა 163
დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის . . . 166
გამოსვლები რსდმპ (ბოლშევიკების) VI ყრილობაზე. 1917 წ. 26 ივლისი — 3 აგვისტო . . . 175 — 211
1. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება 27 ივლისს 175
2. საბოლოო სიტყვა 27 ივლისს 189
3. მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ 30 ივლისს 192
4. პასუხი შეკითხვებზე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენების გამო 31 ივლისს . . . 201
5. საბოლოო სიტყვა 31 ივლისს 205
6. პასუხი პრეობრაჟენსკის «პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» რეზოლუციის მე-9 პუნქტის საკითხზე 3 აგვისტოს 210
რა სურთ კაპიტალისტებს? 212

მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ 218
კიდევ სტოკჰოლმის შესახებ 222
საით მივუძღვართ მოსკოვის თათბირს? . . . 226
კონტრრევოლუცია და რუსეთის ხალხები . . . 233
ორი გზა 238
მოსკოვის თათბირის შედეგები 243
სიმართლე ფრონტზე ჩვენი დამარცხების შესახებ . 247
ივლისში ფრონტზე დამარცხების მიზეზების შესახებ 252
მაშ ვინ არის დამნაშავე ფრონტზე დამარცხებაში? . 259
ამერიკული მილიარდები 265
დღეს არჩევნებია 269
პროვოკაციების ხანა 275
შრომის განაწილება «სოციალისტ-რევოლუციონერთა» პარტიაში 278
ყვითელთა კავშირი 282
ან — ან 286
ჩვენ მოვითხოვთ 292
შეთქმულება გრძელდება 297
ბურჟუაზიასთან შეთანხმების წინააღმდეგ . . . 302
კრიზისი და დირექტორია 304
საკუთარი გზით 308
კადეტებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ . . . 311
მეორე ტალღა 316
უცხოელები და კორნილოვის შეთქმულება . . 324
დემოკრატიული თათბირისათვის 328
ორი ხაზი 334
მთელი ძალაუფლება საბჭოებს! 338
რევოლუციური ფრონტის შესახებ 341
ბორკილებს ჰედავენ 346
ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა . . . 350
გამოძახილი . . . . . 354 — 357
რკინიგზელთა გაფიცვა და დემოკრატიზმის ბანკროტები 354
რუსი გლეხები და უთავოთა პარტია 356
ლაშქრობა მუშების წინააღმდეგ 358
რამდენიც უნდა ელოდოთ, ვერ მოესწრებით... . . 361
გამოძახილი . . . . . 365 — 368
«უსახურთა» პარტია და რუსი ჯარისკაცები . . . 365
შეთქმულნი ხელისუფლების სათავეში . . . 367

ჭაღალდის კოალიცია 369
გამოძახილი . . . . . 372 — 375
სოფელი შიმშილობს 372
შიმშილი ფაბრიკებში 373
თავი გაიწკეპლეს 376
შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ . . . 378
ვინ შლის დამფუძნებელ კრებას? 401
კონტრრევოლუცია ირაზმება, — ემზადეთ წინააღმდეგობისათვის 404
ვის ესაჭიროება წინაპარლამენტი? 407
საბჭოების ძალაუფლება 410
გამოცდა თავხედობაში 415
რევოლუციის შტრეიკბრეხერები 419
სიტყვა ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 16 ოქტომბერს 426
«გარემომადგეს მე ზვარაკნი მრავალნი ჰამებულნი» 428
რა გვესაჭიროება ჩვენ? 433

შენიშვნები 437

ბიოგრაფიული ქრონიკა (1917 წლის მარტი — ოქტომბერი) . 461

ტირაჟი 20 000.
გადაეცა წარმოებას 21/V — 1954.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X-1954.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 30,5.
შეკვ. № 678.
ფასი 6 მან.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.